

114
1936/2



მეამბო

7



პრეზიდენტის კვლეა ქვეყნისა, **საქართველოს
საქართველოს**



1112
259/1
4139




№ 7 (27)

წელიწადი მესამე.



**სოციალ-დემოკრატიული სალიტერატურო, სამხატვრო
და სამეცნიერო ჟურნალი**

ივლისი



თბილისი. 1926 წელი

გამომცემელი: | სააკათვლოს კოლიტ-განათ-
ლების მთავარ-მართველობა.

მსატკბურელი ლიტერატურა

საქართველო
რუსეთი
დასავლეთი

კოსმიური ორპესტრი

მსოფლიო სხივების და ცეცხლის ღეროთა
მსოფლიო ღელვებზე და ქარზე მღეროდა
მსოფლიო ნგრევათა კვლავ მოწმე გაეხდებით
მსოფლიო რღვევანი ხმელეთით რბოდიან
მსოფლიო ორკესტრნი მიწისძვრით, ტახტებით
მსოფლიო წვიმებით და წარღვნით მოდიან
მსოფლიო ვულკანის ავარდენ ბოლები
მსოფლიო მდინარეთ ადიდდენ ტალღები
მსოფლიო მწერვალთა დანიხლდა ზოლები
მსოფლიო, მსოფლიო, მსოფლიო!
მსოფლიო გუგუნით მიჰქრიან ზვირთები
მსოფლიო მორევი გრიგალის ფერია
მსოფლიო სივრცეთა ტიტანი ტვირთები
მსოფლიო: მოძრაობა და მატერია.
მსოფლიო, მსოფლიო, მსოფლიო მუსიკა
მსოფლიო ქვეებით და ასფალტით ნაგები
მსოფლიო ქაოსებს დრომ გადაუზნიქა
მსოფლიო შურისა და ნიშნის საგები
მსოფლიო მუსიკა, მსოფლიო ორკესტრო,
მსოფლიო ახალ ღღეს მოესწრო
მსოფლიო იგერებს ზარბაზნებით
მსოფლიო მაგნატი, ტრესტები, დისკოსი
მსოფლიო მილიარდ ოქრო და ვაზნებით—
მსოფლიო ლონდონის და სან-ფრანცისკოსი.

მსოფლიო ნგრევათა კვლავ მოწმე გაეხდებით.

გრგვინვა მთაში, ქარი ზღვაზე და ტალღების რაში
ელვის თეთრი ნამსხვრევეები გაჰკივიან ცაში
დატრიალდა მაღლა, მაღლა და დაეშვა ქვევით

ჩამოინგრა ნაპრალები ყრუ და მძიმე რღვევით
 ახმაურდა ხეობებში, არის კლდეთა ფენა,
 მესმის მძაფრი ძგერა გულთა და დაყრუვდა სმენა:

მსოფლიო... მსოფლიო... მსოფლიო...

ვხედავ რომ მოსხლტა განცვიფრებულ სიერცეს სვეტები
 და მსმენელთა წინ წყვედიადების გაფრინდა რიგი.
 გაფითრებულნი გაილანდნენ სილუეტები
 არა ვაგნერის, არც მოცარტი და აღარც გრიგი
 ო, კოსმიურო, ერთადერთო, მძლავრო მუზიკა
 ო, უსხეულო! ეხლა სხეულამონაგები—
 ამ ქაოსიდან მოვევლინა ახალი მუზა
 ყველაფერს, რაც კი ახსნილა და გასაგები:

მსოფლიო ნგრევითა კვლავ მოწმე ვაფხდებით.

დამდაგველი აფრებით
 ჩვენ რომ ირგვლივ გვედება
 იგი, მხოლოდ გაფრენა
 არის შემოქმედება.
 არის შემოქმედება
 სიზუმე და გრიგალი
 მსოფლიო მზის გედებათ
 ბედთან შეურიგალი.
 ურავანი ბრძოლების
 და სიკვდილის კვთება
 ნგრევა! ახალ ტოლების
 არის შემოქმედება.
 განახლება! ზღვისაჲვით
 იგრძაობ, რა ქარებია
 რადგან იმ გრძნობასაჲვით
 არვის არ ჰყვარებია.
 სადღაც რეკავს დაირა
 და სიცილის წვეთება,
 საქართველო! აი რა
 არის შემოქმედება.
 ყველა წამი უსაზრო
 რეკავს ფერ მწუხარეთა
 იმედები უსაზღვრო
 და განსაზღვრულ მხარეთა.



შემოდგომაც ქართლი
 ქარში წვიმა სვეტებად
 შრომა და სიხარული
 არის შემოქმედება.
 ველი... ველარ გადარჩეს
 დროთა ძველთა დულილი.
 ეს ვთქვი, ეხლა დანარჩენს
 იტყვის შიქა-ქუხილი:

მსოფლიო, მსოფლიო, მსოფლიო...

საიდან, როგორ ხმები ასეთი?
 დღე შემოიჭრა და გვეფერება
 ახალგაზრდობით მოკისკასეთი
 მოვიდა სითბო და ამღერება.
 ეს არის გრძნობა კვლავ სიყვარულთა
 გადაქცეული სხვისთვის კაობათ
 ეს ოცნებაა. ფერთა ფარულთა
 და გაზაფხულთა სანახაობა.

ყველა სახელებში ნხოლოდ რუსთაველი
 იხსნის განსაცდელით მრავალ საუკუნეს
 იგი უძლეია და მზის ის თაველი
 რი მელს მონობისთვის გზა ვერ გაულუნეს
 დანტე უკვდავებში არა მეთაეა
 მაგრამ დიდებაა მკრთალი ბეატრიჩე
 ბავშის მეოცენებე სახეც დიადია
 რომელს შეუყვარდა ერთჯერ, მეთაეჯერ.
 შენი, შოტლანდია, სული სრულხმოვანი
 ბარდნი რომ გეხვიენენ უუნაირონი
 მეფურ უგონობით ეხლაც ის ლანდია
 უფრო უმაღლესნი: შელლი, ბაირონი
 ბევრი ყვაილია, ბევრი ფოთლებია
 ხან მხურვალე ხან, უუნოტიესი.
 იგი ვერლენია, იგი ბოდლერი
 რემბოს ლექსებია ან და გოტიესი.
 იყო ჰაფიზიცა და იქ შირაზიდან
 რათა აღმოსავლეთს არე დაუფარჩოს
 მაგრამ შავკორანის სუნთქვა ვინ აზიდა?
 ეს ხომ, იგი არის... ედგარს გაუმარჯოს.

მაინც შფოთავს, ისევ შფოთავ ღამე
 ისევ ცხარედ ხმაურობენ ტყენი

ასე, როგორც ქარიშხალი რამე
 ხმაურობდა სიუმაწვილე ჩვენი.
 იყო ქარში თავდადებით ქროლა
 ხმა ისმოდა მტერთა მწარე ყეფის
 ხმაურობდა ახალგაზრდა შკოლა
 პოეტების უკეთესი წყების.
 ბევრს გაუშრა ძარღვში სისხლის წვეთი
 მეტად დიდი გამარჯვებაც ნახეს
 ვინ გაბედა ჩვენზე სიტყვა მეტი?
 შემახედეთ კიდევ იმათ სახეს.
 კოსმიურო! ჩვენი ყოფნა რთა
 თუ იმგვარად მწუხარებას ისევ
 გამაგონეთ ერთი სიტყვა: დროა.
 მე თქვენთან ვარ და ვიქნები ისევ
 მაშინ რიგით, ფოლადური რიგით
 ყველა ჩვენთან, როგორც ერთი ფერი
 მტერი იყო ვინაც დარჩა იქით.
 სიკვდილამდე ვიქნეთ მათი მტერი.
 გახსოვთ ჩვენი მზიარული ბინა?
 იქ მოგროვდეს, ვინაც ელის შეელას
 დაურიგდეს ყველას ძველი ლენო,
 სიხარულის ხმა მიეცეს ყველას...

მსოფლიო, მსოფლიო, მსოფლიო.

გულო, მესმის შენი ძვერა
 მესმის შენი კვლომა.
 ქარი დგება, ეხლა შამბში
 განისუქნა ლომმა.
 ისევ უცხო მოგონებით
 წაჰყვა თანდათანა
 სად იზოლდას და ტრისტანის
 მოისმოდა ნანა
 ნელზე ნელი ნანა.
 სიჩუმეა და შორით შორს
 ისმის როგორც წვიმა
 მხოლოდ ერთი სიმი...
 იყო სერაფიმი?
 იგრძნო სერაფიმმა
 იგი სერაფიმი?
 არა! ეს მსოფლიო

მსოფლიო ნგრევითა
 მოწმე გაეხდებით!

ხ ა ვ ს ი

— აქ შევისვენებთ: — მითხრა გახამ:

თავზე უზარმაზარი კლდე გვახურავს, ზევით — ნაძვნარები, ძირს გველივით გასწრაფული გარბის წვრილი ვზა.

ძუნძულ-გადაყრილი ღრიალებს ენგური. გეშინია, თან გიზიდავს.

ჭალარა ღრუბლები დაბაჩუნობენ ნელა, ხან ისვენებენ მთების წვერებზე, თუ ქარი მოხერავს, დგებიან და ზანტად აბოლებენ ცას. შორს ენგურის ბლავილს ეხმაურება ხეები.

ყოველივე დიდია, ძლიერი, გამოუცნობი, ცივი. შენ კი პატარა ხარ, თუნდ ისეთი, რომელსაც ენგური ჰგლეჯს ნაპირებს და იძირავს თვალეზივით. ჯამბაზივით უნდა გქონდეს თვალი და გული.

ქოხში შევედი. მარცხნივ: დახლი, თაროები, დოქები, საინები, როქლებზედაც ხმელი ტარნის თავები და კვერცხები აწყვია. კედელზე სურათები: კატის გასვენება თავგების მიერ და გაზეთიდან ამოხეული გამჭვარტლული ლენინი. მედუქნე მთიელი, ყალიონით სთვლემს. ანთია ცეცხლი. თითქო დათვები, ბალნიან ტყავებში გახვეული, სდუმან გლეხები, თუთუნის ფურცლებს აბოლებენ, აფურთხებენ, საუბრობენ, ყელიდან თითქო რკოები სცვივით. ენგური ისევ ღრიალებს, მთებიდან იყრება გამაძხილი.

— რა პატარა ხარ ეხლა! ფიქრობ უნებურათ.

იქ, რამოდენიმე ნაბიჯზე, გგონია, ერთდება ცა და მიწა. ქოხი რომელშიდაც მე ეხლა ვდგეიარ ქორივით ჰკილია ამ ნაპირს, ძირს ხევია უძირო, შავი; მაღლიდან კლდე გაშინებს: საით გინდა, რომ გაიქცე!

უტკეარ ცეცხლთან დამსხდარ მთიელებს და კლდის ნატეხები გგონია. სხედან უძრავად, თუთუნის ბოლში გახვეულნი, აი ისე, როგორც ის მთები, როცა მათ ღრუბლები ჰფარავთ.

შუბლზე ჩაძმული სევდა, მოფიქრებული თვალები, ზღვაში ჩაძირულ კენკებივით.

ყოველივე ზეიადობით არის შემოსილი. გაღმიდან მოსჩანს წისკვილი; ანთია კრაქი, მოხუცი მეწისქვილე ღიღინებს. — რას! — არც მე ვიცი: არც თითონ: ისე. შოლოჯ გულში იხლიჩება თითქო ბოკონი.

— მიირთვით.

გახა გაშლილ სუფრას უსხდება.

— არ მიქდა;

ვფიქრობ; აქ კაცმა მარტო სანახაობით შეიძლება იცხოვროს. გახა ვერ გრძნობს ამ ბუნებას. ენგური მისი სისხლია, მთები მისი გული, და ჩვენ, ჩვენა გულის ცემას ხომ ისე შევეჩვიეთ, რომ არ გვიკვირს! ჩემთვის კი აქ ყოველივე უცხოა, როგორც თუნდ აი იმ მთიელისთვის ქალაქი, სადაც მას რიდი უბორკავს ნაბიჯებს:

— სამაგიეროს მიხდიან,—გავიფიქრე ღიმილით.

მე მაწინებს ამ საგნების სიზვიადე, უკარებლობა: მეშინია და თან ვფიქრობ: ვიბავშვო, გაუწოდო ხელი მთებს, როგორც მყინვარ-შაქარს. ვიცი, ვერ ჩამოცტებს; ვიცი, არავინ მომცემს; თავს ხომ შევაჯობებ? კიდევ მგონია—ეს გარემო ქანდაკება, თვალ-წარმტაცი, გიზვევს, გიზიდავს, მაგრამ ცივია, ღიმილი; ვერ მისწვდება. ამიტომ გინელებს გრძნობას, აღფრთოვანებას; გავიქრებს და გასვედიანებს.

ამ წუთში მე გგრძნობ ისეთ რამეს, რომელიც იქ, ქალაქში, აროდეს არ მიგრძნვია. ქალაქის ცხოვრება, ამ უზარმაზარ ქანდაკების მაგიერ, პატარაა, მაგრამ სწრაფი, თითქო გაქცეული ხელის ნახაზებია—მთრთოლვარე, გახეღებული, საქმიანი:

თითონ შენც სწრაფი ხარ, მიჰყვები ბაზებს, ეძებ რალაცას:

აქ ხილვია, თუმც სიღიაღის. იქ შეიძლება ქუქუცი იყოს, მაგრამ შენ ამ ქუქუცს ეხები, სწოვ მას და გიხარია: შენია, შენთან არის, შეგიძლია მისი გარდაქმნა, ის ემორჩილება შენს ნებას:

ენგური ისევ ღრიალებს ძუნძულ-გადაყრილი.

აქ მე ტ-ვე ვარ და ჩემი საკანი უძვირფასეს მასალით არის აგებული, მაგრამ რომელ ავაზაკს მოეხატრება მშვენიერი საპყრობილე?

ჩემთვის აქ ცხოვრება ტყეობაა, ღამაში ტყეობა. შორს ასეთი სიღამაზე, უარებელი, ცივი, უძრავი!

ისევ ქალაქი: ჩემთვის ის ძვირფასია გაქცეულ ხელით, მოხაზულ ცხოვრებით.

გამოვედით გარეთ: წისქვილთან ისევ ანთია ქრაქი. ეხლა მოხუცის თეთრი წვერები ხევში გარჩენილ პატარა ღრუბელს ჰგავს.

მოხუცი ზის მოხრილი, არ ირხევა:

— რას ფიქრობს ნეტავ?—გავიფიქრე და, გახამ თითქო იგრძნოო,—მწუხარებით წამიჩუჩულა.

— უბედურია.

ჩამოვეგქით: დაიწყო გახამ:

— სცხოვრობს წისქვილში მარტო, ყოველ ღამით მაგ კლდიდან დასცქერის ენგურს, ს ნამ მის წვერებსავით არ გათეორდება ღამე: ლივურეი ჰქვია სახელათ. განთქმულია ვაჯაცობით, პატროსნებით, გულ-უხვობით: მისი კოშკი ხვეის გაღმაა. ეხლა იქ კოტები თუ ჰკვიან, მგლები თუ ღმუიან. ბარემ ღი-

გურგის გულშიც მგელი უნდა ღმუოდეს? მთებზე კაცს გული და კერა ერთად თუ გაუფრანდებდა. თემის ქირის და ღობინის მოზიარე ლიგურეი ეხლა კლდე-სავით ცივი და უსიტყვოა. მოუკვდა გული სამუდამოდ, ჩალის ღეროვით გაუ-ხმა ყელი. არავინ არ ისმენს ეხლა მის შაირებს და სიმღერებს. არ უყვართ ეხლა ლიგურეი ბავშვებს: ეშინიათ მისი ხმელი თითების და, სადღაც შორს გასროლილ ხევივით მღვრიე თვალებს.

ვინ იყო თეპი ბედნიერი!? ლიგურეი.

ვის ჰქონდა თვალი სწრაფი ირემივით!? ლიგურეის.

ვის ოჯახში იყო ბლომათ ჯიხვების ხორცი!? ლიგურეის.

ვის ენდობოდა თემი!? ლიგურეის.

ვის ჰყავდა ქალი უღამაზესი, თვალმუქუნა, თათქო ჩანჩქერი, და მყინ-ვარივით თეთრი და სუფა! ლიგურეის, ლიგურის.

როგორ უყვარდა ლიგურეის თავისი ქალი!? როგორც მთებს მრისხანე-ბა, როგორც ლაფეარდ ცას მნაჩობი.

ეხლა? ვინ არის თემში ყველაზე უბედური!? ლიგურეი. მის კერიიდან კვამლი არ ამოდის და კოშკის თავზე აღარ ხეება ჯიხვების ხორცი და ნაღებ-ბი. მის კოშკში არავის არ უხარია სათემო დღეთა მოახლოვება. მისი ეზო დაჟვარა შამბმა, კოშკიც მოიხარა როგორც ლიგურეი. ორივეს გულში კო-ტები თუ ჰკვიან, მგლები თუ ღმუიან. როცა ქედები მოიხურავდენ მთვარის სხივებით მოსირმულ თავშალს, ვის უმღეროდენ თემის მხარ-ავადებული ბიჭები:

— ჰუ ჰუ გულ-ნარაო, მთების შველო...

გულნარას, გულნარას, მოხუც ლიგურეის ქალს.

თითქო თვალწინ ირხვეა ეხლა: თმა-გაშლილი, შიშველი წვივებით; თო-ლიასავით მოფართხალე ღმით ტუჩებზე.

ველური მარტო: თუ უცხო უცქეროდა, სცხვენოდა; გვერდზე თვალ-მოგ-დებული, ჩუმით ქუსლებს აჰკრეფდა და დაჰკრავდა შველივით კამარას. ქალი გულნარა უყვარდა ლიგურეის. ბედნიერი იყო ლიგურეი.

ღილით უსმენდა წისქვილში მრისხანე ენგურის ღრიალს. მაშინ ზვირთე-ბიდან დგებოდა დღეები მშფოთავ სიკაბუჯის. სტკებოდა მოხუცი. საღამოს უსმენდა გულნარას თივილს: ეშლებოდა გულში სიხარული, იშლებოდა გულ-ნარაც.

როცა ღამეა, გადაჰკიდებდა შიშველ ფეხებს წყალში, ესროდა კენჭებს შორს მიმავალ ზვირთების ქარავანს, ეთამაშებოდა წყალში დაცემულ მთვარეს და ხშირად აქნეულ სხეულს კლდეზე გაშვებართავდა. ვინ შეაპარებდა მაშინ თვალს გულნარას გულის თრთოლვას!

რას ელოდა! არაფერს:

რას ფიქრობდა! არაფერს:

ფიქრის სცხვენოდა: ფიქრი მხილებდა სხეულის—მხუთავი და მშფოთი. ცა კი დილია, ვერ გადასწვდები. ზვირთები ჩქარია, ვერ დაეწევი. და მოჰპარ-ავდა გულნარა წუთებს, ტკბილ დუღუნში შეგორებულს გულს. თემის ბიჭებს ოცნებით ეხსენებოდათ მისი სახე თვალში.



რამდენი თვალი ასდევნებია გულნარას სხეულს, თითქო ნიავეიდან გამოქნილს.

რა არის ცხოვრება,—ნათელამ არ იცის. ვინ გააჩინა მამა? ღმერთმა. მთები, ენგური? არაფერია იცის, ასე ყოფილა.

თითონ? თითონ ციდან დაეშვა ღრუბელივით; ასე ახსოვს მამიდან.

რა იცის გულნარამ? სირბილი, სიცილი, მამის ალერსი, ზვირთები, ხევეები, ლამეები, მთები.

გულნარას უყვარს მთვარე: ენგურის ნაპირიდან ეალერსება მას. ივრიხება, მკლავებს შლის, ჰკეცავს: თმების დალაღლებში გაახვევს სახეს, ხან შემოიქნევეს: მოხიდულ შვალდევით სავსე მკერდებზე დააფუჭევეს მთვარეს, გაივსებს უბეებს, გაივსებს თვალებს და მიჰქრის კოშკისკენ.

ვის უყვარს ქალი გულნარა? ყველას. სხვებზე უფრო—მამას: ათასი სხვა გული ვერ შეედრება მამის დანაოჭებულ გულს. ათასს სხვა ვინმეს ურჩევნია გულნარას მამა.

გინახავთ მთებში გრიგალი?

როცა ღრუბლები, ვით დაგლეჯილი აფრები ზღვაზე, გარბიან შორს, შორს; ვერ გადასცდებიან ქედებს, შეიკუმშებიან: თითქო გამოლადრულნი დაეშვებიან დაბლა თქემით და ხრიალით. წითელ გველებივით გაიკლაკნება ელვები ცაზე: გადარბის გრგვინვა, თუ გადაუტყდა მუხლი, მაშინ მებია. მოსკდება ენგური, ღრუბლით უბე გავსილი, თითქო მოდენიან დათვების ჯოგს: ეშვება ზეაფი, მიდამო წივის, გუგუნებს: ფებ-ქვეშ ვერა გრძნობ მიწას.

აი ასეთი ღამე იყო მაშინ, როცა ლიგურეიმ ნახა სიზმარი.—ვითომ: გულნარას გულს რქებით სთხრიდნ ჯიხვები. მოიწყინა ლიგურეიმ.—აფის ნიშანია—იტყოდა ხშირად და მამის თვალი მდევარივით დასდევდა შვილს.

ეს იყო შარშან: იყო ბნელი ღამე, ცივი, უპირქუმო: ნამქერებს თეთრ კუმბოებივით მოასვენებდა ხევებში ქარი. უსმენდა გულნარა მღვრიე სათოფედან მთებს, ხმებში გაფრენილს.

კანკალით ელოდა მოხუც ლიგურეის.

გულნარას რომ ჰქონოდა გული მთების სისხო, მაშინ უთუოდ ხევებს ააბლავლებდა.

მოხუცა ლიგურე, თეთრი და ზვიადი, მამაა ჩემი, მშობელი უტკბესი. თქვენ ის დაიფარეთ, ხევებო ხმიანო. თქვენ ის ააშორეთ ყოველგვარ განსაცდელს.

მოხუცი ლიგურე დილით აედევნა

ჯიხვების ნახტომებს, ჯიხვების ბილიკებს,

ღმერთმა დაიფაროს, ღმერთმა დაიფაროს,

მთებო, გლოვისაგან გულნარას თვალები!

იგი ხომ ჩვილია თვეთნულდის თოვლივით!

მაგრამ ვინ მისცა ნათელას ხევის ხმა,—

მას მხოლოდ გული აქვს პატარა ზვირთივით.



ოლონდ დაიფაროს მამა ბნელ ლამისგან.
ამ გულსაც მოითხრის ჩემათ, უტკივილოდ.
ჩუ.... გულნარა შეერთა.

გარედან თოვლში მოესმა ძახილი.

— მამაა.—გაიფიქრა, თვალები გაუბრწყინდა, მოშორდა სათოფეს და,
სწრაფად გადასწია კარების ურდული.

შემოვარდნილმა ქარმა მოაყარა სახეზე ფიფქი. კარებს ნაბადში გახვეული
ორი ლანდი აეტუზა.

— ლიგურეი შინ არის?—მოესმა ხმა.

გულნარამ ხმაზე იცნო ძმად-ნაფიცი ბათულიგო.

— სტუმარი მოვიყვანე ლამის გასათევად. გზაი დაგვიღამდა, საშიშია ენ-
გურზე გასეღა.

— სტუმარი ღვთისაა, მობრძანდით! ლიგურეი შინ არ არის, ნადირობს.

მგზავრებმა ერთმანეთს გადაჰხედეს.

— მობრძანდით, ამ ქარბუქში სად წახვალთ?

შუა ცეცხლზე ატკიცინებულმა ფიჩხმა და ნოყიერი მწვადის სუნმა გახ-
სნა მღუმარება.

— რატომ დაუგვიანდა ლიგურეის?—იკითხა ბათულიგომ.

— რა ვიცი, ავდარს თუ შეაფარა თავი. ტიალი ღამეა.

— საშიშია ეხლა მთებში,—ჩაურთო სტუმარმა.

გულნარამ ღიმილით გადმოხედა.

— ლიგურეი მუხლ-მაგარია. თოვლი ვერ წააქცევს, ქარი ვერ მოლუნავს
ბილიკები იცის.

გარეთ მთა თუ გადიჩება, ცა თუ ჩამოიმხო.—საშინელი გუგუნი მოავდო
ქარმა კოშკთან მხედარივით.

შეირყა კედლები, შიგ მყოფნიც შეერთენ.

— ტიალი ღამეა!—შიშით წაიდუღუნა გულნარამ.

ჩამოვარდა სიჩუმე. სათოფედან ზუზუნებს ქარი; გულნარას ესმის ზუზუნი.

— ლიგურეის ზვავმა მოუსწრო, ცოდოა ლიგურეი, ბილიკები გაეზნა; მო-
ხუცის მუხლებს ქარი ავერანებს. აი, ავერ ის უკვე დაიღალა. მაგარია მუხა, მაგ-
რამ მაგარია ქარიც; მოლუნავს, გადატებს; მერე ხვალ გულნარას ვინ მოუალერ-

სებს, ვინ!

გულნარა მსწრაფლ, წამოდგა:

— ბათულიგო!

— რაია!

— მეშინია!—თვალეზე ცრემლი მოერიო.—მამა გვიანობს, ეგებ არ მო-
ვიდეს!

— მოვა!

— არა, არა ბათუ, თუ უჭირს რამე, თორემ გულნარას არ ალოდინებდა.

წადი, ეგებ შეგხვდეს, ეგებ უშველო. გულნარას გულში შიშია. შენ ხომ მისი
ძმია ხარ, წადი, წადი...



ბათულიგოს ხელებზე მოსკდა ცრემლი; გულნარას თვალში თუა ჩანჩქერი. ნაბადი მოიგდო, თასმები გაიკრა:

-- თქვენ მოისვენეთ ლევან, მე ზალე დავბრუნდები. ძალიან უყვარს გულნარას მამა.—დაუმატა ღიმილით და მიუბრუნდა გულნარას.

— ნუგუხალი მომეცი!

— მიკვარს. მამა ვის არ უყვარს! ყველაფერს მიჩრეენია, ყველაფერს, მთებსაც, ენკურსაც—შესძახა გულნარამ და მოახარა, ფიჩხები შეარხია, დასწვდა მსხვილ ნუგუხალს და... უცებ გაშეზდა: ნაკვერჩხალივით მწვავეე ორი თვალი იგრძნო სახეზე. იგრძნო, რომ თვალეები ჩამოაჰყვა კისერს, გულს; გულნარა უფრო მოახარა, თვალეები წარბებს ამოაპარა და უნებურად სტუმარს გაჰხედა; გაჰყვა მის თვალებს და აიღეწა.

სიჩქარისაგან ღილი გახსნოდა, ბროლივით გათლილ მკერდიდან გადმოკიდებულ მკერდს ზერავდა სტუმრის თვალეები.

ნუგუხალი ხელიდან გაუქარდა, გაიმართა და, შეშინებული, ბათულიგოს მოეხვია:

— ბათულიგო, დარჩი, ნუ წახვალ;—გაუელვა თითქო.—მაგრამ...

მამა, მამა .. ეუებ სადმე გადაიჩეხა. აჰ, როგორ იქნება!

საჩქაროდ დაავლო ხელი ნუგუხალს:

— ჩქარა, ჩქარა ბათულიგო, შენ გინაცვალე, ჩქარა!—ქრკოლამ აიტანა.

-- რა დაგეპართა, ქალო?—გაიკვირვა ბათულიგომ.—მივდ ივარ!

— მამის მეშინია, არაფერი ევენოს, ჩქარა დაბრუნდი.

გულზე თითქო გრძნობდა აბეზარ თვალებს. კარებამდე მიაცილა, მობრუნდა, თითქო სხვის სახლში იგრძნო თავი. კუთხეში ლოგინთან ჩამოჯდა. სიჩუმე.

ცეცხლი ანათებდა სტუმრის სახეს; ალი ეთამაშებოდა ოდნავ დამცინავ ღიმილს. თითქო სთელემდა. შემდეგ შეირხა. ცეცხლს შეუმატა და წაიდუღუნა:

— კარგა ქალი ჰყავს ლიგურეის, ბედნიერია!

გულნარამ ასწია თავი.

— რა გქვია?

— გულნარა.

— კარგი სახელია.

გულნარამ მხრები შეიშმუშნა და ფოლაკებს დაუწყო სრესვა.

— გიყვარს, გულნარა, მთები?

— მშობელია ჩემი.

— ქალაქი გინახავს?

— არა, ვამიგონია; იქ ცუდი ხალხი ცხოვრობს.

სტუმარს ღიმილი მოეოია:

— მეც ქალაქელი ვარ. მაშ...

გულნარას უნდოდა დაეთავებია — „ცუდი იქნებიო.“ მაგრამ გაჩერდა, პირი მოაროდა. აშინებდა სტუმრის თვალეები. ისინი ისე იტკივრობდნენ, თითქო... გაახსენდა გულნარას: აი ისე როგორც მგელი როცა ცხვარს ეპარობა.



— არ გინდა ქალაქში ცხოვრება?

— მამა?

— მამასთან.

— ლიგურეი მთებს არ მოშორდება. არც მე მინდა იქ ცხოვრება, კარგია მთებში.

— იქ უკეთესია: დიდი ქუჩები, დიდი სახლები, თამაში, მზიარულება, სიმღერა. არ მოგწყინდება.

მთებში რა მომაწყენს, მთამაც იცის თამაში. გესმის, როგორ მღერის!

— აქ ხალხი შოლსაა, ვის ესაუბრო! მარტო?

გულნარას თვალები გაუბრწყინდა:

— ვის? მთებს, ნგურს. ყოველ დღით, როცა განთიადი მყინვარივით თეთრია, მე ვებგევი მთებს, ვეაღწეები. იცი, ქედზე უშიშრად ავდივარ, ფეხი არ მომიხსლტება. ქვა არ გამიგორდება. ვუფარვარ მთებს. მესმის მათი ჩურჩული; როცა ქარი მოჰბერავს და ნაძვანარების შრიალი ეხვევა ჩემს თმება, მაშინ ვკოცნი მთებს; ტკბილია, გემრიელი. როცა მთვარეა, უნდა ნახო მაშინ ნგური! დედა ჩემი, ნანს მიმღერის: რა მომაწყენს! კლდეებს ავივლი, თითქო ცას ვებები; თუ ღრუბლები შემომხვევა, ბათულიგო მუღბნება მაშინ, „ანგლოსს ჰვევარო“. მინახავს ანგლოსიც. როს გული მოუვა, თეთრი რაშით ცაზე გადარბის მაშინ გრგვინვა და მეხი. მე არ მეშინია მისი. ბათულიგოს კი ეშინია, ხესთან არ გაჩრდვ, თორემ მოგკლავსო. მაშინ მე ვლოცულობ, რომ არ ირისხოს ანგლოსსმა; მამაც მუღბნება, რომ ვილოცო: „წმიდა ხარ ანგლოსივითო“. მთაში რა მოგაწყენს! ხალხი? დები ბერია, ძმები—უფრო მეტი. ბეჭი ყვაილია მთაში, ვიცი როდის იშლება. გინდა ხვალ გაჩვენებ, ბეჭის პირას, ქვაზე გულია ამოსულა, ისეთი პატარა, ისეთი კარგი... გულია ჰქვია, გულს არჩენს. მეშინია ქარმა არ მოგლაჯოს, ღვარმა არ წაღიკოს.

აღმური ხვევდა გულნარას სახეს. ვის უნახავს... რა! დალახეროს ეშმაკმა, რა უნდა ნახოს ადამიანმა ისეთი, რომელიც გულნარას შეადარო! ქარმა თუ გამოქნა, რამ თუ შემოსა; ვარდისფერ ტუჩებს თუ შეარხევდა, აფრენდა ღიმილს. ღიმილი ჰგავდა მოწყვეტილ ვარსკვლავს; თუ უტკერდი, გძირავდა თვალებში, თითქო გიხმობდა, გიხმობდა, სანამ არ გააკრავდა ნახტომებს მუხლებს. მაშინ გრჩებოდა თითქო სიზმარი, მრეოლი და უცნაური. ლაპარაკობდა გულნარა: როგო! რით! არ ვიცი: ყელი თუ ჰქონდა კლდიდან მოსხლუტულ ჩანჩქურის. უსმეს ღვეან: ყურთან თითქო ბუქჩი შრიალებს. ლაპარაკობდა გულნარა: ბავედან ცხელი პეპლები სკვია. პეპლები ეხვევიან ღვეანის სახეს და სწვავენ. პეპლებს ვადმოაქვთ გულნარას ტუჩები.

გარეთ ქარი ზუის. გარეთ ხევი ღმუის ღვეანის გულშიც გაჩნდა ხევი. ღვეანის გულშიც გაჩნდა ქარი. დასცა ნადირმა ტორი და აბულრავდა. შრიალებს, შრიალებს გულნარას ტუჩები. ღვეანს ესმის შრიალი. ღვეანს ესმის გულნარას სხული.

გულნარა კი აშენებს მთებს, ხრამებს, შლის ბალახებს, ყვაილებს; ჩამოჰყავს ცა, ეხვევა ღრუბლებში...



ქართული
საბჭოთაო

და ჰგონია ლევანს: ქარი იტაცებს გულნარას თავშალს, ქარი ჰხვეს მის სამოსს. ლევანმა თვალები დაკეცა, თითქო არ სურს უცქიროს საკუთარ გულს ცემას.

ღრუბლებს მიჰყავთ გულნარა, სულ ზევით, სულ ზევით... წამოდგა: ხელები შუბლზე აფარდალდა: შუბლი ცხელია. ნესტოები ქშინავეს: რა ქნას!

— დაილაღეთ? მოისვენეთ ზევით;—ესმის ლევანს.
ჩქარა, ჩქარა თორემ ღრმია ხევი; რა ამოავსებს! გარეთ ქარი ზუზუნებს. ენგური ღმუის. ცივა. აქ კი ცხელა, ფრჩხილიც რა არის, ისიც კი თრთოლავს. ნაბიჯები მიათრევენ ლევანს კიბეებზე. სათოფედან უბერავს ქარი. აგრილებს შუბლს, სახეს.

გულს რა ეშველება, ის ხომ შიგნით არის მიმალული! ქარი მას ვერ სწვდება. იქ ისევ ცხელა.

ლოგინზე ღრმიათ ამოისუნთქა.

— დაიჯერე, დაიჯერე! ლიგურეი შინ არ არის.—თითქო ქარი ჰკივის.

— არც მოვა, არც მოვა!—ეხმაურება ხევი:

გულნარა მარტოა; გულნარა მზის თვალია; გულნარა შვილია უგეში ენგურის; გულნარა სავსეა, როგორც თავთაველა; გულნარა ხორცია და ხორცის გუგუნია. გულნარას მშობელმა მოწყენა არ იცის, კოშკში მზედარია და თემის სახატე. კლდიდან გაგორდება გულნარას სიცილი და, თითქო ჯიბეების კვალი, გადნობტება...

ესმის ლევანს; ესმის და შფოთავს. მის ფიქრებს აეტუხა გულნარას სახე. დაიღალა ნადირი, ტორით ებღაუჭება საგულეს, ჩაჯდა, რომ უკანასკნელი ნახტომი დასცეს მსხვერპლს.

ქარების კრიკინს გადაჰყვა ლანდი. სუნთქვა მოგუდული, აცეცებს თვალებს:

— რას ეძებ რას!

— გულნარას.—ზრიალებენ კედლები.

ქრაქი აანთო. მბეჭუტავი სინათლე გველივით გაიკლაქნა, გადაცურდა და მოეხვია კუთხეში საწოლს.

სძინავეს გულნარას, და ძილში ანგელოსს ევედრება მამის მშვიდობით დაბრუნებას. ნაბიჯ-აკრეფილი გაჰყვა ჩრდილს: სისხლი ასკდება საფეთქელს; გულში ენგური თუ მოუშვეს;

მოგლიჯა საბანი... თვალებში მეხი თუ გატყდა... დაბნელდა; ნადირი ატორტმანადა.

როგორ უყვარს ლიგურეის ქალი გულნარა?

როგორც მთებს მრისხანება;

როგორც ლაევარდ ცას მნათობი.

სძინავესგულნარას, დაუფრთხა ძილი. ხედავს—ლიგურეის გულს ჯიბეები ხრას ვენ რქებით. შეირხა: მფარველო ანგელოსო! ლიგურეის გულს კი არა, მის გულს სთხრიან...



წამოიწია: ვილაცას მკლავები შემოეხვია. ანთებულ ცასავით გადაეკრა სუნთქვა. გულზე რაღაც ტკივილი იგრძნო. ფართოდ გახელილ თვალებში სტუმრის სახე ჩაიძირა.

— შენ ძმა... შე დ...ა.— გაიხრიალა ხმამ.

მკლავები უფრო მოეხვია; ცხელი, ცეცხლზე უფრო მწვავე ტუჩები დაეცა მის გულს. მოიკეცა გულნარა, გაიბრძოლა; ამაოდ. უფრო და უფრო გაილორწა მისი გული.

— ძამიკო, ნუ... ლი... გ... უ... რეი...— ღამურასავით გაიფართხალა უკანასკნელად ხმამ.

სისხლი ადუღდა, აჭროლდა; სხეულში თბილმა ეროლოამ გადაიბრინა; ჯერ უჩვევმა, ჯერ უცნობმა, მაგრამ მთებზე უფრო ტკბილმა, უფრო გემრიელმა.

გულნარა მოეშვა.

ცაზე გადარბოდნენ შავი ღრუბლები; ვინ იცის საით, ეგებ მოხუც ლიგურესთან.

— ჰაუ გულნარაე!— მოადგა ლიგურეი კოშკის კარებს.

მოხუცო, რას გრძნობს მშობლის გული? ხედავ! შენმა ხმამ უკბინა გულნარას. რომ გრძნობდე, როგორი სევდით მოადგა ურდულს.

რა არას მის გულში! რა უნდა იყოს!

არაფერი ლიგურეი, არაფერი. იქ, კლდესთან გულია ბალახი მოგლიჯა ღვარმა, აქ გულნარასაც გული მოჰგლიჯეს!

რა გიბარია, მოხუცო, მაგ ჯიხვს არ მიუაღერსებს გულნარა, არც შენ... ნელა მოსწია კარების ურდული.

გულნარა, რა ჯიხვი მოგიტანე! მომეშველე!

პასუხი არავენ გასცა.

— გულნარაე!

ცეცხლი გააჩალა. თვალებმა გამოსწვა ჩრდილი კუთხეში, თითქო ზუის, თითქო ილევა.


შეკრთა ლიგურეი, გული და ხმა ერთმანეთში აირია.— შეილო, რა დაგემართა!

ჩამოხვეული, გულზე სისხლის წვეთები. ცახცახებს. თვალებში ზღვა და დაღუპული სიწმინდე მთების.

— გულნარა გულია თემის.— ასე ფიქრობს ლიგურეი.— თემის გულს რა მოადუნებს!

— შეილო!

გულნარა ხმას აჰყვა, ატორტმანდა.— სსსსსს; სტუმარობს, აინთო მოხუცი; სიშმაგემ გაშალა სახის ნაოკები; ჯიხვი ვერ დაარტყამს ნახტომს უფრო მოკრილს, როგორც ლიგურეი, მეხი ვერ გაჰკრავს ცაზე ელვარებას, როგორც ლიგურეის თვალები; ვეფხს უფრო მოსტაცებ შეილოს, აურევ ბუნავს, ვიდრე ლიგურეის; გულნარამ იცის ეს;





ქართული
საბავშვო ჟურნალი

ამიტომ მისი გული უბნო და მკედარია. აპრიჯინდა კიბეები, თითქო ემძიმება მოხუცის რისხვის გადატარება.

სძინავს ლევანს; ტბილია ძილი.—ვაიმე, ვაიმე, ქალო გულნარა!—ხრიალებს ქარი.

— ავისრულდა, ლიგურეი, სიზმარი, მოსთხარეს გული შენს გულნარას! იელვა თვალებმა, იელვა მახვილმა. რკინა ცოტა! რომ შეიძლებოდეს, მთელი სხეულით დაესობა ლიგურეი ხავსით შემოსილ კოშკის სიწმინდის დაღრღვევს. დაფატრავს, დაღრღნის, წარბსაც არ შეიხრის. სისხლი ეპახის, სისხლი!

რა უფრო ბასრია, ლიგურეის თვალები თუ მახვილი? ორივე, ორივე... სძინავს ლევანს. ნელ-ნელა უახლოვდება სიკვდილი. აი უკვე მოხუცის სუნთქვა დაეცა სახეზე. ტუჩები თითქო ჩურჩულდეს:

— სად წაიღე გულნარას გული, სად?! მომეცი. მე მაშა ვარ მისი, გესმის, არა?... მაშ მე თვით ამოვიღებ... შენ ქურდი ხარ, ქურდულადვე უნდა მოგეღოს ბოლო ..

მოხუცი ერთბაშად გაიშართა, მკლავი მოიქნია.. და... უკებ შესდგა! გაინაბა. შიშით მოაელო თვალი კედლებს და სახეზე სიფითრემ გადაურბინა.

რამ შეგაკრთო? ირისხე, ირისხე ზეიადო მოხუციო! რამ მოგადუნა, რას უსმენ!

— სტუმარი ღვთისაა!—გაიშრილა სათოფეში ქარმა.

— სტუმარი ღვთისაა!—ეხმაურებიან კედლებიც.

მოიხარა ლიგურეი, გავარდა მახვილი. ტუჩებმა ოღნავ წაიბარბაცეს:

— სტუმარი ღვთისაა!

პირქვე დაემხო, აქვითინდა. გულ-დაღეული, ჩამოჰყვა კიბეებს:

— გულნარა!—სიჩუმე.

— გულნარა, შეილო!—იბღავლა ლიგურეიმ. დაგუბებული ბოლმა ამოსკდა.

არ არის გულნარა; კარები ღიაა, ქარს შემოაქვს ფიფქები; იქვე თოვლზე ამჩნვია შიშველ ფეხების ნაკვალევი.

სად გარბინარ, ლიგურეი? გულნარა ენგურის ნაპირებს ევლება, არა მთვარის სააღერსოდ, არც ქაფიან ზვირთთა საცქერად.

ჩვილ გულნარას თქვენ გაბარებთ, ზვირთებო! აქვენ მთებო, მოუარეთ, მოახვიეთ დედუნის წქნარი, შენ კი, გრივალო, შემოაჯექ ზვირთების ფაფარს, ვასწი, გარეკე ეგ ღმუილი ხევიდან ხევში! მოჰყარე მოთქმა!

დაიღალა მოხუცი. მოიარა ნაპირები,—ამაოთ.

ჩაიკეცა კლდესთან თოვლში, სადაც გულნარა აქრობდა ლაქეს და უკანასკნელად კიდევ გადაჰბღავლა ენგურს:

— ჰაუ!.. ჰაუ, გულნარა! მთების შევლო! დაგკოდეს, გულო! ბარემ გრივალეით იღმუვლე ეხლა!

შორს, შორს ხევებში გადასჩუხა მშობლის ზუზუნი ქარმა.

ბათულიგოს ეპოვნა მოხუცი.

ქარს ვერ მოვლუნა... კლდეს ვერ მოვსხლიტა.
 ვგებ სჯობდა ორივე, ვინ იცის.

შეშლილივით დადიოდა მოხუცი მთებში.
 როს ქარი ჰქროდა და ენგური, უბე-გავსილი, აპობდა ნაპირს, გადადგე-
 ბოდა კლდიდან და გასძახოდა ფრთა-აშლილ ზვირთებს:

— ჰაუ! ჰაუ, გულნარაო,
 მთების შეელო!
 სევდამ დამასამარაო
 უშენობით...

მამა-შენი ლიგურეო
 გიხმობს, გიხმობს:
 თვალ-ეუყუნავ, ენგურშიო
 ვინ ჩაგიხმო!

შეილო, გლოვობს შენზედაო
 მთელი თემი,
 წუხელ თურმე გეძებდაო
 შენი მთები.

ჰაუ! ჰაუ, გულნარაო,
 ჩემო შეელო!
 სევდამ დამასამარაო
 უშენობით.

როგორ მოხვდა ლევან ჩვენში?

თემმა სთხოვა ქალაქს კოოპერატივის გახსნა. ქალაქიდან ლევან დანიშ-
 ნეს. ბათულიგო გამყალიბა. იმ წყველ ლამეს წამოაპოლოდა ლევანს. ჩვენს თემ-
 თან აედარს მოესწრო:

თემის ყბა დიდია,—მთებივით დიდი და ხშიანი. დილით სოფელმა იცო-
 და ყოველივე. ზუოდა თემი; ზუოდა ბათულიგო.

იმ მთას ხომ ხედავ, იგი შორს არის ბარიდან. ბარი სუვა არის; გრიგა-
 ლი იოლათ გადაიარს, მალე გ. მოიღარებს. იოლია იქ თესვა, მალე მოდის.
 სილიანი და ნოყიერია ბარი, ახალი მცენარეც მალე ხარობს.

მთა ქვაბ, მწირია. ღრმათაა საჭირო მისი მოთხრა. ცივია მთა, ბევრი
 სითბო უნდა. დიდია მთა, ღრმათ უნდა ვაიდვას მცენარე მესვეები, თორემ
 ისე რა გამოვა! გულია ბალახიც ამოვიდა, მაგრამ ლვარმა მოაკლიჯა.

მთის გული დიდია, დიდი ფესვები აქვს. თქვენ გინდათ მთის გული შეს-
 ცვალოთ? უკეთესიც რომ ჩაურგათ,—თუ არ შეაჩვიეთ,—თუნდ ყველა ფესო
 ერთად მოათხრეთ, მაინც ვერ აიტანს! მოკვდება გული. შეჩვევა საჭირო; მთა
 შორსაა, მაღალია; ბარიდან წამოსული ღრუბელი გზაში იცვლება, შექდება.

გზაში ხეებია, გორები. არ უნდა დაჩაგროს მთა, ჩვენც გვინდა ბარის
 ღრუბელი. გზები უნდა შეკეთდეს.

ბარი და მთა მძებია. ეტკინა თემს გულნარას სიკედილი. ჰგმობდა ლე-
 ვანს. გაურბოდენ კოოპერატივს, ლევანის სახელით აფრთხობდენ ბავშვებს.
 დიდია თემის ყბა, თუ უმადურობამ შემოსა იგი.



— ნამდვილი მხეცი! — ისროლა კარებისკენ გესლით „ქენინა“ მაგდამ და მიუბრუნდა ლევანს: — ვინ არის?

ლევანმა გაიოიმა:

— ძველი ამბავია, აი მეწისქვილის ქალის შესახებ: მისი ძმად ნაფიცია.

— მე მესმოდა ხმა-მაღალი საუბარი!

— როშაედა, მემუჭრებოდა თითქო: თემიდან გადადი, მოშორდი ამ სოფელს, თორემ გაენებთო: „ოჯახს ნამუსი ახადე, თემს გული გაუბახეო“. ასეთ სისულელეებს მოჰყვა. ჩვენ ბეუები თუ ვკონივართ, არა მაკადა? — ხელი მოხვია და ქალის დაზვავებულ მერქლებს მუჭტრის თვალი მიუვლო.

— უცნაური ხალხია; შენც ცოტა ფრთხილად იყავ, ლევან. გაუთლელი, მუყიკები არიან, არაფერი გაენონ. გავიდა ის დრო, როცა ასეთები გაგდიოდა ეხლა სხვა დროა, შენ, გენდობიან, დრომდე ისარგებლე, ამ ნდობით და მერე..

მართლაც მთელ ქვეყანას მუყიკების ხელში ხომ არ დასტოვებენ!

ლევანი გაიჭიროდა მიშავალ ბათულივას:

— როგორ ვიფიქრებდი, თავს დაიბრძობდა! რომ გახშიანდეს, არ არის კარგი. — თითქო თავისთვის წაილაპარაკა.

— არა უშვავს-რა, შენ ოღონდ ხეალისთვის ყოველივე კარგად მოამზადე: სტუმრები ბლომათ იქნებიან. და მერე.. სულ აქაური ხელისუფლება, — გააგო-ძელა ღიმილით ლევანმა და, კმაყოფილი, მოუჯდა მაგიდას.

სალამო: მთვარე, ცა მოკაშკაშე იქნევედა ნიავს. შორს დაფენილმა ქედმა მაღალი ნაბიჯები გადმოჰქიდა.

როს შუალამის მთვარემ ღრუბლების ჩვარი მოიხსნა შუბლიდან, კაცმა ბილიკებს გადაუხვია და პატარა ბრეკები გაიგდო წინ, თითქო ნგზავრებს ერი-დებდა, თითქო გული აქვს დაჭრილ შევლივით მთრთოლუარე. ხშირად შესდგებდა და ბრეკებს შორის მარჯვე ნახტომებს ექებს.

უქანასკნელი ნაბიჯი დაეცა და გულიც დადგა: მაშინ თითები უფრო მაგრად მოეხვია ბერდანის კონდახს. ეს მოხდა ღობესთან.

განაეხებულ ფანჯრებიდან მოსჩანდა მზიარული სახეები, ისმოდა სიცილი, სამღერა. იქ კი, ღობესთან ატრუული გული თრთოდა:

— ლევანს ვაუბარჯოს, ლევანს! — მოისმა სახლიდან ხრინწიანი ხმა. აპყვა სამღერა. ღობესთან მდგომი შეკრთა: სიცივემ თუ აიტანა, ისე შეეკრეოლა. ფეხი თუ მოუსლამტა, ისე დაჰკრა ნაბიჯი წინ. ვაინაბა. თვალებს ჩრდილი წა-მოახურა, ძლიერ ელავს, ცუღთია ასეთ დროს... გული მოგუდა, ძლიერ ღელავს: ცუღთია ისიც. კინქრები ფრთხილად გადასწია, ღობეს გადაეყრდნო.

— ლევან! — გასკრა სიბნელე. — ლევან!

— რომელი ხარ? მობრძანდი! — მოისმა სახლიდან.

შეზარბოშებული ლევან, ღამფით ხელში, ჩამოჰყვა კიბეებს.

— აქეთ მოიწიე, ქალაქიდან ვარ...

ლევანმა ღამფა ხმისკენ გაიშვირა:

— შენ... რა გინ...

— დათავება ველარ მოასწრო, იგრილა თოფმა. სადათვე ტყვიით გულ-გაგლეჯილი ლევანი იქვე დაემხო.

— ბათულივო ვარ, გულნარას ძმად-ნაფიცო! — გაიჩხაველა სიბნელემ და გაჰქრა.

წამოიშალენ სტუმრები.

აზუზუნდა ძაღლი.

მხოლოდ ის თუ იყო გულშემატკივარი.

დარღვეული მიწა

მოთხრობა.

პირველი სიმშვიდენიკა.

გოგო თებრო! რათა ხარ ეგრეთი დამყენებელი თვალისა?

— ნუ თუ განგებამ თავისი სიკეთის კალთა მხოლოდ შენს გაჩენაზე დაიბერტყა?

როგორ გაიზარდე ეგრე ლალი და ატეხილის ხასიათისა?

— ჯეირნის მწვადით ხომ არ იკვებებოდი მთელ სიცოცხლეში?

რათა ხარ ეგეთი უკარა, კოხტა და ფრთხილი?

— შელის ნუკრებში ხომ არ ატარებდი მთელ დღეებს შენი ბავშობისას?

შენი ტანი რათ არის გასაოცრათ თეთრი და მკვრივი?

— კლდეებით გადარეულ თერგის წყალში ხომ არ ბანაობდი წლით-წლობამდის?

შენი მკერდის დანახვაზეც ბევრი რამ ითქმის ვაჟკაცის პირით! მაგრამ ამაზე ჩუმათ ფიქრი სჯობია ხმა მალლა ლალადს.

მხოლოდ გვითხარი! ალების ხელით დასაწნავი შავ-ყურჭა თმები ვინ დაგაყარა კულულებათ ტოროლა თავზე?

— სილამაზის ცეცხლზე დამდნარი გიშრით ხომ არ იბანდი დილა-საღამოს?

ან ყორნის ფრთები წამწამებათ ვინ ჩავიმწკრივა?

ან ეგ წარბები ყაყაჩოს გულით ვინ დაგიკალმა?

თუ ამაზედ ვერ ველირსებით პასუხს, მაშინ ის მიინც გვითხარი:

ეგ შენი ხმა რათ არის ვერცხლის ზარივით სუფთა და წკრილა?

— მუდამ მთებში ჩამოვარდნილ ბროლის ჩანჩქერს ხომ არ ეწაფებოდი წყურვილის მოსაკვლავათ?

აფსუსი არ არის, შენ რომ დედოფლად არა ხარ სადმე ქვეყნის საამაყოთ!

მაგრამ არა! ამომავალ მზეს ვინ წაართმევს ბრწყინვალეებას თუნდ უდაბ-

ნოშიც!

შენ განგებამ ბროლოსნის სოფელში გადმოგავდო ნატვრის თვალივით და ქვეყნის ფასიც აქ უნდა გედოს!

ნეტავ შეიძლებოდეს, ხმა-მაღლა შევეყითხო ბედის-საწერელს— ეგებ ჩურ-ჩულთი მაინც მითხრას—რა მოგელის ამ ცხოვრებაში?

თავათ აწყვეტილი.

მაგრამ ყაჩაღ ფირალას ბედიც უცნაურია.

ვინ ავალებდა, გინდა თუ არა მოსწყდო ხალხს და შეიქმენი ამ ქვეყნი-დან დევნილიო?

მაგრამ როგორ ჩაიხედოს ერთმა კაცმა მეორის გულში!

განა ისე ადვილია სხვისი სიგიჟის ახსნა და გაგება!

მაშ ისევ ფირალას ვათქმევინოთ თავისი პირით—რათ აიწყვიტა ცხოვრების საბმურიდინ? რათ გადიქვა თვითონ დევნილათ და ქვეყანა კი—იმის მდევნელათ?

მაშ ყური დაეუგდოთ!

შუალამე გადასულა.

ალიზის ქოხში ყველაფერი სმენათ არის გადაქცეული.

ბუხარში ცეცხლი ქვესკნელიდან ამოვარდნადი ნაკადივით ლივლივებს წითლად.

მის წინ კარგი ხშიადივით იფიცებებიან თებრო და ფირალა.

როგორ გაიცნო ამ ყაჩაღმა ეს ოჯახის გვრიტი?

რანაირად მიუხტა ეს ვეფხვი ამ შვლის ნუკრს და ერთხელაც არა ჰგვრის კრუანტელს შიშისას?

ეჰ! ვინ ასწერს ამას სიტყვა-სიტყვით!

მრავალია დაკლავნილი გზები სიყვარულისა და ყველა მათგანი უცნაური ტკივილებითა და სიხარულით არის გაკაფული სასურველ გულამდის.

ასე უჩინ-მაჩინათ იბადება სიყვარულის ყრმობა, რომლის დავაგაკაცებულ სახეს აგერ აქაც ვხედავთ, ბუხრის წინ—თებროსი და ფირალას სახით.

თებრომ თეთრათ გაფითქინებულ თავშლის შეხსნილი ყურები მხრებზე გადიყარა, თავის ყარყარა ყელი ცეცხლის შუქზე უფრო მწველათ ააელვარა.

ვაეს დაავიწყა ყველაფერი. ერთად ერთ ნატვრათ გაუხადა—ქიგოსავით შემოხვეწა ამ ბროლის სვეტზე.

ცეცხლზედ შეფიცებულნი მკლავები, ბროწეულის წვენიში გავლებულ მოქნილ კელაპტრებს რომ აგონებენ, ვაჟის მხრებზე გასდო ჯადოსნურ ხიდივით და გკითხება:

— მითხარი ფირალ, რათა ხარ ყაჩაღი? რათ შემოსწყერი ხალხურ ცხოვრებას? ვინ რა დავიშაეა?

— გინდა გაიგო, ჩემო გვრიტო, რათა ვარ ყაჩაღი?—ნამდვილათ არც მე ვიცი!



„რათ ესწოვდი დედის ძუძუს—დავიბადე თუ აუა? რათ ავიდგი ფეხი დე-
დამიწაზე სასიარულოთ ჩემ ბავშვობისას? განა მესმოდა ამის ფასი და საჭი-
როება!

— არა ფირალ! დედის გვამიდან ხომ არ დაგყოლია ყაჩაღობა? ალბათ
რალაცამ გაგიტყუა, რალაცამ შეგაცდინა...

ფირალამ ორი გიშრის ისარი მწველათ ჩააშტერა ორ ყორნის საბუღარს
და თავის ყრუთ დაგუბებულ გრძნობებს თუ აზრებსაც—მოხსნა სათავე.

— ემ, გოგონი! ახლაგახრდა კაცის ბედის ჩარხი როვორ ტრიალებს, არც
თვითონ იცის. მქონდა ჯანი, თავებდობა, გამბედაობა და მეც გავედი ყაჩაღათ.
ერთხელ დაებადებულვარ, ერთხელ ვქელავ ამ დედამიწას. ცოტა ხნს მაინც
მინდა—ვიყო თავნება, შეუპოვარი. პატარა ვარ, მაგრამ მაინც ვერ დავეტე
ამ ცხოვრებაში. ეტყობა ჩემთვის ვერ ყოფილა დაწერილი იმის კანონი და—
მეც ავჯანყდი.

„ვატყაყური ეშხი ჩემში—ისევე შეუბოროკავთ მოარღვევს არეს, როგორც
გაზაფხულის ნიაღვარი. მაგრამ მე ყველაფერი მ მიძიებებს ამ ქვეყანაზე: კანონი,
მუშაობა, ხალხი. მე მენატრება ქეიფი, დ რდიმანდობა და სიხარული. როდის-
და უნდა მოვესწრო ყველაფერ ამას, თუ არ ჩემს ჯეელობაში, როცა მთელი
ძალ-ლონე სდულს და გადმოსდულს. მე არ შემიძლია ავიტანო ტანჯვა, სილატა-
კე, დამცირება, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემ შვილი-შვილებს ანდერძათ დავუ-
ტოვო განცხრომითა და ფუფუნებით დროს ვატარება.

„მე რომ ასეთი მადა მაქვს და თანაც შეუბოროკავი ხასიათი, ეს არც ჩე-
მი ბრალია და არც ქვეყნისა. მაგრამ მე თავი მხრებზე მამია, მკლავებშიც სი-
სხლი სჩქეფს! მაქვს თავებდობა და სიამაყე! მე პატარა კაცი, ჩემი პატარა სი-
ცოცხლით ვერ დავუტდი ქვეყნის სამოთხედ გადაქცევას! მეც მინდა ვაგემო რა-
მე ამ წუთისოფლისა! და რასაც ნებითა და სამართალით ვერ მივიღებ, იმას
ძალით წავიღებ!

„მე მინდა დავსტკებ ჩემი ვატყაყური ძალ-ლონით, ჩემის გამბედაობით,
ჩემის გავარდნით! მე ისიც შეყოფა ეხლა საამაყოთ, რომ მთელი ქალაქი ჩემ-
ზედ ლაპარაკობს.

— დაილლები ფირალ! ჩქარა დაილლები!

— თუ დავილლები, დაე მაშ დავეცე კიდევ! მაგრამ სანამ პირში სული
მიდგია ხომ ჩემ-ნება ვიქნები! ასე მინდა ვითარეშო ყაჩაღურათ, ავაზაკურათ!
ზოგი მოვკლა, ზოგს წაეართეა, ზოგს შიშის ზარა ვსცემდე ისე, ტყუილათ! გა-
ნა ეს არაფრათ არა ღირს მთელ სიცოცხლემში?

— კოკა წყალზე გატყდებო, ისიც რო უთქვამთ!

— ბაშუსტა! მაშ ჯილას ხომ არ დამადგამენ და გუნდრუკის კმევას არ
დამიწყებენ ყაჩაღობისათვის!

— ხალხში ხმა დადის, ვითომ შენ ბოლშევიკი იყვე. პოო, ფირალ?

— არა მე ბოლშევიკი სრულიადაც არა ვარ. მაგრამ ისე კი ვებმარები
ყოველთვის ფულით, ან ამხანაგების განთავისუფლებით ან რატომაც არ უნდა
დავემარო! დღეს ისინიც ჩემსავით დევნილები არიან და ერთ ტაფაში ვიწვით-



— სწორე თქვი, უდანაშაულოთ მოგიკლავს ვინმე?
— რა ვიცი! მე ყველა უდანაშაულო მგონია ამ ქვეყანაზე. ან ყველა დამ-
ნაშავით მერჩვენება.

„მე მყვანან ყარაჩოღელი ძმა-ბიჭები, ანგლები და თავზედ ხელაღებულე-
ბი, ვისთანაც მიყვარს დარდიმანდულათ დროს გატარება. და როცა ფული არა
მაქვს საამისოთ, მაშ რა ვქნა, რომ არ წავეართვა ვისმეს?“

„მე მიყვარს შახიანათ გაელა-გამოელა თავემომწონე ახალგაზრდებში! და
როცა საკუთარი არაფერი მახადია, მაშ რა ვქნა, რომ არ წავგლიჯო ვისმეს?“
— მე რომ შეგხვედროდი შუა გზაში და არ გცნობოდი, ხომ გამძარცვა-
ვდი მეც, ჰა, ფირალ?

—...გამძარცვავდი, გენაცვალე მაგ ქოჩორა თავში და შენ თვითონაც
მოგიტაცებდი!

— თუ უდანაშაულოთ დაგისჯია ვინმე, ვინ იცის, მისი პატრონის წყვეა
სად მოგეწიოს.

— დაე მომეწიოს უალაგო ალაგას, ორ-ლობეში, გზასა და გზას შუა, ძი-
ლის დროს, ქეიფის დროს, აღგზნებულ მკლავების ხვევნის დროს... ეჰ, თებ-
რო, ჩემო თებრო! მე ეხლა ბედს ვეთამაშები, ბედსა! და თუ ამ თამაშობის
დროს კისერსაც მოვიტყებ, მერე რა? ცხოვრების რომელიმე მეზღაპრე ჩემს შე-
მდეგაც, ერთს მომებრებით ჩაიქნევს ხელს და იტყვის: „იყო და არა იყო რა!“

პუღრო კარა.

ეზოში ძალღის ყეფა გაისმა.

თებრო წამოხტა ერთბაშად.

(სწორეთ იმას უნდა ჰგავდეს ბუნაგიდან წამომხტარი, დამფრთხალი
შვილი.)

მან გააღო კარი და შესძახა:

— ვინ არის მანდა?

— მე ვარ შვილო, ნუ გეშინია!

თებრო გულდამშვიდებით შემოტრიალდა:

— მამაჩემი დაბრუნდა ტყიდან!

ფირალა ისევ იჯდა ბუხრის გვერდზე. ფეხიც არ მოუცვლია. მხოლოდ
მარჯვენა ხელი თეძოზედ ჰქონდა მზად გაკრული მაუზერის ტართან. ეს ისე...
ყოველ შემთხვევისათვის.

— ფირალ, შენ ხომ პური გეშეგება?

— იცოცხლე, რო უარს არ ვიტყოდი ერთ კარგათ შეკმახულ ლობიოზე!

— ლობიოზე უკეთესი ეგებ სხვა რამეც გამომჩნდეს ჩვენ თარო კედელში.

— ვენაცვალე შენს ბარაქას! არც მაგაზე ვიტყვი უარს!

— მაშ მამაც მოვა და—ერთად! აგერ მოხმარობს კიდევ.

შიოც შემოვიდა.

— გამარჯობა კაცო!

— გაგიმარჯოს შიო-ჯან!

— პა, თქვე, თქვე! გამიფულეთ განა მოხუცი კაცი ტყეში და გემოზე ეხუ-
ხებით აქ ლაზათიან ცეცხლსა!...

— შენ ცილს ნუ გვწამებ მამა! ფირალა მხოლოდ ეხლა ხან მოვიდა. სულ
ერთი ფეხით მოვასწრო.

— ვიცი, ვიცი, თქვე ეშმაკებო! განა საძრახისათ გეუბნებით!

თებდო კეკლუცათ ტრიალებს თაროსთან და განგებათ კიდევაც იფერებს
მამის იკვიან ხუმრობას. ფირალი კი გულუბრყვილოთ ეფიცება:

— ჩემმა მზემ, ტრედებიც არ ისხდებოდენ ისე მშვიდათ, როგორც ჩვენ
ამ ცეცხლის პირას. ან შენ ქალს ეგრე ცულლუტათა სცნობ განა?

— რა ვიციოთ! კაცნი ვართ, ჩემო ფირალ!... აბა, გენაცვალე, თებრო ერთ-
თი დაპროწილდი შენებურათა! ისე მშია—ზამთრის მგელივითა! შეჭამადიც
ვიდგია?

— დომხლისა, დომხლისა, მამა!

— ჰო, გენაცვ ლე მოფიქრებაში!

თებრომ ცეცხლის პირათვე გაშალა ორათ შეკეცილი ლურჯი სუფრა.
მამისა და ფირალს მადის გასახარათ რამდენიმე ხეული ქადაც გადმოალაგა.

— ყველაფერია, ყველაფერი! მა რა გგონიათ!

შიომ კმაყოფილებით გადისვა ხელი გრძელ ქალარა უღვაშებზე...

— მარიფათიანი გოგო მყავს, მარიფათიანი! მთელ ამ მაზრაში მაგის ბა-
დალს სხვას ვერა ნახავ!

ფირალამ ქორის თვალეზი გადააელო ციბრუტივით მოტრიალე თებროს,
რომ შეამოწმოს შიოს სიტყები. მაგრამ რალათ უნდა შემოწმება! თებ-
როს ბადალი ამ მაზრაში კი არა—მთელ დუნიაზეც არ მოიპოება.

ყველამ გემოზე წაივებშმეს და ფირალაც გაემზადა წასასვლელათ.

— შიო! როგორა გყავს ი, წაბლა ხარი?

— ეჰ, დაეცა ბიჭო! ველარ უწევს ტოლობას, თავის მეფულესა.

ფირალამ ერთი ბლუჯა ქალალდები ჩაუდო შიოს ხელში.

— ჰა, იყიდე სხვაი! მაგრამ ჯოგში გამოსარჩევი რამე კი იყვეს!

— აგაშენოს ღმერთმა, ჩემო ფირალ! ეჰ, აფსუსი არ არი, შენისთანა კა-
ცი რო ქვეყნიდან და ხალხიდან გარიყული დადიოდეს!

— ეს ჩემი ნებაა, შიო! მე როგორც მინდა—სწორედ ისე დავდივარ!

— ეჰ, შვილო! ღმერთმა შენი სიმართლითა და ვაჟკაცობით გიშველოს!
ხოლოთ ე გოგო კი არ დამილუპო უბრალოთა! ქვეყანაზე მაგითილა მომწონს
თავი!

— შიო! ჯერ დედამიწის დანგრევა იფიქრე და მერე ჩემგან—ეგეთი რა-
მე ვერაგობა!

— ღმერთმა სიკეთე გაფიქრებინოს შვილო, რა ვიცი!

ფირალა გამოემშვიდობა შიოს და გავიდა გარეთ. თებროც თან გაჰყვა.
ირგვლივ ბნელა, როგორც დამნაშავის გულში. ყველაფერი შავათ მოსჩანს გა-
მოშრკეველი აჩრდილივით.

გალაენის კარამდის მიაცილა თებრომ ფირალი.
უეცრივ გზის პირათ რალაცა ღანდმა გაიარა სწრაფი ნაბიჯით.

— რა იყო?

— ვინ იყო?

ფირალამ შიში არ იცის, ისე კი ფრთხალია—ღამით გუნდის სადარაჯოზე მდგომ წეროსავით.

თებროს ელვასავით გაჰკრა გულში უცნაურმა იქვმა:

— ის ხომ არ იყო?

და ამ ფიქრთან ერთად მთელ ტანში იგრძნო ცივი ქრუანტელი.

— ფირალ, გენაცვა! თავს გაუფრთხილდი! ფხიზლათ იარე!

— შენ როგორღაც შეშინდი, ჩემო გოგონი!

— მე მხოლოდ შენზე ვფიქრობ.

— შენი ფიქრის მეჭი არც მინდა სხვა რამე—ჩემ მფარველ ანგელოზათ!

— მშვიდობით, ჩემო საუნჯე!

— მშვიდობით, გვრიტო!

და ორი ბაგე ერთმანეთს დაეწაფა. ორი ცეცხლი ერთმანეთს წაეკიდა. შემდეგ განშორდნენ რალაცა სინანულით, რალაცა ნატვრით...

თებრო—სახლის კედელზე უჩინრათ გაკრული კარგა ხანს მისჩერებოდა ჩაბნელებულ გზის პირს. არ ასვენებდა ამოცანა იმ პირ-ჭუში აჩრდილისა.

ფირალა კი როგორც კაი ფრთხილი ნადირი—ისე მიიკვლევს გზას მინდვრებზე და ჩირგვებ შორის—კლდის მონასტრისკენ.

გული გაიზარა.

მეორე დღეს კომისარმა კოწიამ ორი მილიციელის თანხლებით შიოს ლაბეს ჩამოუარა.

მილიციელები გზის პირზე დააყენა, თვითონ კი პირდაპირ სახლისკენ გასწია.

— სტუმარი არა გნებავთ?

დააკაუნა კარი.

— სტუმარი ლეთისაა! მობრძანდით გეთაყვა!

გამოეხმაურა თებრო და კარიც გამოაღო.

— უდროვო დროს ხომ არ მოვსულვარ?

გადაკვრით შეეკითხა კოწია.

თებროს კომისარის დანახვაზე გული გადაუტანდა, მაგრამ გარეგნულათ არაფერი შეიმჩნია.

— მობრძანდით გეთაყვა! ალბათ საქმე გექნებათ რამე?

— საქმე კი მაქვს ცოტაოდენი.

კოწია შევიდა სახლში, დაკვირვებით მიმოავლო თვალი იქაურობას და მერე თვალგაუტეხელათ მიაჩერდა თებროს.

— მამაშენი სად არის, თებრო?

— წისკვილში გაიარა. საფუძვავი უნდა მიაკითხოს.

— მით უკეთესი! მარტო ვიქნებით და ლაპარაკიც თავისუფლად შეგვეძლებოდა.

— რა გნებავთ ჩემგან?

— განა არ იცი, რაცა „წნებაეს“?

— რას ჩამაცივდით, ღმერთო! ადამიანის ესე დაბრიყვება-გავონილა განა?

— უშენოთ ვერ მოვისვენებ, ვერა! გაიგე, ქალო!

— ჩემს მეტი ნუ თუ ვერაფერა ნახეთ ამოდენა ქვეყანაზე?

— შენ უბნა ჩემი იყვე, მორჩა და გათავდა!

— მე თქვენი არ ვიქნები, სანამ პირში სული მიდგია!

— თუ ნებით არ დამყვები, ძალით მაინც დაგიმორჩილებ! მე ჩემს სიტყვას არ ვულალატებ—ეს იცოდე კარგათ!

თებროს ძე ლომივით ყალყლზე შეუდგა გუნება და თითქოს საცაა გადმოეშვება თავის აქოთებულ ბუნაგიდან თავხედი მტრის შესამუსრავათ, მაგრამ მაინც შებოროკილათ ეჭირა თავი.

— შენ თებრო, სხვაგან ხომ არ გაქვს პირობა მიცემული?

— თქვენ ხომ ჩემი მოძღვარი არა ხართ, რომ აღსარება გითხრათ!

— მე ეხლა მესმის ყველაფერი...

— თქვენ რა გინდათ, რომ ესე იჭრებით ყაჩაღურათ ჩემს ცხოვრებაში?

— მიყვარხარ ქალო და ცოცხალი თავით არც დაგანებებ სხვა ვისმეს.

— ვთხოვთ, თავიდან მომეხსნათ! ერთხელ და სამუდამოთ იცოდეთ, რომ

მე თქვენ არ გამოგყვებით, არა!

— ეგ ჯიუტობა ხეირს არ დაგაყრის, ქალო!

— თქვენ მექარით გინდათ მომახრეინოთ ქელი?

— ბოლოს არ ინანო, თებრო!

— თქვენ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ!

— კარგი! მაშ ამაზე შევსწყვიტოთ ლაპარაკი! ეხლა მითხარით, წუხელის მამლის ყვილზე ვინ იყო თქვენგან რომ გამოვიდა?..

თებროს ფერმა გადაჰკრა.

— ჰო, მიპასუხე! ვინ გააცილე წუხელი ეზოს კარამდის? ეხლა კი მესმის, რატომ არ გაინტერესებ. მაგრამ კარგათ იცოდეს იმ ქურდ-ბაცაცამ—ვისთანაც აქვს საქმე!

თებრო ბროწეულის კანივით აიღეწა მისი ქალური მოკრძალების შეურაცხყოფისთვის. მაგრამ თანაც გულზე მოეშვა, რომ კომისარს არა სცოდნია ფირალას ვინაობა.

— გვედრებით, თავი გამანებეთ!

— მაშ შენი საბოლოო სიტყვა ეგ არის, ქალო?

— მე თქვენი თავი აღარა მაქვს, გამშორდით ჩქარა!

— მაშ მოყვრის მაგიერ მტრათ უნდა გამიხადო!

— რაც გენებოთ, ის ჩაიღინეთ!

— მაშ კარგი! და იმასაც გაიგებ, თუ კოწია რა ბიჭი ყოფილა!



ქართული

ენციკლოპედია

გაბრაზებული კომისარი მკვახეთ შემოტრიალდა. ერთი მუჭარით ჩაიზ-
მუქუნა და სწრაფი ნაბიჯით გავიდა კარში.

თებრო დარჩა. დარჩა თავის აქოთებულ ფიქრებით და აღარ იცის, რო-
გორ წესზე დაალაგოს იგინი, რომ ცოტაოდენი შვება იგრძნოს ამ აღშფოთე-
ბულ მარტოობაში.

ცხოვრების სასტიკი შემოტევა პირველად იგრძნო უმანკო ნუკრმა.

ჰაერში უდარდელათ მორაკრაკე ტროროლას პირველათ მოესმა ბედის-
წერის მუჭარა.

ახალგაზრდობის მაღალ თხემებზე მოხტუნავე დაუფეშაემა ჯიხემა თითქოს
პირველათ წაიმტვრია ჩლიქი სალი კლდის ნაპრაღზე.

ნამდვილი სევდა მხოლოდ ამ დღეს იგრძნო პირველათ თებროს თამამ
გულმა და თითქოს გაიბზარა კიდევც...

ვისაც შეუძლია გულისცემის ახსნა, დიახ—გაიბზარა კიდევც...

შეზუზამული ნიაღვარი.

ფირალამ არ იცის თებროს სევდა. ვერცა ჰხედავს იმის დაბურულ სახეს,
რომ შეეკითხოს როგორც ერთად ერთი მესაიდუმლე:

— რა მოხდა გოგონი?

— რამ დათალბა შენი ბადრი სახე?

— კუპრიელივით დაფერილი შენი თვალები რათ მისჩერებნიან რაღაც
სიბზნელს?

არა! ფირალას ჯერ არ ესმის თებროს გაბზარული გულის ფეთქვა. ის
შორს არის. თებრო კი მარტოა აქ, მარტო...

მაგრამ არის ერთი კაცი, ვინც შეამჩნია თებროს ცხოვრებაში რაღაც
ლოდის ჩამოწოლა.

ეს არის ბროლოსნელი ახალგაზრდა გლეხი—თედო.

მას ყოველ დღე უხდება თებროს კარებზე გავლა.

მას ყოველ დღე უყვარდა თებროს კარებზე გავლა.

ამიტომ საუცხოვოთ იცოდა იმ კარ-მიდამოს ამბავი.

თებროს დანახვაზე თედოს რაღაცა ნათელი ადგებოდა გულზე,

ყელ-მოღერებული ირემივით რომ დადიოდა თებრო მჭვანე ეზოში, ამის
შემყურე თედოს როგორ შეეძლო — გული არ ასჩოჩქოლდებოდა!

თებრო თავისი არე-მარისთვის ნამდვილი მამლისყივილი იყო, ან უღალაფე
გუთნისდედა, ან კიდევ ნებიერ ჰანგების მთხრობელი ძიძა.

რომელი თავმომწონე ვაჟი არ მოინატრებდა თებროს ტოლობას, რომ
სამუდამოთ ლაზათი დაედო თავისი სიცოცხლისთვის.

შესცქეროდა თედო ამ მთელი სოფლის დამამშვენებელს. არა! მთელი
მხარის დამამშვენებელს და აღარ იცოდა. რისთვის შეეძარებინა, რომ სრულ-
ყოფილათ წარმოუდგინა თებროს მომზიბვლელობა,

— ლერწამი?

არა, არ მიუდგება! თებრო უფრო სწორია და ნაზი მასზე!



ერაყის
გენერალური

— ცაზედ რომ ერთ ვარსკვლავს ხედავს ზოლმე ზამთრობით, შუალამისას? არა! თებრო მანც იმ ვარსკვლავზედ ნათელი არის!

— ეგები უფრო შეედაროს ქვენა-ქართი ამღელვარებული თავთუხის ყანა?

— ან დამკრახულთ მტყენებით დატვირთული შემოდგომა?

ან ბორჯომის ტყეებში მთის ჩანჩქერზე გადამხტარი შველისთვის რომ მოუყრავს თვალი—ისიც ძალიან ჩამოაგავს თებროს არსებას.

თედოს არ უნახავს—თუ როგორია ძუ ლომი, მაგრამ ხმა-მალლა დაიფიცებს გაჩენის მზეს, რომ თებროს ტანში უეჭველათ იმის სისხლი სჩქევს.

ვინც იცნობს ქვეყანას, ხალხსა და ბუნებას—იმისთვის თებრო ხელე უქნელი წალკოტია ან ნატვრის თვალი! თავმომწონე ვაჟაკისათვის კი—ის არის ამაყი სიმღერა, შეტევა, თავდავიწყება!

ის ყველაფერია!

არა! ყველაფერზედ მეტი!

და როცა დილ-დილით თედო ჩაუვლიდა იმის ეზოს, გადააელებდა თვალს ეშხიანათ და გულის ლილინით შესძახებდა:

„დილით მზე ამოდოდა,

წინ მოუძლოდი შენაო.

თავს გედგა ნათლის გვირგვინი,

მეუფემ დაგამშვენაო“...

რათ მოსწონდა თედოს ამ გოგოს უბადლო სიკობტავე, მისი სითამამე და ეშხიანობა?

რათ შეჭაროდა ბავშურის ნატვრისათვის მის ახალგაზრდობას, ნებიერობას და საცდუნებელ მარტობას? დიალ, მარტობასაც...

თედოს თავის ფიქრებისთვისაც კი არ გაუნდვია ხმა მალლა—თავის გულის ნადები.

— ეშინია, უნაყოფო ნატვრა და მურაზმა სამუდამო ტყვეთ არ აქციოს მისი ბუნება. მაგრამ რაღდენიც უნდა ეცადოს, ბედის მკითხველისაგან მიიხილავს არ დაიმალება ის საიდუმლო წარწერა სიციცხლის ფერადი ასოებით—

რომ თედოს უყვარდა თებრო.

ეპ, უყვარდა, მაგრამ ამას არ აღიარებს აშკარად არც ქვეყნის გასაგონათ, არც თებროს გასაგონათ, არც თავის გასაგონათ!

თავმომწონე ვაჟაკს ეშინია—ბედმა უღაზათო უარი არ შეჰკადროს ამიტომ სჯობია, ისევ ყრუთ ატაროს ეს გულის საუნჯე.

თამამი და ახირებული გოგოა თებრო.

რამდენი ღირსეული ვაჟაკი გაუბრუნებია უკან თავჩაქინდრული და გულმოკლული!

კაცი ადვილათ ვერ მიუხვდება, რას ფიქრობს ეს ცუდლუტი? რა უძვეს გულში? ვის უმზადებს ბედნიერებასა და სიციცხლის სადღესასწაულო გვირგვინს?

თედოც აკი ამიტომ აუვლ-ჩაუვლის თითქოს მშვიდათ იმის არე-მარეს, გულში კი იმეორებს ხალხის რომელღაც გენიალურ შეილისაგან აღმომხდარ ნატვრას:

„ვერცხლისა თასათ მიჰქცია,
 ლენითა აგვესებოდე.
 დაფერილი მქნა წითლიდა,
 შემსვადე, შაგერგებოდე!
 ან ვიყო მოვის პერანგი,
 ზედ გულზე დაგადნებოდე!
 ან შენი ნამგლის ყანა მქნა,
 ზედ თხაზე შაგეკრებოდე!
 ან შენი მიჯნური ვიყო,
 გულს ჯაერათ ჩაგეკრებოდე!
 ანაც ძმა ვიყო მოწილე,
 ცოცხლივ არ გაგეკრებოდე!“.

და აქ რალაც უცნაურ სინაზით აღივსებოდა თედოს უჩინრათ ამღელ-
 ვარებული გული.

იგი წვრილ-ფეხს მოჰკრავდა თვალს, იტყოდა!

— იხაროს თქვენმა პატრონმა!

ეზოში კაკლის ხის დახახვავზეც უნდა ეთქვა:

— იბედნიეროს შენმა პატრონმა!

ავშარა ძალი გამოუხტებოდა განზე და იმასაც ეტყოდა შეტევით:

— იღლეგრძელოს შენმა პატრონმა!

და თუ კი ფარშეჟანგივით მოყელყელე თებროსაც მოჰკრავდა თვალ
 მაშინათვე ხალისიანათ მიამახებდა:

— თებროს სიცოცხლე!

თებროც ბუნებრივის კომწიაობით გადმოჰხედავდა თავის დაკვრით:

— გამარჯობა თედოს!

და ამ მისალმებაში თედოს შესწავლილი ჰყავდა თებრო მთელი თავის
 სიცოცხლით, სიმხიარულით, სილალითა და სითამამით. ამ ხმაში აკვესებდა
 მთელი იმედი და შეუპოვრობა ცხოვრებისა.

მაგრამ კომისართან შეხვედრის შემდეგ სულ შეიცვალა ყველაფერი.

ორ-სამ დღეში, უბრალო მისალმებაში თედომ აშკარათ შეამჩნია, რომ
 თებროს ხმა ვეღარა პრეკავს დაფერილი ვერცხლის ზარით. იმის ცხოვრე-
 ბაში უქვევლათ ჩამოწოლილა რალაცა ზეავი, რალაცა ლოდი, რასაც ესე დაუმ-
 ძიმებია თებროს სადედოფლო ამაყი თავი.

რა მოხდა?

რამ დაამწუხრა გაზაფხულივით ხალისიანი იმისი სახე?

ეს კითხვები საკუთარი თავის აზრდილივით დასდევნ თედოს და უმღვრე-
 ვენ ცხოვრების წყნარ მდინარეს.

ნურავინ ნუ იტყვის, რომ ქალის ალლოს გამოგაროს ოდესმე, როცა
 ვინმე ნოწონების თვალთ შეჰხედავს, თუნდაც ერთხელ.

ამ მოწონებას ზურგიდანაც კი გრძნობს ქალის არსება.

მაშ არც თებროსთვის ყოფილა დამალული თედოს იღუმალ ნატვრით
 შეყელილი ხეაშიადი.

ყველაფერს გრძობდა ის ცუდლუტი, ყველაფერს ჰხედავდა. გულში კიდევ მოსწონდა თედო. ან ვისგან იყო წუნ დასადები ასეთი ოჯახისშვილი და ჩინებული ვაჟაკი, მაგრამ... მაგრამ...

სხვა რაინდმა გადაძვია მხრებზედ მხარი. სხვა ვეფხემა დაარტყა ნახტომი ამ იშვიათ ნადავლს. სხვა კორიანტელმა დაატრიალა თავის ფერხულში ეს უმანკო ნუკრი და თებროც იტყოდა ხოლმე თედოს დანახვაზე:

— ეჰ, შენი ბედი და ყისმათი არა ვყოფილვარ, ჩემო თეხო! შენ ისევ სხვას ელოლიავე! ჩემზედ კი ნუ ჰკარგავ ამით ახალგაზრდობის დღეებს!

იტყოდა თავის გუნებაში ასე, მაგრამ მაინც ესიაშოვნებოდა, თედოს ასეთი კრძალული და პატივისცემითი მოპყრობა. მხოლოდ ნურავენ ნუ იფიქრებს, რომ ამითი რაიმენაირათ ფირალას ჰღალატობდეს. უმალ მიწამ უყოს პირი—ის ურჩევნია, ვიდრე რაიმე ზადი შეეპაროს იმის სიყვარულს ფირალისადმი.

მხოლოდ კამისრის უკანასკნელ შეხვედრის შემდეგ კი ძალიან მოეწამლა თებროს დღეები.

ის აღარც თედოს გამოელაპარაკებოდა ხოლმე გუნებაში. აღარც ხელზე მიჩვეულ ბრაწა დეკეულს ულაქუცებდა. აღარც წვრილფეხში ასტებდა ტრიაშულს. გიემბაეურ ღიღინს ხომ ვინღა მოჰკარავდა ყურს!

ერთისიტყვით—უცნაურათ მოიწყინა თებროს მთელმა არსებამ.

ეს ყველაზე აშკარათ და ყველაზე ადრე შეამჩნია ა ბროლოსნელმა თედომ.

მაგრამ მერე რა? ამითი განა უშველის რამეს თებროს?

წუთისოფლის სტუმარი.

ფირალამ არ იცის თებროს ბოღმა.

სამი დღის წინეთ მის რჩეულის სახე მოწყენილი იყო სრული მთვარესავით (ლოყის თავზე აგორებულ შავ ხალს ხომ არ ჩაუთვლიდა საგლოვარ ნიშნათ?) მაშ ამ სამ დღეში რაღა მოუვიდოდა? ის ამ მხრივ დამშვიდებულია და არცა სცდება თავის საქმეს.

თებროსთან შეხვედრის შემდეგ მან გადასწყვიტა, ერთი კიდევ ჩამოუნადიროს თბილისს ძველებურათ, თავისებურათ.

რამდენიმე კვირეა აღარ უნახავს იქაური ძმა-ბიჭები. კარგა ხანია აღარც პოლიცია დაუყენებია ფეხზე თავისი თავბედური ნახტომებით.

როცა ასეთი მშვიდი ხანა დაუდგება ხოლმე, მას თითქოს ეკარგება რწემენა თავის ძალ-ღონეში. იგი ფასსა ჰკარგავს თავის თვალში. აღარა სჯერა, თუ ძველებურათ ისევ ღალია, თავვასული, შეუბიჯარი. აღარც ის სჯერა, თუ ოდესმე ყოფილა თავბედი, შმაკი, დაუზოგავი. ამიტომ უნდა, ახალი ცდა მოახდინოს უფრო გამეტებული, უფრო სახიფათო, რომ ამითი მოიპოვოს რაინდული პატივიცემა თავის თავთან.

თანაც მოენატრა ერთი კარგი ლაზათიანი ქეიფი დარდიშანდულად ანგალ ბიჭებში გატარებული.



საქართველო
საქართველოს

დაე, სახელმწიფოებელმა პოლიტიკოსებმა შეაჯერონ მაღალი ტრიბუნები თავიანთი ლაქლაქით! ფირალას კი ენატრება—თავის მოზარე ხმით შემოსძახოს ერთიგეთური მრავალეამიერი იქ, თბილისის შუაგულში. იცის, რომ ამ პატიოსან პოლიტიკოსებს უთვალავჯერ მეტი ცოდო მიუძღვით ცხოვრებაში, ვიდრე ყაჩაღ ფირალას. და თუ ისინი ყოველ დღე ზეიმობენ, განა ფირალას თვეში ერთხელ არ შეუძლია ჩაიქეიფოს თავის გუნებაზე?

ამიტომ ერთ მშვენიერ დამეს იგი ისევ ეწვია თბილისს.

მან ერთ საათში მოსძებნა თავისი დოსტი ბიჭები: ძველი ნააფიცრალეები, ძველი მოქეიფენი, ძველი (და შეიძლება ახალი) „მოექსპროპრიატორენი“.

ყველა ძმა-ბიჭური გრძნობით, საერთო ქეიფით და ხელგაშლილ დარდიმანდობით იყვენ ერთმანეთთან დაკავშირებული. დაკავშირებული კი არა—ძმით-გაფიცულნი.

გაჭიოვებულ და აწეწილ-დაწეწილ ქვეყნიერობას ისინი ზევიდან დასცქეროდნენ. ეს ჯანსაღი, თამამი და ახალგაზრდა ვაგაკეები, თვითოეული მათგანი რომ უდანოში გავარდნილ ლომსა ჰგავდა, მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ—რა დაბარჯონ? როგორ იგემონ ამ წუთისოფლის ყოველგვარი სიკეთე? მაგრამ ერთხელაც არ უფიქრიათ—რა შეჰმატონ ცხოვრებას და თავიანთ ქვეყანას.

ისინი ცდილობდნენ, რაც შეიძლება ჩქარა და დროზე მოექამათ დროება.

მხოლოდ დაბარჯვასა და დროს გატარებაში რომ უცქიროს კაცმა, მათზე ლამაზსა და თავისებურს სხვაგან ვერსად ვერ შეხვდება ადამიანის კეთილი თვალი. მაგრამ საკმარისია ცოტაოდენ მანძილზე მაინც მიჰყვეთ ცხოვრებაში და მაშინათვე იგრძნობთ, რომ იგინი მხოლოდ მგლებათ არიან მოვლენილი ამ ქვეყანაზე ან თუ გინდა ვეფხვებიც იყვენ! ლამაზათ და თავისებურათ მოთარეშე ვეფხვები, მაგრამ მაინც გამანადგურებელნი და მტაცებელნი სხვისაგან შექმნილი სიკეთისა. მოსძებნენ ერთი შეჩვეული ბინა ყუდრო უბანში და ხელდახელ ისეთი სუფრა გაშალეს—თქვენი მოწონებული!

ძველი ნაცნობი მიკიტანი ისეთი გულითადი სალამ-ქალამით შეეგება, როგორც შვილის მომნათვლელებს. საერთოდ ამ ჯგუფს პირიან ხალხათ იცნობს ქეიფის ანგარიშში და ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებითაც ექცევა.

სუფრა გაიშალა ლაზათზედ ლაზათიანი და მხიარული ოხუნჯობა ლაზლანდარობით შეუდგენ ყარაჩოღულ ქეიფს.

თავანკარ წითელ ზედაშეს ფეხდაფეხ მოჰყვა თუშური ყველი და ზამთრის უბეში შენახული ორთაჭალის ნორჩი წვენილი. აუზიდან ხელდახელ ამოჰკრიფეს ცოცხალ-ცოცხალი ლურჯა და ციმორები და რალაცა თხუთმეტოდენ წუთში სანუკარ ნობათად მოართვეს სუფრაზე. ლენია და სადღეგრძელოები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თქმაში და ცლაში.

შეზარხოშებულ გუნებას უბდება ცხელ-ცხელი სუკის მწვადები—ცვარი რომ წურწურით გასდის. პირ-აწყობილ დანის პირველ ასმაზე. ამას ზედ მოსდევს ხახეში და პილპილში მადლიანად ჩაბუებუებული საუცხოვო ყაურმა. თურაშაულის წითლად აღეწილი ვაშლებიც უწესრიგოდ მოფანტულან გიჟურ სუფრაზე.



სიმღერას ხომ ნულარ იტყვიოთ! ქართლ-კახურ ჩაფიქრებულ გუნებრიდან წარმოშობილ ძველებურ გულითად ჰანგებს ისე აწყობილათ შესძახოდენ—თითქოს საუკუნოებს იქიდან მოისპოდეს ძველი ზარების გუჯუნაო. მაყრულს—სუფრული სცვლიდა, სუფრულს—გრძელი მრავალყამიერი, ან გულამოსკენილი ურმული. ან კიდევ გიშრის კრიალოსანივით ბრწყინვალეთ აწყობილი მაგრამ სევდიან ბაიათები.

ყველა ამ ჯადოსნურათ აელეცებულ ხმებში კი ეს ფირალა იყო—ცის ტატნობში ავარდნილ ტოროლასავით რომ არაკრაკბდა თავის ფოლადივით მკვეთრსა და წკრიალა ხმას.

ამ ხმების გაკონებაზე მტერიც კი შეაჩერებდა მალა ამართულ მახელს. ჯერ მოისმენდა გულმოდგინეთ და შემდეგ, იქნება ეპატიებინა კიდევ ყოველგვარი უიკლუწესი დანაშაული.

ერთ ადგ ლზე ესე გემოიანად შეზარხოშებული ბიჭები ახლა მეორე ადგილას გადაინაცვლებდენ. სადმე მოსძებნიდენ კიდევ თავიანთ ფანდ ქალიშვილებს და გაჰკონდათ ერთი ამბავი.

ფირალას ვაჟური სილამაზე ლეგენდარულ თქმულებათ იყო გადაქცეული თვით თბილისის კეთილშობილ ქალაქილებშიც. ყველანი გიგურ მურაზათ ატარებდენ იმის ნახვას, იმის გაცნობას. ვინც კი იცნობდენ, ამაყობდენ თავიანთ ტოლებთან ამ იშვიათი უპირატესობით. განსაკუთრებით საზიზღავად გადიქვა ფირალას ნახვა მისა ყაჩაღად გავარდნის შემდეგ. სააშოყთ შეღერებულ ახალგაზრდა ქალიშვილების ატაცებულ წარმოდგენაში ფირალი შეიმოსა რალაც რაინდული შერავანდდით. მისი გავარდნა, დეცნილობა და მიუდგომლობა უფრო მეტ სილამაზესა და ზღაპრულობას ჰმატებდა ახალგაზრდობის თვალში. ის იყო განსაზიერება თავმოქმონეობის, ვაჟკაცობის, სიამაყის, თავისუფლების. ის, უდაბურ ჯაკებიდან გაჰოქცეულ ვეფხვეთ მოვარდებოდა ზოლმე ქალაქის მყუდროებაში, დააფეთებდა ადმინისტრაციის, დაარტყამდა რამდენიმე თავზედურ ნახტომს, ააპარაკებდა ყველას და გაქრებოდა ისევ თავსქაჯურად თავის ბუნაკში. ამ გვარ შემთხვევის შემდეგ ფირალას სახელი უფრო მეტის აღზნებათ გადადიოდა პირიდან პირში. მაშ ასეთ ურჩსა და ლეგენდარულ ვაჟკაცს როჰელი ქალიშვილი არ დაუწყებს ტრფალს შორიდან მანკ. და თუ ასეთი საზარბიელო იყო ფირალა ოჯახში დაწერთილ გოგონებისთვის, მაშ რალა იქნებოდა იგი თბილისის მქავე ქალებსთვის?

გადაჩვეულნი ხალას გრძნობას და პირველყოფილურ გზნებას—იგინი მანკ ისეთი მრუშული თავდავიწყებით ეწაფებოდენ ფარლას ვაჟურ სიძლიერეს, თითქოს პირველად იტკობდენ ზარბათსა საწუთროსასო.

იშვიათი შემთხვევაა, რომ ვაჟი ერთნაირად მოსწონდეს ქალებსაც და კაცებსაც. ფირალა კი ამ ორთავე შემთხვევაში გვირგვინმოსილი მეფე გეგონებოდათ. ის ძმა-ბიჭიც იყო და აშიკიც, ძლიერიც და კობტაც, თავზედიც და თავაზიანიც. ის ცხოვრებაში თითქოს ბევრგან გამოდგება დასამსკენებლათ და ადამიანს ეაფსუსება მისი ყაჩაღობა. მაგრამ რას იტყვიოთ, ვისაც არ უნახავს იგი როცა სძარცვავს, როცა არბევს, როცა ჰკლავს როგორც გაომებული ნადირი?



მეგრამ რათ გვინდა ამისი გამოკვლევა? ჩვენ ფირალას ვიცნობთ როგორც თავზე ხელალებულ ყაჩაღს, მორჩა და გათაფდა. რაც ავი ჩაიდინოს—ეს მის ხელიდან გამომდინარეა. რაც კარგი ჩაიდინოს ის გაგვრკვირდეს.

მხოლოდ დიდი ჯადოსნური ძალა კი ჰქონდა მაინც ფირალას. ვინც პირისპირ შეხედებოდა, არ შეიძლებოდა, რომ არ მოხიბლულიყო მისით. კაცს ავიწყებოდა, თუ მასში ბუდობს აულაგვავე ბო-ოტი სული და თვალწინ წარმოუდგებოდა როგორც თავმომწონე ვაჟეაცი, რომელიც ღირსია დანდობისა სულ ყველასაგან.

იმ დღესაც ყმაწვილებმა მართლაც სანახსოვრო დროება გაატარეს განთიადამდის. შემდეგ ერთმანეთში რალაცა მოილაპარაკეს დალაღულ გუნებაზე და წალმა უკულმა დაიშალენ.

ფირალაც წავიდა ერთ ამხანაგთან მოსასვენებლათ.

მგლის ნახტომები

სალამოზე, დანიშნულ ადგილას ისევ შეხედენ ბოქები ერთმანეთს.

ბოე ერთი საათი ილაპარაკეს რალაცაზე საიდუმლოთ და გულმოდგინეთ. ეტყობა ძალიან დიდი საქმე გადასწყვიტეს. შემდეგ ისევ წავიდენ ზაჩვევ ადგილებში და უფრო უკეთესი დროება გაატარეს, ვიდრე გუშინ.

— ვიჭეიფოთ! ვიმღეროთ ძმებო! ქვეყანა ვის შერჩებია რომ ჩვენ შევგრჩეს!

წუთისოფლის სტუმრები ვართ,

ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება.

თუ მუდაპ არ ვიჭეიფებთ,

ამის მეტი რა შეგვრჩება!

— ვინ უწყის, ეგები ეს არის ჩვენი უკანასკნელი დროს გატარება! მაშ გაეზაბაოთ ჩვენი ჭია!

და ისინიც ახარებდენ თავიანთ ჭიას—როგორც კი წეეძლოთ.

ამ დარდიმანდებმა, ამ თავზე ხელალებულებმა დილ-მდის იმდენი იმზიარულეს—ქუდი ჭერსა ჰკრეს.

დილა სისხამზე კი დაიშალენ, რომ ერთი ლახათიანათ გამოიძინონ „განსაკუთრებულ“ სალამოს მოლოდინში.

სალამოს ექვს საათზე კიდევაც შეასრულეს ბიჭებმა თავიანთი „დიდი საქმე“.

გასძარცვეს თბილისის ერთ-ერთი ბანკი.

შემოაკვდათ მხოლოდ მოლარე. თვითონ უმსხვერპლოთ გადარჩენ.

ბლომათ წაილეს სტერლინგებო, დოლარები, ლირები. საქართველოს ბონებით კი ჯიბე არ დაიტვირთეს. წაილეს მხოლოდ იმდენი, რაც ხელდახელ სახარჯოთ დასჭირდებოდათ.

ორი-სამი საათის შემდეგ ყველანი შეიყარენ დანიშნულ საიდუმლო ადგილას და ნადავლი გაიყვეს.

ყველაზე მეტა ფირალას ერგო—როგორც ბელადს.

იმ ღამეს სიფრთხილით მოიქცენ და ქეიფს აღარ აპყლიიან. ყველამ ცალკ-ცალკე მოისვენეს დაფანტულათ სხვა და სხვა უბანში. ეს ისე ყოველ შემთხვევისათვის. რა ვიცით, კაცნი ვართ!..

მთელი ღამე და მთელი დღე მილიცია სულ ფეხზე სდგას. საგანგებო მე-ძებრები ყოველ გზა-კვალსა ჰქნისავენ, ეგებ როგორმე აუღონ ალლო ასე უწინრათ დაკარგულ ქვეყნის აბეზარებს.

ისე მაინც დარწმუნებული არიან, რომ ეს საქმეც უეჭველათ ფირალას ბელიდან უნდა იყვეს გამოსული. ამიტომ საგანგებო დავალება აქვს ყოველ აგენტს, ყოველ მილიციელს—ეგები საღმე მოჰქრან თვალო ფირალას და ხელში ჩაიგდონ.

ფირალაშაც ძალიან კარგათ იცის, რომ მთელი რერიშები მისკენ იქნება მიმართულა. ჯერ ეგეთი საქმე რომ მოხდება საღმე, ფირალა გინდაც არ ერიოს შიგ, მაინც იმას აბოლაინ. ეხლა ხომ. ძით უმჯერე, ყველაფერი იმას უნდა დაატყუდეს კისერზე. მაშ ყველაზე გადამეტებული სიფრთხილევ იმასა მართებს.

ეთრ განსაკუთრებულ ხათაბალას კიდევ ის წარმოადგენს, რომ ფირალას ღამის ყველა იცნობს ქალაქში. ამიტომ იმალება იგი ყოველთვის ქალაქ გარეთ. და თავის ბუნავს არც არავის გაანდობს—დაე, იყვეს ძმა, მეგობარი, ერთგული!

— ამ ქვეყანაში ყველაფერი ადვილით იცვლება! ერთგული კაცის გაორგულებაც — ეს უბრალო წკიპურტია ცხოვრებაში.

ამიტომ ფირალი სიფრთხილით იოჯება. თუქცა უყვარს თავის ძმაბიქუბი, მაგრამ მუშპივად დანდობილი მაინც არავიზე არის.

ყოველ ასეთ ნახტომის შემდეგ იგი საჩქაროთ გაეცლება ხოლმე თბილისს და აღარც გამოჩნდება მის არე მარეში, სანამ ყველაფერი არ მიუწრდება.

ეხლაც უნდა გაეცალოს გააფრთებულ დევნას მილიციისას.

საღამო ქამზე გამალებულის ნაბიჯით მიდის სადგურისკენ.

უეცრივ ერთმა მილიციელმა მოჰქრა თვალი და მაშინათვე ფეხდაფეხ აედევნა. ფირალამ შეატყო რომ ეს მილიციელი სახეიროთ არ ვაპყვა იმის კვალს. მან არც აციეა, არც ატხელა და უეცრივ შემოუტრიალდა მილიციელს.

— შენ კაი რაზე არ გიდევს გულში! გინდა ქამანდი მიგდო რაზე განა?

— შჩერდი ეხლავე!

— თუ ძმა ხარ, თავი გამ ნებე!

— შენ დატუსალებული ხარ! შეჩერდი ეხლავე!

— თუ შენი თავისთვის სიკეაე გინდა, მომწყდი აქედან!

— ხელები მაღლა, ჩქარა!

— მაშ რადგან თავი გაგიწირია, ჯანდაბამდისაც გზა გქონია!

ამ სიტყვებთან ერთად ფირალას ხელში იგრიალა რევოლვერმა და მილიციელიც ელდანაკრავივით მიწაზე გაიწხლართა.

ფირალა ასწოაფებული ნაბიჯით ერთ ქუჩას მიეფარა. მეორეს, მესამეს. რევოლვერის ხმით დაგეთებულ ხალხს არც კი უფიქრიათ უკან დადევნება და



ქართული
ლიტერატურა

ფირალი სულ თავისუფლად გავიდა სამშვიდობოზე. სადგურს ახლო აღარც კი გაჰკარებია. სულ ფეხდაფეხ იარა მთელ ღამეს და მხოლოდ ცისკრის გახსნაზე მიაღწა თავის ბუნავს.

დალილ დაქ-ნულმა ფირალამ მიაბარა თავისი თავი ბედს და ისე გულ-მშვიდად დაიძინა, თითქოს მის ზურგს უკან არაფერი არი ცოდვა არ დაარჩნი-ლიყვესო.

მიუღგომელ ბუნავში

ფირალას ბუნავი იშვიათ სადარაჯოს წარმოადგენს მთელ ქართლის მხა-რეში.

თვალის სანაფარდოზე თუ კი სულიერი ვინმე გამოჩნდა, შეუმჩნეველათ არ დაჩნება კაცისთვის მის სიმალიდან. თუ ბედის სიმუხვლით მაინც მოველინე-ბა მტრი, ის უცქელათ დაბლობი მხრიდან უნდა მოადგეს. მაგრამ ასეთი შემ-თხვევისათვის ფირალას ზურგს უკან მოქცეულა გაუტეხავი ქალა და იმას იჭით კი ტყიანი მთები.

იმაზე უკეთეს თავშესაფარს ვერცერთი ნადირი ვერ მოინატრებს.

ფირალა ყოველნაირათ ხელგამართული კაცია ბუნებისაგან. ბედიც ხომ სულ იმის მხარესა-სთესავს და ღამის ისე გაათამამოს, რომ ცა ქვდათ არ მიინიოს! დედამიწა—ქალამნათა.

ან მცტი რა გზა აქვს! ის ყოველთვის უნდა იყოს თავის თავისა და თავის ბედისამართ. სხვა მზრუნველი კალთა მას არ აფარია ცხოვრებისაგან აწყვეტილ თავზე.

ვახშობა თითქმის გადავიდა.

შიოს ეზოში აყუფდა მუ-ია. თებროს კარებშიც გაისმა კაკუნი.

ატოკდა გული მოლოდინით დაქანცულ მტრედისა.

კარი სწრაფად გაიღო!

— ფირალ-ჯან!

— შენ გენაცვალე, გოგონი!

— სად დაიკარგე ამდენი ხანი?

— სანადიროთ ვიყავი! მოგენატრე?

— როცა იგვიანებ, მე ყოველთვის მეშინიან ათასი რამის.

— რათ გეშინიან? ჯერ ხომ ჩემის სიკვდ-ლით არ დაქვრივდები?

— საძაგელო! რა გულჭვად ლაპარაკობ!

— ვახშამი გაქვს რამე გოგონი?

— ყველაფერსაც ვიშოვი, მხოლოდ....



ბარდუქილი

— მხოლოდ? შენ როგორღაც გონებაზე ვერ მეჩვენებო, გოგონა!

— შენ წადი გოგიას ციხეში და მეც ყველაფერს იქ მოგიტან ეხლავე. აქ ვული არ მენდობა როგორღაც.

— რა! ხომ არაფერი მოხდა? ხიფათი ხომ არ მოგიელის?

— არა, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ ასტკივია!

— შენ როგორღაც შეშვოთებული ხარ! თვალეში შიშის ლანდი გიქრის!

— ისეთი არაფერი ყოფილა, მაგრამ მაინც სჯობია აქ არ დარჩე: კომისარი გადამტერებულია ჩვენზე და შეიძლება თვალ-ყურს გვადევნებდეს. არ მინდა, რომ ჩემის მიზეზით შენ რაიმე ხაფანგში გაეხად.

— რას გერჩის ის წუწკი, ერთი მითხარი, რომ სანანებულად გაუხადო სიციცხლის დღენი!

— ისეთი არაფერი მომხდარა, გენაცვა, ნუ აღელდები! მაგრამ წინდახედულობა მაინც სჯობია. გასწი ჩქარა იმ ძველ ციხეში და მეც ეხლავე შენთან გაეჩნდები.

— კარგი! მაგრამ დიდ ხანს არ მალოდინო!

ფირალა წაეიდა მრავალ იქვეებით შეპყრობილი. ვინ იცის, რამდენმა აზრმა არ გაუარა სიფრთხილის სათავედან წარმოშობილმა და თანაც უნდობლად ათვალეურებს ყოველ ჩირგვს, ყოველ ნანგრევს. ყურსკეციტი ნადირი ფხიზლად აკვირდება ბუნდოვან აზრდილებს და მოლანდებულ ჩამი-ჩემს. ეშინიან, უღაზათოდ ხაფანგი არ ჰქონდეს დაგებული სიიდანმე.

— დაე იცოდენ, რომ ყველაზე ძვირათ ის ჰყიდის სიციცხლეს, ვინც ჩაღის ფასსაც არა სდებს იმას!

მან თავის გუნებაში ყოფთ გადაათვას ყველაფერი და ყველანი. მისი იქვეს ლახტს ვერავინ გადურჩა სიყვარულსა და მეგობრობასთან თავშეფარებით.

— ფირალა მარტოა! ის მხოლოდ თავის თავს ენდობა საესებით, სხვას კი არავის.

ცეცხლის ზოლებივით მოელვარე ფირალას ფიქრები უეცრივ შესწყვიტა თებროს ძოსვლამ.

საეახნმო სანოვაგით გაკიკნული თავშალი იქავე დასდო გოგონამ და თავის სიყვარულის ვეშ პა მოეელო მხრებზე გრძელი მკლავებით.

— თებრო! ამიხსენი, შენი სიფრთხილე რას მივაწერო?

— შენ, ვინ იცის, რამდენი უმზგავსო რამე გაიელე თავში? და აქ თებრომ უამბო ყველაფერი თავედადასავალი კომისარი კოწიასთან.

— ჰო! მაშ სიფრთხილეს თავი არ ასტკივია! მხოლოდ მეჩიდოს კი ის კოწიას ვილაცა, თორემ ბევრისთვის ამიტირებია დედა უდროვით და ეგვე ელოდეს ჩემგან უკურნებელ ძღვენს.

— იმან არც კი იცის შენი არსებობა. ის მხოლოდ იქვითა ხედება, რომ მე მყავს ვილაცა საქრმო.

— ნეტავც არ მინდა ბუზი აგიფრინოს და მაშინ ვაჩვენებ სეირსა!

— მე ჯერო შენ მაგიერ მეშინიან ფირალ! ვაი თუ საიდანმე გაიგოს შენი ვინაობა და მაშინ სომ სულ ჩაგემწარდება ყველაფერი.



— თუ მაგის მეტი დარდი არა გაქვს გენაცვალე, იმ წუწქს შე მოუვლი ამ რამდენიმე დღეში!

— ეჰ ფირალ! გეყოფა ამდენ ხანს ბრუნდე გზაზე სიარული! თუ მართლა გიყვარვარ და გინდა ჩემი ცოლობა, გაიანებე ამ უკუღმართ ცხოვრებას თავი და ჩვენს შეუდგეთ წესიერ ყოფას.

— შეეა ვფიქრობ გენაცვალე მაგაზე და შეიძლება ძალიან ჩქარა, ან ბაქოში ამოვიყოთ თავი, ან კაკავში. ფული უკვე მზათა მაქვს. ეხლა მხოლოდ საბუთები მჭირდება.

— ჩქარა! ჩქარა, თორემ როგორღაც გული საგულეს აღარა მაქვს!

— ნუ გეშინიან ჩემო გვრიტო! რას დაგეკლებს ვიღაც უნსგავსოს ქალაჩუნური მუქარა? შენი ხმალი და ჩემი კისერი, თუ ის გლახაკი შუა გზაზედ არ გავსკულიტო კიბუყელასავით. ოღონდ გაბედოს კი წინ გადადგომა.

ფირალამ ლამე ნაჩევეი ვეფხვივით მამოავლო თვალი ციხის ნანგრევებში დან. შემდეგ გაშალა თავშალი და ხელდახელ შენაყრდა მთელი დღის მშიერი.

— თებრო! არ გეშინიან ყაჩაღ კაცთან რომ გადახლართე შენი ბედი?

— შენთან არას დროს არ მეშინიან! თუ ერთად ვიქნებით, ზღვაშიც გავტოპავთ, არ დავერიდებით!

— ვენაცვალე შენ ჯილა-მოსილ სიტყვას გოგო-ჯან!

ჩამოსხდნენ ცივ ქვაზე და ტყუპათ ქცეულივით ჩაეკვრენ ერთ მანეთს.

— გამიშვი ფირალ! შენ ნამეტანი ძლიერი მკლავები გაქვს!

— შენს ხვეწნაში მარტულობენ ძალ-ღონეს. ჩემო მზეო!

— გამიშვი! ნუ ღელავ საკირეს ცეცხლივით! ნუ ნეძხი საცოდველათ! დრომდის—ყველაფერი ამოაა, შენც კარგათ იცი!

— ეჰ, გოგონი! ჩემი ხასიათის საწრთობათ ეგეთი ფოლადი რა ბედმა გამოგქედა!

— რა შენატრება ფირალ, ერთხელ მაინცა ენახო შენი მიუვალი მაღლობი და იქიდან ამაყად გადმოვავლო თვალი მთელ არე-მარეს.

— ერთხელ წაგიყვან ჩემო გვრიტო, თუ კი ეგრე გეხალიცება.

— წამიყვანე! მინდა ენახო ბუნავი ამ თავზე ხელ-აღებული ყაჩაღისა, ამ გარდახვეწილ ლომისა!..

— კარგი, რამდენიმე დღის შემდეგ! მაშაშენს ვუთხრათ, რომ ქალაქში მიდიხარ. ჩემთან კი დარჩები მთელ დღე და ლამეს.

— რითი გამიმასპანძლდები? ხოხბებს დამრკლავ თუ ჯეირანსა?

— შენ თვითონ ჯეირნი ხარ და ფრთებ დახატული ხოხობი! თუ ჩამაყენებ შენი ჯიშის ცოდოში, ეგებ ისინიც მოვინადირო, ჩემო მალხაზო!

— არ მინდა! ჩემი ნორჩი ვარიკები, მშიერა ქორისაგან დამფრთხალი ვარიკები სულ მირჩევენია შენ ჯეირანის წვადებსა და ჩაბოხბილებს. ჩემს საგზალს შე თვითონ წამოვიღებ და შენც გაგიმასპანძლდები. ეხლა კი გავშორდეთ!

ქალმა და ვაჟმა კიდევ შემოპხვიეს ერთმანეთს ორი კულაპტარი და ორი სალტა. შემოპხვიეს და უფრო აავიზგიზეს ისედაც ძლიერი ცეცხლი. უფრო აამღვრიეს ისედაც გიყათ მჩქეფარე სისხლი...



ასე იცის ახალგაზრდობის კამარაზე ცეცხლისა და ქარის ერთად შეხვედრამ...

ეს არის ძლევა-მოსილი სრბოლა აღმოსავლეთის მზისა შუადღის გულისკენ.

ქალი დაბრუნდა გულდამშვიდებით თავის ყუდრო ოჯ ხისკენ.

ფ რალა კა მიდის თავის ბუნავისკენ და თან ფიქრობს. რაზე არ ფიქრობს! მაგრამ გულში კი ტკბილ შარბათის საგუბარივით გრძნობს ერთ იშვიათ სიამოვნებას.

— ის ხომ ყაჩაღია დაუნდობარი, შეუპოვარი. რა არის მისთვის ან ვინმეს მოკვლა, ან ვაუპატიურება! ამაზე ადვილ საქმეთ ფირალას სხვა არაფერი არ გააჩნია. მაგრამ იმას გასაოცრად ესიამოვნება და თანაც უკვირს თავისი პატიოსნური მოპკობა თებროსადმი. რმას ხომ არ ეშინიან არც ერთი არსებული კანონის! ის უპასუხის მგებლოთ აწყვეტილი ნადირია ცხოვრების სამხეცეთში და ამდენი კეთილშობილური გრძნობა, რამ შეანარჩუნა კიდევ ამ ყველაფერის მკობელ ადამიანს! რათ არის ასეთი სათნო თებროს მიმართ? რათ ინდობს ამ ყოველ შეხვედრაზე თავის სამსხვერპლოთ განწირულ შტრედს? ამ კითხვის პასუხი თვითონაც ვერ უპოვნია, მაგრამ მაინც უცნაური სიამოვნებით იფუნთება იმისი გული, ამდენი სიკეთე და პატიოსნება, რომ ნოვპოვება კიდევ ცხოვრებაში.

შუალამით ოჯახში მარტოთ ყოფნის დროს, ან ციხის ნანგრევებში ყრუთ და განპარტოვებით ერთმანეთს რომ ეხვევან უსურვაზივით, მაშინ ხომ ყოველი წამი ცლუნებას წარმოადგენს! ასეთ შემთხვევაში, რომელი კანონის კაცი, რომელი დარბაისელი მოღვაწე, ან რომელი წმინდა ბერი გამოიჩენს თავდაქერას და არ შესცუწავს ამ ვნების მორვეში? ფირალა კი უდაბნოდან მოსული მწყურვალივით სდვას ამ უყვდავების წყაროს წინაშე და ვერ დასწაფებია, რის დარიდებით—თვითონაც არ იცის!

ამვე დროს მას უხარია, რომ თებრო კნდობა ისე ხელალებით, ისე იმედინათ. თებრომ, რომ იცოდეს, თუ რა დაუზოგავია ფირალი სხვებთან, შეიძლება დამფრთხალი ირემივით ისე გაუხტეს განზე, რომ სათოფეზეც არ მიიკაროს. მაგრამ მია ვაუზრწმელა აზრი ყველას ბუთისნიერათა და სათნოიანათ სახავს, დაე, თუნდა ყაჩაღიც იყვეს!

ფირალა არც გააცრუებს თებროს იმედს: ერთი წმინდა კუთხე მაინც უნდა ჰქონდეს თავის არსებაში, სადაც ჩაუქრობლათ უნდა ბეუტავდეს კანდელი კეთილშობილობისა. მისი მადლიანი შექი საუცხოვო მძევალს წარმოადგენს იმისას, რომ ფრალს ყოველთვის შეუძლიან ხმამაღლა შესძახოს ქვეყნას სადღევრძელო და მზავალეამიერი—პატიოსნობისა და რაინდობისა.

ასეთი ფორჩის ფიქრები მიაცილებენ ფირალას თავის არწივულ საბუდროსკენ. მაგრამ მარტო ფიქრები არა! მას უჩინრათ მიაცილებს კიდევ პირქუში აჩრდილი კომისარ კოწიასი.

თებროს შხვედრით დაწმენდილ და განათლებულ გუნებას ფირალასას ასე მისდევდა უკან სასტიკი ზრახვებით აღქურვილი კოწია.



მამლის ყვირლზე კოწია ისევ დაბრუნდა სოფელში და კვანძოვანად შე-
რისძიებით გატელთილი უცნაური სიხარული.

ამავე ღამეს საიდუმლო მიწერილობით კაცი აფრინა ქალაქში. ფირალს
კი თავის თავი მიუდგომლ ბუნავში წარმოედგინა, საიდანაც დაკინკით და
მედიდურობით გადმოჰკურებს კანონებით აღტუზვილ ქვეყანას. მაგრამ ის კი
აღარ იცის, თუ ადამიანის ბედი როგორ იქსოვება უწინრად ვილაცას ხელში,
ხაღაც შორს.

ყველაფერს გაიგებს, როცა თავზედ დაატყდება რისხვა ქვეყნისა და თა-
ნაც ისე დაარეტიანებს, რომ...

შავ-ბნელი ღამე.

მეორე დღეს ძველ ციხეში ისევ შეიყარნენ, ვახშომობის გულზე, ერთმანე-
თით დანატრულებული ფირალა და თებრო.

— ფირალ! ფირალ! როდემდის გინდა ვმალო ღამის სიბნელეში ეს ჩემი
სიყვარული?

— ქვეყანა ჯერ არ არის ღირსი, რომ ჩვენი გულის საუნჯე მზის გულ-
ზე გამოვიტანოთ.

— ფირალ! შენ ალბათ სულ განადრდი! გადაეჩვიე ხალხში ცხოვრებას!

— მე ჯერ კიდევ ვერ მომიკლავს ეინი ჩემი თავებდური მარტობით.
ხომ გინახავს—პატარა კვიცი იალაღათ რომ დანავარდობს ვაშლოლ მინდორ-
ზე? მეც ისე ვგძნობ სიუბეეს ჩემი ძალ-ღონისას და მებალისება ბედთან კიდი-
ლი. თუ მომერევა უდროვით და უღაზათოდ, დაე დამბეკოს დედამიწაზე,
რომ ვეღარ ავდეკე. მე ყოველთვისაც ველი ჩემს თავზე ასეთ სიმუხთლეს.

— წავიდეთ საღმე! მომარიდე ამ ქვეყანას ცოტა ხნით მაინც! მანდა თვა-
ლი გაეახილო სხვაგან სხვა მხარეს.

— როგორ ახალი დაქრილი მტრედით გიცემს გული გოგონი!

— ამ ქვეყანაში ყოფნა მე უკვე მეჩოთირება როგორღაც.

— მე ვატყობ, ამ ბოლო დროს შენ ყველაფერზე გეთანაღრება გული.

— მამაჩემიკი კი მეუბნება: გასათხოვრად შეღერებულ ქალიშვილს არ
შეშვენის ამდენი ჩუჩუმაობა ახალგაზრდა კაცთანო.

— მერე გოგონი! არ დაგენანება აქაურობა, შორს რომ გადაეხეწნეთ
საღმე?

— მე მიყვარს მამაჩემი, მაგრამ შენც მიყვარხარ და ვერ გვლევია. როცა
დამშვიდდება ყველაფერი, დაგიფიწყებენ ყველანი, მაშინ დაუბრუნდეთ ჩვენც
აქაურობას.

— შენ გინდა ისევ შემება წყნარი ცხოვრების უღელში?

— მაშ, რაა მესიყვარულეები ასე საგანგებოთ, თუ გუნებაში არ გიძღეს
ჩვენი კერის მოწყობა?

— ვაიმე გოგონი! შენ იკვი ხომ არ გეპარება ჩემ სიყვარულში?

— არა, გენაცვალე! იკვიანი გულით ვანა შემიძლიან მოვიდე აქ, მარტო,
ახალგაზრდა კაცთან და ისიც, ყაჩაღთან?

— და მისი მკლავები ჭკოსავით შემოვკვდენ ფირალს ამაყ ქედს. ორი ვნება ერამანეთს ეზიდებიან მთის ჩანჩქერით და ჩერდებიან თავდავიწყების დიდ გალაყანაზე.

— ორი ცუცხლი თითქოს ლამობს ერთმანეთის შთანთქმას, მაგრამ მაინც არ იწვიან, არც ნელდებიან.

— წაიღე ფირალ ეს საგზალი და მეც გაგშორდები! უკვე დრო არის, მოენახო სახლი.

— წაველ გვრიტო, მაგრამ... ეს ორი დღეა, როგორღაც შენი კაი გამტკიცული გუნება ველარ დაძინებავს...

— ჩემი გუნება შენი მზის ამოვლასა და ჩასვლასა შეწყობილი.

ფირალამ გზებით შეუყარა ორივე დამავრალი ხელი შავ აბრეშუმათ გადაყრილი დალაღებში. გადაუგდო უკან ტოროლა თავი და იმის ატეხილ ფშანვას სულ ახლო ეწაფებოდა, როგორც ხოყურ, უცნაურ საზრდოს.

— მთვარე, რომ ანათებდეს, შენ თვალეში უსათუვოდ რაიმე სევდას ამოვიკითხავდი...

— ფირალ! ჩემო ფირალ! როდის მაჩვენებ შენ ბუნავს? მინდა ვნახო, როგორა სძლებ მარტო? რაზე გძინავს, ქვა გიდევს თავით თუ ჯირკი?

— თივა გოვონი, მინდვრის სუნით დაბნეული თივა!

— იმ სიმალიდან, საიდანაც შენ იცქირები, მეც მინდა გადმოვიხედო. თუნდ წამოვალ და ვიცხოვრებ შენთან ერთად ყაჩაღურად... მალულად! მე კიდევაც მომწონს ეგეთი განდევნილობა და სიამაყე! მაშინ ადვილათ ველარც მე გამცეშს ვინმე ხმას! და თუ მოვეკვებით, ერთად მაინც მოვეკვებით! მაშინ ჩვენ სიბერეს არავენ დაგვაცდის! უკეთად დაგვბოცავენ ნაადრევ თ. მაგრამ ერთად მაინც დავიხოცებით ახალგაზოდები, შეყვარებულნი. ეკები დავენანოთ კიდევ ჩვენს მკვლელებს!...

— შენ მონადირესაგან დამფრთხალ შევლივით, თითქოს ისეთ კლდეებზე და ხრამებზე მიხტიხარ, სადაც ყოველ წამს შეგიძლია გადაიჩხო, რათა? რათა?

— შენთან ერთად! მარტოობა თითქოს ხარსა მცემს...

— თუ ფირალს მკერდ აი გული უცემს, შენ მარტოდ არასდროს არ იქნები!

— მაშ, წადი, ჩემო გმირო? ჩემო ქვეყნის უყარავ, წადი!

— მომეცი ძღვენი და წაველ!

— აჰა, თავშალშია გ მოკრული!

— არა! შენი ბავით! მწითე შეინდით დაფერილ შენი ბავით!

— კარგი ფირალ!

— შენი გუტუნა თვალეშიც, გარუჯული ლერწამები, რომ შემოვლებიან მაღალ ლობეთ!...

— ფირალ! გეყოფა!

— შენი მარმარილოს შუბლიც, ორ გიშრის რკალზე რომ გაშლილა!...

— ფირალ, შენ დამახრჩობ!



ქართული
ენციკლოპედია

— შენ ყელსაც ვერ ველევი, ამ ბროლის ნათალს!...
— ფირალ, გონს მოდი!
— შენი მხარიც, სამოსი-რომ იწვის მისი ფარვით!
— ფირალ! აღბათ ლომიც ეგრე ბლუჯავს ძლიერი ტარებით თავის მსხვერპლს...

— სატაკური ხარ, თუ ალვის ხე, ვოგონი? ნუკრი ხარ, თუ ძე ლომი? ტოროლა ხარ თუ მიმინო?

მართლაც, შემთხვევით ხელში ჩაეარდნო მიმინოსავით თებრომ უცარიე გაპკრა ფრთები და გაუსხლტა ფირალს.

— გიჟო! ყაჩაღო! წადა კარგი!
— წაველ ვოგონი! მაშ მშვიდობით!
— მშვიდობით!...
— მიჯაქულო ამირანო! დიად, მე შენზე მიჯაქული ამირანი ვარ და ვერც ავიწყვეტავ მთელ სიცოცხლეში! არც მინდა ავიწყვიტო!

— შენ დღეს სულ უცნაური ხარ, ფირალ!
— შენც, შენც ჩემო გვიტო!
— ჩვენ ესე ველარ გავძლებთ დიდხანს...
— ამაღამ სულ ერთია არ დამეძინება და ვიფიქრებ, სულ ვიფიქრებ ჩვენ საბოლოო ზედ-იღბალზე.

— კარგი, წადი!
— მაშ გამარჯვებით!
ფირალა შეფიცებული გუნებით, ჩვეულებრაზე უფრო სწრაუად გაემე-
თავის ბუნაგისკენ.

თებრო-კი უნებლიეთ შეჩერდა შუა გზაზე და გასცქეროდა ფირალის კვალს. რალაცა სწყდება გულში საამურად. თან უბარია ამ საღამოს შებედრა, თანაც აერეოლებს რალაცის მოლოდინით. ნეტავ როგორ მოეწყობიან ცხოვრებაში? რა გზაზე ივლიან? ხიდი ხომ არსად ჩაუტყდებათ? რა მოვლით ხვალ. ზევ, იმის იქით!

— ფირალას შემოველოს თებროს ორივე მკლავი! ფირალას ენაცვალოს თებროს ყუყუნა თვალები...

ამ დროს იხტუნა ორმა აზრდიღმა და ოთხი რკინის მკლავი შემოებეია თებროს გარშემო.

ქალმა ხმის ამოღებაც კი ვერ მოასწრო, ისე შეუგუბა სული კოწიას უხეშმა ხელმა.

ბრძოლითა და ძალდატანებით ასე გაათრიეს საწყალი გოგო გზის იქით ჩირგვებში.

— შენ გეგონა ტყუილათ დავემ-ქრე? რეიზა არ დამიჯერე შე უბედურო! აწი შენი ბრალი იყოს ყოლიფერი! მე კი ჩემსას შევისრულებ და სხვაი შენ იცი!

თებრო თითქმის გონება დაკარგულია, მაგრამ მინცა გრძობს ალლოთი, რომ იმის თავს რალაცა საშინელება ხდება. უნდა დაიყვიროს, მაგრამ ხმა

ალარ ემოჩილება; გული ყელში ედება. ის, ძალა-წართმეული მიწაზეა დართ-
ხმული და მხუცი ადამანი კი საშინელ მაგლაჯუნასავეთ აწევება.

ცა ინგრევა თუ მიწა ირღვევა—თებროს ველარა გაუგიარა. სულშემზუთავ
ცეცხლის ბურანში კი გრძნობს თავს. ყველაფერი დატრიალდა მის აზრში:
ალიგავა ყოველგვარი წარმოდგენა ქვეყნისა, ხალხისა, სამართლისა. ირგვლივ
არის მხოლოდ ჯოჯოხეთი და მასში უღეთოდ განწირული თებროს.

კიდევ გაისმის უკანასკნელი სასოწარკვეთილი გმინვა—...

შემიბრალე... გამიშვი!.. გრცხვენოდეს!.. უსინდისო!.. უღმერთო!..

კოფიან მხეცის ყუღში არ შედის ბუღარა კრავსა. ყველაფერი გაქრა
ამ ქვეყანაზე! დარჩა მხოლოდ აწყვეტილი ჟინის ბურანი, თავდავიწყების ნია-
ღვარი, სიამოვნების ჭიკოკონა. ერთის წუთით სულ დაბნელდა მთელი გარემო
და როცა ახლათ აიხადა ფარდა ქვეყნისა, ყველაფერს საშინელი აოხრების
ელფერი ეღო.

კოწია პირქუში აჩრდილივით დასდგომია თებროს თავზე. თვითონ
თებროსი პირქვე ამხია და ქვესქნელს ჩაქვეითინებს თავის შავ ბედს. განზე
გამდგარი კოწიას ამხანაგი ხომ ალარც-კი სჩანს ღამის წყვილიადში.

კოწია უკვე ფხიზელა. მას აქ საქმე ალარა აქვს.

— ადევ ქალო! გირჩევენია წახვიდე სახლში! ტიჩილით ველარას უშველი
საქმეს!.. არც ამის შემდეგ მომთხოვდები? კიდევ მეტყვი უარსა?

— ლაჩარო!.. სხვა რაღა გინდა? მომწყუდი თავიდან!..

— ეხლა შენ თვითონ შემეხვეწებ! და თუ კრინტა დაგიძრავს სადმე ამ
საქმიზა, მაშინ მე ვიცი, როგორც მოგიჩივდები! არ დაგავიწყდეს, რომ შენა
მაღავ ყაჩღ ფირალას, რომელსაც მთელი ქალაქი მუსუსათ დაექებს! ჰო, და
გახსოვდეს! თუ ხმა ამოგიღია, შენ და მამაშენიც იმ ყაჩაღის გზას გაჰყვებით.
ყველაფერს-კი სჯობია, ისევ მე მომთხოვდე!

თებროს წამოდგა ბარბაცით და სახლოსკენ წავიდა. კოწიამ თითქოს
მოინდომა მიშველება, მაგრამ გოგომ საშინლათ იუარა.

— მაშ წადი, შენ თვითონ დაიმშვიდე გული! ხვალ კი ეგები კიდევაც
მეხვეწებოდე—ცოლათ შემირთეო!

ამ სიტყვებით კოწიამ და თავის ანხანაგმა იბრუნეს ზურგი და წავიდნენ
თავიანთ ბინაზე.

თავგანმჯობა

სიტყვილით დახვეწილი თებროს დაქრილი შველივით შეჩერდა ჭიშკართან
და ფეხის გადადგმა დაუძამდა:

— როგორ შევიდეს სახლში ნამუს ახვლი? როგორ დაენახოს მოხუც
მამას მანდილ შერცხვენილი? ფირალა ხომ ერთის თვალის გადავლებით აღმოი-
კითხავს მის დაკარგულ საოწხეს! თავზე ცა ემძიმება თებროს და ფეხ-ქვეშ
მიწა. რაღაცა ზევეი ჩაჰოწვა მის ცხოვრებაში! რაღაცა მთები ჩამოიხრანენ მის
არსებაში. მუხლებიც ეკვეთება საშინელ ტვირთ ქვეშ. ველარ უძლებს გუშინ-



ქართული
საქმიანობის

დელი ნორჩი ლერწამი ბედის პირქუშათ ჩამოწოლას და კეთხემი ჩაქედით
ლოდს დაემხო პირქვე.

რა გაანდო იმისმა დაკოდნილმა გულმა ამ ცოვათ გაკერპებულ ლოდს?
ფიქრობდა დედის მკერდზე? თუ ამ ლოდზე მეტ თანაგრძობას არავისგან არ
ელოდა, იმიტომ ჩაპკროდა ისე მაგრათ, ისე მდღღარეთ?

მაინც ცხოვრებისა და სიცოცხლის გაუკუღვე წვედი დიდან ზოდის ქუხი-
ლით რალაც ნიაღვარი. თან მოაქვს კლდე და ლოე ყველაფერს ემუქრება
წალეკვით. ველარც თებრო აღუდგება წის და გაჰკვა ამ ყველაფრის ამოხრე-
ბელ ნიაღვარს.

თებროს წამებით გადადგმულ ნაბიჯს ღამის წყვილიდი კშლის უგზო-
უკლოთ. მდის წინ ვაი-ვაგლახით და უკან აღარაფერი რჩება დასანანი.

გასაოცარია უსამართლობა განგებისა! რატომ მეხი არ ჩამოვარდება და
არ ჩაიტანს ცხლავე თებროს?

ასე მიაღწია უღმობელათ დაკოდნილმა უმანკობამ გიგურ ტალღებით მო-
ლივლივე მდინარეს.

ხელნაკრავივით სწრაფად გადადგა ნაბიჯი მდინარეში და უცებ შეჩერდა.
ცივმა წყალმა თოქოს უეცრივ გადასწბინდა შავი ბურანი და თებრომ ახლად
თვალ-ახელაღვიით ისეკ დაინახა ქვეყანა, მთა-ბარი, მოხმაურე მდინარე და
სიცოცხლე...

დაინახა და იგრძნო, რომ სჩადის რალაცა დიდ-მნიშვნელოვანს, რომლის
ყადრიც მან არ იცოდა აქნობამდის.

ერთი ნაბიჯის გადადგმაც— ეს ხომ უდრის ყველაფერს! იმის ბავშვობას,
მოხუც მამას, ფირალას! იმის ახალგაზრდობას, სიმღერას, მთელ სიცოცხლეს...

იმის ათქვირებულ და საღ ტანს შეყვარებული გიგივით გაიტაცებს ეს
თავხედი მდინარე და შემდეგ მისილავს საღლაც დიდ ლოდებზე ნაყევე-ნაბეჯეს...

თებროს გული აუჩუყდა, დაენახა თავისი ტანი, ახალგაზრდობა...

უცებ მოისმა ხმა:

— ენმაკი ხარ თუ აღამიანი?

თებრო სღუმს ქვად-ქვეუღვიით.

— გაფიქებ სამას სამოც და სამ წმიდა გიორგის, პასუხი გამეცე, თუ
აღამიანი ხარ!

ამ ხმამ თებრო სულ ერთიან შეარყია.

— ეხ, მშვიდობით! ყველა!

აქ თებროს მიემატა რალაცა გადაწყვეტილების ძალა და წყალში გადაი-
ჩება მოწყვეტილი ლოდივით.

ამ უცნაურ მოვლენით შეშფოთებული თედო ძალა-უნებურათ შეეკანება
წყალ-წადებულისკენ.

— ვინა ხარ შე უბედურო? რას სჩადიხარ?

თედომ ზეპირათ იცოდა ამ მდინარის ყველა ნაპირი. რაკი დარწმუნდა,
რომ წყალში გადაეარდნილი ნამდვილი აღამიანი იყო და არა აღი—გაყვარების
თანგანწირვით შეიჭრა მდინარეში და საჩქაროთ გამოაცურა ქალი ნაპირზე.



თებრო! რა დაგემართა შე კვი ქალო! არა გრცხვენმა!

ქალი კანკალებს. დაბნეულია და ძლივას ჰყენესის:

— არა ღირს ჩემი სიცოცხლე...

— რამ გავაგვიყა! რა პასუხს აძლევ, ქალო. შენ სახლ-კარს, მამაშენს, შენს ახალგაზრდობას?

— სიკვდილი სჯობია ჩემს სიცოცხლეს!..

— ნუ ლაპარაკობ ქალო! აი ჩემი მაზარა მშრალია და ჩაიციე ჩქარა!

თედომ სირცხვილი და შარიღება უადვილოდ იცნო. თითქმის ძალი ძალათ გააძრო თებროს სველი სამასი და წამოასხა თავის მაზარა. შემდეგ აიყვანა ხელში და ისე ატარა ციმ ციმ, შიოს ეზომდის.

რაცა თებრო სახლში შევიდა, თედომ მხოლოდ მაშინ იგრძნო გული საგულეს და გაბრუნდა სახლისკენ. წყლის პირას უპატრონოდ მიტოვებული ხარები თვითონ მოდიოდნენ შინისაკენ. თედო დიდხანს იჯდა მარტოკა, თავის კარებზე და საგონებელში ჩაეარდნილიყო.

რა მოხდა ნეტავი? რა მეზი დაატყდა თებროს თავზე? რათ ჩაიდინა ეს უბედურობა?

ბარემ კი სჯობია, მთელ ღამეს იჯდეს თებროს გვერდზე და უყვავებდეს სიამტკბილობით, მაგრამ... უკუღმართად არის მოწყობილი ცხოვრების წესი.

ათას-ფრთოსანი ფიქრები ჯიანჭველასავეთ ეხვევიან თედოს ტეინსა და გულს. ღრღნიან და სწოვენ. არ ასვენებენ. ძილს უკარგავენ...

აწ რათ უნდა თედოს ძილი, როცა იცის, რომ არც თებროსა სძინავს! შფოთავს და ლელავს. თანაც დასწუხს უმსგავსოდ ჩანკლებულ თავის სიცოცხლეს.

აქლი თავგასულისა

მეორე დღეს მზე უკვე კარგა წამოაღვა ცაზე.

შიოს უკვირს, რომ თებრო ჩვეულებრივის სიმალხაზით არ წაწოხტა დილა-ადრიან.

მთელ წვრილფეხს ყავილ-ხივილი გაუდის დაზარმაცებულ პატრონის კარებთან და მოუთმენლად ელიან დილის ულუფას.

შიო შევიდა ოთახში.

თებრო, ქალაღია წამოსხმული, დაბნეულათ იჯდა ლოგინზე.

— ავათ ხომ არა ხარ, შეილო?

— ... ჰო, ავათა ვარ მამა... დღეს ვერ ავდგები... ჩემ მაგიერ შენ მოლარე აქაურობას!

შიო უხეზულად ტორტმანებს აქეთ-იქით და თანაც ჰოკმინობს რაღაცაზე.

— გინდა რამე, მამა?

— არაფერი... ისე..

შიო კ'დეე ჰოკმინობს. პირზე რაღაცა ადგია და ემძიმება გამოთქმა.

— წუხელი, შეილო, სკოლა ხომ არ გავიგია რამე?

— ბურანაში მგონი მომესმა რაღაც, მაგრამ ყური არ დამიგდია.



— ...შო და... წუხელისა, შვილო, უბედური ღამე იყო...

თებროს გააერგოლა:

თედომ უთხრა რამე? თუ შიო ლაპარაკობს სულ სხვა რამეზე?

— რა იყო მამა?

— ...რაი და—ფირალა მოკლეს...

— რას ამბობ მამა, კარკად არ მესმის!

— ...ფირალა, შვილო, მოკლეს წუხელისა!

ულდნაკრავი იებრო გაშეშდა უძრავათ.

— მამლი-ყიულზე ქალაქიდან მოსულა მილიცია. რკინი სალტასავით შემორტყმოდა იმი საფარს. ისე მ.პაროდენ, რომ ლკინასკენელ ეკამიდი გერაფერი გაეგო. როცა ზედ წაწყდომოდენ მწოლარეს, მაშინ კი აეტება სროლა, მაგრამ გვიანდა იყო: იქვე აღაგობრივ გაეციევიბინათ ი უბედური...

თებროს უძრავ ლოდს და-სგავსებია. მისი უნაურათ გამოღამებული თვალეზი უაზროთ ჩაშტკრებიან ქვესკელის სიბნელესა და სიღრმეს, უძირო სიღრმეს...

— ...ეჰ, დაილოცოს ღვთი სამართალი რა ბიჭი გაფუჭდა უღაზათოდ, აფსუს, აფსუს!

შიო ისევ ტორტმანებს გამოურკვევლად. რალაციის ძქმა უნდა, ვერ ახერხებს. თავს იფხანს უხეზულათ და თანაც თებროს გადააელებს თვალს.

— შვილო, თებროს! რა უყოთ! ბედი საწერელს კაცი ვერ წაუქა! ალბათ ეგეთ ვარსკვლავზე იყო დაბადებული და ეგრეც მოკვდა... დარდს თავს ნუ მისცემ შვილო! მწუხარებით რალა ეშველება!..

შიო წელ-მოწყვეტილივით გავიდა კარში.

თებროს კი მხოლოდ ეხლა იგრძნო სიცოცხლის გამოფხიზლება: ნაზგალ-მოსმულავით მოეკვითა ლოგინზე და მართო ნაღველ სამსალით სავსე ქვითინი. განა ქვეყანაზე უეჭველად რამე დანაშაული უნდა მიუძღოდეს ადანიანს, რომ დაისაჯოს?

აბა, რა დაშავა ჯერ თებროს, ასე სასტიკად რომ გასწირა მუხთალმა ბედმა?

აქნობამდის დაუხარკავი მისი სიცოცხლე რათ იღრჩობა წამების ვალში? ან იქნებ დანაშაულად ის ჩაეთვალოს, რომ განგებისაგან მიპნიკებია უბადლო ეზბი და სილამაზე?

(გაგრძელება იქნება).

გრიგოლ ორბელიანის გამოუქვეყნებელი ლექსები

ცენტრალური არქივის სიძველეთა დაცვის განყოფილებაში ინახება გრ. ორბელიანის მიწერ-მოწერა კერძო და ოფიციალურ პირებთან. განვიზრახე მათი შესწავლა. ამ ხელნაწერთა შორის არსებობს ერთი წყება შემდეგის სახელწოდებით: „Бумаги, отобранные у шарушиа Грузинскаго-Гренадерскаго полка кн. Григория Орбелiani 1833 г.“ ეს ის ქაღალდები უნდა იყოს, რომელიც გრ. ორბელიანს ეანდარმის გენერალ-ადიუტანტმა ორლოვმა ჩამოართვა 1832 წლის შეთქმულების შემდეგ.

ამ წყებაში, გარდა საქმეთა და ხელნაწერთა საინტერესო მასალებისა (წერილებსა და ფაქტიური მასალების მხრივ) გრ. ორბელიანისა და 1832 წლის მემამბოხეთა შესახებ, აღმოჩნდა მეტად საინტერესო წმინდა ლიტერატურული მასალაც, რომელიც ჯერ არ გამოქვეყნებულა ბეჭდვის სახით და ფართო საზოგადოებასათვის სრულებით უცნობია.

1. ამ საქმეთა წყებაში, სხვა მრავალ მასალებთან შორის, არის ერთი რვეული, რომელსაც აწერია (სხვისი და არა გრ. ორბელიანის ხელით): „Тетрадь разных стихов на грузинском языке (из коей переведено стихотворение—Исповедь) № 6. ეს რვეული შეიცავს გრ. ორბელიანის ხელით დაწერილს ექვსს ლექსს: 1) „გზის გუშაგად მდგომარეს... ხმაზედ“, 2) „მას უხაროდეს, ვისაცა ღვინა“; 3) „გაზაფხული“; 4) „მარგალიტო ცრემლთა ცრემლი ხდევს ნიშნად“; 5) „მთოვარე, მოწამე აშიკთ“; 6) „აღბომში.“ და სამს კრილოვიდან ნათარგმნს არაკს: 1) „ვირი და ბულბული“; 2) „სოფელი და მდინარე“ და 3) „ნადირთა ქირი.“¹⁾ ამ ნაწარმოებებიდან ოთხი ლექსი ჯერ არსად არ დაბეჭდილა.

გრ. ორბელიანის თბზულებათა უკანასკნელ (1884 წ.) გამოცემის ბოლოსიტყვაობაში ზ. ჭიჭინაძე გვეუბნება: „გრ. ორბელიანის ლექსები პირველად პეტრე უშაკაშვილმა გამოსცა 1873 წ., მეორედ მე გამოვეცი 1879 წელს. გამოცემაში აქვთ პოეტმა მიიღო მონაწილეობა და უკანასკნელს კორექტურას თვით ასწო-

¹⁾ ეს ლექსი დაბეჭდილია შემდეგის სათაურით: „დავითს“.

²⁾ რილევის „Исповедь“-ის თარგმანი გრ. ორბელიანის ხელნაწერებში არ არის.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

რებდა. ეს შესაძვე გამოცემა გადმოიბეჭდა ჩემგან გამოცემლის ერთი ეგზემპლარიდამა, რომელიც თვით პოეტის ხელით არის შესწორებული და გამოცემული თვით მისგანვე, რომ თუ ოდესმე დაიბეჭდოსო, ამ ეგზემპლარიდამ უნდა დაბეჭდოთო. ჩვენ დაებეჭდეთ ეს და დაფიცებით ყველა ის, რაც კი პოეტი ავან რამე ცვლილებანი შეტანილი.* საკვირველია, რომ ხუთი სადაო ლექსიც კი ჩაუმატებიათ ამ გამოცემაში და ამ ლექსების შესახებ კი არაფერს არ ამბობს არც პოეტი და არც გამოცემელი. ალბად თვით პოეტს დააფიცდა ეს ხელნაწერები, რადგანაც ისინი თითქმის 50 წლის ჩამორთმეული იყო.

ეს ლექსები შინაარსის მხრივ გრ. ოზბელიანის ამავე პერიოდის სატრფიალო ლექსებისთანა და მხატვრულობით დაბეჭდილ თხზულებებს არ ჩამოუვარდებიან. მაგალითად:

„არ უწყვი, თუ ალი ტრფობის, ვითარ ძლიერ გულს მეგზნების,
არ უწყვი, თუ მას ეამს, ვითა სული ჩემი იტანჯების.“

მარა გიცნობ, მისთვის მწამბარ!.. კვალად ლხანი გულს მეწვევის,
დაცინებით ვუმხერ რაყაფთ, რომელთგან არაა მეშიშვის“

(„ვზის გუშავად მდგომარეს... ხმაზედ“)

ან კიდევ:

„ეს არის საშიშ, შექმელი, ცეცხლი უხილავ, უალო,
არ აჩენს ვარეთ ნიშანსა, შიგნით გაოხოებს, ჰე გულო!“

ტრფობა უძღური გულთ წყაროს ჰგავს მთიდგან გარდმოქანებულს
ჩაოდენ ველზე შორსა ვალს, ეგოდენ დაუძღურებულს!

ესზევი გული ან ცრემლით, ან განშორებით განაქრობს
თვისსა სიყვარულს, თვის ტანჯვით და მესვე ნებითვე ლხინობს!

რა ჩემებრ გული კლდოვანი მიიღებს ეშყის ბეჭედსა,
დრო მასა ველარ შემუსრავს, თუ არ შემუსრავს თვით კლდესა.“

(„მარგალიტთ ცრემლთა ცრემლი ჰსდევს“...)

ამისთანა მაგალითები გრ. ოზბელიანის, ამ გამოქვეყნებელ ლექსებში მრავალია.

2. ამავე საქმეთა წყებაში, ზემო აღნიშნულს გარდა, არის კიდევ მეორე რვეული, რომელშიაც მოთავსებულა პირველი ვარიანტი „სადღევრძელოსი“. ეს ნაწარმოები გრ. ოზბელიანს დაუწყევია 1827 წ. და თავდაპირველად ჰქონია სათაური:

„ტოლუბაში--

ანუ

ომის შემდეგ ლხინი.

და

სადღევრძელო“

1827 წ.

უნდა ითქვას, რომ ეს ვარიანტი, შედარებით გამოქვეყნებულ „სადღეგრძელოსთან“ დიდს განსხვავებას წარმოადგენს. ამ ვარიანტში გრ. ორბელიანის რომანტიული აღმაფრენის მთლიანობა უფრო დაცულია. აქ არ არის გაკვიანურებული დიდაქტიზმი. შემთხვევითი ჩამატებანი, რომლებითაც ასეა დამძიმებული უკანასკნელი რედაქცია. მხატვრულობის მხრივად ეს პირველი ვარიანტი უფრო ძრიელად უნდა მივიჩნიოთ. პარალელი ადგილებიც პირველ ვარიანტში უფრო მეტის მთლიანობით და პოეტურის აღმაფრენით არის შესრულებული.

3. ამავე წყებაში არის ერთი არაკი „დათვი და ცხვარი“, ცალკე ფურცელზე, გრ. ორბელიანის ხელით დაწერილი. — ეს არაკი მოთავსებულია რამდენიმე სხვა ხელთნაწერებთან. ეს წყება ჩადებულია ქალაქში, რომლის გარე კანს აწერია: „Сочинение, вышутое из бумаг князя Александра Арбелелова“. ამისათვის ეკვი იზადება, შეიძლება ეს ლექსი გრ. ორბელიანისა არ იყოს. თუმცა მიმართულებით და შინაარსით უდგება გრ. ორბელიანის და მაშინდელი ჩვენის საზოგადოების ერთი ნაწილის მდგომარეობას და სულიერ განწყობილებას. არაკი, როგორც ლიტერატურული შემოქმედების ფორმა, გრ. ორბელიანს ცხერხებოდა (თარგმნა კრილოვიდან რამდენიმე არაკი ამავე დროს). ეს არაკი პოლიტიკური ხასიათისაა: დათვი — თვითმპყრობელი — რუსეთია, ხოლო ცხვარი — საქართველო.

4. ამავე წყებაშია სოლომონ რაზმაძის მიერ თარგმნილი პოლონელი მწერლის მიცკევიჩის „ფარისი“. ამის შესახებ აი რასა სწერს გრ. ორბელიანს სოლომონ რაზმაძე 1832 წელს 9 იანვარს:

„ბრწყინვალე კნიაზო გრიგოლ!“. . . . ეს რვეული ჩემგან გადმოჩამახელი „ფარისი“ არის. წაკითხვის ღირსი კი არ არის, მაგრამ რათგან ასე მწყალობ, რომ თავს იმდაბლებ ჩემს ნათარგმნის წასაკითხავად, ამაღ მოგართვი.

დავთეზი თქვენის ბრწყინვალეების უმდაბლესი მოსამსახურე სოლომონ რაზმაძე“.

ეს თარგმანი ¹⁾ საინტერესოა ჩვენთვის, როგორც ნიმუში ევროპიული მწერლობის ქართულად მთარგმნელობისა მე-XIX-ტე საუკუნის დასაწყისში. აგრეთვე იმითაც, რომ მიცკევიჩის „ფარისი“-მა ერთგვარი შთაბეჭდილება იქონიან. ბარათაშვილზე.

5. ამავე არქივში გრ. ორბელიანის ხელთნაწერებში — „წერილები გრ. ორბელიანისგან სხვა და სხვა პირთადმი“ არსებობს პოეტის „პასუხი შვილთა“-ს ვარიანტი „გამოცანების პასუხი“-ს სათაურით. ამ ვარიანტის შინაარსი და კილო მეტად მოურიდებელი, მკაცრი, უხეში და გაღიზიანებული, შედარებით დაბეჭდილთან. ²⁾ აშკარად გვეუბნება, რომ ეს ვარიანტი პირვანდელი სახე უნდა იყოს გრ. ორბელიანის „პასუხი შვილთა“-სი.

1) სოლ. რაზმაძის „ფარისი“-ს თარგმანი მოთავსდება შემდეგ ნომერში.

2) ამ ვარიანტის ახლობელი რედაქცია დაბეჭდილია „ცისკარში“-ც. ამისათვის მთლიანად აქ აღარ ვებეჭდავთ.



მაგ.

„კოლო-ბუხეზო,
ლიბერალებო,
ქკუთ გლაბეზო, პატრიოტეზო!

გზა დაკარგულნო
წყალწაღებულნო
კატის კნუტებო, რიდგანა კნავით?

მოვლეთ რუსეთში
აფრიკაშია
მობრძანდით ისევ უანზანონი!
ვირი წავიდა,
ვირ დ მოვიდა,
კაცად ვერ იქცა, თვით ქაბის მადლით!

გოგრა ცარიელ,
ჯიბე ცარიელ,
მილიონებზე მალლა მყვირალი..

მსხელ ბეჭიანსა,
ნახშირიანსა
ბარგი აპკიდეთ, აგზაენეთ მთაში* და სხვა.

გრ. ორბელიანის დაბეჭდილი „პასუხი შვილთა“ შემდეგ შერბილებული და უფრო დამშვიდებული კილოთი არის დაწერილი.

ილა ქაეჭაეჭის ნიჭიერი „პასუხის პასუხი“-ც შინაარსის მიხედვით, ამ პირველი ვაოიანტის გამოძახილი უნდა იყოს.

ნ. აპაე წყებაში არის ლექსი „ქართველი ძველის წინ“, რომელშიაც მოთხრობილია ქართველის ჩივილი „მოხუც ვორონკოვთან“.

„როჰ, როგორც მის დროს მის (ჩემს) სამშობლოში

„მგელი და კრაეი ერთად ველარ სძოვს“.

რაც მის დროს იყო წაღმა დაბუნული,

დღეს უკნურება უკულმა ჰფარცხავს,

და შეამდგომლად აწ საქართველოს,

როგორც მოსარჩლე აღარაეინ ჰყავს“.

ეს ლექსი დაწერილია გრ. ორბელიანის ხელით და ქვევით აწერია— „ქართველი“. გრ. ორბელიანი ჩვენს მწერლობაში ცნობილი არ არის „ქართველის“ ფსევდონიმით; ასე რომ, არ ვიცით, ეს ლექსი მას ეკუთვნის, თუ სხვისაა გადმოწერილი. თუმცა კი ლექსის შინაარსი და მიმართულება სრუ-

განწყობილენა და მსოფლ-მბე-

ღიად შეეფერება გრ. ორბელიანის სულიერ განწყობილებას¹⁾ და მსოფლ-მბე-ღველობას.

ვფიქრობთ ეს ლექსები საინტერესო უნდა იყოს არა მარტო ჩვენი მწერლობის მკვლევართათვის, არამედ ფართე საზოგადოებისათვისაც. ამისათვის ვაქვეყნებთ მათ.

„გზის გუზაბად მდგომარის... ხმაზელ“.

თაყვანის მცემელთ როს გუნდი გარეშემოგვტრფის ფარვანებრ?
რათა გსურს, ყოველთ მათგანსა, ეჩვენებოდე მშვენვიერებრ?

ქებათა მათგან უგულოთ, რათ ისმენ სიამოვნებით,
რომ ესე ფრიად ხარობენ, შემცდარნი იმედიოვნებით?...

ვით დაკარგულს მე მათ შორის, გულს მხედდებიან იქენი ისრად...
არც მიხედვით, არცა სიტყვით, არა ღირს მყოფ სანჯგეშად

რომ მით ეგებ სულის ღელვა, ესრეთ მტანჯი, დამიწყინარდეს,
გაშმაგებით სიყვარულის ძალა, ეგებ დამიმშვიდდეს.

არ უწყო თუ აღი ტრფობის ვითარ ძლიერ გულს მეგზნების!
არ უწყო თუ მას ეამს, ვითა სული ჩემი იტანჯების!

მარა გიცნობ, მისთვის მწამხარ!... კვალად ღზინი გულს მეწვევის,

დაცინებით ვუმზერ რაყიფთ, რომელთგან არლა მეშიშვის.

პულკოვა—1831 წელის, დეკემბრის 9-სა.

გ ა ზ ა ზ ხ უ ლ ი

ყოველ სულთა საცხოვრებლად,
სასიამოდ, საშვებლად,

¹⁾ აი, გრ. ორბელიანი 1854 წელს 21 აპრილს რასა სწერს ვირონიცოვს: „С отъездом Вашей Светлост Грузия оделась покровом пелали, наносящей скорбной мыслью, что быть может ваша светлостъ не пожелаетъ возвратится Сюда. В течение десятилетнего блистательного правления Вашего, народъ привыкъ видетъ васъ своимъ благодатнымъ гениемъ и в мирѣ и в войнѣ. Онъ по слову Вашему воссталъ, преобразился нравственно и быстрыми шагами пошелъ по пути просвѣщенія в культурномъ и материальномъ отношеніяхъ. Пусть даже замолкнетъ исторія, пусть даже замолзитъ народъ, который всегда съ благословеніемъ произнесетъ Ваше имя, и молитвы котораго последуютъ всоуду за вами“. ასე რომ შანაარსით ეს წერილი ზენო მოცვანილ ლექსს სრულებით ედაგება. ამისათვის შესაძლებელია ეს ლექსიც გრ. ორბელიანს ვკუთვნოდეს, მ.გრამ შიშით ვერ დაუბეჭვდია.

გაზაფხულით ვანიღვიძებ,
 ნიავე ჰქრის სუნნელებს,
 მდელი ნაზად აღმწვანდების,
 და მზემ სხიენი ჰყო უნათლეს.

დრო საამო, როს ბულბული,
 ვარდსა შესტრფის, სიყვარული
 ყოველთათვის აღმოჩნდების;
 როს უმეტეს ტრფობის აღი
 გულსა შინა აღეგზნების!...

გაზაფხულის ჟამს სასურველს,
 ყოელი იშვებს, ყოელი ჰხარობს!
 მხოლოდ ჩემს გულს დამწარებულს,
 ხმა ბულბულის აღარ ატკობს.

ჩემთვის აღარ ტურფად ვარდი
 ჰშლილობს, ფშვინავს სუნნელებით;
 ჩემთვის აღარ განთიადი
 აღმობრწყინდეს ნეტარებით.

აბ მახარებს დღე ნათელი
 არცა ყვაველთ ფეროვნები;
 ცრემლთ მიგრძილებს გაზაფხული
 მის სიტურფე და შვენება.
 ჩემს უყვარს გულსა დაღრეჯილს
 ცა მოღრუბლული რისხვითა;
 როს გრიგალს, ჭექას და ქუხილს
 ისმენს ჭეყანა კრძალვითა.

მაშინ სიკვდილსა მდღემარედ
 სიამოვნებით მოველი;
 რომ მას შევერთდე სამარედ,
 ვისთვისცა ვიყავ სულდგმული!
 ვინც იყო ბედნიერების
 ჩემის სიციცხლის საგანად;
 მხოლოდ ცრემლთ სიამოვნების,
 ვისთანა ვცნობდი სადენად!
 რომლის ვიხილე სიკვდილი
 და მე კი დაეშთი ამ სოფლად! —
 რომლის სიკვდილმან, მე გული
 მომიკლა და მჰყო გლახ-ობლად.

აბ. ამ ურწმუნო სოფლისა,
 ადრე ვისწავლე მუხილობა,
 მისსა ყოველსა კეთილსა
 აქვს მხოლოდ წამი მყოფაში.

მის ეამით ახლა მზარებს,
არც გაზაფხული მოსვლითა.
და არცა გულსა მიწუხებს,
მე იგი თვის წარსულითა!—

— —

მარტის 28 დღესა 1882 წ.

ნასლედნიკის პრინცი პრუსიის შტაბი.

* * *

მარგალიტთ ცრემლთა ცრემლი ჰდევს ნიშნად კბუნვისა
შენს ლაწვზე,
და ვით ცის ნამი დილითა ბრწყინვალებს ახლად შლილს
ვარდზე!

—

სატრფოვ! გშორდები და სიტყვა ვერ მიპოვნიეს სათქმელად,
ანუ შენთ ცრემლთა საშრობად ან ჩემდა სანუგეშებლად.

—

ცრემლთაც ვერ ვაფრქვევ, ვერც ვუბნობ თვისსა სიყვარულს,
თვისთ ტანჯვათ,
და მით ვარ უფრო უბედურ რომ არა მოვსთქვამ მსგავსად
სხვათ!

—

ნამდვილი ტრფობა, გინა რა სიტყვათ, ეძებდეს, ვერ ჰპოებს,
რომე გამოსთქვას თვის გრძნობა, და მისთვის ოხვრით,
მდუმარებს!

—

ესე არის საშიშ, შემქმელი, ცეცხლი უხილავ, უალო.
არ აჩენს გარეთ ნიშანსა, შიგნით გაოხრებს ჰე, გულო!

—

ტრფობა უძლური გულთ წყაროს ჰგავს მთილგან
გარდმოქანებულს,
რაოდენ ველზე შორსა ვალს, ეგოდენ დაუძლურებულს!

—

ესრეთი გული ან ცრემლით, ან განშორებით განაქრობს
თვისსა სიყვარულს, თვის ტანჯვათ და მერმე ნებითვე
ლბინობს!

—

რა ჩემებრ გული კლდოვანი მიიღებს ეშყის ბეჭედსა,
დრო მასა ველარ შემუსრავს, თუარ შემუსრავს თვით კლდესა.



გეტრდი! ვიდრემდის ვუმზერ მე მზის სხეითა, შუქსა მთოვარის!
ვიდრემდის ოხვრა, გინდ ერთი, მშთომია ნიშნად სიცოცხლის!—

პეტერბურგი, ივლისის 15-ს.
1832 წელს.

ალაგოზი

როს გარდაშლიდე.
მეც დამხედავდე.
განილიმებდე.
მომიგონებდე

მარამა, ვა თუ, მე ესრეთ ვარ შესაბრალო ბედისა,
რომ არლა მოვაგონდები მეორეს გადაშლამდისა!

„ბოლუბაზი“

ანუ
ომის შემდეგ ლხინი
და
სადღევრძელო.

1827 წ.

ბოლუბაზი.

დადუმდა ბრძოლის გრგვინვა საზარი!
ველი მოიცეა მყუდრომ, სალამოს ¹⁾
მხოლოდ მაშერალი ჰსცდილობს მხედარი
ცეცხლი ალაგზნოს და განისვენოს.
აჰა მთოვარეც ნელიად შუქსა
მოჰყვა სიამით ჩვენდა საშეებლად.

შეექცეთ ვინც დღეს გადარეჩით ომსა!

ველავცა გვექნების ზეცა მფარველად.

ძმანო! მორიგის საესე ფიალით,
გარემოუსხდეთ ცეცხლსა ანთებულს;
ვესალმით ვიცა გვშორდა ამ სოფლით,
და მრისხანებით ამა დღეს წარსულს.

და შენ ჰე ღვინოვ! ყოვლად ძლიერო.

ლხინით შექცევით გულნი აღვიგზნე.

გულის კირთ მდევნო! ნიჟო ციურო!

ვინ არს, რომელ გსვა და არ აღხინე?

1) იქვეა მიწერილი „ანუ შთამოეწოდა მყუდრო სალამოს“.

დასტალული

ოი შენ ღვინოვ! ყოვლად ძლიერო!
ლხინით, შექცევით, გულნი აღვიგზნე.
გულის კირთ მდევნო! ნიჟო ციურო!
ვინ არს რომელ გსუა და არ აღხინე?

ბოლუბაში

ძმანო! აღვაესოთ ფიალა, წინაპართ მოსახსენებლად,
რომელთაც მამულისათვის სისხლი შესწირეს აქ მსხვერპლად;
ველი ესე არს მათისა მხნეობის გამოპარჩენად, ¹⁾
რომელიც მტერთა შემუსვრით, შეიქმნა სამარედ ვრცელად.
ვითარცა ცეცხლი მარტოდა ჰსჩანს ველსა ზედა ჰმთოპილი,
რომლისა კვამლი ჰაერში ჰარის შებერვით არს მქრალი;
ეგრედ იქმნების აღხოცილ, ამ სოფლით მისი სახელი
გზა ცხოვრებისა ვინც განვლო, და არ აღბეჭდა ნავალი.
მიწასთან ვასწორებულან ძველთ დროთა გმირთა სადგურნი
ჰარმან აღვაუა მათნიცა მიწისა პირით საფლავნი.
წინაპართაგან რალა გეშთა?—დიდებისა მოედანი!
მათი სახელი, მათ ხრმალი და დიდნი მათი საქმენი!
ძმანო! სიამით მიემართოთ თვალნი
წარსულთა დღეთა საუკუნეთა
მათ შორის სჩანან სახე ნათელნი
გმირთა მამულის განმადიდეთა.
მუზრადს მგელ ლომ ²⁾ გამოსახული
ველსა მახვილით ვინ მოვა გრგვინით?
ვით ბრძოლის ღმერთი თვით მბრძანებელი,
მოსილ არს მეხით, ელვით და რისხვით.

დასტალული.

გმირნო, მამულის მადიდნო. თქვენ გშვენის ქება, დიდება:
თქვენთ სახელთ სიამაყითა წარმოსთქვამს შთამომავლობა.
თქვენთ საქმეთ სმენით, სიამის, მოხუცს ცრემლ მოედინება!
მხნეობით აღტაცებული, ჰაბუქი ბრძალსა მისწედება!

¹⁾ ხელნაწერში შემდგვი შენიშვნა აქვს: „გარნიჩის და ერაევანს შუა მეფე ირაკლიმ და-
ამარცხა და შეპყრა ახათხან.—ამავე ადგილს ორმა ჩვენმა როტამ დაამარცხა ასან ხანი და
ნალ ხანი, რომლის შემდგომ მთელი მეგობრები ჰართველნი ერგულისათვის,—საიდამაც აიღო
ამა მეფემ ერევან, —ელხინობდით“.

²⁾ ასეთი შენიშვნაა ხელთაწერში: „ვახტანგ მეფეს მუზარადზე აქნდა გამოსახული მგე-
ლი და ლომი: ამისათვის ყიზილბ. შთა უწოდეს გორგასანლანად ანუ მგელ ლომად. საშინელი
ყო ყიზილბაშთათვის ხილვა მუზარადისა მის“.

ბოლუბაში.

ჰე მამულო სასურველო! ვინ გახსენოს რომ მის გული
არ აღპროვოდეს სიხარულის აღტაცებითა აღვსილი?
ვინ გიხილოს დროსა საშინს, არ დანსთინიოს თვისი სისხლი,
არა დაკლას თავი თვისი, შენდა დახსნად ვითა მსხვერპლი.

ვინ არ შესტრავით მას ადვილს, სად აღვეხილნეს, პირველ თვალნი.
სად ჰრბიოდა მზიარული სიყმაწვილე ნათლად ჩვენი.
სად იდუქალ ცრემლთ აფქვევენ, ან ჩვენთვის გულის სატრფონი.
სადაცა არს უწმინდესი წინაპართ ჩვენთ სამარენი.

მამულისათვის ფილა საესე ვჰსვათ სიამოვნებით
და იქმნას აღყავებული კეთილდღეობით, დიდებით.
იქმნას მის ქედი აღჰყვანილ ცათამდის ძეთა მხნეობით,
და სიყვარულით მისდამი ვჰხარობდეთ გულსა აღგზნებით.

უმეტეს ჩვენ ია სიცოცხლეთ, ვრაცხიდეთ ჩვენსა მამულსა:
მის დიდებისთვის სიამით წინ შეჰხედეთ ათას მახვილსა.
მას სულმან ხილვად ჩვენთ საულავთ ჰსთქვას ამოხვრითა თვის გულსა.
რომელ უბრალოდ არც ამათ უვლიესთ ამა სოფელსა!...

დასბალუნი.

მამულისათვის ფილა საესე ვსვათ სიამოვნებით;
და იქმნეს აყვავებული კეთილ-დღეობით დიდებით!
იქმნას მის ქედი აღყვანილ ცათამდის ძეთა მხნეობით
და სიყვარულით მისდამი ვხარობდეთ გულსა აღგზნებით!

ბოლუბაში.

ვაი! ვისიც თვალნი ჩემებრ, ტრუფობით გულს თვისს მკვდარად ჰხედვენ!..
მაგრამ ჰე შენ მეგობრობავ! შევების ვარგსკლავად აღევგზენ!
გვინათლე ცხოვრებისა გზა, ზედა ყვაილნი მოჰფინენ,
და განვლილ სიხარულითა თანა-მავალად შეგვექმენ.

მისი არს მხვედრი სანატურელ, ჰხედა ვისაცა მეგობარი
მის სიცოცხლე სიხარულით სიკვდილამდე არს დამტკბარი:
როს ეწვევის მწუხარება, ან გულს კმუნვისა ისარი,
განჰქარვდების მეგობრისგან, აღჰყვავდების გული მჰქნარი.

ჰე მეგობრობავ წმიდაო! ფილა აღქაფებულ
შენ და არს ერთგულთ ხმათაგან, ვით მსხვერპლი შემოწირული:
ხელი ხელსა, ბაგე ბაგეთ! განვაახლოთ სიხარული!
შევსვათ ძმანო. გავამტკიცოთ ურთიერთთა სიყვარული.

აბა კავშირმა განსდევნოს ჩვენგან შორს სულმოკლეობა,
შეეხედეთ უშიშრად სიკვდილსა, შეემუსროთ მტერთა მრავლობა.
სიცოცხლით ვპოოთ სახელი, ან სიკვდილითა დიდება.
ცუდ არს კაბუკის უბრალოდ განქარვებული ცხოვრება.

შევექცეთ ვიდრე ეამი გვაქვს, ვინ უწყის ხვალ ვინ მოგვაკლდეს.
ნაცვლად ლზინისა იქნება გვითხრიდენ ვისმე სამარეს.
ოხ, ვით ძნელ არს მეგობრისთვის, მეგობარსა როს მარხავდეს,
ანუ სჭვრეტდეს საშიშ ალაგს, შემწეობას ვერ აძლევდეს.

დღე აწინდელი ამისთვის მოვწყვიტოთ ვითა ყვაფილი,
რომლისა სუნი სიტურფე არ არის ჯერეთ გამჭრალი:
ხვალის იმედით არ ვჭკარგოთ დღე ეს სიამით აღვსილი,
თვარა მერწმუნეთ, რომ ხვალე, ფრიად არს მაცდუნებელი.

მეგობრობასა წმიდასა შევსწიროთ სრულად, რაც გვაქენდეს.
დაენერგოთ გულსა გრძნობა ეს და აღთქმა ჯრა გვაფიწყდეს...
ვიყვნეთ ცოცხალნი მეგობრად, და ვინც ბრძოლასა დაეცეს
ცრემლნი, კუთხევა მეგობართ, თან გავაყოლოთ სამარეს.

დასტაღული:

ჰე, მეგობრობავ წმიდაო! ფილა აღქაფებულ
შენდა არს ერთ-გულთ ძმათაგან, ვით მსხვერპლი შემოწირული.
ხელი ხელსა, ბაგე ბაგეთ! განვაახლოთ სიხარული,
შევსვათ ძმანო! დავამტკიცოთ ურთიერთთა სიყვარული.

ბოღუგანი.

ძმანო, ივიწყეთ მცირეს ეამს მტერი, ომი და დიდება!
მოიგონეთ სიყვარული სიცოცხლისა სიტკობება,
რომლისთვისცა შეგიწირავსთ გული და სრულად ცხოვრება,
შევსვათ ლეინო. მის სადღეგრძელოდ გვეღირსოს ხილვა ეგება.

„სადა ხარ სიხარულის დღევ! აღარა უკმოიქცევი?
ლიმილით შენსა შეყრასა, ნუ თუ ამოად ვისურვი!
ნუ თუ გულისა სიამე დამეჭკნო საუკუნოდა.
და ჩემი ბედნიერება წარსულთ დღეთთანა წარვიდა?“

ოდეს გულმან იგრძნოს ტრფობა, სიცოცხლე მაშინ აღჰყვავდეს.
 რა არს უამეს, როს სატრფო თავსა ჩვენსა გვაღვიწყებდეს.
 მას შეეტრფოდეთ, შეეჭხაროდეთ, შეეჭფურფინვიდეთ, იგ გეტანჯავდეს,
 და საამოთ ეშყის ცეცხლით გულსა ჩვენსა დაგვიწვავდეს?

ბედნიერება დღეთა ჩვენთ არს სიყვარულის ყვავილი;
 რა განჭრეს მისი სიტურფე, სიხარულს ნულარ მოელი;
 თუმცა ძნელ არს მის მოწყვეტა, მით რომ არს ეკლით მოსილი,
 მარა სიბნელე სუსტს გულს ჰკლავს და მტკიცე მით არს აღზრდილინი.

რა ნახოს კეთილ უგრძნობმან ტრფობისა ტკბილთა ჰირებთა?
 ვის არ შეეხო ეშყი გულს, არ ჰხარობს თვისთა წყლულეზბთა.
 მიხედეთ ვარდსა! მაშინ ჰვენს უმეტეს სუნენლეზბათა,
 ოდეს ნიავი შეხებით შეარყევს მისთა რტოებთა.

ტრფობის ალთა, ვისაცა ჩვენ შორის გული ეწოდეს,
 და სახე სატრფოს, [მარად] ¹⁾ ვის სულსა აღბეკვდით თანასდევადეს:
 ამა სოფელსა მას რაჲ. წინა საბრკმელად აღუღგეს?
 გულს სიყვარულით ხელს ხრმალით რას არ აღასრულებდეს?

ვინ არ არს მსხვერპლად გამზადებული.
 თვისი სიცოცხლე ვინ არ წარწყმიდოს
 ოლონდ სიამე მას მოუსყიდოს,
 ვის მიერც უკრთის სურვილით გული.
 ვისდამი სუნთქვა თვითეული,
 თვითეული გულის ძგერა
 არს სიყვარულის ჩვენისა მსხვერპლი.
 იგი ჩვენს ფიქრსა სად განეზომა.
 როს ვარდის სუნი მოაქვს ნიავსა,
 არ ვგრძნობთ. სატრფოს ტკბილსა სუნთქვასა? ²⁾
 ანუ როს ვხედავთ ვარსკვლავსა დილის
 მომფენსა ნათლის და მკრთალგალესა;
 ვინ არ ვსცნობთ მასში სატრფოსა გულის,
 სიამოვნებით მოცინარესა.
 გინდ ეამსა ძილის თვალთა დახშულსა,
 წამსავ იგივე წარმოგვიდგების.
 მაშინ სიზმარი სჯობს სიცოცხლესა
 და სინანულით განგვეღვიძების.—
 მაშა სატრფოსთვის კვალადცა ერთგზის,

¹⁾ მეთი ზიტყვაა.

²⁾ აქ ნასწორებია. ლექსიც არეულია.

გრიგოლის
გამთუქმუნებული

ფიალა საესე წევსეათ წყურვილით.
ვისურვოთ რომე მის ცრემლნი კმუნვის
განშრეს ვით ღვინო ამა ფიალით.
დღენი შევებისა მისთვის არა ჰსწვდეს,
ჰშვენოდეს შარად სიამის ნათლით.
ახ! სატრფოს ხილვის დღე, აღმოჩინდეს,
რომ ენა გვმობდეს მეტ სიხარულით.—

ჰე, ჩემო ღმერთაე! აწ შენ მოგმართაე, კვალად ისმინო შორით სიტყვანი.
ყოველთ ჩემთ ფიქრთა, ჩემთ უბნობათა, იღუპალ ოხვრათ ხარ შენ საგანი!
თუ არა შენზე, ვუბნობდე სხვაზე? უწყიდე ჩემი ენის როტვანი!
ვაი თუ ჩემჰან გლახ შავმა ბედმან აქ განმისაზღვრა მეც აღსასრული!
ვაი თუ მოვეკდე ესრეთ ყარობათ გულს არ დამეცეს სატრფოს ცრემლი!
არ მესმის შენი ხმა საამური სიკვდილის ქამის დამატკობელი.
არა ვემახვიო, ბავით ძლივ ცოცხლით, უკანასკნელად მშვენიერს შენს ხელს:
რომ სახე შენი, თვალთა დახშულმან, თანა წარვილო იმიერ სოფელს,
შენ სანუგეშად, შენ საშეებელად, და რათა მითვე ვსცნა უკვდავება.
რა გინდ მოგჰკვდე? მაინც შენდამი სულს სიყვარული თანა წარჰყვება!
უკვდავება არს სულის დატკობა რომელს დასასრულ არა ექნების.
მაშ სახე სულის დამატკობელი, იმიერ სოფელს არ განგვირდების.
და სიყვარული ჩვენთ დღეთ მაშეღნი სიკოცხლესთანა არა დაშტრდების.
თვარა სიყვარულს, თუ დავკარგვიდე, უკვდავებამა მის წილ რა მომცეს.
უშენოთ თვითცა სასუფეველი, ვით საპყრობილე, ჩემთვის შეიქმნეს.

ა რ ა კ ი.

დათვი და ცხვარი.

ერთს უდაბურას ახლოს ტევრისა
სად გულს აამებს წანწყარი წყლისა
იღვა მოხუცი საბრალო ცხვარი,
თავის ცოლითა
და შვილებითა.

ჰქონდა ადგილი შემოღობილი,
სად დაენერგა მცირე ხეხილი,
და ბალის შუა ედგა მას ქობი
არა რა ჰქონდა, პინა და ჯობი
და კუთხეშია ეყუდა ბარი.
მაგრამ საწყალსა მოხუცებულსა
ტურა და მგელი
ვერაგი მგელი,

არ ასვენებდნენ არც ერთსა წამსა.
ამ სოფელშია ძრიელი სთვრგუნავს მარად საწყალს

მის ახლო იდგა დათვი ძლიერი,
 და ეპყრა დიდი ველი ტყიერი,
 მას მორჩილებდნენ მის ტყის ნადირნი,
 და განთქმულ იყო ვით შახ ნადირი.
 ცხვარმა შესჩივლა ნადირთ მეფესა
 და მოახსენა გულ მტკივნეულად
 შენი სინათლე ასვენებს მზესა,
 მოწყალეებითა ჰგეგხარ ზევესა
 არა ჰყოფილხარ არსად ძლეულად.
 ამ ჯოხსა ხმარობ ათას დევულად.
 აწ გეჯავრები ცრემლთა მფრქვეველი.
 შენს ახლოსა მაქვს მეც მცირე ზვრელი,
 რომლის გამოთხრით ვიტყინე გული;
 არ მასვენებენ ტურა და მგელი,
 და ავაზაკი ქვეშ-ქვეშა მელი.
 მათგან მედების მე ცეცხლი მწველი,
 მიშველე რამე დიდი გაქვს ძალი,
 ლაპის დავიქცე მე შესაბრალი,
 შენ დაიფარე ჩემი ცოლშეილი.
 რა მოისმინა პირად მზიანა,
 თავ-ყოდალაშა მცირე ჰკვიანმა,
 გასიფივებულმა ბეკალეზიანმა.

ცხვარის ჩივილი,
 გლოვა ტირილი.

დალუნა თავი, შეუდგა ფიქრსა.
 ასე ეგონა საწყალსა ცხვარსა
 რომ დიდად იღმო მისი ურვაჲ...
 (მაიცა მელაჲ, მიგცემს რისხვასა;
 დათვი გადიხდის ჩემს აკლებასა
 და მოგცემა სოფლის მდურვაჲ.)
 მსწრაფლ აიხედა, აილო თავი,
 დააბრიალა საშინლად თვალნი.
 სისხლ მოდენილნი და შეუმკრთალნი,
 ცქვიტა ყურები, გაისმა მკლავი.

მოჰყვა მოქნარებას და გაიზმორა
 და წვერი ზელით ჩამოისწორა.
 მერე შეჰყვირა გაჯავრებულმა,
 როგორც ტვირთელმა წავკისის ვირმა.
 მე ცოცხალი ვარ, როგორ თუ მოხდეს უსამართლობა.
 ამას არ დაეთმობ, ჩემთვის იქნება დიდი უღმითობა.

მიექცა ცხვარსა პანტა ნაჭამი

ქართული
ლიტერატურა

უბრძანა სიტყვა გულის საამი,
აწ წარვედ წინა ნულარას ლამი.
მე დაუბნელო წუწკის შეილეგსა დღეა მზიანი
ალარ ვაცოცხლო შენის გულისთვის არც ერთი წამი
ოდეს ესე მოისმინა,
სიხარულით გაიცინა.

ადგა წაჳიდა მხიარულადა იმედიანი.
ერთს დილას იჯდა მუჳდროს ადგილსა საწყალი ცხვირი
ნახა რომ მოდის ნადირთა ჯარი,
მათ წინ მოუძღვის მრისხი აფთარი.
მოვიდენ მასთან მოესალამნეს.
ნადირთ მეფემან ჩვენ მოგვევლინა
შენის სამძღვრისა დასაცველადა.
აწ შენნი მტერნი ჩვენგან მოისრნეს;
მათთა სიცილთა ვაქცევთ ზველათა,
რა ესმა ცხეარსა, მყის მოილბინა
და სიხარულით ამოიქშინა.

მსწრაფლ გაულო კარი,
შეიწვია ჯარი

და უმასპინძლა მხიართა მწვარი.
ამისა შემდგომ გაჳიდა ხანი,
გარდაიკვალა საწყალი ცხვირი
მისთვის ტიროდის მთაჲ და ბარი.

რა ესმა აფთარს, მყის ნახა ხანი
თავის ჯარისა.—აწვე წარვედით
ცხვიარის ცოლშვილსა შემოერთყენით.

რა ამბავია, რას გვემართლებით...
რა დავაშავეთ, რატომ გვიწყურებით...
ამას იძახდენ ვინ გაიგონებს.
შენ ნუ მომიკვდე.—მოხვიეს ხელი
და გარდაყარეს ერთობ ყოველი,
ერთს ჳაობიანს ადგილსა მურალსა.
დათეს მოახსენეს მას შეუბრალსა:
რათ გვართვე საწყალთ ჩვენთა მამულსა,
ეს არის შენის შეწვენის ალთქმა?
„როგორ მიბედავ? ჩუმაღ ვგდენით!“—
შესძახა დათემა გაბრაზებულმა.
მაგ წყალობასაც არა ხართ ღირსნი.
გამიჩენია თქვენთვის ფუთი ბზე,
მოგეფინებათ ჩემი სახის მზე
ათასში ერთხელ, სხვა რალა გინდათ,

რატომ მადლობას ღმერთ არ შესწირავთ,
რომ თქვენის ქცევით გადმოგასახლეთ?
თქვენ თქვენს. მამულსა ვერ მოუარეთ,
და იმისთვის ჩვენ შემოვუერთეთ.
«ბატონო დათვო! ჩვენ შემოგჩივლეთ
ტურა მგლისაგან და შველა გი ხოვეთ.
რადგან ბრძანდებით მეფე ძლიერი,—
უთხრეს ბატყემა,—ახლა მშიერი
უნდა ვეყარნეთ? რა შევიმატეთ
თქვენის შველითა? მგელნი განსდევნეთ
ჩვენის მამულით. თქვენვე დაგვთრგუნეთ
ერთიანათა და დაგვატყვევეთ.
რაც მათ გადაარჩათ, სულ თქვენ მიგვიღეთ.

ბოლოს იქნება განათლდენ კაცნი ქრისტიანულად.
და აღასრულონ სახარებისა სიტყვანი სრულად,
არ ეკირებათ მკურნალი მრთელთა,
არამედ სნეულთ და დაერდომილთა.

ქართული ძეგლის წინ.

გონება ნათელს, გრძნობა ბრწყინვალეს
უნდა შევსჩივლო მოხუც ვარანცოვს,
რომ როგორც მის დროს ჩემს სამშობლოში
«მგელი და კრავი ერთად ველარ სძოვს».

რაც მის დროს იყო წალმა დახენული
დღეს უგნურობა უკულმა ჰფარცხავს.
და შეამდგომლად აწ საქართველოს,
როგორც მოსარჩლე, აღარავინ ჰყავს.

ცილსა სწამებენ: შეურაცყოფენ...
უზღუდვენ ყოველ-გვარ კაცურ უფლებას;
ფარისველობით უკვლენ მ.ს გულში
თანამერჯულის ძმურ-ერთგულებას.

რათა და რისთვის? ალაჰმა უწყის!..
ანგარიში აქვსთ რამ საპირადო:
წმინდას ამღვრევენ, რომ ამღვრიულში
მათ ინადირონ უფრო ხშირად.

ასე ფიქრობენ სუყველა ერთად
მოძღვარ-მსაჯული, ერი და ბერი,
ბედის საძებრად გადმოხვეწილნი
ჩვენში... გრივალით გადმონაბერი.

სამღვდელოება იმას არ ფიქრობს,
რომ გაამტკიცოს რჯული ქრისტესი!...
პირიქით! სცდილობს რომ ამოიფხვრას
საქრისტიანო რიგი და წესი.

გვიქადაგებენ, რომ ქართველები
საქრისტიანოს არ ხართ შეილიო
და სახარება თქვენი თუზება
„ძალის ენაზე დაწერილიო.

არც ხატი ვარგა თქვენი, არც ჯვარი!
ვინ მოგკათ წმინდა მოწამენიო!
უარჰყავთ თქვენი ყოველივერი,
წირვაც და ლოცვაც!... იყოს ჩვენიო!“

დედა ენაზე... საღმრთო ენაზე
აღარ გვაქლევენ ჩვენ ლოცვის ნებას,
მათგან გამოზრდილ მოხარდ თაობას
თვითვე უკარგენ სარწმუნოებას.

და როცა მათი გაწვრთნილ-გაზრდილნი
შეურაცყოფენ ხატსა და ჯვარსა,
მაშინ ქართველებს მიზეზს გვიკრეფენ
და ცილს გვაწამებენ სხვა და სხვა გვარსა.

სად გაგონილა ან თათრობის დროს,
რომ ხატებს ჰკმობდნენ ჩვენი შეილები?
დღეს კი შკოლებში შეურაცყოფენ
ვასტორგოვების გამოზრდილები.

და რაც ვერ შესძლო ჩვენში თათრობამ,
ის მოახდინა თინასჯულობამ:
დასცა ზნეობით საქრისტიანო
გაუტანლობამ და უგულობამ.

შენ რომ გვიქადდი და გვპირდებოდი
 აბა სად არის ის დაპირება?
 ძველი წაგვართვით!—ახალს არ გვაძლევთ
 გასწყდა კავშირი... ერთობაც კრება!...

ამას შენც ჰხედავ და ეგებ მიტომ
 გაქვავებულხარ თავს კულ-მოხდილი,
 რომ უსამართლოდ ტანჯულის ერის
 გაიზიარო გულის ტკივილი?

კურთხეულ იყოს საქართველოში
 შენი სახელი!... შენი ხსენება!
 და მათ, ვინც შენს გზას გადაუხვია,
 რისხვა კრისტესი და შეჩვენება.

ქართველი.

ს ა მ ნ ი

რომანი სამ ნაწილად.

ნაწილი მესამე.

(დასასრული*)

XI

ევამ გადასწყვიტა ისე მოეწყო საქმე, რომ სოფიო ნესტორ ნაბადაძეს არ შეეხებოდა.

მან სრულიად მოულოდნელად გამოუცხადა სოფიოს, რომ რამდენიმე საათის შემდეგ შინ უნდა წავიდეთ.

მართლაც საღამოზე დედა-შვილი სადგურზე იყვნენ და მატარებელს ელოდნენ.

უკვე ღამე იყო, სადგურის ვეებერთელა დარბაზი ცუდათ იყო განათებული. რა ჯურის ხალხი არ იყო იქ!

ნამძინარევი და მთენარებით ყებ ატკივებული ჯარის კაცი, რომელიც ზარმაცად გულ-მკერდს იქეპავს და ყურადღებას კი არ აქცევს იქვე ატუხულ ოფიცერს თუ გენერალს. საღამის აღება ზომ არ ნებავე ვაჟბატონს? მიაოთმევენ!...

აგერ ზურჯინიანი გლეხი, იქ სოფლის დედაკაცს კოკის ოდენა ძუძუ ჩაღდევს ბავშვისათვის პირში და პატარაც ისე შედგომია რძის მოღერებულ ნაკადულს, როგორც ღვინით გაბეჭედილი ლოთი კუბრიელის მასრას. მხოლოდ ხანდინხან შეეცმა ცუნებს ბავში ტუჩებს და პაწაწინა ცხვირს ღონიერად ჩაფლავს ძუძუების რბილ ნაკვთებში...

აი კარებიც გაიღო და ბატის ბურტყლინ ტომრებითა და მოკრიახე ქათმებით დაყურსული ებრაელიც შემოემატა აქაურბოს... იგი თავისი ვეებერთელა ბარგი-ბარბანით პირდაპირ იმ დიდ მადიანთან მივიდა, რომელზედაც ზოგი გაცივებულ და უშაქრო ჩაის მიირთმედა და ზოგსაც ძილით გაბრუნებული თავი ჩაოედო. მოიხადა ბარგი და მოკრიახე ქათამს მიაწყევლა-მიაკრულა. თანაც მარაოსავით გაშლილი წვერების ქეკაში ხანდინხან ისე დააცქერდებოდა თითებს, რომ უთუოდ რაღაც ცხოველის დანახვას მოელოდა.

ბაქანისკენ გასასვლელ კარებში თოფიანი მილიციონერი იდგა, მაგრამ წერტილის დაცვაზე თავსაც არ იტკივებდა: უფულოდ შეჯუჯლურების შემდეგ ყველას ბაქანზე უშვებდა.

ირგვლივ უწყსრიგობა იყო, ბუფეტში გამხმარი პურის ყუასაც ვერ იშოვიდით. ყვირილი, ხმაურობა, უსუფთაობა, მახორკის სუნის უთავებოლო ფუსფუსი, დაუსრულებელი წრილი...

მატარებელმა აგერ ორი საათი დაავიანა და ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს არ მოვა! შე თქვენ გეტყვით გაიგებთ მოსამსახურეებისაგან რაიმეს! არა-ვინ არ არის თავის ადგილას: არც მორიგე, არც სადგურის უფროსი... სრული უწყსრიგობა და უპატრონობაა. თუ ვინმეს წააწყდით და ჰკითხე მატარებლის შესახებ, უკმეხად გიპასუხებს და თავიდან გიშორებს...—ესეც თქვენნი რევო-

ლიტციონური წესრიგი!—ფიქრობს დამკინავეს გამომეტყველებით ევა,—ენახავ რაც მოყვება ყოველივე ამას! უტყენო ბრბო რომ ქვეყნის მეთაური გახდებდა, ყოველთვის ასეა... არც წესი, არც სისუფთავე! აირია ყოველივე, ძალი პატრონს ვერ ცნობს... მალე გაიგებთ, რაც დღე დაგიდგებათ! რჩეულთა და ქვეყანთა წინამძღოლობის გარეშე არაფერი არ გაქვთდებია! ამ ბრბოს წინამძღოლი უნდა... იგი თავს ვერ მოუვლის...

— განა მაშინაც, ცხრაას ხუთშიც, აგრე არ ხდებოდა? ჩვენი მიზანი იყო განგებ შეგვექნა არეულობა და უწესრიგობა, რომ ამით მთავრობისათვის სახელი გაგვეტება. ჭამ მხრივ მიზანს, მართლაც, მივალწიეთ, მაგრამ... ბოლოს ჩვენ მიერ ნაკეთებმა საქმემ ჩვენივე დაგვლუპა... ბრბოს აშვება ორივე მხრივ მკრელი იარაღია: ის მტერსაც ღუპავს და მოყვარესაც.

ევა ამ ფიქრებში იყო გართული, რომ უცებ, თითქოს მძინარე ჩიტმა დაიფრთხიალაო, თავჩაქინდრული სოფიო ზეზე წამოიჭრა და ვილაცას ალტაცებით შესძახა:

— გამარჯობა, ამხანაგო ნესტორ, გამარჯობა! რა სასიამოვნოა თქვენი ნახვა!..

თავზარდაცემული ევა ერთი შეტორტმანდა, ანგარიშ მიუცემლად წამოიჭრა, უნდოდა რაღაც ეთქვა, ვლაცისათვის ხელი წაეტანებია, მაგრამ გვიან იყო: სოფიო უკვე გამოეცნო ნესტორ ნაბადაძეს და ებლა ევას მხრივ მხოლოდ სიჩუმე იყო საჭირო—ეგების ამ გზით მაინც დაეხწია თავი ხიფათისათვის. იგი უცებ ჩაჯდა და ბარგი-ბარხანის გვერდით ჩრდილში ჩაიკეცა.

— საიდან მოხვედრილხართ აქ, რომ ჩამოგავადოთ?—ეუბნებოდა ღიმილით სოფიოს ნესტორი, რომელიც ისე შეჭყურებდა ახალგაზრდა ქალს, როგორც მასწავლებელი შეგირდს. ევასათვის ნაცნობი იყო ეს პოზა და ტონი, ეს დარიგებითი და სხვისი დამარწმუნებელი ელფერი ლაპარაკისა.

— შეხე, ისევ ძველი დიქტატორული კილო! სწორედ ასე მელაპარაკებოდა მე ეს ნესტორა ერთ დროს, სწორედ ასე ზევიდან დამყურებდა!.. თითქოს ის რაღაც განსაკუთრებული ადამიანი იყოს!..

ასე ფიქრობდა ევა, რომლის თვალთა წინ ელვის სისწრაფით დგებოდენ ძველი მოგონებანი: შალვას შეხვედრა, ნესტორის მათსა სიარული, მისი შალვასთან გაქცევა და სხვა. მაგრამ ეს ლანდები მყისვე უფსკრულში ინთქებოდენ, როგორც კი ევა არსებულ მდგომარეობას გადახედავდა: რა დროს მოგონებებზე შეჩერება იყო, როდესაც ეს არის ერთი ხელის გაქნევით ვადიშალოს ძველი, საიდუმლოდ დაკეცილი წიგნი... და... ევას სიცოცხლევ ნაპრალში შთაინთქოს.

— მე... მე... აქ დროებით ჩამოვედი... დედაჩემი იყო აქ და... ეხლა ისევ მივიღვართ, ხვალ დილიდანვე კომიტეტში ვიქნები...

— დაისვენე განა?..

— დედის ავადმყოფობა გავიგე... და იმიტომ, თორემ აბა... მე... მე... მე... რა დადლილი ვარ, რომ დასვენება დამკირვებოდა? ხა... ხა... ხა... მე მინდოდა თქვენთან მოსვლა, მინდოდა თქვენი ნახვა, მაგრამ ვერ მოვახერხე... ძალიან ვწუხეარ, რომ...

— აკი მნახეთ...

— არა, აგრე კი არა, — მე მინდოდა მყურებია თქვენი მუშაობისათვის, თქვენი პარტიული საქმიანობისათვის... მე ხომ, ამხანაგო ნესტორ... ხა... ხა... ხა... ჯერ ბავში ვარ და არაფერი არ ვიცი. თქვენ შემოგყურებთ, უფროსებს ვიკცქერთ და ისე ვსწავლობ ხალხის სამსახურს... თორემ... მე... მე რა ვიცი... თქვენ ჩემი მასწავლებელი ხართ...



— არა უშავს, კიდევ მოესწრებით მუშაობის ნახვასა და შიგ ჩაბმასაც. იყოს მხოლოდ საქმის სიყვარული და თავდადება...

— დიახ, დიახ, ეს მე ვიცი და კიდევც... თქვენის ხელმძღვანელობით, უფროსი ამხანაგების წყალობით... ალბად მეც... მეც თქვენი ღირსი ვიქნები... ეხლა კი...

სოფიკო ნესტორისთვის სრულიად უცნობი პიროვნება იყო, მართალია, დედის ქალაქში ყოფნის დროს ხშირად ხედავდა მას მთავარ კომიტეტში, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება მისთვის არ მიუქცევია. განა სოფიკოს გარდა ცოტა ახალგაზრდები მუშაობდნენ იქ? დღეს რომ თითონ სოფიკოს არ ეცნო იგი, ალბად ყურადღებასაც არ მიაქცევდა, მაგრამ რაკი სოფიკო თითონ გამოეცნო, ნესტორმაც იცის, რომ ამ დროს შესაფერი ლაპარაკია საჭირო. მისთვის მუდამ უაღრეს ბედნიერებას შეადგენდა „ადამიანის კეთილ გზაზე მოქცევა“, ერთგვარი „ქადაგება“ და როცა საშუალება მიეცემოდა, სიამოვნებით კისრულობდა ამ როლს.

სოფიკო სულ განბული უსმენდა მას და ყოველ მის სიტყვას ღრმად იმარხავდა გულში. თანაც ნესტორი ნელ ნელა და თანდათან იზრდებოდა მის წარმოდგენაში, შეუუმჩნევლად იბრუნებოდა ბრწყინვალე შარავანდედში და რალაც წმინდანის სახეს ღებულობდა.

სოფიკო კი თითქოს უკან-უკან იხვედა, და ერთიანად შორდებოდა ნესტორს.

— როგორ გავბედე და ასეთ ადამიანთან აგრე მეტიჩრულად მივეარდიო, — გაიფიქრა მან; მაგრამ ნესტორის მოქცევა და ლაპარაკის კილო იმდენად უბრალო, სადა და წრფელი თანაგრძნობით იყო გაელენთილი, რომ ნელინელ მხნეობა მოიკრიბა და როცა ნესტორმა ლაპარაკი დაასრულა და ის იყო წასვლას აპირებდა, ღიმილით უთხრა:

— ბატონო ნესტორ... მმმ... თქვენ თურმე დედაჩემის ნაცნობი ყოფილ-ხართ... დიახ, ბატონო... ეხლავე... დედა! დედა!

სოფიკოს ბატონის მაგიერ ამხანაგო უნდოდა ეთქვა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ნესტორი ასე დიდ კაცად წარმოუდგა, ამ სიტყვის ხმარება ვერ გაბედა.

— დედა, დედა! აი ნესტორ ნაბადაძე, შენი ძველი ნაცნობი... ის სწრაფად მივიდა დედასთან და თითქოს ძილში წასული დედა, თითქმის ძალით წამოაყენა, გამოიყვანა ჩრდილიდან და ნესტორისაკენ წაიყვანა. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ევამ უარის თქმა ვერ მოასწრო.

— უკაცრავად, თქვენ ვინ ბრძანდებით? შეეკითხა მკრთალად მბეუტავ სანთელთან მდგომი ნესტორი, — ვერ... გიციანით... დავბერდი, მესხიერება...

ევა წელში გასწორდა, თავი მაღლა ასწია, მარჯვენა ხელით შარფი გადაიწია და ამაყად უპასუხა:

— ევა...

— ევა?.. თქვენა? ჩვენი ევა?.. უკაცრავად... ევა ბრძანდებით?..

— დიახ, ევა, რომელსაც თქვენ ახლო იცნობდით ამ რამდენიმე წლის უკან. დიახ, ის ევა ვარ...

ნესტორი ერთიანად დაიბნა, ის სრულებით არ მოელოდა ამ ამბავს. ასეთ-ნაირი დაბნევა და აზრებთან ერთად ენის არევაც არასოდეს არ მოსვლია მას.

რა არ უნახავს, რამდენი მკაცრი მმართველის თუ ეანდარმის წინაშე არ წამდგარა, მაგრამ ამნაირად არასდროს არ დაფანტვია გონება. მან შეუღწებლად გაუწოდა ევას ხელი და იმანაც უგრძნობლად ჩამოართვა.

სოფიკო საშინლად გააკვირვა ამ შეხვედრამ და დამფრთხალივით შეჩერებოდა მათ.

— და... ეს თქვენი ქალია? შეეკითხა ცივად ნესტორი.

— დიახ, ჩემი ქალია...

— რალაც ნაცნობ სახეთ მეჩვენა... ვამბობდი, ვილაც ჩემს ძველ ამბანავს უნდა გავდესთქო... დიახ...

— თქვენ არ შემცდარხართ, ბატონო ნესტორ...

— დიახ, მაგონდება ის დრო... ის... ადამიანები... დიახ, თქვენი ქალი ძალიან გავს... დიახ... რა მინდოდა მეთქვა? ისა...

— მართალია, ძალიან გავს ბატონო ნესტორ, ძალიან!.. დაბრძანდით, ბატონო სოფიკო, მთავარი ბიძია ნესტორის სკამი!..

სამივენი ხმის ამოუღებელივ დასხდნენ... კარგა ხანს სიჩუმე და უხერხულობა მეფობდა.

ნესტორი გამოქანდაკებულივით იჯდა, სანთლის სხივებს მოყვითალო ლეჩაქში გაეხვია მისი გამხდარი და დაფიქრებული სახე.

ათი წელიწადია, რაც იგი ევას არ ენახა. მაშინ უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებოდა ნესტორი, დაუშრეტელი ენერჯია ფეთქავდა ყოველ მის ნაკეთში, ენერჯია, რომელიც სამოქმედოთ მიიწევდა, სამომადოდ მიილტვოდა. დღეს კი სულ სხვა იყო: მართალია, საერთო გამომეტყველება იგი იყო, მაგრამ ევას წინაშე იღვია არა ახლად ფეხ ადგმული და ჯერ გამოუცდელი ადამიანი, აოამედ უკვე გამობრძმედილი პიროვნება, გააკეხულის ფერ-ხორციით და ძარღვებად ქვეულის კონთებით. ასე გვეგონებოდათ ნესტორის სახეს არსად ხორცი არ აკრავს, მხოლოდ ტკავია ძვლებზე გადაჭიმული.

დახაოკებული შუალი, ძარღვად გადაქცეული კისერი, გარღმავებული და ფიქრებში ჩასმული თვალები, მაგრად მოკუმული ტუჩები, რომელიც თითქოს დასალოკუნად განზადილ კბილებს გადააკვრიან...

მაშინ, ათი წლის უკან, ნესტორი რალაც უფრო რბილი პიროვნება იყო, ხათრიანი და სიფლურის ალალ-მართლობით სავსე. დღეს კი მისი სახე, მიმოხედვა თუ მოძრაობა აშკარად ამტკიცებდა, რომ მას შუალრესად სწამდა თავისი თავი და საკუთარ ნებისყოფას არასოდეს არ მოსდრეკდა სხვის წინაშე. ის იყო მხოლოდ ნეის-ყოფა და განსაზღვრული იდეის მონა.

სახე გაქვავებულ ევაზე ნესტორი არ ახდენდა კარგ შთაბეჭდილებას, ამაყად ეჩვენა, ბედნიერად და მბრძანებლად.

არც ნესტორს მოსწონდა ევა, მან პირველ დანახვისთანავე იგრძნო, თუ რა უფსკრული იყო მათ შორის...

ის, მშვენიერი ბანოვანი, შესანიშნავათ მორთული და მოკაზმული, სხეულის განედოვრებით მთრიალი და ამაყი; თხემით ტეუფამდის პირადი თავის სიყვალუვით გაფლნთილი არსება, რომელსაც ამ ქვეყნიური სიციოცხლე პირადი სიტკბოების ბალად წარმოედგინა... თავაშეებულად დატრიალებდა ამ ბალში და თავისი სურვილის მიხედვით ყოველივე მიუმსხვრევ-მოუმსხვრევია, რათა თავისათვის სასიამოვნო აღგილი მოენახა შიგ...

ეს კი, ნესტორ ნაბადამე, წამების ჯვართ მოდიოდა მას აქვთ, რაც ევას დაშორდა; ტახჯვისა და გვემის მეტი მის სხეულს არა უნახავს რა, ცხოვრების სიმშვენიერე მისთვის არ არსებობდა, მისთვის მარტო ეკლები იყო, ვარდებს კი შორიდან უთვალთვალებდა. მისი სულის ქროლვამ ერთიანად იმსხვერპლა მისივე სხეული და სალოსივით სალტეებში ჩაქედილი, ძვალად და ტკავად აქცია იგი...

ეს ორი ადამიანი, ამ წუთს რომ მკრთალ სინათლეზე მისჩერებინან ერთ-მანეთს, ერთ დროს ერთ უღელში ებმენ, ერთ ჰაპანს ეწეოდნენ... მაგრამ გავიდა



დრო და პირალმართში ერთად მიმავალნი თავდალმართშიც კახეთს და სამცხეთს
წამოვიდნენ...

და ორთავემ ამ მაგიდამდის მოიტანა დღეს თავისი თავი...

მაგრამ ვინ რითი ნოვიდა აქამდე? ვინ რა შეიძინა, ვინ რა დაჰკარგა?...
ამ კითხვებით მიჩერებნიან ისინი ერთმანეთს და არ იციან რითი დაიწყონ მუსაიფი...

XII

— სოფიკო, შვილო, — დაარღვია სიჩუმე ევამ, — კალათი მომიტა, ნესტორი დაგვატვიკო!

— გმადლობთ, ქალბატონო ევა, ნუ შეწუხდებით!

— რისი შეწუხება, ბატონო ნესტორ, — ვიცოდი, რომ სადგურზე ვერაფერს ვიშოვიდი და...

სოფიკომ უკვე შემოდგა მაგიდაზე კილათი.

— გახსენი, გეთაყვა, და ამოალაგე შენი ქაღები...

— ეხლავე, დედა. ეხლავე...

— ეტყობა არც ჩაი აქვთ ბუფეტში... ღმერთო ჩემო, რა უწესრიგობა და არეულობაა!.. მიირთვით, ბატონო ნესტორ, მიირთვით...

— გმადლობთ, გმადლობთ!.. იმედია თქვენც მიირთმევთ, მარტო მე ხომ...

სამთავე შეუდგა ვახშმის ჭამას. უხერხულ მდგომარეობას ბოლო მოეღო, მეტი თავისუფლება და ბუნებრიობა ჩამოეყარდა.

— სხვა, ბატონო ნესტორ, როგორი აზრის ბრძანდებით დღევანდელი რევოლიუციის შესახებ, როგორ ფიქრობთ — მოელის თუ არა მას რაიმე საფრთხე? ჰკითხა ევამ.

— ამისი თქმა, ქალბატონო, არც ისე იოლია. იმ დროს, როდესაც ზღვაზე ქარიშხალი გრიალებს, ძნელი გამოსაცხობია — გადარჩება თუ არა გემი. ჩვენ არ ვიცით რა სახეს მიიღებს მსოფლიო ომის შემდეგი განვითარება, არ ვიცით ობოლი იქნება ჩვენი რევოლიუცია, თუ ამხანაგს მოიპოვებს იგი... დარწმუნებული ვართ, რომ ის მარტო არ დარჩება, ეს ომი მრავალ ტახტს დაამბობს; მაგრამ საქმე იმაშია, თუ როლის მოხდება ეს; თუ დროზე მოგვისწრო, ერთი სურათი იქნება, თუ დაიგვიანა სულ სხვა.

— თქვენის აზრით საშიშროება საგარეო გართულებით არის მოსალოდნელი და არა საშინაოთი, მე ასე ვაგივე თქვენი აზრი.

— თქვენ მართალი ხართ: ეროვნულ რევოლიუციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო მდგომარეობას. რამ დალუპა ოსმალეთისა და სპარსეთის უკანასკნელი პერიოდის რევოლიუციები, თუ არა საერთაშორისო რეაქციამ? ასეთივე ბედი მოგველის ჩვენც, თუ ამხანაგი დროზე ვერ ვიშოვეთ. რაც შეეხება შინაგან ძალებს, შეუძლებელია, რომ ძველის აღდგენა მოხერხდეს. ის აუარებელი ჯარის კაცები, რომელიც ასე დასტანჯა საშინელმა ომმა, არა მგონია, რომ ისევ უღელში შეჰყოფენ თავს... უამრავი ჯარის დემობილიზაციის პროცესი ისე მწყვეტ იქნება, რომ ძველი რეჟიმის არა დარჩება რა...

— მე ვფიქრობ, რომ საერთაშორისო რეაქციის მოქმედება ისე ჩქარი და გაბედული ვერ იქნება, როგორც ეს სხვაგან ყოფილა. რუსეთის ტერიტორიალური მდგომარეობა ისეთია, რომ...

— დიახ, დიახ, ეს გარემოება ალბად დიდ როლს ითამაშებს ჩვენს რევოლიუციაში. ნაპოლეონი სწორეთ თვალუწვდენელმა რუსეთის მიწა-წყალმა დაამარცხა, შეიძლება ეხლაც ასე იქნეს, მაგრამ ეს მაინც დროებითი იქნება: თუ ტერიტორიის მიუწვდომლობით ჩვენ გამარჯვებულნი გამოვალთ, ეკონომიურად

მაინც ამოგვახრობენ: ნაპოლეონის დროს კარჩაეტილი ეკონომიკა-ფეოდალიზმი იყო, დღეს კი კაპიტალიზმის ბრკეალები მთელი მსოფლიოს სხეულშია გაყრილი: ერთ ეკონომიურ სტრუქტურაში ერთნაირად ვითარდება რევოლუცია, მეორეში—მეორენაირად.

ვევამ კიდევ მისცა ნესტორს რამდენიმე შეკითხვა, ისიც თავაზიანად აღუყვდა პასუხებს, თუმცა ყველაფრიდან ეტყობოდა, რომ მისთვის მაინცა და მაინც არ იყო სასიამოვნო ამ საკითხებზე შეჩერება: მას სულ სხვა გრძობები აუშალა ამ მოულოდნელმა შეხვედრამ, აუარებელი მოგონებანი ალუძრა, მოგონებანი ტკბილნი და მწარენი, გულის დამსერნი და სიტკაოების მომგვრელნი...

ნესტორას წაღდა ამ ძველი რვეულის გადაფურცლა და ძველ მოგონებასთან ერთად მისი კითხვაც... აკი ამ რვეულში ვეას ხელითაც მრავალი სტრიქონი ჩაწერილა!

მაგრამ... მაგრამ... ამ საბედისწერო წიგნის ხმა მალლა კითხვა შეუძლებელი იყო...

თანაც ის ამჩნევდა, რომ ვეა განვებ იმის ცდაში იყო, რათა ნესტორს უკან არ მოეხედა, და ამიტომაც, თანამედროვე მომენტის გარშემო იქერდა მის ყურადღებას...

მატარებელმა კარგა ხნით დაიგვიანა, სადგურის დარბაზი ერთიანად ხალხით აივსო; საშინელი ბული, ცხელი პაერი და ყრუ გუგუნია. მთელი დარბაზი ბარგი, ბარხანითა და მათი ლანდებიითაა დაბინდული, სინათლე აგერ-აგერ ბეუტავს.

— სხვა, პირადათ თქვენ როგორ მოეწყვეთ, ქალბატონო ვეა, როგორ გაატარეთ ეს წლები?— შეეკითხა ნესტორი.

— ეხ, ჩემი ცხოვრება რა საკითხავია!.. ვისთვის რა საინტერესოა?.. ვეა ოსტატურად გაეცა სრულ პასუხს და განავრძო:

— საინტერესო თქვენი და თქვენისთანების ცხოვრებაა... გამიგონია, რომ მრავალი უბედურება გამოსცადეთ... ციხე, ციშიბირი... დევნა, მიამბეთ რაიმე პირადათ თქვენი ცხოვრების შესახებ.

— რა უნდა ვიამბოთ, ქალბატონო ვეა? ჩემი ამბავი თქვენთვის შეიძლება არა საინტერესო და მომაბზობრებელიც იქნეს... ციხე, ციშიბირი, დევნა... თქვენ მიერ ნათქვამი ეს სამი სიტყვა ყოველივეს ამოსწორავს... გარეგნულად ეს იყო და ეს... ხოლო რაც სულში განვიცადე, ამას...

— სწორედ ეს არის, ბატონო, საინტერესო ჩემთვის. რას გრძობდით თქვენ ამ დროს და როგორის სულიერის განწყობილებით მიდიოდით ცხოვრების გზაზე?.. გულ მტკიცედ იყავით, თუ ყოყმანობდით; მოგბეზრდათ არჩეულ საქმის...

— მოგბეზრება?.. განა შეიძლება ცოცხალ ადამიანს მობეზრდეს საკუთარი საქმე?

— როგორ თუ საკუთარი?

— აი ისეთი, რომელიც პირადათ მას შეეხება, პირადი მისი სიცოცხლის და არსებობის დედა ძარღვია... თუ სიცოცხლე უნდა, კიდევ უნდა ემსახუროს მას, ითუ არა და უკვალოდ უნდა გაქრეს ცხოვრების ასპარეზიდან.

— მესმის თქვენი ნათქვამი, მაგრამ ის საქმე, რომელსაც თქვენ ემსახურებით, განა პირადათ თქვენ შეეკებოდით? განა თქვენ პირადის ბედნიერებისათვის იბრძოდით? მე მგონია ეს აგერ არ არის.

— პირადი ჩემი ცხოვრება და ის მისწრაფება, რომელსაც მე ვემსახურებოდი, ისეა ერთი მეორეში ჩაგრებილი, რომ მათი განცალკევება ყოველად შეუძლებელია. ჩემი სიცოცხლე და ბედნიერება წარმოუდგენელია ამ წრის გარეშე:

საქართველო
საზოგადოებრივი

მისი სულის თქმა ჩემი სულის თქმაა, მისი გულის ფეთქა—საკუთარი ჩემი სულის ფეთქავც არის... ამიტომ მოგახსენებთ, რომ ეს საქმე ჩემი საკუთარი საქმეც არის მეთქი...

— ასეთი სულიერი განწყობილება პირადად ჩემთვის, ბატონო ნესტორ, წარმოუდგენელია... როგორ შეიძლება პიროვნებამ ერთიანად დაივიწყოს თავისი თავი და მასის განუწყურელ ნაწილად აღიაროს იგი?.. უარპყოს საკუთარი „მე“. ხელი აიღოს საკუთარ აზრზე, პირად გრძნობაზე და ბრბოში გაითქვიფოს!..

ნესტორი კარგა ხანს იყო ჩაფიქრებული, ეტყობოდა, რომ აზრის გამო-სათქმელად სიტყვას ეძებდა.

— ასეთი მომენტი თქვენს ცხოვრებაშიც ყოფილა; მოიგონეთ ქალბატონო წლები როცა მე, თქვენ და... კიდევ სხვები ერთ საქმეს ვემსახურებოდით—უთხრა ბოლოს ევას.

— ეს იყო ჩემის მხრივ უნიადაგო ახალგაზრდული ვატაცება და სწორი გზიდან დროებითი გადახვევა...

სხვა დროს და სხვა პირობებში ნესტორი ამ სიტყვებზე მკვანე პასუხს ვასცემდა; ეტყოდა, რომ რევოლუციით ვატაცება ევას მხრივ, მართლაც, უნიადაგო ოცნება იყო, როგორც სხვა წრის ქალისათვის; ეს ოღონდაც რომ სწორის გზიდან შეკაში დროებითი შეხვევა იყო სეირის საყურებლად; ბოლო მისთვის კი—ნესტორისათვის, რომელაც მშრომელების ბორცი-ბორცთავანია, ეს პირდაპირ მისი საკუთარი საქმე იყო, ამიტომაც ის ბოლომდე შერჩა ერთ-ხელ არჩეულ მიმართულებას. დიახ, ასე ეტყოდა სხვა ვარემოებებში იგი ევას, მაგრამ ახლა ამისი თქმა შეუძლებლად მიაჩნდა.

— რას იზამთ, ქალბატონო, სხვა და სხვა მდგომარეობის გამო ადამიანები ცხოვრებაში სხვადასხვა გვარად მოქმედებენ ხოლმე,—სთქვა მან ბოლოს.

— მაშ მდგომარეობაა ყველაფერი და არა ადამიანის თავისუფალი აზრი?

— დიახ, მდგომარეობაა,...

— ვერასოდეს მაგ აზრში ვერ დაგეთანხმებით, საზოგადოთ უნდა გულ-ახლილად მოგახსენოთ, რომ რევოლუციონერ აფეთქებებს ზიანის მეტი არაფერი მოაქვს საზოგადოებისათვის... იმ ტიპის რევოლუციები, რომელნიც დღემდე მომხდარან, მხოლოდ აუარესებენ ცხოვრებას და სხვა არაფერი,—სთქვა სინიუმის შემდეგ ევამ.

— კარგათ ვერ გამიგია—რისი თქმა ვსუროთ.

— მე ის მიხნდა მოგახსენოთ, რომ ის საზოგადოებრივი ციებ-ცხელები, რომელიც სრულიად მოულოდნელად, თუ გნებავსთ მოლოდინითაც, ერის ერთ ჯგუფს შეეყრება ხოლმე ხანდიხან, ხალხის მდგომარეობას თუ აუარესებს, თორემ არ უშჯობესებს. რევოლუციები დღემდის მიმდინარეობდენ ერთგვარ პრიმიტიულ ფორმებში: სისხლი, ხოცვა, ელვტა, თოფების გრიალი, აღვირ-ახსნილი ინსტიტუტი და მეტი არაფერი. ასე იყო დასაბამიდან და ასევე დღესაც: აიღეთ მოხური ქვეყნები: ბაბილონი, ეგვიპტე, საბერძნეთი, რომი..., მოიგონეთ ინგლისელები მათის კრომველით და ფრანგები რობესპიერებით... ყველგან ერთნაირი ფორმა, ერთნაირი ჯაბა-ჯუხი... და ბოლოს მხოლოდ სისხლთა მორევი... ადამიანები კი ისევ ისეთები არიან, როგორც აფეთქების წინ იყვნენ: ვატა-ნელნი, ერთმანეთისათვის მგლები და ნილაბიანი მხეცები. და ეს იმიტომ, რომ საზოგადოების გარდაქმნა იწყებოდა არა იმ წერტილიდან, საიდანაც უნდა დასრულებულიყო. ეს იყო საქმის უკუღმა დაწყება და კიდევ უკუღმა თავდებოდა ყოველივე... ძველ დროს, ბარბაროსობას, სწორედ რომ შეეფერებოდა ეს,



საქართველოს

მწიგნობართა კავშირი

დღეს კი თუ მართლა კაცობრიობა კულტურულა, საზოგადოების გარდასაქმელად სულ სხვა ფორმები უნდა მოინახოს.

— მაგალითად თქვენ რა ფორმას დაასახელებდით?

— ზოუნვა ადამიანის შინაგან გარდაქმნაზე და მის სულიერ გამშენიერებაზე, რასაც შემიძღვ საზოგადოებრივი ცვლილება ერთობ იოლად მოყვებოდა. ხოლო გარეშე პირობების შეცვლით კი ადამიანი არასოდეს არ გამოიცვლება, თქვენი აზრი შემცდარია.

— თქვენი შეხედულება, ქ-ნო ევა, არც ისე ახალი უნდა იყოს...

— მე ამისი პრეტენზია სრულებითაც არ მქონია. მე შინდა მხოლოდ ძველთა განთქმული ბრძნული აზრები არსებულ სინამდვილეს შევეუფარდი. მე ღრმად მრწამს, რომ ცხოვრებაში ეხლაც მოიპოვებთან საუკეთესო ადამიანები, სხვებზე კეთილშობილნი, სხვებზე მაღალნი. აი ესენი უნდა შეადგენდნენ დანარჩენთათვის ერთგვარ იდეალს,—განავრძო ევამ.

— საქმე, ქ-ნო, ადამიანის შეგნებაში მართო როდია; თავი და თავია ის ობიექტიური პირობები, რომელშიც ადამიანი ტრიალებს და რომელნიც მასში ქმნიან ერთგვარ შეგნებას. ადამიანის შეგნებულნიც რომ არ ჰქონდეს რაიმე მიზნისაკენ მიისწრაფება, გარეშე პირობები ისეთი უნდა იყოს, რომ მაინც აქეთ-კენ უნდა მიაქანებდეს მას. აი მაშინ ვადაეზრის პირადი და საზოგადოებრივი ერთმანეთს, ასეთ პირობებშია რომ ძნელი ხდება ამ ორი რამის ერთმანეთის-ვან გამორჩევა.

— თქვენ ისევე თქვენსას რმეორებთ: მდგომარეობა ქმნის შეგნებას. მე მთელის ჩემის არსებით ვეწინააღმდეგები ამ აზრს. მისი საფუძველი ის არის რომ თითქმის ადამიანის აზრი და ნებისყოფა სრული მონა-ძორჩილია უსულგულო ნივთის. თქვენ გინდათ სთქვათ, რომ რომელიმე გუთანი, ან მანქანა უკანახებს ხოლმე ადამიანს ამა თუ იმ აზრს და მოქმედებას... არა, მე ამ აზრს ვერასოდეს ვერ მივიღებ. მე მრწამს ადამიანის სულის შემოქმედება, მრწამს მისი დამოუკიდებლობა და ეს თქვენი ფეტიშიზმი, ეს ახალი კერპთთაყვანის მცემლობაც ჩემთვის სრულიად მიუღებელია... მე მრწამს, რომ ქვეყნად არსებობს ადამიანის ისეთი ტიპი, რომელსაც ყოველ წუთს შეუძლია პირადი მე-ს დაეწეება და მშვენიერების უბრწყინვალეს მწვერვალებამდის მიისწრაფება... და მე არ შემიძლია იმ ადამიანის დამცირება და მისი შარავანდედის ტალახში ამოსერა... ისინი კი, ვინც ჩემი თვალსაზრისის წინააღმდეგნი არიან, ადამიანის პიროვნებას ამცირებენ, არა სწამთ მისი შემოქმედება, მისი აზრისა და გრძნობის სიწმინდე და არც ცდილობენ მისს ამაღლებას... უსულო საგნების გაღმერთებით, ისინი საშინელ პირუტყველ მდგომარეობაში უპირებენ ადამიანს ჩაფლას... დიახ... მე მრწამს ადამიანი—მეფე და შემომქმედი, ბატონი და მოყარნახე, მბრძანებელი და წინამძღოლი... და ვერასოდეს ვერ შევურიგდები სხვა აზრს...

ევას ლაპარაკი გულწრფელი და გრძნობით გამთბარი იყო, ყოველი მისი ბგერა, ყოველი სიტყვა გულის სიღრმიდან ამონავლევჯი იყო. თანაც ეტყობოდა, რომ ამ აზრების გამოთქმის დრო იგი რაღაც დამტანჯველსა და ავადმყოფურად ნაგრძნობს ვადმოისროდა. ვადმოისროდა იმას, რასაც ასე უწამებია იგი, რაზედაც ამდენი უფიქრია და რაც არასოდეს მოსვენებას არ აძლევდა მას.

ეს იყო მწვეველ გადანათქირი და ათასჯერ გადანავრძნობი. ჯერ არაფერს წინაშე არ ამოუხებევია მას თავისი გულის ნადები და რაკი დღეს საშვალემა მიეცა, რასაც იტოვებოდა, ყოველივე უნდა წარმოთქვას.

მით უმეტეს ნესტორ ნაბადაძის წინაშე, რომელთანაც ამდენი საერთო ჰქონდა ერთ დროს და რომლის წინაშე ერთგვარად თავიც კი უნდა ემართლებოდა ძველი გზის დატოვებისათვის.

საქართველოს
საზოგადოებრივი

თუ ამაში იგი ნესტორის დაარწმუნებდა, მაშინ „სხვა რამეებშიც“ შეიძლება ევას გაბართლება.

ეს „სხვა რამე“, რომელსაც ევა სახელს ვერ არქმევდა, შალვა ღრუბელიანს შეეხებოდა.

— მე, ქალბატონო ევა, დაიწყო თავდაპირველად ნესტორმა, — მოგახსენებთ, შემდეგ: ვის შეუძლია სთქვას, რომ ის რევოლუციონერი, რომელსაც ყოველივე პირადი უარუყვია და სხვათათვის თავდადებულს მთელის წლოვით ცის სინათლე არ უხაზავს, ვაჟაკურად უყურებია საზოგადოებასათვის და შეუდრკელად უზიდავს წამების ჯვარი, — ვინ იტყვის, ვიმეორებ, ამ ადამიანის შესახებ, რომ მასში არ ჩქეტს მშვენიერი სული, შემომქმედი და ზეალმტაცი მისწრაფება?..

— მე ასეთებს შევხვედრივარ დღევანდელი საზოგადოების ერთ ნაწილში, სწორედ იმ ნაწილში, რომელიც ისე აზროვნებს, როგორც მე: ისიც ჩემსავით მატერიალურ დასაწყისიდან ფიქრობს ცხოვრების გარდაქმნას; მაგრამ, წარმოდგინეთ, რომ ეს თვალსაზრისი სრულებით არ უშლის მათ ხელს იყენენ მშვენიერნი და თავგამოდებულნი მებრძოლნი, სწორედ ისეთი ადამიანები, რომლებზედაც თქვენ ლაპარაკობდით.

— ოო, რა ცალმხრივობაა, რა ცალმხრივობა, — ამბობდა ევა.

— დამეთანხმებით, რომ თავგანწირული მებრძოლები ბარიკადის იქეთა მხარეზედაც ბლომად არიან, — ამბობდა ნესტორი, — ისინიც გააფთრებით იბრძვიან, მათაც სწამთ თავიანთი საქმის სიწმიდე. მე არ ვიცი ამ მებრძოლთაგანს რომელს მიანიჭებთ თქვენ უპირატესობას, ხოლო მე თუ მკითხავთ, ჩემი პასუხი აშკარაა — იმას, ვინც ახალი ცხოვრებისათვის იბრძვის, ვინც განახლების მოციქულია...

— აშკარაა, რომ ყველასათვის ერთი ქეშმარიტება ქვეყნად არ არსებობს... მე ვფიქრობ, რომ კაცობრიობა სწორედ ამ ყველასათვის ერთი ქეშმარიტების შესაქმნელად მიისწრაფის წინ, იგი თავის ისტორიის გზაზე სწორედ ამ ქეშმარიტებას ეძიებს. მისი სული ამ ძიებით არის დაავადებული... ეს ძიების გზაც ხშირად ნარ-ეკლიანია და ყოველთვის მშედობიანად არ მიმდინარეობს. კაცობრიობა აზრის მუშაობით მაოტო არ განვითარებულა, აზრთან ერთად ხმალიც ელავდა, იგი აზრის ხერხევალი და გზის გამკაფთავია; — ერთი საზოგადოებრივი ჯგუფის ქეშმარიტება მეორეს არ სწამს, მანასადამე ერთი აზრის მეორე ჯგუფის აზრთან დაპირისპირება — ერთგვარ ავადმყოფურ ტანჯვას ქმნის, ავადმყოფი სხეული კი ნესტარ დაუყვრელად არ განიკურნება... — ეს არის რევოლუტია, რომელიც მუდამ ერთის ფორმით მიმდინარეობს: ხმალი და სისხლი, ტყვია... ძველისა და ახლის კიდარღში საბოლოოთ მაინც ახალი იმარჯვებს, ბატონდება ერთი აზრი, ერთი ქეშმარიტება, რითაც კაცობრიობა უახლოვდება მის მიერ დასახულ იდეალს.

— თქვენ არ მოგწონთ ეს რევოლუტია, მაგრამ რას ვიზამთ, მისი ფორმა სამარადისოა, მშობიარობის პროცესის შტეკლა არავის შეუძლია, ის დასაბამიდან ერთი ყოფილა: უსათუოდ მტკივნეული...

XIII

მშვიდობიანად გადაიგრგვინა, მეხი არ გაეარდნილა: ევასა და ნესტორის შეხვედრა ჩვეულებრივად დასრულდა; მართალია, სოფიკო ხშირად გაკვირვებული შესტკეროდა მათ ლაპარაკს, მაგრამ თაურად მაინც არ ახდოდა და მას არ დაუხაზავს ის, რისი გამოყვლავნებაც ევასათვის ყოფნა-არ ყოფნის საკითხი იყო.



- აა, მოზრძანდით? მადლობა ღმერთს! მიეგება რეზონანსი.
- ემადლობ მეუფეს, რომ კარვად დამაბვედოა შენი თავი!.. რეზონანსი ირონია მოესმა ამ სიტყვებში.
- აქ მშვიდობაა... სრული სიწყინარეა...
- ეგ სულ ერთია ჩემთვის. სიწყინარეს თუ შევითვს პირადად მე ვატარებ ჩემს არსებაში და სხვის არ შეუძლია შემიქმნას იგი ვარედან!
- მე ხომ მაგის საწინააღმდეგო... არაფერი მითქვ...
— კმარა, რეზო!..
- „სახიზლაროვო“ უნდოდა დაემატებია, მაგრამ თავი შეიმაგრა.
- ოო, რა გამოყვეყნებული ადამიანია, — ფიქრობს ევა, — მე თანდათან თოკი მეჭირება ყელში, ყოველ წუთს სულის ამომღრჩობ ბადეში ვიხლართები და ეს... ეს...? ოოხ, ღმერთო ჩემო!.. ნუ თუ მომეჭრება წინსასვლელი გზები? ნუ თუ მოახლოვდა ჩემი ჭიდილის უკანასკნელი ეამი?.. ნუ თუ თავს უნდა დამეზღვრეს ბედნიერების კოშკი, რომელიც ამდენის წვალებით აღვივებ?..

* * *

უკვე ოთხი თვე გადიოდა, რაც რევოლიუცია მოხდა. ვინ იცის რამდენი ახალი და ჯერ სრულიად გაუგონარი ამბავი მოედო ამ ხნის განმავლობაში ვეებერთელა იმპერიის თვალუწვდენელ საზღვრებს!

ელექტროს ტალღა გამუდმებით თრთოდა და ყოველ გაელვებასთან ერთად ტორტმანით ფენდა კიდითვან კიდეს ერთი მეორეზე უფრო გულის ამაფეთქებელ ამბებს... ტუვე მეფე, კერესკი... რესპუბლიკა... რევოლიუცია გერმანიაში, პეტე-ბურგის მუშათა საბჭო, ჩხეიძე, დამუფქნებელი კრება, ლენინის ჩამოსვლა... ტროცკი და წერეთელი...

პირველ ხანებში მთელი ერი საშენდრო ფრონტისაკენ იხედებოდა, ჯერ კიდევ ბრძოლის ველის ამბებით იყვენ გატაცებულნი და დაყრუბულნი. როცა მეფის ტახტი დაეხო, ბევრს ასე ეგონა, რომ ეს მოახდინეს ომის საქმეების უკეთ წასაყვანად და წალბა წასამართავად.

— ახლა კი გავიმარჯვებთ, აწი არაფერი უჭირს ჩვენ ჯარს, — ალტაცებით ამბობდნენ ერთნი.

— დღედან ხომ მოვიშორებთ მოლაღატეებს!.. აწი მაინც ხომ პატიოსანი კაცები ჩადგებიან სათავეში და გამცემლობას აღვილი არ ექნება!..

ეს აზრი ბატონობდა ზედაფენაში, მის გავრცელებას და განმტკიცებას ხელს უწყობდა აუარებელი ეტრხალ-გაზეთობა; თითოეული წერილი, ყოველი სტრიქონი უსაზღვრო პატრიოტიზმით იყო გატენილი და მხოლოდ და მხოლოდ ომის უკეთ წაყვანაზე ჩასჩინებდა მკითხველს.

ხოლო ხალხის დაბალი ნაწილი, რომლის შვილები და ძმები სისხლით იცლებოდნენ, სრულებით არ იყვნენ ომის გაგრძელების გუნებაზე და პირველი მათი ამოძახილი იყო:

— მაღე დაგვიბრუნდებიან, თუ არა ჩვენი მრჩენელები?

ეს ხმა ყრუ და გაურკვეველი იყო, ვასაგონად მისი წარმოთქმა ვერავის გაეხდებოდა, საერთო ალტყინება ერთიანად აყრუებდა მას, მაგრამ იმავე დროს აშკარა იყო, რომ ეს ენა ჩაფარდნილი გუგუნით მთელ იმპერიას აზანზარებდა და არყევდა.

საზოგადოების ზედა ნაწილი ნაღმებით გატენილ მთაზე იყო დაბანაკებული... მართალია, იგი ვაასკეცხულის ძალით ჩამოსძახოდა ქვედასართულს: შენი ყურადღება აქით მიაქციე, გეშინოდეს გერმანელების შემოტოვის... მაგრამ ერთის ყურით, რომ მათ უსმენდნენ, მეორე საკუთარ გულისცემისთვის მიეპყრათ



და ნელი ნელ ამწიფებდნენ ახალ აზრს და ახალ რწმენას, აზრს საკუთარს და მხოლოდ მათდამი კუთვნილს...

— რა ეშმაკად მიიღო ეს ომი? რა შემიძინა, რა შემმატა?

— შემმატა კი არა დამავსო და ამომავდო! მარჩენალი შეილი ვინ იცის სადა მყავს!.. არც ის ვიცი— მომივა ცოცხალი თუ არა?..

— ომის გავრძელება მას უხდა, ვისაც სარგებლობა აქვს მისგან... ჯიბეებს ისტელებს და ქონებას ხვეტავს... მაგათ თავიცი მოხერხებულად დაიხსნენ ჯარში სამსახურისაგან: ფულების წყალობით ზოგი ჯარის ზურგშია მოკალათებული, ზოგი შანაა და ზოგი კიდევ საღ?..

— უბედურმა ჩემმა შეიღმა იკითხოს ტყვიას რომ თავი შეეკლა, თვარა ცოცხალს რა უქირს!.. ცოცხალი ადამიანისათვის ყოველთვის საშველია... მკვდარს არაფერი ეშველება თვარა... ოო, შეიღო, რა უიღბლო ყოფილხარ!.. მოსწრებოდი ამ დღეს...

დაუსრულებელივ გაისმოდა ასეთი სიტყვები გლეხებსა და მუშებში.

მაგრამ თანდათან პრესაცა და ერის მაღალი ფენებიც იძულებული გახდნენ სალაპარაკო და სააგიტაციო თემა შეეცვალათ.

ფრონტი და მისი ინტერესები ნელ-ნელა და შეუმჩნეველად იჩქმალებოდა პირველ ადგილზე ისმებოდა საშინაო საკითხები.

სათავეში მომხდარი რევოლუტია, რომელსაც პატრიოტულის ფრთებით აჩვევდნენ ზევი-ზევით ფრენას, არ იქნა და ზეცისკენ ვერ ასწიეს: მიწის მიწში-დევლობა იღდენად ძალუმი იყო, რომ ყოველ დღე ეს მომჯადოებელი არსება, ის მხეთ უნახავი, რევოლუტციას რომ ეძახოდნენ, შეუმჩნეველად ძირს ეშვებოდა და მიწაზე აპირობდა დანარცხებას.

ორას მილიონიანი ხალხი მრავალი ათეული წელი შეეტრფოდა მას შორიდან, მრავალი შავი წელიწადი გადაიტანა მან ამ მომხიბლავ არაებაზე ოცნებით და რა გასაკვირია, რომ დღეს, ეამს მისი ხილვისას, კიდევ ცის კაბადონში არ აეფრიახათ იგი შორიდან საცქერად.

ბევრი დაპირება ჰქონდა ამ მომხიბლავ არსებას ხალხისათვის მიცემული მწვავე და სისხლის მღვრელ ბრძოლების დროს და სწორედ დღეს დადგა ისეთი წამი, როდესაც უნდა გაენადლებია თავისი დაპირებანი...

და განა ამ დროს შეიძლებოდა კიდევ ზეცაში მისი ფრენა!

ბრძოლის ველისადმი ყურადღების შესუსტებას ის გარემოებაც ხელს უწყობდა, რომ საომარი მოქმედება შეჩერებული იყო, თანაც დრო და დრო ცნობები იბეჭდებოდა იმის შესახებ, თითქოს გერმანიაშიც რევოლუტცია ხდებოდა, ჯარი ღელავდეს და სხვ.

— პეტერბურგის მუშათა საბჭომ მისწერა გერმანიის მუშებს: თქვენაც ჩვენსავით ჩამოავდეთ თქვენი ხელმწიფე და მერე რა გვექნება საომარიო...

— რასაკვირველია, მუშებს რა აქვთ ერთმანეთში სადაო? ეს ომი სულ ბურჟუების მეფეების და საქმეა.

— იცოცხლეთ, ვიღველმაც გადმოაყირონ ნიკოლოზივით!.. მერე ინგლისის და საფრანგეთის მეფეებსაც მოეგრიხებათ კისრები... მაშ!.. მუშამ თუ გაიღვიძა?!

ბევრი სრული დარწმუნებული იყო, რომ გერმანიის მუშები პეტერბურგის საბჭოს მიწერილობისთანავე გადმოავდებენ მეფეს და სისხლის ღვარსაც ბოლო მოეღება. ეს საქმე ერთობ იოლი და ხელის წამოსაკრავ რაიმედ ჩანდა. ჩვენ თუ ერთი სულის შებერვით გადმოვაყუნკულეთ ნიკოლოზი, იმათ რა ღმერთი გაუწყრებათ?

ხალხი ისე აღტაცებული და აღფთოვანებული იყო, ისე მთვრალი იყო



ქართული
საზოგადოებრივი

მოულოდნელ ბედნიერებით, რომ ყოველივე უნიადგო ამბავს იჯერებდა და ბავშვით ალტყინებულს ასე ეგონა მარტო იერიქონის საყვირის ამღერებითაც კი დაამზობდა ციხე სიმაგრეებს.

არათფერი არ მიაჩნდათ შეუქლებლად, წარმოდგენაც კი და დაქარვა რაიმე დაბრკოლებაზე... ყველა თავდავიწყებული შესცივოდა ჯა და ქვეყანას და მთელ მსოფლიოს თავის სურვილისა და მოფიქრების თანახმად უპირებდა მოწყობას.

ასეთმა სულიერმა განწყობილებამ ერთის მხრივ გააიოლა ფრონტი და მისი ბედი, მეორეს მხრივ საშინაო ცხოვრების გარდაქმნაც ერთობ მარტივ საქმედ წარმოიდგინა.

შინაურ საკითხებიდან უპირველეს ყოვლისა ხალხს სიძვირე აწუხებდა: ვინ გინდა რომ მის შესახებაც ლაპარაკობდა? სად და რომელ ადგილას გინდოდათ მისვლა, რომ ფასების ზრდაზე არ გოფილიყო გოდება? შინ, გარე, ქუჩაში, დღე, ღამე... ტეატრში, ეკლესიაში, დუქანში, ყაფახანაში... ყველგან და ყოველ დროს ამაზე იტყებდნენ თავს...

დღეს საზოგადოებრივ მთავრობა დახმობილია, ვაჭრებს მფარველი არა ყავთ, გამოიჩინებენ საქონელს და აბა რას იზმენ? თუ არ გამოიტანეს, იცოცხლეთ, ჩვენ იმის დღე დაეაყენოთ!.. წავიდა მათი მეფობის დრო! დღეს ხალხია თავისი ბატონი. ხალხი!.. დედას ვუტყობთ ყველას!..

მთავრობაც ისეთია, როგორსაც ხალხი ეტრფოდა და ამდენი ხანი ელოდა. ყოველად პატიოსანი პირები, სანდო, სათაყვანო. ისეთ დღეს დააყენებენ ესენი ჩარჩ ვაჭრებსა და ბურჟუებს, ისეთ დღეს გაუთენებენ, რომ დაბადების საათს დააწყევლებენ! მააააა!..

და ყველას ჯერა, ყველა ღრმად და დარწმუნებული, რომ ყოველ საათში მოსალოდნელია ძველებული იაფობა, ბაზარზე აუარებელი საქონლის გამოჩენა; გადამალულ ცალენის მზის სინათლეზე გამოტანა და...

იაფობა, ძველებური იაფობა; ჩიტი სამშაურად, შაქარი თექვსმეტ კაპიკად, გირვანქა პური სამ გროზად...

იმედი, ალტაცება, სამადლობელი ამოოხვრა, რომ „ისევ ვუბრუნდებით აღამიანურ ცხოვრებას“...

მაგრამ გადიოდა დრო და...

იმედები არ მართლდებოდნენ: სიძვირე თუ მატულობს, თორემ არ კლებულობს, ვაჭრები ისევ თავაშვებულები არიან... რაშია საქმე, ვისი ბრალია ეს?

ახალ მთავრობაზე საყვედურის თქმა როგორ შეიძლება! ვის მოუბრუნდება საამისოდ პირში ენა? გაბა იმიტომ ჩამოაგდეს ნიკოლოზი, რომ მის მაგიერებმა ნიკოლოზობა თითონ დაიწყონ?

არა, ეს შეუძლებელია, ეს დაუშვებელია!

ახალი მთავრობა უშეიკვლო მთავრობაა, ის მთელის თავის გატაცებით ხალხის საკეთილდღეოდ იღწვის, რა ვუყოთ რომ ერთის ხელის დაკვრით ყოველივე ბოროტება ვერ მოსპოვ? კიდევ ცოტა და იგი ერთიანად გასწმენდს ნიკოლოზის მომხრეებისაგან სახელმწიფოს, გამოსცემს ახალ კანონებს, შემოიღებს საქონელზე ნიხრს და ყველაფერი... წესიერად წავა. აჩქარებით აბა რა გაკეთდება?

სოფლად თუ ქალაქად, მუშებში, ინტელიგენტურ წრეებში თუ საზოგადოების სხვა ნაწილებში ბლომად მოიპოვებოდნენ ისეთი გულწრფელი პირები, რომელთაც აღფრთოვანებას გვრიდა თავისუფლების დამკარება და მთელის თავისი არსებობა სწამდათ, რომ ახლო მომავალში სრული ბედნიერება და კმაყოფილება გამეფდებოდა.



ქართული

რომ გვეკითხათ-თუ რაზე ამყარებენ ისინი ამ რწმენას, ვერცხვულად ვერას გეტყვოდენ, გაიკვირვებდენ კიდევ—ასეთ კითხვას როგორ გვაძლევ, ნუ თუ არ იცი, რომ თავისუფლება რაკი მოვიპოვეთ, ჩვენს ბედს ძალის არ დაპყფესო“?. ისინი იყენენ უაღრესად გულკეთილნი, გულკეთილობას თესავდენ ირგვლივ და ღრმად სწამდათ, რომ ეს გრძნობა მთელ ქვეყანას გააბედნიერებდა...

ოო, რა უსაზღვრო და განუზომელი რწმენით იყო გაქვნილი მთელი ერი! რაოდენის თავდადებითა და გატაცებითა ჰკიდებდენ ხელს ახალ მოღვაწეები ხალხის სამსახურს! რამდენი გულწრფელი და გატაცებული მუშაკი ჩაება ამ დროს საერთო საქმეში!

აღსრულდა მითი საოცნებო საგანი, ხორცი შეისხა მათთა ოცნებამ. ბევრ მათგანს ათასხაირი დევნა და შეურაცყოფა განუცდია ამ სანუკვარი ოცნების სამსახურში: ციხე, ციხიბრი, დევნა, წვალება...

და დღეს, როდესაც ერთიანად დაიმსხვრა მონობის ბორკილი, როდესაც თავისუფლება იგრძნო მისმა სამოქმედო ენერგიამ, განა შეუძლია არ შეეძას ახალი ცხოვრების შენებას?

ღარბ-ლატაკი გლეხი, რომელიც თავის სახელსა და გვარსაც კი ვერ მოაწერს, მოწინებით ჩადგომია სათავეში თემის საქმეებს და სრული დარწმუნებულია, რომ ისიც ქვეყნისათვის სასარგებლო კაცია და ისიც ახალ ცხოვრებას აშენებს.

თავი ამაყად უჭერია, მაგრად იცავს პირად ღირსებას და მუდამ იმაზე ოცნებობს, რომ ახალი კანონების მიხედვით იმუშაოს და მშრომელებისათვის სასარგებლო იქნეს.

კრებებს კრებებზე ახდენს, მსჯელობს სასოფლო საქმეებზე თავის ამხანაგებთაგან ერთად და თან საქვეყნო პოლიტიკაშიც უხდა გაერკვას: სატახტო ქალაქის ამბებს გულ დასმით ისმენს, წარამარა ახსენებს ჩხვიძეს, ვერენსკის, ლენინს... თუ-ც ვახუთის კითხვა არ იცის, მაგრამ ყოველთვის გულჯიბეში ახალ ვახუთს დაუხახავთ.

არ იღლება კრებებზე სიარულით ქალაქის მუშაკ, მის არსებაში რევოლიუციონური ცეცხლი იწვის, ერთიანად დაუვიწყრია პირადი საქმეები და მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის ავკარგს დასტრიალებს.

მიტინგი, პარტიული კრება, მუშათა საბჭო, კიდევ მიტინგი, კიდევ საბჭო, კიდევ პარტიული კრება!..

საწაის საკუთარი ქუა, მოსაზრება, სწამს თავისი ნაბიჯები და უყოყმანოთ მიდის თავისი მიზნებისაკენ...

მშვენივრად იცის საით მიდის, ვის ემსახურება და მისი ნაბიჯიც გაბედული და მტკიცეა, თამამი და ურყევეია...

რას ქვია ორქოფობა, ძანაობა, უკან ხედვა და ყოყმანი!

ყველა წინ იხედება, ყველა წინ მიდის გაბედულად და შეუდრეკლად...

XIV

აი ასეთ დროს, საერთო იმედიაზობისა და ალტაცების ხანაში, ახალი ცხოვრების ახალი მეთაური ამკარად ხედავდენ, რომ ხალხის გასაჭირი ვერ შეამსუბუქებს და საერთო ტკივილებს მალამო ვერ მოსცხეს: სიძვირე სრულებითაც ვერ შეიანელეს.

და იწყება საშინელი ბრძოლა და შეუჩერებელი ბორბვა, მაგრამ ბრძოლა იმედიანი და სრულ გამარჯვებაში ღრმად დარწმუნებული...

ვის შეუძლია წინ აღუდგეს რევოლიუციას?... მან მონობა დაამსხვრია და სიძვირეს ვერ დასძლევს? კიდევ კოტა მოთმენა და...



საქართველოს მწერთა კავშირი

— ბრძოლა, ამხანაგებო, ბრძოლა ენერგიული, რომ გავაძლიეროთ ხალხის იმედები... დღეს ცხოვრების მოწყობა ჩვენს ხელთაა, ჩვენს ნიჭზე და ნებისყოფაზე ყოველივე დამოკიდებული... მედგრად ამხანაგებო, წინ რევოლუციონერის ნაბიჯით... ხვენი უტეხი ნებისყოფა მტკვარსაც კი პირუტყულმა წაიყვანს, მჭუხარე ფანისსაც გზას აუქციებს და კასპიას შეუერთებს... ენერგია, მხოლოდ ენერგია!..

ჭკუხან ორატორები.

და იწყება საქონლის დანიხვრა, გადამაღული საქონლის ძებნა, სპეკულიანტების დატუსაღება, კოოპერატივებზე ზრუნვა...

კიდევ ნიხრი, კიდევ საქონლის ძებნა, რეკვიზიცია, ალაგ-ალაგ დარბევაც კი...

აუარებელი ქალაღებები იწერება სასურსათო კომიტეტებში: ნებართვა, მოწმობა, რეკვიზიცია და კიდევ ნებართვა, კიდევ მოწმობა...

შაქარი, ფქვილი, ფარტალი, კარტოფილი...

მხოლოდ ამ სიტყვებით არის აკრელებული ყველა ქალაღი და ამავე სიტყვებით არის გაყრუებული მთელი კარძიდამო...

დილას, საღამოს. ქუჩაში, სახლში, მთავრობის სხდომაზე, ექიმთან, მასწავლებელთან, მდიდრის ოჯახში და ღარიბის ქოხში ყველგან ეს სიტყვები გაისმო, ყველა ამ სიტყვებს ატრიალებს...

შემცირდა სალაპარაკო ლექსიკონი, დაივიწყეს სხვა საგნები...

მხოლოდ პური, შაქარი, ფართალი და კარტოფილი...

პური, შაქარი, ფართალი, კარტოფილი...

მაგრამ მიდის დრო და ცხოვრებას სასიცოცხლო პირი არ უჩანს. სულ უშედეგოა დაწყებული ბრძოლა: საქონელი სულ ქრება ბაზრიდან, ნიხრმა საშინლად გააბოროტა და გაათავალმაცქა საზოგადოების ერთი ნაწილი, სიძვირე თუ მატულობს, თორემ არ კლებულობს... ვერც ერთი ზომა, მთავრობის მიერ ფარებული, მიზანს ვერ აღწევს...

გაიხედავ, გამოვა ერთი დადგენილება... მისი მნიშვნელობის შესახებ გახეთები იმ წამსვე ათასნაირ განმარტებებს მოათავსებენ:

— მუშათა საბჭომ ეს ნაბიჯი გადადგა კრიზისის შესანელებლად, აწი არაფერი გვიშავს...

— მთავრობამ ასეთი დადგენილება მიიღო, გიხაროდესთ, გამოინახა სწორი გზაო...

მაგრამ... ცხოვრება მაინც თავისი გზით მიდის: კანონი განზე რჩება, სინამდვილე ვერ მოუთოკავს. მმართველთა სურვილი მიუღწეველია... აფორიაქება ისევ ძლიერდება...

აღტაცების ის ცეცხლი, რომელიც ასეთი ძლიერებით დაინთო რევოლუციის პირველ დღეებში, ნელ-ნელა ჰკარგავს სიცხოველეს და ცხოვრებაც პროზაული სახით გამოიყურება...

სადღესასწაულო განწყობილებას ყოველდღიურობა სცვლის...

პირველ დღეების იმედიაზობაში რალაც შხამიანი ექვი და ორქოფობა შეიქრა...

ვაი, თუ ტყვილა მოჩვენა ადამიანებს, რომ ისინი გარდაიქმნენ და გადასხვაფერდნენ, ტყვილა იგრძენეს თავი ახლადშობილად!..

ვაი, თუ არც ბედნიერებაა აგრე ახლო და რამდენადაც უფრო მისკენ მივიწვეთ, იმდენად იგი გეშორდება და მიუწოდომელი ხდება!..

ქარტეხილის პირველ ხანებში ყველა დამონებული ჰყავდა ურთიერთისადმი მიმართულ უსაზღვრო სიმპატიის გრძობებს, ერთი ნეორის პიროვნების



გ ა რ ე ბ ა

დაფასებასა და პატივისცემას... ადამიანებმა თითქოს დაგვიწყვიტეს... დღები ნახეს, ის ძმები, როველნიც, ერთ დროს აგრე უყვარდათ და ვიღაცის ტლანქმა ხელმა შეუბრალებლად დათიშა ისინი... ის დღები რომლებთან სულითა და გულით იყვნენ შედუღებულნი, მაგრამ ზოროტ ძალას დაეშორებია ისინი...

დიახ, დაკარგვლებმა ნახეს ერთმანეთი, დაავიწყდათ თავიანთი თავები და თავდავიწყებით ეზიარენ მოყვასის ცხოვრებას...

გაიმართა ჯადოსნური ფერხული, ფერხული სიხარულისა და ალტაცების, ბედნიერებისა და საერთო დაუდავინწყების...

ყველა კეთილია ამ დროს, ყველა სათნო, ყველა სიყვარულით აღსავსე... აიღავემა შური, მტრობა, შენჩემობა... აუბრებელი ენები ისევ დამეგობრდენ, დათიშულნი ისევ გადაინასკვენ...

მოისპო ქურდობა, ყაჩაღობა და ავკაცობა... გაუსწორებელი ავაზაკები გულხელდაკრფილი მოდიან და სიყვარულის ღიმილით პატიებას თხოულობენ... ავი კაცები და მავნენი სიტყვას სდებებენ, რომ გასწორდებიან, ოღონდ კი საზოგადოებამ ღირსი გახადოს ისინი ახალ ცხოვრებაში ჩაირვისა...

სად არის კანონი, ძალდატანება, შიში?..

არ არის საჭირო არც ერთი, არც მეორე!..

ხალხი კრავს დაემსგავსა, სათნოებით აივსო, აღვირი არ უნდა, თითონ უფლის თავის თავს...

მაგრამ... დროთა ვითარება მაინც თავისას შვრება და სრულიად შეუმჩნევლად ეს თითქოს დასამარებელი პირადობის მხეცი ისევ გამოჩნდა, ისევ უპირებს ქვეყნიერებას თავის შხამით მოწამულას.

ისტორიის ბორბალი ისევ უკულმა აპირებს შებრუნებას, ბედნიერების სასმისნი ძველებური შხამი ეწვევება.

ნუ თუ ყოველივე ის, რაც ვნახეთ, უბრალო მოჩვენება იყო და სხვა არაფერი?

ნუ თუ ისევ იღვიძებენ ძველი, უარყოფილი გრძნობები?

მრავალ მეთაურთა დაკვირვებელი თვალი მშვენიერად ამჩნევს ამას და, გაასკეცებული ენერჯის გვერდით, ერთგვარი შიშიც ისაუფურებს მათ შორის.

— რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე?.. ნიადაგი ირყევა...

— თავდება პოლიტიკურ საკითხების გარშემო გაერთიანების ხანა და გადადივართ მეორე საფეხურზე, როდესაც იწყება სოციალური ბრძოლა: საზოგადოების ყოველი ჯგუფი თავის ადგილს ეძებს სინამდვილეში... იკარგება საერთო ენა, ამომრავდა კლასიური ინსტიქტი... ეს არის უსაშინელები ხანის დასაწყისი...

— თანაც აუცილებელის... უამისოდ ჩვენი რევოლიუცია—რევოლიუცია არ იქნებოდა!..

— მართალია, მაგრამ...

— რის მაგრამ? რას ქვია „მაგრამ“ და დაეჭვება?.. მომავალი ჩვენია, მშრომელთა ბრძენი უზრუნველყოფილია და ვერც ვერაფერ შეაფერხებს მას!..

— გაუმარჯოს სულ წინ სვლას!.. წინ სვლას!.. ორივე თვალეტი მოვავლისაკენ, არც ერთა უკან!..

ასე ფიქრობდენ მეთაურები, რომელნიც თავდავიწყებით განაგრძობდენ მუშაობას, ვით ბრძოლის ველზე თოფის წამლის კვამლში გახვეული ჯარისკაცები, რომლებიც თოფებით ხელში ახგარიშ მიუტყვლად მიისწრაფვიან წინ და გააფრთხვებული მისდევენ უკუქცეულ მტერს.

— ნუ ყოყმანობთ, ნუ დაეჭვდებით! აი, შეიკრიბება დამფუძნებელი კრება



და ყველაფერს მოაგვიარებს, ყველაფერს მოაწესრიგებს. ^{საქართველოს მწიგნობართა კავშირი} კრებსაში, კრებებზე და კერძო ლაპარაკში.

დამფრძნებელი კრების ხსენება ყველაში უაღრეს მოწინააღმდეგეა და პატივისცემის გრძობას იწვევდა. ეს სიტყვა ყველა ახალ სიტყვაზე უფრო უწმიდესი იყო და იდუმალის პატივისცემით გაიხსოვდა. რაინდენ იმედს, რაინდენ სსსრ-ის ალღობდა იგი?..

მრავალი წლის განმავლობაში მისდამი შეუჩერებელმა მისწრაფებამ საოცრებო რაიმეთ გარაქმნა იგი და უბრწყინვალესის შერაგაიდედით შეამკო.

დამფრძნებელი კრება!..

ეს ორი სიტყვა ყოველგვარი ვეშმარიტებისა და სამართლიანობის წყარო იყო, წყარო განმთავისებელის წყლით მოჩუხებულზე და უაღრესი კანონიერების სათავე.

ვერც კი წარმოედგინათ, თუ ამაზე ავტორიტეტული დაწესებულება იარსებებდა ქვეყანაზე.

არავის არ შეეძლო გარკვევით ეთქვა, თუ რას მოიმოქმედებდა ეს ორგანო? რას დაამყარებდა, რას დააფუძნებდა? ვერაფერ ვერ გეტყუდა, თუ რა გვარი იქნებოდა მისი შემადგენლობა და მისწრაფება... „ხალხის სურვილის გამოხატველი“, „სხენაის ორგანო“ და სხვა ასეთი სიტყვები გარკვეულ შინაარსს როდეს ატარებდნენ. ეს იყო რაღაც უსაყვარლესი არსება და განა საყვარელ არსებას კრიტიკის თვალთ უყურებენ?

ამიტომ იყო, რომ მოუთმენლად და უსაზღვრო სასოებით მოვლოდნენ იმ მომენტს, როცა ეს ჯადოსნური ორგანო დაიწყებდა მოქმედებას და ტანჯვის უღელს შეუშუბუქებდა ტვირთ მძიმეთა და მანვრალთ..

ყოველ მიტინგზე, თუ პატარა კრებაზე ორატორები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ სადაცაა დროებითი მთავრობა დამფრძნებელ კრების მოწვევას შედგება და აქედანვე უნდა დავიარაზოთ არჩენებში გასამარჯვებლად, თორემ იქ ხალხის ნტრები გამატორდებიან და ჩვენი რევოლუციაც, დღეს რომ გამარჯვებულია, ბოლოს დამარცხებული გამოვალ. ამავე დროს ხდებოდა ადგილობრივი მთავრობის არჩევა აღმასრულებელი კომიტეტების, საქალაქო არჩენების მზადება და სხვა.

ოო, რა წმინდა გრძობებით იყო იმ დროს აღჭურვილი ამრჩეველი!..

მას ღრმად სწამდა, რომ ის ქალაქის ფარატინი, რომელსაც საარჩევნო ბიულეტენი ეწოდებოდა, რაღაც ჯადოსნური ძალის მატარებელი იყო: ყოველგვარ შეედღურებაში უწველიდა მას და ამ ქვეყნიურ ბედნიერებას მოუპოვებდა. თავი და ბოლო იყო მზლოდ მისი კარგ ყუთში ჩაშვება და „თავისი პარტიის“ ხმების გამრავლება.

ყველაზე უფრო მაამებელი და თავმოყვარეობის დამკამყოფილებელი მაინც ის იყო, რომ არჩენებში მთელი ხალხი ღებულობდა მონაწილეობას: მდიდარიცა და ღარიბიც, საწყალიცა და ძლიერიც, ქალიცა და კაციც..

ყველა ერთის ღირსებითა და პატივისცემით იყვნენ აღჭურვილნი, ერთნაირის უფლებით, ერთნაირის მოვალეობით... ღარიბი და ლტაკი, რომელიც ასე ყავდა სიღარიბეს დამცირებულ-დამდაბლებული, რომ საკუთარი თავის ღირსება და პატივისცემაზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, — იმ ეს საცოდავი არსება და ცხოვრების გერი ხედავს, რომ დღეს იგიც ისე ფასდება, როგორც მდიდარი და დიდი ვინმე..

დღეს ისიც აღამიანად იცვნეს, დააფასეს, პატივი სცეს მის პირად ღირსებას და სხვებთან ერთად სახელმწიფო საქმეების მოსაწყობად მიიწვიეს..



განა ახსოვს მას, რომ ოდესმე იგიც ადამიანად ეცნოს ვინმეს და კაცურად მოპყრობოდენ?

მთავრობა და უფროსები არასოდეს ტკბილის სიტყვით არ შეხვედრიან: ვინება, მათრახი, პიროვნების დამცილება, პირადი ღირსების ტალახში ამოსვრა...

ეხლა კი, სრულიად მოულოდნელად, ადამიანად იცნენ: არა თუ უწყრებიან და უყვირიან, პირიქით—სხვა და სხვა პარტიების წარმომადგენლები მოწიწებით აწვდიან საარჩევნო ბარათიან კონვერტს და ტკბილად ურჩევენ: ჩვენს პარტიას მიეცი ხმაო.

მაშ ისიც კაცი ყოფილა, მისი პიროვნებაც რაღაცად ღირებულა, რაღაც მნიშვნელობა ჰქონებია!..

მოწიწებით ამოიკითხავენ შენ სახელსა და გვარს—დხეთ მისი სახელი და გვარიც კი ყოფილა საღლაც ჩაწერილი!—ხელში ლამაზი კონვერტი გაქვს, თამამად მიდიხარ საარჩევნო უთისკენ: პარტიების წარმომადგენელი შემოგლიძიან ჩვენი უთისკენ წადიო, შენ კი მშვენივრად იცი ვის უნდა მისცე ხმა, გულში ილიმები...

და ბიულეტენიც ჩაფრიალდა სასურველ უთში...

ამაზე მეტად შეიძლება ვინმემ დაგაფასოს?

ოო, დიანაც რომ ბედნიერება ყოფილა ეს რევოლუცია... რა ვუყოთ, რომ ჯერ ჯერობით ვერ გაგვაძლო!

— აი, მე კარგ პარტიას მივეცი ხმა, ის გაიმარჯვებს და ჩემი თეთრი კენკიც მე თეთრ პურს მომიტანს, იაფ ფართალს მომაწოდის, ჩამომსავს და დამხურავს...

დიდ აღფრთოვანებას და გაცოცხლებას იწვევდა ქალების არჩევნებაში მონაწილეობაც. სოფლის დედაკაცებს ეს პირველად არ სჯეროდათ და ასე ეგონათ ამაკაცები დაგვეცინიანო. დაცინვა, მართლაც, ხშირი იყო, მაგრამ ქალებს კი არ დასცინოდენ, არამედ ახალ მთავრობის ამ ნაბიჯს.

— ყველაფერი კაია, მარა ეს ქალებისა და კაცების გათანასწორება რას გავს?.. ჩვენი გათანასწორება ღმერთმაც კი ვერ შეძლო და სხვა და სხვა ნაირო გაგვაჩინა...

— დედა კაცის საქმე საჩიჩელი და კრუხის მოვლაა, რა მაგათი საქმეა კაცების საქმეში ჩარევა!

— გვეუბნებიან ყველა შენ უნდა აირჩიოვო... პრისტავი, გუბერნატორი... აბა, რა ვიცი მე ვინ ივარგებს გუბერნატორად! ჩემისთანა რევვენი თუ ავირჩიე, რას გამიკეთებს? გუბერნატორი ნასწავლი უნდა იყოს, მე რა ვიცი ვინ უფრო კარგი ნასწავლია? რას გვეკითხებიან ის დალოცვილები იმას, რაც არ ვიცით! აირჩიონ ბარემ ვინც აჯობებს და ის იქნება!..

— ეგება, კაცო, შენ ავირჩიონ!.. ვინ იცის, როგორ აეხვევათ თვალები!..

— კიდევ აშენდება თქვენი ოჯახი!.. სხვები კი არა მე ჩემი დედაკაცი-სათვის ვერ მომივლია...

— ბიჭო, პრისტავი კი არა, ხელმწიფეც შენ უნდა აირჩიოვო, ასე ამბობენ...

— შევარცხვინე ჩემი არჩეული ხელმწიფე! რა კქუის პატრონი მე ვარ, კქვიანი მედე რო ავირჩიო? არა ძმაო, არც ასე ივარგებს ჩვენი აშვება! თუ უფროსი არ გვეყოლა და პატარა შიში არ გვექნება...პა...პა...პა! ხალხმა თუ თავი ავიშვით!.. მტერისას!.. ყველაფერს დავლუპავთ, ერთმანეთს შევკამთ... უმთარახოთ ჩვენ ან ვარგივართ!..

ახალი მთავრობა ანუ აღმასრულებელი კომიტეტი პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლებისაგან შედგებოდა. სახალხო არჩევნების უკვე მოწყობა შეუძლებელი იყო, პარტიების წარმომადგენლებმა დროებით ასეთი გზა აირჩიეს: თითოეულ პარტიას მთავრობაში სხვასთან შედარებით თანასწორი წარმომადგენელი ყავდა, თუნდაც საზოგადოებაში მისი გავლენა სხვაზე ნაკლები ყოფილიყო. ასე რომ ძველი მთავრობის დანაშთი პოლიტიკურმა პარტიებმა პროპორციონალურად გაიანწილეს, ყველას ერთნაირი ლუქა ერგო—სუსტსაც და ძლიერსაც.

სუსტი და ძლიერი! ამ სიტყვების თქმას მაშინ კაი გამბედაობი უნდოდა! კაი კაცი იყავი და მეორე პარტიას შებედაედი: შენ სუსტი ხარ და ჩემი ძლიერი. ასეთ დღეს დაგაყენებდა, რომ კუდით ქვეს გასროლინებდა.

— როგორ თუ სუსტი ვარ! რას ჩაახავთ, ვინ მოგახსენათ? სუსტი და უძლური თქვენა ხართ, ჩემ პარტიაზე ძლიერი და ხალხის ნდობით აღჭურვილი მეორე არ არის!... აი, მოხდეს თავისუფალი არჩევნები და გაჩვენებთ თქვენ სეირს! მეორეთ არ ვაბედოთ ასეთი სიტყვები!..

მოწინააღმდეგე, რასაკვირველია, ასე იოლად არ ჩაჩუმდებოდა და გაიმართებოდა დაუსრულებელი კამათი, რომელიც შეზავებული იყო ტრაბახით, ძველი ცოდვების მოგონებით, ხალხის რისხვის მუქარით და ვინ იცის კიდევ რა მაგარ მაგარი სიტყვებით! უდიდესად ავტორიტეტული და შეუბღალავი სიწმინდის მატარებელი იყო ამ დროს ხალხი და მისი წმინდა ნების გამომვლავნება, რაც რომაველ არჩევნებში უნდა გამოაშკარეებულყო; ამიტომ ყველა მოწინააღმდეგე და გულის ფანქალებით მოელოდა ამ მომენტს.

— კენჭი ვაგვასწორებს, კენჭი!.. გაისმინდა მნიშვნელოვანის ტონით.

ახალი მთავრობა პირველ ხანებში შედარებით ზომიერ ელემენტებსაგან შესდგებოდა და მისი ნაბიჯებიც ერთობ მკრთალი და ზომიერების ფარგლებში იყო მომწყვდეული.

მაგრამ ახალი საშინაო საკითხების წამოჭრის გამო მთავრობა იძულებული იყო ნელ-ნელა დაშორებოდა ძველ კლასობებს და თან და თან გამემარცხენიობის გზაზე შემდგარიყო. საჭირო ხდებოდა ცხოვრების გასაძლიერებლად ახალი გზებისა და ახალი მეთოდების ძიება, სინამდვილის მუქლუფუნები მძლავრად მიაქანებდნენ მას ამ გზაზე.

პოლიტიკური ბრძოლაც თან და თან მწვავედებოდა, პარტიული ენაც სწრაფად მახვილდებოდა მოწინააღმდეგის დასამარცხებლად. ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ამ ხნის განმავლობაში უკვე მოკვლილი რევოლუციონერი დაბრუნდა ჩვენს ქვეყანას. ზოგი ციხეებიდან, ზოგი ციმბირიდან და ზოგიც სახლგარ-გარეთიდან. საყოველთაო პოლიტიკურმა ამინსტიამ მრავალ ტანჯულ და წამებულ მებრძოლს მიანიჭა თავისუფალი ცხოვრება და სამშობლო კერას დაუბრუნა.

დაცალიერდა ნარიშის მხარე, ირკუტსკის მიდამოები, არხანგელსკის ტუნდრები და ასტრახანის ყვითელ სილიანი ველები...

გაიღო საკატორლო ციხეების კარები. უკვე არ იხუთება-ბნელ საკანში და ნესტიან ჰაერში ხალხისათვის თავდადებულის აღმაფრენა... ყველამ სამშობლოს მოაშურა და გულის ფანქალებით უბრუნდებიან საყვარელ კარ-მიდამოს, სადაც ამდენი ალტაცება განუცდიათ და ასე თავგამოდებით უბრძოდნენ ქვეყნის ორგულთ...

ვინ იცის რამდენი სამუდამოდ დაეწიებულ დაუბრუნდა სამშობლოს!



ეროვნული
განმაჯობების

მშობლებისგან მკვდარად მიჩნეულნი, ცოლშვილისა და ნათესავებისაგან დავიწყებულნი!

ვინ იცის რამდენი განგმირული გული გამრთელდა და მოშხამული არსებობდა სიტკბოებად მიეცვალა!

დაბრუნდენ ძველი მებრძოლები, გულ გაკაყებულნი, ბრძოლაში ნაწირობები, უსამართლობისადმი სიძულვილით გაელენითილნი, ცეცხლის ალში გამოპრძღვნილნი...

მათი ნების ყოფა გაქვავებულია, რწმენა ფანატიური, მისწრაფება უტეხი, და შეუღრმეული... მედგობად გაპყურებენ ახალი ცხოვრების მოციალედ ვარსკვლავს და ვით ფაფარ აყრილ ზღვის ზვირთებში მოცურავე მენავე, მაგრად სცემენ გამოცდილის ხელით ნიჩბებს...

— „წინ, წინ“!.. გრგვინვად გაისმის მათი მოწოდება.

ხშირი იყო მათ შორის ისეთები, რომელნიც ძველი რევოლუციის დროს დიდ რევოლუციონერ დაეაღებებს ასრულებდენ: არალეგალური მუშაობის ტეხნიკური მხარე, ტერორი, საიდუმლო მიხდომილებათა შესრულება...

დღეს კი მათი მუშაობა გამოუდგვარი იყო: უბრალო ასოთამწყობი, რომელიც არა ლეგალურის ლიტერატურის აწყობით და დაბეჭდვით უდიდეს საქმეს ასრულებდა—რისთვისაც კატორღით ან ციხით დაისაჯა—დღეს, თავისუფლების მოპოების შემდეგ, ისევე უბრალო ასოთამწყობად უნდა დარჩეს, მისი დღევანდელი საქმიანობა უწინდელივით როდის არის შარავანდელით მოცული...

მერე და შეურიგდება ამას ძველი რევოლუციონერის გული?..

იმ დროს არალეგალური ლიტერატურის გადამტან—გამავრცელებელიც კი უდიდესად საჭირო პირი იყო: მის ერთგულებაზე და თავგანწირულობაზე ხშირად მთელი პარტიის მუშაობის ბედი ეყიდა; თუ მთავრობის ხელში ჩაუვარდნილდა, სასჯელიც დიდი მოელოდა, მაგრამ დღეს იგი უბრალოზე უბრალო წევრი შეიქნა პარტიისათვის, მისი ხელობა და ძველებური უნარი ეხლა საჭირო არაა.

ბევრი, რასაკვირველია, რომელიც უფრო გონება ფხიზელნი, განვითარებულნი, და მომზადებულნი იყვნენ, მუისვე გაერკვენ ახალ პირობებში და თავდავიწყდა თავდავიწყებულნი მუშაობდენ. მათი მოსახრება და გარკვეულობა ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, თითქოს ისინი უაღრესად გამოცდილი ყოფილიყვნენ მართვა გამგეობის საქმეში და ცხოვრების წინამძღოლობაში. ისინი სამშობლოში დაბრუნებისთანავე ბუნებრივად მოექცენ ახალი ცხოვრების სათავეში და მედგრად მობართეს საკე ამბობქრებულ ტალღებში.

სხვათა შორის ციხიბრიდან დაბრუნდა ცრემლაძეც, ის ცრემლაძე, რომელსაც ქარგად იცნობდა ევა პირველი რევოლუციის დროს და, რომლის ცოლის საქალაქო აღმასრულებელ კომიტეტის წევრად არჩევამ ასეთ ნაირად შელაბა ევას თავმოყვარობა...

ცრემლაძე ჩუმად და შეუმჩნეველად ჩამოვიდა დედა ქალაქში, სადაც მას მრავალი წლის განმავლობაში ეწარმოებია ჩუმი რევოლუციონერული მუშაობა. არ იყო არც ერთი ქარხანა, არც ერთი სახელოსნო, რომელიც ცრემლაძეს არ სცოდნოდა. ზოგან პროპაგანდა გაუწყვია, ზოგან პროფესიონალური კავშირი შეუტკავს, გაუიცვა მოუწყვია და სხვ. მეფის დროს მის სახელს ჩურჩულით გადასცემდენ ერთმანეთს მუშები, ამომავალ სულს ერჩიათ იგი და ყველაფერში ენდებოდენ.

ეს ნდობა ცრემლაძემ პირადი თვისებებითა და თავგანწირვით დაიმსახურა: უბრალოთ ეცვა და ეხურა, უბრალო ცხოვრებას ატარებდა და საზოგადოთ ყველაფერში უბრალო ადამიანი იყო. მუშები ზედადდენ, რომ იგი სწო-



საქართველოს

მწერთა კავშირი

რედ ისეთივე ადამიანი იყო, როგორც თითონ ისინი — მუშები: უბრალო, სადა, სათნო, თავმდაბალი, იოლად მისადგომი, მათსავით ცხოვრობდა, შუა იყოფდა მათ ლხინსა და ქირს... და... კიდევ შეიყვარეს და შეითვისეს იგი.

დღესაც წყნარად და თავმდაბლად დაბრუნდა იგი სამშობლოში. სრულიად მოულოდნელად გამოცხადდა მუშათა კრებაზე და მისვლისთანავე ისეთი-სკლოთი და გამომეტყველებით დაიწყო ლაპარაკი, რომ გეგონებოდათ ამ კაცს გუშინ და გუშინ წინაც ამ საკითხების გარშემო უმტკრვეთა თავი დე ყოველ მხრივ აუწონდაუწონია იგიო.

მისი ლაპარაკი საქმიანი და სადა იყო. მისმა გამოსულამ მაშინვე მიიქცია ყურადღება, ბევრმა კიდევ იცნო ის და ფეციები გაუმართეს. „ჩვენი გამოცდილი ამბანავი“, „თავდადებული მეტროლი“, „შეუდრეკელი რევოლიუციონერი“... გაისმა ირგლივ ტაშის გრილთან ერთად.

კრემლამდე ყურადღებაც კი არ მიუტყვევია ამ ქათინაურებისათვის, ოდნავდაც არ ათამაშებია თავმოყვარეობა: მან წყნარად დაასრულა თავისი სიტყვა და წყნარადვე დაჯდა.

მან იცოდა თავისი საქმე, გულწრფად ემსახურებოდა მას და სხვებისაგან არც ქებას მოითხოვდა და არც ძაგებას. ის იყო საშველო ტანის მოძიკო კაცი, გამბდარო, შავგვრემანი, შავთმაწვერიანი, ძალზე უბრალო, როგორც შესახედავით, ისე ჩაცმულობით, მოკლებული იყო ყოველგვარ თეატრალიობას და პოზას.

მუდამ საქმეში იყო გართული, საარულის დროსაც კი ფიქრებით იყო დატვირთული, რის გამოც ცოტათი მოხრილიც კი დადიოდა. ის თავიდან ბოლომდე ერთის ჭვისაგან იყო გამოჭრილი და მისი სხეულის ყოველი ნაწილი მუდამ ერთის მისწრაფებით იყო გაქლებული. ყოყმანი, გაორება და ქანაობა მან არ იცოდა რა იყო.

ის სალისკლდისებურ რწმენით მიდიოდა ცხოვრების გზაზე და კიდევ იმიტომ იყო, რომ აგრე გამირულად გადაიტანა ციხეები და ციმბირები საშინელი რეაქციის დროს.

დღესაც, ციმბირიდან, დაბრუნებულმა, ნახა თუ არა თავისი ცოლშვილი, მაშინვე შეუდგა საყვარელ საქმეს, რომელიც ერთ დროს ტლანქად შეაწყვეტი-ნეს.

გადიოდა დღეები, კვირები და კრემლამის გავლენაც უფრო და უფრო იზრდებოდა, მისი საბელი მთელ საზოგადოებას მოედო. მუშების უსაზღვრო ნდობის გამო ის მრავალ თვალსაჩინო ადგილას უნდა გამოჩენილიყო და უნდა თუ არა ესა თუ ის როლი უნდა ეთამაშნა. ისიც პირნათლად ასრულდებოდა ყოველგვარ დავალებას და დიდ ადგილასაც ისეთი სანდო და შესაფერი აღმოჩნდა, როგორც სულ პატარა საქმეში: რომელიმე მეწაღის ნოქრების შეკავშირებაში.

ამ ამბავს „ფართო საზოგადოება“ ერთობ გაკვირებული შეხვდა: ვინ არის ეს ვილაც კრემლამდე? რა კაცია, რა დამსახურება მიუძღვის, რომ ყველამას გვაჩრინო?

— ნუ ვიკვირთ, ეხლა ბურთი და მოედანი ვიგინდარების არის, — გაიგონებდით კრემლამის ხსენების დროს.

„ფართო საზოგადოებისათვის“, რომელიც ადგილზე წამოსასკუპებლად ერთგვარ გზას მოითხოვს, კრემლამდე, რასაკვირველია, ვიგინდარა იყო: უდიდ-ლომი, გაუნათლებელი, მეტჩიარა და უფიცი. როგორც ასეთს, რასაკვირველია, მალე უდიდესი მარცხი მოუვიდოდა და სამარცხვინოდ უკუქცეული მალე გაშორდებოდა ცხოვრების ასპარეზს.



საქართველოს

მწერთა კავშირი

სინამდვილეში კი ცრემლადე და ბევრი მისთანები დამარცხების მაგიერ გამარჯვების ტრიუმფით მიიბიჯებდნენ და „ფართო საზოგადოებას“ რწმუნდებოდა, რომ ეს „ვიგინდარებიც“ ღირსეულად მიუძღვიან ხალხის საქმეს.

ამაირად ახალ კალაპოტში ჩამდგარმა ცხოვრებამ ნელ-ნელა ჩამოაშორა რევოლუციის პირველ ხანების ზოგიერთი ხელმძღვანელი და ცხოვრების ასპარეზი ცრემლადეების ხელში გადავიდა. „დამსახურებულ მოღვაწეთა“ ჩამოყენება არაფრად ეპიტნავა იმავ „ფართო საზოგადოებას“, მაგრამ სინამდვილე თავისას შეებოდა...

XVI

შალვა ღრუბელიანის სამშობლოში დაბრუნებას მოუთმენლად მოელოდნენ მისი ამხანაგები. მას უკვე იცნობდა არა მარტო ეიწრო პარტიული წრე, არამედ ფართო საზოგადოებაც. ამის მიზეზი იყო მისი თხზულებების მეორე ტომის გამოსვლა; წიგნმა ყურადღება მიიპყრო, ავტორის ნიჭი, კჳა და სულის მდულარება ყველასათვის აშკარა იყო; ყოველ გვერდზე უტყუარი ნიჭის და ორიგინალური აზრის ფრქვევა იყო.

წიგნმა უსათუოდ ახალი სიტყვა სთქვა. ციხის ჯურღმულებს არა თუ ჩაეჭრო და დაეჩხო ავტორის წმიდა გარძობა და მძიმეელი სული, არამედ კიდევ უფრო ეწრთო იგი და ახლის ვანცდებით დაეტყირთა.

თუ პირველი წიგნის მიხედვით იგი მოწაფედ შეიძლება ჩათვლილიყო, დღეს მკითხველის წინაშე უკვე დაეაყვაცებული მწერალი იდგა: ფართო სამხატვრო ტილო, ღრმა ანალიზის ნიჭი და ხაზბრე-ნათეჭრის შესანიშნავად გამომატველი საშეალებანი.

კორდელის შეხვედრა დიდის ამბით უნდა მომხდარიყო:

სიტყვები, ყვავილები, ბანკეტები, ათასნაირი ცერემონიები... გზაზე დელეგაცია გაუგზავნეს, დეპეშები აფრინეს, პირდაპირ მავთულსაც ბევრი უთახუნეს...

შალვა ღრუბელიანი კი საგანგზოდ დანიშნულ ვადაზე ორის დღით ადრე ჩამოვიდა...

უბრალო პალატოში მორთული, ხელში პატარა ფუთით შეუმჩნველად ესტუმრა ერთ-ერთ ქართულ გაზეთის რედაქციას, მაგრამ რადგან კანტორის მოსამსახურეთა გარდა ჯერ რედაქციაში არაეინ მოსულყო, მან ითხოვა ნება დაერთოთ რედაქტორის მოსვლამდე იქ დარჩენილიყო.

უხეშ მოსამსახურეს გაუკვირდა მთხოვნელის მხრივ ასეთი თავაზიანი კილო და „მოითმინეთ“ უთხრა, თანაც დამჯღერეულ სკამისაკენ მიიხედა, მაგრამ ღრუბელიანი იმის ღირსად მაინც არ იცნო, რომ მისთვის სკამი მიერთმია.

გაზეთის კანტორაში დიდი აერულობა იყო: უწყსრივით დაგროვილი გაზეთები თითქმის ყველა კუთხეში და კედლებთან, მაგიდაზე მიბნეულ-მობნეული ადრესები, უზაბოლოდ დალაგებული „საწარმოეო წიგნები“—უბრალო სტელი დავთრები, დაზიანებულ-დალაპალეებული სკამები და ბოლოს ყოველივე აქას სდარაჯობს რამდენიმე მშვენიერი გაანჯინა და ერთი საუცხოეო მაგიდა.

ეს გაჯინები და მაგიდა, რომელნიც ადვილობრივ ეანდარმათა მმართველობის დარბევის შემდეგ ვადმოიტანა რემოლიუციონურმა კომიტეტმა თავის ორგანოს რედაქციაში, კიდევ უფრო ხაზგასმით აღნიშნავდა კანტორის სიღარიბესა და ბეჩაობას.

მოსამსახურეებიდან ორი თუ სამი ინტელიგენტი იყო—ესენი წიგნებს უჯდნენ,—ხოლო დანარჩენნი უბრალო მუშები.

ესენი სრულებით არ გვანდნენ უგულოდ მოსამსახურე დაქირავებულ



პირებს, რომელნიც მარტო დროს გასვლაზე ფიქრობენ, სწრაფად ხყვენ პარტიის ლერთგულესი წევრები, რომელნიც მთელის თავისი გატაცებით მუშაობდნენ; მათ არ იცოდნენ სამუშაო დღის განსაზღვრა: მუშაობდნენ იმდენს, რამდენიც საჭირო იყო, შრომას მაშინ იწყებდნენ და მაშინ გაათავებდნენ, როდესაც ფიზიკურად უკვე შეუძლებელი იყო მოქმედება და ან მეტი მუშაობა უკვე საქმეს არ ჰქირდებოდა. ხელფასი ხან დიდი, ხან პატარა, ხან სულ არა.

ღრუბელიანი დიდის ინტერესით ადევნებდა მათ თვალყურს. მან მშვენივრად იცოდა ამ მუშაების სული და გული, იცოდა მათი უსაზღვრო ერთგულება მშრომელ სალხისტვის მებრძოლ პარტიის რიგებში და განუზომელი სიმპატიის გრძნობა ილევებდა მის არსებაში.

მან იგრძნო, რომ მის გარშემო ძველი მშობლიური ატმოსფერო იყო, ნაცნობი გულების ფიტქა და სულის თქმა, ნაცნობი და თან შეზრდილი დანაოჭებული შუბლი, ხან უკმეხი და ხანაც მოსწრებულ-ზრდილობიანი სიტყვა-პასუხი...

— მაგრამ... მაინც რისთვის მოვედი აქ პირდაპირ სადგურიდან? როგორ დამაეიწყა გამომუშაებული გეგმა? გაიფიქრა შალვამ, რომელმაც მხოლოდ ეხლა შეამჩნია, რომ წინდაწინ ნაგარაუდვეი დაწყობილება სრულიად შეუცვლია.

გადაწყვეტილი კი ასე ჰქონდა: სადგურიდან პირდაპირ სასტუმროში უნდა წასულიყო, იქ უნდა მოესვენებია და მხოლოდ მეორე დღეს მოეძებნა მისი პარტიის ორგანოს რედაქცია. მაგრამ... სრულიად მოულოდნელად პირველად იქ მისულა, სადაც სულ ბოლოს უნდა გამოცხადებულიყო.

— ეგ რა მომივიდა! ნუ თუ სამშობლოში გაბრუნებამ ისე გამახარა, რომ არც კი ვიცი რას ვშვრებ? ამ ფიქრით საჩქაროდ მონახა თავისი ბარგი და დარცხვნილივით დაეშვა რედაქციის კიბიდან.

— არასოდეს ასეთი რამე არ მომსვლია, ეს პირველი შემთხვევაა ჩემ სიცოცხლეში!

— შეეტლე! შეეტლე! წამიყვანე უახლობელს სასტუმროში!..

მეორე დღეს შალვა ისევ შევიდა რედაქციაში. მან მშვიდათ იკითხა გაზეთის ფაქტიური ხელმძღვანელი, მოსამსახურემ რედაქციის ოთახისაკენ მიუთითა. იგი მოკრძალებით შევიდა მოზრდილ ოთახში, რომელშიც ოთხ ადგილას მშვენიერი მაგიდები იდგა, ერთი კუთხიდან კი საუცხოვო ვახჯინა გამოიყურებოდა.

— ესეც ენდარმერიის ქონება უნდა იყოს, თორემ ასეთ მაგიდებს ჩვენ ბიკებს ვინ აღიოსებდა,— გაიფიქრა სტუმარმა.

ოთხივე მაგიდას თანამშრომლები უსხდნენ და აჩქარებით კალმებს აწრიპინებდნენ; შესულს არაფერ არ შეხებდა. ის პირადათ იცნობდა გაზეთის ხელმძღვანელს, ამიტომ ოთხივეს დაუწყაო თვალთვლება— აბა რომელი უნდა იყოსო... და ბოლოს იცნო. შალვა ნელის ნაბიჯით მივიდა ძველ ამხანაგთან, რომელსაც წერა ჯერ კიდევ არ შეეწყვიტა და ისე ახედა სტუმარს, თანაც ერთი ხელით სკამზე მიუთითა.

— ვინ გნებათ? შეეკითხა იგი ცივად.

— თქვენ.

— რაშია საქმე?

— საგაზეთო მასალა, მოგიტანეთ, ეგების გამოვადგეს?

— დატოვეთ და პასუხს მოვახსენებთ.

— როდის?

— ხვალ.

— ეგების დღესევე?..

— ყოველად შეუძლებელია! აუარებელი საქმე მაქვს!

შალვამ წერილი მიაწოდა.

— თქვენი ვინაობაც ზედ უნდა იყოს აღნიშნული.

— გახლავსთ.

„ისევე ძველებური მეზია, შეუპოვარი და შეუდრეკელი“, ვაიფიქრა შალვამ რედაქტორის შესახებ.

რედაქტორმა ავტორის სახელსა და გვარს დახედა—ეს იმ მოსაზრებით რომ თუ ვინმე უცნობი „მწერალია“ მისი წერილის დაბრავაც რამდენიმე წუთის საქმე იქნებაო.

— შალვა? შენ? წამოიყვირა მან.

— პეტრე...

ამის მეტი არაფერი თქმულა: ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ.

— მეგობარო... ამხანაგო... ძვირფასო...

— რად დაიგვიანე ამდენი?.. შალვა... შალვა...

დაბნეული სახეები, ღიმილი, სიწითლე...

— უკაცრავად... ამხანაგებო, იცნობდეთ,—მიმართა პეტრემ რედაქციის წევრებს,—რუსეთიდან დაბრუნდა ჩვენი ძვირფასი ამხანაგი შალვა კორდელი... იცნობდეთ...

— შალვა კორდელი? მოისმა მაგიდებიდან და კალმების წრიბინიც შეწყდა. საზივებ დიდის მოწიწებით და წრფელის ღიმილით გადააკოცნეს ღრუბელიანი, რომელიც სირცხვილთან შეზავებულ უხერხულობას შეეპყრო და სულ „უკაცრავად“-ის ძიხლია და შუბლზე ცხვირსაბოცის ტარების მეტს ვერას ახერხებდა.

— გაპლარავებულხარ, ბიჭო, გამოკვლილხარ...

— გა, რას იზამ, ძმაო, სული რო გამოწყვა ისიც...

ათასნაირი მოგონებები და აზრები ტრიალებდა ამხანაგებში, მაგრამ არც ერთმა არ იცოდა საიდან დაეწყო ლაპარაკი. სიცილი, უხერხულობა, თავაზიანი მიმოხერხვა... და ბოლოს კითხვები, ათასნაირი კითხვები...

შალვას ჩამოსვლის ამბავი მთელ რედაქციას მოედო, განსაკუთრებით აფუსფუსდა კანტორა და ექსპედიცია თავისი მუშებით, ყველამ ყურები სცქვიტა. ის მოსამსახურენი, რომელნიც გუშინ და დღეს ასე გულცივად შეხვდნენ შალვას, ბედნიერის ღიმილით მიდიოდნენ მასთან, აძლეოდნენ ამხანაგურ სალამს და მზურვალედ ულოცავდნენ სამშობლოში დაბრუნებას და მისი იდეალების მიღწევას.

— ჩუმათ ჩამოხვედით და შეხვედრა შეგვიშალეთ,—სთქვა ღიმილით ერთმა.

— აბა, რა ამბით ვემზადებოდით!..

— რა საქარო იყო, ეგ ზედმეტია,—ჩაილაპარაკა შალვამ.

— რისთვის? მუშები ყოველთვის ვათასებდით ჩვენითვის თავდადებულთა მოღვაწეობას.

— მე არ მიყვარს ცერემონიები... უმნიშვნელო რამეზე დროს დაკარგავა...

— კი, ამხანაგო, მაგრამ... ჩვენ მაინც უნდა აღვნიშნოთ რაიმეთი თქვენი დაბრუნება... აგრე როგორ შეიძლება!..

— უსათუოდ... უსათუოდ...

— ეს იქნება ჩემი სურვილის წინააღმდეგი... თუ არ მომეშვებით, მე ისე



ქართველთა
მწიგნობართა
კავშირი

მოულოდნელად ჩაგიწლით მაგ განზრახვას, როგორც უკვე ჩაგიწლიათ ნაგარა-
უდვეი შეხვედრა... განა ცოტაა დღეს საქმე?

კარგა ხანს ვაგრძელდა მუსაიფი. დიდის ინტერესით აკვირდებოდენ შალ-
შაღვას და თავიდან ფეხამდის ათვლიდებოდენ.

მისი უდროვოდ გაქალაქარაგებული წვერ-ულვაში, ოდნავ დანაოქებული
სახე, მოყვითანო პირის კანი, დიდრონი და ჰკვიანი შავ არშიანი თვალები
და, ბოლოს, ზედგაქრული ლმობიერებითა და სიყვარულით აღსატყვ გამოქმე-
ველება უსახლოვრო აღტიცებას იწვევდა ამხანაგებში...

უბრალო ტანსაცმელი, უბრალო სიტყვა-პასუხი, უბრალო ყოფაქცევა...

ლაპარაკში წამდაუწყებ წითლდებოდა, თითქოს გაუჩვეელი ბავში დგას
უფროსის წინაშე.

— სხვა, რევოლიუციის შესახებ რას გვეტყვი, ამხანაგო? თქვენ რუსეთის
მთავარი ცენტრი მოიხარეთ, როგორია თქვენი შთაბეჭდილება? როგორი მდგო-
მარეობა, რუსეთში?

შალვა თითქოს გამოერკვია, თავი უკვე მისთვის შესაფერ ატმოსფერაში
იგრძნო და რამოდენიმე წველი წამის გახმელობაში ილაპარაკა რევოლიუ-
ციის შესახებ. შალვას სიტყვებიდან ისე გამოდიოდა, რომ მდგომარეობა
სრულდებით არ არის ისეთი ბრწყინვალე და სანუგეშო, როგორც ამას ვახეთე-
ბი აღნიშნავენ.

— თავი და თავი საკითხი ჯერ კიდევ გადაუჭრელია, — ამბობდა შალვა,
— ეს კიდევ ცოტაა, უბედურება იმაშია, რომ შთავრობა კიდევ გაურბის ამ სა-
კითხის წამოყენებას და გადაჭრას. ეს არის ომის საკითხი.

— ახალი მთავრობის წინაშე საშინელი სფინქსი დგას და ძალიან საეჭ-
ვოა, რომ ამ სფინქსის ამოცანა ეღიბ მეთესავით გადაჭრას მან. ძველი მთავ-
რობა მთელის თავის არსებით ომს ემსახურებოდა, მას ჰქონდა ერთგვარი ნა-
თელი მიზანი და ამ მიზნისაკენ მტკიცე ნაბიჯითაც მიდიოდა. მართალია, ამ
სიმტკიცეს ის თან გადაჰყვავ, მაგრამ ვერაფერ ვერ უარჰყოფს იმას, რომ აქ
სჩანდა ძლიერი ნების-ყოფა და თავისთავისადმი უსახლოვრო რწმენა, რწმენა ნათელი
და გარკვეული.

— დროებითი მთავრობას რწმენა დიდი აქვს, მაგრამ საუბედუროდ მან
არ იცის, თუ რა სწამს და რას უნდა ემსახუროს. მისი მიზანი ბუნდოვანი და
გაურკვეველია, გზა რთული და ნისლოვანი.

— სიტყვით ის ყოველივე კარგის მოსურნე და მოტრფილია, ლაპარაკში
მის მიზანიც აქვს და იდეალიც, მაგრამ სინამდვილეში გაურკვეველობა და ჯვა-
რედინ გზებზე თრთოლვაა: ომის გაგრძელებაც უნდა და ზავსაც ეტრფის, არც
ფრონტი უნდა მოიშალოს და საშინაო კითხვების გადაჭრასაც ლამობა. მასთან
არც საშინაო საკითხების გადაჭრანია გაურკვეველობა: ვის სასარგებლოდ გადა-
ჭრას საკითხი, ვისი ინტერესი დადგეს პირველ ადგილას, რომელ კლასს მიე-
ციეს უპირატესობა?

— ან ეგების ყველა კლასებს უნდა ერგოთ რაიმე ამ ნადავლიდან, რო-
მელიც დასტოვა ძველმა რეჟიმმა? კეშმარტი რევოლიუციონრები სულითა და
გულით მშრომელთა მხარეზე არიან, მაგრამ სინამდვილეში სხვა კლასების მო-
მდურებისაც ეშინიათ! ამიტომ საკითხის გადასაჭრელად დამუფუნებელ კრები-
საკენ მიუთითებენ. ის გვიჩნის, ის მოავგარებს ყველაფერსო, მაგრამ ამ კრე-
ბის მოწვევაშიც საშინელი ყოყმანია; ვერ დაუჭიარებიათ, გადაჭრით ვერ წა-
სულან მისკენ. მაშასადამე, აქაც ისეთი ორკოფობას ვხედავთ, როგორსაც ად-
გილი აქვს ომთან დამოკიდებულებაში: გულში ერთი სურვილი, სინამდვილეში
კი მეორე.



საქართველო

— ყოველი მომქმედი არსება გადამწყვედ მომენტში უნდა იხედებოდეს ერთის თვალთ, მეორე კი ახვეული უნდა ჰქონდეს, რომ არ გაიფანტოს მისი ყურადღება. ძველი რეჟიმი სწორედ ერთის თვალთ იხედებოდა, ხოლო დროებით მთავრობა და მასთან ჩვენაც, ათასის თვალთ ვცდილობთ წინ სვლას. ამაში არის უდიდესი საფრთხე.

— უპირველეს ყოვლისა ერთი რკინისებური ნებისყოფა, — იმ რა გაიყვანს ფონს დღევანდელ რევოლიუციას. ჩემის რწმენით ეს გაკაცებული ნებისყოფა ჯერ ამა სანს და უბედურებაც ამაშია, ეს არის ჩვენი რევოლიუციის უსუსტესი მხარე. მართაც კეთილის სურვილებითა შორს ვერ წავალთ.

— მეორე სუსტი მხარე იმაშია, რომ ხალხის ფართო მასსა ჯერ კიდევ არ ჩაბმულა რევოლიუციის პროცესში, ჯერჯერობით მეთაურები ვჩაივართ სცენაზე და ხალხს ბაწრებით მოვეზიდებით სამოქმედოთ. ისიც მოდის, მაგრამ ნელა და ზღაზნებით. როცა იქნება კიდევ მოვა, მაგრამ არაეინ იქის როგორ იქნება მისი სიტყვა. ვინ იცის — ეგების კეტათ დაგვერიოს დღევანდელ მეთაურებს და აქეთ იქეთ მიგვრეკ მოგვრეკას. ჩვენ, დღევანდელი მეთაურები, მართალია, სულიერად ძალიან ახლოს ვდგევართ მასსასთან, მაგრამ ორგანიზაციულად სუსტათ ვართ მასთან დაკავშირებული, ამ გარემოებასაც დღით უბედურების დატრიალება შეუძლია... ასე რომ ვერავის ვერ იტყვის, თუ როგორი იქნება ხვალინდელი დღე ამ საშინელი ქართველის დროს.

ზოგი მართლაც ჩაფიქრა ამ სიტყვებმა, უმეტესობის გულს კი ოდნავადაც არ მიჰკარებია იგი: ისე იყვნენ დარწმუნებული გამარჯვებაში, რომ შავი ღრუბლის დნახვა არც უნდოდათ და არც შეეძლოთ. ჯერ კიდევ ისეთი ხანა იყო, როცა ზღვა ყველას მუხლის თავამდის ეჭვენებოდა და რა გასაკვირია, რომ შალვას სიტყვებს ისინი არ დაეეჭვებია.

— რაკი შეხვედრა ჩავვიშალეთ, ინტერვიუ მაინც უნდა გაპართოთ ჩვენი გაზეთის თანამშრომლებთანო, — ღიმილით უთხრეს ბოლოს ძვირფას სტუმარს.

მეორე დღეს, მართლაც, შალვას ჩამოსვლის ამბავის და მისი წარსულის მოკლედ მოგონების გვერდით — გაზეთში დაიბეჭდა შემდეგი შინაარსის ინტერვიუ:

XVII

„დღევანდელ მომენტში მე უხერხულად მიმიჩნდა მკითხველის ყურადღება ჩემი პირადი ცხოვრების და განცდების გარშემო შემეჩერებია, — ასე იწყებდა კორდელი — მაგრამ მე ვემორჩილები პატივცემულ რედაქციის სურვილს და ძველი, საყვარელი ამბანავების თხოვნას: ვკადნიერდები და მოკლედ ვუშლი ჩემს წარსულს მკითხველის ყურადღებას.“

— თქვენ მკითხებით, ძვირფასო ამბანავო, მოკლეთ მოკითხროთ ჩემი სულიერი ცხოვრების ვითარება ამ ათის წლის განმავლობაში. ენა, რასაკვირველია, იოლად იტყვის, მაგრამ ათი წლის ციხეში გატარება არც ისე ადვილი საქმეა. ამ საშინელებას მხოლოდ ის გრძნობს მთელის თავის შემარყვევლის საშიშროებით, ვისაც თავისი არსება უწვრთნია საპყრობლის ციხე, გალოდებულ და მკაცრად დაკუთხულ საკანში. ცემენტის კერი, ცემენტის იატაკი, საშინელის სისქის ყურ კედელი ცემენტისავე რუხ ყინულში ჩაჯავშნული რკინის ბადურში მკაცრად ჩაჭრილი ცის ნაღვეჯი და ..და რაც თავი და თავია, რაც ყველაფერზე-საშინელია — ეს ამ გულის ზომეველ მოწყობილობის შენს სულსა და გულში ჩასვენება და ძვალ რბილში გაჯდომა, რასაც თან მოსდევს მთელი სხეულის დაღამლება და დაგადება... სისხლი ყინულის ნაკადულად არის გა-



საქართველო

დაქცეული, სხეულის ყოველი კუნთი უსიცოცხლოთ არის შემტყნს შემტყნული...
— დიახ, ასეთია ათის წლის საპყრობილე თავისი საშინელებით და სა-
ცოდავია ის, ვისაც სამარადისო იმედის ცეცხლით გამთბარი გული არ შეჰყო-
ლია ამ გამოკუთხულ ჯავშნის კუბოში!

— ტრამბახობად ნუ ჩამითვლით, ძვირფასო ამხანაგო, და მე სრული დარ-
წმუნებული ვარ, რომ სწორედ ამ ჩემმა გაუტყებელმა და ყოველ წუთს იმედით
მთვთქაევმა გულმა უფნებლად გამომატარა ის საშინელი ხვრელი, რომელიც
თვალ-წინ დამეხატება, როცა ჩემს გუშინდელ ცხოვრებას დავაკვირდები. არ
განძენებია ამ ათის წლის განმავლობაში ისეთი დღე, როცა არ მეფეიქროს:

— ვნახოთ, რას შემძენს დღევანდელი დღე, — და სიხარულით ვიწყებდი
ტანთჩაცმას. თვით იმ ბედნიერ დღესაც, როდესაც თვითმპყრობლობის დამ-
ნობის ამბავი გავიგე, ასეთივე სიტყვით მივმართე ჩემს თავს. ეს უცნაურად აკ-
ვატყებული აზრი დიდ საშიშროებას უჭადდა ჩემს აზროვნებას, მაგრამ მე
მაინც ვერ მომეშორებია იგი და გიჟურის ტინით წლიდან წლამდე ვიმეორებდი
ერთსა და იმავეს.

— საკუთარი სულიერი ცხოვრების ანალიზი ძნელი საქმეა, მაგრამ მე
მაინც ვფიქრობ, რომ ჩემი ასეთი სულიერი განწყობილების მიზეზი პირადად
ჩემთვის ნათელი და გარკვეულია. ჩემი სულიერი მიდრეკილება არ ყოფილა
იქტყენ მიტყეული, რომ მარტო საკუთარ სულის სიღრმეში მეტყირა, მარტო
საკუთარი ცხოვრების განტყვრეტის პროცესში ჩავეღულიყავ და აქედან გამომ-
დინარე თვითდაკმაყოფილება მიმეღო. ასე რომ ყოფილიყო, მე დიდი ხნის
უკან დავიღუპებოდი, დავიღუპებოდი სწორედ ისე, როგორც ეს მოუვიდა ერთ
ჩემ კამერაში მყოფ რუს ტუსაოს, — რომელმაც რევოლიუციის შემდეგ, როცა
ციხის კარები გაუღეს, გარეთ გამოსვლას და განთავისუფლებას, ისევე ციხეში
ყოფნა არჩია. და განა მარტო ერთის პიროვნება შთაუნთქავს ციხის
ჯუღომულს?

— მართალია, მე საკუთარ სულის გარშემო ბევრი ვიხეტიალე, არა ერ-
თი ათასი წრე გაეკეთე მის ირგვლივ, ივანე კარამაზოვის გზა მეც უთვალავ-
ჯერ განვეღე, მაგრამ შევბასა და უსაზღვრო კმაყოფილებას მხოლოდ მაშინ
ვიგრძნობდი, როდესაც სხვისი სხეულის ცხოვრებას ჩემსას დავუნათესავებდი,
როდესაც ვარეშეთა გულის ფართქალი ჩემი გულის თრთოლვასთან იყო შე-
თანხმებული.

— ჩემი „მე“ და პიროვნება სხვების არსებაში ჩავლესე, სხვათა არსებობა
ჩემსას შევადღულე, ჩემი სიცოცხლე ადამიანთა კოლექტივის სულის თქმას ჩა-
ვაწენ და მით გადავარჩინე საკუთარი თავი...

— მე რამდენჯერმე წავიკითხე სერვანტისის დონკიხოტი. ამ ტიპზე უფ-
რო კვიღშობილი ადამიანი მე მეორე არ მეგულვება. რამდენი სასიცოცხლო
ინსტიქტი, რავდენი სოციალური გრძნობაა ამ არსებაში! ვკითხულობდი და
ცეცხლით ვიწოდი, ვიწოდი განუწყვეტლივ, ვიწოდი დღე და ღამე. და ეს წვა
იყო უაღრესად განმბახლებული და ჩემი პიროვნების განმამწმენდელი. ვანსაკუ-
თრებით ელტაცებაში მოვიდიოდი მაშინ, როდესაც დონკიხოტი ეუბნება სან-
ჩოს: „სანჩო, შენ პირუტყვი ხარ და არ იცი, თუ რა ბედნიერებას გრძნობს
ადამიანი, როცა სხვისთვის გასწირავს თავს და საკუთარი თავი ავიწყდებაო“
და მეც ბედნიერად ვიღიარებდი ჩემ თავს, როდესაც ჩემს არსებაში ვგრძნობ-
დი დონკიხოტისებურ მისწრაფებას.

მე უპირველეს ყოვლისა მაინტერესებდა ის, თუ რა ხდებოდა ჩემს გირ-
შემო, როგორ ცხოვრობდნენ სხვა ადამიანები და არა ის, თუ რა ხდებოდა
ჩემს სულსა და გულში...



საქართველო

— ამიტომ, ციხის ჯურღმულებში გამოწყვედიულს, ძვირად თუ მიგვიძნია ჩემი თავი ობლად და განმარტოებულად. ყოველთვის ასე მეგონა, თითქოს ჩემი პირადი ვანცდა და სულის ყვეთება სხვათა არსებობაში და გულის ფეთქებაში იყო ჩალესილი, მე არ ვგრძნობდი ჩემს თავს მოწყვეტილად და მთლიან სხეულზე—კდამიანთა კრებულზე—დაშორებულად. მე რაღაც ინსტიქტიურად მეზინოდა, რომ ამ გზით თვით ანალიზის მღრღნელ ქაობში არ ჩავბრუნობილყავ და მუდამ ეამს იმაზე ვფიქრობდი, რომ სხვათა სიცოცხლეს ვზიარებოდი, სხევებს შევწებებოდი და ისე განმეგრძო დღენი ჩემი ცხოვრებისა.

— ოო, რა ბედნიერებაა, როდესაც ადამიანი მარტოდ არ გრძნობს თავს!.. ყველასგან მიტოვებულად არ მიგაჩნია შენი არსება და სხევების ბედი, თუ უბედობა შენი საკუთარი ავ-კარგი გგონია!

— მართალია, ბევრჯელ შევევია „სევდა დამწყველი“, ბევრჯელ მიგრძენია ჩემი თავი დაღუპულ გემისაგან ჩამონამტვრევ ფიცარზე, რომელიც აღმა-დაღმა დასცურავს ვააფრთებულ ზღვის ტალღებში, დიახ, ხშირად თითქოს ბევრჯელად ეკიდა ჩემი ბედი და არსებობა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მე მაინც ჩემი თავი და პირადი „მე“ არსებითად დავიწყებული მყავდა ადამიანთა კრებული-სათვის.

— და.... თითქოს ეს ციხე არც კი არსებობდა ჩემთვის მე შევეძელი—ამისათვის დიდი ბრძოლაც არ დამჭირებია—სრულიად უმტკივნეულოდ ვადამეღაბა ციხის კედლები და მთელის ჩემის არსებით ვარეშე ცხოვრების ინტერესებს შეედღულებოდი.

— ადამიანთა დიდი კრებულის ნაწილად შენი თავის გრძნობა,—აი რაში მდგომარეობს ეს იდეა. ეს ახრი არ არის ვინმეს მიერ ხელოვნურად გამოვონილი და შეთხზული, არა, ეს თვით ცხოვრების უბრძნესი ახრია და თითოეული ადამიანის ცხოვრებას ისე უფრთებს მთელი კაცობრიობის კოლექტივის, როგორც დაქანებული მიწის ზედაპირი ნაკადულს ნაკადულზე მიაჩქრიალებს ნაკადულებითვე შემდგარ დიდ მდინარისაკენ.

— ცალკე პიროვნებებისგან შემდგარი ადამიანთა კოლექტივი ერთ უდიდეს, უკვდავ და მუდამ ეამს წინსვლელ სხეულს წარმოადგენს: წინათაობის ნააზროვნევი და ნამოქმედარი გზა და ხილია მომდევნოსაუვის, ძველი თაობა ახალში სცხოვრობს და მით შეუმჩნევლად ხორციელდება ადამიანთა უკვდავება და მარადისობა. კერძო პიროვნება, რამდენათ იგი ამ შემოქმედების თანამოზიარეა, იმდენათ იგი უკვდავია და მისი სახელიც წაუშლელი რჩება.

— ვინ იცის რამდენად ბედნიერი ვთვლიდი ჩემს თავს, როდესაც სხვის ნააზრევს ჩემიც დაემატებოდა, სხვისი გრძნობის ნაკადულს ჩემიც შეუერთდებოდა!.. ამ წამს ნელი-ხელ, შეუმჩნევლად მრავალ საუკუნეთაგან განვლილ გზაზე ჩემს თვალწინ აღიმართებოდა უდიდესი და უმშვენიერესი შენობა, რომელიც ცად იყო მიბჯენილი, მთელი ქვეყნებისა ამაყად გადმოჰყურებდა და ადამიანი—ბუნებისა და კაცთა შემოქმედების გვირგვინი—ძლევა მოსილის გვირგვინით, ამაყად გადმოჰყურებდა იქედან მთელ სამყაროს...

— და როდესაც ამ წარმტაც, ამ უდიდეს შენობას დავაკვირდებოდი, ნათლათ ვამჩნევდი და ვგრძნობდი, რომ ამ სასახლის კედლებში ერთი ქვა ჩემის ხელითაც იყო დაშენებული...

— რა ნეტარებას მეგრინდა მე ამის შეგრძნობა! რა ამაყი, რა შეუპოვარი, რა უძლეველი და იმედიანი ვიყავი მე ამ დროს!.. ეტოკავი, ვთოთოდი, ვცახცახებდი. გული აფეთქებას მიპირებდა და საოცნებო მხარეს ვადაფრთხილი მეგრად ვიყავ ვზიარულების ფერხულში ჩაბმული!.. მარჯვნივ მოამე, მარცხნივ სულის მოხათესავე, წინ მიმიზიდავი დაძახილი, უკან აღმაფრთოვანებული ყიყინა!..



გარემოსწივე

— ძარღვებში ვგრძნობ წინაპირთა სისხლის დუღილს... მტკიან კმა მათ-
ბობს განუღლილი თაობათა სულის თქმა... და უაღრესად ბედნიერი ვარ... ბედ-
ნიერი... ბედნიერი...

— დიახ, მე ამ გრძნობამ გადამარჩინა და მთელი ჩემი ცხოვრების აზრ-
საც ამაში ვხედავ... და... მე რომ არ ვცდებოდი, ჩემი რწმენა და ლტოლვა,
რომ შეურყეველი სიმართლე იყო, ამაში ერთხელ კიდევ დამარწმუნა დღევან-
დელმა რევოლუციამ. ჩემს გარშემო აქაფდა პიროველი რევოლუციის მდინარე,
თავდავიწყებით და გიჟურის გატაცებით ვბანაობდი მე ამ მდინარის მჩქეფავ
ზევრობებში... ვიგრძენ და მთელის არსებით განვიცადე თუ რა აუწერელ ბედ-
ნიერებას გრძნობს ადამიანი, როცა თავის ნერვებში სხვისი სისხლის დენასაც
გრძნობს, როცა მის გვერდით სხვაც ვმირთულად ეწევა მისებურ მუშაობას...

— მაგრამ ხანმოკლე შეიქნა ეს ბედნიერი წუთები, საერთო ბედნიერების
კოშკი არ აღმოჩნდა მკვიდრ საფუძველზე აგებული და... კვლავ დადგა დაქსაქ-
სვისა და დათიშვის ხანა...

— მაგრამ სწორედ ამ საშინელ ხანაში ვიგრძენ, თუ რა ღრმად ყოფი-
ლიყო ჩემს არსებაში ჩამარხული სოციალური გრძნობები და მთელის ჩემის
არსებითაც მათ მოვეჭიდე. ეს გრძნობა იყო ჩემი მხსნელი ღუზა, ცის მოკიაფე
მიწიდანველი ვარსკვლავი და მუდამ ეამს თავისკენ მიმზიდავი.

— და თვალწინ მებატებოდა მე ჩემი სოფლის გაბნეული ქობნახები პა-
ტარ პატარა სათიბიან ეზოებით: ბოსტნებით, საქათმეებით, საბძელით, ნალიე-
ებით, ხულებით და დამზობილ ძაბრების მაგვარ ჩალის ზეინებით.

— ვხედავდი ამ საყვარელ ადგილებს და შიგ მოფუსფუსე მცხოვრებლებს:
ჩემს მეზობლებს, ბიძებს, ნაცნობებს, ნათესაებს. ყველა მათგანის ცხოვრება
ვიცი, ყველას ავკარგი გამეგება... ვიცი, მათი გრძნობა, მათი აზრი, ვიცი რა
აწუხებს თითოეულ მათგანს, რა მოჰგვრის ბედნიერებას. უტყუარად ვკითხულობ
მათ სახეზე ყოველივეს... ისინი ჩემნი არიან და მე იმათი, ისინი ჩემი სისხლ-
ხორცნი არიან და მე იმათი... მახარებს მათი ბედი, გულს მიკლავს უბედობა.
ვიცი, რომ ყველა მათგანისათვის მეც ღვიძლი შვილი ვარ, საყვარელი, სანუ-
კვარი...

— აი, მათ შორის მამაჩემის ღარიბული სახლი... ვხედავ მუდამ შუბლშეკრულ
დედა ჩემს, რომელიც მუდამ ეამს ასე ჩამწურჩულება: შვილო, გებრალებოდეს
ყოველი საწყალი ადამიანი, სხვის წართმევა არასოდეს გულში არ გაივლო, რი-
თაც შეგეძლოს სხვას დაეხმარე და სამაგიეროთ ღმერთი შენ მოგეხმარებაო.
მაგონდება მუდამ მშრობელი მამა: წელში მოხრილი, პატიოსანი ოფლით, პა-
ტიოსანი ლუქის მჭამელი, სახე ღვთისნიერი და კაცობრიულ გრძნობით გამ-
თბარი.

— მავიწყდება მაშინ ყოველივე ბოროტი, ვიქცევი უკეთილეს არსებად,
ერთიანად მოვითენებთ სათნოებით და სიკეთის უსაზღვრო მორევში მცურავა,
მზადა ვარ გულში ჩაეიკრა ყველა და ყველაფერი. შეესციანი მთელ ქვეყანას,
თაყვანს ვსცემ ყოველივე არსებას და ვხარობ, ვხარობ...

— კურთხეულ იყოს ეს მოგონება!

XVIII

ღრუბელიანმა სამშობლოში თავი ახლად შობილად იგრძნო. მშობლიურმა
პაერმა და მიწაწყალმა ერთიანად დაუბა ხეული და უდიდესი სულიერი სიმ-
შვიდე მოჰგვარა...

დაწყნარდა გულის თრთოლვა, ამოირეცხა გამოუთქმული სველი სიბამე იგრძნო ხორცი, მყუდროებას მიეცენ ძვლები...

და მოთენთილი, ღიმილ ფრთა გაშლილი შალვა ოცნების ფრთებზე აპირებს თავდავიწყებას...

— ვნახე ჩემი სამშობლო... ველირსე ჩემი ქვეყნის ნახვას, — ჩურჩულებდა თავისთვის, — ოხ, რა ტკბილი ყოფილა შენს მიწა-წყალზე ფეხის დადგმა! შენი მშობელი ცის დანახვა, ხილვა იმ კაბადონისა, რომელსაც ჯერ კიდევ აკვანში წოლისას შესციხობდი...

— სად ვიყავი და სადა ვარ? რა უბსკეროებს გადმოვივლე, რა ნაპრალები გადმოვლახე! საკვირველია აღამიანის ცხოვრება!.. რას არ ნახავს, რას არ განიცდის?

ის ქვეყანა, სადაც ამდენი ხანი მან იცხოვრა, რალაც უზარმაზარ და ვეებერთელა ყინულად წარმოუდგა... ერთსახოვან მინდვრად, დაუსრულებელ და უფორმო არეთ, სადაც ციხეებისა და ბორკილის რაჩუნის მეტი არაფერი უნახავს...

ერთიანად დაავიწყდა ის აღმადრენა და ნეტარი წამები, რომელიც იქ განიცადა მან ამ ბოლო დროს... საშინელმა ყინულმა და უსახლვრო სივრცემ ყოველივე ჩაყლაპა და უკვალოდ შთანთქო უფსკრულში...

იმ დროის სიხარულს რომ დღევანდელს ადარებს, ასე ჰგონია, რომ იქ, ცივ რუსეთში, მისი მზიარულება ნაძალადევი იყო...

აქ კი — შიან და სიციოცხლით მჩქეფ ათასფეროვან საქართველოში, მისი სიხარული ნამდვილი სიხარულია, წრფელი, უზადო, უბსკერო...

იქაური სიხარული ნაფიჭრი იყო, აქაური კი ნავრძობი, იქაური მზიარულება თავის მიერი, იყო აქაური კი გულისმიერია...

იქ როდესაც იცინობდა, გულში ეჭვის ჩრდილი ეუბნებოდა: ვაი, თუ საპასუხით გულწრფელად არ შემომცინობო... აქ კი, საყვარელ სამშობლობოში, შალვა ყოველგვარ სიცილს გამოიცნობს, ყველას გულში იხედება, ყოველივე ნაკეთი ნაცნობი და ნათესაურია... აქ ის შეხედვისთანავე იცნობს და წაიკითხავს ყოველი შუბლის ყოველ ნაოქში ჩაქსოვილ ფიჭრსა და კმუნვას.

აქ, მშობლიურ ცის ქვეშ, არც ერთ გულს ზევით ფიცარი არ ხურავს აზრისა და გრძნობის ყოველ გაელვებას ნათლად ამჩნევს... შეუმცდარად ჰკითხულობს ყოველ იეროგლიფს, ყველას ენდობა, ყველა მისიანია, ყოველ კაცის მკერდზე შეუძლია თავის მიყრდნობა...

იქ კი... იქ... ასე არ იყო: ყველასი ეფიჭრებოდა: ვაი, თუ უკანასკნელ წუთს გამეჩქეს და მილაატრასო... იქ, უცხო მხარეს, მხოლოდ მსჯელობისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მონახავდა თანამგრძნობს და ამხანაგს, აქ კი ყველას ერთის დანახვით იცნობს, ერთი-თვალის მოკვრის მეტი არაა საქირო...

ამხანავი და თანამგრძნობიც რომ არ ნახოს, აქ მაინც ყველა მისია, მისი სისხლი და ხორცია, მისი მშობელი და ძმაა, ლეიძლია, ნათესავია... და ამიტომ არც უღალატებს, არ გასწირავს. ამას მთელი არსებით გრძნობს შალვა, სხეულის ყოველ წერტილი ემოწმება.

და შალვას არსებაშიც ახალმა ენერგიამ, ახალმა ვატაცებამ აღმოხეთქა ისე, როგორც მრავალის ხნით დაგუბებულმა ნაკადულმა... აღმოხეთქა ცხოველმყოფელის წყლით, ველმინდორს რომ ამწვანებს, არე მარეს რო აყვავილებს... და კვლავ გადიშალა მის წინაშე ახალი სამოქმედო ასპარეზი, ახალი წრე, ახალი საქმეები.

მეგრამ... მეგრამ ეს რა გრძნობაა ოსტატურად რო მიუჩქმალავს? ცდი-



ქართული

საბუნებისმეტყველო

ლობს პასუხი არ გასცეს, გვერდი აუაროს და... ახალი საბუნებისმეტყველოები არ ჩაიშხამოს...

შალვამ იცის, რომ ამ გრძნობის დამალვა შეუძლებელია, მას აუცილებლივ ფარდა აეხდებოდა. იცის ყოველივე ეს მან, იცის მაგრამ, მაინც ცდილობს თველი მოარიდოს... რათა? რისთვის?

— სად არის ევა? ცოცხალია, თუ მკვდარი? გაივო თუ არა ჩემი ჩამოსვლა? სად არიან ჩემი სოფიკო, ბიჭიკო, დედა, მამა?..

ღრუბელიანის ჩამოსვლის ამბავი უკვე მთელ საქართველოს მოჰფინეს გაზეთებში, მაშასადამე ყველა მისი ნაცნობი და ნათესავი გაიგებდა, ყველამ იცის სად არის იგი, ბევრმა იცის, ალბად, თუ რამე უბედურებაა მის თავზე და... ყოველ წუთს მოსალოდნელია საშინელი საიდუმლოების გაგება, თავზარდამცემი ამბების შეტყობა...

ერთი გარემოება შალვას რუსეთშიც მოსვენებას არ აძლევდა და აქაც, სამშობლოშიც, ეკალივით მოხვდა თვალში: ახალი ცხოვრების მეთაურებიდან ბევრი სრულებითაც აუ ეჩვენებოდა მას თავის წრის ხალხათ, ე. ი. ახალი თაობის ფენებიდან. მათი წასული სრულიად ჩვეულებრივი იყო, მრავალი მათგანი რევოლუციამდე უბრალო მოქალაქეს წარმოადგენდა, რომელიც საჭურთხეველსაც საკმევლს უჭიკვდა და ტანტსაც ქედს უხრიდა... იმ დროს, როცა შალვა და მისიანები გმირულ ბრძოლას ეწეოდნენ ძველი რეჟიმის წინააღმდეგ, როდესაც გოლგოთაზე ჯვარად ჯვარზე აპქონდათ, ციხეები სასველ იყო ხალხით და სახრჩობელების ანძები გულის შემზარად გამოიყურებოდნენ და იყო კვენსა, დაუსრულებელი კვენსა სამშობლოს კარმიდამოებში... აი, ამ საშინელ ხანაში ბევრი ამათგანი უწყინარ და უჩივარ ცხოვრებას ეწეოდა, გმირთა ბრძოლა სისაცილოთაც არ ყოფნიდათ...

დღეს კი... დღეს ეს ფუნთუშა ბელებიანი ხალხი ეპატრონება ცხოვრებას, უეშარიტი მებრძოლები ლამის შთანთქონ თავიანთ ზღვაში. ყველგან ეგოიზში, პირად კეთილდღეობაზე ფიქრი, თბილი ადგილები, მდიდრული ჩაცმა-დახურვა... ქონების შეძენა, კეთილდღეობაზე ფიქრი.

მართალია, ძველი გამობრძმედილი პირობი, ხალხის ნამდვილი მოჭირნახულენი ვაეკაცურად უდგანან ცხოვრებას სათავეში, მაგრამ რა უნდა გააწყონ ამ აღამიანთა ზღვაში, ამ უცხოთა ხროვაში, რომელსაც პირადი კეთილდღეობის მეტი არაფერი აწუხებს?..

— არ დაგვაყრის ეს ხალხი ჩვენ ხეირსო,—ფიქრობდა იგი.

ძველ ამხანაგებ შორის მან დიანოზ წუწუნაძექ ნახა—მის თხზულებათა პირველი ტომის „გამარჩევი“ დიანოზი განსაკუთრებულის ცერემონიით ეახლა მას.

— ხა... ხა... ხა!.. ჩემო სასახელო მებრძოლო, მტრების რისხვავ, მოყვარეთა მალამოვ, ჩემს ხელში გამოზრდილო და ჩემის ოლარით ნაკურთხო! რა ბედნიერი ვარ, რა ბედნიერი ვარ, რომ კვლავ ველირსე შენს ნახვას! ხა... ხა... ხა... მოდი ერთი გაკოცო... „ამბოზ გიყო შენ არა ვითარცა იუდა, არამედ...“ და ამ სიტყვებით მაგრა ჩაიკრა გულში შალვა.

„შავი ძალის მძლეველი“, „მამულისა და მშრომელთა სასარგებლოდ აღმდგარი, ხოლო ბურჟუაზიის დასამხობლად მოვლინებული“, „გაუტყებელი გული“, „მასრი კალამი“, „მახვილი ენა“, ვინ იცის რა ეპიტეტებს არ ისროდა დიანოზი!

— ჩემო დიანოზ, ჩემო დიანოზ!.. რას შევბი, როგორ ცხოვრობ?

— კარგად, ჩემო შალიკო, კარგად... ძელებურად, ჩვენებურად .. სხეულით ვითომ ცოტათი დავებრდი, მაგრამ სულით... სულით ისევ ძველი დიანოზი ვარ!..



ყველაფერს მოვესწარი, ბიჭო, ყველაფერს: ორი რევოლუციის მოქმედებისას ორი მეფე მოვინელი... ხოლო ევროპაში რამდენი პრეზიდენტი გადავიტანე, ამას ვინ მოსთვლის...

— ყოჩაღ დიანოზ, ყოჩაღ!.. მაგრამ არა ხარ კარგი კაცი, ჩემო დიანოზ, არა! განა ასე უნდა დაგვეიწყებინე ძველი მეგობარი და ერთი წერილი არ უნდა მოგეწერა?

— მოგიკვდეს ჩემი თავი! ნუ თუ არ მიგილია?...

— არა, არ მიმილია.

— სამი წერილი მოგწერე, ჩემ პატიოსნებას გეფიცები...
— მე არც ერთი არ მიმილია.

— პასუხი რო არ ვამეცი, ვიფიქრე არათ ჩამაგლო, არ მიკადრა თქო და თავი დაგანებე... სინიდის გეფიცები... ჩემ სინიდისს...
— რასაკვირველია შენი სინიდისი უნდა იმოწმო და არა სხვისი...

— დიახ, ჩემი სინიდისი...
— იცოცხლე დიანოზ, იცოცხლე... მჯერა ყოველივე, კეთილი კაცი ხარ...

სხვა დიანოზ ჩემო, როგორ უყურებ დღევანდელ ამბებს, როგორ „აფასებ მომენტს“...
— შენ კარგად იცი, ამბანავო შალვა, —პატეტურად დაიწყო დიანოზმა და თან თავის მოწითახლო წვერებში მარჯვენა ხელის სალოკი თითო შეაძვრინა მოსაღებანად, —დიახ, შენ კარგად იცი... ბიჭო, შენობით რომ გელაპარაკები არ გეწყინოს, ახლა შენ დიდი კაცი ხარ, მთელი რუსეთი და საქართველო გიცნობს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც ჩემ ხელში გამოჩინქნილი ბიჭი ხარ და ამიტომ შენობით გელაპარაკები.

— განაგრძე, განაგრძე, ჩემო დიანოზ, არა უშავს, სულ ერთია!

— ჰო, იმას ვაპბობდი, შენ კარგად მოგებენება რომ დღევანდელი საზოგადოება ორ ნაწილად არის გაყოფილი: ერთის მხრივ დგანან ჩაგრულები და მეორეს მხრივ დამჩაგრელები, ერთ ბანაკს ეწოდება მუშათა კლასი, პროლეტარიატი და მეორეს ბურჟუაზია...
— ჩემი დიანოზი ისევ ძველი შაბლონია, ძველი შაბლონი, —ფიქრობდა შალვა და ძლივს იმაგრებდა სიცილს.

— პროლეტარიატს რაც ეამება, იგი ბურჟუაზიას სწყინს და პარიკით: რაც ბურჟუაზიას ვააბარებს, იგი პროლეტარიატს დააღონებს... დიახ, ასეთი კლასთა ბრძოლის დედა ახრი, ეს არის მთელი ჩვენი ცხოვრების მამოძრავებელი ჩარხი. მარქსმა სთქვა: ეცობრიობის ისტორია კლასთა ბრძოლის ისტორიააო... და განაგრძო დიანოზმა, განაგრძო დაუსრულებლივ, გაუთავებლივ...
— ყოჩაღ დიანოზ, ყოჩაღ შენ სწორედ დაგიფასებია მომენტი, —მოუწონა ბოლოს შალვამ. დიანოზმა შეამჩნია რომ შალვა ირონიულად ეკიდებოდა და ლაპარაკის მაღაც დაეკარგა. არაფრის არ ეშინოდა დიანოზს ისე, როგორც დაცინვისა და მასხრად აგდების. მშვენივრად ახსოვდა შალვას მხრივ ირონიული მოპყრობა —სიტყვა „შაბლონი“-ს სახელი ხომ სამუდამოთ მიეწება მას და ერთიანად ჩაიფერვლა კაცი.

— რა ღმერთი ვამიწყრა რო ვნახეო, —ფიქრობდა დიანოზი.
— სხვა, დიანოზ ჩემო, სად ცხოვრობ ახლა, აქა გაქვს მუდმივი ბინა, თუ ისევ შენი სოფლიდან ჩამოდიხარ ხოლმე დედა ქალაქში?

— რასაკვირველია, ძველებურად ვცხოვრობ. მე სოფლის კაცი ვარ, იქაურ სახლკარს და ეხზო —გარემოს როგორ შეველევი! ოო, რომ იცოდე, შალვა, რა მშვენიერი ხეხილის ბაღი მოვაშენე!.. ერთი უსათუოდ უნდა დაგპატიეო...
— რა ღმერთი ვამიწყრა რო ვნახეო, —ფიქრობდა დიანოზი.
— სხვა, დიანოზ ჩემო, სად ცხოვრობ ახლა, აქა გაქვს მუდმივი ბინა, თუ ისევ შენი სოფლიდან ჩამოდიხარ ხოლმე დედა ქალაქში?
— რასაკვირველია, ძველებურად ვცხოვრობ. მე სოფლის კაცი ვარ, იქაურ სახლკარს და ეხზო —გარემოს როგორ შეველევი! ოო, რომ იცოდე, შალვა, რა მშვენიერი ხეხილის ბაღი მოვაშენე!.. ერთი უსათუოდ უნდა დაგპატიეო...
— რა ღმერთი ვამიწყრა რო ვნახეო, —ფიქრობდა დიანოზი.



გ ა რ ე ბ ნ ე რ ი

— მაშ რეზიდენცია ისევ სოფლად გიძვეს და მხოლოდ... მხოლოდ... მხოლოდ დადინარ სოფლად და ქალაქად? ძველებურად არა? ნაცნობებში, საზოგადო მოღვაწეებში... ძველი შლიაპისთვის, ძველი შარვლისთვის... ხა... ხა... ხა...

— ხა... ხა... ხა... რას იხამ ჩემო შალვა, ქართველი მწერლის ბედი ასეთია. სხვათრე არც შეიძლება: ცხოვრებას უნდა მისდიო, შენი ქვეყნის ყოველ მხარეს უნდა იცნობდე... ვსწერ და ვსწერ კორესპოდენტებებს ჩვენს გაზეთებში... ვაშუქებ ცხოვრების ავკარგს...

— როგორ, დიანოზ ჩემო, ნუ თუ შენ კორესპოდენტებზე ვაპყინე შენი ნიჭი? მე კი ფიქრობდი, რომ შენ კრიტიკულ ეტიუდებსაც სწერდი...

— აა, შე ენა გესლიანო, შენა — მიუგო დიანოზმა, — ვიცი რაც გაქვს სახეში, დამცინი განა? მაგრამ არა უშავს, შეცდომით ვინ არ შეცდებოდა... მეც შეცდები შენი ნიჭის დაფასებაში... მე კი არა ბელინსკიც მრავალჯერ შემცდარა ხოლმე... სამაგიეროთ ნინოშვილმა სავსებით ვაამართლა ჩემი იმედები. დიანო, სავსებით, მე იმას პირადად ვიცნობდი და მისი ნიჭიც პირველად მე ვიგრძენი.

— რა არის ამდენი საბუთები რო მომეყარე, განა მე ისა ვთქვი, რომ არ მჯერა შენი კრიტიკული ალლოთქო?

— ასე არ გითქვამს, მაგრამ... დიანოზი არც ისე მიუხედარია, რომ...

— ეე, კარგი თუ კაცი ხარ, ექვიანობა დაგიწყია ამ ბოლო დროს.

— არა, ხუმრობ გაშვებით იყოს, ჩემო შალვა და მე ეხლა იმიტომ მოველი შენთან, რომ ბოდიში მომეხადა, პატიება მეთხოვა... გულ ახდლილად ვალიარებ, რომ მოვსტყუედი და სწორად ვერ გავიგე შენი პირველი ტომი... მაპატიე, ვთხოვ მაპატიო დღევანდელი რევოლიუციის სახელით.

— პატიებაზე ლაპარაკი ზედმეტია, ჩემო დიანოზ! შენ ბელინსკი ახსენე, თუ ეს ხსენება არ იყო „ამაოსა ზედა“, შენ ისიც უნდა იცოდე, თუ რა საშუალებით იხანებდა ბელინსკი თავის შეცდომებს...

— მითხარი და მზადა ვარ...

— ბელინსკის დაემსგავსო, არა? ხა... ხა... ხა... შეუძლებელია რომ კაცმა მასბრად არ ავილოს.

— მაშ რა ვქნა?

— რაც გინდოდეს... მხოლოდ ეს მითხარი გულ ახდლილად: ვისი შეკვეთით დასწყო ის წერილი და რამდენი აიღე ჰონორარი? თუ ასე არ არის, ყოველ შემთხვევაში რალაც ქვენა გრძნობები გამოკმელებდენ ჩემს წინააღმდეგ. სთქვი ყოველივე, ნუ გრცხვნი... თუ ბრძოლა, ბარემ ბოლომდის...

დიანოზ მკვდარ-ცოცხალი მოშორდა შალვას, ერთი სიტყვა რა არის-არ უთქვამს...

XIX

რეზო ნამიანიძის ოჯახი უკვე ის არ არის, რაც იყო: სამუდამოთ დაპარვა დასაყრდნობი ბურჯი — სიწყნარე და შინაგანი მშვიდობიანობა; დაილუპა ადრინდელი მყუდროება და უშფოთველი ცხოვრება, შეირყა, დაინისლა მომავალი.

გინახავთ ისეთი ოჯახი, სადაც უძვირფასესი წევრი კუბოში ასვენია; დრო გამოშვებით ამ ოჯახში საშინელი სიწყნარეა, ფეხაკრებით დადიან, ჩურჩულებენ, ერთმანეთს თავაზიანად ეპყრობიან, გულში კი ჯოჯოხეთის ატარებენ. საკმარისია ერთი ვინმე ჩამოვიდეს ეზოში და მთელ ოჯახს საშინელი ტირილი და გლოვის ზარი მოიცავს.

ასეთი იყო ნამიანიძის ოჯახის სულიერი განწყობილება.



უბედურება სხვა მხრივაც ეწვია ამ ოჯახს: რეზო ნამსახურის უცხო არ არის, რაც უწინ იყო. — ახალმა დრომ ერთიანად ჩააქრო მისი შარავანდელი, დაჩრდილა და უკან ჩამოაყენა. დღეს სულ სხვა ჯურის მოღვაწენი დაეპატრონენ ცხოვრების საკვს და ერთ დროს სახელოვანი რეზო, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივ პიროვნებად გადაიქცა.

პირველ ხანებში ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის წევრად მაინც აირჩიეს, მაგრამ ხელ ახალი არჩევნების დროს — როცა რევოლუციამ მეტი დარაზმვა და ორგანიზაციული მთლიანობა იგრძნო, გავრმავდა და გაფართოვდა, რეზოსა და მისიანებს ცხვირიც კი არ შეაყოფინეს ამ ხელმძღვანელ დაწესებულებაში, ახალმა დრომ ახალი მოღვაწეები წამოაყენა.

ის თავჩაქინდრული დადიოდა და სინათლისთვისაც კი ვერ გაესწორებია თვალი. საშინელი გულჩათხრობილობა დასჩემდა მის დარბაისელ, კმაყოფილებით სავსე და უღარდელ გამომეტყველებას.

— აქი ნაშინვე იგრძნო გულმა, რომ მეფის ჩამოგდებას სიკეთე არ მოყვებოდა, — ფიქრობს იგი.

მდგომარეობა ბანკშიც შეერყა, მისი ბედი ბეწვზე ჰკიდია და როდის გამოაგდებენ სამსახურიდან არ იცის.

— უყუოე ამ ბურჟუასო — გესლიანათ მიაძახა ვილაცამ ერთხელ გასეირნების დროს და ჩვენი რეზო ისე დააფრთხო ამ ამბავმა, რომ შავი ტაიქებიც გაჰყიდა და ასირიელ მოგვის მსგავსი წვერებიანი მეეტლაც დაითხოვა.

დარჩა მხოლოდ მშვენიერი, მსხვილ რეზინის ბორბლებზე შეყენებული ეტლი, რომელსაც გულის ტკივილით ათვალაიერებს ხოლმე პატრონი, თანაც მწვრთნელ ხელში გულდასმით სწამენდს — არ შეუძლია დამტვერილი დაინახოს.

— დღეს კი აგრა, მაგრამ რას მოიტანს — ხვალინდელი დღე?

ასე დააფრთხალი, უიმედო და მიწასთან გასწორებული არასოდეს არ ყოფილა რეზო. ყოველ გეარ განსაცდელში მისი იმედი და დამსხნელი ევა იყო მაგრამ ამ მდგომარეობაში, მას თავისი უბედურება აწუხებდა და რეზოსათვის როდის ეცალა. ცოლ-ქმარი უსიტყვოდ დაშორდნენ ერთმანეთს, ორთავე ცალკალკე ჩაიკეტა საკუთარ გულისთქმაში და ერთმანეთის შეხვედრასაც კი ერიდებოდნენ.

რა ერჭვა მათ შემაერთებელ ძაფს? რისთვის, რა მიზეზთა გამო დაუბლოდნენ ისინი ერთმანეთს? ნუ თუ დღეს, ამ განსაცდელის ეამს უკვე, გაჰქრა იგი და ამ ორ პიროვნებათა შეერთება უკვე არაფერს შეუძლია?

გადიოდა დღეები, კვირები და მათი განთავისება კიდევ უფრო ძლიერდებოდა და ღრმავდებოდა; გლოვითა და სევდით კიდევ უფრო იკლინებოდა ოჯახი; ხანდისხან ისე მძიმდებოდა ჰაერი, ისეთ ლოდით აწევებოდა ორთავეს, რომ სულის თქმაც კი უჭირდათ...

ერთად ერთი არსება. რომელიც მთელ ოჯახში უწინდებურად ფრთხილდებდა და ყველაფერს შეხაროდა — სოფიკო იყო, რომელსაც დღე და ღამე გათანაწიწორებული ჰქონდა და დაუღალავად ეწეოდა რევოლუციონერ მუშაობას.

ის რამდენიმე წრეში უკვე ცნობილ „ამხანაგად“ გადაიქცა და ხანდისხან მიტინგებზედაც კი გამოდიოდა. სოფიკო მარტო დასაძინებლად თუ მოვარდებოდა შინ.

— უჰ, რა დავილალე!.. უჰ, რა საშინლად მშოია! — წამოიძახებდა იგი შინ შემოსვლისთანავე.

— შეილო, სოფიკო! ნამეტანს შეები, აგრე არ შეიძლება!..



საქართველოს

— არა მიშავს, დედა, კიდევ ცოტას წავიმუშავებ და მოვეკიდები საკმეს. ახლა საშინელი ბევრი საქმეები დაგვიგროვდა და მალე ასე არ იქნება.

მაგრამ ეს „ახლა“, „ახლა“ არ დაილია და სოფიკოც მუდამ დატვირთული იყო.

ძველი მეგობრები და ნაცნობები სულ ერთიანად დაივიწყა; პოეტი პიერი მას სრულებითაც არ აინტერესებს დღეს.

— ისეთის ალტაკებთ შეხუდა რევოლიუციას. მეგონა რომ გულწრფელი იყო და სახალხო საქმე უყვარდა, ნამდვილად კი საპნის ბუშტივით გასკდა, ენა-ტლიკინა ყოფილა და სხვა არაფერიო, — სთქვა სოფიკომ და ხელი ჩაიქნია. არც შუშანიკა მოსწონდა სოფიკოს — ესეც მართო ენა ბარაქალა ყოფილაო — სთქვა და გაშორდა.

შალვას ჩამოსვლის ამბავმა შუშანიკას თავზარი დასცა, იგრძნო, რომ რაღაც საშინელმა უნდა დატროიალებულიყო ევას თავზე და მთელი თავისი ყურადღებაც ამ ადამიანს მიაპყრო.

— მოდის, მოდის ჩემი საყარელი მეგოსანი!.. მოდის ჩემი სათაყვანო მწერალი, — გაიძახოდა ალტაკებულის სოფიკო, — როგორ გამიმართლდა წინათ გრძნობა! როგორ ვიგრძენი მის თხუზლებების კითხვის დროს, რომ იგი დიდი ვინმე იყო!

ევა დავზარდაცესული უსმენდა თავის ქალს, რეზო თავჩაქინდრული იყო და შუშანიკა კიდევ იმ ადამიანივით დადიოდა, რომელსაც ძვირფასი არსება სასიკდილო სარეცელზე უსვენია, წამი და... სამუდამოთ გამოეთხევა მას...

— ჩემი სათაყვანო კორდელი, ჩემი კორდელი — განუწყვეტლივ კულიპინება და სოფო.

როცა მან შეიტყო, რომ დედა ქალაქში კორდელის შესახვედრად მზადება იყო, გადასწყვიტა აუცილებლივ წასულიყო და გამრჯევაბა ძოელოცა გამარჯვებულ მებრძოლისათვის.

— პირადათ მისი ნახვა, მისი ცხოვრების დეტალების გაგება, მისი გოლგოთაზე ჯვრით ასვლა და იქ ტანჯვა!.. მომავალი რევოლიუციონური და ლიტერატურული მუშაობის გეგმები... ყოველივე უნდა ვავიგო, ყოველივე!.. კორდელი ჩემი კერპი უნდა იქნეს, ჩემი კერპი, — არ ცხრებოდა სოფიკო.

როცა ვახუტეებმა ამბად ჩამოიტანეს: კორდელი მოულოდნელად ჩამოვიდა და ამიტომ შეხვიდრა არ იქნებაო, სოფიკოს საშინლად უწყინა. სამაგიეროდ დიდათ დაინტერესდა შალვას ინტერვიუში გამოთქმული აზრებით. რამდენჯერმე გულდასმით წაიკითხა მან ეს ინტერვიუ.

— აქ, ამ სიტყვებშია ცხოვრების მთელი სიბრძნე, აქ არის სიცოცხლე და წარმატება, აქ მიახიბა აღმაფრენა და აღფრთოვანება!.. ახ, ნეტავი ფრთები მომცა, რომ ამ წუთს აეფრიადე და ამ აზრების წარმომთქმელ კმნილებასთან დაეფრინდე... ვუგალობ ბუღბუღივით. ვუჭკიტებ მერცხალივით!.. „მქორონდეს ფრთები, ააავფრინდები, შეეებთან მოეფრინდები“...

სიმღერით დაასრულა სოფიკომ და თან განაცხადა, რომ იგი ახლო მომავალში აუცილებლივ წავიდოდა დედაქალაქში კორდელის სანხავად და პირადად გასაცნობად.

— აუცილებლივ, აუცილებლივ!.. გაპკიოდა.

— შუშანიკ, სოფიკოს შენ თან წაყვები დედა-ქალაქში. — წყნარად უთხრა ევამ საღამოს თავის ძიძიშვილს და გაქვავებულის თვალებით მიაჩერდა...

შუშანიკა მიხედა როგორც უნდა მოქცეულიყო: ევას გამომეტყველება ბრძანებათა მთელ წიგნი შეიცავდა.



— წავალ, დიახ, წავალ...
რეზომაც ყელაფერი გაიგო და, თითქოს ისიც რაღაც ბრძანებას ელისო, კრძალვით ახედ-დახედა ევას...

ევა გავდა იმ მთავაოსარდალს, რომელიც მარტო დგას ბრძოლის ველზე, არწივის გამომეტყველებით ათვალეირებს ცეცხლით ანთებულ არე მარეს და მარტო ერთი ხელის გაქნევით იძლევა ბრძანებათა მთელ რიგს...

შალვამ გატაცებით გადასცურა აგორებულ რევოლუციონურ ტალღებში: მიტინგი, კრება, მოხსენება, სხდომა... კიდევ მიტინგი, კიდევ მოხსენება, კიდევ სხდომა... სულ რამდენიმე დღეა, რაც ის ჩამოვიდა და უკვე მთელი მოძრაობის ცენტრში დგას...

— კორდელმა ასე სთქვა... კორდელი პეტროგრადმა პირდაპირ მავთულზე მოითხოვა... კორდელი ჯარის დელეგატების კრებაზე პოლიტიკურ მომენტს ახასიათებს, კორდელი გლეხთა ყრილობის თავმჯდომარეა, კორდელი მეშათა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე, — წამდაუწუმ გაისმის.

დილა, საღამო, შუა დღეა, შუა ღამე — სულ ერთია: სულ შრომა, სულ ფაცა, ფუცი, თრთოლვა და მოუსვენრობა...

შუა ღამის ხანი იყო, იგი საშინლად დაღლილი ბრუნდებოდა შინ, ქუჩაში არავინ ჩანდა, ბნელოდა. ის იყო უნდა ეზოში შესულიყო, რომ ვიღაც შავად მოთუთლი ქალი გადაუდგა წინ და რევოლვერიდან ესროლა.

— ვინა ხართ?... მომკლეს!..

ეს და წამოიყვირა შალვამ და პირქვე დაემხო...

მსროლულს კიდევ უნდოდა ტყვია დაეხალებოდა, მაგრამ ვიღაც მამაკაცი დაეტაკა და რევოლვერი ხელიდან გააგდებინა.

— რას ჩადიხარ, ევა!?

— რეზო... შენ?... რა გინდოდა აქ?... შე სახიზლარო?!?

— ლაპარაკის დრო არ არის!..

ტოლი და ქმარი ბნელეთმა შთანთქო...

XIX.

როგორც შალვას ამხანაგებს, ისე ფართო საზოგადოებას თავხარი დასცა მაამბაემა. რა მოხდა? ვინ ჩაიღინა ეს თავდასხმა? რა მიზნით, რა მოსაზრებით?

თითქმის უგრძნობი შალვა საუკეთესო საავადმყოფოში მოათავსეს. ორი სამი დღე ავადმყოფი ძალიან ცუდად გრძნობდა თავს და, ხშირად გონებასაც ჰკარგავდა. ექიმები ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ კრილობა სრულებითაც არ იყო საშიში, მაგრამ ეჭვს ბადებდა თითონ დაჭრილის სულიერი განწყობილება: ხან წრეს გადასრული ნერვიულობა, ხანაც სრული უგუნებობა და აპატია, მოღუნება, უმადომა; დაჭრილი ხმის ამოუღებელიყო იყო და ლაპარაკიც კი არ უნდოდა. ბევრი ამხანაგი გამოისტუმრა უკან პასუხის გაუცემლად. მხოლოდ ერთხელ გამხიარულდა და თითქოს სიცოცხლის ნიშნები დაეტყო: ეს მაშინ, როცა ნესტორ ნაბაღამე მივიდა მის სანახავად.

— ნესტორ, ეს შენ? შესცინა ძველებურად და მაგრად ჩაიკრა გულში.

— მოხუცებულხარ, კაცო, ცხოვრებას კვალი დაუმჩნევია...

— ოღონდაც, ჩემო ძვირფასო ამხანაგო, ოღონდაც!

— რას შეგები, როგორ სცხოვრობ, როგორ მოღვაწეობ?

— რას ვინამ, ჩემო კეთილო!.. ვარ ჩვეულებრივად, „ძველებურადა, ჩვენბურადა“... ხა... ხა... ხა... ხა... შენ რას შეგები, ბიჭო, რასა იქ?



ქართული
ენის ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარგა ხანს იმუსაიფეს ტკბილად. მეგობრულად, შალვა სრულებით არ გავდა ავადმყოფს და ერთიანად გამხიარულდა.

— ნესტორ, ნუ მომშორდები თუ გიყვარდე, სანამ ფეხზე არ დავდგები, სულ ჩემთან იყავი, შენმა ნახვამ ერთიანად მომისულიერა...

— დიდის კმაყოფილებით, სულ შენთან ვიქმები... მაგრამ ისეთი ქალი-შვილი აპირებს შენს მოვლას, რომელიც უთუოდ მოგარჩენს.

მეორე წამში შალვას ლოგინთან იდგა ახალგაზრდა ქალი.

— აი, ამხანაგო, შენი სათაყვანო მგოსანი, — წყნარად უთხრა ნესტორმა და გულდასმით დაუწყო ორთავეს ცქერა.

— ვინ არის? იკითხა განცვიფრებულმა შალვამ. პასუხი არ იყო. ნესტორი მღელვარებამ შეიპყრო.

ლოგინზე წამოწოლილი შალვა დაეინებით გაჰყურებდა გაშტერებულ ქალს, რომელსაც თითქოს მოძრაობის უნარი დაჰკარგვიაო.

— მითხარით, ვინა ხართ? ჰკითხა ბოლოს შალვამ. ნესტორი შეჰკრთა, თავი ჩაჰკიდა, დაიბნა.

— თქვენი ნიჭის თაყვანის მცემელი, — დაარღვია ქალმა სიჩუმე.

— დიახ... დიახ... როგორც ვითხარი, შენი... შენი ნიჭის თაყვანის მცემელია, — დაემოწმა შეშფოთებული ნესტორი.

— მე მინდა მოგიაროთ, მოგარჩინოთ... მე მუდამ თქვენთან ვიყავი, თქვენზე ვოცნებობდი... თქვენი თხზულებები ჩემს არსებაში უწყმიდეს გრძნობებს აღვიბდნენ...

— ნესტორ... ნესტორ! აქ მო! მითხარი რაშია საქმე, — და შალვას ხმა აუკანკალდა.

— არაფერი, ამხანაგო, არაფერი, — ეუბნებოდა ნესტორი, — თუ შენი სურვილი იქნება, ეს ქალი-შვილი თავს დაგადგება და მოგივლის, ჩვენა თავ-დადებული ამხანაგია... დიახ, ამხანაგია...

— თქვენი სახელი, უცნობო ასულო?

— სოფიკო...

— სოფიკო!.. დიახ... სოფიკო, — ძლივს ჩაილაპარაკა შალვამ და გრძნობა დაჰკარგა...

— ნესტორ, შენ აქა ხარ? ხელი, თუ ძმა ხარ.. ხელი მომეცი... ექიმს არ დაუძახხო... წყალი... წყალი...

სოფიკო კიჩით იდგა სნეულის თავთან და წყალს აჰკურებდა.

— ნესტორ შენ მე იცი რითი ვარ ავად... ნესტორ, შენ ყოველივე იცი... მე ექიმი არ მინდა...

— არც არის საჭირო, არა... არა გიშავს რა... არა გიშავს, მალე სულ კარგათ იქნები და შენი წყლულებიც მოშუშებული იქნება.

— ნესტორ... ჩემო ნესტორ...

— აქა ვარ, ჩემო მეგობარო, აქა...

— ჩემი სოფიკო მომაგონდა, ჩემი სოფიკო...

შალვამ ისევ დაჰკარგა გრძნობა; ნესტორი შიშმა შეიპყრო, სოფიკო თავს აკვდებოდა დაჰკრის...

— ვაი, თუ შეცდომა ჩავიდინე სოფიკოს აქ მოყვანით, — ფიქრობდა ნესტორი.

მეორე დღეს შალვა უკეთ შეიქნა და ნესტორს თავიდან არ იშორებდა. ისინი განუწყვეტლივ მუსაიფობდნენ და მეგობრულად ერთობოდნენ. სოფიკო კი მსახურად უდგა სნეულს, მაგრამ ნესტორი სულ იმის ცდაში იყო, რომ

სოფიკო რაც შეიძლება ნაკლებად შემოსულიყო შალვას ოთახში. ნესტორი უფროთხოდა უდროვით საიდუმლოს გამოძიებას და ამიტომ ვერც თვითონ შორდებოდა სნეულს, რომ მის იქ ყოფნაში რაიმე არ მომხდარიყო.

გაზეთებმა ვრცლად ასწერეს შალვას დაქრის ამბავი და შემთხვევას შესაფერი ახსნაც მისცეს: თავდასხმა მონათლეს „პოლიტიკურ აქტად“, ეს სოროებში მიმალული რეაქციის საქმეა, ძველი რეჟიმი ისევ ძალას იკრუფს და თავდასხმას გვიპირებს, საუკეთესო რევოლუციონერის სიკვდილით შტრის სარდლის მონორება უნდოდათო“ და სხვ.

ეს მოსახრება ყველას საბუთიანად ეჩვენებოდა, მით უმეტეს იმიტომ, რომ იმავე ხანებში პეტროგრადიდან ცნობები მოდიოდა გენერალ კარილოვის შეთქმულების შესახებ.

გაზეთები ცხარე კამპანიას აწარმოებდნენ, ყოველდღე დაწვრილებით ცნობებს აქვეყნებდნენ შალვას მდგომარეობის შესახებ, მთელი საზოგადოება აღელვებული იყო, ავადმყოფს აუარებელი მოლოცვები და ადრესები მოდიოდა

— ნესტორ, როგორ ფიქრობს შენი მუშური ინსტიქტი, — მართლა საშიშია რეაქცია? ჰკითხა შალვამ.

— ჩვენში, საქართველოში, არასოდეს; ქართველი ხალხის შეძლებული ფენები ფაქტურნი არიან და სხვის დაუხმარებლად ვერას გახდებიან. ჩვენი ქვეყანა ფაქტიურად დაბალი ხალხის ხელშია, აქ მშრომელთა სრული ბატონობაა... მოიგონე, რა იყო თვითმპყობლობის დროს: ვითომ თავადობა და სამღვდელეობა გვედგა სათავეში, მაგრამ ჩვენი ერის მაჯის ცემა ფაქტიურად გლეხების და მუშების ხელში იყო, ჩვენი აზრის ყველას ეშინოდა...

— ჩემო ნესტორ, შენ როგორც გეტყობა, პოლიტიკური მომენტი ვაქვს სახეში. დღეს კი, როცა უდიდესი და გაუგონარი რევოლუცია მოხდა, პოლიტიკურ თავისუფლებას აუცილებლივ სოციალური საფუძველიც უნდა ჩაეყაროს, წინააღმდეგ შემთხვევაში...

— მართალი ხარ, რეაქცია მოხდება, — დაამთავრა ნესტორმა შალვას აზრი, — გლეხისთვის პოლიტიკური თავისუფლება ცარიელი სიტყვებია, მას რაიმე უნდა რეალური მისცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის რევოლუციას გადაუდგება...

— მერმე მივეციტ ჩვენ რაიმე?

— ჯერ-ჯერობით სიტყვების მეტი არაფერი: მიწას დამფუძნებელი კრება მოგცემს, მანამდე ხელი არ ახლოთო ვეუბნებით, რვა საათის სამუშაო დღესაც იგივე კრება დაგვიკანონებსო ჩაეჩიჩინებთ მუშებს... ჯერ-ჯერობით ვითომ კი გვიჯერიან, მაგრამ მალე...

— თითონ ამოქმედდებიან, არა?

— რასაკვირველია! თუ ჩვენ დროზე ვერ გავიგეთ ხალხის სულიერი განწყობილება, იცოდე უჩვენოთ მოხდება მუშების დანაწილება და ბევრიც სხვა რამ. ამის ნიშნები უკვეა! ბოლშევიკები აქი აშკარად ქადაგებენ: ნუ უცდით დამფუძნებელ კრებას, ეხლავე დაიტაცეთ მიწები, ეხლავე თქვენი დაბრუნდით ფრონტიდანო. ამ ლოზუნგებში უსათუოდ დიდი მასების სურვილია ჩამარხული, ამ დანახილს იცოდე ბევრი გაჰყვება რუსეთში და ჩვენშიც. პირდაპირ გუუბნები, ჩემო შალვა: თუ დამფუძნებელი კრების მოწვევა გაქიანურდა, პირველი მე ავიღებ ხელში ნაჯახს და წინ წაუძღვები მუშებს. მე ვერ გამომიცვნი, რა ტიპის რევოლუციაა ჩვენი რევოლუცია: ვაგონილა, რომ ორასი მილიონი ხალხი უსისხლოთ განთავისუფლებულიყოს? მთელი ქვეყნის მიეჭესედი ასე იოლად და ერთი ქარის მობერვით ვაბენდიერდება? მე რალაც არ მჯერა! სხვა ქვეყნები თუ სისხლით შოირწყაო — ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, — ჩვენ რალა ვართ? განა ჩვენც მათსავეთ აღამიანები არა ვართ?



— დღევანდელი კაცობრიობა კულტურულია და ეგვიპტის დასაშვებია ის აზრი, რომ ეხლანდელი რევოლუციაც სხვა ფორმას მიიღებს,—სთქვა შალვამ.

— არ მჯერა: თავისი ნებით ბატონობას არც ველური თმობს და არც განათლებული; როცა საარსებო ლუქნაზე მივა საჭმე, ჩვენ ყველანი ერთნაირის დაუნდობლობით ვიბრძვი... ისიც უნდა მოგახსენო, რომ რაც ბრძოლით მიმოპოვებია, იმას არავის იოლად არ დავანებებ. ადვილად შენაძენი, ყოველთვის ადვილად ილუპება... ჩვენი დღევანდელი რევოლუციონური მონაპოვარნი სხვისის ხელით მოძღვნილად გვეჩვენება, 1905 წლის ბრძოლა ბევრს არ ახსოვს... ამიტომ მისი დაკარგვაც იოლია.

— მართალს ამბობ, ჩემო ნესტორ,—დაეთანხმა შალვა—ისტორიაში მხოლოდ სისხლია წმინდა, მხოლოდ სისხლით განბანილი უფლებაა უკედავი და საშვილიშვილო... სისხლი ყოველთვის ახალი ცხოვრების მიჯნაზე ინთხევა... ეს ღრმად უნდა ახსოვდეს ყოველ რევოლუციონერს.

— ვერც ეს გამიგია, რომ ზოგიერთი ჩვენი ამბანაგები ერთობ დიდ ზომიერებას იჩენენ და უდიდესი სახალხო მოძრაობა გამომუშავებულ პროგრამებში უნდათ ჩაქედონ. რევოლუციის დროს ზომიერებაზე და კანონიერებაზე ლაპარაკი არ შეიძლება. მოქმედი და მოზომილი არ შეიძლება, ამბობს ხალხი. მიყარდნელი თქვენი კალაპოტში ჩაყენება შეუძლებელია და თუ მოინდომე ეს, იცოდე აქაფებული ნიაღვარი სადღაც ვადაგისვრის... ასე რომ ბევრი რამ მაფიქრებს... ხანდიხან იმასაც კი ვფიქრობ—სიბერე ხომ არ შემომეპარა და აზროვნება ხომ არ ამერიათქო.

— სიბერის ბრალი რომ იყოს, მაშინ გონიერებისა და ზომიერების მქადაგებელი იქნებოდი, შენში კი ჭეშმარიტი რევოლუციონერის კოცონი იწვის და შენი აზროვნებაც რევოლუციონურად არის გაალმასებული...

— არ ვიცი, არ ვიცი...

— ენახოთ რა იქნება, გაეყვიეთ ფაქტებს...

— ვერც მაგაში დაგეთანხმები: რევოლუციის დროს ბევრ შემთხვევაში ფაქტები ჩვენ უნდა მოგვყებოდნენ და არა პირობით... რევოლუციის ქარტეხილში პიროვნება და მისი შემოქმედება ნათლის სვეტად უნდა მიუძღოდეს ამობოჭრებულ ხალხს... ფაქტების მიყოლა პასიობაა, რევოლუციონერი კი უპირველეს ყოვლისა პასიური არაა...

XX

— ნესტორ, ამ დღეებში მე ერთი საინტერესო წერილი მივიღე, პასუხიც დავამზადე, მაგრამ გაგზავნა ვერ მოვასწარი. თუ გაინტერესებს წაგიკითხავ ზოგიერთ ადგილებს.

რამდენიმე წამის შემდეგ შალვა ლოგინში ჰკითხულობდა უცნობის მიერ გამოგზავნილ წერილს. „წავიკითხე თქვენი ინტერვიუ“, მწერს ვილაყაა და... არ მეთანხმება... მომიცა, საიდან არის უფრო საინტერესო... ჰო, აი აქედან...

„თქვენი ინტერვიუ დაკინებით ეყრდნობა ერთ აზრს: ციხეში ყოფნის დროს თითქოს თქვენ ყოველ წუთს და ყოველ წამს მხოლოდ სხვებზე ფიქრობდით, პირადი „მე“ დავიწყებული გყავდათ, თქვენ თავს სხვებში ჩალესილად გრძობდით და სხვები კიდევ თქვენს არსებაში ისხდნენ. ერთის სიტყვით თქვენ ხელი აგლიათ თქვენს პიროვნებაზე და სხვისთვის მიგიძღვნიათ იგი.

„უპირველეს ყოვლისა თითონ ბუნებამ იზრუნა იმისათვის, რომ ერთი პიროვნება მეორეს არ შეერთებოდა, ანუ როგორც თქვენ ამბობთ—ერთი მეორეში არ ვადესილიყო. მატერიალურად თითოეული პიროვნება ავტონომიურად ცხოვრობს, განცალკევებული ფიზიკური არსებობა აქვს და, მაშასადამე, სულიე-

განცალკევებულს, სხვებისგან
გამოყოფილს და მარადიულად განთავისებულს.

რადაც იგი თავის საკუთარ ქვეყანას ატარებს, განცალკევებულს, სხვებისგან გამოყოფილს და მარადიულად განთავისებულს.

«ცხოვრებაში არის მომენტი, როდესაც ერთ პიროვნებას ჰგონია, რომ თითქოს იგი მეორეს შეუერთდა და განუშორებლად შეეწყება, ეს არის სიყვარულის პარაქსიზმის დროს. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ პარაქსიზმი აუღმყოფური მდგომარეობაა და ნორმალურ ყოფაში ჩავარდნისთანავე ყველაფერი ჩვეულებრივ სახეს იღებს.

«თქვენც ასეთის პარაქსიზმიოა და აფიქტით ხართ შეპყრობილი, ნორმალური პირობები თქვენც უსათუოდ გაგკურნავენ.

— რაო... პარაქსი... თუ... რა სიტყვაა?

— პარაქსიზმი, ნესტორ... ე. ი. შეცივება, შეცხვლება, აკანკალება...

— რა სიტყვების რაბარუხი იცით ამ ინტელიგენტებმა!..

— მოიცა, ნუ მიშლი .. კიდევ მოვნახო საინტერესო ადგილი... ჰო... აი აქ...

«თქვენ საკუთარი თავი მსხვერპლად მიგიტანიათ რადაც ფეტიშის წინაშე, ამ ფეტიშს თქვენ „სხვებს“, „გარეშებს“ ან კიდევ „დაბალ მოძმეთ“ უწოდებთ, მე კი ბრბოს ვარქმევი.

ჩვენი დროის ფეტიშისტო: განა არის ღირსი ეს თქვენი კერპი მსხვერპლისა და თავგანწირვის?

აღამიანის ეგოიზმმა უაღრეს წერტილამდე მიაღწია ჩვენს ხანაში, პიროვნების ეშვები დაუნდობლად სცელავენ გარეშეთ...

და ასეთ დროს თქვენ გამოსულხართ და გადაგებთ იმას, რაც ერთიანად ეწინააღმდეგება სინამდვილეს: გვირგვით შევეწიროთ ამ საშინელ მოლოქს, ამ უსაზიზღრეს სფინქსს...

ამაზე მეტი შეუსაბამობა არ შეიძლება.

არა მსხვერპლი მას, არამედ თითონ მისი მსხვერპლად ქცევა!

არა მისთვის თავგანწირვა, არამედ მისი სასიკვდილოდ განწირვა!

არა ამ ფეტიშთან შეწებება და შედუღება, არამედ ლტოლვა მისგან, გაქცევა მისი სიღრმიდან!

აი, რა უნდა იყოს ადამიანის მისწრაფება, აი რით გადაარჩება კაცობრიობა მოსპობასა და გადაშენებას!

ბრბოსთან თავგანწირული ბრძოლა და დაუნდობელი შეტაკება—

ცხადყოფს ჩვენს პიროვნებას და დამოუკიდებელ აზროვნებას!

მისი გზების გარეშე სიარულით და აღიბეჭდება ცხოვრების ორომტრი-
ალში ჩვენი პიროვნება, ჩვენი „მე“, რომელიც მუდამ ყოფილა:

ყოველ ახალ აზრთა სათავე,

ყოველგვარი განახლების დასაწყისი,

მთელი ისტორიის შემქნელი და

კაცობრიობის წინამძღოლი...

ეს როლი რჩეულთა ხვედრია და მეც მთელის ჩემის არსებით ვეთაყვანები ამ რჩეულებს...

პრწამს ამ რჩეულთა სიდიადე და უაღრესობა...

უბრალო მომაკვდავი მათ ხელში მხოლოდ საშენი ქვა უნდა იყოს, უბრალო მასალა იმ დიდებული კოშკის ასაგებად, რომელიც

ცად უნდა იყოს აწვდილი,

მთელი ქვეყნიერება მას უნდა ხედავდეს

და რომელის სახელი უნდა იყოს:

თავისუფალი პიროვნება,

რომელიც აღიარებს:

მხოლოდ თავის თავის,

თავის აზრს,

თავის გრძნობას,

თავის შემოქმედებას და

გარეშე თავისი პიროვნებისა მისთვის არაფერი არ არსებობს...

— საკვირველი ხალხი ხართ ეს ინტელიგენტები, — ღიმილით სიტყვა ნესტორმა, — მსჯელობა... მსჯელობა და სულ მსჯელობა...

— კარგი, ნესტორ, დაგვანებე თავი ამ ინტელიგენტებს... უმჯობესია ჩემი პასუხი წავიკითხო, აგერ-ეგერ ამოვარბევ, აი რას ვსწერ...

„აღამიანი და მისი პიროვნული შემოქმედება ჩემთვის ისეთივე სათაყვანოა, როგორც თქვენთვის, ნუ გგონიათ, რომ მართო თქვენი იყოს ეს აზრი.“

მაგრამ თქვენ ერთის გზით გინდათ ამ პიროვნების გაბედნიერება და მე კი მეორეთი; გავკადნიერდები და მოვახსენებთ, რომ თქვენი გზა სრულიად მრუდეთ შეუფერებლად მიმდინია.

უპირველეს ყოვლისა ადამიანი არ არის ისეთი არსება, როგორც თქვენ გგონიათ.

მართალია, ის დღეს დაუნდობელი ეგოისტია, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ კულტურის უფრო დაბალ საფეხურზე იგი ათასჯერ უფრო მხეცი იყო, მივალწევთ განვითარების შემდეგ საფეხურს და ადამიანიც იგი არ იქნება, რაც დღეს არის. არსებობს ევოლუციის რკინის კანონი და ადამიანის ბუნებაც ამ კანონს ემორჩილება.

„განვითარების შემდეგ საფეხურად მე მიმდინია სოციალიზმი, რომელიც კაცობრიობას უმხადებს სრულიად ახალ ეკონომიურ საფუძველს. დღევანდელი ყოფა-ცხოვრების საძირკველი — კონკურენციაზე დაყრდნობილი საზოგადოება, კოლექტიურ ქვეყანად გარდაიქმნება, ყოველი ადამიანი ეკონომიურად ჩადგება ერთიანი პირობებში; ამ მომენტიდან იწყება პიროვნების უაღრესი განვითარება, მისი სრული გარდაქმნა და სავსებით ახალ არსებად გარდაქცევა. ამ დღიდან სასიკვდილო განაჩენი განემხადება ადამიანის ეგოიზმს და პიროვნებაც ერთიანად სოციალურ არსებად გარდაიქცევა. მისი ნიჭი და შემოქმედება თავისუფლად და ყოველის მხრივ მხოლოდ ამ ურთიერთობაშია გაიფურჩქნება. და კაცობრიობის ყოველი წევრისათვის დადგება ჯერ უნახავი და განუცდელი ხანა, როდესაც არც ერთ პიროვნების ნამოქმედარი ფუჭად არ დაიკარგება და საერთო, კოლექტიურის ძალღონით აიგება უბედნიერესი ყოფა-ცხოვრება.“

— შენაც ძალიან პრტყელ-პრტყელ სიტყვებს ხმარობ.

— მომიცა, ნუ მიშლი... აი კიდევ რასა ვწერ...

„თქვენის აზრით: კოლექტივის უხდა გაიქცეს პიროვნება, აუცილებელია უნდა გამოეთიშოს, მისი ხსნა ამაშიაო და ისტორიასაც იშველიებთ ამ აზრის დასამტკიცებლად.“

„პიროვნების სიდიადე ყოველთვის საზოგადოების წიაღში გარდაშლილა, საზოგადოების კალთაში აღზრდილა იგი, მშობელი წრის ავგარგით გაელენთილა და ამავე წრეში შემოქმედებით უთქვამს თავისი სიტყვა ისტორიაში.“

„მაშ რა არის ეს თქვენ მიერ გამოვანილი რჩეული არსება, რომელიც უბრალო მომაკვდავთ მასალათ უნდა ხმარობდეს, შეუბრალოდ უნდა თელოს მათი გვამები და რაღაც მწვერვალისკენ მიისწრაფოდეს?! საკვირველი აზრია! ადამიანის პიროვნების მოსარჩლე გამოდინხართ და იმავე დროს ქადაგებთ: „რჩეულ“ პიროვნებას უფლებას აქვს სხვათა პიროვნება გასთელოს და საკუთარი დიდების საფეხურად იხმარო...“

ქართული
ხელნაწილები

- მოიტა წერილი, მოიტა, წავილო ფოსტაში,—გააწყვეტინა ნესტორმა.
- მომიცა, შე კაცო, კიდევ წავიკითხავ, ჯერ ბევრია...
- მესმის რისი თქმაც გინდა: გავიგე ყველაფერი...

XXI

შალვას ჯანმრთელობა თანდათან გაუმჯობესდა, ნესტორის მოვლა-პატრონობამ ის სულიერადაც გაამხნევა და გაახალისა. მაგრამ ეს გაახალისება ხელოვნური გამოდგა: რამდენიმე დღის შემდეგ შალვას ისევ ეწვია მისი კაეშანი და ხშირად ძალზე დაღონდებოდა ხოლმე. მართალია, ნესტორი მისთვის დიდი ყავარჯენი შეიქნა, მაგრამ ამავე დროს ამ სახელთან შალვასათვის მრავალი მოგონება იყო დაკავშირებული...

ძველი სურათები უაღრესის სიცხოველით კრთოდენ მოგონებაში და ერთიანად აფორიაქებენ მისს სულსა და გულს.

სოფლად მუშაობა, საიდუმლო კრებები, გლეხების ქობ-მახები, ევას შებვედრა, მუშაობით გატაცება, უდიდესი მოძრაობის დასაწყისი, ბუმბერაზი ზღვის გულის წარმტაცი ღელვა... ევა და კიდევ ევა, მისი გაქცევა, სიყვარულის გამოცხადება, უდიდესი ბედნიერების განცდა, ბედნიერება პირადი და საზოგადოებრივი...

იგი ერთიანად შეიპყრო ახალგაზრდობის სურათთა ხეივანმა: თვალის მომკრელი საღებავები, დაუსრულებელი თრთოლვა, მუდმივი ნაირნაირობა, სისხლისა და აზრის ჩანჩქრები, თავდავიწყების ფრთა გაშლილი ნავარდი, უსაზღვრო არე—სულის ლტოლვის სანავარდო...

რალა შერჩენია დღეს ყოველივე ამისაგან?

მხოლოდ უსაზღვრო სივლე, დაცალიერებული სული, დაფლეთილი გული... როგორ? დღეს? მშრომელთა ხელ-ახალი ამობოქრების ქაშს? სახუცვარი იდეალების ფრთათა გაშლის დროს?

ეს ხომ შალვას მთელი მსოფლ-მხედველობის თავდაყირა დადგომა!

ეს ხომ მისი სრული განადგურება და გაკამტვრეება!..

ნუ თუ ერთიანად დაიწვრა თვალის წარმტაცად აგებული იდეათა კოშკი!

ნუ თუ ბედნიერების თუ უბედობის საკითხი პირადობის თვალსაზრისით უნდა გადაიქცას?

ნუ თუ მართალია იმ უსახელო წერილის ავტორი?

ვინ იყო იგი, ვინ დაანთხია მისი სისხლი?..

— ნესტორ...

— აქა ვარ.

— იცი რას გეტყვი?..

— საიდან მეცოდინება, გულში ხომ არ გიზივარ!

— შენ ჩემი ძველი მეგობარი ხარ, უნდა მიმიხედო რისი თქმაც მინდა...

— მე გულთა მბილავი არა ვარ...

— შენ განგებ არ გინდა გულთამბილავი იყო, დიპლომატობ...

— გარწმუნებ, რომ არა.

— ნესტორ, ნუ თუ შენ არ იცო ჩემი გულის დარდები?

— მაკვირვებს შენი ლაპარაკი, ჩემო შალვა...

- ნესტორ!
- შალვა...
- დამიგდე ყური და გითხრა!
- გისმენ...
- სოფიკო კარგი სახელია.
- ავადმყოფის მოვლაც ჩინებულად სკოდნია...

- ამხანაგო ნესტორ,— მოისმა მეორე ოთახიდან.
- რაშია საქმე, ამხანაგო სოფიკო?
- შეიძლება.
- რატომაც არა!

- მოხუცი ქალი და კაცია,— სთქვა სოფიკომ.
- ვინ უნდათ? იკითხა შალვამ.
- თქვენ... ბატონო... სოფო გაწითლდა, დაიბნა.
- მარტო არიან?
- ერთი ყმაწვილი ახლავთ.

ნესტორი და სოფიკო მაშინვე დერეფანში გავიდნენ.

— ვინ არიან, შემოუშვით?... მალე... მალე... გაისმა შალვას ნერვიული ხმა— ვინ არიან მეთქი!..

- შეილო... შეილო...
- დედა?... შენ..
- შეილო... შეილო...
- მამა?..

ჩონჩხად ქცეული დედა, ბეჭებში მოხრილი, ჩავარდნილი ლოყები, ძვალზე გაკრული ყვითელი ტყავი, სანთლის ცხვირი, ამომშრალი თვალები, დაკრუნხული, აკანკალებული ხელები...

წვერულვაშში ჩამალული მამა, დაკოვრილი ხელები, ჩოხა, ჯოხი, ხურჯინი, მოხრილი წელი...

დღისხანს ქვითინებდა დედის გულმკერდში ტანჯული შვილი, დედის ცრემლები ნამათ ეპყურებოდნენ მის ჯალარა თმებსა და წვერ-ულვაშს...

— შეილო!.. დააკრულო, შეილო!.. სისაწყლოში გამოზრდილო შეილო... შალიკო დედა!.. შალიკო, შეილო!.. ნახე შენი გამზრდელი ძუძუები!.. ნახე შენი დედის გამხმარი გულის ფიცარი... შეილო... დატანჯულო შეილო!..

— ღმერთო ვმადლობ შენს წყალობას... ღმერთო ვმადლობა შენს წყალობას...— ტირილით ამბობდა მამა.

ნესტორი და სოფიკო ჩუმად იცრემლებოდნენ.

— მამა.. ჩემო მამა!.. მოდი შენც მაკოცე!.. შენც მაკოცე!.. გადავჩი მშობლებო... დედავ, მამავ!.. ყველაფერს გადავჩი, ყოველივე გადავიტანე... მე კარგად ვარ... კარგად. ნესტორ, მომეცი ტანისამოსი, ჩავიცვა... დღეიდან მე ლოჯინში არ დავწვიები... წავიდეთ აქადან, გამიყვანე!..

— შეილო... შეილო...

— ნუ გეშინიათ... მე არაფერი არ მიპირს, ყველაფერს გადავიტან, ყველას გაუშკლავდები... დღეიდან სულ თქვენთან ვიქნები, არ მოგშორდები...

— კრილობა, შეილო, კრილობა?..

ნარკინული
ზონორიონისა

— აი, ნახე დედა... უკვე მორჩა, სულ უბრალო იყო... არა მი-
შავს რა...

— ვინ მიკლავდა, შვილო, შენს თავს? ვინ გაგიმეტა, ვინ გაგწირა?
ლოყების კაწვრა, კბილების კრაქუნნი.— ვაკოცო, შვილო, შენს კრილობას,
ვაკოცო... და დედა შეილის კრილობას ემთხვია...

— შვილო... დედა... — შვილო დედა... ქანდაკებები, ცრემლებები, ქანდა-
კებები, ცრემლები...

— ჩვენ აქ ზედმეტნი ვართ— უთხრა სოფოს ნესტორმა და კარში გაიყუა-
ნა. ის ძალზე ღელავდა და არ იცოდა გაცეა თავისი სამუღმეობა თუ არა,
ეთქვა, თუ არა რა ვინ იყო სოფო.

ძნელი იყო ასეთ წამს ამისი დეაბრვა, მაგრამ, ვაი, თუ ერთ აღელვებას
მეორე დაემატოს და სხეულს აენოს?

— მამ თქვენ კარგად ხართ?.. ცოცხლები ხართ?.. ცოცხლები? — ამბობდა
წამდაუწყებ შალვა, — დედა, როგორ მოხუცებულხარ!.. მამა!..

— სიბერე ყველას თავზეა, შვილო, — ამბობდა მამა, — რაკი შენ გნახეთ
ცოცხალი, ჩვენ აწი სიცოცხლეს არ გვინდა... რაკი ჩემი სიმართლე მაჩვენა
ღმერთმა, რაკი მტრის გული არ გაახარე...

— დაგტანჯეთ, მამა, დედა... დაგტანჯეთ... მაპატიეთ...

— შვილო. შალიკო, იცი მე რა მოგიტანე?

— ვიცი, დედა, ვიცი შენი გულის ამბავი... ვიცი რასაც მომი-
ტანდი!

— ა, შვილო, შენი ეზო-გარემოს ნაყოფია... ვაშლები, მსხლები... აი, ჩე-
მი გამოზრდილი ქათმები, ჩემი ამოყვანილი ყველი, ჩემის ხელით ვაკეთებული
ნახუჭები... ყველაფერი წამოგიღე, ყველაფერი...

ბარბარე ამ ლაპარაკში მზრუნველობით ხსნიდა კარგა მოზრდილ ფუთას
და ღიმილით აწოდებდა შვილს სოფლიდან ჩამოტანილ ფეშქაშებს...

— ხა... ხა... ხა... დედა, შენ გენაცვალე... ციხეში რო მომიტანდი, ცი-
ხეში... მომაგონდება... მომეცი... მომეცი...

იმ ღამეს ბარბარე შალვას ღოგინში იწვა და მისი ფეხები გულში ჰქონ-
და ჩაკრული. მთელი ღამე მათი მუსაიფი არ შეწყვეტილა. ვინ არ მოიგონეს,
რახე არ ილაპარაკეს, მაგრამ ევა ერთის სიტყვითაც არ უხსენებიათ.

შალვას მშობლების ჩამოსვლის წამიდან ნესტორი თავს უხერხულად
გრხნობდა და რომ მათთვის ხელი არ შეეშალა, თითქმის სულ დერეფანში
იყო. სოფიკოს იქ ყოფნაც მისთვის საშინლად სამძიმო შეიქნა.

— სოფიკო, — მიმართა ბოლოს ნესტორმა, — შენი აქ ყოფნა უკვე არ არის
საჭირო, შალვას დედა მოუვლის. შენ ეხლა შინ წადი და როცა გაცნობო,
მაშინ მოდი. იცი, აგრე უადა მოიქცე!.. როგორც გაცნობოთ მაშინვე.

XXII.

— დედა, უნდა გულახდილად გითხრა, რომ...

სოფიკომ წინადადება არ დაასრულა, ხმაც აუთრთოლდა და ცრემლითა
მოსაპკურებლად გამზადებულის თვალებით ფანჯარაში დაიწყო ცქერა.

— სთქვა, შვილო, რა გინდა! უთხრა ევამ, რომელიც სამზავროდ იყო
მორთული.

— მე... მე... არ მინდოდა აქაურობის დატოვება...

— მაკვირვებს შენი ასეთი გულჩვილობა! ბავში ხომ არა ხარ? პირიქით,



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

შენ კიდევ უნდა გიხაროდეს: ახალ ქვეყნებს ნახავ, ახალ ამბანაგებს გაეცნობი...

— კი, დედა, მაგრამ... მაგრამ ჩვენ აქედან სამუდამოთ... მივდივართ...
— რა სისულელეა. მაშ ვინც პეტროგრადაში წასულა, ყველას სამშობლო მიუტოვებია?

— სხვების მე არაფერი ვიცი, ჩვენ კი, როგორც ვატყობ...
— შენ ვერაფერსაც ვერ ატყობ... პირდაპირ ბავში ხარ და სხვა არაფერი!
— სულ ავრე მეძახი შენ: ბავში ხარ, ბავში ხარო... დეე, ბავში ვიყო, მაგრამ მაინც სიმაართლეს ვაძობ...

— კარგია, შეილო, დაწყნარდი... იქ უნივერსიტეტში შეხვალ, კუოსისტკა იქნები, ახალი ამბანაგები, ახალი წრე.. ყველა გამოჩენილი რევოლუციონერები იქ არიან, ვეებერთელა სახელმწიფოს პეტროგრადი მიუძღვის...

— შენ აკი არც ერთი ეს არ გჯერა, დედა...
— შენ ხომ გწამს, შეილო შენ ხომ გჯერა და სწორედ მეც ამისათვის გეუბნები! მე იქ მიმყავხარ, სადაც ცხოვრება დულს და გადადულს, სადაც შენი სათაყვანო საქმე კეთდება... მე მხოლოდ შენს სიამოვნებაზე ვფიქრობ, შეილო, შენს განვითარებაზე... ვინ იცის, ეგების შენაც სახელოვანი ქალი გამოხვიდეს, ცნობილი მთელ რუსეთში... იქ მალე დამფუძნებელი კრება შეიკრიბება, შესანიშნავი სიტყვების წარმოთქმას დაესწრები, ვის არ ნახავ, ვის არ გაიცნობ იქ...

— ვიცი, დედა, ყველაფერი ვიცი, მაგრამ სამშობლო მაინც...
— კარგი, შემოგველოს დედა! როცა მოისურვებ, აქაც ჩაიხვალ და ყველას ნახავ, ყველას მოიგონებ, მანამდე კი იქ მშვენიერად ვიცხოვრებთ: თეატრები, ოპერები... ათასნაირი სანახაობანი... მაშას მშვენიერი ადგილი აქვს ნაშოვარი, ისე ვიცხოვრებთ, როგორც შენ გინდა, ოლონდ... ოლონდ...
დედამ გრძობიერად ჩაიკრა გულში სოფიკო.

— მზად არის ყველაფერი? კარების შემოღობისთანავე იკითხა რეზომ.
ისიც სამგზავროდ იყო მორთული. სახე შევმუხვნილი ჰქონდა, მთელი მისი გარეგნობა რალაც შიშისა და ჩაფიქრებას გამოხატავდა. ის სულ ნერვებად იყო გაქცეული და ხშირად ანგარიშ მიუცემლადაც კი ლაპარაკობდა.

— აკი ყველაფერი მზად დასტოვე, — უპასუხა ევამ.
— მართლა... სულ დამვიწყდა...
— ეტლები...?
— ორ საათში ყველანი სადგურზე ვიქნებით, ყველანი... მალე მოვლენ, მალე... ასე მგონია რალაც მჩიებო... რალაც...
— ტყვილა ღელავ, არაფერიც არ გვრჩება, ყველაფერი ჩავალაგეთ, ყველაფერი...

მთელი ოჯახის ავეჯი და მორთულობა უკვე გაკრული და გამოხადებული იყო. ბევრი ნივთი სულ მოიშორეს თავიდან — გაჰყიდეს, ბევრიც გააჩუქეს. ვეებერთელა ზალა შეკრული ბარგით იყო მოფენილი: ჩამადანი, ნობი, კოლოფი, ყუთი...

მოსამსახურეები ციბრუტივით ტრიალებდნენ, ისეთის ჩუმის ხმით ლაპარაკობდნენ, თითქოს მიცვალბული უსვენიათო.

— პაპა... დედა... მივდივართ, მივდივართ... ჩვენ ყველას გამოგვებოვით ყველანი დავკოცნეთ... ყველანი...

შემოკვივდნენ ოთახში ჭრიამულით ბავშვები. მათი მხიარულება ზეცას სწეებოდა, პეტროგრადაში გადაბარგება მათსავეთ არაფის არ ეხარებოდა.



— მატარებელში ჩავეჯდებით... ავტომობილით ვისრიალებთ... სხვანაირ საქმელებს ვეპაშთ... მივდივართ, მივდივართ...

— კი დედა, კი... მივდივართ, მივდივართ...

ზოგი მიამას ჩამოეციდა კისერზე, ზოგი ბარგ-ბარხანას შეაჯდა, ზოგიც ცარიელ ოთახებში დარბის.

— მშვიდობით ოთახებო! ნახვამდის, ნახვამდის...

მთელი ოჯახი აფორიაქებულია. რეზიკო ხან ერთ ოთახშია, ხან მეორეში... ერთ ადგილას ვერ ჩეოდება...

მან მხვენივრად იცის, რომ სამუდამოთ შორდება აქაურობას, და... გულ-აჩუყებულია. ისიც იცის, რომ პეტროვგადისკენ უიალქნოდ და უკომპოსდ მის-ცურავს მისი ცხვრების გემი, და...

მთელი ოჯახი გრძნობს, რომ ევა მისი ბელადი და წინამძღოლია, ყველამ იცის, რომ ხომალდის მესაჭე ევაა... იმასაც გრძნობენ, რომ ბრძოლის ამტეხი თითონ ევაა, ეს აფორიაქებაც მისი სურვილით მოხდა, სამშობლოს მისი სურ-ვილის თანახმად ეთიშებიან... მაგრამ... მაგრამ...

ევას ასე უნდა, ევას ასე სურს, ევამ ასე გადასწყვიტა...

და მისი სურვილი ხომ ყველასათვის კანონია...

ზარის წკრაილი მოისმა.

— ვილაც ხანში შესული კაცია და თქვენი ნახვა უნდა, ქალბატონო! სთქვა ცივად მოსამსახურე გოგომ.

— უთხარით, რომ არა მკალიან!

— ვერ მოვიშორე...

— გაბრუნდი და ისევე უთხარი!

მსახური გავიდა.

— არას გზით არ უნდა წავიდეს, — ხელახლა განაცხადა მან.

— ვინ უნდა იყოს?... ვინ უნდა იყოს? გაისმა ბავშვებში.

— როგორაა ჩაცმული? ახალგაზრდაა თუ...? იკითხა შემკრთალმა რეზომ და თითონ დააპირა შესახვედრათ წასვლა.

— რეზო!! მიამბა ევამ. რეზო იქვე გაქვავდა.

— გადით ყველანი აქედან! ბრძანა სარდლის ტონით ევამ.

იმ წამშივე ოთახი დაცარიელდა.

— მობრძანდით, — სთქვა მან და სტუმარს კარები გააღო.

წამი და... გაშტერებულნი მიაჩერდნენ ერთმანეთს...

უბილავემა ხელოვანმა ერთის გაელვებით ორი ქანდაკება შეაჩერა ერთ-მანეთს: ევა და შალვა ლ რ უ ბ ე ლ ი ა ნ ი...

XXIII

დიდი სიჩუმე...

— შეეენ...?

— დიახ... მე...

ჩურჩულით ალაპარაკდნენ ქანდაკებანი.

— რისთვის მოსულხარ?... კშენით ჰკითხა ევას ქანდაკებას.

— იმესათვის, რაც მე შენთვის დამიტოვებია...

— რა დავიტოვებია შენ ჩემთვის?

— ჩემი წმინდა სიყვარული, შეუბღალავი სარეცელი და უზანკო შე-ლები...

— მე... მე...

— ის გინდა მითხრა, რომ ვერც ერთი ვერ დამახვედრე?



ქართული
ენციკლოპედია

ევა ისევ უმოძრაო ქანდაკებად იქცა, შალვა სმენდა და მსხვერპლად. ტურებს იყენებს, ხელებს კუმშავს.

— სთქვი, მეთქი! იყავ გაბედული!

— რა უნდა... ვთქვა?..

— ის რომ შენ ვასთლევ ჩემი წმინდა სიყვარული, წაბილწე სარეცელი და სიცრუით მომიწამლე შეილები! მითხარ ყოველივე!..

— მე... მე არაფერში არა ვარ დამნაშავე!.. მე არავის წინაშე პასუხს არ ვაგებ!

— არა, ქალბატონო, შენ უსათუოდ აგებ პასუხს! შენ დიდი დამნაშავე ხარ! შალვას თანდათან იპყრობდა მღელვარება. მოკუმული ტურები... აელვარებული თვალები.

— მე პასუხს ვაგებ მხოლოდ ჩემი თავის წინაშე, — გადაპრით სთქვა ევამ და ვეფხვივით გასწორდა წელში. სწრაფად მონახა მან თავისი თავი, შედიდურად ვაბრხია სხეული და ვაგაკურად დადგა მტრის წინაშე.

გაქრა პირველი დაბნევა, მან იგრძნო, რომ გადამწყვეტი წუთი იყო, უკან დახევა არ შეიძლებოდა. მის თვალწინ ბაბუას სურათმა გაელვა — თოფით ხელში რომ მოკლული შეილის გვამს დაეძებდა, — და...

მარჩობელა გველივით გაიზმორა, კბილების კრაქუნით ახედდახედა ღრუბელიანს და ამაყად დაიხია უკან.

— რა უფლება გაქვთ თქვენ, რომ ჩემი პირადი ბედნიერება დაარღვიოთ? ჰკითხა მან.

— თქვენ რა უფლებით გამაუბედურეთ მე?

— თქვენ თქვენსავე ხელით ვაიუბედურეთ თქვენი თავი!

— მე ხომ პირადი ბედნიერებისთვის არ ვიბრძობდი!

— მაშ ეხლა რად დაეძებთ იმას, რისთვისაც არ იბრძოდით და რაც არ გინდოდათ? ეს ერთი, მეორე: მე სრულებით არ მაინტერესებს ის, თუ თქვენ რისთვის იბრძოდით: პირადად თქვენი, თუ სხვების ბედნიერებისთვის?

შალვა გააკვირა ამ აზრებმა, ის სრულებით არ მოელოდა ასეთ პასუხს ევასაგან. ის კარგა ხანს ისე იდგა, თითქოს თავში ნაჯახის ყუა დაჰკრეს და ტვინი დაუბრუნეს.

— ესე იგი... თქვენ გინდათ სთქვათ... რომ...

— დიახ, დიახ, — გააწყენტინა ევამ, — მე თქმა კი არ მინდა, არამედ უკვე ვთქვი, რაც მქონდა სათქმელი: იმ დროს თქვენ პირადი ბედნიერება არ გწამდათ და მეც ჩემის ბავშვებით ქუჩაში დამტოვეთ. დღეს კი საკუთარი ბედნიერების ძიებით ჩემს ბედნიერებას სპობთ. სად არის თქვენი ლოლიკა და ის უდიდესი სინიღისიერება, რომელსაც თქვენ ემსახურებოდით? რამ დაგინიათ ასე გზები? ან ეგების ცხოვრება არ შეიქმა ისე მარტივი, როგორც თქვენ გეგონათ? მეორე: თქვენ სხვათათვის ბრძოლა რაღაც უაღრესი ხარისხის ბრძოლათ მიგაჩნიათ. ჩემს თვალში კი იგი მარტო ჩვეულებრივი ჰილიალია და სხვა არაფერი! ორივე გვარ ბრძოლას, — როგორც პირადი, ისე საზოგადო საქმისთვის — ერთნაირი ფასი აქვს, არაფერ არ იცის, რომელი უფრო ძვირფასი და ღირსეულია!

ევა ლაპარაკობდა გადაპრით და შეურყეველი რწმენით, ყოველი მისი სიტყვა ჩატუნის ცემა იყო. თანაც საშინლად ლულავდა და სუნთქვა უჭირდა.

— არც ის იფიქროთ, რომ თითქოს თქვენ — სხვათა ბედნიერებისთვის მებრძოლო, — სხვებზე ღირსეული არსება იყოთ...

შალვამ აშკარად დაინახა, რომ ევა მსოფლმხედველობითაც სრულიად დაშორებოდა მას, მათ შორის ისეთივე განსხვავება იყო, როგორც ცისა და დედამიწის შუა.



უცებ რალაც მყოფროვებამ შეიპყრა იგი, დაქიმული სწორი ფიქრით მოეშვაო, ამაყად განზე გადავა და მშვიდათ დაიწყო:

— სხვისი პიროვნების დამცირება მე არ მწვევია, ჩემი ცხოვრების გზაც სწორი და გაუბრუნდევია. მე ვიცი რას ვაკეთებ და როგორ ვიქცევი, ისიც ვიცი, რაც მიკეთებია! მე მუდამ მალლა მეჭირო ადამიანური ღირსების ალაში და ვიბრძოდი იმისთვის, რაც პიროვნებას ამაღლებს და აფრთოვანებს. თქვენ როგორც ვნებადდესთ ისე შეაფასეთ ეს ჩემი მისწრაფება, ვგ თქვენი საქმეა! ხოლო ის კი უნდა იცოდეთ, რომ მე ბედნიერების საძებრათ თქვენთან არ მოვსულვარ, ვგ უდიდესი სისულელე იქნებოდა მის შემდეგ, რაც თქვენ ამბები ჩავიდინეთ. სად და რი.გორ უნდა ვეძებო ბედნიერება—ეს მე კარგად ვიცი, მაგრამ მე მაინც თუ თქვენთან მოველი—ეს მხოლოდ იმისთვის, რომ გავიგო ჩემი შვილების ბედი, ჩემ მიერ დღემდის დაობლებულების, რომელნიც ჩემი შემთხვევითი შეხვედრის ნაყოფი შეიქნენ. თქვენ საშინელი დანაშაული ჩაიდინეთ მათთან და ჩემს წინაშეც. ჩემი ციხე თქვენ გამიორკეცეთ, ნაცვლად ტვირთის შემსუბუქებისა, თქვენ საშინლად დაამძიმეთ ჩემი არსება. რას მპირდებოდით და რა მარგუნეთ? სიცრუე და ორპირობა, ლალატი და გაუტანლობა! შემოგვეთვალათ ყოველივე თავის დროზე! მე უკვე შეურიგდებოდი ჩემს ბედს. დავიწყეთ ფიცი, რომ ჩემთან ერთად გოლგოთაზე აიტანდით წამების ჯვარს, შეაფურთხეთ წმინდა სიყვარულს, წმინდა იდეალებს, ფეხქვეშ გათელეთ ყოველივე მაღალი, ჯალათურად მომექცეთ, მტერზე უარესი მტრობა გამიწიეთ...

— სანტიმენტალობას თავი დავანებოთ.— გააწყვეტინა ევამ!— ფაქტი ასეთია: მე სხვა გზით მივდივარ და თქვენ კიდევ სხვათი. თქვენ თქვენებურად გესმით ბედნიერება, მე კიდევ ჩემებურად... რაკ ერთხელ ყოფილა ჩვენ შორის, ის ერთხელ ყოფილა! ეხლა კი რა გინდათ ჩემგან? რისთვის შემოიჭირით ჩემს ოჯახში და მომისპეთ ბედნიერება? თქვენ მე მომწერეთ: ადამიანი უდიდესი ეგოისტია და ამ გრძობას უნდი ვებრძოლოთო. თქვენც ხომ ასე ეგოისტურად იქცევით!

— როდის მოგწერთ?!

— გუშინ მივიღე თქვენი პასუხი.

— ა... ა... ა...? თქვენი იყო ის წერილი?

— დიახ, ჩემი გახლდათ! აი თქვენი პასუხი!

ევამ უბიდან ამოიღო ის წერილი, რომელიც რამდენიმე დღის უკან ნესტორმა ფოსტით გაგზავნა.

— ახლა ბევრი რამ არის ჩემთვის ნათელი,— სთქვა შალვამ,— დიახ, ბევრი რამ... მაშ თქვენი იყო ის წერილი? თქვ...ენი...

— დიახ.

— ახლა კი... ახლა კი მივხვდი... დიახ... დიახ... პირადი ბედნიერების ძიების გასამართლებლად თქვენ შევიქნით რალაც თეორია რჩეული პიროვნების შესახებ... გახლართულბართ სიცრუისა და ორპირობის ქსელში და დღეს, როგორც ხაფანგში მოყოლილმა ნადირმა, უკვე არ იციოთ რა ქნათ და რითი იმართლოთ თავი... მერე რალა საჭირო იყო რალაც თეორიების შეკოწიწება და თავის მოტყუილება?, განა თეორიის გარეშე არ შეიძლებოდა სიცრუისა და ლალატის ჩადენა? განა ბრბოს უთვალავი წევრები ასეთი თეორიების შექმნაში არიან გართულნი? აკი ისინიც თქვენსავით პირადი ბედნიერების ძიებაში არიან? მატყუილებდით მე, ატყუილებდით ჩემ მშობლებს, სიცრუის ბურუსში ატარეთ შეილები, თვალს აუხვიეთ მთელ მანოვადობებს, საეჭვო მოსაზრებებით დაიწყნარეთ სინიდი... და ბოლოს მაინც თქვენი ნამოქმედარი ჩვეულებრივზე



ქართული

ენის ეროვნული

ჩვეულებრივი შეიქნა. რჩეულთა რიცხვში შერიცხეთ თქვენი თავი და ბოლოს მაინც ჩვეულებრივი ადამიანი აღმოჩნდით...

უცებ ქარები გაიღო და აღელვებული რეზო შემოიქრა.

— მე... მე თქვენ გიცნობთ ვინცა ხართ, — ათროლოგებულის ხმით მიმართა რეზომ, — ვიცი რისთვისაც მობრძანდით... ყოველი თქვენი სიტყვა და მოქმედება ჩემთვის სრულიად გასაგებია. ყოველი ადამიანი ეძიებს იმას, რაც მას დაუკარგავს, ყველა ჩვენთაგანი საკუთარი ბედნიერების შესაქმნელად იბრძვის...

— რეზო! სარდალის ტონით შესძახა ევამ, დაძახილის ტონი ამბობდა: „წა, აქედან!“.

მაგრა რეზო პირველად არ დაემორჩილა ევას და გაბედულად წარმოსთქვა:

— ევა, ყველაფერი გათავდა, ყველა ფარდები ახდილია! დღეს საბოლოოდ უნდა გადიქრეს გორდიუსის კვანძი.

— რეზო!!!

— პატივცემულო ღრუბელიანო, — მიმართა ნამიანიძემ, რომელსაც თითქოს არც კი გაეგონოს ევას მეორეთ ნაბრძანები „წა, აქედან“, — მთელი ჩემი სიცოცხლე მყოფდობდა ვამპირებია: არავის არ მივეკიფარ და არავინ არ მომპყრია. არც ერთი პრინციპი და დებულება ლოლიკურ აასურდამდე არ მიმიყვანია: ყოველთვის და ყველგან მოვითხოვდი იმას, რაც მე ღირსეულად მეკუთვნოდა: მაგრამ სინამდვილის მიხედვით დათმობაც ვიცოდი. ცხოვრებაში დრამა არ არსებობს, ამას ჩვენ, ადამიანები; ვკმნით, ეს ყოველივე ჩვენი ნერვების ბრალია. თვით ბუნებაში თავიდან ბოლომდე ულოლიკობაა: სიკვდილის სვერდით, სიცოცხლე იფურჩქნება. და განა ეს ულოლიკობა არ არის? ამიტომ ჩვენც ჩვენ მშობელ ბუნებას უნდა მივსდით და ჩვენმა გონებამ ჩვენვე არ უნდა გაგვეუბედუროს. სადაც მოგვიხდება — იქ ლოლიკით უნდა ვიაროთ, სადაც არა — ულოლიკობით, სადაც საჭიროა — იქ პრინციპები, სადაც არა და — უპრინციპობა. ანის შეგნებაშია მთელი ცხოვრების სიბრძნე. არც თქვენ, ბატონო ღრუბელიანო, და არც ევა ასე არ იქცევიან და ლამის არის ჯოჯოხეთი დაატრიალოთ. როგორც თქვენ, ისე ევას, თქვენი ლოლიკა და მწერიგებლობა დალუპვისაკენ მივკანებთ. საჭიროა დროზე შეჩერება. უკიდურესობანი ადამიანებს ლუპვებს, საშვალო გზა კი გადარჩენის თავედებია..

— თქვენ ჰაობს ეტფრით და არა აზრიან ცხოვრებას!

— როგორც ვინდათ ისე შეგიძლიათ განმარტოთ ჩემი აზრები, მე თქვენ არაფერში არ შემოგედავებით, — უპასუბა რეზომ, — დიახ, იმას, მოგახსენებდით: თქვენ საკუთარი დრამის წინაშე დგახართ. მაგრამ შეიძლება ამ დრამის მშვიდობიანად დასრულება: რაც იყო, იყო ეხლა კი შეთამბმდით... სიწყნარის, მშვიდობიანობის და ადამიანობის სახელით, მე... ხელს ვიღებ ევას ქპრობაზე.

— არამზადავ! — მიახალა შალვამ.

— არაარობავ! შეპყვირა ევამ.

— დაუთმეთ ერთმანეთს, უკან დასწიეთ დასაჯახებლად გამზადებული შუბლები... ბედნიერებაც თქვენს ხელთ იქნება... მე კი... მე... მშვიდობიანათ გაგეცლებით კეთილდღეობის ხელახლა საქებნელად.

— წა, აქედან!!! იღმობდა ევას და ... რეზოც გაშორდა იქაურობას.

— ბატონო ღრუბელიანო! თქვენ იმარჯვებთ, მე ბრძოლა წაგავე. პირველად მაშინ დაემარცხდი, როცა თქვენ ტყვეა აგაცილეთ, მეორეთ კი ეხლა, როდესაც წასასვლელად გამზადებულს მომიწიართ და ქმარიც მომგლიჯეთ!

— როგორ? განა... თქვენ... მესროლეთ მე???



საქართველოს

მწერთა კავშირი

— დიახ!

— რიჩისთვის?

— თქვენ ჩამოდით ჩემი ბედნიერების მოსასპობად, მე კი თქვენ უნდა მომესპობთ და ჩემი ბედნიერება სამუდამო იქნებოდა.

შალვა დარეტიანებული ჩაჯდა...

— დედა, რა ამბავია? მამამ გვითხრა—არ მიედივართ, ნიეთები გახსენითო, —მიმართა დედას შალვას ვაჟმა ბიჭიკომ, რომელსაც თან შემოჰყვა გაფითრებული სოფიკო.

— მოდით, შეიღებო, მოდით!.. აი თქვენი მამა! მე თქვენ მის ვინაობას ვიმაღავდით... მოდით... ნახეთ...

— ეს ვინ არის? ვის ვხედავ!.. შეჰკივლა სოფომ.

შელვა გამოერკვა.

— მამა?..

— შეილო!..

— მამა?... მამა?

— ნუ თუ შენ?.. შენ?.. ჩემი სოფო იყავი?.. ჩემი სოფო იყავი?.. ჩემი სოფო ხარ? მე ეს ვიგრძენი!.. მე ეს მაშინვე ვიგრძენი!.. სოფო... სოფო... და შადრევანიდ აღმოხეთქა სიყვარულის უწყმიდესმა ნაკადულმა...

— შეიღებო, დაკარგულო, შეიღებო... შეიღებო... ობღებო..

— მამა... მამა... მამილო...

ევა უკვე გაშორდა ამ წმიდა ადვილს...

— წყალი... შეილო... წყალი...

შალვა უგრძობლად დაეძხო.

— შეიღებო... შეიღებო... წყალი... წყალი...

უცებ რევოლვერის ხმა მოისმა.

— რა მოხდა?... რა იყო? ჩიფიფებს დაბნეული სოფო. ოჯახი ჯოჯოხეთად გარდაიქცა, საშინელებამ მოიკცა იქაურობა.

მხოლოდ რენო შეიპყრო უდიდესმა მშვიდობიანობამ და სიწყნარემ. მან მსწრაფლ დაიკრიფა გულზე ხელები, ქედი მოიხარა დატრიალებული უბედურობის წინაშე დმ მშვიდათ ჩაილაპარაკა:

— ევამ თავი მოიკლა... არ მოინდომა შეთანხმება... ალბად ღრუბელიანიც ამ დღეშია... არ დამიჯერეს... არ დამიჯერეს...

—:—

ორი კვირა იქნება, რაც შალვა სოფელში ჩამოვიდა. თან ჩამოიყვანა სოფიკო და ვაეი.

ნახა თავისი მამის ღარიბული კარ-მიდამო, სახლკარის ყოველი კუთხე, ყოველი კუნჭული და განუთომელი მყუდროება ეუფლა მის სულს და გულს.

ყოველივე ისეა, როგორც დატოვა, ყოველი ნიეთი, ყოველი მცენარე... ყველაფერი ნაცნობი და ნათესაურია, ყველასი მას ესძის და ყველას მისი ესმის, ყველაფერი მას გრძნობს და ყველაფერს იგი გრძნობს თავის არსებაში.

და რაღაც განახლების, აღორძინების და აუვაგების ცეცხლი ისადგურებს შალვას არსებაში...

დაიწყებას მიეცა შავი წარსული, ქვეყნელმა შიანთქო განვლილი დრონი, თითქოს არც კი ყოფილიყოს!..

გრძნობს, რომ მის სხეულში ახალი ძალა ისადგურებს, ახალი ნაკადული ამირებს აჩქებებს, ახალი კვირტები იშლებიან...

გადაცვარული ბალახი... სოფელი მიწა... მწიფე მსხლისა და ვაშლის სურნელება... ნამით დაყურსულ ხეთა ფოთლებში გაპარებული მთვარის სხივი...



ქართული ენციკლოპედია

შუალამისას აყივლებული მამლები, განთიადზე აკრიალებულმა უკრემი, გოგას-ბი-
ჭების ვნებიახი კისკისი...

სულს ან:ხლებს და აცხოველებს, ახლად შობს და ახლად ზრდის...

არსად აგრე მშვიდათ არ მოუსვენია შალვას არსებო, არსად ამდენი ძალა
არ შემატებია მას...

მაგრამ სოფელური უდილიის გინცდას არავინ ანებებდა. პირველ
ხანებში, სანამ მისი ავადმყოფობის ხმა გამოდიოდა, ნაკლებათ აწუხებდენ ამ-
ხანაგები, მერე კი მოსვენებას არ აძლევდენ: ხან კრებაზე და ხან სად.

ყველანი ალტაკებით ვეგრებოდენ მას.

— ჩვენი კაცია, ჩვენსავით გლებია და არ გვიღალატებსო,—ამბობდენ
გლებები, რომელნიც ერთობ დაიბნენ, როდესაც სხვადასხვა პარტიები მიე-
სიენ და თავისკენ დაუწყეს გადაბირება.

გლებებში ჩარევამ კიდევ უფრო გააცხოველა შალვას სული და გული.
ბავშობის სიწმინდე და ენერგია იგრძნო; ყოველი სურათი და მოძრაობა ნათესაუ-
რობა, შენი სისხლისა და ზორკისა...

რამდენი იმედი და ალტაკება ნახა შალვამ გლებობაში? რამდენის მო-
ლოდინი!..

ისევ მოვარდა ახალგაზრდობის ნიაღვარი, სიკისკასე, მისწრაფება, თრ-
თოლვა...

მაგრამ ერთი აზრი ღრღნიდა მის სულსა და გულს:

— შეძლებს თუ არა დღევანდელი ინტელიგენცია ხალხის წინგაძლოას?
შესაფერიც გზით იქნება, თუ არა ხალხის ენერგია მიმართული?

— ვეპეობ, ძალიან ვეპეობ! ფიქრობდა შალვა,—უკვე შეეჭვებ თვეა, რაც
რევოლიუცია მოხდა და არც ერთი ძირითადი საკითხი გადაჭრილი არ არის,
ხალხი კი გვეადის, გვიყურებს... სანამდის უნდა გაგრძელდეს ეს ლოდინი?... ან
და რისთვის უნდა ელოდოს? ჩვენ ვიძახით—ელოდეთ დამფუძნებელ კრებასო,
მანამდე კი გვეშინია ხალხის ამოძრავების.

— ჩვენ შევიკრიბებით იქ, ჩვენ მოვილაპარაკებთ, ჩვენ დავადგენთ და
მერე მიირთვი რაც მოვაწოდოთ,—ვეუბნებით ხალხს. დეე, ხალხმა თავისივე
ხელით წაიღოს, რაც უნდა... რევოლიუცია ყოველთვის მომზდარ ფაქტს აკა-
ნონებს... ჩვენ კი...

— თითონ არ ვიცით საით წავიდეთ და მთელ ერს მოვუწოდებთ—ჩვენ-
კენ წამოდიო... ვაცდევინებთ და არ ვიცით რისთვის...

— მაგრამ, როგორც ცნობებია, პეტროგრადის პროლეტარიატი უკვე
არავის არ ელოდება და ახალი ნაბიჯების გადადგმას აპირებს... პროლეტა-
რიატმა იცის რა უნდა აკეთოს... ჩვენს იოგვლივ საშინელი ქაობია, რევო-
ლიუციონური ქაობი... დროებითი მთავრობა უკვე დაიშრიტა შემოჭმედების-
გან, ის დღესაც იმ ფრანებს იმეორებს, რომელითაც თებერვალში გვიმასპინ-
ძლდებოდა... ის თანდათან ირიყება სიტყვათა თქეშით...

ერთ დღეს დედაქალაქიდან შალვას აცნობეს: მდგომარეობა რთულდება
და შენი ჩამოსვლა აუცილებელიაო...

— მაშ, იქაც უგრძენითა ქაობში ყოფნა... იქაც გრძნობენ ახალი გზების
საქიროებას,—სთქვა მან და მერე დღეს სოფიკოსთან ერთად დედაქალაქის-
კენ გასწია.

— ნამდვილი რევოლიუცია, შვილო, ეხლა იწყება,—ეუბნებოდა იგი გზაზე

სოფოს, — ყველაფერიდან ჩანს, რომ ხალხი თითონ ამოძრავდა და თითონვე სწყვედეს თავის ბედს... ეს არის, შეილი, ნამდვილი რევოლუცია...

რკინის-გზის სადგურის საფოსტო განყოფილებაში შალვას წერილი დახვდა. აი რა ეწერა ამ წერილში: „მე ცული მსოფლიელი გამოვდექი: ვერც შენ მოგკალი და ვერც ჩემი თავი მოვიკალ. სიკვდილს გადავჩი, ძალიან ვნახობ. შერჩენილი სიკოცხლე მხოლოდ იმისათვის მინდა, რომ ჩემი აზრის სიმართლე დავამტკიცო. მე თვალყურს ვადევნებ თანამედროვე ვითარებას, კვალდაკვალ აღვნიშნავ თქვენი იდეალების დამამხოველ ფაქტებს, და როდესაც სინამდვილე ძირიან ფესვიანად მოსპობს თქვენს თეორიას, როდესაც თქვენი საყვარელი მშრომელი ხალხი ერთხელ კიდევ დაამტკიცებს თავის სხეცობას, აი მაშინ დაგიდგებით მეფისტოფელივით. ნახვამდის, ჩვენ ერთხელ კიდევ შევებრძოლებით ერთმანეთს! ვნახოთ, ვინ ვაიმარჯვებს! ევა“.

შალვა კარგა ხანს დაჰყურებდა წერილს.

— ვისგან არის? იკითხა სოფიკომ.

მამამ პასუხის მაგიერ წერილი გაუწოდა...

დასასრული.

ხუთის აგავი

(კომპოზიციური ვარჯიშობა)

1

ამბავთა შესავალი

— როსტომ, გამარჯობა!

— რომელი ხარ, მირიან ბორინთელი თუ მოჩენება?

— მე ვარ, როსტომ, მე—შენი მირიანი, შენი!

როსტომ რეტიანმა ჯერ ორივე თვალი მოიფშენიდა, შემდეგ ორივე მკლავი მომხვია და ჩამბლუჯა.

— მაშ მოჩენება არა ხარ?—ბურტყუნებდა.—მართლა მირიანი ხარ, მირიან ბორინთელი?

სამჯერ მიპიზიდა და სამჯერვე განზე გამაყენა.

— საკრამენტო!—დაიყვირა ბოლოს ძველებური შეძახილით.—მართლა ჩემი ჩიორა ჰყოფილხარ, ბიკო! მოდი, მოდი ერთხელ კიდევ ჩამებუტე.

ქუჩა გვათვალისწინებდა და იღიმებოდა. როსტომმა კრეჭია მავალებს თვალები დაუბრიალა, ფეხები დაუტყაპუნა და შეუტია:

— რა ამბავია! ტურები ხომ არა ვართ! საკკრამენტო!—და გოგო-ბიჭები ბელურებივით გაჰფანტა.

— აბა, ჩიორავ, ეხლა იერიში მივიტანოთ ჩემს სახლზე. ამეკიდე!

მომიტაცა და ათი წუთის შემდეგ ბრაბა-ბრუხით ამიყვანა მესამე სართულზე. კარები კინალამ შეამტვრია და სამი ოთახი ისე შემოირბინა, თითქო ვისმეს დასაჭერად მისდევდაო, თან მჭექარე ხმით გაჰკიოდა:

— მზეხა!.. ხათუნ!.. მზეხათუნ! სადა ხარ, ქალო?! ალვა! ალვის ბოძო, არც შენა ხარ სახლში?! აი, გაგიწურათ საკრამენტოს მადლი, აჰა!

მერმე წირპლიან მოახლეს დაეტაკა:

— სად არის ქალბატონი? სად არის დიდი ბატონი? ჰა, ხმა ამოიღე თორემ...

ბუხუნსა და შენატეებს შეჩვეულმა მოახლემ ზედაც არ შეჰხედა როსტომს და იატაკს მიუგდო:

— წავიდნენ.

— მე შენ გიჩვენებ, შენა! რას მიქვიან წავიდნენ! აბა, გაშალე სუფრა! ჩქარა, დატრიალდი!

და ტანმორჩილი მოახლე ბზრიალსავეით დააბორიალა და თავგვივით ააწრუწუნა.

— არაყი! ღვინო! გამოალაგე, რაცა გაქვს!

მერე გვერდით მომიჯდა და ხელი მომხვია.

— ბედი არა გქონია, ჩოორავ. არც მზეხა, არც ალვის ბოძი. ორივენი წისულან. თუმცა, არა გვიშავს-რა, მალე დაბრუნდებიან.

— ვინ არის მზეხა, როსტომ? რა არის ალვის ბოძი?—ვეკითხები.

— არ იცი? არ იცნობ? მერე გაიგებ. დღეს ამ ოჯახში დიდი დღესასწაულია, წლის თავია. დანარჩენს მერე ვიამბობთ, როცა დაბრუნდებიან. ჯერ კი ეს მითხარი, რამდენი წელიწადია რაც ერთმანეთი აღარ გვინახავს?

— შეიდი.

— შეიდი წელიწადი! საკრამენტო! დასწყველოს ღმერთმა, თითქო შეიდი კვირა გავიდაო!

— შეიდი კვირა ბევრია, როსტომ. შეიდი დღე იანგარიშე, შეიდი დღე.

— შეიდი დღე! შეიდი საათი! საკრამენტო! როგორ მიჰქრის დრო!

როგორ მიჰქრის დრო! ოღონდაც, ოღონდაც! თითქო გუშინ გაირბინა ათმა წელიწოდმა, სანამ მე, მირიან ბორინთელი და ეს კაცი, როსტომ რეტიანი, —მართლა რეტიანი, —ქნაჭა ცხენებივით მივათრევდით სწავლის ურემს ვერახე, სათავად-აზნაურო გიმნაზიაში, ოთხსაო ულიან უუხარმაზარ თეთრ შენობაში, სადაც ეხლა უნივერსიტეტი ბრძანდება. იმოდენა წამება თურჰე იმისთვის იყო საჭირო, რომ შემდეგ ექვს თვეში პრაპორშიკებად გამოვჩვეილიყავით, ადამიანებზე ნადირობა დაგვეწყო, კაპიტნობა მიგველო და მერე... მერე ყოველივე დანგრეულიყო და დაგლეჯილიყო: ჩვენი დიპლომებიც, ჯოჯოხეთში ნაშოვნი ჯვარ-მენდლებიც, სულთამხუთავისაგან გამოგლეჯილი ოქროს საბეჭურებიც, მომავალიც, სახლ-კარიც, იმედიცა და უფლებაც. შეიდი წელიწადი ვტოპეთ აღუღებულ კუბრში, შეიდი წელიწადი ვიბორიალეთ რკინის გრიგალში, შეიდი წელიწადი ვტრიალებდით და ვხოხავდით ცეცხლში, ცეცხლზე და ცეცხლის ქვეშ.

მე და როსტომს ერთმანეთი დაღუპულები გვეგონა. ურთერთი ბევრჯერ ვიტორეთ და კიდევაც გამოვიტორეთ. ეხლა კი, თითქო საიჭიოდან დაბრუნებას ვხეიშობთო, ღვინით ვიჰყიპებით, ოთახს ბოლით ვტენავთ, სახლს რახრახით ვავსებთ (მე ვრაზრახებ, როსტომ რეტიანი კი ულაყივით ჰიხვინებს), ერთმანეთს ბეჭებზე ხელებს ვტუყაბუნებთ და შეიდი წლის თავგადასავალს ვუამბობთ—არა, ვუამბობთ კი არა, ერთმანეთს ვახრჩობთ: თითო ამბავი—ხუთიოდე სიტყვა, რკინის ბურთივით ნასროლი; თითო თავგადასავალი—რეალის ზოდი, რამდენჯერმე გაწყვეტილი და ძლიეს-ძლიობით გადაბმული.

— აზრუმთან ჩემს გვერდით ყუმბარა გასკდა. მე წავიჭეცი და...

-- ივანგაოროდს რომ ვაძლევდით, —მაწყვეტინებს როსტომი, —ერთმა აბაზამა, ხმალით ამჩება. საკრამენტო! მაინც ვესროლე და მოვკალი.



— მე წავიქეცი და,—ვაგრძელებ ჩემს ამბავს,—თოვლზე წავიქეცი, ჩავიფალი და დაერჩი. კინალამ გავიყინე. მერე ვარშავეისკენ გამგზავნეს.

— მე კიევში გავიჩხირე. მგონი თერამეტჯერ დასთმეს და აიღეს ეს ქალაქი, არა?

— მგონი თერამეტჯერ.

— თერამეტჯერ მოინდომეს ჩემი ჩამოხრჩობა, დახვრეტა და აფეთქება, მაგრამ—საკრამენტო!—ვინ მოერეოდა როსტომ რეტიანს!

— რა თქმა უნდა, ვინ მოერეოდა!

— საკრამენტო, დალიე!

— მეც კინალამ დამხვრიტეს წითლებმა... რამდენჯერმე. ერთხელ როსტოვთან, სადგურ სასიკაში, ჩემი ვაგონი მოხსნეს და, ვინც შიგ ვიყავით ყველანი უნდა დაეხარჯათ. ერთი ქალიც მომდევდა...

— გხედავ, ვადარჩენილხარ.

— ის ქალი დამეკარგა. ვეძებე, მაგრამ ვეღარ ვიპოვე.

მსურს დაწვრილებით ვუამბო ჩემი და იმ ქალის ამბავი, მაგრამ როსტომი მაწყვეტინებს და სხაპა-სხუპით იწყებს ეორონეის ამბავს, მეც ვაწყვეტინებ და ვუამბობ ერთ ნაგლეჯს იმ ამბავისას, რომელიც ასტრახანში გადამხდა.

ერთ საათში ოციოდე ამბავი ამოვალაგეთ—ერი მეორეზე რთული, ფანტასტიური და საკვირველი. ორივენი ისე ვჩქარობდით, თითქო მდევარი მოგვდექდაო.

— ბოლოს, ალვის ბოძს წავაწყდი.—სთქვა როსტომმა.

— ალვის ბოძს?—და გამახსენდა წელან ნახსენევი მზეხა და ალვის ბოძი.

— ჰო, ჰო, ალვა, ალვის ბოძი. როგორ, ალვის ბოძს არ იცნობ? მამ არავის არ იცნობ, თუ ალვის ბოძსაც არ იცნობ, აჰა, ინებე! ალვა ახსენე და ჯოხი მოიმარჯვეო. გთხოვთ იცნობდეთ.

კარებში მართლა ბოძი იდგა—ალვის ხესავით მალალი და წვრილი. იქიდანვე გამოიწიწადა სარივით თხელი და გრძელი ხელი, რომელსაც ხუთი თითისტარი ეკიდა. და შორიდან, თითქო კის ძირიდან, დაეანგებულნი ხრიალი მომესმა:

— ალვა ჯავრიძე გახლავართ. გთხოვთ მიცნობდეთ და მწყალობდეთ.

და ჩემს პირდაპირ დაჯდა. შევხედე და მომეჩვენა, თითქო მაგიდის იქით ფეხებ-მოჭრილი მალალი ჩონჩხი იდგა, რომელსაც თავის-ქალაზე დოლის ტყავი გადააკრეს, უფგრძელესი ბუტაფორული ულვაშები მიაწებეს და თხელი ტუჩების უკან სხვა-და სხვა ჯურისა, ზომისა და ფერის კბილები ჩაუსხეს. მხოლოდ თვალეზი ჰქონდა ცოცხალი ადამიანის: დიდ მანძილზე გაწეული, ღრმად ჩაცვიფრული, გონიერი, დინჯი, ზანტი და ჩელი.

— გიცნობთ, ბატონო ჩემო, შორიდან გიცნობთ.—ხრიალებს ცოცხალი ჩონჩხი და ისე მილიმის, თითქო ხავერდში მხვევსო.—როსტომმა აღრევე გამაცნო თქვენი თავი.

— საკრამენტო!—ბუხუნებს როსტომი და საიდგანლაც გამონადრობ ჯიხვს აწვდის, რომელშიც ორი ზოთლი მაინც ჩაეტევა.—ალვის ბოძო, უნდა დაგვეწიო!

ნაქონის
გონიერება

ალვის ბოძი გვეწევა: ღვინო რაკრაკით თითქო ჭაში იღვრება; ჩიყვივით გამოხნიქილი ყანყრატო დაქერილ ჩიტვივით ფართხალებს; ჯიხვი თანდათან ყირავდება.

— დაგეწიეთ.—ამოიხრიალა ბოძმა და არც კი მოითქვა სული. მერე მავიდაზე ორი სარი გადმოალავა და ათი თითისტარით ისე მოჭფარცხა სუფრა, თითქოს ფოცხით მიიხვეტაო. ყოველივე დინჯად ინთქმის ალვის ჭაში: ათიოდე ნაჭერი ღოში, ერთი ქათამი, გრძელი ძეხვი, ლოქოს თავი, ერთი თეფში ხრამული, სამი კიტრი, ორი კონა მწვანელი და კიდევ ოთხი დიდი ქიქა კახური. სკამს, სვამს, ილიმება და დროგამოშვებით ხრიალებს:

— გიცნობთ, შორიდან გიცნობთ... ეხლა კი მართლა დაგეწიეთ... თქვენც ნაქები ვაქვაც კი ჰყოფილხართ... მშვიდობაში ჩვენი შეხვედრა, მშვიდობაში.

და ჩემს სულშიც გადმოდის მშვიდობა ამ უცნაურის კაცისა. ყოველივე მაწყნარებს და მანებებს: მისი მობიბინე თვალები, ალერსიანი შემოხედვა, დინჯი კილო, ზანტი მიმოხვრა და მინებლებული სევდა, რომელიც დაღვრილია ეტრატის პირსახეზე.

ატეხილი როსტომიც მშვიდდება მათ შორის მეგობრული ბაასი იწყება.

— საკრამენტო! — წამოიძახა ბოლოს როსტომმა. — ჩემი მირიანი ჩვენი ოჯახის წევრია. ჩვენი ამბავი ამანაც უნდა იცოდეს. ალვის ბოძო, უამბე მირიანს ჩვენი თავგადასავალი.

ალვის ბოძს თამბაქოს ბოლი ლეჩაქივით აუჯარბია. მღელვარე ლეჩაქის მეორე მხრიდან მშვიდი თვალები ალერსით მილიმიან. მერე უხილავ ქიდან ხრიალი მესმის.

II

ამბავი ალვა ჯამბიჩისა

— მე, ყმაწვილო, თავადიშვილი ვახლავართ, უფრო სწორედ რომ მოგახსენოთ—ნათაეადარი. ალბად ვაგონილი ან ნანახი გეჭნებათ სოფელი დორინთა. მდიდარი და დიდი სოფელია. ის სოფელი მე მეკუთვნოდა. ჭაბუკობიდანვე მოვსწყედი ჩემს მამულსა და სამშობლოს. მამა ჩემი რუსის გენერალი იყო—გენერალი და რუსი აღზრდით, ენით, რწმენით, თვალითაც და გულითაც. რუსეთში გამზარდა და ახტირის ჰუსართა პილკის ჭრელი მუნდირი ჩამაცვა.

დედა ჩემი მდიდარი და განათლებული რუსი დედაკაცი იყო. მეც რუსის ქალი შემართო და თავის ოჯახში დაგვაბინავა.

არ ვუყვარდით ქართველები არც დედა ჩემსა და არც ჩემს ცოლს. მამა ჩემი მუდამ დღე ფიცულობდა—ქართველობისა აღარაფერი შემრჩაო, მაგრამ ჩვენი დედაკაციები ჩვენს სისხლს შაინც არ ივიწყებდნენ და ჩვენი თავმოყვარეობა გამუდმებით ნემსის წვერზე ჰქონდათ აგებული.

ერთი ქალიშვილი გამიჩნდა. მინდოდა ნინო ან თამარი დამერქმია, მაგრამ ჩვენებმა არ ისურვეს და განგებ ლაუდმილა დაარქვეს. ლამაზი სახელია, მაგრამ... მინდოდა ერთი ძაფი მიინც გამება ჩემს ქვეყანასთან და სახელი



ქართული

ენციკლოპედია

მაინც შეგნახა დაკარგულ მშობლისა, მაგრამ არც ამის ნება მომცეს. მოვინდომე ქართული ეურნალ-გაზეთების გამოწერა. მპარავდნენ და სწავადნენ. განვიზრახე საქართველოში დაბრუნება—დრაგუნთა პოლკში გადმოსვლა. არც მთავრობამ მომიწონა, ვერც ჩვენები დავითანხმე. ჩემი და ცხადი ბრძოლის ფორმები დღე-მუდამ ღრუბლებივით იცვლებოდა. ბოლოს ბრძოლა მიწელდა და თითქმის მოიპოა. ასეც უნდა მომხდარიყო.

მაგონდებიან ჩვენი მოსისხლე მტრები—იანოვსკი, ვოსტოროვი, მაქაროვ-პურიშკევიჩები და ათასნი ძმანი მათნი. ნუ გიკვირთ. მხედარი ვარ, შუა რუსეთში აღვიზარდე, მაგრამ შორიდან მეც კარგად ვხედავდი, მესმოდა და ვკრძნობდი ყოველივეს. რამდენჯერმე მიწახავს ასეთი სურათი: საიდგანლაც ისმის გომბეშოს სასოწარკვეთილი, მიზნდელი ყიყინი. თითქო ვილაც იბრბობაო. იმ ხმაზე წავსულვარ და მიწახავს: მკურავს ბაყაყი ჩაუკლავას. ზის სხვის მუცელში პაწაწა ცხოველი, ფართხალებს და ჰკივის. უიმედოა—გომბეშო განწირულია. მისი კივილი კენესად გადაიქცა, მერე ხრიალი-ლა ისმის, შემდეგ ყოველივე გათავდა. სუსტმა გომბეშომ ძლიერი მკურავი გააძლო და გაასუქა. ასეთია უბრალო და სასტიკი კანონი ბუნებისა. რაო, რა ბრძანეთ? ადამიანი ამ კანონს არ ემორჩილებაო? ჰმ! მე მხედარი ვარ, მაგრამ იმოდენა წაპიკითხავს, რომ ამ სახლშიც არ დაეტევა, და იმოდენა მიწახავს, რომ ზოგი ამას წელიწადშიც ვერ ნახავს. ასეა თუ ისე, გვიწადა რწმენის შეცვლა. რაც ვიცი—ვიცი, რაც მჯერა—მჯერა, მორჩა და გათავდა.

ამ სურათს მაგონებს ჩვენი წარსულიც—შავი და საზარელი გუშინდელი დღე. ჩემი ხალხი, მკურავის პირსა თუ მუცელში ჩავარდნილი, ბაყაყით ჰკიდოდა და ფართხალებდა. ჩვენი შვილები აკენესდებოდნენ, ბადიშები აბრიალდებოდნენ, ხოლო მეხუთე თუ მეათე თაობა ველარც კი დაიწრიპინებდა. სასწაულმა—რევოლუციამ ჩვენი თავი იმ გველვეშაპს პირიდან გააგდებინა. რაც მართალია—მართალია. მაგრამ, ყმაწვილო, სასწაული ხშირად არ ხდება. დაიხსომეთ ერთხელ და სამუდამოდ: სასწაული თუ ხდება ამ ქვეყნად, მხოლოდ ერთხელ მოხდება ათას თუ ორი ათას წელიწადში.

წელან ვოსტოროვ-იანოვსკები გავიხსენე. მუდამ-ჟამს გვარიგებდნენ: ქართველი ხალხი უნდა განათლდნო, —და გვანათლებდნენ. მაგრამ თქვენ, —უმატებდნენ, —თქვენს ქვეყანაში საცხოვრებელი არ გყოფნით, ამიტომ რუსეთში ინებეთ ადგილებიო. ჩვენც ათასობით მიედიოდით, მშობელს ვივიწყებდით და ოკეანეში წვეთ-წვეთად ვითქვიფებოდით. მრავალნი ვიყავით იმ უზღურბლო ზღვაში გაბნეული. გვქონდა წადილი ჩვენი თავის შენახვისა, მაგრამ ტყუილად ვფართხალებდით და უიმედოდ ვყიყინებდით. ჩვენი ძაბილი მგონი მშობელსაც არ ესმოდა. ბოლოს, წიკვლების დაშლილ კონასავით, თითო-თითოდ ვიმტვრეოდით. ასეც უნდა მომხდარიყო მეთქი: წვიმის წვეთი რომ მლაშე ზღვაში ჩავარდება, ალბად ცდილობს საკუთარი სახის შენარჩუნებას, მაგრამ ვერ ახერხებს და უმაღლე ითქვიფება. ჩვენც ასე გვემართებოდა. ვერც მე ავიცილნე ეს ბედი. ჭაობი დღითი-დღე მჭუწნიდა. ველარ ვიბრძოდი. იყო მხოლოდ ხელების საფსავი, უძალო ფართხალი და გულმილფულის ჩუჩუნი.

ყმაწვილებო! უხილავი და საშინელი რაღაც ძალა არსებობს ირგვლივ. შენი შეგნება დღე-მუხამ ებრძვის მას, არ გინდა ჩაეარდე იმ უჩინარის პირში. იცი, რომ დაიღუპები. მაგრამ ამავე დროს გრძნობ და ხედავ, რომ ის ჯადოსანი ძალა თან-და-თან გიზიდავს დაღებულ პირისკენ, —სწორედ ასე, როგორც მკურავის თვალი იზიდავს მოხიბლულ ნიბლიას. და შენც ნელ-ნელა მისკურავ დაღებულ პირისკენ. ჰკივი, მაგრამ მისჩოჩავ; ჰკენისი, მაგრამ მიეთრევი; მწარედ ებრძვი საკუთარ თავს, —ამოდ! ისევ მიფოფხავ, მაინც მიდიხარ! ასე ვებრძოლე ოცდაათი წელიწადი ჩემს თავსა და დაღებულ ხახას —უნაყოფოდ: თავით-ფეხებამდე უკვე გველვეშაპის კბილებში ვიყავი გაჩხირული.

მოხდა სასწაული. მოვიდა რევოლუცია. ყმაწვილებო! ჩემი თავგადასავალი დაგარწმუნებთ, რომ ამ სასწაულმა ჩემზე მძლავრად იშვიათად თუ ჩასწახლა ვინმეს. მაგრამ —გეფიცებით ჩემის ერთად-ერთი შვილის მზეს, მე არ ვსწყველი მას. ყოველივე მქონდა, —ალარაფერი შემარჩინა. სამაგიეროდ ისეთი რამ დამიბრუნა, რაც სამუდამოდ დაკარგული მეგონა: მე ჩემს ქვეყანაში ვარ, ჩემს ხალხში ვცხოვრობ და ჩემს ძმებთან ერთად მივათრევე ჩემს დანებრეულ სიცოცხლეს. აი, ეხლაც: ვზივარ თქვენ შორის, ჩემს შვილებთან; ვკამ ჩემი ქვეყნის პურს, თორის პურს —ვენაცვალე ამის მადლსა! ვსვამ წითელ კახურს —დიდება ამის გამჩენსა! ტკბილად ვემუსაიფები ორ პატიოსან ვაჟკაცს —ღმერთმა ტკბილად დაგაბეროთ! —და თავისუფლად მოგიბრობთ ჩემს ამბავს ჩემს დედა-ენაზე, ჩემთვის მკედარსა და ეხლა მკედრეთით აღდგენილ ქართულზე —უკვდავ იყოს იგი აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ! ნუ გიკვირთ, ყმაწვილებო, ნუ! ადამიანი მხოლოდ იმას აფასებს, რასაც ჰკარგავს და ხელ-მეორედ ჰპოულობს. გალატაკებული მდიდარი სულს რომ მოითქვამს, მხოლოდ მაშინ გაიტკბობს ლუკმა პურს. განდევნილი რომ დაუბრუნდება სამშობლოს, მხოლოდ მაშინ დაეკიდება ორივე ხელით მშობელ მიწას. ნუ ილიმებით, დღევანდელ თაობას ჩემი გრძნობა და შედარებანი აღბად მეთორმეტე საუკუნეს ავონებენ, მაგრამ მე მაინც ჩემსას მოგახსენებთ: ვინც ჩემი გზა განვლო და ჩემოდენა ვანიცადა, მარტო იმას მოხედება ჩემი სიტყვა გულსა და სულში.

მაშ ასე: მოვიდა რევოლუცია და ყოველივე ყირამალა დააყენა. უნდა ვენახათ მაშინ ჩვენი ოჯახის აყირაებაც. მანამდე ჩემს დედამამს და ცოლსაც ქართულსა და ქართველს ვერ ვაავგონებდით. მაგრამ მათი ფსიხიკაც დღითიდღე იცვლებოდა, იცვლებოდა რუსეთის ცხოვრების შეცვლის მიხედვით. გოროზი თავები ნელ-ნელა მოიდრიკეს და ქეშმარიტ-რუსული მედიდურება ჩამოირცხეს.

მე ჩემი ქართულის ნაფლეთები შევასწავლე ჩემს ქალიშვილს ლაჟდმილას —უკვე ჩვიდმეტი წლისა იყო მაშინ —და ქართული სახელი მზეხა დაეარქვი. ჩემი სიღედრი დიდხანს ურჩობდა, ბოლოს, ისიც მოტყდა: საქართველოს ისტორია გადაიკითხა და ნინო-თამარ-ქეთევანი წმინდანებად აღიარა. რუსეთში რომ ბრძოლა გახურდა, ჩვენებს გულმა საქართველოსკენ გამოუწია.

— На холмах Грузии-и-и. —ლიღინებდა მამა-ჩემი და პირიდან აღარ



ქართული
საზოგადოებრივი

იშორებდა რამდენიმე სახელს—ბაგრატიონებს, მცხეთას, დავით აღმაშენებელს, ვახტანგ გორგასლანს, თამარ მეფეს და ერეკლეს.

— მეც ქართველი ვარ.—განაცხადა ერთხელ დედა ჩემმაც და გადასჭრა:—წავიდეთ საქართველოში.

თითქო ყველანი ამას ველოდითო,—ავიშალენით და სამზადისს შევედექით. მაგრამ ბედი მღევარი დაგვედევნა და იმ დღიდან აღარ ჩამოგვშორდა. მეორე დღეს გზები მოგვიჭრეს. მალე მოსკოვა წითლებმა დაიჩემეს. ჩვენ დიდი სახლი გვქონდა. ის სახლი ჩამოგვართვეს, ჩვენს ბინაში მუშები ჩაასახლეს და ჩვენ კი, თითქმის შიშვლები, სადღაც სარდაფში შეგვჭრეს. იმ დღიდან დაიწყო ჩვენი გოლგოთა, მამა ჩემი—გენერალ ლეიტენანტი, მე—გენერალ მაიორი, პაპაც გენერალი და სიმამრიც, ერთი სიტყვით,—კრაზანების ბუდეს თვალა დაადგეს.

ყმაწვილებო! ადამიანი ყოველივეს აიტანს და მოინელებს, თუ თან-და-თან ჩამოსწიეთ და შეაჩვიეთ. ცვლილებასაც ძლივს შეამჩნევს... მაგრამ თუ შეფეხ შეფედ დაიძინა და მათხოვრად გაიღვიძა, ასეთ აყირაგებას ნამდვილი ტრალედია მოსდევს. ჩვენც ასე დაგვემართა. სასახლის დარბაზებში დავიძინეთ და ბნელ სარდაფში გავიღვიძეთ. იმ დღიდან დაიწყო სიმშლი, სენი, წამება და ჯოჯოხეთი. ჩვენს სოფელში—დორინთაში კი მშვიდობა და ბარაქით საესე სახლი გველოდებოდა.

გინახავთ უგუნური, თავბრუდამხვევ ქარიშხლის დროს ვარცლში რომ ჩაჯდეს და შუა ზღვაში გავიდეს? სწორედ ასე მოიქცა ჩვენი ოჯახი—სიმშლი-წამებისაგან აშლილი და გადარეული.

ერთ ღამეს საბარგო ბნელ ვაგონში შევიტყედენით და წამოვედით, ესე იგი თეთრ-წითელ გრიგალში შევედით. ისე მოვდიოდით, თითქო ჩვენი გზა დამტვრეული, მოშხამული მინით ყოფილიყო მოფენილი. ყოველივე ნანახი და განცდილი რომ ავიწეროთ, დიღამდე ვერ გავთავებ. იმას კი მოგახსენებთ, რომ იქაური ამბებისა მაშინ ვერადფერი გავიგე. არ მესმოდა, ვინ ვის ებრძოდა, ან რისთვის იბრძოდა; რად იღვრებოდა იმოდენა სისხლი, რად იწვოდა მთელი ქვეყანა, ან რად ანგრევენენ საკუთარ სახლს. ჩემს თვალში ყოველივე გაათდა. თითქოს ორი მოპირდაპირე უნდა ყოფილიყო, მე კი ათიოდე მაინც დავთვალე. ეხლაც არ მესმის, როგორ არჩევდნენ მტერსა და მოყვარეს.

დღე არ გავიდოდა, რომ ხუთჯერ მაინც არ გაეჩხრიკათ ხიშტებით ჩვენი ბოხჩები და ვაგონიდან ამდენჯერვე არ გადმოეყარათ ჩვენი ბარგიცა და ჩვენი თავიც. ეს კიდევ არაფერი. ყოველ ნაბიჯზე მარწუხებით სჩხრეკავდნენ ჩვენს სულებს, აზრებსა და წარსულს. მღვდელს კილობში იცნობენო. ჩვენც ასე გვემართებოდა.

— ჩვენც გამოგვადგება.—გვარწმუნებდნენ გზაში და ნელ-ნელა გვხდიდნენ ხერიანი ტანისამოსს. სელი და ქილობი-ლა შეგვჭრა. ლაპარაკშიც მდაბითრად ვუქცევდით, მაინც ვერ ვატყუებდით. ვინ იცის, რამდენჯერ დაგვიპირეს „დახარჯვა“ და რამდენჯერ გადავჭრით!

— წმინდა ნინო, თამარი და ქეთევანი გვწყალობენ.—მარწმუნებდა დედა ჩემი.

წითელ ქარიშხალიდან თეთრში გავედით. მე ხელი დამადეს და ჯარში გამიყვანეს. ჩვენებიც ძალუნებურად როსტოვში დარჩნენ. მხოლოდ იქ გავიგე დედააზრი ომის. იქ მივხვდი, რომ ჩემი და თეთრების გზები გაიყარნენ. ჩემი სისხლი სამშობლოსკენ მოიწვედა, თეთრები კი თხოულობდნენ, რომ ის სისხლი ძველი რუსეთისთვის, პირდაღებულ გველ-ვეშაპისთვის დამეღვარნა, რომელსაც კბილებით ეჭირა ჩემი და ჩენი თავი.

თეთრები არ მიშვებდნენ. ფიცი და სისხლი შეიბნენ. ძნელია, ყმაწვილებო, ფიცის გატეხა, მაგრამ რა მექნა, გაცოცხლებულმა ბუნებამ უმაღვე დასჯა-ბნა მშრალი ფორმულა.

— შენ მეფეს მიეცი ფიცი, — მომეშველა მამაჩემიც, — მეფე კი აღარ არის, მაშასადამე...

— მაშასადამე, სინდისი სუფთა მაქვს. — ვუპასუხე.

წამოსვლის საზხადისში რომ ვიყავით, წითელი გრაგალი მოულოდნელად შემოიჭრა როსტოვში. გავიქეციით სადგურისკენ. უკნიდან ტყვია და ყუმბარა მოგვდევდა. მამა ჩემს — სამოცდაათი წლის ჩაჩანაკს — ილიაში ვყავდი შემგდარი. უცებ ჩვენს გვერდით სახარლად იელვა და დაიქექა. მამამ ჩაიქეცა. დაჭრილი მოხუცი ავიკიდე და გავიქეცი. ძლივს მივუსწარი უკანასკნელ მატარებელს. დაჭრილი ზურგით შევიტანე გაქედილ ვაგონში და სადღაც კუთხეში მივასვენე. ჩემი დედა, ცოლი და მზეხა კი უკანასკნელ ვაგონში მოექცნენ.

— შეილო, — ჩამჩურჩულებს მამა ჩემი, — შეილო, ჩემი უკანასკნელი თხოვნა ის არის, რომ დორინთაში დამმარხო, ჩემს მამა პაპასთან მიიტანო. გვედები.

და უცხოთა კუჭყიან ფეხების ქვეშ მიგდებულმა, სული დალია. ყმაწვილებო! მრავალნაირია ამ ქვეყნად მოვალეობა: წინაშე მეფისა თუ სხვა მთავრობისა, რომელსაც შეჰფიცე, ოჯახისა, მეგობრისა, შეილისა, კმრისა, საკუთარ თავისა და მშობლებისა. თქვენ აღარა გწამთ მოვალეობა წინაშე მშობლებისა. ეს, რა თქმა უნდა, თქვენი საქმეა. ახალმა თაობამ მრავალი სხვა მოვალეობაც დაიფიწყა. მე კი ძველი კაცი ვარ და ძველი ზნეობრივი ნარმები ბავშვობიდანვე სისხლსა და სულში მაქვს ჩასხმული.

— დავაშავე წინაშე ჩემთა წინაპართა. — წაიბურტყუნა მამა ჩემმა და ამ სიტყვებით ბევრი რამ გამაგებინა. მეც დავაშავე. ჩვენ ჩენი ძალ-ლონე სხვას შევწირეთ და ჩენი ბებრუკანა მშობელი — ლარიბ-ლატაკი, მიღებული და უპატრონო მშობელი მაშინ-ღა გავიხსენეთ, როცა იქ, სხვის ქვეყანაში ყოველივე დაგკარგეთ. ლბინი სხვაგან, კირი კი დედასთან — ასე დაგვემართა გარდახვეწილებს. ჩენი მშობელი ბებრუკანაც დედინაცვალივით დაგვიხვდა მოსულებსაც და აქაურებსაც, მაგრამ, ყმაწვილებო, დამიჯერეთ ერთი რამ: მშობელს ნურასოდეს ნუ აკადრებთ განკიცხვას, გაჭირდვას და გამტყუნებას, თორემ, ბოლოს და ბოლოს, მწარედ ინანებთ. მას აქვს იღუმალი გონება და სამართალი. იგი ბრძენია და პირუთენელი. ვინც მას გადაუდგა, თვითონვე დაიწყველა და დაიღუპა. ფრთხილად, ყმაწვილებო, ფრთხილად!

სადღაც სადგურზე გავიჩხირეთ. გარეთ გავედით და კუბო ან ფიცარი ვიკი-



ქართული

ენციკლოპედია

თხე. გაიცინეს. ბნელში მესერს წაეაწყდი. ქურდივით ავშალე ფიქრები, მამა-სისხლად ერთი მუჭა ლურსმანი ვიშოვნე, გრძელი ყუთი შევაკოწიწე, შიგ მო-ბუცი მამა ჩაეჭედე, ვაგონის სახურავზე ავათრიე, თოკით დავამაგრე და ბოლო ვაგონისკენ ჩემების სანახავად წავედი.

— ჩვენ არა გვიჭირს-რა, მამა.—მოთხრა ბნელ ვაგონიდან მზეხმა.

— მე ცუდათა ვარ, შეილო.—მომესმა მეორე კუთხიდან დედა ჩემის კენესა.

ჩემიანები ბნელ საბარგო ვაგონში იხდნენ. სანთელი არავის არ ჰქონდა. ჩემ ვაგონში კი ჭრაქი ბეუტავდა და ერთი თავისუფალი ადგილიც შევუღვე-ბოდა. მე და ჩემმა ცოლმა ხელით გავიტანეთ სიცხიანი დედა ჩემი და ჩემს ვაგონში შევიტანეთ. ამ დროს სადგურზე ჩოჩქოლი და ხმაურობა ასტყდა. სა-დღაც თოფი გაეარდა. მერე საშინელება დატრიალდა: სიბნელიდან ტყვია სე-ტყვასავით წამოვიდა. დაჭრილთა გმინვა, ბავშვების ღრინანცელი და დედაკაც-ების კივილი ზეცას სწვდებოდა. უმაღლ ჩაეაქრეთ ჭრაქები და სანთლები.

მატარებელი დაიძრა და ტყვიების ზუზუნს მოსწყდა. ვაგონებში დაჭრი-ლებს უვლიდნენ. ჩემი მზეხმა მარტო დარჩა უკანა ვაგონში, ჩვენ კი შიშისაგან გული მიგვდიოდა. ხომ არაფერი დაემართა მეთქი ჩემს ქალბატონს, ჩემს ერ-თას? ატარებელი დაფრთხალ კვიცივით მიჰქროდა. თითქო გაჩერებას სულაც არ აპირებდა. დედა ჩემმა სიცხისგან გონება დაჰკარგა.

უცებ ვაგონის სახურავზე რაღაც არახუნდა, თითქო მძიმე რამ დაგორ-დაო. ყველანი შეგვკრთით. უმაღვე მივხვდი ყოველივეს. კუბო მოსწყდა და მინ-დორში გადავარდა. იმ ქვეყანამ, ვისაც დიდმა გენერალმა თვისი სიცოცხლე შესწირა, თითქო ბნელ სივრცეში უჩინარი მკლავები გამოაწვდინა და თვისი საკუთრება მოიტაცა. ჩემს ცოლს ისტერიული ქვითინი აუფარდა. მე ხმასაც ვე-ლარ ვიღებდი. მგზაურებიც დადუმდნენ. ყველამ გაიგო ქერის ჭრაქუნისა და რა-ხრახბის მიზეზი.

ყმაწვილებო! მე აფორიაქებული კაცი არა ვარ. თქვენ სხვა საფუძველზე იზრდებოდით, და ეხლაც იზრდებით. Connais toi toi même—იცანი თავი შე-ნი, აი საფუძველი თქვენის აღზრდისა. მე კი ანგლო-საქსონურ პრინციპზე ვარ აღზრდილი. Diriges tes tois même—განაგე თავი შენი, აი ჩემი შეგნებისა და ხასიათის საძირკველი. „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსა“—ესეც ჩემი დევიზია. ბევრი ჭირი მომინელებია, მაგრამ რაც იმ ღამეს განვიცა-დე, თქვენს მტერსაც ნუ მისცეს ბედმა! მოვიკრიბე ძალღონე და „განვაგე თა-ვი ჩემი“, ესე იგი ყელში მოწოლილი ქვითინი თუ კივილი უკანვე ჩავეიტნე და დავმუნჯდი. მამა ბნელში სივრცემ მომტაცა. დედა სულთმობრძავია. ცოლი ისტე-რიულად გაჰკივის. შეილი მარტო ჰგდია უცხო ხალხით გაუქვილ ბნელ ვაგონში—ისიც, ვინ იცის, ცოცხალია, დაჭრილი თუ მკვდარი? მატარებელი კი მიდის, მირბის, მიჰქრის გაგიებულ ეშმასავით და აღარ აპირებს შესვენებას. მინდა თვალი მოვკრა ჩემს ერთას, ჩემს მზეხას. ამაოა: სამგზაურო ვაგონიდან საბარ-გოში ვერ გადახვალ. არ ვიცი, რამდენი ვირბინეთ, ნახეჯარი საათი, ერთი თუ ორი. ბოლოს, როგორც იყო, შესდგა. ამოდენა კაცი მაიმუნდით ავცოცდი სა-

ხურავზე. არავინ, არც არაფერი, — დაწყვეტილი თოკის გარდა. ჩამოსვლის ნაცვლად ჩამოვხტი და ბოლო ვაგონს ვეცი.

— მზეხა! მზეხა! ლაღდმილა, სადა ხარ, ქალო? — სიჩუმე და სიბნელე.

— მზეხა, სადა ხარ, ქალო?

— ვის ეძებთ? — შემომიძვია ვილაკამ ბნელ კუთხიდან, მერე მკითხა: — უკანასკნელ ვაგონში ხომ არ იყო?

— დიახ, დიახ. უკანასკნელში იყო.

უკანასკნელი ვაგონი დიდი ხანია მოხსნეს, სადგურ სასიკაში მოხსნეს*.

— ალვის ბოძი გაჩუმდა და მე მომაჩერდა.

— სად მოხსნეს, სასიკაში? — გაეაწყვეტინე მე და, მგონი, უცნაურად შეეტოკდი.

როსტომმაც შემომხედა, მერე წამოიძახა:

— საკრანტო! ამბავა ლენო დაგვაფიწყა. თითო კიდევ დავლიოთ.

ალვა ჯავრიძემ განაგრძო:

— „თქვენ მკითხებდით, როდის მოხდა ეგ ამბავიო. ეს ამბავი მოხდა, ჩემო მეგობრებო, სწორედ პირველ ივნისს. რაო, რა ბრძანეთ? კარგად მახსოვს თუ არა? აბა, რა საკითხავია! ან ის დღე როგორ დამავიწყდება! მაშ ასე, მეგობრებო. მამა სივრცეში გაფრინდა, ერთად-ერთი ქალიშვილი წითლებს ჩაუვარდათ... დედა მიკვდება... ცოლის კვილი მთელ მატარებელს და ბნელ მინდორს აყრუებს...“

სადგურ ნეზლობნაიაში თენდება. კავკაეში მინდოდა ამოსვლა, მაგრამ მატარებელი აღარ მიდის. ავადმყოფები ჩამოვიყვანე და იქვე, ქალაქ გიორგიევსკში გადავიყვანე. იცით, რით არის ჩვენთვის ეს ქალაქი განთქმული? როგორც დღევანდელ თაობას შეეფერება, არ გცოდნიათ. მაშ გეტყვით. ამ ქალაქში მოაწერეს ხელი რუსეთმა და საქართველომ 1783 წლის საბედისწერო ტრაქტატს, და კიდევ რომელიღაც ჩენი ბატონიშვილის საფლავია იქვე. რუსეთში მიმავალი თუ იქიდან მომავალი, იმ ბუნავში მომკვდარა.

ერთი ქვრივია სახლში დავაწვინე ორივენი. დედა ჩემს პარტახტიანი სახადი აღმოაჩნდა, ხოლო ცოლს — ტვინის ანთება. ორივესთვის ექიმიც მე ვიყავი და ლალაც. დედა დღე და ღამე ჰზოდავდა, ცოლი ჰკიოდა და გასაქცევად იწვედა.

დედა მეცამეტე დღეს გარდაიცვალა. ცოლიც მეორე დღეს გათავდა. იქვე ბოსტნის კუთხეში საფლავი ამოეთხარე, ცხედრები ქილობით შეესულდრე და ერთად ჩავაწვინე. საფლავს რომ ვაესებდი, წითლების ცხენოსანმა ჯარმა თქარა-თქურით და თოფების ჭექა-ქუხილით ჩამირბინა გვერდით.

მარტოდ-მარტო დავრჩი. აღარც დედ-მამა, არც ცოლი, არც ფული, არც რამ ნივთი — აღარაფერი და აღარავინ, აღარავინ, — გარდა დაკარგული შვილისა. მაგრამ, ვინ იცის, შემრჩა კი შვილი? იქნება ისიც აღარა მყავს, ან კიდევ... უბედური რამ არის, ყმაწვილებო, ქალი, ისიც, ქალწული! უცხო ქვეყანაში თუ რამდენიმე დღით მოსწყდა პატრონს, შეიძლება ორივემ სამარის კარამდე ინანონ*.



— მერე, მერე?... ინანეთ?—წამოგაყრანტალე უნებურად და უმაღვე გავწითლდი.

— საკრამენტო!—და ჩემმა მეგობარმა სიცილით შემანჯღრია.

— ბოდიში... უკაცრავად... მაპატიეთ.—ვლულულულებ და სირცხვილს ლენინოში ვახრჩობ.

— „არაფრისა, ყმაწვილო, არაფრისა.—მილიმის ალვის ბოძი, თვითონაც სვამს, ახალ პაპიროსს უყიდებს, ბოლში ეხვევა და ღუმილის შემდეგ ისევ ხრინწით აგრძელებს:—ყმაწვილებო! მზეხას პოვნის იმედი რომ არ მქონოდა, ან ავიტეხავდი რამეს—ღმერთო შეგცოდენ!—ან კიდევ თავს შევაკლავდი ვინმეს. აქვე, გვერდით იყო ჩემი მშობელი ქვეყანა, ასე მძლავრად რომ მიზიდავდა. მაგრამ იქვე სადღაც იყო ჩემი ერთად-ერთი ნუგეშიც. და მეც ისევ უკან დავბრუნდი. როგორ მივალწიე იმ სადგურამდე“...

— სასიკამდე.—ისევ უნებურად ვაწყვეტიანებ მე.

— „დიახ, ყმაწვილო, დიახ, სასიკამდე. როგორ მივალწიე, ეხლაც არ ვიცი. გამოვიკითხე იმ ვაგონის ამბავი. არავენ არ იცის, აღარ ეხსოვთ. იყო თავდასხმა და სროლა, ვინ მოხსნა ის ვაგონი, ან სად დაიკარგნენ მგზავრები, არც ეს იციან. ბოლოს, სადგურის დარაჯმა მითხრა, ვითომ ერთი ქალი,—და ის ქალი ჩემს მზეხას შიამსვავსა,—ვითომ მეორე დღეს ერთი ქალი როსტოვისკენ წაიყვანეს.

შუალამისას ვაგონის ქერზე აეცოცდი და წავედი. კინალამ გავიყინე, კინალამ შამა ჩემივით მომიტაცა სიერცემ. როსტოვი გადავებრუნე, მაგრამ ამაოდ. კვალსაც ვერ მივავენი. ვილაკამ მიცნო. დამაპატიმრეს და „დასახარჯად“ გამამზადეს. თავი ვერ ვამართლე, ვუთხარი: მართალია, თეთრებმა თავიანთ საქმეში გამრიეს, მაგრამ—ღმერთია მოწმე!—არავისათვის არაფერი დამიშავებია მეთქი.

— ამხანაგებო, მე ვიცნობ ას გენერალს.—წამესარჩლა ვინმე უცნობი.—მაგის შტაბში ვიყავი სალდათად. დიდებული ადამიანია, ამხანაგებო!—და მოჰყვა ჩემს ქებას. საჩრლობამ გასჭრა. სიცოცხლე მაპატიეს, მაგრამ მოსკოვში გამგზავნეს, ხოლო მოსკოვიდან თეთრი ზღვის ნაპირზე გადამასახლეს. ვიჯექი ზღვის ნაპირზე, ვიქერდი თევზს, უხვად ვნადირობდი, პომორების ბალებს წერა-კითხვას ვასწავლიდი და ბედის ღიმილს ველოდებოდი. დიდხანს ვუცადე. ერთი წელიწადი გავიდა. თვეში ორ წერილს მაინც ვწერდი. ვეკითხებოდი მოსკოვს, ტფილისს, დორინთას. პასუხი მუდამ ერთნაირი—ჩემი ქალიშვილი არსად უნახავთ.

წელანაც მოვახსენეთ, ნელ-ნელა ადამიანი ყოველივეს აიტანს-მეთქი. მეც შევეჩვიე ჩემს ბედს. ოღონდ დღითი-დღე ვდნებოდი და სამარისკენ ვიწვედი. ძნელია სიკვდილი უცხოეთში, ყმაწვილებო, ძალიან ძნელი,—ისიც მარტოდ-მარტო, უჭირისუფლოდ, უჩვენო-მიწოდ. შამა ჩემის ნატვრით-ლა ვცხოვრობდი: ნეტა ერთხელ კიდევ მაჩვენოს ბედმა ჩენი დედაქალაქი, მყინვარი, დორინთა! ძლივს მომიგონეს! მოსკოვში ჩამიყვანეს და გამათავისუფლეს. ათი წლის სიცოცხლე დამიბრუნა იმედმა: სამშობლოს ვნახავ, მზეხას ვიპოვნი!

მეფადეკი ჩვენს კონსულს მოსკოვში. ნეტა შემხვდეს სადმე, რომ ერთხელ კიდევ გადაუხადო მადლობა. ჩამაცვა, გამაძლო და გამომგზავნა, თანაც ყველა ჩვენს კონსულებს ბრძანება დაუგზავნა, — მზეხა ჯაერიძე მოსძებნეთ და საქართველოში გაგზავნეთ, ან იმის ამბავი მამას შეატყობინეთო. იქიდან კაცკაეში ჩამოვედი. ჩვენი კონსული რევაზ მანაბელი — სამუდამო იყოს ხსენება მისი, მოკვდა საწყალი! — რევაზ მანაბელი შვილივით დამიხვდა და საკუთარ მამასავით გაპომისტუმრა. არშის ციხეს რომ გამოვცდი, დარიალაში რომ შემოვედი და საკუთარ ქვეყანაში შემოვიხედე, გულმა ველარ გამიძლო, და ჩემი დევიზიც — განაგე თავი შენი — დავივიწყე. მიწას ვემთხვიე, ცრემლით მოვრწყე, სანაპირო ჯარის კაცებს გადაეხვებე და ჩემი ჩიქორთული ქართულით გავაცინე. რა ბრძანეთ? მაშ ეხლა ხეირიან ქართულს ვლამაზაკობ? შეიძლება, როგორ მოახერხეთ? ძალიან ადვილად. მოვინდომე და მოვახერხე. მონდომების მეტი არაფერია საჭირო. უცხო ენას ხუთ წელიწადშიც ვერ შეისწავლით, ხოლო თუ მივიწყებულ დედაენას დაუბრუნდით, ექვს თვეში დიაკვანივით გეცოდინებათ. დაუბრუნდი დორინთას.

წინათ მამული იჯარით გვქონდა გაცემული, ეხლა კი იგი გლეხებისთვის დაერიგებინათ. „იყოს ნება მათი“, — ვთქვი და თოთხმეტ დღიურს დავეკრდი, რომელიც მაშინდელ კანონით მერგებოდა. საქონელი არ მყავდა, ამიტომ სახნავ-სათესი ისევ იჯარით გავეცი, მე კი სახლ-კარსა და ბალ-ვენახს შევეუდექი. ქვემო სართულში სკოლა გავხსენით. მეც იმ სკოლაში რალაცას ვასწავლიდი, მასწავლებელს ვშველოდი და... ველოდებოდი, ისევ მზეხას ველოდებოდი.

გამიხსენეს ჩემი ხნის გლეხებმა, ბავშვობაში რომ ერთად ვთამაშობდით, ვთევსაობდით და ვკულლუტობდით. ისევ დაემეგობრდით. მაგრამ სხვები... ყმაწვილებო! ზოგი ახირებულს მოელის რევოლუციისგან. კერპი ბავშვივით დაუტინიათ: რევოლუტია მოგვეცი, მაგრამ ტკბილი, მშვიდობიანი, ძმური, მამა-შვილური და იდილიურიო. ის კი არ ესმით, რომ ბუნებაში არ არსებობს ცივი ცეცხლი, ცხელი ყინული, ბნელი ნათელი ან მშრალი წყალი. მე კი კარგად ვიცნობდი ქალბატონ რევოლუტეას. იქ ვნახე, გავიგე, ვიგევე. და რაც ჩვენში დამხვდა, განცილ-ნანახთან შედარებით საამური სეირნობა იყო. შეძლებული გლეხები დამიძმობილდნენ, ღარიბები კი მიბლვეროდნენ და მუდამ ჩემს სახლ-კარსა და ბალ-ვენახს დასტრიალებდნენ. მცირედი უსიამოვნება მრავლად მქონდა. ხან ღობეს ამიშლიდნენ, ხან ხილს გაკრავდნენ, ხან საქონელს შემორეკავდნენ. ვერიდებოდი შედავებას და თვალს ვხუჭავდი განკებას.

გავიდა ერთი წელიწადი. რუსეთიდან რევოლუტეას გამოვექეცი, მაგრამ დამედენა, დამეწია. ყოველივე აყირავდა იმ დღიდან ჩვენს სოფელში. დამესიენენ ღარიბები და უმიწონი. ჯერ სახნავი ჩამომართვეს, მერე ბალ-ვენახი დაისაკუთრეს, შემდეგ სახლიც დაიჩემეს და სკოლიდანაც გამაძევეს.

ვენახის ბოლოში, სოფლის მოშორებით ძველი ნამარნევი და ერთი ფარლალა ხის სახლი მქონდა. იმ ფიკრულში შემაგდეს და ჭირიანივით გამთიშეს. სწორედ იმ დროს აეად ვიყავი. აღარც წყლის მომტანი, არც პურის მომწოდებელი, არც მომვლელი, არავინ, აღარავინ! ზოგიერთებს ვებრალეობოდი,



მაგრამ ისინიც მერიდებოდნენ—საკუთარ თავსა და ქონებას უფრთხილდებოდნენ. ზოგჯერ ღამით მაინც მოვიდოდნენ, ქურდივით შემოიპარებოდნენ, წყალს მომიტანდნენ, რთ ლუკმას მომაწოდებდნენ და, თითქოს ავი საქმე ჩაიდინესო, ისევ პარვით წავიდოდნენ.

სოფლის მეორე ბოლოში ვინმე ლექსო სცხოვრობდა—კაცი ღარიბი და უჩინარი, სამაგიეროდ კბილიანი, ხშიანი და მოუსვენარი. ამ ლექსომ გადამიყვანა ფიცრულში. ბევრს ეცადა ჩემი ავეჯეულობისა და ბარგი-ბურხანას ჩამორთმევას, მაგრამ ვერ მოახერხა. შემდეგში ვინანე: ნეტა ნაშინვე წაელოთ მეთქი ყველაფერი.

როცა არ ვმუშაობდი, ესე იგი როცა მიწას არ ვჩიჩქნიდი, რომელიმე წიგნს გადავშლიდი და განდევნილ ბერივით ვკითხულობდი, ან კიდევ წარსულ ლანდებს ვავყვებოდი. ტფილისიდან მრავლად მოვიტანე წიგნი. შოთა რუსთაველი ყოველივეს მაეიწყებდა; ილია ქაქავაძე და ყაზბეგი, დღევანდელთან შეფარდებით, ყოველივე იმედს მიკარგავდნენ; ჩვენი ისტორია სასოწარკვეთილებაში მაგდებდა; მხოლოდ ფსალმუნნი და საერთოდ სამართო წერილი-ლა მანუგეშებდა.

ნუ ილიმებით, ყმაწვილებო. ღმერთი ადამიანს მხოლოდ ქირში ელანდება. კირი კი იმ დროს მოზიარედ გამიხდა და მუდამ ჩრდილივით დამდევდა. ლოკინში გვერდით მიწვა, სიარულში წინ მიმიძლოდა, ხოლო ჯდოვის დროს მხლებელივით თავთ მადგა.

მუშაობისა და კითხვის გარდა მესამე საქმეც მქონდა—ნამდვილი საქმე, ყოველდღიური და ყოვლად გადაუდებელი—ფიქრი, მწარე ფიქრი ჩემს ერთაზე, ჩემს მზეხაზე, ჩემს დაკარგულ ქალზე. გულის სიღრმეში, სადღაც ჯუღმულში მუდამ მწამდა, რომ ჩემი ერთა ცოცხალი იყო და, დღეს თუ ხვალ, უნდა გამოჩენილიყო, უნდა მოვეძებნე, უნდა ვეპოვნე. და ამ ბრმა რწმენით დაჯერებული, დატვირთული და გაყენებული, მუდამ ქალაქის გზას ვავცქეროდი და ისე ველოდებოდი, როგორც წყალწაღებული ელის მშველელ ხელს.

ერთხელ, ზაფხულის ღამეს, როცა მოლოდინი გამილესდა, გარედან რაღაც ხმაურობა მომესმა. მახსოვს, იერემიას გოდებას ვკითხულობდი. თავი ავწიე, ყური მიფუგდე და ისევ გოდებას ვავყევი. ვაეიფიქრე, ბალის ქურდები იქნებიან, მოჰკრეფენ მცირედს და წაელენ მეთქი. კრაქი ოდნავ მინათებდა წიგნს. კრაქს მთვარის შუქი ჰშველოდა. ფაჩუნი და ჩურჩული კარებს მოადგა. ვფიცავ მზეხას მზეს, ჩურჩულის მეტი არაფერი გამიგია. არ ვიცი, რა ძალამ წამომავდო გველნაკბენივით. კარებისკენ ვიბრუნე პირი, ხელემიც ვავიშვირე და ისე დავიფიქრე, რომ ჩემი ხრიალისა შვევ შემეშინდა:

— მზეხა! მზეხა!

და იმავე წუთს... იმავე წუთს გაღებულ კარებში, ვითარცა ხატის ჩარჩოში, ჩემი ერთა გამოჩნდა...

ყმაწვილებო, მაპატიეთ სისუსტე... ვაჟაკის ცრემლი სიბერის ნიშანია. გეფიცებით, მაშინაც არ მიტირნია, როცა მშობლები და ცოლი დავკარგე...



არც მაშინ, როცა თეთრი ზღვის ნაპირზე... მარტოდ-მარტო... ეს შეიძლება მე-მართება. პირველად მაშინ... იმ ღამეს... როსტომ, დამისხი... რა ვქნა, პაპიროსი სად დამეკარგა?...

ვერა, ყმაწვილებო, ვერ გვიამბობთ ყოველივეს, რაც იმ ღამეს განვიცადე. დიდი დარდისთვის და დიდი სიხარულისთვისაც ადამიანი წინდაწინვე უნდა შეამზადოს, თორემ მოულოდნელი ჭირიც და ლხინიც ადვილად გასკულებენ კაცს. მეც ასე დამემართა. დიდი ბედნიერება დიდი ლოდინით დამეცა და კინალამ გამსრისა. დღეს მზებას დაბრუნების წლის თავია, ყმაწვილებო. დღეს დიდი უქმეა, დაუფიწყარი დღეა. შარშან, სწორედ ამ დღეს, გამაცოცხლა მკვდრეთით ჩემმა მზებამ, მზებათუნმა, ხათუნამ*...

III

ამბავი მზებათუნისა

— ისევ ჩემზე ლაპარაკობთ?—მოისმა სწორედ ამ დროს ქალის ხმა ჩემი ზურგის უკან.

მივიხედე. წამოვიჭერი. უკნიდან ბრახუნი მომესმა. ჩემი სკამი გადავარდნილიყო. აივნის კარებში, როგორც ჩარჩოში—აღვამ რომ შეადარა—მალალი ქალი იდგა. შევხედე და ქალად ქცეული არწივი გამახსენდა, და კიდევ რაღაც მომაგონდა—შორეული, ბინდიანი, ნალელიანი. ჩარჩოში ჩამჯდარ არწივისა ყოველივე ილიმებოდა: ღრმა, დიდრონი, შავი თვალები; დამტყრეული, შავი რკალეები; ვიწროდ შეკეცილი თხელი ტუჩები; ორი მძივი ციყვის კბილებისა; თხელი, მალალი, კუზიანი ცხვირი; ვანიერი და სწორი შუბლი; ყელი—აწეული, და თვითონ ქალიც—მალალი სვეტი, თეთრ ქსოვილებში გახვეული.

ალარ მახსოვს, რა წავიბურტყუნე, ან როგორ ჩამოეკართვი ხელი, ან დაბლა რად ჩავლუნე თავი, ან კიდევ—შემდეგ როგორ დავაშტერდი მთვარეულვით მეორე კარებს, როსელსაც თეთრ ღრუბელში გახვეული არწივი მიეფარა.

— საკრამენტო, რა დაგემართა!—და როსტომის ხელმა, ჩემს ბეჭზე დანაკრავმა, ბურუსი ძლივს გამიფანტა.

ხუთი წუთის შემდეგ ჩემს პირდაპირ იჯდა, თავის მამის გვერდით, და იმ დღის ნანახსა და განავონს გვიამბობდა. ჩემი თვალები მზებას დასტრიალებდნენ, გონება კი შორს იყო... ძალიან შორს.

ბინდ-ბუნდად მახსოვს მათი ბაასი. მზებათუნ ზოგჯერ გაცვრით მიდიმოდა. მგონი სჭამდა, მგონი ღვინოც დალია, მგონი რაღაცის იხამუშებდა. რამდენი ხანი გავიდა—ალარც ეს მახსოვს.

— აბა, მზება, ნუ ტრიდები მირიანს.—მომესმა როსტომის ხმა.—ჩემი გულითადი მეგობარია, ჩემი ძმა არის. მამამ თითქმის ყოველივე უამბო. ბევრი არაფერი დაგჩენია.

— გვიამბე, შეილო შენი დაბრუნების წლის თავია.



მზეხა ღომლით დამაშტერდა. და გაბნეული გონებაც უყუებ დამიბრუნდა. ქალი თვალღებში მიმზერს, მეიღერსება დაჯთთქო მარტო მე შიამბობს:

— „იმ საღამოს საბარგო ვაგონში ისე შეგვაწყო მამა ჩემმა, თითქო კი-
დობანში შოთებს ალაგებდაო. კარები რომ მოვაციკეტს, ჩვენი ვაგონი ფურ-
ნის დაემგზავსა—ბნელსა და გახურებულ ფურნეს. ოცდაათი ქალი და კაცი მი-
ვეყარენით ერთმანეთზე. ერთი გვერდით დედა მეწვა, მეორე გვერდით—ვი-
ლაც ქართველი. სიბნელეში ერთმანეთს გამოველაპარაკეთ. ჩვენი ვინაობა და
მგზავრობის ამბავი რომ გაიგო, ძალიან გაუხარდა და თავისიც მიამბო. სიხა-
რულში და ბაასში მეც ავეყვი. მიხაროდა თანამგზავრის ქართველობა. მიხა-
როდა ყოველივე და ყველაფერი. მინდოდა ხმამალა სიცილი, ყვირილი, ცქმუ-
ტვა. მაგრამ თავს ვიმა რებდი - წინა ვაგონში მომაკვდავი პაპა იწვა, ხოლო
ჩემს გვერდით ჩემი ბებია სტიროდა და დედა ჩემი ჰბორგავდა.

მერე, როცა სადგურ სასიკაში მივედით, ორივენი მამამ წაიყვანა—ბე-
ზიაც და დედაც. მე და ის ვაჟი მარტონი დავრჩით, უფრო გავლადდით და
გავთამამდით. მინდოდა ჩემი მეზობლის გასინჯვა. ნეტა როგორია, —მეკითხე-
ბოდა გული, — მალალი თუ დაბალი, სრული თუ თხელი, ქერა თუ შავკრემანი,
ხნიერი თუ ახალგაზრდა? მაგრამ ვერც კითხვას ვუბედავდი, არც სანთლის ან-
თება იყო ნებადართული“.

— საკრამენტო! ეხლა მაინც გამოტყდი, ქალო, — შეაწყვეტინა როსტომ-
მა, — ხომ არ გაკოცა, ხომ არაფერი მოხდა?

✓ — არაფერიც არ მომხდარა! — აიღეწა მზეხა. — თქვენ, მამაკაცებს, მაგაზე
მეტე არაფერი ვაგონდებათ.

— ვითომ? დაგიჯერო? საკრამენტო, არა მეჯერა!

— როსტომ, გაჩუმიდი. — ჩაერია იღვა. — დაიხსომეთ, ყმაწვილებო, ერთ-
ხელ და საბუდამოდ: ქალი თავის ბუნებას ვერ დასძლევს. ერთი უნიბური კოც-
ნაც რომ ყოფილიყო, ქალი ხმამალა ვერავის ეტყვის ამას. ამიტომ ნურავის
მოსთხოვთ ისეთ რასმეს, რაც მას არ გააჩნია. განაგრძე, ჩემო კარგო.

— მართალია! — წამოვიძახე მეც.

მზეხამ მადლიერი ღიმილი გადმომიგდო და განაგრძო:

— „ძალიან მინდოდა იმ ვაჟის დანახვა. მაგრამ ვერ მოვახერხე. მხოლოდ
ერთხელ ზემო სკამზე ვილაკამ გაპქრა წუმწუმმა, მაგრამ უმაღვე ჩააქრო. აქეთ-
იქიდანაც ისე შელტიეს, რომ მეორევეჯერ აღარავის გაუბედნია. მე მაინც მოვას-
წარი თვალის გადავლეება. ჩემს წინ სწრაფ მატარებელს გაუბუნნია, და ვაგონის
ფანჯარაში ვინმესთვის მომიკრავს თვალი, და იმ ვინმეს სახე უფრო ადვილად
დამხსომებია, ვიდრე იმ... სახელიც დამავიწყდა, ამიტომ იმ ვაჟს ვაგონის კაცი
დავარქვათ. სიბნელეში, ისიც ერთის წამით ბინდ-ბუნდად გამოჩნდა და გაპქრა.
შაი თვალ-წარბი, შავი პატარა უღვაშები და... მეტი არაფერი... მაგრამ სა-
ქართველოში ვის არა აქვს თუშუმ შავი თვალები და შავი უღვაში!

ვლაპარაკობთ და წასვლას ვუცდით. ჩვენი ვაგონი ბნელშია. შიგნითაც
ბნელა. უყუებ ვაგონი ნელ-ნელა უკან წავიდა. ყურადღება არ მივაქციეთ. უყუებ
თოფი გავარდა. ატყდა სროლა, გრილი და ისეთი კვილე-წივილი, რომ...

საქართველო
საზოგადოებრივი

კინალამ გული შემიღონდა. ყველანი ვაგონიდან დაფრთხალ თავგვენივით ჩამოვცვივდით და ბნელ ლამეში დავიკარგენით.

— „Ахфицеров в расходи!—გაპკივის ვილაც სადგურზე.

გავიქექით. მივრბივართ. არ ვიცით კი,—საით, ვისთან, ან როდემდის უნდა ვირბინოთ. ისე ბნელა, რომ ერთმანეთი შავ ბოძებად გვეჩვენება. ვისვენებთ და მივდივართ. ხან ნახნავში წავეიქცევით და ხან სად წავიჩნებებით. სადღაც ძაღლმა დაიყეფა. ვაგონის კაცმა ძაღლის ხმაზე წამიყვანა: სოფელში უნდა მივიდეთ, თორემ უგზო-უკვლოდ როდემდის უნდა ვიაროთო. მივდივართ, ღობეს მივადექით. „—შესდექით!“—დაგვიყვირეს უცნებ და ოთხნი თუ ხუთნი შემოგვეხვივნენ. „ამხანაგებო, ქალი!“—წამოიძახა ერთმა.—„ქალს გაჩვენებ მე შენა“—შეუტია მეორემ. მივდივართ. ვაგონის კაცი სულ ქალებზე ელაპარაკება. ორი უფროსი, კილოზე ვატყობდი, განათლებულები უნდა ყოფილიყვნენ. ქალს პატივით იხსენებდნენ და მეც ზრდილობით მეპყრობოდნენ. „მშვიდობით, არ შეშინდეთ, ხელს არ გახლებენ“—წამოჩურჩულა ვაგონის კაცმა და იმავე წუთს თითქო ქვესკნელში ჩაძვრა.

„დაიქირე!.. შესდექი!.. ესროლე!“—აყვირდნენ აჩრდილები და დაიფანტნენ. გავარდა თოფი, მეორე, მესამე. მე ჰკეუა ვიხმარე და მაშინვე მიწაზე გავწვი-ვილაკამ დაიბღავლა. ერთმა მეორე დასჭრა, ვილაკამ ამაყენა და სოფელში წამიყვანა. ვილაც უფროსი მოვიდა. აანთეს კრაჭი, გამსინჯეს და გამოიკითხეს. ის უფროსი თურმე ნავექილარი ყოფილა. ყოველივე დამიჯერა. მერე მეორე ოთახში გამიყვანა და ცოლს უთხრა—თურმე ცოლიც თან დაჰყავდა: შეინახე ეს ქალი, ხეალ სამშვიდობოს გავიყვანთო. მდეგარის დაბრუნებას გულის ფანქ-ქალით ველოდებოდი. ისე ვიყავი დაღლილი, რომ ფიცრის ტახტზე მივწვიქი და მივიძინე.

— არ იცით, დაიქირეს თუ არა ის კაცი?—ვკითხე დილით დიასახლისს.

— ვინ კაცი?

— ჩემთან ერთად რომ დააბატიმრეს. მგონი გაიქცა.

— ჰო, გაიქცა, მაგრამ ტყვია მოეწია. მოჰკლეს.

ისე გამოვიტირე, თითქო შმა მომიკლესო. დიასახლისი მამშვიდებდა:

— ნუ დაუჯერებთ. ზოგჯერ უფროსის გულის მოსაგებად ტყუილს იტყვიან ხოლმე. ეხლაც ამბობენ, მოგვალით და იქვე ჩაფთავალითო, მაგრამ ვინ იცის, მართალია თუ ტყუილი?

მე მაინც ვნაღვლობდი, რადგან... ბევრი სიკეთე მიყო. საწყალი, საბრალო!

ერთი თვე ვიცხოვრე იმ სოფელში. აქეთ მინდოდა წამოსვლა, მაგრამ არ გამომიშვეს. ფრონტზე გადმოსვლაც სახიფათო იყო. ერთხელ თეთრების ხელში გავიღვიძე. წითლები იმ ღამეს ჩუმად გასულიყვნენ. სიხარულისგან კინალამ ცაში აფურინდი.არმავირში ჩავედი. მინდოდა ჩვენებს დაეწყოდი. მაინც თეთრების შტაბში შევიხედე და ჩვენების ამბავი გამოვიკითხე. პაპა ჩემი გზაში მომკვდარა. ბებია და დედა გიორგიევსკში გარდაცვლილან. მამა ჩემი, აი ეს მამილო, გვერდით რომ მიზის, როსტოვში დაბრუნდა და... იქ დახვრიტესო.



ქართული
საზოგადოებრივი

ოთახი დატრიალდა, აყირავდა. გონს რომ მოვედი, ვილაც ქალი მაბრუნებდა. „როსტომ, მიშველე,“ — დაუძაბა ვილაცას. და ჩემს ოთახში აი ეს როსტომი შემოვიდა. ის ქალი — ამ უღირსი ვეებატონის ცოლი — ეხლა ჩემი საუკეთესო მეგობარია. საიდან გაჩნდნენ, — თვითონ როსტომი ვიამბობთ. მე ამათთვის არ მეცალა. გამახსენდა ჩემი დაობლება და... ისევ გული შემიღონდა. მერე ისევ მომასულიერეს. ვფიქრობდი: ოთახი მახლობელი მყავდა, ეხლა კი ობლის ობოლი ვარ. ეჰ, რაღად მინდა სიცოცხლე!“ მე რომ დიდი მწერალი ვყოფილიყავი, მაშინაც ვერ ავიწყრდით ჩემს მაშინდელ დარდს. სიკვდილი, სიკვდალი — აი მაშინდელი ჩემი ფიქრი და საზრუნავი. მაგრამ... ნებას არ მძლევდნენ, ერთი წუთითაც არ მშორდებოდნენ*.

— საკრამენტო, ნება რომ მოგვეცა და თავი მოგვეკლა, — წამოიძაბა როსტომმა, — ეხლა ამისთანა მშვენიერ, სუფრაზე ხომ არ ვიქნებოდით! აბა, ორორი ჭიჭა ერთად, თორემ წყურვილით დავიხოცეთ.

მზეხამ ღვინით პირი გაისველა, შუბლი აიკრა და ისე დამაშტერდა, თითქო რაღაცას ეძებდა, რაღაც დაკარგულს იგონებდაო. მერე მოსავონარი თავის გაქნევით დააფრთხო, ისევ დამაცქერდა და ღიმილით განაგრძო:

„ეს კი მართალია: თინა და როსტომი რომ არ შემსწრებოდნენ, ჩვენ, ორნი მაინც — მე და მამა — ამ ქვეყნად აღარ ვიქნებოდით. რაღა ბევრი გავაგრძელო: ისევ ფეხზე დამაყენეს და აქეთ წამომიყვანეს. როსტომიც დორინთელი აღმოჩნდა. ამან სულ გამომაცოცხლა. თითქო დაკარგული ძმა ვიპოვნეო. მამა ჩემი თურმე შორიდან სცნობია, ნახვით კი არასოდეს არ უნახავს. წამოვედით. კავკაზის მაგივრად ნოვოროსიისკუე წამომიყვანა. ჩამოვედით იმ უდაბნო ქალაქში. გემს ვუტდით და დავდივართ. ერთ დღეს სასტუმროს კარებში ჩემს დაკარგულ ძალუას შევეხებე. მდიდარი, მარტოხელა ძალუა მყავდა სტავროპოლში. „ძალო, აქ რა გინდა?“ — ვეკითხები. — „სტამბოლში მივდივარ და შენც უნდა წაგიყვანო“ — მეუბნება. იმასაც ვაეგო ჩემი დაობლება. დავსხედით და ვიტყვი. მერე აქედან ძალუა დამეკიდა, იქიდან როსტომი და თინა. გული აქეთ მომიწვედა, მაგრამ ანგარიშმა დამძლია. ვიფიქრე: რად მინდა ცარიელი სახლ-კარი დორინთაში? სულ ერთია, მე მისი მომვლელი არა ვარ და მარტომ მარტო სოფელშიც ვერ ვიცხოვრებ. მესამე დღეს ჩემს მხსნელ მეგობრებს გამოვეთხოვე და წავედი“.

— რამოდენა იბღაველე! — ჩაუროთო როსტომმა.

— „იბღაველე, რადგან თქვენ ჩემი დაჰ ძმა იყავით, ის კი... არც ჩემი კუთხისა იყო, არც ჩემი ხასიათისა. კონსტანტინოპოლში ჩავედით და პერას უბანში დავსახლდით. თითქმის მეორე დღიდანვე ძალუა ჩემთვის საქმროს ძებნას შეუდგა. აღარაფერს მეკითხებოდა. ხან ვილაც ბერძენს მოიყვანდა, ხან სომეხს მოათარედა, ზოგჯერ ფრანგს ან ინგლისელს გამაცნობდა, უფრო კი, რა თქმა უნდა, რუსებით იყო სავსე ჩვენი სახლი.“

მე ცივ უარზე ვიდექი: მგლოვიარედ ვარ და ერთ წელიწადზე აღრე არ გავთხოვდები-მეთქი. ერთი დამალული მიზეზიც მქონდა, მგონი პირველზე მეტად საპატიო: თუ გავყვებოდი ვინმეს, უფრო ჩვენებური კაცი მერჩინვა.“



— ჩვენებიც ბევრნი არიან სტამბოლში.— გაახსენა მზებას როსტომმა.

— ჰო, მაგრამ მე თვითონ არავის ვეძებდი, იმათ კი... ვერ მომაგნეს.

— „უგემურად მიდიოდა დრო, თინასთან და როსტომთან მიწერ-მოწერა მქონდა. წერილს რომ მივიღებდი, ის დღე აღდგომის უქმეს მერჩივნა. ოცჯერ მაინც წავიკითხავდი და საბნის-ოდენა პასუხს მოვწერდი. ერთხელ— არასოდეს არ დამაფიწყებდა ის დღე— ასეთი დეპეშა მომივიდა: „მამა შენი ცოცხალია, დორინთაში სცხოვრობს. თინა. როსტომ“. ძალუა შინ არ იყო. ჯერ ხუთჯერ მაინც შემოვირბინე მთელი ბინა, მერე გარეთ გამოვარდი და გავიქეცი. მგონი ვიციხოდი და ხელებსაც გიყვივით ვშლიდი. გამეღელეები თვალს მაყოლებდნენ. რამდენიმე დამედევნა კიდევ. სად მივბოდი— მე თვითონაც არ ვიციოდი. სადღაც ზღვის ნაპირზე ჩავედი. ვმღეროდი, დავბოდი და ზღვაში კენჭებს ვისროდი. მგონი ოსმალო მენავეებსაც გავუარაშოიდი ოდნავ. უცებ აზრი დამებადა: ხომ არ ხუმრობენ როსტომი „და თინა? და ჩემი თავი ისე დავაჯერე, რომ იქვე დავეკეტი და ბლავილი დავიწყე“.

— საკრამენტო! გიცნობთ, რა შევიღებიცა ხართ ქალები! შუა ქალაქში ბლავილი დაიწყეთ!

— „რაცა ვართ— ვართ. ჩვენ, ქალებს ქირიც გვატირებს და ლბინიც. ცრემლი ქალის თვალზე ბუნებრივია, როგორც დილის ცვარი ბალახზე. ჰო, იმას მოგახსენებდით: ტირილით რომ გავძებნი, ფოსტაში გავიქეცი და ასეთი დეპეშა გამოვგზავნე: „გამიმორეთ. მზება“. მერე შინ დავბრუნდი და სამზადისს შევეუდექი. ან რა მქონდა მოსამზადებელი? ერთ საათში ბარგი შევკარი, ზედ დავაჯექი და ერთხელ კიდევ ვიტირე— ეჭვისა და სიხარულის ცრემლით. ძალუამ შემომასწრო. არც იმან დაიჯერა. რა თქმა უნდა, იმ ღამეს არ მეძინა, და მეორე დღესაც თავში ჩაკრულ ინდაურივით დავბოროილებდი. საღამოზე დეპეშა მოვიდა: „ვიმეორებთ. გელით. თინა. როსტომ“. რაღა გავაგრძელო! მეოთხე დღეს სწორედ ამ ოთახში ჩამიხუტეს თინამ და აი ამან... საკრამენტომ“.

— რამდენი იბლავლე!— მოაგონა როსტომმა.

— ოლონდაც! მაგრამ წარმოიდგინეთ ამ კაცის სისულელე: თურმე მამისთვის არაფერი გაუგებინებია.

— საკრამენტო, მადლობის მავიერია? მინდოდა მამის სიხარულის გაძლიერება.

— „მეორე დღეს დორინთაში მივდივარ. თინა ავად არის, როსტომი კი სამსახურიდან არ გაანთავისუფლეს. სამაგიეროდ როსტომს ვიღაც გლეხი მოჰყავს:— „აი, დორინთელი კაცი, ლექსო. ჩემი ძველი მეგობარია, ეს წავიყვანსო“. ლექსომ მალე დაუმტკიცა მეგობრობა“.

— საკრამენტო, ვინ იციოდა, რომ...

— „მომითმინე, როსტომ. წინ ნუ გავარდები. მივდივართ. ვატყობ, რომ ჩემი ლექსო სხვანაირად იგრიბება, მეპრანქება და სტუდენტისვით მყარშიყვება. მე, რა თქმა უნდა, შორ მანძილზე დავაყენე. ღამე მიმიყვანა. სახლში რომ შე-



საქართველოს
საზოგადოებრივი

ვედი და იქაურობა დავინახე... მამისაც რომ შევხედე... გარწმუნებთ, მათხოვარა უკეთ სცხოვრობს, ვიდრე მამა ჩემი სცხოვრობდა. სახლში თითქო ყველაფერია, მაგრამ არც არაფერია. ირგვლივ—ტუქუკი, არეულობა, ნანგრევები, დომბალი“.

— ხე-ხე!—მოცოცხლებულ ცხენარივით ილიშება ალვა.—მამაკაცი ოჯახის მომვლელად არ არის გაჩენილი.

— რამდენი იბლავლეთ!—ისევ მოაგონა როსტომმა.

— „აგრეთა... ვიბლავლეთ... ის ღამე ბაასსა და მოგონებაში გავატარეთ. მეორე დღიდან მე ოჯახში დავტრიალდი, მამა ჩემი კი—ბოსტანში. ცოტახნის შემდეგ ლექსო ჩამოდის და გვეუბნება: უნდა მოგეშველოთ, მარტონი ცოდო ხართო. ძალიან გაგვიკვირდა. ამ კაცმა წაგვართვა სახლ-ქარი, ამან შეაგდო მამა ჩემი ამ საქათმეში, ამან გაგვანიჟა და აგვიკლო, ეხლა კი... უნდა გიშველოთო! მე მაშინვე ტუჩი მოვიკენიტე. რა თქმა უნდა, საწადელს მივუხვდი. გულში გამეცინა. მაგრამ გამახსენდა დროება, ლექსოს ძალა და... არაფერი არ ვუთხარი. მამას კი გაუხარდა კიდევაც,—მტერი შემირიდგაო. ამოგვიდგა გვერდით ჩემი ლექსო. თვალს არ მაშორებს, თანაც სამი კაცის საქმეს აკეთებს. ჭურჭელი გაჭება, ოთახი გაპრეცხა, ეზო მოსთოხნა და ნახევარი ბოსტანი მოჰმარგლა. სადილი და ვახშამი თავის სახლიდან ჩამოატანინა. ჩუმ-ჩუმად ვადევნებ თვალს. არ ვიცი, უფრო მე მჭამდა თუ სადილს, უფრო მე მსვამდა თუ ღვინოს. მეორე დღეს ისევ მოვიდა და დარჩენილი საქმე დაასრულა. მე უგუნებოდ გავხდი, მაგრამ თავი დავიმშვიდე—ვერაფერს გამიბედავს მეთქი. ვხედავ კი, ამ კაცს თითქო ნელკოფა უქამიაო: მოღუშული, ამღვრეული, რალაც აზრითა და ვნებით გატენილი. მესამე დღეს ურმით ჩამოვიდა—ღობე უნდა გავიკეთოთო, და უნცროსი ძმაც—პაულეც ჩამოიყვანა. პაულეს ძეძვი მოაქვს, ლექსო კი ნახევარ საათს იმ ძეძვს ალაგებს და ორ საათს მეორე ურემს უცდის. არა, უცდის კი არა, მე დამტრიალებს და სამკედლოს საბერველივით ჰქშინავს.

სალამოზე ოთახიდან ვხედავ; ლექსო და მამა ჩემი ბოსტანში სდგანან და ფიცხად ლაპარაკობენ. მამა თითქო გაოცებულია, ლექსო კი გამწარებულნი. თმის ცხვირთან უქნევს მამას და თითქო ემუქრება. მერე გატრიალდა და წავიდა, თითქმის გაიქცა. ერთი სიტყვა არ გამივია, მაგრამ უმაღვე მივხვდი“.

— საკრამენტო, რა არის ქალის გული!

— „რა უნდოდა ლექსოს?—ვეკითხები მამას.—არაფერიო.—ცხადად კი ეტყობა დაბნეულობა და აშლილობა.—მაინც, რას გედავებოდა?—არაფერსა.—მაშ მე გეტყვი: მამილო. ლექსომ გთხოვა ჩემი... ხომ მივხვდი?—მიხვდიო“.

— ძალიან კი დამისაბუთა ლექსომ.—ჩაურთო ღიმილით ალვამ.—გვარი-შეილობა გადავარდა, მაშ ჩვენ თანასწორები ვყოფილვართო. თქვენ განათლება გაქვთ, სამაგიეროდ ლატაკები ხართო, მე კი განათლება არა მაქვს, მაგრამ თქვენზე მდიდარი ვარო, მაშ აქაც თანასწორები ვართო, ამიტომ შენი ქალი უნდა მომათხოვო“.

— ლექსო დღეს უნდა ჩამოსულიყო.—ამბობს როსტომი,—ასე იწერება



თინა. დაიგვიანა,—და იმავე წუთს წამოიძახა:—საკრამენტო! ლექსო ახსენე და უანწი დაამზადეო. გამარჯვება ლექსო!

— გაუმარჯოს კამპანიასა!—ივნიდან გვესალმება დატვირთული გლეხი. მერე ზურგიდან ზურჯინებს იხსნის და ოთახში შემოდის. მოსრული ბიჭია, არაბივით შავი, ქოჩორა და პირგაშლილი.

— საკრამენტო, ჩვენ უკვე შეკეთილები ვართ, შენ კი ეხლა მოდიხარ. აბა, უნდა დაგვეწიო.

ლექსო გვეწევა. ჯიხვას სკლის, პირს მაჯით იწმინდავს და ჯდება:

— მოკითხვა გველას თინასგან. ორშაბათს ჩამოვალო. ჩამოვიტანეთ რალაღ-რალაყეები. ჩვენებმაც მოგიკითხეს.

სანამ ახალმოსული სკამს და სეამს, ბაასი წერილმანების გარშემო სტრი-ალებს.

— საკრამენტო!—წამოიძახა როსტომმა, როცა ლექსოც ღვინით შეახურა. —ღღეს მზებას დაბრუნების წლისთავია. ამ ჩემს მეგობარს ყველამ ვუამბეთ ჩვენი ამბავი. ეხლა შენი ჯერია, ლექსო. დაიწყე რქიდან, ალვამ რომ უარი გითხრა მზებას მოთხოვებაზე.

ლექსო მორცხობს, უარზეა. ქვეშ-ქვეშ ვასცქერის მოლიმარე მზებას და თვითონაც იღიმება.

— ნუ შერიდები, ლექსო, გვიამბე. —ნებას აძლევს მზებათუნ. —როსტომის მეგობარს დაეპირდით, ჩვენი ამბავი უნდა გაეაგებინოთ. —და სიჩუმის შემდეგ წამოდგა. —როგორც ვატყობ, ჩემი გოცხვენთან, მას უჩემოდ უამბე. მე წერილი უნდა მიეწერო თინას. —და ოთახიდან გავიდა.

ლექსო კიდევ კარგა ხანს ურჩობს, მერე უცბად ისე იწყებს, თითქო ცივ წყალში გადავარდნა გააპებდაო.

IV

ამბავი ლექსოსი

— პირველად რო დავინახე აი ამ ოთახში ე ჩემი ცოდვით სავსეი, მაშინვე გულში ჩამივარდა. თითქო ელეთ-მელეთი დამემართა, თითქო ე გულში ცხელი შამფური დამატაკესო. მივდივართ. გული კი გიზგიზებს და ტიკივით იბერება. გზაში მე ჩემებურად ვუამბობ. სათქმელი კი ბევრი არაფერი მქონდა. ზღაპარი, ჩიტები, ხარ-კამეჩი, ტყე და ჩვენებური ქორწილი ან ქელები—მეტი რა მქონდა საამბოში! ისეც ლაპარაკობს, მაგრამ ისეთებს ლაპარაკობს, რო ხან შოშიასავით ვალეზ პირსა და ხან გიყივით მეციანება. უნდა გენახათ ამის ქართული!

ვიარეთ. ავიყვანე და მამას ჩავაბარე. მე წავედი და დავიძინე. რის დავიძინე! ისე ვტრიალებ, როგორც მწვეალი. მომედო, მაგრამ როგორ მომედო! „შე ოხერო მამა ჩემო, —ფეიქრობ, —რატო ჩემთვის არ გაიმეტე ცოტაოდენი, რო მეც მესწავლა და მეც სხვისი ტოლი გამოვსულიყავი! ნაწავლი რო ვყოფილიყავი, ე ქალი არ დამიწუნებდა, ეხლა კი“...

— ხა-ხა-ხა!... ხო-ხო-ხო!



ქართული

ენციკლოპედია

— „ნუ იცინით, თორე გავჩუმდები. აი, ჰკითხეთ მზეხასა. თითონვე მითხრა—არ დაგიწუნებდიო. სამი დღე ვიარე ამითანა, მუშაობაში მივეშველე. მერე ამ კაცს მოველაპარაკე. იმედი არა მქონდა, მაგრამ უარი რომ მტკიცა, ავინთე და გულში გადავწვიტე: მაშ ე უღვაშები შამკრიკეთ და შავ ლექსოს ნულარ დაშიძახებთ, თუ მე ჩემი არ გავიტანო შეთქი. რალა თავი მოგაწყინოთ: სამიოდე ჩემი კეჟის ბიკი დავიბარე და წავედი. დამე იყო. სოფელს ეძინა. „აღვა,—დაუძახე,— გარეთ გამოდი, შენთან სექმე მაქვს!“ კარები რომ გააღო, ოთხივენი შევედით „აღვა, მაძლევ თუ არა ქალს?—ვეკითხები.—არა, არ გაძლევო. მაშ მე ქალს წავეყვან და, თუ კაცი ხარ, ნუ დამანებებ მეთქი—რა ძალა მაქვს, რო არ დაგანებო, იარალი არა მაქ და არაფერიო“. მამა-შვილმა ერთმანეთს გადაძხედეს და ჩაუფრანგულეს.—აბა, ქალო, წამომყე მეთქი.— შეუტრე.—წამოგყვები,—მეუბნება—რატომ არ წამოგყვები, შიშით კი ნუ მაშინებ, მე შენი არ მეშინიანო“. მაშინვე ელდა მეცა. ე რალაც სხვა კბილის ქალი უნდა იყოს მეთქი—“გავიფიქრე. ე ქალი ისე იქცევა, თითქო დღეობისთვის ემზადებო. რალაცები ჩაალაგა, ნემს-მაკრატელიც კი არ დააევიყდა, დინჯად მოიპრანჭა და ბოხია გამომიწოდა. მერე მამას ჩაუფრანგულა, გამოეთხოვა და მიბრძანა—ისე მიბრძანა, თითქო მე ამისი ყმა ვიყავიო: „გამიმეხიო!“ გავუძები. ცხენს ისე მოახტა, გვეგონებოდა ზედ არის გახრდილიო წინ არავინ გაგვიშვა—უკან მოწყვევითო. ველაპარაკები. ისეთ პასუხს მაძლევს, თითქო ყინულს მაყრისო. მივედით. სანამ უზანგი არ დაეღვირე, არ ჩამოვიდა. ოთახი წინდაწინვე მოვამზადებინე იმ ოთახში შევიყვანე. მომიბრუნდა და მეუბნება, გადი გარეთაო. „გზალ და ისეც ზემოვალ“—გავიფიქრე და გავედი. უცებ კარები მომიკეტა და მომაძახა: „მეძინება, ნუ ხმაურობთო“. დაედივარ და ვფიქრობ. ან რა მქონდა საფიქრებელი! დაუძახე: „კარები გამიღე მეთქი“. „არ გაგიღებო, როგორ მიბედავ, რო შუა ღამისას მაწუხებო“. ოხერი კარები ისეთი სქელი მუხისაა, რო ყვეარი კამეჩიც ვერ შეამტკრეეს. ჯერ ვკმუქრობდი, მერე შევეხვეწე. არ იქნა, არ გააღო. „ხელაც ამ კვირისაა მეთქი“—მივაძახე და მოვშორდი. ან რა უნდა მექნა! დაედივარ და დაქრილ დათევით ვბურტყუნებ. დანა რო დამკრან, სისხლი არ გამომივცა.

მეორე დღით შევედივარ. დედოფალივით მორთულა და პროკტოროვიით მიბლევრის. ვაი დედასა!—გავიფიქრე.—შენ უნდა შენი გაიტანო? შავი ლექსო უნდა მოდრიკო? შენი თავი არ მომიკედეს, მე შენ არ დავითმო-შეთქი. „წამო, ცოლ-კმრობის ქალალდი ვაეკეთებინოო.“—ვეუბნები. ერთი ისეთი გადიკისკისა, რო ი სიცილი თავში ჩაქუჩივით მომზედა. მომივიდა ბრაზი და წავეტანე. უცბად მკერდზე ხანჯალი რამ მომაბჯინა—ვიწრო და გრძელი, სტილეტი თუ დოზანა. მომაბჯინა და მომაძახა: „ხელი არ მახლო, თორემ ან შენ გაგათავებ, ან მე მოვიკლავ თავსაო“. თვალეში შევხედე და... უკან დავიწიე. მივხედი, რომ ეს ქალი ადვილად შეასრულებდა მუქარას. „დაჯექი!“ მიბრძანა, და მეც ბავშვივით ჩამოვჯექი. თავთ დამადგა და დაიწყო. მაოცხვენს, მაგრამ როგორ მარცხვენს! ქართული რო აკლდება, რუსულსაც იშველიებს. თანდათან მოღბა, კილო შაიცვალა. მომიღერსა კიდევაც. თმაზე ხელს მისევას და ისეთ ტკბილ სიტ-

ყვებს მეუბნება, თითქო შაქარით დნებაო. თვითონაც დადნა და მეც დამადნო. იტირა და ამბიტირა. მეუბნება: „რა გიშავს, თვალი არ გაკლია და ტანი, ქონება და ვაჟაკობა. მაგრამ თუ ძალა იხმარე, გველივით შაგიზიზღებ და ჩემი გული სამუდამოდ გატყდებო. რა ოხრად გინდა მარტო ჩემი ტანი, თუ სიყვარულიც თან არ მოჰყვავ, თუ ეს გულიც არ გამოვაცოლო. დამაცადე გაგიცნო, შაგეჩვიო და... ერთი სიტყვით, სანამ შენს თავს არ შამაყვარებ, არ გამეყარო“. გაშეშებული ვზივარ და ყურს ვუგდებ. გონებაში ჩამავდო. „შე ოხერო ჩემო თავო,—ფიქრობ მეცა,—რად იცი აგეთი აპილბილება! რამდენჯერ ინანე, მაგრამ ე სიფიცხეს მაინც არ იშლი. ან რა ოხრად გინდა ნაძალევი ქალი! ოქრო ხო არ არი, რო წაართო და გამოიყენო. ამ ქალს უნდა შეაბერდე. ერთი თუ შაგიჯარა და გული გულს არ მოახვედრა, გათავდა შენი საქმე. სიცოცხლე ჩაგიშხაშხალებდა. ბერს ინანებ მერე, მაგრამ ველარაფერს უშველი“. რაღა სიტყვა გაგიგრძელოთ, დამაჯერა. „ქარგი მეთქი,—ვუთხარი,—მოვიციდი. იქნება თავი მოგაწონო. მაგრამ პირობას დაგიდებ: სახლიდან არსად გახვიდე და... სხვებსაც ისე მოაჩვენე თავი, როგორც ნამდვილ კოლქმარს შეჰშენის მეთქი“.

იმ დღიდან დაიწყო ჩემი გატუტუტება. ნუ იცინით. ვინც ჩემ დღეში არ ყოფილა, ის ჩემსას ვერც გაიგებს. ეთქვი: „ეს ქალი ძალიან ჰკუიანი მოსჩანს და, მოდი, მეც ვიჰკვიანებ მეთქი“. ჰკუას გაეყვი და... ჰკუამ კი ვადამძლია. ბაღლი რო ვიყავი, ზოგჯერ დედა მეტყუოდა ხოლმე: შვილო დღეს თავი მომამწონე და საღამოზე ერთ ჩურჩხელას მოგცემო. მეც ი დღეს თითის წვერებზე დავდიოდი და დედას თვალებში შავეკტეროდი, ნეტა როგორ ვასიამოვნო მეთქი. ეხლაც ასე მამივიდა. იმ დღიდან ამოდენა კაცმა ეფბის თითებზე დავიწყე სიარული. მთელი დღე ქალივით ვიპრანკები, ვკობტაობ და გაბღენძილ ინდოურივით ვუელი მუხებას გარშამო. სულ იმის ცდაში ვარ, რო ქალაქელის იერი დავიძო. თუთუნის მაგიერ პაპიროსს ვყიდულობ და რო ვეწევი, ნეტა თითს განზე ვფშეკავ. დღე არ გაეა, რო დალაქი არ დავიბარო. წიგნებიც დავიბარე ქალაქიდან და ვკითხულობ, ნამდვილად კი ყირამალა მიჭირავს. ქამაშიც მუხებას შავეკტერი და, მგონი, ლობიოსაც კი დანა-ჩანგლით ვქამ. ეჰ, ისე ვამბობ, თორემ ქამის მადა სადღაა! ლამეს თეთრად ვათენებ. საქმე უკან უკან მიდის. გავიდა ერთი კვირა, ორი კვირა. მე კი თოვლივით ედნები და ვილევი. მუხება კარგ პირს მაჩვენებს, მიცინის, მაგრამ ისე მეტყევა, როგორც ავ ძალს: რო უყვავებენ და ერთ ლუქმას გადაუგდებენ—რა არის, არ მიკბინოსო. ისრე როგორ დამიმორჩილა, ღმერთმანი არ ვიცი. ფინია ძალღივით სუ თვალებში შავეკტეროდი და ვნატრულობდი, ნეტა კიდევ რამ გიბრძანოს, რო შავუსრულო და გული მოვუგო მეთქი. რაც კი მოისუოვა, ყველაფერი შავუსრულე. ოღონდ სოფელში არ ვუშვებდი და მამასთან არ მიმყავდა.

მართლა, დამავიწყდა მეთქვა: მუხება რო მოვიტაცე, ამ კაცს—ალვას დავემუქრე: თუ ხელი გაგინძრევი, ან გიჩივლია, ან სადმე ხმა ამოვილია, ჯერ შენს ქალს მოვკლავ და მერე შენა მეთქი. ისე ვუთხარი, რო დამიჯერა და გაჩუმდა. მუხება კი ნელ-ნელა მაპარებდა—ერთი საათით მამასთან წამიყვანეო. რა ვიცო-



საქართველოს
საზოგადოებრივი

დი, რა ხაფანგს მიგებდა! საქმე ისე მქონდა მომართული, რომ აღრევე შამატ-
ყობინებდნენ, თუ ვინცობაა მილიცია ან სხვა ვინმე წამოსულიყო ქალის წა-
სართმევად. ცხენები მუდამ მზად მყავდა, შავსვამდი და ისეთ უღრანში გავი-
ტაცებდი, რომ ეშმაკსაც ვერ მოეგნო. ბოლოს, ძალიან რომ დავიტანჯე, მოვტყდი.
ვუთხარი, ადრე ეხლავე წავიყვან მეთქი. არაო, ზეგ დილით წამიყვანეო. რაღა
ზეგ დილით? რატო მაშინვე არ წამომყევა? ამას მაშინ ყური არ ვათხოვე. მე-
სამე დღეს დილით ადრე ცხენზე შავსვი და წამოვიყვანე“.

IV.

ამბავი როსტომ რაბინისა

— საქრამენტო, ახლა ჩემი ჯერია!—წამოიძახა როსტომმა.—მე რომ თქვე-
ნისთანა ლაპარაკი მკოდნოდა, მწერალი გამოვიდოდი. მაგრამ—სულ ერთია—
როგორც ვიცი, ისე ვიამბობთ. იმას მოვახსენებდი, რომა...

— ჯერ არაფერი მოგიხსენებია.—უჩხელიტა აღვამ.

— ნუ მაწყვეტინებ, აღვის ბოძო, თორემ გავჩუმდები. იმას მოვახსენებდი,
რომ ძალიან მოკლეთ უნდა ვიამბოთ. მზეხა რომ გავისტუმრეთ, მეთე დღეს
ერთი დოზინთელი ბიჭი ჩამოდის და მზეხასგან წერილი ჩამოაქვს. ვკითხუ-
ლობ. იწერება, რაც ლექსომ გვიამბო, და მთხოვს: მამა ჩემი ვერაფერს გაარი-
გებს, შაიძლება საქმე უარესადაც გააფუქოს. მარტო შენ შაიძლიან ჩემი შეე-
ლა. მხეცი, ესე იგი აი ეს ვაეკაცი, ჯერ-ჯერობით დაბმული მყავსო, და თუ
ამა-ღა-ამ დღეს ჩემათ არ ამოხვედი აღვასთან, შაიძლება მერე თავი აიგლი-
ჯოსო. ძმა ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო,—ვთქვი და წავედი. მე და ლექსო
შაზრდილები ვართ, მაგრამ იმ დღეს რომ შამხვედროდა სადმე,—საქრამენტო!—
ერთ-ერთი უეჭველად მოკვდებოდა. მთვარიანი ღამე იყო. გზას გადავვხვიე და
ვენახის ბოლოში გავედი, სადაც ის ქოხი მეგულვებოდა. ის ბიჭიც თან მომ-
დევს, წერილი რომ ჩამოშითანა. მე და აღვა ერთმანეთს არ ვიცნობთ. ის კი
ვიცი, რომ თავის სახლიდან ამ ქოხში გადმოასახლეს. მივედი, მაგრამ ის აღა-
ვი ველარ ვიცანი. საქრამენტო! სად არის ლობე! სად არის ნამარნევი! ტიალ
აღაგაზე ფიცრული-ლა მოსჩანს. ცხენის დასაბმელიც ვერ ვიპოვნე.

— ბატონო,—მეუბნება ბიჭა,—ფრთხილად იყავით, აღვა გაგიყებუ-
ლია, არაფერი დაგმართოს.

— რას მიქარავ, ბიჭო! როდის ვაგიყდა, როგორ ვაგიყდე?

— ქალი რო მოსტაცეს, იმ ღამეს ვაგიყდაო.

საქრამენტო, საქმე ცუდათ ყოფილა!—ვთქვი და ფიცრულისკენ წავედი.
უცებ კარები გაიღო და ჩემი აღვა ნამდვილ გიყივით გამოვარდა. ისეთი ღა-
შეა, რომ წიგნს ადვილად წაიკითხავდა კაცი. ბიჭი დაფრთხა, ცხენს ხელი
გაუშვა და გაიქცა. ცხენი ბიჭზე უარესად დაფრთხა და იმანაც მოჭკურცხლა.
გეფიცვებით თინას თავს, რომ გერმანელების ყუმბარებსა და ხიშტებს ისე არ
შეუშინებდნენ, როგორც აღვის ბოძმა შემაშინა. მორბის აღვის ხის სიმაღლე
ჩონჩხი, თეთრ ზეწარში ვახვეული, მორბის და ხაფანგში გაბმულ მაიმუნვით
სჩხავის. საქრამენტო, მეც აღამიანი ვარ! ისე მოვფხოქე რომ, კინაღამ ჩემს



ცხენსაც გაეფუსწარი. მერე ძლივს შევჩერე ჩემი ფეხები და მოვბრუნდი. თეთრი ზოძი მოედანზე ტრიალებს და ისე აბრაახუნებს, თითქო ორ ფიცარს ერთმანეთს ურტყამენო. თურმე ტაშს უკრავდა.

— ბატონო ალვა, მე ვარ, მე, როსტომ რეტიანი.—დაეუძახე შორიდან. თურმე გავახსენდი. მზეხას ბევრი ეამბნა ჩემზე.

— ბოდიში, ბატონო როსტომ, ბოდიში!—მიყვირის ალვა.—მობრძანდით, მობრძანდით! ნუ გეშინიანთ, მართლა გიყი ნუ გგონივართ.

გავტრიალდი და მივდივარ, თანაც ფეხები უკან მრჩება. საკრამენტო, მეც ვიცი გიყების ამბავი! მართლა გიყი იმეორებს დღე და ღამე, გიყი არა ვარო. მივდივარ და ჯოხს ან ქვას ვეძებ, რომ ეს აყლაყულა მოვიგერიო, მაგრამ იქაურობა ისე იყო მოტვლეპილი, როგორც ალვას თავი, აი ეხლაც რომ თეფშოვით კრიალებს. ხო-ხო-ხო! შორიახლოს გავჩერდი და ასეთი ბაასი ვავაბით.

— გამარჯვება, ბატონო ალვა.

— გაგიმარჯოს, ბატონო როსტომ. მობრძანდით. ბოდიშს ვიხდი ასეთი ტანისამოსისათვის.

— ნამდვილი გიყია.—გავიფიქრე.—რის ტანისამოსი, რომელი ტანისამოსი! ამ თითოვით ტიტველ ტანზე ზეწარი წამოუხურავს და ტანისამოსზე მელაპარაკება.

— მობრძანდით, პატივცემულო როსტომ,—ისევ მპატიეობს თეთრი ზოძი.—მართლა გიყი ნუ გგონივართ, თორემ სეწყინება.

— არა, ბატონო, რა საკადრისია!—ვეუბნები და ნელ-ნელა მივიწევ.—წელან ძალიან მაღალი მომეჩვენეთ, ეხლა კი...

— ხა-ხა-ხა!—ისე გაიცინა ალვის ზოძმა, თითქოს ტომარაში ქოთნის ნამტერევეები ჩაჰყარესო.—აი, მიყურეთ, ეხლაც ავმალდდი.

ორივე ხელი მარგილებოვით აფშოკა და ზეწარიც აიტანა. მეც გავიცინე და თამამად მივედი. გადამეხვია და მადლობით კინალამ დამახარო. წელან რომ ჩემი თინასავით ასლუკუნდა და სთქვა,—მაპატიეთ, ეს მეორედ შემართებო, მოგვატყუა, მეორე კი არა, მესამე იყო, მესამე.“

— „მართალია, ყმაწვილებო.—გააწყვეტინა დამნაშავეს ღიმილით ალვამ.—შევედი. წელანდელი მართლა მესამე იყო. ეხლა ნება მიბოძეთ ჩემი გაგიყების ამბავიც მოგახსენოთ. როსტომმა მერე დაასრულოს. ყმაწვილებო! დამიჯერეთ, ვადამტერებულ სოფელში ცხოვრებას სამხეცეში ყოფნა სჯობიან. წელანაც მოგახსენეთ: სოფლის ერთი ნაწილი ამეშალა მეთქი. უმამულო გლეხს რომ ჰკითხო, ერთ ნაჭერ ოქ-ოს იმ ნაჭრისოდენა მიწა ურჩევნიან. თუ სოფლის მეორე ნაბევალი, თუნდაც შენი მოკეთე, განზეა ვამდგარი, ასეთ სოფელში ცხოვრებას ლომის ვალიაში ყოფნა სჯობიან მეთქი. მეც ასეთ სოფელში ჩავვარდი, თუმცა ისიც სათქმელია, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში სხვანაირი სოფელი არც მოიპოვება.

წელანაც მოგახსენეთ, ქურდებიც ისე შემეჩვივნენ, როგორც უბედურება მეთქი. ვითმენდი. ან მეტი რა გზა მქონდა! მზეხა რომ ვიპოვნე, ქურდებიც დამაფიწყდა, სიმშლიც და ყოველი უსიამოვნებაც, რაც კი ოდესმე განმიცდია.



ქართული

ენციკლოპედია

არასოდეს, გარწმუნებთ ყმაწვილებო, არასოდეს არ განმიცდია ისეთი ღებნა—
აუწერელი ამოება, როგორც იმ დღეს, როცა დაკარგული შეილი საფლავიდან
დამიბრუნდა. დამიჯერეთ, ყმაწვილებო, თურმე ამ ქვეყნად ნამდვილად არსე-
ბობს მშვიერი ბედნიერება, ნამვილად!

იმ ღამიდან ორნი გავხდით იმ დანგრეულ ქოხში. მესამე წვერად ბედნი-
ერება ჩავვისახლდა. მაგრამ ჩვენმა ღებნამ მხოლოდ სამი დღე გასტანა. ავმა
ბედმა ჩონჩხის ხელი ჩამოაჭყო იმ ქოხში და შავი კირი დასტოვა. ლექსო, ნუ
ჩაპლუნე გრუზა თავი. რაც იყო, იყო. სიტყვამ მოიტანა და გავიხსენე, თორემ
ჩემს გულში შხამის წვეთიც აღარ დარჩა. ჩვენ შევრიგდით და წარსული სა-
მუდამოდ დავივიწყეთ. მაშ ნუ გრცხვენიან, ასწიე თავი. შენ ჩამისახლე ის
კირი და შენვე განდევნე, მაშ რაღა გაქვს სადაო და სასიარტხვილო? გასწორდი
და პირდაპირ შემომხედე. აგრე! ყმაწვილებო, ბედის მუდმივი ბლევრა გერჩივ-
ნოთ იმის წუთიერ გაღიმებას. ეს მე ჩემს თავზე გამოვცადე. ვეგდე ჩემთვის
პირქვე რამდენიმე წელიწადი შავ მიწაზე. უტბად ბედმა დამტაცა ხელი და სამი
დღით სამოთხეში ამიტაცა, მერე ისევ დამავლო ხელი და ჯოჯოხეთის ქვეს-
კნელში ჩამავლო. დამიჯერეთ, მიწის შავი ზედაპირი სჯობდა ჯოჯოხეთის
ადუღებულ კუბრს. იმ დღიდან, მზებან რომ წამართვეს, დანარჩენიც წამერთვა—
ძილიც, პურიც, სინათლეც, ეს ქვეყანაც. იმ დღიდან ლოგინიდან ველარ ავდექი.
ვეგდე გარინდული, ლეშად ქცეული და სიკვდილს-ღა ვნატრულობდი. ქურდები
არც ადრე მერიდებოდნენ, ეხლა კი თითქო სულაც აღარ მხედავდნენ. ჯერ
ბოსტანს შემოესივნენ. ყველაფერს ჰკრეფავენ და მიაქვთ. თივაც კი წაიღეს. მე
კარებთან ვგდივარ და ვუსურებ. ისინიც მიცქერიან და მიღიმიან, თან დამცი-
ნიან, მასხარადაც მიგდებენ.

ბოსტანის მოკრეფამ რომ ჩაუარათ, ალბად იფიქრეს—ალვა კვდებაო, და
უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონნენ. მეორე დღეს რამდენიმე ურემი
ჩამოიტანეს, ძველი მარანი დაანგრის, ჭვა წაიღეს და რამდენიმე დღეში იჭაუ-
რობა გაასწორეს. შემდეგ, რომ უფრო გათამამდნენ, ლობეც აშალეს და წაიღეს.
მაღა ქამაში მოდისო, ამბობენ ფრანგები. და იმ ავაზაკების მაღა ჩემს ქოხშიც
შემოვიდა. გარეთ რომ წასაღები აღარაფერი დარჩათ, სახლში შემოძვრნენ და
იჭაურობა მოათვალიერეს.

— ალვა, ეს სკამები მათხოვე.—მეუბნება ერთი.

ვიცი, რომ იმ სკამებს ისე ველარ ვნახავ, როგორც პაპა ჩემს, მაგრამ
შინც ვეუბნები—წაიღე მეთქი. ექვსი სკამი მქონდა. სამი ერთმა გაიტანა,
სამი მეორემ.

— ალვა,—მთხოვს მესამე,—ეს ტახტი მათხოვე.

— მე სად-ღა დავიძინო?—ვეკითხები.

— საცა ვინდა.—იცინის და ტახტს მიათრევს.

სხვები აღარ მეკითხებიან. გააქვთ, რაც ხელთ მოჰხვდებათ, და იცინიან
კიდევაც. გაიტანეს მაგიდა, კიღობანი, კარადა, ტანისამოსი, ხეირიანი ქურ-
კელი. ერთმა კარადიდან გამოლაგებული წიგნები წინ დამიწყო და მითხრა:

— ეს შენა, წაიკითხე და გვიამბე, რაც შიგ სწერია. ეს კი მენა.—ღა

მზებას სკივრს დაავლო ხელი. ეხლა კი მესმის, ყმაწვილებო, როგორ შეიშლება ხოლმე ადამიანი ჭკუიდან. სისხლმა თავში ამკრა და ბუმბულივით ამიტაცა. მახსოვს, ერთი ისეთი დავიბღავე, რომ ჩემი ბლაველისა მევე შემეშინდა. იმ პარამზადას ერთ წუთში მოვუვრიხე კისერი.

— გაგიყდა!—დაიძახა ერთმა და ყირამალა გადავიარდა. მეც მართლა გავვიყდი ან გავცოფდი. მეორეს შევეუტიე. გამისხლტა და კინალამ კარები გაანგრია.

— პარიქა, გაგიყდა! გაგიყდა!—გაჰკიოდნენ ჩემი სტუმრები და მგელდარეულ მოზერებივით მირბოდნენ. ურმებს მოახტნენ და ისე გაჰკურცხლეს, თითქო ხარების მაგივრად ბედაურები ებათო. მე უქნიდან მივდევდი და რალაც უქნაურს მივკიოდი. ყმაწვილებო! ჩემს დღეში ჩავარდნილმა კაცმა, თუ სხვებმა არ გააგიყეს, თვითონ უნდა მოიგიჟიანოს თავი. ეს აზრი ჭკუაში დამიჯდა. გლებებმა თვითონვე გამიადვილეს საქმე. იმ დღიდან გიყად ჩამთვალეს და თავი დამანებეს. მაინც ხან-და-ხან ვინმე ბაქია თავზე ხელს აიღებდა და მომავწებოდა. კიდეც დარჩა წასაღები ჩემს ქობში—თიხის ჭურჭელი, ჭურჭი, საცვლი, ნაჯახი, ბარი და ერთი მუქა წვრილმანი. რაკი გიყის სახელი მქონდა გაეარდნილი, მეც ვიყვივით ვუხვდებოდი: ამოდენა კაცი ბავშვივით ავტლინკდებოდი, ავკივდებოდი და კარზე მომდგარ ჭურდს ასეთი ხრიკით მოვიგერიებდი. როსტომიც ჭურდი მეგონა. უმაღ წამოვიხურე ჩემი საფრთხობელა—გრძელი ზეწარი—და გარეთ გავარდი#.

— საკრამენტო, ისევ ჩემი ჯგერია! ალვამ ტირილით რომ მოიჯერა გული, სახლში შემბატრია. რის სახლი, რომელი სახლი! კედლებში ათვან მაინც შემოდვრებოდა ყვავი, ძაღლი, მაჩვი, თუნდაც ტურა. არც ტახტი დასაწოლად, არც სკამი დასაჯდომად, არც სანთელი ახალი მეგობრის დასანახავად. მიწა თვალეში შევხედო და საბოლოოდ დაფრწმუნდე—გიყია ეს კაცი თუ მოვიყიანებული. თუმცა, მართალი უნდა ვითბრაოთ, ვის ეცალა იმ დამეს ძილისთვის! ვსხედვართ და ვლაპარაკობთ. უფრო სწორედ რომ ვთქვათ, მე ყურს ვუგდებ, ალვა კი ლაპარაკობს. ყურს ვუგდებ და ვფიქრობ: ეს კაცი ან ძალიან ჭკუიანი უნდა იყოს, ან გიყი მეთქი. ამბავს ამბავზე მიაშობს—ერთმანეთზე რთულს, უქნაურსა და დაუჯერებელს. ამოდენა ამბავის დახსოვება და გამოგონება—დიხხ, დიხხ, გამოგონებაც იცის—ან გიყს შეუძლიან, ან კიდეც—მწერალს.

გათენდა. მე ოთახიდან არ გამოვდივარ. მეშინიან, ლექსომ შორიდან არ დამინახოს და ჩვენი მზება უკანვე არ გააბრუნოს. დამით ექვი მქონდა—ჭკუიანია თუ გიყი ძია ალვა მეთქი? დილას ექვი გამეფანტა. გიყია, რა თქმა უნდა, გიყია მეთქი! ზხას ვასცქერის, სცქმუტავს, ხელეებს ფრთებივით იქნევს და ვილაცას ელაპარაკება. ბოლოს, ვენახებში ოთხი ცხენოსანი გამოჩნდა. ჩემი ალვა მოსხლტა და გაიქცა. მირბის, მაგრამ როგორ მირბის! ყირაფი თუ გაიქცევა აგრე. ლექსოს ორი ბიჭი მოსდევს. სამივენი იარაღში არიან. ჭკუით მოიქეცი მაშინ, ლექსო, მაგრამ არც მე ვიყავი სულელი. საკრამენტო! ისეთი დარჩეული ექვსი ბიჭი გიცილიდა ვენახში, რომ თითო შენისთანას ერთს მაინც შეჰკრავდა. რაო,

რა სთქვი? შეიძლება ერთი ვერ მოგვრეოდა, მაგრამ სამ კაცს მაინც გაბაწრულებს წაგიყვანდით. ოღონდ არც შენი შერცხვენა მინდოდა, არც ალიაქოთი. ისიც ვიცოდი მზეხას წერილიდან, რომ ბოჩოლასავით ჰყავდი მორბილებული. შენ რას იტყვი, მზეხათუნ, ხომ მართალია? აგრე, საკრამენტო!

მოვიდნენ. ცხენებიდან ჩამოხტნენ. ქუჭრუტანიდან გავეტყერი. ალვამ მზეხა ცხენიდან გადმოიღო და... მიწაზე ველარ დაუშვა. მეგობრებო! ეს კაცი—ალვის ბოძი სისტემატიურად გვატყუებს. ჯერა სთქვა, ჩემ სიცოცხლეში მხოლოდ ორჯერ ვიტყვი. ტყუილი ვამხილე და მესამეც მოვაგონე. გამოტყდა. ეხლა მეოთხეც უნდა გავახსენო. მართალს ვამბობ თუ არა? აგრე, საკრამენტო! ეუყურებ და ეხედავ, ეხედავ და მესპის: ალვა ხარივით ბლავის, მზეხა თავივით წრიპინებს. რაო? გადაეპარბე? მაშ სხვანაირად მოგახსენებთ: ალვა დათვივით ჰბლვის, მზეხათუნი კი კატასავით სჩხავის. საკრამენტო, არც ეს არის მართალი?! აგრე! სამივენი შემოვიდნენ. ორი ბიჭი გარეთ დარჩა. ლექსოც რომ შემოვიდა, კარები მივუქექტე და ასეთი ტკბილი ბაასი ვაფუბი:

- ლექსო, შე ჰარამზადაე!
- ჰარამზადაცა ხარ და ოხერიც!
- როგორ ვაპბედე ჩემი ნათესავის მოტაცება!
- ბიჭი ვარ და ვაებედე!

შემიტია და შევუტყე. სიფიცხით კინალამ საქმე გადაფუქე. ჩემი ენა ძლიეს-ძლიობით დავაბი, მაგრამ ეს ოხერი ველარ გავაჩუქე.

— მითამ რაო!—გაჰკიოდა,—რათ მიწუნებთ? არც ვაქაკობაში დაგივარდებით, არც მუშაობაში, არც ქონებაში. განათლება რო არა მაქ, ამითი ვარ თქვენზე ნაკლები?

ძლიეს-ძლიეობით დავამშვიდე. კინალამ ვაგიედა იმის გამო, რომ ჩვენ განათლებულები ვართ, ამისთვის კი ამის მამას სკოლის კარებიც არ უჩვენებია. ბოლოს მინდორში ვავედით, დავსხედით და ვიბაასეთ. ვლაპარაკობდი, მაგრამ როგორ! ფუციავ თინას მზეს, ყოველთვის მაშინდელივით რომ შემეძლოს ლაპარაკი, ან მწერალი ვამოვიდოდი, ან... ან ქვეყანას დავანგრეედი. შენ რას იტყვი, ლექსო? რაო, რა სთქვი? მღვდელი გამოხვიდოდიო-ო-ო! შენ თუ შენებური არ წამოაყრანტალე... რა ვაცივებთ, მეგობრებო! თქვენ გეცინებათ, შე კი ამოდენა ვაქაკი ბალღივით ავალნავლე. კარგი, ლექსო, კარგი; ვაჭრმდები. იმას კი ვიტყვი, რომ ერთ დროს ჩვენც გვეყვარებია და სიყვარულისთვის ქრისტესავით ვწამებულვართ. საკრამენტო! თუ სიყვარულის ძალაც არ სცოდნია როსტომ რეტთანს, მაშ ალარაფერი არ სცოდნია საწყაოსს! სიყვარულისთვის მეოთხე საროფლიდან წყლის მღლით ჩამოეკურებულვარ, ვაქანებულ მატარებლიდან გადავმტარვარ, შუა ზამთარში მრავალჯერ ბნელ სარდაფში ღამე გამითენებია, კაცი დამიპრია და დავუკრივარ. საკრამენტო! ეხლაც მზათა ვარ ჩემი თინასთვის თუნდ მთვარეზე ავფრინდე. მოგეწონა, განა, მზეხათუნ! ვენაცვალე ჭალებსა, მარტო ჭალებმა იციან სიყვარულის ძალა და პატივი. რა სთქვი, ლექსო? ისევ ისე ვლაპარაკობ, როგორც იმ დღით? მაშ, შენი თქმისა

საქმის
საქმის

არ იყოს, კარგი დიაკვანი გამოვიდოდი. აგრე იყოს, საკრამენტო! იმ დილის საქმეს ვუბრუნდები. ჩემი ლექსო ბალღევით აღნავდა.

— სირცხვილს რა ვუყო, სირცხვილსა,—გაიძახის,—თორემ დანარჩენს როგორმე მოვიწვინებ. ქვეყანამ იცის, რომ ის ქალი ისეთივე დავაბრუნე, როგორც წავეყვანე. ვაი დედა შენის ღმერთსა, ბიჭო ლექსო, როგორ მოიჭერი საქვეყნოდ თავი!

— ლექსო,—ვეუბნები,—წამო, ქალაქში წავიდეთ.

— არა,—მეუბნება,—სადაც ეგ ქალი იქნება, მე იქ რა დამაყენებს! ეჰ, რაც იქნება, იქნება! მშვიდობით, როსტომ!

ბიჭს ცხენი მოაყვანიდა, შეჯდა და პირდაპირ ჯავახეთისკენ გასწია, სადაც კოტაოდენი ცხვარი ჰყავდა. მზეხა გამოვარდა და ეძახის:

— ლექსო! ლექსო!

ლექსოს მგლურით მიჰყავს ცხენი და უკან არ იხედება.

— ლექსო, მოიხედე, სათქმელი მაქვს!—მიჰკივის მზეხათუნ. დაოთხებული ცხენი უკვე ვენახებს მიეფარა. მგონი მაშინ ამ ვაგაკსაც აღუვას სენი დაემართა. ხო-ხო-ხო! რაო, ვტყუი? გამოტყდი, ნუ გრცხვენთან. სიყვარულს მეც ბოროლასავით ავუბღავლებივარ, თორემ შენს უბრალო ტირილს ვილა სჩივის! ისეე მოგეწონა, განა, მზეთახუნ! საკრამენტო! აკი ვამბობ, რაც ქვეყანაზე ქალებია, ყველანი უნდა შევიყვარო,—თუნდაც მხოლოდ იმისთვის, რომ სიყვარულის ნამდვილი ფასი მხოლოდ ქალებმა იციან. შენ კი ჩემო მზეხა, ერთი რამ უნდა მოგახსენო: არა მჯერა, გენაცვალოს როსტომი, ვითომ იმ ვაჟს, ბნელ ვაგანში რომ იწვა შენს გვერდით, არ დაეფასებინოს შენი სილამაზე და იმის მეტი არაფერი ეთქვას, რაც შენ გვიამბე. აი, მირიანიც თავს მიქნევს, მეთანხმება. მაშ გირჩევ გამოტყდე და აღსარება გვითხრა. რა სთქვი? არაფერი მომზდარაო? იყოს ნება შენი, მე კი, თუნდ მომკალი, არა მჯერა, არა და არა! მაინც, დაიხსნეთ: ქალს რომ სიყვარული გამოაცალოთ, ჰაერით გატენილი კაბა-ლა შერჩებათ. მირიან, ალღავერდი!

ამბავი მირიან ბორინთელია

— ბოდიში, მირიანია თქვენი სახელი?—მეკითხება და მაკვირდება მზეხათუნ.

— დიხ, ქალბატონო, მირიან ბორინთელი გახლავართ.

— მირიან... ბორინთელი... მირიან.—თავისთვის იმეორებს მზეხა და თამარ დედოფლის თითებით შუბლს ისრესავს.

სხეები კვლავ ბაასობენ, სვამენ და ილიმებიან. ოთახი ბოლით არის სავსე. ოთხივენი თითქო ღრუბლებიდან იხედებიან. და ამ ღრუბლების გადაღმა შორეული, მიმქრალი მოგონება მეჩვენება.

— საკრამენტო!—მაფხიზლებს როსტომი.—შენი ჯერია, მირიან! ერთი ამბავი შენც გვიამბე.

— კეთილი, მაგრამ... ოთხივეს თავგადასავალი, წელან რომ გვიამბეთ, ერთი მთლიანი ამბავია, მზეხას და აღუვას თავზე დატრიალებული. მე მაგ ამბავს ვერ შევავსებ, რადგან, სამწუხაროდ, დღევანდლამდე არ გიცნობდით.



თქვენმა რთულმა თავგადისავეალმა ისე გაგვიტაცა, რომ ჩემი ამბავი—ძალიან მოკლე და მარტივი—უქმველად გაფითრდება.

— არა უშავს-რა, არა უშავს-რა! გვიამბეთ, გვიამბეთ!—მაძალებენ აქეთ-იქიდან, და სხვებზე მეტად მზეხა მაცოდება.

— ვასრულებ თქვენს თხოვნას, ქალბატონო. ოღონდ თავიდანვე ვაცხადებ: ჩემი ამბავი ოდნავ ჰგავს, ქალბატონო, — მხოლოდ ოდნავ, მხოლოდ ოდნავ! — ოდნავ ჰგავს თქვენი თავგადისავეალის ნაწილს... დიახ, ნაწილს, მხოლოდ ნაწილს. მაგრამ მასთან არაფითარი კავშირი არა აქვს. ამიტომ ეხლავე გთხოვთ ეს ორი ამბავი ერთმანეთს არაფინ გადააბათ. ეხლა ჩემს ამბავს ვიწყებ.

— მეც სწორედ იმ დროს მოვიდიოდა სამშობლოში, როცა თქვენც მობრძანდებოდით. თქვენ საწინელი ამბავი გადაგზდათ როსტოვიდან კავკავამდე, მე კი ჩემი მცირე თავგადისავეალი კავკავისა და ბაქოს შორის დამემართა. რადგან მატარებელში შესაფერი ადგილი ვერ ვიშოვნე, მეც თქვენსავით საბარგო ვაგონში შევედი — „ტეპლუშკას“ რომ უწოდებენ. სალამო ემია, ვაგონის კარი ერთხელ კიდევ გააღეს. მეტად დაბალ კაცს ხელით ამოჰყავს ახალგაზრდა ქალი, საჩქაროდ ჰკოცნის და მიდის. კარებსაც საჩქაროდ ჰკეტავენ გარედან.

— დასაჯდომი ადგილი ხომ არსად არის? — მესმის შემკრთალი ხმა.

— აქ არის ერთი ალაგი. — ვამბობ მე და კედელს ვეკვრები.

ქალი ხელებით აფათურებს, პლედს იშლის და ჯდება.

მეც წამოვჯექი. მატარებელი დაიძრა, მერე გაიქცა და გაჰქროლა. ჩვენს ვაგონს კუდივით იქნევს. მე და ის ქალი ერთმანეთს ვეჯახებით.

— წამოწეკით. — ვეუბნები. — აი ბაღაშვიც.

— თქენა?

— მე ქურქი მაქვს.

— მადლობელი, უცნობო.

— არაფრისა, ქალბატონო. — და სიჩუმის შემდეგ: — საით მიბრძანდებით, ქალბატონო?

— საქართველოში.

— ქართული ხომ არ ბრძანდებით?

— დიახ, თუშკა... თქენა?

— მეც ქართველი გახლავართ და მეც სამშობლოში ვბრუნდები.

— მართლა? რა კარგია! რა ბედი მეწვია, რომ თქვენ მოგიჯექით გვირდით! და ჩემს ხელში მისი გრძელი, თბილი და მაგარი ხელი ვიგრძენი. იმ ხელის განთავისუფლება ოდნავ დივაგვიანე.

ხან რუსულად მელაპარაკება, ხან ქართულს ამტვრევს. ერთმანეთს ვუამბობთ ჩვენს ვინაობას. მატარებელი სირბილს უმატებს და ჩვენი მიხლა-მოხლაც მატულობს. ერთგან მატარებელმა ისე მძლავრად მოიქნია კუდი, რომ ქალმა სწორწონაობა დაჰკარგა და ჩამებუტა.

— ბი-ბი-ბი! — მხიარული კისკისით მაწყვეტინებს ლაპარაკს მზეხათუნ.

— ხო-ხო-ხო! — ხარხარებს როსტომიც. — მოეწონა მზეხას ჩახუტება, მოეწონა!



საქართველო

— არც შენ დაიწუნებდი.—ესერის როსტომს მზეხა, — არც შენ დაიწუნებდი, მირიანის მაგერად რომ ჰყოფილიყავი.

— ალბად შენც ასე ჩაეხუტე ვინმეს, როსტოვიდან რომ მოდიოდი.— იკბინება როსტომი.

— არაფერიცა!—ფიცობს მზეხათუნი.—ჩვენს ვაგონში ასეთი ვიწროობა არ ყოფილა.

— როგორ არა, შენ თვითონვე, არა სთქვი, ოცდაათი მაინც ვიქნებოდითო!

— არაფერიცა, არაფერიცა! მე ვთქვი, ათნიც არ ვიქნებოდით მეთქი. დამიდასტურეთ, ბატონო მირიან. ასე ვთქვი თუ არა?

მეძიელება, ძალიან მეძნელება, მაგრამ ვუდასტურებ და ვაგრძელებ:

— „ქალი მკლავებში ჩამივარდა. ორივემ გავიცინეთ:

— ხი-ხი-ხი! ხი-ხო-ხო!

— წამოწეკით, ქალბატონო.—და ორივენი მივწეკით. მაგრამ... ოჰ, რა ვიწროობაა!

— ისევ ასე სჯობია.—სთქვა ქალმა და ისევ წამოჯდა, მაგრამ უმაღვე მუხლებზე ვადმოძიგორდა.

— რა გქნა, რამ გაავიჯა მატარებელი!

— შიშმა, ქალბატონო, შიშმა. ისევ წოლა სჯობია.

წამოწევა და ისე ჩაიკედა ორი უცხოების შუა, თითქო კუბოში ჩაწვია. ადგილის მოსაგებად მხართემოზე წამოწევა. მისი თმა მილიტინებს, მისი ცხელი სუნთქვა სიამით მეუდავს, თბილი ტანი მწეავს და სისხლს მიდღუნებს*.

— რა ერქვა იმ ქალს?—მაწყვეტიანებს როსტომი.

— იმ ქალს?... კარვად აღარ მახსოვს... მომაგონდა, მომაგონდა: თამარი ერქვა, თამარი. მახსოვს, ვუთხარი კიდევაც: „ქალბატონო, თქვენ თამარ დედოფლის თითები გაქვთ, ბეთანიის მონასტრის კედელზე რომ არის დახატული.

— საკრამენტო, განაგრძე!

— „მწევართ და ვბასობთ.—ვაგრძელებ ჩემს ამბავს. უცებ თამარ ქალი მეღუნება:

— მიირთვით, მეზობელო,

— რა არის, ქალბატონო?

— შოკოლადი. იშვიათი ხილია ეხლა.—მესმის ტურების ცმაცუნი. მერე ჩემს ტურებთან თბილ ხელსა ვკრძნობ. ორივე ხელით ვეკი და მისი თითები ტურებზე მივიკარი. შოკოლადი მკერლზე დაძეკა. ქალის ხელი ჩემს ცხელ ტურებზე ფართხალებს. ხან გაიწევეს, ხან მოდუნდებდა. მერე მოეშვა, თითქო ბედს შეუროგდაო, და ჩემს პირსახეზე დასახლდა. ფათურობს, მოგზაურობს და ყოველივეს მისინჯავს—ლოყებს ელამუნება, ყელში მიჭერს, შუბლს მიზღლავს, თვალების სიღრმეს მიზომავს, ყურებს მიწევეს, ბიბლიოებს მისროსავს, უღვაშებს მიწიწეკნის და, ბოლოს, ხუთივე თითით ქოჩოროში მწედედა. სიბნელეში ჩემი მკლავი ქალის კისერს გველივით ეხვევა. ჩვენს ტურებს თითქო თვალის ჩინი გაუჩნდათ: უმალ იპონენს და მიიზიდეს ერთმანეთი. ორივეს სული გვიგუბდება. ქალმა უცებ ხელი ძკრა, გაიწია და გაინაბა.“

ეხლა მე თვითონვე შევწყვიტე მოთხრობა და მზეხას ქუდულად გადაველე თვალი. ხელები მათრახებივით ჰკიდია. თვალები—გაგანიერებული, პი-



ქართული

რი—დაღებული, სახეზე—შიშიც, კითხვაც და გაოცებაც. ტრისტომა და მხედა და მზეხას და რალაც წაიკითხა, მერე მეც დამაშტერდა და, რაკი ვერაფერი დამკინცლა, ეშმაკურად ჩაახველა: ჰმ! ჰმ! მზეხა თითქო გამოფხიზლდა:

— მერე, ბატონო მირიან, მერე?

— „მერე მატარებელმა რამდენჯერმე წაიფორხილა, თითქო ვილაცამ ლაგამი მძლავრად მოსწიაო.

მერე ახრიალდა, აშიწინდა და შესდგა. სადგურზე ბნელა.

— სადგურზე მოვედით.—ვეუბნები ქალს. სიჩუმე.—ხომ არაფერი გნებავთ, ქალბატონო?

— არაფერი.—ყინულიანი ხმათ მიპასუხებს.

— ხომ არაფერი დავაშავე?—ისევ ვეკითხები.

— თქვენ? არაფერი. მე დავაშავე.

სანუჯეშო სიტყვებს ვეძებ. პასუხს თითქმის არ მაძლევს. ბოლოს ორივენი ვლუძდებით. დიდი ხნის შემდეგ თმარას მამა—მაღალი კაცი შემოიღის.

— საკრამენტო, მაღალი თუ დაბალი?—ჰქუხს როსტომი.

— მაღალი თუ დაბალი? ჰმ... რა თქმა უნდა, დაბალი.

— მაშ რათა სთქვი, მაღალიო?

— მე ვთქვი, მაღალი? სცდები როსტომ. მე ვთქვი: დაბალი, პატარა კაცი შემოვიდა მეთქი.

— სტყუი, მირიან!

— ქალბატონო მზეხათუნ, დამიდასტურეთ.

— მიკვირს შენი დაყოება როსტომ. კაცმა გარკვევით და ხაზგასმით სთქვა: დაბალი, დაბალი კაცი შემოვიდაო, შენ კი ნათქვამი, ყირამალა გადაუბრუნე.

— შელამ თავისი კული მოწმად მოიყვანაო, ამათზეა ნათქვამი. საკრამენტო, როგორ მალე შეითქვენ ჩემს წინააღმდეგ! განაგრძე, მირიან, მერე გაცოვიძიებ.

— „შემოვიდა დაბალი კაცი, მოელაპარაკა თავის ქალიშვილს და გავიდა.

ვადის კიდევ ნახევარი საათი. ჩვენი ვაგონი უკან წისკურავს. უცებ სროლა ისმის, თანდათან ხშირდება და ახლოვდება. კარებს ვაღებ და წყვილიაღში ვიციკირები. არაფერი მოსჩანს გარდა სროლის ელვისა და ლანდებისა, რომელნიც სადგურისკენ მირბიან.

— Всех ахфицеров в расход!—გაჰკივის ვილაც.

— რაოოო. რა სთქვიით?!—წამოიჭრა როსტომი. აქ რალაც ამბავია. რომელ სადგურზე მხდა ეგ ამბავი?

— რომელ სადგურზე?.. გუდერმესში.

— იქაც ისე დაიძახეს, როგორც სადგურ სასიკაზე—Всех ахфицеров в расход?!

— შარიანი ნუ ხარ, როსტომ.—ვეუბნები მეგობარს.—მაშინ მთელი რუსეთი ამას გაჰკიოდა. ყველგან ისმოდა ეს ლოზუნგი, ყველგან—მოსკოვში, როსტოვში, საიკაშოც და გუდერმესშიც. დამიდასტურეთ, მზეხა.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა!—მიბეჭდავს მზეხათუნ.—ნუ ხარ შარიანი, როსტომ, ნუ!

— ცხადია, მასულელეებენ, მაგრამ... განაგრძე!—ბრაზით მიყვირის როსტომი. და მეც ვაგრძელებ:



თავგადასავალი. შენს, ხვათა შორის, სთქვი: ერთხელ ჩვენს ვაგონს წითლები და-
ეცნენ. მე და ერთი ქალი მინდორში გაეიქეცით. გუშაგებმა დაგვიჭირეს,
მაგრამ მე გავუსხლტი და გადავრჩიო, და გარკვევით სთქვი: ეს ამბავი როსტოვს
აქეთ, სადგურ სასიკაში მოხდაო. მზეხა, სად მიხედა? რად მირბინიარ, ქალო?
ხო-ხო-ხო!

ლექსო იბღვირება. ალვა ბებერი ცხენივით იღიმება.

— მე ვთქვი, გუდერმესში მოხდა მეთქი!

— ტყუელია, სასიკაშიო!

— გუდერმესში!

— გეუბნები, სასიკაში! საკრამენტო, ეს ამბავი ასე ადვილად ვერ გათავ-
დება! სასიკაში დაიწყო, აქ ვაგრძელდა, აქვე უნდა დასრულდეს! ჯერ-ჯერობით
კი ტყუილისთვის ხუთი კიკა ჯარიმა!

ამბავთა დახახრული

ორი თვის შემდეგ ჩემი მეგვარე და ქორწილის თამადა როსტომი ამ-
ბობდა:

— მეგობრებო! კარგა ხანია მეგონა, რომ მწერალი ზოგჯერ სტყუის
მეთქი, რადგან ხშირად ისეთ უცნაურს, რთულსა და გახლართულ ამბავს გვი-
ამბობს, რომელიც არსად მომხდარა, ან ვერ მოხდებოდა. მას შემდეგ, რაც გა-
უთავებელ ომებისა და რევოლუციის დროს ვნახე და გავიგე, ეს აზრი ყირა-
მალა ვადამიტრიალდა. მე თამამად ვამტკიცებ, რომ ცხოვრება ისე გენიალუ-
რად სტყუის, ისეთ რთულსა და უცნაურ ამბებს ჰქარავს, რომ ყველა მწერ-
ლების ფანტაზიები მასთან შედარებით თავის უხეირო წრიპინად მოისმის.

როსტომი, ლექსოს თქმისა არ იყოს, მღვდელივით ლაპარაკობდა: კეკუი-
ნად, დალაგებითა და ზომიერი პათოსით. მაგრამ ბუნებამ მალე დასძლია და
მისი-სიტყვა ქუხილით დასრულდა: „საკრამენტო! ჰეი მირიან-ბიჭო!.. მზეხა, გე-
ნაცვალი არწივის თვალეში!.. ალვის ბოძო, ალავერდი შენთან!..“

შერე ალვა წამოიღვა, მართლა ალვის ბოძივით აიყუდა, თავი კინალამ
ჭერს მიბაჯინა და დაიწყო:

— ყმაწვილებო! მე ჩემი გზა დავლიე. ბერი მქონდა, მაგრამ წამერთვა.
ბერნი მყავდნენ, მაგრამ ყველანი დაეკარგე. სამაგიეროდ სანშობლო ვიპოვნე
და ჩემი ერთა... აი ეს ქალი... შევინახე. ესეც დაკარგული მეგონა, მაგრამ
ბედმა... ყმაწვილებო, მპატიეთ... ეს მეორედ... მეორეჯერ მემართება...
და რომ ჩამოჯდა, მაინც ფეხებმოჭრილ მალალ კაცს ჰვადდა.

— საკრამენტო! — ერთხელ კიდევ დაიქუხა როსტომმა. — საკრამენტო!
ალვის ბოძი სისტემატურად გვატყუებს. მეხუთეჯერ მაინც ამბობს, ეს მეო-
რეჯერ მემართებაო. ხუთი ტყუილისთვის ხუთი კიკა ჯარიმა, ალვის ბოძო!

და ლხინის შუა გულში მე და მზეხას მუდარით მოგვიბრუნდა:

— მეფე-დედოფალო, ნულარა მტანჯავთ. გამაგებინეთ, ბოლოს-და-ბოლოს,
სად მოხდა ის ამბავი, სასიკაში თუ გუდერმესში?

მე მზეხათუნს ვადავხედე.

— ხი-ხი-ხი! სასიკაში, სასიკაში! — ხითხითებს ჩემი ცოლი.

— საკრამენტო, მირიან! ჩემი ამოდენა წვალებისთვის ხუთი კიკა ჯარიმა!
შენ კი, ჩემო მზეხა, ჩემო დაო, შენ ერთი კიკაცვეოფა. დასცალე, საკრამენტო!

მეფე ნახშირი

რომანი

წიგნი მესამე

მეფე ნახშირის ვასსალები

(გაგრძელება*)

§ 25.

ხოლმა, ერთსა და იმავე დროს ქვრივის კოსტიუმში მოიშორა და ის მხიარულებაც დაჰკარგა, რომელიც მან მუშების სასიამოვნოდ გამოიჩინა; ის მოულოდნელმა რეაქციამ შეიპყრო, იგი ჰგონებდა აუტანელ დალილობას.

უკანასკნელი ათი დღე მან შეტად ნერვიულად გაატარა, ძილის დროც კი არა ჰქონდა. ეხლა ის მიეყრდნო სკამის ზურგს, ფერწასული, დაქანცული, თავატყეებუი და აღიარა, რომ ნორტ-ვალში მის მიერ მოხდენილი ცდების შედეგი დამარცხება იყო. მასში კვალაც კი აღარ დარჩა იმ მხიარული ავანტიურისტული ვატაცებისა, რომლითაც ის გამოემგზავრა „საზღვრული პრაქტიკული მეცადინობისათვის „სოციოლოგიაში“. მან გაიზვიერა თავისი ლექცია სიტყვა სიტყვით, მაგრამ ჩაიჭრა მაინც. მან მწარე ღიმილით გაიხსენა ის უღარდელი ხუმრობა, რომლითაც ის აქ ოდესღაც მოვიდა.

მატარებელი ჯავიდა პედროში. ხოლმა აიყვანა ეტლი და გასწია ოტელში. მას კიდევ თან ჰქონდა ქვრივის გამოკრული ტანსაცმელი; მას შეეძლო დაეტოვებია იგი ვაგონში, მაგრამ უკანასკნელი ათი კვირის განმავლობაში ის მომჭირნეობას შეეჩვია; ტანსაცმელი მისისის ცამბონის უნდა დაუბრუნდეს, დაპირებული თანხით კი მას საშუალება ექნება თავის ბავშვებს სანთავაგე უყიდოს. ბალიშები ვაგონში დასტოვა; დააკლდეს ოტელს, არაფერი უშვავს.

ვესტიბიულში რომ შეგვიდა, ხოლმა თავისი ძმა დაინახა; ამ კეთილშობილი სახის დანახვაზე, რომლისთვისაც ზიზღსა და მოწყენილობას ადამიანური გამომეტყველება მიეცა, დაავიწყა თავის ტკივილი ხოლს. ცხოვრება, მართალია, მძიმე და საშინელია, მაგრამ ქვეყნად მაინც არსებობს ედუარდ-მოუთმენელი, რომელიც ნუგეშს იძლევა თავისი უნებლიეთი კომიზმით.



ედუარდმა ჰკითხა, თუ სად დაუკალობდა ის ამდენი ხანი, ხოლმა ამაზე უპასუხა:

— ქვრივებს და ობლებს ვნახულობდი.

— ო!—შენიშნა ედუარდმა,—მე კი ამ დროს უნდა ვიჯდე ამ სოროში და ~~ქვრივ~~ქონარო, არა? ეგ რა გაქვს ილღის ქვეშ?

ხოლმა დახედა გამოკრულ კაბას.

— ეს ერთმა ქვრივმა მითავაზა სახსოვრად,—სთქვა მან, ვახსნა ტანსაცმელი და უჩვენა გაოცებულ ძმას.

მომცა ერთმა დამამ, სახელად სეიკამ, კაბა სხვა ქალს ეკუთვნის, მისის ცამბონის, მაგრამ ეს იმას აღარ ესაჭიროება თურმე.

— მერმე შენ რა შუაში ხარ?

— ვგონებ მისის ცამბონი ხელახლა თხოვდება.

ხოლმა კონფიდენციალურად დაუწია ხმას.

— ეს ძალიან რომანტიული ამბავია, ედუარდ და შენ უთუოდ დაგაინტერესებს, როგორც ამ უცხოელების ზნე-ჩვეულებათა ილიუსტრაცია. ის ქუჩაში შემვედრია ერთ კაცს—ეს ლამაზი კაცი იყო, ჰყვება იგი, მას მოუტია მისთვის ფული. მისის ცამბონი ახალი ტანსაცმელის საყიდლად წასულა, ხოლო ეს ქვრივის ტანსაცმელი მას უნდა რომ იმ კაცს აჩუქოს. აღბად მათ ასეთი ჩვეულება ჰქონიათ—ეს იმის ნიშანია, რომ ის იღებს წინადადებას.

ხოლი ხედავდა როგორ თანდათან მატულობდა გაოცება მისი ძმის სახეზე და ცდილობდა შეენახა აუცილებელი სერიოზულობა.

— თუ იმ კაცს სერიოზული განზრახვა არა ჰქონია, ედუარდ, მაშინ მას ბევრი უსიამოვნება მოეღის. მე ვიცი მისის ცამბონის ემოციონალური ბუნება, ის აღარ მოეშვება მას, სადაც არ უნდა წავიდეს.

— ხოლ, ეგ ქალი კეჟუდან შეიშალა ნამდვილად!—ედუარდმა მოკრძალებით მოიხედა, თითქოს, ეშინოდა არ გამოჩნდეს ერთბაშად ვესტიბიულში ეს სლავიანელი ქვრივი, რომ დაუმტკიცოს მას თავისი ბუნების ემოციონალობა.

— ო, არა,—უპასუხა ხოლმა,—ეს მხოლოდ მისი ხალხის ერთი უცნაურ ჩვეულებათაგანია.

და უცებ ხოლმა ველარ შესძლო მეტი და გაღიხარხარა, გაღიხარხარა გაცილებით უფრო ხმაშალა, ვიდრე ეს დასაშვები იყო ზრდილობის მიერ.

ედუარდი ძალიან გაჯავრდა ვესტიბიულში მყოფი ხალხი გაოცებით უცქეროდა ორივე ძმას.

— კმარა, ხოლ, მომამბეზრა თავი შენმა სულელურმა ოხუნჯობამ—ხოლმა შეამჩნია ედუარდს სახეზე, რომ მას კიდევ ვერ გაეგო რაში იყო ნამდვილად საქმე. ედუარდმა იცნო ქვრივის შავები, მაგრამ, რა თქმა უნდა, არაფერი გარკვეული—მან არ იცოდა იმ უცნაური ქმნილების „ნაციონალური ჩვეულებების“ შესახებ, რომელმაც ის ქუჩაში გააჩერა.

— კმარა!—გაიმეორა მან.

და ხოლმა უცებ ცამბონის ხმით დაიწყო: „მისტერ, მე თერთმეტი სული ბაეში უნდა გამოვკვებო, მე არა მყავს კმარი, ხოლო ასეთი ბებერი ქალი, როგორც მე ვარ, ძნელად თუ მეორე კმარს იშვავს“.



მაშინ ეღუარდნ მიხვდა ყველაფერს და გაბრაზებული მივარდა ხოლს.

— ეღუარდ, შენ ჯერაც კიდევ არ გინდა, რომ საკმაო სერიოზულობით მომექციე.

— ღმერთო ჩემო,—წამოიძახა ეღუარდმა,—მე მგონია, შენ მართლა იშლები ჰკუიდან.

— შენ იყავი ხომ ნორტ-ვალში, ეღუარდ, გესმოდა, რაც ვუთხარი მე იმ საწყლებს, და ნუ თუ წარმოვედგინა, რომ მე წაგყვებოდი შენ და იმათ კი დავივიწყებდი?

ეღუარდს არ მიუტყვევია ყურადღება მისი სიტყვებისათვის.

— შენ ნამდვილად შეგერყა ჰკუა,—გაიმეორა მან.—მიუხედავად ჩემი ყოველგვარი ცდისა, შენ მოახერხებ მაინც, როგორმე, რომ თავი დააღუპვიო მათ!

ხოლი იცინოდა მხოლოდ.

— რა სათქმელია! უკეთესი იქნებოდა გეყურებია სამთო ინსპექტორის *ზრდილი მანერებისათვის*!

§ 26

ეღუარდს უნდოდა მაშინვე წაეყვანა იმა. მაგრამ უახლოესი მატარებელი მხოლოდ ნაშუალამევს გადიოდა. ხოლი ავიდა ზევით მუშათა კავშირის წარმომადგენლების ოთახში; იქ მან ნახა ხარტმანი, მოილენი, მერი ბოროკი და მისისის კომპონი, რომლებმაც მიაყარეს მას კითხვები. თანდათან მოდიოდნ დეპუტაციის სხვა წევრებიც და ხოლს რამდენჯერმე მოუხდა თავის თავგადასავალის მოყოლა. ამ ამბავმა აქაც თითქმის ისე იივე მზიარული შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც მუშებზე რეზინიციკისას. ყველა გაფიცვები ასე ადვილად თავდებოდნს მაინც!

შემდეგ ითათბირეს იმის შესახებ, თუ მომავალში როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. მოილენ უესტერნ სიტში გაემგზავრება, ხარტმანი დაბრუნდება თავის კონტორაში შერიდანში, საიდანაც ის ახალ ორგანიზატორებს გაგზავნის ნორტ-ვალში. უმჯველია კარტრაიტი ბევრს დაითხოვს, ვინც გაფიცვაში იყო გარეული და ვინც აშკარად ლაპარაკობდა კავშირის შესახებ. მაგრამ ამ ხალხის მაგიერ სხვები უნდა იმოვონ, კავშირმა კი გაიგო თავის აგენტებისაგან, თუ საიდან იყვანს კომპანია მუშებს. ნორტ-ვალის მალაროს მუშებს საიდუმლოდ მიეწოდებათ პროკლამაციები ყველა ენებზე; ისინი ნახავენ მას ბალიშ ქვეშ, ქვაბებში, ჯიბეებში.

დაითხოვნილებ შორისაც კი უნდა გაგრძელდეს პროპაგანდა, რომ მათ ყველგან გაავრცელონ კავშირის იდეა. ბორელაში მოხდა გამოსვლა თანაგრძნობის ნიშნად მეორე დღეს დილით, როდესაც ნორტ-ვალში მომხდარი ამბები გაიგეს, ამის შემდეგ რამდენიმე მალაროს მუშა დაითხოვეს, კიდევ ბევრს დაითხოვენ ალბად. აქ საჭიროა გამორეკილი დეპუტაციის წევრების მუშაობა, მაგალითად ტიმ რაფერტის: არ შეიძლება დარჩეს იგი ერთი-ორი კვირით მე-



დროში რომ შეხედეს ბორელადან ჩამოსულებს, მოელაპარტყა მათ, გააქრცელოს მათ შორის ფურცლები.

ამ წინადადებას თანაგრძნობით შეხედენ. საბრალო ირლანდიელს ძალიან თაღბი ფერებით ეხატებოდა ამ წუთში სიციოცხლე: სამუშაო დაჰყარა, მამა დაეარდნილი ჰყავს, მთელი ოჯახი უილაჯოა და უჰატრონოდ მიგდებული. ისინი, რა თქმა უნდა იძულებული იქნებიან დასტოვონ ბინა, რაფერტის ოჯახის არც ერთ წევრს ნორტ-ვალში აღარ გააჩერებენ. ერთმა ლმერთმა იცის, თუ საით წავლენ ისინი. ტომი მოხეტეთ გადაიქცევა, ის იძულებული გახდება ოჯახის მოშორებით იცხოვროს, გაიქირვოს, იმომშლოს და თითო-ოროლა გადარჩენილი ფარა სახლში გაგზავნოს.

ხოლმა შეხედა ირლანდიელს და თითქოს გამოიცირო მისი ფიქრები; მან გადასწყვიტა, რომ ის ითამაშებს Deus ex machina-ს როლს როგორც ამ შემთხვევაში ისე სხვა ასეთ სამუშაო გარემოებებში. მას უფლება ჰქონდა ხელი მოეწერა მამის ჩეკებისათვის და ფიქრობდა შეეჩინა ეს პრივილეგია იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც მას გარუნ-ალ-რაშიდის როლის შესრულება მოუხდება მალაროს კატასტროფის გამო დახარალებულთა შორის. რა მოუვიდოდა კატასტროფას და დამარცხებულ გაფიცვას, რომ ამ დროს ასეთი გარუნ-ალ-რაშიდი არ გამოჩენილიყოს? რა ეშველებოდა ნორტ-ვალელ ხალხს, რომ მათ არ ეცხოვებიან ხოლისათვის თავიანთი საქმეების მდგომარეობა?

აი, მაგალითად, რუზიკი. მთელი წლის პატიოსანი მუყაითი შრომით — ნახშირის მოთხროთ, რომელიც პიტერ ხარიგანს ეკუთვნის — მან ვერ შესძლო, რომ როგორმე ანგარიში გაესწორებინა მოხუცი პიტერის საქარხნო დუქანთან. მთელი მისი ქონება ერთ ფუთაში გამოიკვრიბოდა, და შეიძლება ისიც ვეღარ მიიღოს, თუ ეს სამთო ინსპექტორმა ან პოლიციელებმა მოიგუნებეს. და აი, რუზიკს მოუხდება კავშირის საშუალებით ნაყიდი ბილეთით საბეტილოდ გამგზავრება. შეიძლება მონახოს სამუშაო, შეიძლება ვერა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ზედმეტი იქნება ელოდოს სხვა რამეს, თუ არა ისევ ვინმე ხარიგანისათვის მუშაობას და ისევ ვალებში ჩაყარდნას რომელიმე საწყობში.

ამგვარსავე პირობებში იმყოფებოდნენ მექსიკანელი ჰობნალიგიც და სერბიელი ერნანიც, მხოლოდ რმ განსხვავებით, რომ ერთს ოთხი შვილი ჰყავდა, მეორეს კი ექვსი. ბილი უოჩოპს მხოლოდ ცოლი ჰყავდა; ბავშვები — „მადლობა ღმერთს“ — ამბობდა იგი, დაეხოცნენ, და ამიტომ ჯიმ მოილენის სიტყვებმა თიოქოს ვერ მოახდინეს მასზე დიდი შთაბეჭდილება. დაითხოვეს, მაგრამ რა ვუყოთ, აიკრავს ბარგს და დაადგება გზას დასაელეთისაკენ, ისევ თავის ძველ სამშობლოა ესტუმრება. აი ამასა ჰქვია თავისუფალი ქვეყანა! ღმერთმანი, მან რომ სახლში უამბოთ, თუ რა შეემთხვა, არც ერთი ინგლისელი მალაროს მუშა არ დაუჯერებს!

ხოლმა უთხრა მუშებს თავისი ნამდვილი გვარი, მისცა მათ თავისი მისამართი და ჩამოართვა პირობა, რომ ისინი აცნობებენ ხოლმე მას თავიანთ ამბავს. მან სთქვა, რომ ცოტ-ცოტა დახმარებას გაუწევს და გუნებაში ანგარიშობდა, თუ რის გაკეთება შეუძლია ნამდვილად მას იმათთვის. რა უნდა გა-



აქეთოს კაცმა დამშეულთათვის, რომ დამშვიდებული შეეპყროს თავის სახილს კლუბში? რომელ კახუისტს შეუძლია გადასჭრას ეს პრობლემა—მიუთითოს მას თუ რამდენი პროცენტი უნდა გადასდოს გაქირვებულთათვის, რომლებსაც ის პირადად იცნობდა, გაქირვებულთათვის, რომლებსაც ის ქუჩაში ხედავს, რომელთა შესახებ ის გაიგებს, როდესაც წაიკითხავს მთავრობის ცნობას, სანოვაგის ვადვირებაზე? მისცემს ის თავის თავს ნებას არ წაიკითხოს ეს ცნობები იმ საღამოს, როდესაც თავის საცოლესთან ერთად ის სადილზე სტუმრად ან ბალზე გაემგზავრება? ეს პრობლემები უმაღლესმა მათემატიკოსებმაც კი ვერ გადასჭრეს; ვერც ბრძენმა აკადემიკოსებმა და საეკლესიო წმიდანებმა დაადგინეს ამ საკითხში რაიმე ფორმა, მით უმეტეს ვერ გადასჭრიდა მას ზოლი, რომელიც ამის გაკეთებას უბრალო არითმეტიკული ანგარიშით ფიქრობდა.

§ 27

ხოლს ძალიან უნდოდა მერი ბარკთან გამოსაუბრება; მათ ჯერ კიდევ არ ულაპარაკნიათ ერთმანეთთან გულახდილათ ჯესი არტურთან შეხვედრის შემდეგ, მაშინ როდესაც მას ეხლა კარგა ხნით უხდება აქედან წასვლა, მას უნდოდა გაეგო მერის მომავალი გეგმები და—რაც უფრო მთავარია,—მისი სულიერი განწყობილება. თუ მან შესძლო ახალგაზრდა ქალის დახვეწა სასოწარკვეთილებიდან, მაშინ მას შეუძლია იფიქროს, რომ მისი საზაფხულო მუშაობა პრაქტიკული სოციოლოგიის დარგში ტყუილად არ დაკარგულა.

მან წინადადება მისცა მერის წაპყლოდა მას ჯონ ედსტრომთან, რომელიც ხოლს აღარ უნახავს იმის შემდეგ, რაც ის პერსი ხარიგანთან გაიქცა, ვესტიბიულში ხოლმა აღცნობა ეს განზრახვა თავის ძმას, რომელსაც საწინააღმდეგო არაფერი უთქვამს, მხოლოდ ჰოინდომა მისი უკან ვაყოლა. ედუარდს სრულებითაც არ ეინტერესებოდა ირლანდიელი ენა დარკის გაცნობა და ამიტომ ის საკმაოდ უკან ჩამორჩენილი მიჰყვებოდათ, რომ ხელი არ შეეშალა ხოლის საუბარისათვის ახალგაზრდა ქალთან, მაგრამ ის არაერთხელ შემთხვევაში არ დაუშვებდა არაფერს ისეთს, რაც ხილისათვის სახიფათო იქნებოდა.

ამგვადად მიდიოდენ ისინი მთვარის შუქზე, წინ მერი და ხოლი, უკან ედუარდი, ხოლო იმის უკან მისი თანამოიჯრე, „კომივიოიკორი“!

ხოლი ცოტა არ იყოს დარცხენილი იყო და არ იცოდა უცბად რა ეთქვა გამოთხოვების დროს. მან არ იცოდა თუ რასა გრძნობდა მის მიმართ მერი; მას რამდენიმედ დამნაშავედ მიაჩნდა თავი და თითქოს აშინებდა კიდევ ამის გაკება. მას ეგონა, რომ ყველაზე უკეთესი ის იქნება—მხიარულად მოაჩვენოს თავი, და მან დაიწყო მით, რომ შეაქო მისი ქცევა გაფიცვის დროს. მაგრამ ქალმა არაფერი არ უპასუხა ამაზე. ხოლი მიხვდა, რომ ის თავის ფიქრებში იყო გართული.

— მე თქვენ ცოტა რამ უნდა გითხრათ—წარმოსთქვა უცებ მერიმ.—რამდენიმე დღის წინად მე ვიცოდი თუ როგორ უნდა მეთქვა, ეხლა კი აღარ შემიძლია.



ხოლმა გაიცინა.

— სთქვით ისე, როგორც მაშინ გინდოდათ გეთქვათ.

— არა მაშინ ჩემი განწყობილება თქვენდამი სიმწარით იყო საესე, ეხლა კი დამარცხებული ვარ.

— არ მინდა დავიჯერო, რომ თქვენ სიმწარით იყავით საესე,—ხოლი ჯერ ისევ იცინოდა,—მაგრამ დამარცხებული თუ არის ვინმე, ეს მე ვარ. მე ხომ ვერაფერს ვერ მივალწივ.

— თქვენ გააკეთეთ, რაც შეგეძლოთ, მეტი, ვიდრე ჩვენ ყველამ. იცოდეთ რომ მე ამას არასოდეს არ დავიფიქრებ. მაგრამ თქვენ სხვა რამეც უნდა მოისმინოთ.

მერი განაგრძობდა სიარულს; ის თავის წინ იხედებოდა და მღელვარებით-საგან ხელებს ჰკუმშავდა.

— რა?—ჰკითხა ხოლმა, რომელიც ჯერ ისევ მზიარულ ტონის დაქერას ცდილობდა.

— გახსოვთ თქვენ ადეთქების მეორე დღე? გახსოვთ გეუბნებოდით რომ მე მინდა თქვენთან წამოსვლა? მე მიმაქვს ჩემი სიტყვები უკან.

— ო, რა თქმა უნდა,—საჩქაროდ მიუგო ხოლმა,—თქვენ მაშინ სასოწარკვეთილი იყავით, მერი, არ იცოდით თუ რას ლაპარაკობდით.

— არა, არა! სრულიადაც არა. მე ვადვიფიქრე, მე არ მინდა თავის დამცირება.

— მე თქვენ ვითხარით: უნდა გაიგოთ, რომ არც ერთი მამაკაცი მაგდენად არა ღირს.

— ახ, ჩემო ძვირფასო,—სთქვა მერიმ,—თქვენ ლამაზად იცით ლაპარაკი, მაგრამ მაინც უმჯობესია, რომ სიმართლე იცოდეთ. ეს იმიტომ, რომ მე დავინახე ის „მეორე ქალი.“ მე მძაგს იგი!

ორივენი ჩუმად მიდიოდნენ წინ, ხოლი მიხვდა, რომ ისინი მძიმე საკიოხს შეეხებნ.

— მე რა, თქმა უნდა, დარიგებების მოცემა არ მინდა თქვენთვის, მერი, —რბილად დაიწყო მან,—მაგრამ თქვენ ამ შემთხვევაშიც ვადიფიქრებთ.

მერიმ მშრალად გაიცინა.

— ეგ რა არის? ხუმრობა?

— მე ვიცი რომ ეს ხუმრობად გეჩვენებათ, მაგრამ როცა იქნება თქვენ დამეთანხმებით ამაში. თქვენში არის რაღაც საუცხოო, რის გამო თქვენ შეგიძლიათ იცხოვროთ და იბრძოლოთ, მაშინ როდესაც ის მეორე ახალგაზდა ქალი,—ის ერთი წუთით ჩაფიქრდა, ვინაიდან ჯერ თვითონ არ იყო ამაში საკმაოდ დარწმუნებული,—იმან ჯერ ბევრი რამ უნდა ისწავლოს კიდევ, რასაც ის, შეიძლება, ვერც შეისწავლის ვერასოდეს. ის იძულებული იქნება ბევრ რამეზე გააცხადოს უარი.

— მე ვიცი რაღაც საუცხოო, რაც მას ეკუთვნის და რასაც ის არასოდეს არ დაჰკარგავს,—პირქუშად შენიშნა მან,—ეს არის მისტერ ხოლ ჟორნერი.—



პატარა სიჩუმის შემდეგ მან დაუმატა:—მე მინდა, რომ თქვენ სწორად გამიგოთ, მისტერ უორნერ.

—ოჰ, მერი,—სთხოვა მან ქალს,—ნუ მელაპარაკებით აგრე, თქვენთვის მე ისევ ჯო ვარ.

კარგი, თუნდ ჯო იყოს; ეს სახელი თქვენ მოგაგონებთ საამურო თავგადასავალს, იმ რამდენიმე კვირისას, რომლის განმავლობაში თქვენ მუშა იყავით. ეს სწორედ იმას შეეხება, რის შესახებ მე მინდა გელაპარაკოთ. მართალია, მე უბრალო მაღაროს მუშის შვილი ვარ, მაგრამ მე მაქვს ჩემი სიამაყე; მხოლოდ ეხლა გამოვინახე მე ჩემი მოწოდება.

—რა გსურთ სთქვათ ამით?

—ნუ თუ არ გესმით?

—არა.

—თქვენ სრულებით არაფერი გესმით ქალების, ჯო; თქვენ ვერ შენიშნეთ, რომ ის ქალი ისე მომექცა, თითქოს მე რალაც მწერი ვყოფილიყო. მან არ იცოდა ვიკინებოდი მე თუ არა, და რომ საშიშროება აეცილებია თავიდან, ჩამომავლო ძირს—აი ასე!

და მერიმ გააკეთა ეესტი, ვითომ არა სასიამოვნო მწერი ჩამოავლო ძირს თავის კიბიდან.

ო!—გამოეჭომაგა ხოლი,—თქვენ უსამართლო ხართ.

—მე სამართლიანი ვარ რამდენადაც შემიძლია, ჯო. მე კარგად მოვიფიქრე ყველაფერი ეს; ეხედავ, რომ შეიძლება მას სხვაგვარად არც შეეძლო მოქცეულიყო. ეს მისი კლასის დანაშაულია, თქვენ ყველანი ეგეთი ხართ, უკეთესებიც კი თქვენ შორის, თვითონ თქვენც კი ასეთი ხართ, ჯო სმიტ.

—მართალია,—უპასუხა მან,—ეგვე მითხრა ტიმ რაფერტიმ.

—ტიმი მეტად მკვებედ ლაპარაკობდა, მაგრამ ამაში სიმართლაც იყო ნაწილობრივ. ფიქრობთ, რომ თქვენ ერთი ჩვენთაგანი იყავით? ნუ თუ თქვენ ვერ ხედავთ განსხვავებას—უხარმახარს, როგორც მილიონი მილის სიგრძე კანიონს—საბრალო, უფიცი მაღაროელი ქალისა და მდიდრის ქალიშვილის შუა? თქვენ ამბობთ, რომ მე არ უნდა მრცხვენოდეს ჩემი სიღარიბის, მაგრამ ნუ თუ თქვენ არ მიმატოვებდით მე მიუხედავად მთელი თქვენი მეგობრული განწყობილებისა თქვენზე დაბლა მდგომი ხალხისადმი? ნუ თუ თქვენ არ დაამტკიცეთ ეს, როდესაც მინეტტისას იყავით.

—ჰო, მაგრამ იცით, მერი,—მან სცადა გაღიმება,—მე ისე შევეჩვიე ჯესისათვის ყურის დაგდებას. მე ხომ მას თქვენზე ადრე ვიცნობდი ბევრად.

—ოჰ, ჯო, თქვენ კეთილი გული გაქვთ, ტკბილი სიტყვები. გინდათ იცოდეთ სიმართლე? თქვენ ხომ ამბობდით, რომ აქ სიმართლის გასაგებად მოხვედით?

ხოლი ჩემად დაემოწმა და მეტი აღარ შეუწყვეტია მისი სიტყვა.

§ 28.

მერიმაც დაიჰდაბლა ხმა, და ხოლმა შენიშნა, თუ რა რბილად და გრძნობიერად ჰბგერდა იმისი ხმა, როდესაც ახალგაზდა ქალი აღელვებული იყო.



ქართული

ენციკლოპედია

— მთელი ჩემი სიცოცხლე მალარობებზე გავატარე, ჯო სმით, მე ვნახე თუ როგორ ატყავებენ და სცემენ მამაკაცებს, როგორ ტირიან ქალები და შიმშილობენ ბავშვები. მინახავს ბურჟუაზიული საზოგადოება—უზარმაზარი გაუმადლარი მხეცი, რომელიც ჰყლაპავს მათ. მაგრამ მე მაინც არასოდეს არ ვიციდი საეცებით, თუ რად ხდებოდა ყოველივე ეს ამგვარად, მანამდე, აი იმ დღემდე მინეტტისას. მართალია, მე წამიკითხავს წიგნებში მალალი წრის დამების შესახებ, მაგრამ არასოდეს არცერთ მათგანთან არ მილაპარაკებია, არასოდეს მე არცერთ მათგანთან არა მქონია საქმე ცხოვრებაში. მაგრამ აი მე გავიგე ეს—და ჩემთვის უცებ გამოირკვა საეცებით თუ სად მიდის ის ფულეები, რომლებსაც ჩვენ, საბრალო მალაროს მუშებს, გვაგლეჯენ. მე დავინახე, თუ რისთვის გვატყავებენ და სწუწნიან ჩვენს სიცოცხლეს—ყოველივე ეს ხდება ამ მალალი წრის დამებისათვის, რომ ისინი ასე ნაზი, ბრწყინვალენი იყვნენ. არ იქნებოდა ისე დასანანებელი, რომ ის არ მოსულიყო სწორედ იმ დროს, როდესაც იქ ქვემოთ იხოცებოდნენ მუშები და მოზარდენი, იხოცებოდნენ ამ ნაზი თეთრი კანის გამო, ამ უსპეტაკესი ხელებისათვის, იმ აბრეშუმისათვის, რომელიც მის ტანზე შრიალედა. ღმერთო ჩემო, ჯო, იცით როგორი მომეჩვენა იგი? რბილ, კარგად შესუქებულ კატად, რომელმაც ეს არის ერთი ბუდე თავის წიწილები გადაყლაპა, და ტუჩებზე კიდევ ამჩნევია მათი სისხლი.

მერი გაჩუმდა, ის ნაწყვეტ-ნაწყვეტად სუნთქავდა. ხოლიც სდუმდა; მკირვე ხნის შემდეგ ქალმა განაგრძო:

— მე დავსძლიე ეს ჩემში, ჯო! ნუ წარმომიდგენთ იმაზე უკეთ, ვიდრე მე ნამდვილად ვარ. მე მივეცი ჩემს თავს კითხვა: ეს ქალი მიტულს მე ასეთი საშინელი სიძულვილით იმ ხალხის გამო, რომლებიც მალაროში ილუპებიან, თუ მხოლოდ ერთი ადამიანისათვის, რომელიც მე მიყვარს და იმას კი ეკუთვნის? და მე ვიციდი პასუხი! შემდეგ შევეკითხე ჩემს თავს: რომ შეგეძლოს, ისურვებდი გამხდარიყავ იმგვარი, როგორიც ის? მოიქცეოდი ისე, როგორც ის იქცევა, მიიღებდი შენს სულზე ყოველივე ამას? და, იცის ღმერთმა, ჯო, რომ მართალს ვლაპარაკობ—მე არ ვისურვებდი ამას! არა, არცერთი ადამიანისათვის ქვეყანაზე!

ამის თქმაზე მან ასწია შეკუმშული ხელი მალლა, შემდეგ ისევ დაილოძირს, და განაგრძობდა სიარულს.

— ათასი წელიწადი რომ ეცადოთ, ჯო, თქვენ მაინც ვერ გაიგებთ იმ გრძნობას, რომელიც მე მაშინ მინეტტისას განვიცადე. სირცხვილი,—არა, იმის გამო კი არა, რაც იმან მომაცენა, არამედ იმის გამო თუ როგორი ვსჩანდი მე მის თვალში. მე—ბებერი ლოთი მალაროს მუშის შვილი, ის კი—არ ვიცი ვინ არის მისი მამა,—მაგრამ ის მაინც პრინცესას ჩამოაპავს და მან იცის ეს. აჰ ამაშია საქმე, ჯო საქმე იმაში კი არ არის, რომ იმას ამდენი ფულეები და ძვირფასი ნივთები აქვს, არც იმაში, რომ იმან კარგი ლაპარაკი იცის, და რომ მისი ხმის ბგერა ნაზია, ხოლო ჩემი კი, როდესაც მე ვჯავრობ, როგორც ეხლა მაგალითად, ასე ულამაზო. არა, საქმე იმაშია, რომ ისეა დაჯერებული თავის თავში. ეს შესაფერი სიტყვა არის—დაჯერებული, დაჯერებული. მას აქვს



ძვირფასეულობა, ის ყოველთვის ჰქონდა მას, იმას აქვს უფლებები, მისი სტატუსი იგი! მე კი მხოლოდ მწუხარებაზე და ტანჯვაზე მაქვს უფლება; სიღატაკე და შიში მსდევნენ მთელი ჩემი სიცოცხლე, ხოლო ეხლა უკანასკნელი თავშესაფარიც კი დავკარგე! თქვენ იცით ჩემი ხასიათი, ჯო, — ჩემი გატება არც ისე ადვილია; მაგრამ როდესაც მან მიმითითა ჩემი ადგილი, მე დავიხიე უკან და დავიმაღე, უძლური სიბრაზისაგან ტალახში ჩაერგე პირისახე. შემდეგ მე ვუთხარი ჩემს თავს: ეს მართალია, მასში არის რაღაც უკეთესი, ის უფრო ფაქიზი არსება არის. შეხედეთ თქვენ ერთი ჩვენს ხელებს! — და მან გასწოდა ისინი სწრაფი, ვენებიანი ვესტით მისი თვალებისაკენ. იმ ქალს აქვს უფლება მასზე, მე კი სულელი ვებრუნდები იმისთვის თვალის გასწორებას. მე უნდა ვსტკირო, თუ როგორ მიდის ის კაცი და შემდეგ ისევ წავიდე ჩემთვის, ჩემს ნახევრად დანგრეულ ქობში, აი სად არის სიმართლე! და როდესაც ამ სიმართლეს ვეუბნები იმ ადამიანს, რას მიპასუხებს მე იგი? რბილად და მოფერებით მეუბნება: მე უნდა შევიბრალო ის, მეორე ახალგაზრდა ქალი! ღმერთო ჩემო, ვაკონილა ეს?

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა მასი სიტყვების შემდეგ. ხოლი ბევრს ცდილობდა, მაგრამ ხმის ამოღება ვერ მოახერხა. აი სად იყო ის, რასაც ის ეძებდა: კლასობრივი ბრძოლის გაშიშვლებული სული.

— ასე, — დაიწყო ისევ მერი; მისი ხელები მუშტებად იყო შეკუმშული, ხმაც ამ ვესტის შესაფერი ჰქონდა. — ეხლა მე ვთქვი რაც სათქმელი მქონდა. მე ვიცი, რომ მე ვერასოდეს ვერ ვიცხოვრებ წესიერად, არასოდეს ლამაზი ტანსაცმელი არ იქნება ჩემს ტანზე, არ მექნება თბილი ოჯახი, არც ქმარი, რომელიც მე მინდა, მაგრამ მე მაინც ვიცი, რომ რაღაც გაავაეთე ნუშების განთავისუფლებისათვის იმ საშინელი წყევლა-კრულვისაგან, რომელიც მათ თავზე დატეხილი. ეს მომცა მე გაფიცვამ, ჯო! გაფიცვამ მიჩვენა მე გზა! ამ შემთხვევაში ჩვენ დავმარცხდით, მაგრამ ეს დამარცხება არც იმდენსა ნიშნავს, როგორც შეიძლება თქვენ ფიქრობდით. მე კიდევ მოვაწყობ გაფიცვებს და ყველა ხომ არ დამარცხდება.

მერი გაჩუმდა. ხოლი მიჰყვებოდა მას გვერდით და ათასნაირი გრძობები უღულდა გულში. მისი ოცნება სინამდვილედ გადაიქცა, ის მოაწყობს ახალ გაფიცვებს. მას უხაროდა ეს, ამაყოფიდა ამით, მაგრამ შემდეგ ის გაამწაპრა იმ აზრმა, რომ, როდესაც მერი, ეს ახალგაზრდა ქალი, მძიმე ბრძოლაში იქნება გაბმული, ის, მამაკაცი უნდა იჯდეს ტკბილად კლუბში და შეექცეოდეს თავის ბიჭუტებს.

— მერი, — უთხრა მან, — მე მრცხენია.

— რას ამბობთ, ჯო, თქვენ არა გაქვთ არავითარი საფუძველი სირცხვილისათვის. თქვენ რითი ხართ დამნაშავე იმაში, რომ მეორე კლასს ეკუთვნით.

— შეიძლება ეგრეც იყოს, მერი. მაგრამ, როდესაც კაცმა იცის, რომ ის არაფერს არ იხდის იმაში, რითაც ის მთელი სიცოცხლე სტკება, მაშინ იმას სირცხვილი მაინც უნდა აწუხებდეს. მე იმედი მექნება, რომ თქვენ შეეცდებით არ შემიძლოთ მე იმდენად, რამდენადაც სხვები.

— არასოდეს თქვენ მე არა მძულეზიხართ, ჯო, არც ერთი წუთით! მე გეუბნებით თქვენ სრულიად გულახდილად, რომ თქვენ მე ისე მიყვარხართ ეხლაც, როგორც წინად. ეხლა მაქვს ამის თქმის უფლება, ვინაიდან აღარა მსურს რომ მე მეკუთვნიოდეთ; მე ვნახე ის მეორე, და ვიცი, რომ არასოდეს თქვენ ჩემთან ბედნიერი არ იქნებით. არ ვიცი, უნდა გითხრათ ეს თუ არა, მაგვამ მე თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ არც იმასთან იქნებით თქვენ საესებით ბედნიერი. ყოველ შემთხვევაში თქვენ კმაყოფილი არ იქნებით. — ღმერთი იყოს თქვენი შემწე!

ამ სიტყვებით მერიმ ღრმად ჩაიხედა მის სულში, ისე ღრმად, რომ ხოლმე პასუხის გაცემა ვერ გაბედა. ისინი სწორედ ამ დროს ფანარის გვერდით მიდიოდნენ და მერიმ პირველად შეხედა მას და დაინახა მისი ნაწამები სახე. მოულოდნელი სინაზე გაისმა ქალის ხმაში.

— ჯო თქვენ ცუდი გამომეტყველება გაქვთ. კარგია, რომ მიღიხართ აქედან!

ხოლი შეეცადა გაღიმიებას, მაგრამ გაღიმიება როგორღაც საცოდვავი გამოვიდა.

— ჯო, — განაგრძობდა მერი, — თქვენ გინდოდათ, რომ მე თქვენი მეგობარი დავრჩენილიყავი. მე თქვენი მეგობარი ვარ. და მან გაუწოდა ხოლს თავისი დიდი ხელი. მან მოჰკიდა ხელი.

— ჩვენ არ დავივიწყებთ ერთმანეთს, მერი! მისი ხმა ცოტათი თრთოდა.

— რა თქმა უნდა, ძვირფასო. ჩვენ კიდევ მოვაწყობთ ერთად გაფიცვას, როგორც ეს ნორტ-ვალში ჩავიდინეთ.

ხოლმა მოუჭირა ხელი იმის დიდ ხელს, შემდეგ უცებ გაახსენდა მშა, რომელიც იმათ უკან მოჰყვებოდათ, და გაოშვა ქალს ხელი; მან ვერ შესძლო წარმოეთქვა ის მშვენიერი სიტყვები, რომლებიც მას უნდოდა ეთქვა მისთვის. მართალია, ის შეამბოხე იყო, მაგრამ არც ისეთი, რომ მისთვის სიამოვნება ეგრძნობინა ედუარდის თვალში სენტიმენტალური სახით წარდგომას.

§ 29

ისინი მიადგნენ სახლს, სადაც ჯონ ელსტრომი ცხოვრობდა. ვილაც ქალმა კარი გაუღოთ. ხოლის კითხვაზე, მან უპასუხა:

— მოხუცი ძალიან ცუდად არის.

— რა დაემართა.

— არ იცით, რომ ის დაჭრილია?

— არა, რა მოხდა?

— ის გალახეს, მოსტეხეს ხელი, კინალამ თავის ქალა გაუტეხეს.

ხოლი და მერი ერთ ხმად შეკრთნენ:

— როდის? ვინ?

— არ ვიცი, ვინ. ეს მოხდა ღამით, ოთხი დღის წინად.

ხოლი მიხვდა, რომ ეს ალბად მაშინ მოხდა, როდესაც ის მაკ კელერის სახლიდან გამოიქცა.

— ექიმი მოიწვიეთ?

— დიახ, მისტერ, მაგრამ ამისათვის უწინარეს ყოვლისა ფულია საჭირო. ჩემი ქმარი უმუშევარია და მე ბავშვებზე და დგმურებზე უნდა ვიზრუნო.

ხოლმა და მერიმ აირბინეს კიბე. მათი მოხუცი მეგობარი სიბნელეში იწვა; მაგრამ ხმაზე იცნო ისინი და სუსტი ხმით მიესალმა მათ.

ქალმა მოიტანა ლამფა, და მათ ნახეს, რომ ის იწვა გულალმა შეხვეული თავით და გიბსში ჩადებული ხელით. ის გამოიყურებოდა როგორც მძიმე ავად-მყოფი, კეთილი თვალები ღრმად ჩაცვენილიყვნენ, პირისახე წაწვეტიანებულიყო და წინ წამოხრილიყო. ხოლს გაახსენდა ჯეკ კოტონის სიტყვები: „ბებერი გაუსწორებელი მოქადაგე“.

მათ შეიტყვეს თუ რა მოხდა ხოლის გაქცევის დროს. ედსტრომი უყვიროდა გაქცეულებს, რომ გაეფრთხილებია ისინი საშიშროებისაგან, — მაგრამ უკან როდი მისდევდათ; მაღაროს ერთი პოლისმენტაგანმა გაირბინა მის გვერდით და შემოჰკრა მას თვალებ ქვეშ ისე, რომ ის გულალმა წაიქცა. ედსტრომი დაეცა თავით ქვაფენილზე და რამდენიმე საათი უგრძობლად ეგდო. ბოლოს ვილაც გამვლელმა შენიშნა იგი, დაუძახა პოლისმენს, მათ გაჩხრიკეს ედსტრომის ჯიბეები და რაღაც ბარათზე აღმოაჩინეს მისი მისამართი. მოხუცმა უამბო ეს და შენიშნა, რომ მან არ შეატყობინა მაკ კელერს, ვინაიდან, მისი აზრით, ყველანი მაღაროს გახსნის საქმეზე ზრუნავდნენ, და ჰგრძობდა, რომ არ ჰქონდა მათი შეწყობის უფლება.

ხოლი უგდებდა ყურს მოხუცის სუსტ ხმას, და ის სიბრაზემ აიტაცა, როგორც ეს ხშირად მოსდიოდა მას მისი თავგადასავალებების შემდეგ ნორტ-ვალში. ეს სისულელე იყო, ვინაიდან ბოლოს და ბოლოს ისეთი შემთხვევა, როგორც ნოუსვენარი მოხუცის ცემა, სრულიადაც არ იყო იშვიათი მაღაროს პოლისმენების პრაქტიკაში; მიუხედავად ამისა, ეს საქციელი ხოლს განსაკუთრებით უსამართლოდ ეჩვენა, იმის დამამტკიცებლად, თუ რამდენად ბრმა არის კომპანიის ყოველივე კარგისადმი ცხოვრებაში. ეს მოხუცი, ასე გულჩვილი, ასეთი მომთმენი, ამდენი ტანჯვის ვადამტანი, მაინც ვერ შეეჭვია კიდევ სიძულვილს, იმდენად წმინდად ინახავდა თავის რწმენას! რას ნიშნავდა ეს რწმენა საყოველთაო სათბობი მასალის კომპანიის დაქირავებული მკვლელებისათვის? რაში მოეხმარა მოხუცს მისი ფილოსოფია, მისი წმინდაობა, მისი რწმენა კაცობრიობაში? მხოლოდ ერთი დარტყმა გავლით და აი ის დასცეს მიწაზე — მკვდარი თუ ცოცხალი, სულ ერთი არ არის მათთვის?

ხოლი ის იყო ცოტა გამზიარულდა ქვრივი ქალის როლში ყოფის გამო; გაახარა ის აგრეთვე იმ გამარჯვებამ, რომელიც მერიმ მოახდინა თავის თავზე: მაგრამ ენლა, როდესაც ის უსმენდა მოხუცის წყნარ მოთხოვბას, მისი სიხარული გაქრა. მან იგრძნო მწარე კეშმარტება — მისი საზაფხულო ცდა დამარცხებით გათავდა, მართალია, მან მიიყენა ნიცირეოდენი უსიამოვნება მაღაროს მეპატრონეებს, მაგრამ ძალიან მალე დარწმუნდა იმაში რომ ვაფიცვის შერეუ-



საქართველოს
მწიგნობართა კავშირი

ბით მან დიდი სამსახური გაუწია მათ. ისინი ისევ ამომძრავებენ ინდუსტრიის ბორბლებს, მუშები ისევ იმ ადგილზე იდგომებიან, რომელზედაც იდგნენ, როდესაც მათთან მივიდა ჯო სმიტი, მეჯინიბე და მალაროს მუშის თანაშემწე. ყველა ამ სიტყვებმა სოლიდარობის, მომავალზე იმედის შესახებ—რა მოიტანა ბოლოს და ბოლოს? ინდუსტრიის ბორბლების ამომძრავება? ნორტ-ვალის მუშები-სათვის დარჩა მუშებად ყოფნის იგივე უფლება, ხოლო თუ ეს არ მოსწონთ—უფლება ეძლევათ იყვნენ წამებულები!

მერი მოხუცი ავადმყოფის ახლო იჯდა, ხელში მისი ხელი ეჭირა და სააღერსო სიტყვებს, ჭურჭლებდა. ხოლი გულმოსული დადიოდა პატარა ოთახში სახლის კერის ზემოთ. მან უკებ გადასწყვიტა არ წასულიყო უესტერნ-სიტიში, დარჩენილიყო აქ, მოენახა რიგიანი ვეკილი და დაუყოვნებლივ დაეწყო საქმე იმ ადამიანების წინააღმდეგ, ვინც ასეთი ძალადობა იხმარეს ელსტრომზე ის გაიგებს აქვს თუ არა კანონს ძალა, თუ საჭირო იქნა ასტეხს პოლიტიკურ ბრძოლას, რათა ბოლო მოუღოს ნახშირის კომპანიის თვითნებობას. ის მონახავს ვინმეს, ვინც ასწერს საქმის ვითარებას. მისცემს ფულს, დაარსებს გაზეთს.

ხოლო უორნერს თავისი თავი უკვე კანდიდატად წარმოედგინა გუბერნატორის პოსტზე, ამხობდა რესპუბლიკანურ თაღლითობას—სულ იმის გამო, რომ ვიღაც უცნობმა მაძიებელმა მოხუცი მალაროს მუშა დასცა ქვაფენილზე და მოსტება მას ხელი.

§ 30

მაგრამ ბოლოს და ბოლოს ხოლი მაინც უნდა დაპბრუნებოდა ისევ სინამდვილეს. ის მიუჯდა მოხუცს საწოლთან და აცნობა, რომ მას მოუვიდა ძმა და ფული მოუტანა. მისი ძმა მდიდარია, ელსტრომის გადაყვანა შეიძლება საავადმყოფოში, თუ უფრო ესიამოვნება, მერი დარჩება აქ და მოუვლის მას. მათ მიმართეს ამის გამო დიასახლისს. ეხლა, უთხრა მან, პატარა სახლში ორი მდგმური ცხოვრობს, მაგრამ თუ მერი თანახმა იქნება დაიძინოს ერთ საწოლზე ორ ბავშვთან, შეიძლება მისი მოთავსებაც. მიუხედავად ხოლის წინააღმდეგობისა მერი დასთანხმდა; მან გაიგო მერის აზრი—ის მიიღებს ფულს ელსტრომისათვის, მაგრამ მხოლოდ აუცილებელი ხარჯების დასათვარავად.

ჯონ ესტრომმა, რა თქმა უნდა, არ იცოდა, თუ რა მოხდა მისი უბედურების შემდეგ. ხოლმა უამბო ყველაფერი მოკლედ, არაფერი უთქვამს მხოლოდ მალაროს მუშის თანაშემწის სასწაულებრივი გარდაქმნის შესახებ. მან აცნობა ელსტრომს, თუ რა როლი ითამაშა მერიმ გაფორცვაში; ცოტა რომ გაემზიარულებინა საბრალო მოხუცი ის უხატავდა მას თოვლივით თეთრ ცხენზე, რბილ თეთრს და ბრწყინვალე სამოსელში.

ჰო,—შენიშნა მერამ,—ის ყოველთვის გაიხსენებს ჩემს ძველ კაბას.

ხოლმა შეხედა მას; მერიზე ისევ ის ლურჯი ჩითის კაბა იყო.

— ამ ტანსაცმელში არის რალაც იღუმალეა, სოქვა მან.—ის არის ფე-

საქართველოს
საქართველოს

რის სამოსელი, რომელიც თავისით ისვრება, თავისით ირეცხება და უთოდდება. მართლაც რომ საკმაოა ერთი ასეთი კაბა ჰქონდეს ქალს...

— მაღაროზე ფერიები არ არიან, — უპასუხა მერიმ, — შეიძლება ვიყო მხოლოდ მე, რომელიც რეცხავს მას საღამოს, აშრობს ცეცხლზე და დილით აუთოებს.

ქალმა ეს სიტყვები წარმოსთქვა თამამად და მზიარულად, მაგრამ ავადმყოფმა მოხუცმაც კი შეამჩნია, რომ რაღაც ტრაგედია არის იმაში, როდესაც ახალგაზდა ქალს თავისი ახალგაზღობისა და სიყვარულის საუკეთესო ხანში აქვს მხოლოდ ერთად ერთი ტანსაცმელი. მან შეზედა ახალგაზღობს და რომ შენიშნა თუ რა ინტერესს იჩენენ ისინი ერთმანეთისადმი, მას მოეხურვა ყოველივე ეს იდილიურად წარმოედგინა, ისე როგორც მის მოხუც ბუნებას შეეფერებოდა.

— შეიძლება მას მალე ფლერ დ'ორანეი დასჭირდეს! — წარმოსთქვა მან სუსტი ხმით.

კარგი, გეყოფათ! — გაიცინა მერიმ.

— რა თქმა უნდა, — საჩქაროთ ჩაურთო ხოლმე, — ის თვითონ წააგავს ყვავილს! მაღაროების ვარდი რომელიც პოეტების წიგნებში იწვევს კამათს: ერთნი ამბობენ, რომ ის უნდა დარჩეს ბუჩქზე და ჰყვოდეს, მეორენი — რომ ის უნდა მოსწყვიტონ, ვიდრე დაჰქნებოდეს; დრო არ ითმენს.

— თქვენ როგორღაც გერევათ, — უთხრა მერიმ. — სულ რამდენიმე წუთის წინ შე თეთრ ცხენზე ვიჯექი...

— აგერ ამას წინაღ თქვენ კიდევ კიანქველა იყავით, მერი, — შენიშნა ელსტრომმა.

მისი სახე სერიოზული შეიქნა, ერთია იმისი პირადი ტრაგედიის გამო სიცილი, ხოლო მეორე — ჩაშლილი გაფიცვის გამო.

— პო, მახსენდება, თქვენ ამბობდით, რომ მე მუშათა რიგებში დავრჩები, თქვენ უფრო კეჟიანი იყავით, ელსტრომ.

— ეს წლებს მოაქვს თან, მერი. — მან გაუწოდა ქალს თავისი გაძვალტყავებული ხელი.

— თქვენ ასეთი დარჩებით, მერი, — თქვენ ხომ კავშირის მუშაკი ხართ? — დიახ, — სწრაფად უპასუხა მან და მისი რუხი თვალები განათდნენ.

— ამბობენ, — სთქვა მან. — თუ გაფიცული ხარ, ყოველთვის გაფიცული იქნები. იფიქრეთ, მერი; როდესაც დადგება დიადი გაფიცვის ეამი, თქვენ ხომ ერთი მათგანი იქნებით, ვისგანაც მაღაროს მუშები შველას მოელოიან? შე მაშინ აღარ ვიქნები, ეს ვიცი მე; ახალგაზღობამ უნდა დაიჭიროს ჩემი ადგილი.

დიასახლისი, რომელიც თავის ბავშვების დასახედავად წავიდა დაბრუნდა: კარებში ვილაც კაცი კითხულობს, ჩემი ძმა აპირებს თუ არა გამოვლასო, ს თქვა მან. ხოლს უცებ გაახსენდა, რომ ედუარდი ქვემოთ დასეირნობს მის მლოლოდინში, მისი ერთად ერთი კომპანიონი არის „კომივიოიატორი“.

მისი გადაწყვეტილება, რომ პედროში დარჩენილიყო საკმაოდ შეირყა



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

უამისოდაც; ეხლა ის სავსებით გაქარწყლდა, და ხოლმე დანახა თუ რა რთულია ცხოვრება და როგორ იბრძვიან მასში სხვა და სხვა მოვალეობანი. მან ერთხელ კიდევ დაარწმუნა მოხუცი მალაროს მუნა, რომ იზრუნებდა მასზე. შემდეგ ეს გამოეთხოვა ედსტრომს.

მერიმ ააცილა ხოლი კბემდე. მან აიღო ხელში მისი დიდი ტლანქი ხელი — ამ შემთხვევაში ხომ არაეინ ხელაედა მათ.

— მერი, იცოდეთ, რომ მე არასოდეს არ დავიფიწყებთ თქვენ, არასოდეს მალაროს მუშებს არ დავიფიწყებ.

— ოჰ, ჯო! — წამოიძახა მან, — მხოლოდ სხვამ არაეინ წაგვართვას თქვენი თავი; თქვენ მეტად საჭირო ხართ ჩვენთვის!

— მე მხოლოდ ცოტა ხნით ვბრუნდები სახლში, — სთქვა მან, — მაგრამ დარწმუნებული იყავით, რომ როგორც არ უნდა მოეწყოს ჩემი ცხოვრება, ყოველთვის ვიბრძოდებ მუშებისათვის. ხოლო როდესაც დაიწყება დიადი გაფუცვა რომ ღსაც ჩენ ნახშირის ქვეყანაში ველით, მაშინ მე აქ ვიქნები, რომ მეც მონაწილე ვიყო მასში.

— რა თქმა უნდა, ძვირუასო, — და მერიმ თამამად შეხედა მას თვლებში. — მშვიდობით, ჯო, სმიტ!

მისი თვალები გაუნძოეველად იყურებოდენ, მაგრამ ხოლმე შეამჩნია თუ როგორ შეთრ-ოლდა მერის ხმა, და მას ისევ მოუნდა ახალგაზდა ქალის მოხეენა. ხოლმე იცოდა, რომ მას უყვარდა ჯესი არტური, და ვაიხსენა ერთი კითხვა, რომელიც მას მერიმ მისცა: განა შეუძლია მას ერთსა და იმავე დროს ორი ქალის სიყვარული? ეს აშკარად ეწინააღმდეგებოდა ზნეობის ყველა კანონებს, რომლებიც მან იცოდა — და ეს მაინც ასე იყო!

§ 31.

ხოლმა ნახა, რომ მისა ძმა მოუთმენლად დასეირნობდა ქუჩაში წინ და უკან; „კონივიოიაეორმა სცადა საუბარის დაწყება მასთან, მაგრამ ედუარდმა შეუქცია, რომ მოშორებოდა თავიდან.

— მხათ ხარ თუ არა ბოლოს და ბოლოს? — შეეკითხა გაბრაზებული ედუარდი.

— კი, ვკონებ. ხოლი ჰგრძნობდა, რომ ამბავი ედსტრომის მოტეხილი ხელის შესახებ არ მოახდენს ედუარდზე არავითარ შთაბეჭდილებას.

— მაშ, თუ ღმერთი გწამს გამოიკვალე ტანსაცმელი და წაეიდეთ სასადილოდ.

— კარგი.

ხოლის ხმა მოდუნებული იყო და ედუარდმა გამოამცდელი თვალით შეხედა მას. მთვარის მკრთალ შუქზედაც კი შესძლო მან უნცროსი ძმის სახეზე ნაოქები აღმოეჩინა და ფართო რგოლები თვალზე ქვეშ. ედუარდმა პირველად გაიგო თუ რა ღრმად შეჭრილან მის სულში უკანასკნელი დღეების შთაბეჭდილებანი.

— საბრალო ბიჭო! — გულაჩვილებით წარმოსთქვა მან. მაგრამ ხოლმა



არ უპასუხა; მას არ უნდოდა თანაგრძნობა—ამ წუთში მას საერთოდ არაფერი არ უნდოდა.

ედუარდმა ჟიმედოდ ჩააქნია ხელი. გზაში ედუარდი ცდილობდა მოენახა სალაპარაკოდ თემები და უამბო ძმას, რომ მან იყიდა მისთვის კოსტიუმი.

— შეგიძლია არ დამიმაღლო, — მოლუსულად დაუმატა მან, ედუარდს არაფერად მოსდიოდა კეუაში უესტერნ სიტიში ვილაც მაწინწალასთან ერთად წასვლა.

ახალგაზრდა მალაროს მუშამ მიიღო ვანა პირველი, ამდენი ხნის განმავლობაში. (არასოდეს ხოლ უორნერი ნებას არ მისცემს, მისი თანდასწრებით ქალებმა ილაპარაკონ იმის შესახებ რომ ლაიბ ლატაკებს შესძლებოდა ხელები მაინც ჰქონოდათ სუფთა)! მან ვაიპარსა წვერი, დაიწმინდა ფრჩხილები, დაივარცხნა თმები და გამოეწყო, როგორც ბატონი. მიუხედავად მთელი მისი ნაღვლისა, ამან სარგებლობა მოუტანა მას; ხოლს დაუბრუნდა წინანდელი სიმკვირცხლე. ეს მეტად საამური გრძნობა იყო — გრძნობა, რომ ისევე ჯენტლმენურად იყო ჩაცმული. მას გაახსენდა ერთი მოხუცი ზანგის სიტყვები. რომელიც ამბობდა, რომ ის განზრახ ირტყამს თითებს, ვინაიდან შემდეგ ძალიან სასიამოვნოა, როდესაც ტკივილი გაივლის.

ისინი გაემართენ რესტორანის საქმენულოდ. გზაში ედუარდი კიდევ ერთ უსიამოვნობას წააწყდა. ხოლმა დაინახა მათკენ მომავალი მალაროს მუშა, გაჩერდა და შესძახა: „მიკე!“ მას თითქოს მთლად დაავიწყდა, რომ ის ჯენტლმენია, და მოხუც მუშასაც დაავიწყდა ეს. ერთ წუთს მიკე გაოცებით მიაჩერდა ხოლს, შემდეგ ეცა, მოეხვია ყელზე და ჩაბლუჯა, როგორც დათქმა.

— ჩემო ბიჭიკო! ჩემო თანაშემწევ! — დაიყვირა მან და, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ურტყამდა ზურგზე ხელს.

— ღმერთის მადლმა! ახ, შე ვირიშვილო, შენა! შემდეგ მან ბანჯგელიანი კოცნით დააჯილდოვა იგი!

გახარებულმა მიკემ მაინც შეამჩნია ის ცვლილება, რომელიც მის თანაშემწეში მომხდარიყო. ის ერთი ნაბიჯით გაშორდა მას და განცვიფრებით დაუწყო თვალეირი.

— რა მშვენიერი კოსტიუმი გაცვია! რა მოგივიდა? გამდიდრი?

აშკარა იყო, რომ მოხუცს არაფერი არ გაეგონა ხოლის საიდუმლოების შესახებ.

— კი, კარგად წავიდა ჩემი საქმეები—უპასუხა მან.

— რას აკეთებდი?

— ვაწყობდი გაფიცვას ნორტ-ვალში.

— როგორ? გაფიცვაში ფული იშოვე?

ხოლს გაეცინა, მაგრამ მეტი განმარტება აღარ მისცა.

— შენ რას აკეთებ?

— მეც გაფიცული ვარ; გაფიცული ვარ ცალკე.

— სამუშაო არა გაქვს?



ქართული ენის ეროვნული ბიბლიოთეკა

— ორი დღე ვმუშაობდი რკინის გზაზე, რელსებს ვსწორებდი და ვიღებდი დღეში ოცდა ხუთ ცენტს. ეხლა კი სამუშაო არ მაქვს.

— შეეცადე, რომ მაღაროებზე გეშოვა სამუშაო?

— როგორ? მე? ისინი ხომ მიცნობენ მე კარგად. ვიყავი ზევით სან-ხო-ზეში. მაღაროს გამგემ მითხრა: „მოსორდი თავიდან, შე ბებერო მოამბოხე! ამ ოლქში შენთვის სამუშაო არ იქნება!“

ხოლმა დაკვირვებით შეხედა მიკეს და დაინახა, რომ მისი მზიარული, ქუჩუიანი, ბებერი სახე გაფითრებული იყო და ამ სახის გამომეტყველება არ შეეფერებოდა მის მზიარულ სიტყვებს.

— ეხლა ჩვენ სწორედ სავაზშოდ მივდივართ, — უთხრა ხოლმა. — არ გინდა ჩვენთან წამოხვიდე.

— რა თქმა უნდა, — უპასუხა მიკემ. — უკანასკნელ ხანებში მე არც თუ დიდი სმა-კაბა მჭონია.

ხოლმა გააცნო „მისტერ ედუარდ უორნერი“, რომელმაც უთხრა „გამარჯობათ“, და ფრთხილად ჩამოართვა მოხუც სლოვაკს დაკოკრილი ხელი, მაგრამ უკმაყოფილების გამოხატულება მაინც ვერ მოიშორა სახიდან. ის ჰკარგავდა ყოველგვარ მოთმინებას. მას იმედი ჰქონდა წესიერი რესტორანის და კარგი ვაზშაპის, ეხლა კი ყველაფერი უგემურად მოეჩვენება, თუ ეს ქუჩუიანი მოხუცი მის პირდაპირ დაჯდა.

ისინი შევიდნენ ღამის რესტორანში. ხოლმა შეუკვეთა თავისთვის და მიკესათვის ბუტერბროდები ყველით და რძე. ედუარდი იჯდა ამ დროს და ჰკვირობდა, თუ როგორ შეუძლია მის ძმას ასეთი რამეების კაბა. ძველი მეგობრები უზიარებდნენ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს; მოხუცი ირტყამდა მუხლებზე ხელს და აღტაცებული იყო ხოლის საქციელით გაფიცვის დროს.

— ყოჩაღ! — წამოიძახა მან, შემდეგ მიმართა ედუარდს:

— კარგი ბიჭია, არა? და მან დაუტლაშუნა ხელი ედუარდს მხარზე. — ღმერთმანი ჩემი თანაშემწე თავს არავის დაჩაგვრინებს!

ხოლმა მივე სიკორია უკანასკნელად ნორტვალის სატუსალოს სარკმელში დაინახა, სადაც ის ხოლის პროკლამაციების გავრცელებისათვის ჩასვეს. მაღაროს პოლისმენმა წაათრია ის თავლაში, რომელიც ელექტრონის სადგურს უკან იყო, სადაც უკვე იმავე პროკლამაციების გავრცელების გამო დაპატიმრებული კაუზერი და კალოვაკი იმყოფებოდნენ.

მივე მისთვის ჩვეულებრივი სიმკვირცხლით წვრილად უამბობდა, — რე, მისტერ ბუდ, — ვუთხარი მე, — თუ თქვენ აქედან გაგდებას მიპირებთ, მე წინდაწინ მოვიტან ჩემს ბარგს. — ეშმაკმა გზიდოთ თქვენ თქვენის ბარგით, — მიპასუხა მან. მე ვუთხარი — მისტერ ბუდ, მე მოვითხოვ, რომ მომცეთ დრო ახალი ადგილის მონახვამდე.

— აი ეს თქვენ! — ამასთან მან მკრა ხელი და დამცა ძირს. შემდეგ ამაყენა და გამაგლო ქუჩაში, სადაც მე დიდი ავტომობილი დავინახე და ვსთქვი: „ღმერთო ჩემო! ავტომობილით მომიხდება მგზავრობა! მე, სამოცდახუთმეტი

წლის მოხუცს, რომელსაც არასოდეს ავტომობილით არ მიგზავრია!* ჩვენ მოვ-
დივართ ძირს კანიონით, საამური ნიაფი მიბერავს სახეზე და ვამბობ:

— ეს დიდი სიკეთეა თქვენის მხრით, მისტერ ბუდ, მე არასოდეს არ და-
მავიწყდება ეს ავტომობილი, ჩემს სიცოცხლეში ასეთი საამური განცდა არა
მქონია. მან კი ამაზე მიპასუხა: „ჩაიწყვიტე ხმა, ბებერო ძაღლო!“ ჩვენ გავი-
არეთ პრუსია, ავედით შავ მთებზე, ავტომობილი გაჩერდა. „გადმოეთრით
თქვე ძაღლო-მამაძაღლებო!“ და ისინი გვტოვებენ იქ მარტო. „თუ დაბრუნე-
ბულხართ და თვალი მოგავლეთ სადმე, იცოდეთ, რომ გამოგშიგნავთ“. ისინი
გაბრუნდნენ, ჩვენ კი ფეხით უნდა გვევლო შეიდი საათი, რომ რაიმე საცხოფ-
რებელ ბინამდე მიგვებწია. მაგრამ ეს ჩემთვის სულერთი იყო, მე ვითხოვე საქ-
მელი და ვიშოვე რკინის გზაზე სამუშაო. მე ვნადვლობდი მხოლოდ, რომ შენ
ველარ გნახავდი, მე ვფიქრობდი, დავკარგე ჩემი თანაშემწე და ვერასოდეს ვე-
ლარ ვნახავ მეთქი აწი.

მოხუცი გაჩუმდა და სიყვარულით შეხედა ხოლს.

— მე მოგწერე ნორტ-ვალში წერილი, მაგრამ პასუხი ვერ მივიღე და
გამოვიარე მთელი ეს გზა, რომ შენახე სადმე.

ხოლს აკვირვებდა, თუ როგორ მოხდა ყოველივე ეს. ნახშირის ქვეყანაში
მხოლოდ საშინელებანი ნახა მან—და აი, ის არ არის გახარებული მით, რომ
სტოვებს ამ დაწყველილ ადგილს. მას დააკლდება მოხუცი მიკე სიკორია,
დააკლდება მისი ბანჯგვლიანი კოცნა, მისი დათური მოხვევანა.

მან ძალიან გააოცა მოხუცი, როდესაც ოც დოლარიანი ქალაღლის ფული
აჩუქა, შემდეგ მისცა მერის და ელსტრომის ადრესი და ბარათი იოვან ხარტ-
მანთან, რომელმაც შეიძლება გამოიყენოს ის ქალაქში მყოფი სლოვაკების შო-
რის სააგენტაციოდ. ხოლმა აუხსნა, რომ ამ ღამით ის უნდა წავიდეს უესტერნ
სიტიში. უთხრა, რომ ის არასოდეს არ დაივიწყებს თავის მოხუც მეგობარს
და ეცდება უშოვოს მას კარგი ადგილი. თავის გულში ის უკვე არჩევდა მი-
კესათვის შესაფერ ადგილს მამის მალარობებზე. მოშინაურებული დათვი!

მოვიდა წასვლის დრო; შავი ვაგონები შემოგორდნენ სადგურის ფერდულ-
ში. უკვე გვიან იყო—ნაშუალამევი, მაგრამ მოხუცი მიკე პლატფორმაზე იყო
გაჩერებული. ის ცოტა არ იყოს შემკრთალი იყო ხოლის წინაშე, რომელსაც
ახალი კოსტიუმი ეცვა და ბევრი ფული ჰქონდა, მაგრამ გრძობამ მაინც
აჯობა და ის ერთხელ კიდევ გადაეხვია მას და აკოცა თავისი ბანჯგვლიანი
კოცნით.

— კარგად იყავი, ჩემო პატარა თანაშემწე!—წამოიძახა მან.—დაბრუნ-
დი კიდევ!—მე ჩემს თანაშემწეს არ დავივიწყებ!

როდესაც მატარებელი დაიძრა, ის გაეკიდა უკან მას პლატფორმაზე ძვე-
ლი ქუდის ქნევით, რომ უკანასკნელად კიდევ მოეკრა მისთვის თვალი, უკა-
ნასკნელი „მშვიდობით“ ეთქვა. როდესაც ხოლი კუპეში შევიდა, მის თვალბ-
ში ცრემლები იყო ჩამდგარი.

კრიტიკა მხატვრობა
და
კუბლიცისტიკა

რეპოლიუციის და ხელშეწყობა

(გაგრძელება იხ „მნათობი“-ს № 5-6).

III

ამ საქმით დიდი ექსკურსიის შემდეგ გადავადეთ „ყანწელების“ ორდენის მეთაურ გრ. რობაქიძეზე.

გრ. რობაქიძე ჩვენ მიგვანია ამ ორდენის მეთაურათ იმიტომ კი არა, რომ იგი სხვა მის ამხანაგებზე უფრო ნიჭიერი იყოს. პირიქით, „ყანწელებს“ შორის ჩვენ უფრო ნიჭიერი პოეტებიც გვევლიება, რომლებსაც აღბათ თავის დროზე გავეცნობით...

მაგრამ გრ. რობაქიძე მაინც უდიდესი „ყანწელია“, პირველად იმიტომ, რომ იგი ასეთად მიიღო თვით დასახელებულმა ორდენმა; მეორედ იმიტომ, რომ გრ. რობაქიძე ათი წლით ადრე „ყანწელების“ დაბადებამდე ნამდვილი „ყანწელი“ იყო. დასასრულ გრ. რობაქიძე ყველა თავის ამხანაგებზე ნაყოფიერი მრავალმხრივი მწერალია.

• ის სწერს ლექსებს, პოემებს, დრამებს; დასწერა რომანი „გველის პერანგი“, სწერს პუბლიცისტურ სტატიებსა და კრიტიკულ წერილებს... სწერს ბევრს და ეს კი დიდი საქმეა.

დიდი ხანია რაც რუსთაველმა მწერლებს დაუკანონა:

„მოზაირე არა ჰქვია თუ სადმე სთქვა ერთი, ორი.

თავი ყოლა ნუ ჰგონია მელექსეთა კარგთა სწორი“.

ჩვენში ამ კანონს ბევრი ივიწყებს. ჩვენ ერთობ ბევრს ვიცნობთ ისეთ მწერალს, რომელსაც თავის სიცოცხლეში ერთი-ორი რამე „უხსავასო და შორი შორი“ დაუწერია და ყურთა სმენა მიაქვს: „უცილობლობს, ვითა ჯორი“.

„ყანწელების“ პოეტების უმრავლესობაც ამ უკანასკნელი ჯურის მწერალთა რიცხს ეკუთვნის.

ამიტომ, ვისაც ამ ორდენის გაცნობა სურს, მან გრ. რობაქიძეს უნდა გავეცნოს... და ჩვენც „ყანწელების“ გაცნობას გრ. რობაქიძით ვიწყებთ და ჯერ-ჯერობით რობაქიძითვე ვავათავებთ.

ერთი შენიშვნაც: ამ დროებოთ ჩვენ არ მიგვანია საჭიროთ გრ. რობაქიძის ყველა ნაწერების გარჩევა. ჩვენი მიზნისთვის „გველის პერანგიც“ საქმია.



ქართული

საგარეო-სივანით

ამ რომანში ჩვენს წინაშე მთელი თავისი აზოვანებითა და სიგარმე-სივანით სდგას გრ. რობაქიძე და მასასაღამე „ვა. წიგნების“ მთელი ორდენიც.

* * *

გრ. რობაქიძემ „გველის პერანგით“ თავსატეხი ამოცანა მისცა ქართულ მწერლებს. ვამბობთ: მწერლებს და არა მკითხველებს, რადგანაც ჯერ ჩვენ არ შეგვხვედრია ისეთი მკითხველი, რომელსაც ეს რომანი წაეკითხოს და არა იმი-მიტომ, რომ მისი წაკითხვის სურვილი არ ჰქონდეს, არამედ იმიტომ, რომ, როგორც ბევრისაგან გაგვიგონია, შიგ ვერაფერი ვაუგიათ და თავი მიუხედავებით...

არა თუ უბრალო მკითხველი: სანაძღლოს ვდებთ, — თუ ვინმე დაგვისახელებს ისეთ ქართულ მწერალს, — „ყანწილები“, რა თქმა უნდა, სახეში არა გვეავს, — რომელსაც „გველის პერანგი“ თავიდან ბოლომდე წაეკითხოს.

პირადათ ჩვენ არ ვიცით არც ერთი ისეთი მწერალი, რომელმაც ახალი ლიტერატურის შესახებ ლაპარაკის დროს რაღაც მორიდებით, ან, როგორც, იმერეთში იტყვიან: „შიშ-კალიფათ“ არ შემოგაპაროს სიტყვა:

— გეთაყვა, მითხარით; „გველის პერანგი“ წაიკითხეთ? თუ წაიკითხეთ, რაშია საკმე?

თუ ასეთ კითხვაზე გულახდილად უპასუხეთ:

— ვერ წაეკითხე. დავიწყე კითხვა, მაგრამ ბოლომდე ვერ გავითავე რადგანაც მისი წაკითხვა წისკელის ქვის კოდებაზე უფრო ძნელი საკმეაო, — თქვენი თანამოსაუბრე უფრო გაბედულად, მაგრამ მაინც ჩურჩულით, ცალ უბაზე ხელის მიფარებით, თითქოს ეშინია — ასეთი ლაპარაკი არაეინ გამიგოსო, მოვიგებთ:

— ვერც მე წაეკითხე. დავიწყე კითხვა, მაგრამ ბოლომდე ვერ მივედი. კალიერი სიტყვების რაზა-რუხიაო...

გრივოლ რობაქიძის „გველის პერანგის“ შესახებ მეორე აზრი არ არსებობს. ყველა ასე მსჯელობს მასზე.

ჩვენში არ არსებობს ლიტერატურული კრიტიკა. ამიტომ არის, რომ ჩვენში ერთმანეთში არის არეული ერთის მხრით დაცემულობის ეპოხის დამახასიათებელი ლიტერატურა, მეორეს მხრით — მარქსისტული და საერთოთ ის ახალი ლიტერატურა, რომელიც მოგვცა რევოლიუციამ და რომელსაც ჩვენ კვლევა-ძიებისა და ავტოცია-პროპაგანდის ლიტერატურა ვუწოდებთ.

ყველა მიმართულებისადმი ასეთი სტუმარმოყვარეობა ჩვენ მეტის-მეტად სასურველად და თანაც ბრძნულ იქტად მიგვანია ხელისუფლების მხრით.

მე პირადათ დიდ დამსახურებად მიმაჩნია ეურნალი „მნათობის“ მხრით, რომ მან ასეთი სტუმართმოყვარეობის პოლიტიკა ირჩია ხელოვნების სფერო-ში და ყველა მიმართულების მწერლებს შეძლება მისცა თავისი ნიჭი გამოეჩინათ, თავისი აზრი გამოეთქვათ...

* * *

მაგრამ ამ მხრით მგონი ნამეტან გადაჭარბებას აქვს ადგილი.

საქმე იმაშია, რომ ამ გადამეტებული სტუმართმოყვარეობის პოლიტიკამ, როგორც ზემოთ დავინახეთ, კიდევ უფრო აუზნია გზა-კვალი რევოლუციის მიერ ისედაც თავ-ზარ დაცემულ ძველ მწერლებს.

და რაც კიდევ უფრო მავნებელია: ამ სტუმართმოყვარეობამ გზა-კვალი აუზნია ჯერ კიდევ მეტიმეტად სუსტს ახალ პროლეტარულ მწერლებსა და მწერლობას...

... პროლეტარული მწერლისათვის ერთი რამ უცილობელი კვამარტებაა: წიგნს, რომელსაც სახელმწიფო გამომცემლობის ბეჭედი აზის, სტატიებს, ლექსებსა თუ მოთხრობებს, რომლებიც „მნათობში“, და სხვა ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებიან, ახალი დროისა და გარემოების შესაფერ ნაწარმოებათ თვლის, ახალი საზოგადოებრივობის გამოშხატველად მიაჩნია.

ამიტომ არის, რომ ის პროლეტარული მწერლები, რომლებიც არსებითად შეურიგებელი მტრები უნდა იყვენ „ყანწელებისა“, იმავე დროს „ყანწელებს“ ბაძავენ.

ტყუილად კი არ გაჰკვივიან „ყანწელები“:

გვიშველეთ! გვძარცვავენ ყოველ დღე სახეებში, რითმებში, ლექსებშიო... მაგრამ მარტო გარეგანი მხრით ბაძვენ „ყანწელებს“ პროლეტარული მწერლები?

მარტო ეს რომ იყოს, აბა რაღა გვეთქმოდან? „ყანწელებში“ ფორმის მხრით ჩვენ ბევრი კარგი პოეტი გვეგულება. რა გვექნებოდა იმის წინააღმდეგ, რომ ჩვენმა ახალგაზრდა პოეტებმა ამ მხრით მათ მიბაძონ.

მაგრამ უბედურებაც იმაშია, რომ იმათ ბაძვენ არა მარტო გარეგნულად, არამედ იდეოლოგიურადაც.

უფრო მოხერხებულ დროს, ჩვენ ვეცდებით უფრო დაწვრილებით შევვხოთ ამ, ყოველ შემთხვევაში, არა სასიამოვნო და თანაც არა ბუნებრივ მოვლენას. ახლა კი მხოლოდ „ყანწელების“ იდეური გავლენის ერთ პატარა ნიმუშს მოვიყვანოთ.

ე. პოლუმორდვინოვი „ახალგაზრდა კომუნისტში“ ბეჭდავს თავის ლექსებს. მაშასადამე ის პროლეტარული მწერალი და თანაც ახალგაზრდა კომუნისტი.

აიღეთ და გადაიკითხეთ მისი ლექსი: „მე და ქვეყანა“, რომელშიც ასეთ ტაბებს ნახათ:

„გადმოიშალა ცა მრავალფერად
 ღამეს სინათლე გადააღია;
 თითქოს სიცოცხლე გადმოაფინა,
 მაგრამ ჩემი და მაინც მკვდარია...
 მალა მთვარე და ლურჯი ზღვა არის,
 სჩანს ვარსკვლავების მრავალი წყებაც,—
 მაგრამ სად არის ჩემი საზღვარი,
 ან ჩემი ბინდი სად ჩამოწვება?!
 მარტოდ გიცქერი, მზეო, ქვეყანავ,

და მენატრება ჩამოხნელება,
გადაათარე ნილაბი შავად,
რომ აღარ სჩანდეს ალმას გველები.
შენ კი გაშლილხარ ძველი დარდით
თავისუფლების უკვდაო კუბოვ....

(იხ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, № 131, 1926 წ.).

ასეთ სასოწარკვეთილებას განიცდის ახალგაზრდა კომუნისტი ე. პოლუმორდვინოვი. მას ენატრება ჩამოხნელება. თანამედროვე საზოგადოებრივობა მისთვის თავისუფლების უკვდავი კუბოა.

აბა რითი არა გავს პროლეტარული მწერალი პოლუმორდვინოვის იდეოლოგია, თუ გნებავთ იმავე რაჟდენ გვეტაძის იდეოლოგიას? რითი განსხვავდება ახალგაზრდა კომუნისტის ზემოთ მოყვანილი ლექსი რაჟდენ გვეტაძის შემდეგი ლექსიდან:

...ჩვენ კი მდულარე ცრემლების ფრქვევით

ლამის ჩავეიჭრეს თვალთა ბაია.

...ჩვენს სულს გარიყულს არაეინ იცავს

არაეინ არი გვაპუროს ცვარი.

არ გვახსოვს ჩვენ ჯერ დღე უნაკლულო,

ახლაც იმიტომ გამოვიტყვით.

იტირე გულო... გულო დაკლულო.

ასე მგონია ლოდად იქეცი...

ან ტიციან ტაბიძის სასოწარკვეთილ ლექსს:

„...სული დააღპეს და მერე ძორი—

ძორიც ძერებმა გამოათავეს“...

როგორც ხედავთ, იდეოლოგიურად არავითარი განსხვავება არ არსებობს ცხოვრება მოყირკებული, „მღვრიე აბსენტით მთერალი“, დაქანებულ „ყანწელებსა“ და ახალგაზრდა კომუნისტი პოლუმორდვინოვის შორის.

ხელოვნების მხრით განსხვავება დიდია. მაგრამ ეს განსხვავებაც მხოლოდ „ყანწელების“ სასარგებლოდ ლაპარაკობს.

დასკვნა სამწუხაროა. მაგრამ ეს ასეა.

ვინ არის აქ დამნაშავე?...

დამნაშავეა გადამეტებული სტუმართმოყვარეობა.

... ჩვენ სრულიად დაგვაიწყდა ის უცილობელი კეშმადიტება, რომ ხელოვნება იგივე პოლიტიკური ბრძოლის იარაღია და თანაც მეტისმეტად ბასრი და მჭრელი იარაღი. იგი კიდევ უარესია პუბლიცისტიკაზე: პუბლიცისტურ წერილს, რაც უნდა ნიჭიერადაც იყოს იგი დაწერილი, ათში ერთი თუ წაიკითხავს. ხელოვნურად დაწერილს კი ყველა კითხულობს...

არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ აზროვნება პოეტური ფორმების საშუალებით უფრო ვრცელდება, ვიდრე უბრალო მშრალი დეკლარაციების საშუალებით.

როცა ამას ელაპარაკობთ, ჩვენ სულაც არ გვაქვს სახეში, რომ იმ მიმართულების მწერლებს, რომლებიც ჩვენ „დაცემულობის“ მოციქულებათ მიგვაჩნია, წერის საშუალება წაეართვათ.



სრულიად წინააღმდეგ: ჩვენ მომზრე ვართ მისი, რომ რაც შეიძლება მეტი საშუალება ჰქონდეთ მათ თავისი აზრების გამოთქმისა...

უნდა არსებობდეს ბრძოლა ხელოვნების სხვა და სხვა მიმართულება შორის. უნდა იყოს კრიტიკა...

საშიშოვოება მხოლოდ იმაშია, რომ დღეს ყველა მიმართულება ერთსა და იმავე გამოცემებშია არეული. არაეინ არ იცის სად თავდება ერთი მიმართულება და სად იწყება მეორე.

სახელგამმა უნდა გამოსცეს რომაქიძის დრამები—მაგრამ ამ დრამებს ახსნა-განმარტება ესაჭიროება. მკითხველს უნდა ჰქონდეს მათი კრიტიკული გარჩევა. უამისოთ კი სახელგამის ბეჭედს მხოლოდ შეცდომაში შეჰყავს მკითხველი და ახალგაზრდა მწერლებიც.*)

* * *

დაეუბრუნდეთ გრიგოლ რომაქიძეს და მის „გველის პერანგს“.

„გველის პერანგის“ ფაბულა ასეთია:

მე-VI საუკუნის მეორე ნახევარში (575 წელს) საქართველოში გარდაცვლილა ვინმე თავადი ირრუბაქიძე, რომელსაც თურმე თავის გვარი ქალღეიდან გამოჰყავდა.

გრ. რომაქიძე გვაცნობს ამ გვარის წარმომადგენლებს საქართველოს ისტორიის სხვა და სხვა ეპოქაში.

იგი მოგვითხრობს, რომ „წმ. გრიგოლ ხანჭთელის ცხოვრების დროს“ ყოფილა ვინმე რაღამე ირრუბაქიძე, კაცი „აზოვანი, ფიცხი, გადამლახველი“. ერთი სიტყვით ისეთი, რომლის მსგავს ტიპებსაც თვით შექსპირის ტრალედიებშიც ვერ შეხვდებით...

ყოფილა ისეთი რელიგიოზური ექსტაზით გატაცებული ირრუბაქიძეც, რომელიც წასულა სამშობლოდან ესპანიაში იმ მიზნით, რომ ფეხები დაეკოცნა იქ მცხოვრებ მამა იოანე ბერისათვის და იქედან უკან არ დაბრუნებულა.

თამარის დროსაც ყოფილა ერთი ირრუბაქიძე, რომელსაც ყოლია ცხენი „ფაშატი მეწამული, რომელზეც მის მეტი ვერაფერს შეჯდებოდა“ და ეს ფაშატი მას, მისი სურვილის წინააღმდეგ, დედოფლისთვის მიუერთმეფია.

ამავე გვარის წარმომადგენელს, როგორც დიდ მეომარს, ავტორი გვიხატავს თამარის შემდეგ ეპოქაშიც, მონღოლების შემოსევის დროსაც...

ეს უკანასკნელი ირრუბაქიძეა და იგი ჩვენთვის უფრო საყურადღებოა ამ რომანის და მისი ავტორის იდეის გასაგებად.

ამ უკანასკნელ ირრუბაქიძეში ავტორი ერთად უყრის თავს ამ ძველისძველ გვარის ყველა დამახასიათებელ ათვისებებს. ამიტომ შევჩერდეთ უფრო დაწვრილებით ამ უკანასკნელ ირრუბაქიძეზე.

ავტორს სურს დაგვარწმუნოს, რომ ირრუბაქიძის გვარი მზის ნათესავი იყო. ეს იყო:

*) ამ ნაწილში გამოთქმულ მოსაზრებებს რედაქცია სავსებით არ იზიარებს.



კაცი ფიცხი, ჰგავდა სახით და ხასიათით ძველ ირრუბაქიძეს, სწერდა ლექსებს. ერთი ასეთი ლექსი გადარჩა დალუპვას— „ირრუბაქიძის ხასა“. უყვარდა მასაც მოსე და პითაგორ. მკერდის შუაულზე მასაც ხალი ჰქონდა: მზის ნიშანი. ამბობდა: მისი გვარი მზის თესლისაა: მზესავით ცხელი—მზესავით ნათელი—მზესავით გაბელებული—მზესავით მართალი.

ოღეს სიკვდილის მოახლოება იგრძნო—კავიდა აივანზე. აივანი გადაჰყურებდა თვალ უწვდენელ ველს. ველზე თვალაუყარელ სიმიანის ლუში ტბა ირბოდა...

ირრუბაქიძემ იგრძნო სიკვდილი—და კედლიდან ჟეცრად ხმალი ჩამოვრდა. ხალიბის რკინა ორად გადატყდა. ირრუბაქიძემ იგზნო უჩვეულო: თითქოს მასში გვარის ხერხემალი გადაიმტერა. სიკვდილის წინ თვალუწვდენელ სივრცეს საშინელი სიტყვა გადაჰკივლა: სიტყვა „მამალი ცეცხლის“ ქალღვევლთა.

ამ დროს თავლაში წითელი ფაშატი ამორგდა. მოსწყდა ბაგას და გარედ გავარდა. თავადი ხედავს: რომ ცხენი გაბელებულა და ცნობს დაილუპება. ფაშატს თავადის ხასა დაედევნება: ჩერქეზის ქალი თმაწითელი. ცხენს ქამანდით დაიპერს. მოახტება უბელოს და მდინარისაკენ მიუშვებს გააფთრებულს. ყანა უფენს მას სილუშეს და მზე აყრის მას წეწამულს. ხოლო გაშლილი თმა ქალისა მოწყვეტილ ვარსკვლავის ღელეს გააყოლებს.

ირრუბაქიძე ტკბება თითქო—და ეროი კიდევ გადასძახებს:

მოვა დრო და საუკუნოებში ჩემით იმღერებს ვინმე.

ქალწული ცხენით ზრამზე გიდაიჩეხება. ირრუბაქიძე დაეცემა მოკვეთილი... (როგორც აქ ისე ყველგან გრ. რობაქიძის მართლწერა დაცულია.)

ასეთია უკანასკნელი ირრუბაქიძის ისტორია. ამ ირრუბაქიძით თავდება ეს დიდი გვარი. მისი ორი შვილი მაყა და ჩოლოყა იცვლიან გვარს და აძლევენ დასაწყისს საქართველოს ისტორიაში (ცნობილ ორ თავადის გვარებს: მაყაშვილებისას და ჩოლოყაშვილებისას).

ჩვენ ხაზს ვუსვამთ ამ უკანასკნელ ირრუბაქიძის წინასწარმეტყველურ სიტყვებს:

მოვა დრო და საუკუნოებში ჩემით იმღერებს ვინმე!

და მართლაც ეს ერთი ფრაზა რომანის მთელი შინაარსი თუ არ არის, მთელ რომანზე უფრო აკხადებს ავტორის მიზანს. ეს ერთად ერთი ფრაზა იმპულსი, რომელმაც აიძულა ავტორი „გველის პერანგი“ დაეწერა...

მაგრამ ამაზე შემიდგ. ჯერ კი დავუბრუნდეთ რომანის შინაარსს.

აი ამ ირრუბაქიძის გვარის ერთი ტოტი, თამაზ მაყაშვილი, ჩვენს დროში, იძულებული ხდება საქართველოდან გაიხიზნოს და თავის ერთადერთ შვილს უტოვებს უკანასკნელ თქმას, რომელშიც მოთხრობილია, როგორც ამ



გვარეულობის ისტორია, ისე ის მიზეზები, რომლებმაც ის აიძულეს სამშობლო-დან გაქცეულიყო.

რომანის გმირის მთელი საგვარეულოს ისტორია ჩვენ უკვე ვიცით. საჭიროა ამ გვარის უკანასკნელი ნაშხეფის სამშობლოდან გაქცევის მიზეზსაც გავეცნოთ...

ამ მიზეზებს თვითონ თამაზ მაყაშვილი ასე გვაცნობს თავის ბოლოსიტყვაობაში:

„მე თამაზ მაყაშვილი — გარდახვეწილი საქართველოდან — ვწერ ბოლოსიტყვას. მეც ხომ ირრუბაქიძე ვარ. ჩვენი გვარი ბოლო საუკუნოებში კახეთს დაბინაჲდა — იყალთოში. მოედვა სენი: ბნედა და შესლილობა! მამაჩემი იბერეთში გადასახლდა: საირმეს ახლო. იქაც გააქვა უბედურება. მოკვდა მამა ავი სენით. დედა ჩემი ვადაქვა ძეობას. მომიკვდა ოთხი ძმა და სამი დაჲ. მათში: ერთი ძმა მტერს შეაყვდა და მეორე ცხენით ხრამში გადაიჩნება. დებში: ერთი ქპაჩა მოჰკლა და მეორე ავმა ზნემ გააქრო. დაკაჩაქე სამი ვაჲ და ორი ქალი. ცოლიც ძეობას გადაჰკვა. დაერჩი მარტო. დაძრჩა ოთხი წლის ვაჲ. მომადგა გადაშენება. გავყიდე მაჰული გარდა ეზოთი და საჯვარეთი. მივაშურე ვერობას: საცა ყმაწვილობაში ვსქავლობდი, მყავდა სიყრმის მგვობარი ლორდკარტ. ვერობაში ვაგი თან წავიყვანე — სახელად „არჩილ“ არჩიბალდად შევეუცვალე. გვირად შეძახდენ — „მაყაში“. „მეკეშად“ „გადაეაკეთე“. სევდა აქაც მკლავდა: რალაც აუხსნელი. მომენატრა საქართველო. მოვისურვე დაბრუნება. ველარ გავბედე. შემდეგ ვაგი მეგო არს ჩავაბარე. დავეტოვე 30.000 სტერლინგი. მე კი შივალ ბასკეთის მხარეში. თუ მოერჩი — შეიღს ვნახავ. მკლავს სევდა საქართველოსი. გული იხსენებს ლამაზ ნ --- ს...“

აი ამ სამშობლოდან გარდახვეწილი თამაზ მაყაშვილის შვილი, არჩიბალდ მეკეშად გადათქმული არჩილ მაყაშვილი, არის „გველის პერანგის“ ცენტრალური თეგურა, მისი მთავარი გმირი.

* * *

არჩიბალდ მეკეში ცნობილი მხატვარია. აღზრდილ, გარეგნობით, ზნე-ჩვეულებით, — ის ნამდ ილი ინგლისელია.

მაგრამ ის ოთხი წლის იყო, როცა მამამ სამშობლოს მოაშორა. და ეს კი ერთობ დიდი დროა ბავშვის ცხოვრებაში. ამ ხნის განმავლობაში ბავშვს უკვე შეუძლია დაიხსომოს ნასმენ-ნახული...

და არჩიბალდსაც სადღაც გულის სიღრმეში ჩარჩენია სამშობლოში ჩვილი ბავშობის დროს გატარებული წუთების მოგონებები.

ეს მოგონებები სევდის ქულეზად აწვება მთელ მის არსებას, წწველი კაეშანით ავსებს მის გულს.

მას ყველა ინგლისელად იცნობს. ის მართლაც ინგლისელსა ჰგავს. მაგრამ

ქართული
ლიტერატურა

თვითონ იგი თავის თავს აგორებულ ქვეთ, ან მშობელ ნიდაგს მოშორებულ მცენარედ თვლის. ის დაშორებულია სამშობლოს. მას არა აქვს ფესვები.

ერთად ერთი არსება, რომელიც მას ქვეყანასთან აერთებს, რომელიც მას მეგობრად მიიჩნია და უყვარს—მამა... და იმანაც რალაც საიდუმლოების ბურუსში გახვია მთელი მისი არსება.

სწორედ იმ დროს როცა ბავშვი იმდენად მოჩიტდა, რომ მის მესხიერებაში წაუშლელად უნდა ჩანერგილიყო ცხოვრების სხვა და სხვა ეპიზოდები, მახლობელ პირების სახეები და სიყვარული; სწორედ იმ დროს, როცა ბავშვმა უკვე შეაჩვია ყური თავის სახელსა და გვარს, მამამ მას, თითქოს შაბედს უმაღლესო, სახელი და გვარი გამოუცვალა, სხვისი პასპორტი ჩაუდო ჯიბეში...

სამშობლოში ყველა, დაწყებული დედიდან და გათავებული უბრალო ნაცნობებით, მას ეძახდნენ: არჩილ, აჩიკო!..

შეკითხვაზე: ვინა ხარ?—ის უკვე გარკვეულად უპასუხებდა: არჩილ მყაშვილი!..

ეს მას ჩინებულად ახსოვს...

და ყოველი ამის შემდეგ ის მიყავთ სამშობლოდან, აშორებენ ტოლ-ამხანაგებს, აშორებენ საყვარელ გამდელს, მიყავთ საღდაც უცხო ქვეყანაში, უცხო და უჩვეულო პირობებში და ინგლისელად არჩიბალდ მკეეშად აცხადებენ.

აი აქ იწყება ბავშვის სულიერი ტრალედი. ამ დღიდან საიდუმლოებით არის მოცული მთელი მისი არსება. ამ დღიდან ის ცხოვრობს საიდუმლოებათა გაუფალ ტყეში...

მართალია, მამამ მას დაუტოვა თავისი აღსარება. ის კოლოფით თან ატარებს ამ საიდუმლოების გასაღებს, მამის ბოლოსიტყვას. მაგრამ მას ჯერ არა აქვს მისი გახსნის და წაკითხვის ნება... ის იტანჯება.

ასეთია რომანის ინტრიგა.

როგორც ხედავთ ნასკვი ჩინებულია. მაგრამ როგორც დაინახავთ, ავტორმა ვერ შესძლო მისი გაშლა, მისი გამოხსნა...

* * *

მაგრამ სანამ რომანის შინაარსის ანალიზს შევეუდგებოდეთ, საკიროთ მივგანჩნია აქვე სულ ორიოდ სიტყვით მაინც შევებოთ მის გარეგან ფორმას.

ცნობილია, რომ ვრ. რომაქიმეს მეტისმეტად უყვარს ორიგინალობა. ეს კარგი საქმეა, როცა მწერალი დიდი შემოქმედებითი ნიჭით არის დაჯილდოებული. მაგრამ თუ მწერალს ასეთ გადამეტებული „ორიგინალობისთვის“ ძალი არ შესწევს ქადილსა*, ის პირდაპირ სასაცილო მდგომარეობაში ვარდება: ის პრანქვა-გრეხას იწყებს, რითაც თავსაც იწვალებს და მკითხველსაც აწვალებს.

გველის პერანგი სავსეა ავტორისა და მკითხველის ასეთი წვალების ნიმუშებით, რომლიდანაც ჩვენ აქ მხოლოდ ერთ-ორს მოკიყვანთ.

მაგალითად, რომაქიმეს სურს გავგაცნოს „უცხო კაცია“, თავისი რომანის უმთავრესი გმირი, არჩიბალდ მკეეში. მის მაგივრად, რომ პირდაპირ გვითხრას რის თქმაც სურს, ის ასეთ მიკბ-მოკიბვას იწყებს:

ე. რ. მ. მ. მ. მ.
 მ. მ. მ. მ. მ. მ. მ.

უცხო კაცი არ არის: არც სპარსი არც ოსმალო არც ჰინდი არც სლავი არც ფრანგი არც გერმანელი არც ქართველი. ჰგავს მხოლოდ ინგლისელს*.

მის მაგივრად რომ მოკლედ მოსკრას: „უცხო კაცი ინგლისელს ჰგავსო“, ავტორი მოყოლია ვაუთავებელ აბრა-კადაბრას. ის დგება აქტიორის პოზაში და იწყებს სხვა და სხვა ერების ჩამოთვლას, თითქოს ეტნოგრაფიაში გამოცდას იქერსო...

მურე სად არის აქ კეშმარიტი ხელოვნება, რომლის დამახასიათებელ თვისებათ აღიარებულია უბრალოება და სიმარტივე? რომაქიძე კი ასეთი დაუსრულებელი მიკიბ-მოკიბვით აწამებს მკითხველს. წიგნის მთელ ორი ფურცლის მანძილზე მის მაგივრად, რომ პირდაპირ თქვას:

უცხო კაცი არჩიბაღდ მეკეშიაო.

ზემოთ მოყვანილი რომაქიძის ციტადა კიდევ ერთი მხრით არის საყურადღებო: როგორც მკითხველიც შენიშნავდა, „გველის პერანგის“ ავტორის მთელი რეფორმა შეაქვს წერის ტექნიკაში: ის სრულიად არ ხმარობს იმ ნიშანს, რომელსაც მძიმე ჰქვია და ურომლისოდ კითხვის დროს სიტყვები და აზრები ერთმანეთში ირევიან...

იქნება რომაქიძე ახლა მოდაში შემოსულ ეკონომიის რეჟიმს უწევს ანგარიშს, იქნება მას მძიმეების განდევნით წერის მანიპულიაციის შემცირება სურს? მაგრამ ეს რომ ასე არ არის, ამას ჩვენ ვხედავთ რომაქიძის შემდეგი ნიმუშებიდან:

„სპარსეთში სამი ქვაა ბატონი: ლალი და ფირუზი და ზურამუხტი“.

რა ბედნიერები ვართ რომ სპარსეთში ნხოლოდ სამი ქვა ყოფილა „ბატონი“ და არა ასი ახ ათასი. თორემ გრ. რომაქიძე პირდაპირ სულს ამოგვართმევდა „და“, „და“ „და“-ს ძხილით.

ეტყობა გრ. რომაქიძე თვითონაც ვრძნობს თავისი „რეფორმის“ უეარგისობას და ის ხანდისხან მძიმეს ნაცვლად დეფიზს (-) ხმარობს:

„მისი გვარი მზის თესლისაა: მზესავით ცხელი—მზესავით ნათელი—მზესავით გახედებული—მზესავით მართალი.“

მძიმეს ადგილას რომაქიძე ხშირად ორ წერტილსაც (:) ხმარობს. ის თითქმის ყველა სხვა ნიშნებს იღებს, მხოლოდ მძიმეს ხმარებას ყოველგან გაურბის. მას თითქოს ეშინია ამ პაწია, ყოველად უწყინარი და თანაც აუცილებლად საჭირო ნიშანისა.

პირდაპირ გაუგებარია ამ შემთხვევაში გადამლაზხველი გრ. რომაქიძის ასეთი შიში.

რას იზამთ? კაცია და ხასიათი. ინგლისის მთელი შეიარაღებული ძალების გამოჩენილ მთავარსარდალს კიტინერს თურმე კატის ეშინოდა. რა გასაკვირველია, „ყანწელებს“ მთავარსარდალს რომ მძიმესი ეშინოდეს?

გრ. რომაქიძეს უნდა მოეახსენოთ, რომ მისი „რეფორმა“ „არა ახალია, ძველია“. იყო დრო, როცა სულაც არ არსებობდა წერა-კითხვის დროს დასასვენებელი ნიშნები. საკმაოა მოვიგონოთ, რომ ბიბლიის ძველის ძველი ტექსტი



დაწერილი იყო ისე, რომ არც ერთი სტრიქონი სიტყვებით არ იყო დანაწილებული. (იხ. Турაев. «Классический Восток». т. I.)

მთელი რევოლუტია იყო საჭირო წერის ტექნიკაში, რომ ბიბლიის სტრიქონები ცალ-ცალკე სიტყვებით დაეყოთ. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი რეფორმა იქნებოდა დასასვენებელი ნიშნების გამოგონება. ყოველი ეს, ალბათ, დიდი დაკვირვებისა და გამოცდილების შემდეგ მოიპოვა კაცობრიობამ.

ორიგინალობის მოყვარული გრ. რობაქიძე კი გამოსულა და გვიჩვენებს: სამი ათასი წლით უკან დაბრუნდით და წერის ძველის ძველი, ჰირველყოფილი ტექნიკა შეითვისეთო.

ეს რომანის გარეგნობის შესახებ.

ახლა მის შინაარსს დაუბრუნდით.

* * *

წარსულ მსოფლიო ომის დროს არჩიბალდ მეკეში სპარსეთშია. ის იქ ეცნობა ქართველ მხედრებს, რომლებსაც მამა-პაპურად გაუშლიათ სუფრა თოლის ჩრდილში და ლხინობენ.

აქ არჩიბალდ მეკეში ეცნობა ოცამდე ახალგაზრდა ქართველ მხედარს. აქ არიან: ქაეჭავაძე, ორბელიანი, ავალიშვილი, მორბედაძე, მაყაშვილი...

— მაყაშვილი. შემოკლებითი მაყაში.

ხუმრობით ამბობს ვიღაცა, როცა არჩიბალდ მეკეშს მაყაშვილს აცნობენ და ამ ორ გვარს ერთმანეთს ადარებს.

არჩიბალდის გულს გველისავეით ჰკბენს ეს სრულიად მოულოდნელი კალამბორი. ის მაკიდაზე ეყუდნობა, რომ არ დაეცეს...

ყაზვინში არჩიბალდ მეკეში ეცნობა ქართველების მეორე ჯგუფს... ის შედის ერთ ბაღში, სადაც ქართველები უსხედან გაშლილ სუფრას და ქეიფობენ.

მათ მეზობლად სომხები უსხედან სუფრას და ქეიფობენ.

შეხარბოვებულ მეზობლებს ერთმანეთში ჩხუბი მოსდით. იწყება ხელჩართული კრიკი.

სომხების მხრიდან გამოდის ვიღაც «აყლაყუდა», რომელიც სძლევეს ახალგაზრდა ქართველს, ვამჩხს. ეა-ეა არის აყლაყუდამ უნდა ქვეშ მოიგდოს და დაბუზნოს თავისი მოწინააღმდეგე ქართველი. მაგრამ ამ დროს იქ განცალკევებით მჯდომ არჩიბალდ მეკეშს მთელ არსებაში იღვიძებს ქართველი, ძველი იროუბაქიძის სისხლი... ის ერთის თვალის დახამხამებაში ბურთივით მიწაზე ავდებს აყლაყუდას...

ბაძოლა ქართველების გამარჯვებით თავდება...

ამის შემდეგ არჩიბალდ მეკეში უახლოვდება ქართველების ამ ჯგუფს. განსაკუთრებით მას მოსწონს ვამეხ.

* * *

ერთხელ ქართველი ახალგაზრდა სარგის პეტრიწი ათვალეირებს არჩიბალდის ხმალს.

საქართველო
საბჭოთაო

— სადაურია ეს ხმალი?—ეკითხება პეტრიწი არჩიბალდს.

— ჰამადანში ვიყიდე!—უპასუხებს არჩიბალდ, თუმცა მან ეს ხმალი მამისაგან მიიღო შემგვიძრებით.

პეტრიწი გაკვირვებით კითხულობს ხმალზე წარწერას:

— „ირრუბაქიძე“.

— ძველი ქართველი თავადის გვარია!—პეტრიწი უხსნის არჩიბალდს თუ საიდან წარმოსდგა ეს გვარი და ვინ იყვენ ირრუბაქიძეები.

მეტის ატანა შეუძლებელია. პეტრიწის ლაპარაკი უკანასკნელი წვეთია, რომელმაც თავამდე აავსო არჩიბალდ მეკეშის მოთმინების ფიალა...

არჩიბალდს ბევრჯერ უფიქრია გაეხსნა მამის ანდერძი გაეგო ეს მისი გულის მომწველი საიდუმლოება. მაგრამ ამ სურვილის სისრულეში მოყვანა ვერ გაუბედა, რადგანაც კოლოფზე მიკრულ პერგამენტზე ეწერა:

— გახსენი კოლოფი მაშინ, როცა ერთი ფიქრით იქნე ლითონით ავსილი.“

მხოლოდ ახლა, პეტრიწის სიტყვების შემდეგ, გრძობს არჩიბალდ მეკეში რომ მისი მოთმინების ფიალა ავსებულია, რომ მას მეტის ატანა არ შეუძლია, რომ მისი ფიქრები მართლაც ლითონით არის სავსე და ეს ლითონი „მამა“... მან გადაწყვიტა გაენდოს პეტრიწს და მისი დახმარებით გაიგოს მამის ანდერძის შინაარსი.

ამ ანდერძის შინაარსი ჩვენ უკვე ვიცით.

არჩიბალდმა უკვე იცის თავისი მკველი საიდუმლო, რომელსაც ის არავის არ გაუშხელს. პეტრიწი სულ მალე გადაიცივალა და არჩიბალდ მეკეშის საიდუმლოც საფლავში ჩაიტანა.

* * *

არჩიბალდ მეკეში თავის მეგობარ ვამებთან ერთად მიემგზავრება საქართველოში... მეგობრებს ვხედავთ ქუთაისის მაზრაში ვამების სოფელში, სადაც ის მეგობარმა ყურძნის რთველში დაპატიჟა.

აქ არჩიბალდ უფრო დაწვრილებით ეცნობა თავისი მამის უბედურ ბედს. მისი სოფელიც იქვე ახლო ყოფილა, ვამების სოფელთან მოდებული. თამაზ მაყაშვილს კარგად იცნობენ ვამების ბაბუა და მშობლები—მათ კარგათ ახსოვთ მისი ოჯახის მთელი უბედურება და მისი სამშობლოდან გადაკარგვა. მათ ახსოვთ პატარა აჩიკოც...

თამაზ მაყაშვილის სახლ-კარი სულ სამი-ოთხი ვერსის მანძილზეა ვამების სოფლიდან.

არჩიბალდ თავის მეგობართან ერთად მიდის სასეირნოთ და ვითომ შემთხვევით, ათვალეირებს მამის მიერ უპატრონოთ მატოკეპულ კარ-მიდამოს, რომელსაც ხალხი ახლოს არ ეკარება, როგორც დაწყვეტილ ადკილს.

არჩიბალდ მეკეშში აქ თავისთავად ილიკებს ხელოვნურად გაქრალი პატარა აჩიკო: ის ცნობს ყოველიფერს... ბავშობის მოკონებები, რომლებიც ამდენ ხანს ელექტრონისავეთ უფლავდა მას თავში და შეუპრალებლად სწავდა მის ტვინს, ახლა განსაზღვრულ სახეებს იღებს, რეალობად ხდება...

საქართველო
საქართველოს

არჩიბალდ მეკეში თავს მალე ინუგეშებს. ოლგას ადგილს შის ცხოვრებაში იჭერს თენგიზის დაი—მატასი...

რომანის სხვა მომკმედი პირები: თამაზ მაყაშვილი, თენგიზი, მატასი და სხვები ავტორს მეტის მეტად ებიზოდურად და თანაც ბუნდოვანად აქვს აწერილი...

ვიტყვიტ მხოლოდ, რომ თამაზ მაყაშვილი ბრუნდება სამშობლოში, ნახულობს შვილს, მაგრამ მხოლოდ ისე როგორც ვერაგულად მოკლული დანიის მეფის არძილი ეჩვენება ზოლქე პრინც ჰამლეტს. აქ განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მეფის არძილი მეფურას მედიდურობით გამოდის სცენაზე თეთრ სამოსელში გასუდრული. თამაზ მაყაშვილი კი გიკია. ი, როგორც ძველი ირრუბაქიძის სისხლი, რეტ-ს მეტად გადამღაბეელია: ის ხმლით ჰკუწავს ფერსათელ გლეხებს და შემდეგ არჩიბალდის მკლავზე ლეეს ტანჯულ სულს...

რომანში ჩვენ ვხედავთ ერთ გამირსაც: ეს არის ტაბა ტაბ ხანი. იმას ჩვენ ვხედავთ ყოველგან: სპარსეთში, თბილისში, ფერსათში... ის ისეთივე აუცილებელი ტიპია ამ რომანისთვის, როგორც ხორა ძველი ბერძნული ტრადიციები-თვის. ტაბა ტაბ—ეს აღმოსავლეთის განხორციელებული მისტიკაა...

* *

მოკლეთ ასეთია რომანის შინაარსი.

ახლა შევეუდგეთ მის ჟღერს დაწვრილებით განხილვას.

გრიგოლ რომაქიძე სრულიად ახალი მოვლენაა ქართულ ლიტერატურაში. როგორი აზრისაც უნდა ბრძანდებოდეთ ქართულ ხელოვნურ ლიტერატურაზე, ერთი მაინც აშკარაა: ეს ლიტერატურა უაღრესად დემოკრატიული და რკალისტური იყო და არის.

გრ. რომაქიძის «გველის პერანგი» ამის სრული შინააღმდეგობაა. იგი განსახიერებული მისტიკაა; ის რეაქციონულ-არისტოკრატიული მიმართულების სრული გამოხატულებაა.

თუ დღემდე ქართული ლიტერატურა უაღრესად რეალისტური იყო, გრ. რომაქიძეს თავისი რომანით მასში შეაქვს სრულიად ახალი ნაკადა; ის უარსა ჰყოფს სინამდვილეს, უარსა ჰყოფს ბუნებას, ის ცდილობს გაამეფოს ოცნება და მხოლოდ ოცნება.

ჩვენ არ ვიცით და არც გვინდა ვიცოდეთ მიადწია თუ არა გრ. რომაქიძემ იმ წერტილამდე, რომელზეც იღვენ მისი ევროპელი მასწავლებლები, ესეიგი იღებს თუ არა იგი გაშიშს, რომ დაივიწყოს სინამდვილე და მიეცეს ყოველივე ხელოვნურისადმი სიყვარულს. მაგრამ «გველის პერანგი» საკმაო მასალას იძლევა იმიტომ, რომ მისი ავტორი ასეთ მწერალთა გუნდს მივაკუთვნოთ.

რომაქიძის რომანში ერთი პატარა დეტალია, რომელსაც უბრალო მკითხველი ვერც კი შენიშნავს. ამ დეტალს უარსი მნიშვნელობა აქვს როგორც ამ რომანის ისე რომაქიძისა და «ყანწელების» მთელი ორდენის შესწავლის დროს...



გავეცნათ ამ პირველ შეხედვით უმნიშვნელო დეტალს. ავტორს სურს გაგვეცნოს თავისი მთავარი გმირი არჩიბალდ მეკეში. ამაზე ადვილი საქმე რა უნდა იყოს? ყველა სხვა მწერალი აიღებდა და პირდაპირ აწერდა თავის გმირს.

რობაჰქმე ასე არ იქცევა ის იღებს არჩიბალდ მეკეშის სადღაც გაზეთში დაბეჭდილ სურათს და ამ სურათის საშუალებით აცნობს მკითხველებს თავის მთავარ გმირს.

სახე წელი. თვალები: რუხი. ფერი: ოდნავ ლაქეარდ გადაკრული. ცხვირი: სწორი—მხოლოდ ორბულ აქედილი შუაზე. თმა: შავი ორად გაყოფილი. მთელს მეტყველებაში: სასტიკი სინელე. მაგამ ბოლოს შეამჩნევ მაინც: შენელებით ატეხილობაა უჩვეულო დაკავებული!

ნურადფერს ვიტყვით იმის შესახებ: შესაძლებელია თუ არა ასეთ სურათზე „რუხი ფერის, ოდნავ ლაქეარდ გადაკრული თვალებისა“ და სხვა ასეთი დეტალების დანახვა. „სასტიკი სინელე“, მაგრამ მაინც „შენელებით ატეხილობა და უჩვეულო დაკავება“—ეს ისეთი რამ არის, რის გამოსასახავად საჭიროა ლეონარდო და-ვინჩის მთელი შემოქმედება და რასაც ფოტოგრაფია ვერასოდეს ვერ გამოხატავს.

მაგრამ ჩვენთვის ამ შემთხვევაში მხოლოდ ის არის საყურადღებო, რომ ავტორი გვერდს უვლის თავისი გმირის უშუალოთ აღწერას და მხოლოდ ფოტოგრაფიული სურათის საშუალებით ცდილობს მის გამოხატვას...

ეს სრულიად უმნიშვნელო დეტალი ყველაზე უფრო ახასიათებს რობაქიძისა და „ყანწელების“ ორდენის შემოქმედებას. ისინი ცდილობენ გვერდი აუხვიონ სინამდვილეს, უკუაგდონ ბუნება და მხოლოდ ოცნებით, მხოლოდ ფანტაზიით იცხოვრონ.

იმ შკოლას, რომელსაც „ყანწელები“ ეკუთვნიან, არ ეხერხება სინამდვილის გამოხატვა, ცხოვრების აღწერა ისე როგორც ის არის... ამ შკოლისათვის სულაც არ არსებობს სიცოცხლე. იმათთვის სიცოცხლეს მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, როცა იგი მკვდარია... მათთვის არჩიბალდ მეკეშის დასახატვად თვითონ მკვები არ გამოადგება. ამიტომ არის, რომ რობაქიძე ანგარიშს არ უწევს მას და ფოტოგრაფიულ სურათის საშუალებით ცდილობს მის გამოხატვას...

აქედან აშკარაა, რომ „ყანწელებს“, რომენ როლანის ლამაზი თქმით რომ ვისარგებლოთ, ოკეანეს წარმოადგენა ისე არ ეხერხებათ თუ იგი პატარა შუშია ბანკაში (стекляная баночка) არ მოათესეს და შიგ წითელი თევზები არ ჩაუშვს. მათ სიცოცხლე ისე ვერ წარმოუდგენიათ თუ არა კუბოში...

* * *

ტყუილა კი არ აგვიწერს გრ. რობაქიძე ასე აღტაცებით ცხოვრება მოყირკებული სპლინით დასწვლულბული ამერიკელი მ-ლიარდერი ფერგაუს ურ-ვოორის მიერ შექმნილ „ახალ ქვეყანას“; ტყუილა კი არ უყრის ის იქ თავს



ყველა იმათ, ვისაც იდეალად ხელოვნურად „შექმნილ ქვეყანაში“ ცხოვრება დაუსაბავთ.

გავეცნოთ ამ „ახალ ქვეყანას“.

ფერგაუს ზრეოორს ხმელთაშუა ზღვაზე აქვს მშვენიერი, რალაც ფანტასტიური ვილა, რომელშიც მოგროვილია ყოველი ის, რის მონატრებაც კი შეუძლია ცხოვრება მოყირკებულ მილიარდერის სნულ ფანტაზიას. ეს სპლინით შეპურობილი ადამიანი ყოველ ზაფხულს ვეროპის ყველა კუთხეებიდან იწვევს რჩეულ პირებს... აქ ასორომოცდაათამდე გროვდებიან ასეთი რჩეულები.

აქ არიან:

„მატრებნი, მუსიკოსები, არტისტები, პოეტები, მომღერალნი, დამკერვლნი, ფილოსოფოსები: ნხოლოდ ისინი რომელთაც აზრის სხვარივი მობრუნება იციან და სტილით წერა, რომანისტები, მონდენები: ლორდ ვარის ტიპის დორიან გრეიდან, ქალები და კურტიზანკები: ჟუანასკნელნი მანონ ლესკოს ტიპის, ეროვნებით: ინგლისელი, ფრანგი, გერმანელი, იტალიელი, ესპანელი, ნორვეგიელი, დანიელი, შვეციელი, პოლანდიელი, შოტლანდიელი, რუსი, პოლონელი, ბერძენი, რუმინელი, მრავალი სხვა კიდევ“. (მკითხველს ვაზოვ დაიხსომოს, რომ როგორც აქ ისე ყოველგან, როცა რომაქიძის თხუზულებიდან ციტატებს მოვიყვანთ, ავტოოის მართლწერა საესებით იქნება დაცული).

ამ „რჩეულთა“ შოის არის არჩიბალდ მეკეშიცი, ეს ძველი ქართველი თავადი, იორურბაქიძის ჟკანსკნელი ნაშხევი. ამ გაუმოებას გრ, რომაქიძე ყველა „ყანწლებისთვის“ ჩეულებრივის კდემამოსილებით ჟუურადლებოდ სტოვებს...

რას აკეთებენ ამ დენდიზმის ხამეფოში ეს სხვა და სხვა ეროვნებათა და ხელოვნებათა წამომადგენელნი „მთელ ეეროპაში რჩეული პირები“?

არ იფიქროთ, რომ ისინი რამე მალალ მატერიებზე, ქვეყნის სასარგებლო საქმეებზე მსჯელობდენ. თვითონ რომაქიძე ასე აგვიწერს მათი დროს გატარებას:

ლხინი თითქო ორკესტრია: რომლის ამღერებულ ტანს ალესილი დანით გადაჭ-ის ხოლმე: ხან ლამაზი ქალის სხეული რომელიც შამპანიურის ქაფია—ხან თვითონ შამპანიური რომელიც ლამაზი ტანის აფეთქილი წყურელია—ხან მოხდენილი სიტყვა რომლის ნაკეთი სონეტია—ხან გამჭრელი თვალის თვალში გაყრა რომელიც ზმანებითი რკალია წვეულების გადაღვედისა“.

ასე ატარებენ დროს ეს „მთელ ეეროპაში რჩეულები“. მთელი მათი სი-ცოცხლე „წვეულების გადაღვედეა“-ში მიდის.

რომაქიძე ვვარწმუნებს, რომ ისინი „მოხდენილი სიტყვა მახელობითაც“ ერთობოდენო. მკითხველა აღბათ იფიქრებს: თუ ამდენი „რჩეულები“ სიტყვა მხელობით ერთობიას, მოსწრებული სიტყვებით, პოეტური შედარებებითა და აფორიზმებით შინც გაამდიდრებენ ენას და ლიტერატურასო.

ესეც არ არის მართალი. სპლინით დასნეულებულ, ცხოვრება მოყირკე-



ბულ, უსაქმო ხალხს ამის უნარიც არა აქვს. ეს „მთელ ევროპაში რჩეულები“ დასახლებულან ამ სამოთხის ბაღში და გარყვნილებას ეძლევიან.

მართალია ხანდახან „მობდენილი სიტყვებით“ ლაპარაკს ცდილობენ, მაგრამ ამ „მახვილობაში“ მათი საკუთარი არაფერია. ისინი ერთმანეთს სხვადასხვა მწერლებისა და მეცნიერების წიგნებიდან ამოკრეფილი აფორიზმებით უმასპინძლებიან, სწორედ ისე, ჩვენში რომ პატარა მწყეშსები ერთმანეთს ზმებში ეჯიბრებიან. აქ განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ პატარა მწყეშსები ცდილობენ მაინც რაღაც ახალი შეიტანონ თავის ზმებში, თავისი საკუთარი მოსწრებული ლექსით „შეაიკონ“ მოწინააღმდეგე.

გრ. რომაქიძის დენდებს ასეთი რამეც არ ეხერხებათ. მათ არ შესწევთ უნარი ახალი რამეს გამოგონებისა. სამაგიეროდ მათ კარგად იციან რომ აფორიზმებითა და მოსწრებული სიტყვებით საესეა სხვა და სხვამ ერლების თხუზულებები. ამა იმათ რატომ უნდა იტებონ თავი ახალის გამოგონებაზე? ამიტომ თქვენ აქ გესმით თქვენი კარგად ნაცნობი, საკმაოდ მოძველებული და გაცვეთილი აფორიზმები: პითაგორის, პლატონის, არისტოტელის, გიოტეს, სტენლის, ნიკშეს, ჰეინეს, პუშკინის, ტოლსტოის, დოსტოევსკის, ბოდლერის, ზაღარმეს და სხვათა წიგნებიდან...

ამ „მთელ ევროპაში რჩეულ ადამიანებს“ არავითარი საკუთარი აზრი არ მოეპოვებათ; ყველა ისინი რაღაც პრანქვა-გრეხით იმეორებენ ამა აუ იმ მეცნიერისა თუ პოეტების აფორიზმებს და მით მხოლოდ თავის სულიერ სიცალიერეს ამულავენებენ. ყველა მათგანის სულიერი სიმდიდრე არ აღემატება რამდენიმე აფორიზმის, — და ისიც სხვისი აფორიზმის, — ზეპირად ცოდნას. თითქოს მათ ჩვენი კარგად ნაცნობი გაზეთი „ივერიის“ ნოჰრებში „დამაკვირდის“ ზეპირობის მეტი თავის სიცოცხლეში არაფერი არ გაეკეთებოდა...

აქ თქვენ ხედავთ ადამიანებს, რომლებიც წარა-მარა ლაპარაკობენ სხვადასხვა მწერლების სიტყვებით და თვითონაც არ იციან თუ რატომ ჩადიან ამას. ვისთვის ან რისთვის არის საჭირო მათი ასეთი „გონება მახვილობა“?

მათ „მახვილობაში“ არავითარი ლოლიკური ძაფი არ არის... ერთი აფორიზმი სრულად აუ გამომდინაოუბს შეორედან, ეს „მთელ ევროპაში რჩეული“ დენდები წარა-მარად ისერიან ამ სხვის აფორიზმებს იმიტომ კი არა რომ ის საჭირო იყოს, არამედ იმიტომ, რომ ერთმანეთს თავი მოაწონონ; ერთმანეთს თავისი სიმდიდრე დაანახონ...

როცა მათი სიტყვათა შადრევენობა გესმით, ასე გგონიათ: განებერებული, ცხოვრება მოყირკებული დქდაკაცები ერთად შეკრებილან მხოლოდ იმ მიზნით, რომ თავისი ძვირფასი ქვები და სამკაულები ერთმანეთს დაანახონ: ამა შემოგვხედეთ, რა მდიდრები ვართო.

ასეთია გრ. რომაქიძის „მთელ ევროპაში რჩეული პირების“ სულიერი და გონებრივი შინაარსი.

ყველა ისინი მოჭანცულები, სნეულები, სპლინით შეპყრობილები არიან. მთელი მათი არსება რაღაც მისტიურ „ობობას ქხელშია მოქცე-



ული“. ყველა იმათ „საყრდენი მუქლი გამქრალი აქეთ“. ყველა მათგანის პიროვნება დარღვეულია ორად, სამად, ოთხად, ხუთად. ეს დახლენილი, დაორგებული ადამიანების ნაწილები ერთი მეორეს განზე უდგანან, ერთი მეორეს უთვალთვალენ. რომანის მთავარი გმირი ორად არის გაყოფილი.

თვით რომაქიძის მოწმობით:

„არჩიხალდ მეკეში თვალს ადევნებს არჩიხალდ მეკეშს.“

ყველა ეს „რჩეულები“: გაორებული, გასამებული, გაოთხებული... დახლენილები არიან...

გრ. რომაქიძე ძალიან ხშირად ახსენებს ხოლმე **დოსტოევსკის**. მაგრამ ის არასოდეს არ იხსენიებს რუსის ერთ მწერალს, რომლის უდიდეს გავლენასაც განიცდის... ეს მწერალი **ლეონიდ ანდრეევია**, დოსტოევსკის შკოლის ერთი უნიკიერესი წარმომადგენელი.

როცა გრ. რომაქიძის სულიერად დახლენილ „დენდებს“ ეცნობით, თქვენ ძალა-უნებურად გაგონდებათ ლეონიდ ანდრეევის „შავი ნილაბები“ („Черные маски“)...

აბა მოიგონეთ ის სცენა, სადაც ამ პიესის მთავარი გმირი ჰერცოგი დი-სპანდარისა **ლორენცო** ებოძვის თავის საკუთარ ორეულს:

ლორენცო ზის ზალაში ჩაფიქრებული. შემოდის ლორენცო მისი ნაორალი.

ლორენცო მოსული.—თქვენი ხუმრობა მეტის მეტად თავხედურია! ნილაბი აიხადეთ, სენიორ! ლორენცო, მფლობელი დი-სპანდარისა მხოლოდ ერთია და ის მე ვარ!.. ნილაბი აიხადეთ, სინიორ!

ლორენცო უოფილი.—(გახელებით) ნილაბი აიხადეთ, სენიორ! ხმალი! ორივე ლორენცო ერთმანეთს უტევენ ამოღებული ხმლებით...

ლორენცო უოფილი.—შენ მომკალ ლორენცო! (კვდება).

გულესიაში სდგას დიდი შავი კუბო, რომელშიც ლორენცოს ცხედარი ასვენია. კუბოს თავით მაღლა სდგას ლორენცო და ხელით თავის საკუთარ კუბოს დაბჯენია...

ასეთია ლეონიდ ანდრეევის „შავი ნილაბები“-ს გაორებული და დახლენილი გმირები.

აი ვისი გავლენით არის დაწერილი გრ. რომაქიძის დახლენილი და სულიერად მოშლილი გმირები.

მაგრამ ლეონიდ ანდრეევს დიდი საბუთი ჰქონდა ასეთი ტიპების დესახატავად. „შავი ნილაბები“ მართლაც შეეფარებოდნენ იმ დროინდელი რუსეთის საზოგადოების ერთი ნაწილის სულიერ განწყობილებას.

ლეონიდ ანდრეევი თავის დახლენილ ტიპებს ხატავდა 1905 წლის რევოლიუციის სასტიკად დამარცხების შემდეგ. როცა რეაქცია თავის კანიბალურ გამარჯვებას დღესასწაულობდა, როცა თვითმპყრობელობამ სისხლის რუები დააყენა მთელ რუსეთში, უნიადაგო. ინტელიგენციის უნიადაგო ნაწილმა, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა რევოლიუციონურ პროლეტარიატთან, არ ჰქონდა გავლილი რევოლიუციონური ბრძოლის შკოლა, იგემა თუ არა პი-

რველი დამარცხების სიმძიმე, საქმე სამუდამოთ წაგებულად მიიჩნია. ის დაეცა სულთ. მან საუკუნოთ დასამარებულად სცნო თავისი პოლიტიკური და სოციალური იდეალები. მართალია ინტელიგენციის ეს ნიწილი ფიზიკურად ჯერ კიდევ გრძნობდა სიცოცხლეს, მაგრამ ის დაიხლიჩა და მოკვდა სულიერად; ის თვითონ ხედავდა კუბოში თავის თავს, თავის ნაორალს, ნასამალს.

ინტელიგენციის ამ ნაწილის იდეოლოგიად, მის კირისუფლად გამოდიოდა ლეონიდ ანდრეევი.

და იმ დროს, უსაშინელესი რეაქციის მძვინვარების ხანაში, დი-სპადარის პერკოვ ლორენცოს ტიპი სრულიად ბუნებრივი იყო.

მაგრამ რით შეიძლება გაეამართლოთ რობაქიძის ასეთი სულიერად დახლქილი ტიპები დღეს, გამარჯვებულ რევოლუციის ეპოქაში?

სად ნახა გრ. რობაქიძემ ასეთი სინამდვილე?

ასეთი სინამდვილე მართლაც არსებობს. დღეს ევროპაში მყოფი რუსეთის ემიგრაცია ასეთი ტიპებიდან შესდგება. თეთრგვარდიელი ემიგრაცია, რომელმაც თავისი პოლიტიკური იმედები სამუდამოთ დაასამარა, დღეს მართლაც შესდგება ასეთი დახლქილი და გაორებული ტიპებისაგან... და გრ. რობაქიძესაც თავისი რომანის გვირგვინით ასეთი ბ ლხი რომ აეღო, ჩვენ მასთან სადაო არაფერი გვექნებოდა. მაგრამ რობაქიძის ანალიზის ობიექტი ემიგრაცია არ არის...

მამ ვინ არიან „გველის პერანგის“ გვირგვინი? ვისი იდეოლოგი ბრძანდება გრ. რობაქიძე, ვისი იდეოლოგია თვითონ „ყანწელების“ ორდენი?

„გველის პერანგის“ დახლქილი გვირგვინი ერთხელ კიდევ ამტკიცებენ იმას, რომ ში ტიკი რობაქიძე „ყანწელების“ მთელ ორდენთან ერთად არავითარ ანგარიშს არ უწყვეს არც დროს, არც საზოგადოებრივ ფსიხოლოგიას, არც ისტორიულს, არც პოლიტიკურსა და არც სოციალურ სინამდვილეს...

„გველის პერანგის“ ავტორი დენდ ზმის იდეოლოგი ბრძანდება ის უსაქმო, მკონარე, სხვისი შორომით მცხოვრები, გარყვნილი და გაღეწილი „დენდების“ მოციქულია.

* * *

გრ. რობაქიძესა და მისი რომანის გვირგვინს სხვა გვარი სწეულებაც სჭირთ. ისინი სქესობრივი ენის ყურმოჭრილი მონები არიან.

ამ მზრივ გრ. რობაქიძე მეტის ძეტად ორგინალური და ქართულ ლიტერატურაში სრულიად უჩვეულო მოვლენაა.

როცა „გველის პერანგის“ ეცნობით თქვენ გრძნობთ, რომ მისი ავტორი შეპყრობილია ამ უკურნებელი სენით.

თესლი. ხურუში. ფალლოსი... „გველის პერანგის“ თითქმის ყოველ სტრიქონშია გაბნეული. ამ რომანის კითხვის დროს თქვენ გრძნობთ მისი ავტორის სქესობრივ გახელებას. ის კირში ხედავს მხის ხურუშს, სილაში მზის თესლებს.

სქესობრივ გრძნობათა გამაღიზიანებელი ეპიტეტები მას ისე უყვარს რომ ერთხელ ნამთქვამს რამოდენიმეჯერ იმეორებს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრ. რომაქიძე პირდაპირ გახელებით ლაპარაკობს სექსუალურ საკითხების შესახებ...

„ .. მტევანი ფალოს.

საძროხეს სუნი, ატეხილი მოაგორებს პალოს

აკვირებულ ტანმაგარი ზანგელა ზულა.

ხურუში თესლი მატერიის და ავი ხორცი.

ღვრია სურნელი. ვნების ტეხა. ტიტველა ზვატი.

ცეცხლის ძუძუებს გამეტებით სწოვს მრუში ზვადი—

კეთროვან ტანზე დალორწილი ლუესის ლორწით.

მირაიის კვართი: ლურსა ცქე-ა. ზმანება ცხელი“...

ეს ლექსი. პროზა კიდევ უკეთესია.

გრ. რომაქიძე თავისი რომანის დასაწყისშივე აგვიწერს თუ როგორ მიდიან სქესობრივად სნეულები ლომის ქანდაკებასთან, როგორ ელიან მისგან კურნებას:

დიდი შუადლის ეამს როცა საგნები თავის ლანდებს ჰქარგავენ

ქვის ლომთან მიდის სნეული: უნაყოფო თუ ათაშანგით დადალული.

ათაშანგიანი შეახებს ფალოსს მზით გასუდრულ ქვას და ელის

პირგაჩეხილ ნადირისაგან კურნებას“...

ამას გვეუბნება გრ. რომაქიძე თავის რომანის მეხუთე გვერდზე. მაგრამ ეს იმდენად მოსწონს მას, რომ სიტყვა-სიტყვით იმეორებს იმავე რომანის მეოთხრემეტე გვერდზე.

რომაქიძის მარტო მამაკაცები კი არ არიან სქესობრივად ასე დასნეულებული. ასეთივე სნეულები არიან სქესობრივად ქალებიც.

„ქალებს ეკარგებათ მთვარესთან თვიური.

ცივდება ფალოსს უთესლო მახინა.

(იხ. „ქალაქის ფენომენები“).

„გველის პერანგში“ ჩვენ ვხედავთ ქალებს, რომლებიც „სახესე მთვარეს ნაყოფიერებას ევედრებიან“...

* * *

გრ. რომაქიძეს და მის გმირებს დედაკაცზეც ასეთივე ავადმყოფური შეხედულება აქვთ. მათთვის ქალი მხოლოდ ვებათა ღელვის დამკამაყოფილებელი საგანია და არა ადამიანი.

რომაქიძე ერთნაირად აგვიწერს კურტიზანებსა და თავის საყვარელ გმირ ქალებს: **ოღვახა და მატახის.**

ჩვენი ავტორისთვის ქალი მხოლოდ ქალია; ისინი ყველა ერთია. ყველა იმათ მხოლოდ ერთი დანიშნულება აქვთ ამ ქვეყნად:

მამაკაცები „ხურუშზე“ მოიყვანონ, მადა გაუღვიძონ, მათი სქესობრივი სურვილები დააკმაყოფილონ... ეს არის და ეს რომაქიძის ქალის დანიშნულება.

ქალისთვის საჭირო არ არის არც ინტელექტი, არც რაიმე კულტურული ინტერესი.

მას მხოლოდ თეძომებზე მაკდურად, იშტების აღმძვრელად შეხეული აბრეშუ-
მისა და ატლასის ტანისამოსი კი ეცვას და რობაქიძეს მეტი არაფერი უნდა.
ის მზათ არის მთელი თვეობით იცხოვროს ქალთან და გარდა სექსუალური სა-
კითხებისა ერთ-ხელაც არ დაეღაპარაქოს სხვა რამეზე.

რობაქიძე საერთოთ ასეთ სურათს იძლევა თავისი იდეალურ ქალსას:

„სახე: რბილი მარმარი რომელსაც ძვალის ფერი გადაჰკრავს.
უცაბედი გამოხედვა და თვალები: ფართონი დიდრონი ნუშებრ
მოსულნი. თვალებს გადაუელის ჰინდური ზურმუხტის წყალი...
მოსასხამში ირხევა მალალი ტანი მოსხლეტილი გავლით და ნაცადი
თვალი არჩევს სხეულს ტანაგრის სტატუსის მკვეთრ აღნაგობით“.

იმ დედაკაცებს, რომლებიც ამერიკელი მილიარდერის მიერ შექმნილ
„ახალ ქვეყანაში“ დენდებთან ერთად ეძლევიან გარყვნილებას, რობაქიძე ასე
აგუწერს:

„ათასფერი აბრეშუმის შრიალი და ათასფერი ატლასის
შეშვანა. თვალები ზოგი მოყვითალო. ზოგი ნისლური. ზოგი საფი-
რონი. ზოგი გიშერი. თმები: სხედასხვა ლეღები. ტანი ასხლეტი-
ლი. ტინი კვრივი. ტინი მოქნილი. ტანი აღწვილი. ტანი აშოტილი.
ერთად ყველა: საესე ეინით და ატეხილობით. ესენი ქალებია“.—

და ამ დედაკაცებს, როგორც ატეხილ ძროხებს მოზვრები, ისე ეხვევიან
გარს იმავე მილიარდერის საოცნებო ბაღში მობურღავე დენდები:

„მათ გარს უფლიან აკვრივებული ხეადები. მარადი დედალი
და მარადი მამალი. ერთის ლტოლვა მეორისადმი. ნდომა მარტოსი:
თვითოსი. ხენეშა წაქვილის. კოსმიური ტალღების შეხეთქება და
ბოლოს მთქნარება გუდაფუტასი.“ (იხ. „მნათობი.“ № 10, გვ. 23).

ბატონ-ყმობის სხვა საშინელებათა შორის ისტორიამ ასეთი სურათიც იცის:
როცა მებატონე, რომელსაც გლეხების ლამაზი ასულებიდან ჰარამხანა
ქონდა, მოხუცდებოდა და სექსუალურ უძღურებას განიცდიდა, ის სხვებს, ღო-
ნიერ ახალგაზრდა ვაჟებს უშვებდა ჰარამხანაში და თვითონ ამ სურათის ხილ-
ვით სტკებოდა.

სწორეთ ასეთ მებატონეს ტიპს იძლევა გრ. რობაქიძე თავის კეთილშო-
ბილ მეცენატში, ამერიკულ მილიარდერში. ეს სპლინით შეპყრობილი, სექსუა-
ლურათ უძღური ადამიანი სტკებდა ზემოთ მოყვანილი გარყვნილების სუ-
რათებით.

რობაქიძის სქესობრივი გახელება იქამდე მიდის, რომ მისთვის ქალის
ფიზიკური სილამაზეც არ თამაშობს დიდ როლს. მხოლოდ ქალი კი იყოს, მხო-
ლოდ აბრეშუმითა და ატლასებით კი იყოს იგი მორთული, მხოლოდ შეხეულ
კაბაში ფეხი კი მოუჩანდეს და რობაქიძესაც მეტი არაფერი უნდა.

„ქალის სილამაზე არაფერს არ ნიშნავს... მთავარი სურნეღე-
ბაა... აღმოსავლეთის ეროტიული ლირიკა სურნელია მხოლოდ ვალ-
ხობილი“...

რობაქიძე აქვე გვიხსნის, თუ რას ნიშნავს ეს სურნეღება:

„ქალის მუხლი შეხეული ატლასიდან რომ მოსჩანს მწიფე ქარვასავეთ დაეურსული“.

„გველის პერანგის“ ავტორს პირდაპირ ავიყვებს შეხეული ატლასი და იტყვინდა გამოშხირალე ქალის მუხლი.

კარგად დააკვირდით ამას და თქვენ დაგვეთანხმებით, რომ რომაელების ქალის სურნ ღება რალაც ბინძური, მიწიერი სურნელებაა და არა ის, რასაც გიოტე ქალის სულიერ aureus ეძახის.

გრ. რომაელების ქალის სურნელება—ეს თეოდორე პაულეს-ძე კარამაზოვის სმერდიაკოვის სურნელებაა.

როცა გრ. რომაელების „ათასფერი აბრეშუმის შრიალი და ათასფერი ატლასის შმუნა“ გესმით, თქვენ თვალწინ გიდგებათ თქვენი კარგად ნაცნობი საზიზღარი ცინიკი თეოდორე კარამაზოვი.

თქვენ გესმით მისი სიტყვები:

„Для меня, даже во всю жизнь, не было безобразной женщины. вот мое правило!.. Во всякой женщине можно найти чрезвычайно, черт возьми, интересное. Только надо уметь находить. Вот где штука!“

ნუ თუ ეს იგივე არ არის, რომაელების:

„ქალის სილამაზე არაფერს არ ნიშნავს... მთავარი სურნელებაა?“.

რაკი საქმე თეოდორე კარამაზოვისა და გრ. რომაელების შედარებაზე მიდგა, სამართლიანობა მოითხოვს, რომ პირველობა უქანასკნელს დაულოცოთ.

გრ. რომაელებთან შედარებით დოსტოევსკის გამოჩენილი ცინიკი განხორციელებული კდემამოსილებაა.

დოსტოევსკის გმირსა და რომაელების შუა ნახევარ საუკუნეზე მეტმა დრომ გაიარა. ასეთი შედარებით დიდი დროს განმავლობაში ცინიზმი და პორნოგრაფიაც დიდად წასულან წინ. კარამაზოვმა ნხოლოდ ერთხელ ილაყბა ქალებზე თავისი ასეთი შეხედულება და ისიც სიმთვრალის დროს.

გრ. რომაელები კი მთელ რომანში ისეუისავე ცინიზმით უმასპინძლებდა მკითხველებს და ტუობა ასეთი რომანის წერია დროს ფიზიულიც არის. ყოველ შემთხვევაში, ის ღვინით დამთვრალი, რამდენადაც ვიცით, არავეს უნახავს.

კარამაზოვისა და რომაელებს შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ პირველი ტალახიან დედაკაცთან კავშირსაც კი არ ერიდება. რომაელების ვნებათაგასალიზიანებლად საკაროა ქალის ფართო თეძოები, აკვრივებული ტანი, შეხეული ატლასიდან გამოშხირალე მუხლი...

თავის მთავარ გმირ ქალს ოღვა ბლაშოვის რომაელებს ასე გვაცნობს:

„ტანი თეთრით მოსილი (მკითხველს ვთხოვთ დაიხსომოს, რომ ჩვენ აქ ხაზს ვუსვამთ ოღვას ნაცვალ სახელს „ტანი“) მოსხლეტით ხტება ავტომობილიდან... ავტომობილიდან გადმოშტარი ქალი გუფოდის დინას მიაგავს. გრძელი ფლორენციული ფეხები თეთრი ნაკადულის ორ მაგარ ტევრად ჩამოხეტილი. არა: სხვაა. გადმოშ-

— რა ლამაზია...

— შენთვის...

ვაეის სიტყვა ქალს მზრებს უწყევს. ქალის ტანი—თითქო მოცელილი—ხალიჩაზე ვარდება. ფეხს ფეხზე გადაიდებს—ასე ეკიდება ხარდანზე დაყურსული მტვეანი.

ვაეი ქალს უცქერის ნდომით აყვანილი...

ქალის ტანი ტახტზე გადაწვება.

ვაეი ხედავს: თვალები ფართოვდებიან. გუგები აღარ სჩანან.

„ზემროდის“ წყალი იმღვრევა და ინისლება. ნესტოები ნადირის საფე იქელია თითქო: ორად გაპობილი.

ქალი დაიხნიქება და ხალიჩაზე იშვებართება.

ვაეი აღარ ხედავს. ვაეი ისუნთქავს...

ქალი აღარ უსმენს. ვაეის ხვეწნაში ტანი ქალის თითქოს ქალთა სქესით ივსება ერთიანად მოხეთქილით.

„იშეუზნებიან შორეული ინსტინქტები“... (II-12, 25, 26.)

ასე აგვიწერს გრ. რომაქიძე მისი მთავარი გმირების პირველ

შეხვედრას სპარსეთში.

მკითხველმა უკვე იცის, რომ ეს ახალგაზრდები ერთმანეთს გაეცნენ 1914 წელს ქ. ლოზანაში, სადაც ოლგა უნივერსიტეტში სწავლობდა. მკითხველმა იცის, რომ ამ ახალგაზრდებს ერთმანეთი უყვარდა, მაგრამ ამ სიყვარულს რეალური სახე არ მიუღია.

ასე შეყვარებული ახალგაზრდები სამი-ოთხი წლის შემდეგ პირველად სრულიად მოულოდნელად ხედებიან ერთმანეთს შორეულ სპარსეთში.

მის მაგიერად, რომ ერთმანეთს რამე ჰკითხოვნ, რამე უამბონ, რამენაირად გამოსატონ თავისი განკვიფრება... ისინი, როგორც დამზეული მგლები მსხვერპლს, ისე მივარდებიან ერთმანეთს, სქესობრივი გრძნობით დამთვრალეები.

კიდევ მეტი: ამ მალალი განათლებით აღჭურვილ ქალს მთელი რომანის სივრცეზე ერთი რამე სიტყვაც არ წამოსცდება არჩიზალდთან ლაპარაკის დროს, გარდა რამოდენიმე სიტყვისა და ისიც მხოლოდ სქესობრივი ხასიათისა.

მას გარდა სქესობრივი გახელებისა არავითარი სხვა ინტერესი არა აქვს... ის მხოლოდ პირუტყვეული ვენებათა ღელვის ჭურჭელია, ის სქესობრივი უკმაობის გრძნობით გახელებული დედაკაცია.

და ავტორი ასეთად თვლის ამ მისი რომანის უმთავრეს გმირ დედაკაცს. ჩვენ ზემოთ უკვე გაუსვით ხაზი იმ გარემოებას, რომ რომაქიძე თავის გმირ ქალის ნაცვალ სახელად მხოლოდ ტანს უწოდებს:

„ტანი თეთრათ მოსილი მოსხლეტით ხტება ავტომობილიდან.“

„თეთრი მოსილი ტანის მკერდი მეტად აკვრივებულია.“

„გადმოშტარი ტანის თქოები უფრო განიერია.“

„ტანი ტახტზე გაიშვებართება“....

აქედან აშკარაა, რომ არჩიზალდ მეექვსი—ივრუბაქიძე—რომაქიძეს ქალი მხოლოდ ტანად წარმოუდგენიათ და არა ადამიანათ.



საქართველოს
მწიგნობართა კავშირი

ოლგა ბალაშოვას, რომელიც მოწყალეების დათ წასულა ომში, სულაც არ აინტერესებს ომში დაკრილ-დასახი ზრებულთა ბედი. მისი გრძნობები დაბზულია მომაკვდავთა კვნესისთვის. ის მხოლოდ სქესობრივი ხურუშით გახელებული არსებაა...

ეს პირდაპირ დაუჯერებელი და გაუმართლებელი ტიპია. ომის დროს ალბათ იყვენ ასეთი მოწყალეების დებიც, მაგრამ ოლგა რომ ასეთების ჯგუფს არ ეკუთვნოდა... ის რომ კეთილშობილი ადამიანი იყო, რომ მას ჰქონდა ადამიანური გრძნობები ეს კიდევ წაპოსცდა ვრ. რომაქიძეს თავის რომანში.

ოლგა, როგორც ვიცით, არ ზერდება უდიდესი მორალური მსხვერპლის წინაშე: ის ერთი ღამის ფასით სიკვდილისაგან იხსნის თენგიზს... და როცა ის თავის თავს ვიღაც არამზადა ადამიანის შვილის დედათა გოძნობს, მას შესწევს სულიერი სიძლიერე თავი მოიკლას და მხეცი ადამიანის შვილს კი სიცოცხლე არ მისცეს...

უცნობი.—შენი საშო ცხელია.

მორელა.—შენი ნაყოფი იძვრის ჩემს მუცელში.

ვრ. რომაქიძე, როგორც ხედავთ, სრულიად უჩვეულო მოვლენაა ქართულ ლიტერატურაში. მაგრამ „გველის პერანგი“ რომ რუსულად გადაითარგმნოს, მისი ავტორი ასეთივე უჩვეულო მოვლენა იქნება რუსეთის ლიტერატურაშიც, რომელსაც არა ერთი და ორი კარამაზოვი შეუძლია დაასახელოს პორნოგრაფიულ სფეროში.

ზემოთ ეპიგრაფათ მოყვანილი დიალოგი ჩვენ ამოვიღეთ რომაქიძის „მალზტრემიდან“. ეს ერთგვარი სინტეზია იმ პორნოგრაფიული სინბინტურისა, რომელსაც ჩვენ ვხედავთ რომაქიძის ყველა ნაწერებში და განსაკუთრებით „გველის პერანგში“.

რით შეიძლება ამის გამართლება?

თუ ხელოვნებას მივიღებთ, როგორც შკოლას, სადაც მკითხველი და მსმენელი სწავლობს, გონებას ივარჯიშებს, ხასიათს იფაქიზებს, მაღალ აზრებს ეცნობა და იძენს, რომაქიძის პორნოგრაფია მიუღებელი იქნება არა თუ სცენასა და ჟურნალ-გაზეთებში, იგი მიუღებელი იქნება ორ ადამიანს შორის კერძო, სრულიად ინტიმური მუსაიფის დროსაც... დიდათ გარყვნილი უნდა იყოს მამაკაცი, რომ ცოლთან ან საერთოდ ისეთ ა-სებასთან, რომელთანაც მას ინტიმური დამოკიდებულება აქვს, უთხრას: **შენი საშო ცხელია.**

მით უმეტეს ვერ წარმოგვიდგინია ნორმალური გრძნობის ქალი, რომ თავისი შვილს მამას უთხრას: **შენი ნაყოფი იძვრის ჩემს მუცელში.**

მაგრამ მიუღებელი საკითხს მეორე მხრიდანაც ვიფიქროთ, რომ ხელოვნება არა სცნობს არავითარ საზღვრებს, რომ ის არ ემორჩილება საზოგადოების შეხედულებას ამ საგანზე. ის ხა-აეს მხოლოდ სინამდვილეს და მისთვის სულ ერთია—ვინ რას იტყვის, ვინ როგორი აზრის იქნება მანზე...

არც ამ შემთხვევაში შეიძლება ასეთი სიმკრალის გამართლება. ვერავინ

დამიმტკიცებს, რომ რობაქიძის პორნოგრაფია თანამედროვე სინამდვილეს შეეფერებოდეს...

ეს ხანებებს ჰგონიათ, რომ რევოლიუცია—და ისიც გამარჯვებული რევოლიუცია—ყველაფერს რყენის და ბილწავს. მხოლოდ ხანებებს ჰგონიათ, რომ რა კი ქორწინება—განქორწინების საქმე გადავიღო, გარყვნილება ეწვლა ქვეყანას, რომ ეკლესია მაღალი ზნეობის ტაძარი იყო მშაბი კი გარყვნილებას ნერგავს...

ყველა ზემოთ ნათქვამიდან აშკარაა, რომ გრ. რობაქიძეს მიზნათ დაუსახავს მკითხველს დაინახოს თავისი ზე-კაცური, გახელებული ვნებათა ღელვა, გადამლახველი ხასიათი.

ტყუილად კი არ ცდილობს ის ირრუბაქიძეობას!

მაგრამ დივარწმუნებთ გაირრუბაქიძეებულ გრიგოლს, რომ ის სრულიად წინააღმდეგ შთაბეჭდილებას ახდენს.

ყოველგვარ ეროტიულ მოვლენას ერთი და იგივე წყარო აქვს, ერთსა და იმავე კანონს ემორჩილება: ლატაკი მუდამ სიმღიდრეზე ფიქრობს, მშვიერი—პურზე, მოწყურებული—წყალზე.

ცხოვრება მოყირქებული, სქესობრივად უძლური ადამიანის გრძნობა-გონება მუდამ სექსუალურ კითხვებს უტრიალებს გარშემო. ასეთი ადამიანი უალრესი პორნოგრაფია. ის მუდამ მონაა ვნებათა ღელვისა. მის მუდამ გატიტვლებული ქალი აგონდება.

ასეთ ადამიანს ქალი არ შეუძლია ადამიანათ წარმოიდგინოს. მისი სწეული ბუნება დედაკაცს ისე ვერ შეხედავს, თუ თავის წარმოდგენაში არ გაატიტვლა... თუ არა ასე, ქალი ვერ დააკმაყოფილებს მისი ქვენა გრძნობათა ღიზიანს, რაც ასეთ ადამიანებს გრძნობათა მთელ ოკეანეთ წარმოუდგენიათ...

ვისაც რა სტკივა, მუდამ იმაზე ლაპარაკობს.

გრ. რობაქიძეს დედაკაცისათვის მეტი არაფერი ემეტება, თუ არა მამაკაცის სქესობრივი გრძნობათა დამაკმაყოფილებელი იარაღის როლი. დედაკაცთან მეტი არაფერი აქვს სათქმელი: **შენი საშო ცხელიაო.**

რა ბინძური თქმაა! მაგრამ აქ მარტო ის კი არ არის საკვირველი, რომ ავტორი დედაკაცებს ასე ეუბნება; კიდევ უფრო საკვირველი ის არის, რომ ავტორი ასეთ სიბინძურეს სცენიდან გვეუბნება...

... და ეს როდის? მას შემდეგ, რაც რუსეთის დიდმა რევოლიუციამ არა თუ რუსეთის დიდი კავშირას ქალებს მიანიჭა სრული თავისუფლება; თვით სპარსეთისა და სათათრეთის ჰარამზანებშიაც კი შეანათა და საუკუნოებით მონობაში დამწყვედული დედაკაცი პოლიტიკური (ქორებისთვის გამოაღვიძა).

კიდევ ერთი შენიშვნა:

გრ. რობაქიძეს ასეთი გარყვნილების ნატურათ, მის გამომხატველად აღვლია ტომით რუსის ქალი.

ეს წარმოუდგენელია. რუსეთში დედაკაცებმა მამაკაცზე ნაკლები როლი არ ითამაშა კაცობრიობის საუკეთესო მერმისისათვის ბრძოლის საქმეში. რუსი ეფრნალი: „მნათობი“ № 7 (27).



დედაკაცი, დაწყებული დეკაბრისტების ცოლებიდან და გათავებული დღევანდელი, ჩვენი თანამედროვე ქალებით, წარმოადგენს სიამაყეს ყველა დედაკაცებისას მსოფლიო მასშტაბით. აბა დამისახელებთ თვით უდიდესი და უკულტურესი ერი დედამიწის ზურგზე, რომლის დედაკაცსაც იმდენი მსხვერპლი გაეღოს კაცობრიობის საკეთილდღეოთ, რაც რუსის დედაკაცმა გაიღო.

დაუჯერებელია, რომ რომაქიძის მიერ გაბახებული ოლგა, ტომით რუსი, მხოლოდ ვნებათა ღელვის ყურმოჭრილი მონა ყოფილიყოს. ოლგამ სრულიად წინააღმდეგი დაგვიანება თავისი ტრალიკული სიკვდილით...

აზოგდოში ლიბარატურაში.

სკრი ლექსებს მაგარ რკინის ლევედბათ.
და გვაბარბაცებ სიტყვის შანთებით;
საქართველო კი გვიმედიბა
ირრუბაქიძის გადაძახებით.

პაოლო იაშვილი.

ზევების ურაგანი
შენგრევს ევროპას.
სიტყვაც ხომ მაგარია:
ირრუბაქიძე.

გ.რ. რომაქიძე.

ჩვენს ავტორს ერთი უკურნებელი სენიც სკირს. ეს არის მისი პირდაპირ გახელებული სიყვარული რევოლიუციის მიერ ისტორიის წიაღში საუკუნოთ დამარბულ „თავადობისა“.

როცა რომაქიძეს უნდა გამოხატოს სიძლიერე, აზოგანობა, სულგრძელობა, დიდი გამბედაობა, მას მხოლოდ ასეთი ლექსიკონი აქვს: სითავადე, ზეიადობა, გადამლახველობა, უტეხოზა... „რალაც უცნაური სითავადე: ზეიადი ქედმაღალი. უტეხი“. ამ სიტყვებს ცოტა დამატებით „გველის პერანგის“ თითქმის ყოველ გვერდზე შეხედებით.

ბარბიე დ'ორვილისთვის ამ ეპიტეტებს მხოლოდ „დენდიზმის“ გამომხატველი მნიშვნელობა ექნებოდათ. რომაქიძისთვის კი ეს ეპიტეტები პირადად მისი საკუთარი ღირსებათა გამომხატველია. კიდევ მეტი: „გველის პერანგი“ მხოლოდ იმ მიზნით არის დაწერილი, რომ მისი ავტორის „თავადობა“ გამოამგლავნოს...

ავტორის მხოლოდ ეს სურვილია ამ რომანის თავი და ბოლო, დასაწყისი და დასასრული.

სხვა ყველაფერი აქ მხოლოდ უბრალო აქსესუარია, რომელიც ხელს უწყობს ამ ერთად-ერთი იდეის განმტკიცებას, მის გამომგლავნებას.

ეტყობა „ყანწილების“ ორდენი დიდი ხანია შესდგომია გ.რ. რომაქიძის „გათავადებას“. პაოლო იაშვილმა ჯერ კიდევ ოთხი წლის წინათ (1923 წლის თებერვალში) გამოაცხადა იგი ირრუბაქიძეთ:

საქართველოს
საზოგადოებრივი

სკრი ლექსებს მაგარ რკინის ღვედებით.

და გვაბარბაცებ სიტყვის შანთებით;

საქართველო კი გვიმელება

ირრუბაქიძის გადაძახებით.

(იხ. „რუბიკონი“, № 5, 1923 წ.).

ცხადია, „ყანწილების“ ორდენს დიდი ხნის წინათ დაუწყია მუშაობა იმის შესახებ, რომ თავისი „თეთრი ვიოროვი“ გრ. რომაქიძე ირრუბაქიძეთ გამოეცხადებია, ისე, როგორც რომელიღაც რელიგიოზური სექტა ირჩევს ხოლმე ლხეთის მშობელს.

პაოლო იაშვილი „ყანწილების“ ორდენის მარტო ხერხემალი კი არ არის, ის ამ ორდენის საყვირიც არის. და მისი ასეთი, გამოცხადების“ შემდეგ უნდა გვეფიქრა, რომ თვითონ რომაქიძის „გათაჯადებას“, მისი ტახტზე ასეღას სეფე სილყვაც უნდა მოყოლოდა, და ეს ასეც მოხდა.

სწორეთ ერთი წლის შემდეგ (1924 წ. იანვარი) გრ. რომაქიძე თვითონ სწერს მანიფესტს ირრუბაქიძის სახელწოდებით. სწერს ევროპის პოეტებს მათი შეკითხვის (!?!) საპასუხოთ, წარღნითა და ნგრევით ემუქრება თავის ევროპიელ კოლეგებს:

ზეაღების ურავანი

შეაზგრეეს ევროპას.

სიტყვაც ხომ მაგარია:

ირრუბაქიძე.

გრიგოლ რომაქიძე.

(იხ. „ბარრიკადი“, № 1.)

ასე უპასუხებს გრ. რომაქიძე ევროპის პოეტების შეკითხვაზე (თუმცა, რამდენადაც ვიცით, მას არავინ არ შეკითხებია, ალბათ იმიტომ, რომ ჯერ მისი არსებობასც არ იცოდენ! აქ მხოლოდ „ყანწილების“ ჩვეულებრივი ბაქი-ბუქია და მეტი არაფერი!)

გადის კიდევ სამი წელიწადი და გრ. რომაქიძე სწერს „გველის პერანგს“ ირრუბაქიძის სადიდებლად...

ზემოთ, როცა „გველის პერანგის“ შინაარსს ვეცნობოდით, ჩვენ ხაზი გაუსვით შემდეგ ფრაზას იმ ბოლოსიტყვაში, რომელსაც ამბობს სიკვდილის წინ თ-ღი ირრუბაქიძეთა გვიარის უკანასკნელი წარმომადგენელი:

„მოვა დრო და საუკუნოებში ჩემით იმღერებს ვინმე!!!“.

გრ. რომაქიძეს, რომელსაც, როგორც ეტყობა, სჯერა, რომ მისი გვარი ამ თავადი ირრუბაქიძისაგან წარმოსდგა, სურს დაამტკიცოს, რომ მან გვართან ერთად თავისი „წინაპარიდან“ შექვედრებოთ მიიღო ეს წინასწარმეტყველება... და ისიც ასრულებს ამ ანდერძს, ისიც უმღერის ათასიოდე წლის შემდეგ ამ ირრუბაქიძეს.

გრ. რომაქიძის რომანის უდიდესი გმირი, მისი alter ego, არა თუ ჩამომავალია ირრუბაქიძეთა გვარისა, ის პირდაპირი განმეორებაა უკანასკნელი ირრუბაქიძისა. რომაქიძე ტყუილად კი არ იმეორებს თავის რომანის დასასრულში იმ სტენას, რომელსაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელი ირრუბაქიძის სიკვდილის დროს და რომელსაც ჩვენ უკვე გავეცანით...



აქ მატასი თამაშობს უკანასკნელი ირრუბაქიძის ხასის როლს: ესეც ამორძალსავით მოაჯდება უბელო ცხენს და გარბის არჩიბალდ მეკეშის საძებრად...

ათასის წლის წინად მოკვდა უკანასკნელი ირრუბაქიძე. ათასის წლის შემდეგ ამ ირრუბაქიძის ნაშეფი იმარჯვებს: მას დაეწევა მატასი და არიგებს ცხოვრებასთან.

არჩიბალდ მეკეში უჯერის ტაბა ტაახს, რომელიც ასწავლის:

— ისე უნდა უცქეროდე საკუთარ წარსულს, როგორც გველი უცქერის საკუთარ პერანგს: გაბდილსა და გადაგდებულს.

და ირრუბაქიძის უკანასკნელი ნაშეფი ცოცხალია. ეს გაორებული, გასამებული სულიერად დანაწილებული და დახლეჩილი „დენდია“. მაგრამ ის მაინც ცხოვრობს ჩვენში, ბრუნდება სამშობლოში.

გაუმარჯოს ახალ ირრუბაქიძეს!

* * *

დაცემულობის მწერლების უმეტესობა თვითონ იყვენ დიდო გვარიშვილები. ლეოპარდი გრაფი იყო. ბარბი დ'ორვილი და ვილიე დე-ლილ-ადანი ძველის ძველი გვარების ჩამომავლები იყვენ. ისინი, როგორც ფეოდალების ჩამომავლები, ვერ ურიგდებოდენ დემოკრატიულ მე-XIX საუკუნეს. ამიტომ იყო, რომ ისინი წარსულის მოციქულებად გამოდიოდენ. ნორმანდიელი ფეოდალის ჩამომავალი ბარბიე დ'ორვილმა მოგვცა „დენდიზმის“ ნამდვილი ჰიმნი.

ასეთია გრ. რობაქიძის იდეალიც.

მაგრამ იგი ბევრით აქარბებს თავის ევროპიელ მასწავლებლებს. ის ერთის გასროლით ორ კურდღელს ჰკლავს: „დენდიზმსაც“ უკმევს და თავის პასპორტსაც ისწორებს:

ქუთაისის მაზრის გლეხის ნაცვლად ძველის ძველ თავად ირრუბაქიძის მემკვიდრეთ გვევლინება...

აქედან გამომდინარეობს მისი ზე-კაცური თვისებები: სითავადე გადამლახველობა, უტეხობა, ზვიადობა, შეყენებული გახელება... და ვინ იცის კიდევ რა...

ვინც „გველის პერანგს“ წაიკითხავს,—თუმცა ვეკობთ, რომ ასეთი თავმოძულებული აღმოჩნდეს ვინმე, გარდა რეცენზენტებისა,—დაგვეთანხმება, რომ მთელი რომანი მხოლოდ ამ მიზნით არის დაწერილი.

ამ მიზნის განხორციელებისთვის გრ. რობაქიძე არ ერიდება ისტორიის გაყალბებას, ცნობილი აშორდიას ხელობას: ყალბი ხაგვარეულო დოკუმენტების შედგენას.

საბუთი?

ინებეთ!

ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ გრ. რობაქიძე თავის „გველის პერანგში“ გვაცნობს თავადი ირრუბაქიძის გვარის წარმომადგენლებს საქართველოს ისტორიის სხვა და სხვა პერიოდებში. პირველი ირრუბაქიძე საქართველოში გაჩენილა-

ე. რ. მ. მ. მ. მ.
 გ. მ. მ. მ. მ. მ.

575. წელს კრ. შემდეგ; მეორე— „წმ. გრიგოლ ხანკძეთელის დროს“, შესამე თამარის დროს და ბოლოს ამ გვარის უკანასკნელი წარმომადგენელი ავტორის გამოყავს მე XIV საუკუნეში. ამით თავდება ირრუბაქიძის ძველის ძველი გვარი.

მას შემდეგ ეს გვარი გაორებულა: მაყაშვილად და ჩოლოყაშვილად ამ უკანასკნელი ირრუბაქიძის ორი შვილის: მაყახა და ჩოლოყახ სახელების მიხედვით.

ჩვენთვის შეუძლებელი იქნებოდა გრ. რობაქიძის „ისტორიული“ ექსკურსიების კრიტიკულად შესწავლა. აბა მიბრძანდით და ექებეთ არქივებში რომელი გვარი როდის გაჩნდა საქართველოში, როდის მოისპო და სხვა ასეთები...

მაგრამ გრ. რობაქიძემ, ვფიქრობთ, თავისდა უნებურად, მოგვცა ერთი ხელჩასაქიდებელი საბუთი, რომლის საშუალებითაც ჩვენ შეგვიძლია ავტორის ისტორიული“ ერუდიცია კრიტიკულად გავარჩიოთ.

საქმე შემდეგშია:

ის ირრუბაქიძე, ამ გვარის უკანასკნელი წარმომადგენელი, რომელსაც მადლიერი „მემკვიდრე“ ავტორი „წმ. გრიგოლ ხანკძეთელის დროს“ აკუთვნებს, თურმე სახელად რადამე ყოფილა.

ეს გარემოება თავის თავად, რა თქმა უნდა, ვერ არის ისეთი ძაფი. რომლის საშუალებითაც ისტორიის ლაბირინტში გზის გაკვლევა შეიძლებოდეს.

მაგრამ გრ. რობაქიძე ამ გმირს ისეთ რამეს აწერს, ისეთი ისტორიული ამბის გმირად გამოყავს იგი, რაც ჩვენ რომის ისტორიიდან ვიცით.

მაშასადამე, ნება მიბოძეთ უფრო დაახლოვებით გავაცნოთ ეს გმირი და ისიც მოვახსენოთ, რაც ჩვენ მის შესახებ ვიცით რომის ისტორიიდან.

ამ უკანასკნელს ირრუბაქიძეს გრ. რობაქიძე ასე აგვიწერს:

„წმ. გრიგოლ ხანკძეთელის დროს სცხოვრობდა ვინმე ირრუბაქიძე. სახელად რადამე. კაცი ახოვანი. ფიცხი. გადამლახველი. ცოლი ყავდა ლამაზი. მტრები დაედევნენ ერთხელ. რადამე და მისი ცოლი ცხენებს მიაჰქენებენ. ცოლი ორსული იყო. ველარ შესძლო ცხენის ქენება.“

- „მომკალი“ — ეუბნება ვაჟს.
- „როგორ?“ — მიუტებს ქალს.
- „უკეთესია მოვკვდე, ვიდრე მტრების ხელში ჩავვარდე.“
- „შერე?“ —
- „შენ გადარჩები.“

ვაჟი ყოყმანობს. შორიდან მოისმის ცხენების თქარი-თქური. ვაჟი იძრობს ხანჯალს. ჩაჰკრავს. დაჰრილს მდინარეში გადაისვრის. ვაჟი გარბის. მტრები მისდევენ. ვაჟი გადარჩება. გაივლის ხანი. რადამეს მოახსენებენ: ცოლი გადაურჩენიათ მეთევზეებს. რადამე გახარებულა“. (იხ. „მნათობი“, №№ 11-12, გვ. 44. „გველის პერანკი“).

ასე აგვიწერს გრ. რობაქიძე თავის რადამე ირრუბაქიძის ცხოვრების ერთ უსაშინელეს ეპიზოდს... და ამას ის შემოქმედების ნაყოფად ასალებს...

გავკადნიერდებით და მოვახსენებთ გრ. რობაქიძეს, რომ აქ მისი შემოქმედების არაფერია. მთელი ეს მოთხრობა რობაქიძეს ამოუღია რომის ისტორიკოსი ტაციტის ქრონიკებიდან და, „ეშმაკის“ სიტყვებით რომ ვთქვათ, მიუიმახსენია...

არა გჯერათ? მაშ გაეცანით ტაციტის რაღამისხს:

„რაღამისი და მისი ცოლი ზენობია მიაქუნებენ ცხენებს. ზენობია ორსულია. ქმრის სიყვარულითა და მტრის შიშით ის ძლივს ითმენს ცხენის ქენებას... ის გრძნობს აუტანელ ტკივილებს. მტრის ატანა არ შეუძლია. ეხვეწება ქმარს:—პომკალ და მით მიხსენ სამარცხენო ტყვეობისგანო.

— როგორ?—ეკითხება ქმარი. ის ანუგეშებს ცოლს, ამხნეებს მას. მაგრამ ამაოთ... მტრები თანდათან უახლოვდებიან. ისმის ცხენების თქარა-თქური. იმის შიშით, რომ მისი საყვარელი ცოლი მტრებს უნდა ტყვედ ჩაუვარდეს, რაღამეს იღებს ხმაღს და დაჰკრავს ცოლს. დაქრილს მდ. არაქსში გადაისვრის. რაღამესი გადაურჩება მტრებს. ის გარბის იბერიაში. დაქრილი ზენობია მდინარის ტალღებს ნაპირზე გააქვთ. იქ მას იპოვნინან მწყემსები. შეუხვევენ ქრილობას. წამლობენ. ზენობია რჩება და როცა მის ვინაობას გაიგებენ, მიჰყავთ სომხეთის სატახტო ქალაქ არტაქსიდში“... (იხ. Кай Корнелии Тацит. Летопись, ч. II, 57-63).

როგორც ხედავთ, გრ. რობაქიძის რაღამე და ტაციტის რაღამისი ერთი და იგივეა. მათ შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ ტაციტმა თავისი რაღამისის გვარი არ იცის, რომ მისი რაღამისი იბერიის მეფე ფარასმანის შვილია, მისი ტახტის მემკვიდრეა...

ტაციტისა და რობაქიძის მოთხრობები თითქმის სიტყვა-სიტყვით ერთი და იგივეა. რობაქიძე მხოლოდ ქალის სახელს არ ახსენებს. მათ შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ რობაქიძის რაღამე, როგორც დავინახეთ, მე-IX საუკუნეში „მოღვაწეობს“, ტაციტის კი პირველი საუკუნის 40 წლებში.

რატომ დასკირდა „გველის პერანგის“ ავტორს დატების ასე არევე-დარევა? რატომ არ ასახელებს იგი რაღამესის ცხოვრების ნამდვილ დროს?

იმიტომ, რომ მაშინ უფრო ადვილი იქნებოდა მისი კვალ და კვალ მიყოლა. მაშინ ადვილი იქნებოდა იმის გამომტლავება, რომ გრ. რობაქიძემ ტაციტის მოთხრობა მიითვისა.

რატომ არ სარგებლობს გრ. რობაქიძე ტაციტის სხვა ცნობებით მისი რაღამეს შესახებ? რატომ არ ასახელებს ის რაღამეს ცოლის სახელს, ზენობიას? ან რატომ არ აცხადებს თავის ირრუბაქიძეს ივერთ მეფე ფარასმანის ტახტის მემკვიდრეობა?

ესეც იმავე ღრმა მოსაზრებით.

მოპარულ ცხენს თუ ფერს ვერ უცვლი, დალი მიინც უნდა გამოუცვალო, ისე ძნელია მისი მითვისება...

ყოველ შემთხვევაში, დიდათ ვწუხვართ, რომ გრ. რობაქიძემ თავისი „წი-

ნაპარი* რაღამე ირრუბაქიძე ივერიის მეფის ტახტის მემკვიდრეთ არ გამოაცხადა.

დღეს, როცა ლამის არის მთელ ქვეყანაზე მეფეებისა და მათი მემკვიდრეების სინსილა ვააწყონ, ჩვენ, ქართველებს, მტრების თვალების დასაყენებლად ისიც გვეყოფოდა, რომ ძველი ივერიის მეფის სისხლი და ხორცი ირრუბაქიძე რაღაქიძე გვეყოლებოდა.

აქ გრ. რობაქიძეს მეტრს მეტი კდმა-მოსილება გამოუჩენია და მით დიდ ზიანს აყენებს ჩვენს ნაციონალურ თავმოყვარობას...

თუმცა საშაგეროდ ისიც გვეყოფა სანუგეშოთ, რომ მან ჩვენ ღარიბ ლიტერატურაში სრულიად ახალი, ჯერ არ გაგონილი და არ ნახული მიმართულება შეიტანა.

მან გაამდიდრა ჩვენი ლიტერატურა აშორდიშით.

ეს ტერმინი საქართველოში ყველა ყოფილმა „მაძიებელ აზნაურებმა“ და მათმა ჩამომავლებმა კარგად იციან.

სხვების საყურადღებოთ ვიტყვი: ამ შემთხვევაში „აშორდიში“ ყალბი დოკუმენტების საშუალებით „გათავადებას“ ნიშნავს.

* *

გრ. რობაქიძე თავის „გველის პერანგში“ იძლევა სპარსეთის ცხოვრების სურათებს. ერთი მისი სურათი პირდაპირ თვალის მომკრეულია. მასში თქვენ მართლაც გრძნობთ სპარსეთის მზის ალხს.

გავეცნოთ სურათს:

„მოდინ ქუჩის ჯამბაზები. ჩერდებიან ფარდულთან და იწყებენ თვალთმაქცობას.

განზე ყოჩებს აჭიდავებენ: წითურსა და შავს.

იქვე მორიელი და ფალანგა ებრძვიან ერთმანეთს სასიკვდილოთ.

ირგვლივ ცეცხლის რკალი მოუვლიათ: გაქცევა რომ არ შეეძლოს არც ერთს.

ფალანგა ხტის. მორიელი მისდევს.

ფალანგა ცეცხლს მიადგება. შეჩერდება.

მორიელი მივარდება და ჰგესლავს. ფალანგა კედება.

მორიელი გარბის. მაგრამ გარშემო ცეცხლის ზღუდეა.

მაშინ კუდს მოიქნევს მორიელი და გესლიან წვეტს თავში ჩაისობს:

მორიელი თავს იკლავს.

(„მნათობი“, 11-12, 20).

რა ჩინებული სურათია! მაგრამ... მაგრამ ეს სურათი რაღაც მეცნაურება.

სად მინახავს, სად წამიკითხავს იგი?



ქართული
საქმიანობა

ვატან ძალას ჩემს საკმაოდ მოჩლუნგებულ მებხიერებებს... ვეროქაქ მს სუ-
რათი ბაირონის ვიპოვებ ვამიკითხავს.

აბა შეეადაროთ:

Когда во мраке преступления
Родятся муки угрызения,
Мяется дух, как скорпион,
Кольцом горящим окружен.
Со всех сторон огонь пылает
Его повсюду обжигает,
Он всюду мечется, доколь
Не станет нестерпимой боль...
тогда ему осталось жало:
Оно доселе расточало
Смертельный яд его врагам,
Но скорпион его вдруг сам
В себя с отчаянием вонзает“.

Бирон. („Гяур“, пер. С.Ильина).

რას გვეუბნება ამ ორი სურათის შედარება?

აქედან აშკარაა, რომ გრ. რომაქიძეს აულია ბაირონის გენიალური სუ-
რათი, მიუმატებია მისთვის ფალანგა და პროზით უთარგმნია.

შეიძლება გრ. რომაქიძემ გვითხრას: აქ მხოლოდ უბრალო შორეული
მსგავსებაა. მე ჩემი თვალთ ნანახი სურათი დაეხატე და ნუ თუ ამის ნება არ
უნდა მქონდეს მხოლოდ იმიტომ, რომ იგივე სურათი ბაირონმა გამოხატა?

საქმე ის არის, რომ გრ. რომაქიძე ასეთ სურათს ვერ ნახავდა, არც შეეძლო
ენახა, სწორედ ისე, როგორც ასეთი სურათი არ შეეძლო ენახა ბაირონს. ბაი-
რონისთვის ეს საჭიროც არ იყო. მას მხოლოდ სურდა გამოეხატა ფსიხოლო-
გია გამოუვალ მდგომარეობაში მყოფ ადამიანისა, რომელიც იძულებულია თვი-
თონ მოიკლას თავი და ის აკეთებს მისთვის ჩვეულებრივ გენიალურ შედარე-
ბას ცეცხლის რკალში გამომწყვდეულ მორიელთან, რომელიც, როცა გამოსა-
ვალს ვერ პოულობს, თვითონ საკუთარი გესლით იგესლავს თავს და კვდება.

გრ. რომაქიძე კი გადმოგვცემს იმავე სურათს, რომელიც ვითომ მას სა-
კუთარი თვალთ უნახავს. ის გვარწმუნებს, რომ მან საკუთარის თვალთ ნახა
სპარსეთში ცეცხლის რკალში მომწყვდეული მორიელი, რომელმაც თავისი გეს-
ლით თავი მოიკლა...

ეს შეუძლებელია და აი რატომ:

ბაირონის გენიალურმა სურათმა, რომელიც უფრო ზრდილობიანად რომა
ვთქვათ რომაქიძეს მიუმიხატნია დიდი ხნის წინათ მიიპყრო მცნიერების უფ-
რადლება. მათ მართლაც მოახდინეს ცდები: შეუძლია თუ არა მორიელს, გველ-
ან სხვა ასეთ შხამიან არსებას თავისი გესლით თავის დაგველა და სიკვდილი
ცდა მრავალჯერ იქნა განმეორებული ცეცხლის რკალში მომწყვდეულ მორიე-



ლებსა და გველებზე. ასეთი გამოცდილების ცეცხლით განაწამებმა ობიექტებმა დაიკბინეს ტანი, ბევრხელ დაიგესლეს თავი, მაგრამ როცა ცეცხლიდან გაანთავისუფლეს, ისინი სრულიად უვნებლად გადაარჩენ. ამნაირად მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ მორიელი, გველი და სხვა ასე უები თავის თავს ვერ დაიგესლვენ, რომ გესლი არ მოქმედობს თვითონ ამ გესლის პატრონზე და რომ ბაირონის გენიალური სურათი მხოლოდ ბაირონის ფანტაზიის ნაყოფია.

დღეს ეს იციან არა თუ ეჭიმებმა და ბუნების მეცნიერებმა, ეს იციან ყველა იმათაც, ყისაც ბაირონის შესწავლა მოუწადინებია.

რაშია ამ სურათის სიდიადე? მხოლოდ იმაში, რომ ცეცხლის რკალში მომწყვედუელი მორიელი არ ემორჩილება გარდაუვალ გარემოებას და თვითონ თავისი საკუთარი გესლით იგესლავს თავს. და თუ ეს მართალი არ არის, თუ მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ ამ აქტს ადგილი არა აქვს, მაშინ რა აზრი უნდა ჰქონდეს მორიელის ცეცხლის რკალში მომწყვედევას?

ყოველი ეს არ სცოდნია გრ. რომაქიმეს. ის ითვისებს ბაირონის გენიალურ ნაყოფს და თავის საკუთრებათ ასაღებს მას.

მაგრამ ის ვარდება ყალბი ფულების მიმთვისებლის მდგომარეობაში... კაცმა სხვისი ფული მოიტაცა, რისკი ვასწია და გამოდის, რომ ეს ფული ყალბი ყოფილა...

* * *

ასე იქცევა „ყანწელების“ „თეთრი გიორგი“. ის ითვისებს ყველაფერს, რაც კი მოეწონება, ითვისებს უბრალო მომკვდავებისას კი არა, გენიალური მწერლების შემოქმედების ნაყოფს...

აბა ამის შემდეგ რა ფაქი უნდა ჰქონდეს „ყანწელების“ ჩივილს:

„გმადრცვენ ყოველ დღე სახეებში, რითმებში, ლექსებშიო“...

როგორც ხედავთ, გაძარცვა მართლაც შესაძლებელი ყოფილა. მაგრამ ჩვენში ვის რა აქვს, რომ გაძარცვად ღირდეს? აქ მხოლოდ წვრილმანი ქურდობა შეიძლება, ისე, რუსები რომ იტყვიან:

Нищий у высшего портяну украд...

(გაგრძელება იქნება).

ისევ ფორმალისტურ პოეზიის შესახებ*)

II

წინა წერილში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მხატვრული კულტურის სპეციფიკურობა ფორმალურ მომენტებით განისაზღვრება. ამ დებულებით საკითხო ლიტერატურულ მიმართულებათათვის საკუთარი მხატვრული რედო-ს შესახებ დადებითად გადაჭრილია: ყოველი ლიტერატურული მიმართულება მით არის ლიტერატურული, რომ მას საკუთარი ფორმალური თვალსაზრისი გააჩნია. ისიც აღვნიშნეთ, რომ „ექსპრესიონიზმი ყოველდღიურ სიკვდილს უახლოვდება გერმანიაში“ არა იმიტომ, თითქოს მას არ გააჩნდეს საკუთარი ლიტერატურული მსოფლ-მხედველობა, არამედ იმისათვის, რომ ექსპრესიონიზმი იდეოლოგიურათ მიუღებელი ხდება იმ კლასისათვის, რომელიც კაპიტალისტურ წესწყობას ებრძვის არა „მიწასთან დაბრუნების“ იდეის სახელით, არამედ კომუნიზმის განსახორციელებლათ.

ხელოვნების ამ სპეციფიკაში მოცემულია მისი განსხვავება მეცნიერებისაგან. ხელოვნება შემეცნების პროცესია. „ხელოვნება, კერძოდ პოეზია, შემეცნების აქტია; მაშასადამე, მისი საბოლოო მიზანი იგივეა, რაც მეცნიერების,—შემეცნება“ (ვ. ბრიუსოვი) შემეცნების ზოგადი ფორმულა მდგომარეობს „ნაცნობის საშუალებით ნაცნობის გაგება-ცნობაში.“ ვ. ბრიუსოვი, პოეტბნიასთან ერთად ჰფიქრობს, რომ პოეტური შემოქმედებაც ამ ზოგად ფორმულის გზით მიდის. „კუდი ის პოეტი, (პოეტბნიას დასკვნა) რომელიც ეძებს სახეებს უკვე მზამზარეულათ მოცემულ იდეისათვის; ნაწარმოების იდეა, მისი ძირითადი აზრი, ჰემმარიტ პოეტისათვის წარმოადგენს ნამდვილ x-სს; იმას, რასაც ეძებს პოეტი, რის ახსნასაც ლებულობს ის შემოქმედების დასასრულში“. „ამ x-სს, ამ უცნობს პოეტი ხსნის ნაცნობის საშუალებით ე. ი. ახდენს შემეცნების აქტს.“ თუ მხედველობაში არ მივიღებთ „ხაუშნიკურ“ ვარჯიშობას, ყოველ მხატვრულ ფაქტში ჩვენ დავინახავთ განსაზღვრულ იდეოლოგიას. ფორმალისტურ შკოლის მიხედვით, ხელოვნება მხოლოდ „სტილისტიურ ხერხების ჯამია“, მაშასადამე ხელოვნებაში შინაარსი არ არის და თუ არის ის არავითარ როლს არ თამაშობს. მარქსიზმის შეხედულება ამ შემთხვევაში დიამეტრალურათ საწინააღმდეგოა: „არ არსებობს ნამდვილი მხატვრული ნაწარმოები, რომელიც მოკლებული იყვის განსაზღვრულ იდეურ შინაარსს“ (გ. პლენანოვი). ამ დებულების ცოცხალ ილლუსტრაციას წარმოადგენს ლიტერატურის ყოველი ფაქტი, ლი-

*) იხ. „შინათბი № 4 (24) 26 წ.



ტრატორის მთელი ისტორია. მართლაც და აბსოლიუტური უფიცი და იმედ დაკარგული ბევი უნდა იყვეს ადამიანი, რომელსაც შესწევს გამბედაობა თქვას, რომ გიოტეს, შექსპირის, შოთა რუსთველის, პუშკინის, ილია ჭავჭავაძის და მრავალ სხვათა შემოქმედებაში არ იყვეს მოცემული ადამიანის გარკვეული შეზღუდულობა სამყაროზე, ე. ი. არ იყვეს ის, რასაც ჩვენ იდეოლოგიას უწოდებთ. რა არის „ფაუსტის“ ტიპის, გინდ კაკო ყაჩაღის, გინდ ონგენის, ტიპების პრობლემა თუ არა შეზღუდულობა მთელი სისტემა ადამიანთა ურთიერთობაზე, ადამიანთა გარეშე სამყაროსთან დამოკიდებულებაზე.

იდეოლოგიის ფაქტი მხატვრულ მოვლენაში ხდის ამ უკანასკნელს შემეცნების განსაკუთრებულ პროცესს. ასეთია მარქსიზმის დებულება. რაში მგლავნდება ეს განსაკუთრებული ბუნება მხატვრული შემეცნებისა? ბესო ჟღენტი ჰუიქრობს, რომ ხელოვნება არ არის აზროვნება, ის არ არის კვლავარტების ძიება და შემეცნების საშუალება. შემეცნება ისწრაფვის მოვლენების ხილვიდან — მისი შეცნობისა და აზროვლი დაპყრობისაკენ...

...ხელოვნება ახალ ცხოველ შეგრძნებათა რეზერვუარია; მან უნდა მოგვეცეს ჩვენთვის უცხო და უჩვეულო განცდა: იგი უნდა იძლეოდეს ჯერ არ ყოფილ შთაბეჭდილებებს...

...ყოველგვარი ხელოვნება ფასეული და მაღალი იმდენათ, რამდენადაც იგი უფრო ცხოველ და მაღალ შეგრძნებებს იძლევა. ასე უნდა გავიგოთ გიოტეს ცნობილი თქმა: ხელოვნებაში ფასეული მხოლოდ შეუცნობელი მომენტებია, რომლებიც ექვემდებარებიან აზრს და ძნელათ შესაცნობი არიანო.

ამიტომ გზა ხელოვნებისა არის გაუცხოება და გასაოცრება (остранение). ასეთია თვისებური ბუნება ხელოვნების. ამით განსხეავდება იგი შემეცნების ყველა სფეროებიდან.* (ხაზგასმა ჩემია — შ. დ.)

ბ. ჟღენტი აუცილებლათ ღია კარებს ეხეთქება, როდესაც ლაპარაკობს, რომ ხელოვნება აზროვნება არ არისო; ვინ ამტკიცებს იმას, თითქოს ხელოვნება ფორმალ ლოლიკის კანონებზე დაფუძნებული აზროვნება იყვეს? ნუ თუ ამის მტკიცებას მოითხოვს რეალისტური შკოლა და რეალისტური პოეტიკა? უდაოა ის მოსაზრება, რომ ხელოვნება არ არის სილოგოზში, რომ მისი მეთოდები არ არის ფორმალ ლოლიკის მეთოდები; ამისდამიუხედავათ ხელოვნება არ ჰყარავს შემეცნებითი ხასიათს. მაგრამ ეს შემეცნება არ არის „აზრეული“, ინტელექტუალური შემეცნება. მთავარი ხელოვნებაში არის განცდა — ეს ემოციონალური ფაქტორი ადამიანის შინაგანი სამყაროსი. „ემოციონალური მომენტი კონსტრუქტიული პრინციპია ხელოვნების“ (ნ. ბუხარინი). მაშასადამე მთავარი სფერო, რომელშიც იშლება შემოქმედება არის არა ლოლიკური გონება, არამედ განცდა. განცდა ამ შემთხვევაში ქვემცნობიერ პროცესებზე იშლება, რომლებიც ხელოვნებაში ვადამწყვეტ როლს თამაშობენ. ფსიქოლოგიური მეცნიერება განსაზღვრავს განცდას, როგორც უშუალო ცოდნას; ის იპოვება არა აზროვნების პროცესში, არამედ უშუალოთ განცდის ფაქტში. წინააღმდეგი მდგომარეობა შეუძლებელს გახდიდა შეგრძნებათა ცოდნას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ განცდაშია შესაძლებელი. აქედან ცხადი უნდა იქნეს ის გარე-



მოება, რომ ხელოვნების მიერ მოცემული „შთაბეჭდილება“ და „უჩვეულო განცდა“—ნიშნავს რისიმე განცდას და რისიმე შთაბეჭდილებას, ე. ი. ძლიერ ექსპრესიულ ფორმებში რისიმე უშუალო ცოდნას. ვ. ბრიუსოვი მეტისმეტათ ამარტივებს საკითხს, როდესაც ხელოვნებასა და მეცნიერებას შორის არსებულ განსხვავებას ნახულობს მეთოდში: „მეცნიერების მეთოდი ანალიზია, ხელოვნების—სინთეზი“ ამბობს ბრიუსოვი. სინთეზისა და ანალიზის ასეთს ხელოვნურ დაპირდაპირებას მეცნიერული აზროვნება არა ერთხელ დაუყენებია საბედისწერო ხიფათის წინაშე, რადგანაც შემეცნების ყოველი ფაქტი ჰგულისხმობს როგორც ანალიტიურს ისე სინთეთიურ მომენტებს; შემეცნების მოვლენათა მეცნიერული ღირებულება სწორეთ ამ მთლიანობაში მელაენდება. სად არის ის თეორეტიული მიჯნა, სადაც თავდება მეცნიერება და იწყება ხელოვნება? მეცნიერების გზა—მიზეზობრივი კათემარით განსაზღვრული სფეროა.

ხელოვნების—ადამიანის შინაგანი სამყარო ქვემცნობიერი პროცესებით შემოფარგლული. მეცნიერების მიღწევები სილოგისტურ ლოღიკის პრინციპებზე იშლება, ხელოვნება კი—საგნის ძლიერი განცდით სცდილობს მაქსიმალურათ ემოციონალური ექსპრესიის მოცემას. მეცნიერება—„ლოღიკური გონების“ სფეროა, ხელოვნება—განცდის. პირველი რაციონალი (და არა რაციონალისტური) შემეცნებაა, მეორე იორაციონალი (არა ლოღიკური გაგებით).

როგორც ირკვევა ხელოვნება შემეცნებითი მოვლენაა, მაგრამ თვისებურება ამ შემეცნებისა იმაში მდგომარეობს, რომ აქ აქტუალურ ფაქტორათ გვევლინება განცდა, სადაც შემეცნების ფაქტი ძლიერ ემოციონალურ ფორმებშია მოცემული; მაშასადამე განსხვავებაც მეცნიერებასა და ხელოვნებას შორის სწორეთ ამ თვისებურებაში უნდა ვეძიოთ: ხელოვნება უშუალოთ მოქმედებს ადამიანის გრძობაზე, ეს პროცესი დროულათ ხანმოკლეობით ხასიათდება და ემოციონალურათ კი სიძლიერით; მეცნიერება—ადამიანის გონებას იპყრობს და ამდენათ ეს პროცესი ყოველგვარ ემოციონალობისაგან დაცლილია. რასკოლნიკოვის ან და ივანე კარამაზოვის ტიპები თუ გინდ ფრეიდის თეორიის თვალსაზრისითაც განხილული არაფერს ეუბნება ჩემს გრძობებს, ჩემს სულს. ამ შემთხვევაში ჩვენ გვექნება ცივი გონებით მოცემული ადამიანის ფსიხიკის თავისებური კონსტრუქცია, ადამიანის სულიერ განცდათა თუ გნებათ თავისებურ ხაზებში გაშლაც კი. მაგრამ ეს ტიპები დოსტოვესკის შემოქმედებაში ძლიერი შთაბეჭდილებათა „რეზერვუარია“, რადგანაც აქ ისინი მოცემულია როგორც მხატვრული ფაქტი, როგორც მოვლენა მხატვრული შემოქმედების. ამ რიგად: განსხვავება ხელოვნებასა და მეცნიერებას შორის უნდა ვეძიოთ იმ შემოქმედების ხარისხში, რომელსაც ახდენს შემეცნების ეს დარგები ადამიანის გრძობაზე და გონებაზე.

მაშასადამე მთავარი ან ძირითადი ესთეაურ შემეცნებაში ემოციონალური მომენტია; ეს მშვენიერათ დაამტკიცა ბუხარინმა და აგრეთვე ა. ლუნაჩარსკიმ, რომელმაც ხელოვნება განსაზღვრა, როგორც შრომის პროცესი, მიმართული მხატვრული ფორმების შექმნისაკენ. რა როლს თამაშობს სახის პრობლემა ამ შემთხვევაში და არის თუ არა ის განსაკუთრებული მოვლენა პოეზიის მშენებლობაში?

პოეზიის მთელი ისტორია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ქალაქურ ცივილიზაციის უკანასკნელ საფეხურებს, რომლის ფონზე გაიშალა ფუტურისტური პოეზია—რეალისტურ პოეტიკის ცოცხალ ილიუსტრაციას წარმოადგენს. ამ პოეტიკის უმთავრესი მომენტები სისტემატიურათ ჩამოაყალიბა პოეტებნიამ, რომლის თეორეტიული შემოქმედება წარმოადგენს მხოლოდ ანალიზის მხატვრული ფაქტებისას; ამდენათ ნორმატიულ ბუნებისაგან პოეტებისათვის პოეტიკა სავსებით განთავისუფლებულია. რა არის პოეზია რეალისტურ პოეტიკის თვალთახრისით?

პოეზიას ორი უმთავრესი მომენტი განსაზღვრავს: იდეა და სიტყვა. სიტყვა პოეტებისათვის აზრით მხოლოდ გარეგანი ფორმაა იდეის. პოეზიის ფაქტში ეს ორი ელემენტი ორგანიულ მთლიანობაშია მოცემული. ეს მთლიანობა ახალ მოვლენას ჰქმნის, რომელსაც პოეტებნიამ სახე უწოდა. სახე შინაგანი ფორმაა, მაგრამ ის სინთეტიური ელემენტია, რადგანაც აკავშირებს იდეას და სიტყვას. ამრიგად: იდეა, როგორც ძირითადი მომენტი პოეზიის, სიტყვა, როგორც გარეგანი ფორმა და სახე, როგორც სინთეტიური ელემენტი: იდეა, სიტყვა. ასეთია პოეზიის სტრუქტურა.

აქ მეტათ დამახასიათებელი და ხაზ გასასმელია ის გარემოება, რომ სახე მხოლოდ სინთეტიური ფაქტორია ფორმისა და შინაარსის (იდეისა და სიტყვის); მაშასადამე **სახის პრობლემა იწლება ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის ფონზე**, რის მიზეზითაც ეს პრობლემა არ არის განსაკუთრებული და გავალკეებული ამოცანა ფორმალურ ამოცანებში. პირიქით: ფორმისა და შინაარსის ურთიერთობა თავისთავათ ცხადს ჰყოფს სახის პრობლემასაც.

მაგრამ თუ სახეს გავივებით ჩვენ როგორც მეტაფორულ ან და ილევორიულ მობრუნებას აზრისას, მაშინ ის გამოვა როგორც განსაკუთრებული პრობლემა, რომელსაც თავისი საკუთარი დამოუკიდებელი აზრი გააჩნია. ასე აქვს გავრცელებული მხატვრული სახე ბესო ელენტს. ის ებრძვის პოეტებისათვის პოეტიკას, რომლის შეხედულებით „ხელოვნება ქეშმარიტების უშუალო ჰერეტიკა და სახეებით აზროვნება“. ეს შეხედულება უდევს საფუძვლათ რეალისტურ შკოლას; ამ დეჰულეებით ის არის ნათქვამი, რომ ხელოვნება მთლიანი მონოლიტიკობაა ფორმისა და შინაარსის, რომ **მხატვრულ ფაქტში** ფორმა და შინაარსი როგორც დამოუკიდებელი ელემენტები არ არსებობენ, რომ მათი დაყოფა მხოლოდ თეორეტიული მოსაზრებით ხდება. ფორმალისტებს ასეთი შეხედულება პრინციპალურათ არ აკმაყოფილებს. მათი მიმდევარი ჩვენში ბ. ჭლენტი სწერს: „სახე არ არის პოეზიის ლოგიური ან განმარტობებელი ელემენტი. იგი პოეზიაში იხმარება, როგორც ერთ ერთი სტილისტური ხერხი და არავითარ ფუნქციონალურ პრინციპს არ ატარებს. ლექსები იწიერებიან ისე, რომ მათში არ არის არც ერთი სახე. მაგრამ მათი პოეტურობის უარყოფა არ შეიძლება. მაგალითად ჩვენს პოეზიაში: რუსთაველი ნაკლებათ სარგებლობს სახეებით და სერთოდ კლასიკური ეპოსისთვის სახე მეორე ხარისხიანი სტილისტური ხერხია—ალეგორიების, ეპიტეტების და სხვათა გვერდით. თუნდ ბესიკის პოეზიაც განტეორთულია სახეებისაგან (რასაკვირველია არა აბსოლიტურათ). შეიძლება აუარებელი მაგალითების მოყვანა პოეზიიდან, სადაც ლექსი არ შეიცავს სახეს და ის მაინც არის პოეზია“. („მნათობი“ № 4 (24) 1926 წ.).



რასაკვირველია უდაოა ის მოსზრება, რომ სახე, როგორც ალგორითი ან და მეტაფორა სრულიადაც არ არის ნიშანდობლივი თვისება პოეზიის. ბ. ელენტი ებრძვის მის მიერ შექმნილ ფანტაზიას, როდესაც პოეტებისა და მხატვრულ სახეში თავის საკუთარ შანაარსს ათავსებს, „ზემოთ ჩვენ ვამტკიცებდით — სწერს ელენტი — რომ სახე არ არის პოეზიის განმაპირობებელი და ლოგიკური თვისება, მიუხედავად ამისა ფორმალური პოეტიკა სრულიადაც არ უაყოფს სახეს, როგორც სტილისტიურ ხერხს და მა პოეტის ორიენტატორი პოეტები ხშირად ჯიღაც ხმარობენ მას. მაგრამ აქ სახე აღებულია, არა როგორც აზროვნების გადავილების საშუალება, არა ალექსანდრის დევილების ხერხი, არამედ პირიქით, მისი გართულებისა და განგრძობილების უცხო და მოულოდნელი განცდების ფუნქცია“. და სანიმუშოთ ამისა ჩვენს ავტორს მოჰყავს ქართულ შემარცხენე პოეტების შემოქმედებიდან ზოგიერთი ადგილები, სადაც სახე დაყვანილია მეტაფორამდე. მაგ. სიმონ ჩიქოვანის: „როგორც პეპლები ლამპის შეშებზე გულს.

ლაქები ეხეთქებთან“ და სხ.

ან ნიკ. ჩაჩავას „მთვარე გადმოისვრის, ცა აშენდება“ და სხ.

რა არის ეს თუ არა მეტაფორა, რომელიც მიღებულია აქ სწორად როგორც „ალექსანდრის გადავილების ხერხით.“

რასაკვირველია პოეზიის ისტორიაში მრავალია ნიმუშები, რომლის პოეტურობა უაღრესობამდის არის აყვანილი, მაგრამ რომელშიაც არ არის სახე მეტაფორული გაგებით, მაგრამ პოეზიის ისტორიამ არ იცის ისეთი მხატვრული ფაქტები, სადაც არ იყოს სახე პოეტებისთვის გაგებით (როგორც სინთეტიური ფაქტორი).

ზევით აღენიშნეთ, რომ პოეტების მსოფლმხედველობის მიხედვით სახე სრულიადაც არ არის განკერძოვებული პრობლემა. ის სრულიადაც არ უპირდაპირებდა სახის პრობლემას არც ფორმალურ და არც სააზროვნო მომენტებს. პირიქით პოეტებია თვით ამ მომენტებში ათავსებდა ამ პრობლემას. სახე არ წარმოადგენს ლოლიკურ ცნებას ე. ი. ის არ უპირდაპირდება ინდივიდუალურ საგნებს. პირიქით მხატვრული სახე თვით არის საგანი, მაგრამ საგნობრივობას დაკლილი, ვინაიდან ის გარეშე ქვეყნიდან პოეტის „შინაგან ქვეყანაში“ გადადის. აქ არის განცდა საგნის და ამდენათ მას ემოციონალური ზემოქმედების უნარი ენიჭება. სახის სინთეტიური ფუნქცია პოეტების მიხედვით იმაში მუდგდება, რომ ორგანიულათ მთლიანდება სიტყვა და იდეა, თავის თავად არც იდეა და არც სიტყვა არ არის სახე, ამ უკანასკნელს მხოლოდ მათი ორგანიული გამოთლიანება იძლევა. მაშასადამე სახე სტილისტიური ხერხი კი არ არის, არამედ სახის მოცემულობა თვით პეულისხმობს განსაზღვრულ ხერხებს. მაშასადამე მთავარი პოეზიაში სახე კი არ არის, არამედ ის, თუ როგორაა ეს სახე მოცემული; ე. ი. რამდენათ მხატვრულად შესრულებულია გამოთლიანება იდეისა და სიტყვის. აქედან ცხადია, რომ სახე არა მარტო სმენითი კატეგორიაა, არამედ ხედვითიც (რამდენად იდეის „ხედვა“ შეიძლება). ეს ელემენტარული კეშმარტება დაეიწყებული აქვთ, როგორც ფორმალისტებს, ისე სმენითი ფილოლოგიის მოძღვრებს, რომელის მიხედვით პოეზიის მთავარი თვისება სმენითი

შეგრძნობაა, რომ პოეზია თვით არის სმენითი კატეგორია. აქ სმენითი კატეგორია უპირდაპირდება ხედვითი კატეგორიას და ამდენათ საოცარი აბსურდი იქმნება. უდაოა ის მოსაზრება, რომ ლექსი „მისი გახშიანების შემდეგ ლებულობს სიცოცხლეს“, რომ „ლექსის დაწერილი ტექსტი ეს იგივე უნდა იყოს, რაიც ნოტი მუსიკაში“. მაგამ ეს „გახშიანება“ მე არას მეთყვის, ის ვერ დამიპყრობს მე ემოციონალურად (ხელოვნების ფუნქციონალური დანიშნულება) თუ მასში რაიმე აზრი არის. ბგერათა მექანიკურ კომბინაციას, დაკლილ ყოველგვარ აზრისაგან, „მნიშვნელობა“ აქვს მხოლოდ თვით ავტორისათვის, მკითხველისათვის კი ის გაუგებარ ამოძახილებს (ВЫПРЯЖИ) წარმოადგენს. ამდენათ, პოეზია, რომელიც მიჩნეულია მხოლოდ სმენითი კატეგორიით, არღვევს კავშირს ნაწარმოებსა და მკითხველს შორის და მით ხელოვნების ფუნქციონალურ დანიშნულებას ჰღალატობს. ეს, სხვათა შორის, პოეტურის მკერმეტყველებით დაასაბუთია უდიდესმა მეტაფიზიკოსმა შოპენჰაუერმა, რომელმაც ყოველ მუსიკალურ ბგერაში განსაზღვრული აზრი გააოხიქტივია.

რეალისტური პოეტიკის დებულება: ხელოვნება მხატვრულათ სინთეტიური ფონომენია იდეისა და სიტყვის. აქედან მეორე დებულება: პოეზია არ არის მხოლოდ სმენითი კატეგორია, მასში მოცემული იდეა ჰქმნის მას ხედვითი კატეგორიაც. ეს ორი მხარე მხატვრულ ფაქტში თანასწორ ღირებულია.

ამ თეორეტიული დებულებით და უმთავრესად კი ნამდვილი პოეზიის ცოცხალი პრაქტიკით ირღვევა ფორმალისტური პოეტიკა, რომელმაც ხელოვნება „სტილისტიურ ხერხების ჯამათ“ გამოაცხადა და პოეზია სმენითი კატეგორიის აბსოლიუტურ სიმამლეზე აიყვანა.

რავგვარ ურთიერთობაშია ფორმა და შინაარსი მხატვრულ მოვლენაში? არა ერთხელ აღვეინიშნავს ხაზგასმით, რომ მხატვრულ კრიტიკაში პუბლიცისტურ და ფორმალისტურ გადახრებს მასშინ აქვს ადგილი, როდესაც მიჩნეულია აბსოლიუტური პრიმატი ან ფორმის ან შინაარსის. როგორც პირველი, ისე მეორე გადახრა ჰკლავს ხელოვნებას, როგორც ასეთს, რადკანაც მხატვრული ფაქტი ორგანიული მთლიანობაა სიტყვისა და იდეის, ანუ ფორმისა და შინაარსის. მათ გაყოფვას მხოლოდ და მხოლოდ პირობითი ხასიათი აქვს.

რა არის ფორმა? — ეს არის მხატვრული ხერხი, რომლის საშუალებით ხელოვანი გამოსთქვამს და განიცდის იმას, რაც უნდა გამოსთქვას და განიცადოს. ამ ხერხების საშუალებით შინაარსს (იდეას, მასალას) ენიჭება ესთეტიური ობიექტის ღირებულება. რისთვის არის საჭირო ხელოვნებაში მხატვრული ხერხი? უდაო ის მოსაზრება, რომ მხატვრული ხერხების მნიშვნელობა და დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ მისი საშუალებით ხელოვანს ესთეტიური სიმამლეზე აჰყავს ის იდეა, რომელიც მან სიტყვიერათ უნდა გამოსთქვას პოეზიაში. მხატვრულ ხერხებს დამოუკიდებელი, თვითმყოფი მნიშვნელობა არ გააჩნია. მისი ფუნქციონალური დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ ხელოვანი მხატვრული ხერხების საშუალებით იდეურათ კავშირს აბამს ნაწარმოებსა და მკითხველს შორის. ნაწარმოები, რომელიც არაფერს ეუბნება მკითხველის სულს, მის განწყობილებას ის მხატვრული ნაწარმოები არ არის. ესთეტიური ღირებულება ყოველგვარი მხატვრული მელენის უნდა ვეძიოთ უშუალოთ არა მხატვრულ ხერხებში არამედ იმ ურთიერთობაში, რომელიც იქმნება ნაწარმოე-



საქართველოს
საზოგადოებრივი
მეცნიერებათა
აქადემიის
გამომცემლობა

ბსა და მკითხველს შორის. ეს არის დებულება რეალისტური პოეტიკის: რამდენად ემოციონალურათ ძლიერია კავშირი მხატვრულ ფაქტსა და მკითხველს შორის იმდენად დიდია ამ ფაქტის **ესთეტიური** ღირებულება, რამდენათ პროგრესიული, სალი და რევოლუციონურია ის იდეა, რომელიც მხატვრულათ მოცემულია ესთეტიურ ობიექტში, იმდენათ **სოციალურათ დადებითია** მხატვრული ნაწარმოების გავლენა მკითხველზე. აქედან ცხადია: რეალისტური პოეტიკა სცნობს პოეტურ ფაქტების ეკვივალენტურ ბუნებას, რადგანაც ხელოვანს თავის შემოქმედებითი მასალათ მიჩნეული აქვს ის განწყობილება, ის განცდები, რომლებიც სუფევენ ამა თუ იმ საზოგადოებრივ წრეებში, ამა თუ იმ საზოგადოებრივ კლასში. ფორმალისტურ პოეტიკის დე³ულება: „ხელოვნება არის ჯამი სტილისტურ ხერხების“, პრინციპიალურათ ყალბ ნიადაგზეა აგებული. აქ უარყოფილია ეკვივალენტური ბუნება ხელოვნების და მით **ფაქტიურათ და დოქტრინათ მიჩნეულია** უშინაარსო ფორმა, რითაც აბსოლიუტურათ უარყოფილია ხელოვნების მნიშვნელობა და მისი ფუნქციონალური დანიშნულება. მართლაც და რას ნიშნავს სტილისტური ხერხი მხატვრულ მოვლენაში გარეშე შინაარსისა, გარეშე ნაწარმოების მთავარი იდეისა?—ეს ნიშნავს ცარიელ ბგერებს, შინაარსისაგან დაკლილ ფორმას. ჩემს წერილში „ფორმალისში ხელოვნებაში“—ვწერდი: „ფორმა ეს არის საშუალება, ხერხი შინაარსის გამოსახატავათ, თუ არ არის ის, რაც უნდა გამოიხატოს, შეიგრძნოს და განიცადოს, ფორმაც ცარიელია და ზაუბნიკური“. ბესო ელენტი მეკამათება, აქ და ფათეთურათ ამბობს: „მე ვამტკიცებ ცარიელი ფორმა ხელოვნებაში არ არსებობს. საერთოთ არ შეიძლება არსებობდეს ცარიელი ფორმა და „ზაუმიც“ სრულიადაც არ ნიშნავს „სიცარიელეს“. საერთოთ რომ არ არსებობს „ცარიელი ფორმა“—ეს უდაოა, მაგრამ რომ ფორმალისტები სცდილობენ შექმნან შინაარსისგან დაკლილი ფორმალური ფაქტები, ანუ რაც იგივე სტილისტური ხერხების ნიშნულები—ესეც უდაოა. ეკვივალენტური ბუნების უარყოფა ნიშნავს ფორმის სიცარიელეს, რადგანაც ფორმა ხავსება მასში, როდესაც მასში მოცემულია გარეშდებარე მოვლენა. რას ნიშნავს სიტყვა „ფუჟა“—ეს არის ცარიელი ბგერა, ეს არის ბგერითი ფაქტი დაკლილი ყოველგვარი სააზროვნო მომენტისაგან. ეს არის ის რასაც ჩვენ „ზაუმი“ უწოდებთ. შეუცნობლობა, უაზრობა, სიცალიერე აი რა ახასიათებს უშინაარსო ფორმას. ამას ფაქტიურათ სცნობს ან. ბ. ელენტიც, როდესაც ლაპარაკობს, რომ „ხელოვნებაში ფასეულია მხოლოდ შეუცნობელი მომენტები“. ცარიელი ბგერის შეცნობა—შეუძლებელია, ამ მომენტით სცდილობს ჩვენი ავტორი მიანიჭოს მხატვრულ ფაქტს ესთეტიური ღირებულება! (sic!)

უდაოა ის მოსაზრება, რომ ფორმალური ხერხების საშუალებათ შესაძლოა ჰქონდეს მრტერული ნივთი. აქედან ბ. ელენტი გამოჰყავს დებულება: „პოეზია იძლევა რეალურ ნივთებს და არა ნივთების ილიუზიას“. „როცა პოეზიას გავიგებთ, როგორც გარესკნელში არსებულ ნივთების ან მოვლენების ეკვივალენტს, —განაგრძობს ავტორი—ცხადია იქ პოეზია ილიუზიაა ნივთების და არა თვითმყოფადი რეალური ნივთი. ხოლო ფორმალური პოეტიკა ლექსის იმონენტური ღირებულების აღიარებით მხატვრული ფაქტების თავისთავათ არსებობას ამ-

საქართველო
საქართველოს

ტიციებს. აქედან დებულება მემარცხენე პოეზიის: ხელოვნება არის არა ასახვა ცხოვრების, არამედ ცხოვრების მშენებლობა*.

ამ ამონაწერში პრინციპიალური დომხალი იმაში მელანდება, რომ აქ რეალურად დაპირდაპირებულია ცხოვრების ასახვა ცხოვრების მშენებლობასთან. როგორ უნდა აშენდეს ცხოვრება პოეზიაში, თუ ის ასახული არ არის? მაგალითისათვის: პოეტს სურს დაგვანახოს, გაგვანცდევინოს და გვაგრძნობინოს ის უდიდესი სოციალური გარდატეხა, რომელსაც რევოლიუცია ეწოდება. ამ შეშთხვევაში ჩვენ მხატვრულ ფაქტში რევოლიუციას ვეძებთ არა მარტო აზრით, არა მარტო შინაარსით, არამედ ბგერებითაც, ფორმითაც. ლექსში ბგერითაც უნდა ვიგრძნო რევოლიუცია. ეს კი მოითხოვს რევოლიუციის აშენებას მხატვრულ მოვლენაში. როდის არის ეს შესაძლო?—მხოლოდ იმ შეშთხვევაში თუ პოეტმა ასახა რევოლიუციის ფაქტი. პოეტური ასახვა მოვლენების სრულიადაც არ ნიშნავს მის ფოტოგრაფიულ განმეორებას. ეს არის საგნის ირრაციონალი დაძლევა მაქსიმალური ემოციონალური ექსპრესიის შესაქმნელათ.

აქედან დებულება რეალისტური პოეზიის: ცხოვრების ასახვა მხატვრულ მოვლენაში ცხოვრების მშენებლობაა.

ამ დებულების გამო რეალისტურ პოეტიკაში უდიდესი როლი ენიჭება ბგერების პრობლემას. მხატვრული ფაქტი ფორმალური ხერხების საშუალებით იქმნება: აქ მხატვრულათ მოცემულია რაიმე სოციალური იდეა, და ღირებულებაც პოეზიის იმაში, თუ მკითხველმა შესძლო ამ იდეის, როგორც აზროვნება, ისე განცდა. ეს უკანასკნელი შესაძლოა ძლიერი ემოციონალური გაგლენით, რაიც თანამედროვე პოეზიაში ბგერების საშუალებით ხდება. ბგერა—ეს არის ემოციონალური ხიდი მკითხველსა და ავტორს შორის: მაგრამ არა შინაარსიდან დაცლილი ბგერა, არამედ ბგერა—გამტარი რაიმე საზოგადოებრივი იდეის.

აქედან დებულება რეალისტური პოეტიკის: პოეზია არის ბგერითი და სააზროვნო მომენტების სინთეზი.

რაც შეეხება სიტყვის პრობლემას აქ უნდა აღინიშნოს შემდეგი. „ზაუმნიკები“ ჰქმნიან სრულიად ახალ სიტყვას, რომელთა არაერთი აზრი არ გააჩნია. ძლიერი შთაბეჭდილების შესაქმნელათ ისინი ბგერათა მექანიკური კომბინაციით სცდილობენ სძლიონ ძველი პოეტური სიტყვა და მით გაანთავისუფლონ პოეზია „მემჩანურ ლექსიკონიდან“. ისინი პრინციპიალურათ კავშირს სწყვეტენ სოციალურ ენასთან და სიტყვების სრულიად ახალ სამყაროს ჰქმნიან პოეტურ შემოქმედებისათვის. პოეტური ენის დაპირდაპირებას პრაქტიკულ ენასთან ზიანის მეტი არაფერი მოაქვს: მაშინ მკითხველი, რომელიც უნდა დაიპყროს ნაწარმოებმა ემოციონალურად განზე რჩება, ვინაიდან მისთვის გაუგებარი ხდება პოეტის შემოქმედება. რასაკვირველია ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოეტმა აუცილებლათ იმავე ენით ილაპარაკოს, როგორითაც ლაპარაკობენ ყოველდღიურ ცხოვრებაში. აქ მთავარია ის რომ პოეტური ენა სოციალურ ენიდან უნდა გამომდინარეობდეს და მან პოეზიაში სულ სხვა კონსტრუქცია და სულ



სხვა განწესრიგება უნდა მიიღოს. რასაკვირველია საბოლოო ანგარიშში ეს არის ნიჭის საქმე და არა რომელიმე თეორეტიკული ნორმების.

დასასრულ ორიოდ სიტყვა მარქსიზმზე და... პოეტიკის პრობლემებზე. ამ საკითხში ბ. ელენტი აუცილებლათ თავისებურ კურიოზულ მდგომარეობამდის მივიდა. ის სწერს:... «დღეს დღეობით მარქსისტული შკოლა ლიტერატურის თეორიაში, ან პოეტიკაში არ არსებობს, ამიტომ იგი არც შეიძლება დაუპირდაპირდეს ფორმალურ შკოლას. მით უმეტეს არ არსებობს მარქსისტული მეთოდოლოგია ხელოვნების კვლევისა და აქაც მარქსიზმისა და პირდაპირება შეუძლებელია». ან და კიდევ «მარქსიზმისა და ფორმალიზმის დაპირდაპირება ფორმალურათაც შეუძლებელია. როგორც ვიცი თეორიაში არის შკოლა ლიტერატურის თეორიაში (პოეტიკა) და მეთოდი ლიტერატურის ისტორიაში, ამავე დროს მარქსისტული პოეტიკა არ არსებობს».

როგორც სჩანს ელენტი მარქსიზმის შესახებ ყურმოკრულ ამბებით არის შეიარაღებული. ჩვენს ავტორს ავიწყდება ის ელემენტარული ქეშპირიტება, რომ მარქსიზმი ეს არის უპირველეს ყოვლისა და უმთავრესათ მეთოდი კვლევა-ძიებისა. ჩვენ ვიცი, რომ აზ არსებობს მარქსისტული პოლიტიკა, როგორც არ არსებობს მარქსისტული მათემატიკა, ან და მარქსისტული ასტრონომია. მაგრამ ეს იმას სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მარქსიზმს, როგორც მეთოდს, არ შეეძლოს ახსნა, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების, ისე ბუნების მოვლენების. მარქსიზმის მეთოდოლოგიური უნივერსალიზმაც იმაში მდგომარეობს, რომ ის იძლევა სრულ სურათს ყველა იმ მოვლენებისა, რომელიც იშლება ჩვენს წინაშე, როგორც ბუნებაში და საზოგადოებაში, ისე ადამიანის ფსიხიკაშიც.

დასკვნა: თანამედროვე ფორმალისტური პოეზია უდიდეს შინაგან წინააღმდეგობაშია გახლართული: ის მუშაობს ახალი სიტყვის შესაქმნელათ იმიტომ რომ ნეიტრალა ძე ლი ყოფა, ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობა. ახალი სიტყვა საჭირო შეიქმნა იმისათვის, რომ ახალი შინაარსი ვერ თავსდება ძველ სიტყვაში. ფორმალისტური თეორია ამ დებულებას უარყოფს. მაგრამ მათი შემოქმედებითი პრაქტიკა იძულებულია სცნოს ამ დებულების აბსოლიუტური სისწორე.

თეორეტიკულათ ფორმალიზმი აპოლოგიაა ლიტერატურული თვითმკვლევლების, რადგანაც ლიტერატურის სიცოცხლე მისი განვითარების აზრი მდგომარეობს ფორმის და შინაარსის შეჯახებაში: «ფორმა იჭერს შინაარსს, შინაარსი ილტვის ფორმისაკენ». ამაშია აზრი განვითარების; ამ ორი ელემენტის ბრძოლა ჰქმნის განვითარების ფაქტს. ფორმალისტები უარყოფენ და ანიავებენ შინაარსს და მით შეუძლებლათ ჰხდინან ლიტერატურის ისტორიას. ლიტერატურის ისტორიის უარყოფა ნიშნავს ლიტერატურის გაყინვას ერთ წერტილზე, ანუ მის თვითმკვლევლობას.

(დასასრული)

ეროვნული პრობლემის გარშემო

1. ხვადახხვა თეორიები ერის შესახებ.

(შ ე მ დ ე გ ი).

მაგრამ ერის მეტაფიზიკური თეორია არა მარტო გარკვეულ ფილოსოფიურ-თეოლოგიურ მიმდინარეობის ნაშთი არის, არამედ იგი განსაზღვრულ სოციალური წრის ნაყოფიც არის და ამიტომ გარკვეული პოლიტიკური შენაარსის მატარებელი დოქტრინაც. ერის მისტიური სამოსელით შემოსვა, მისი ზებუნებრივ ძალად დასახვა და ირრაციონალურ მოვლენად გამოყვანა ხდებოდა განსაკუთრებულ ისტორიულ პირობებში: ნაციონალიზმი, როგორც პოლიტიკური აზროვნების გამომხატველი მიმდინარეობა ანარეკლი არის გარკვეული სოციალური პირობებისა; ხოლო მისი (ნაციონალიზმის) დამკველი ხდება როგორც რევოლუციის, ისე რეაქციის ხანაში ყველაზედ უფრო ჩამორჩენილი კლასი. ისტორიულად ნაციის მეტაფიზიკურმა თეორიამ განსაკუთრებით გაიდგა ფესვები საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ, როდესაც ნაპოლეონის ომებს ევროპის კონტინენტზე შავი რეაქცია მოყვა შედეგად; რუსეთში ამ რეაქციონური მიმდინარეობის გამომხატველი იყვენ **ხლავიანოფიელები**, რომელთაც სწორდათ დაეცვათ რუსეთის პირველყოფილი პატრიარქალური სიეწროვე ევროპის განმანთავისუფლებელ მოძრაობის და აზროვნების ვითარებისაკან. ამიტომ ნაციონალისტების ეროვნული თეორია, — რომელიც მისტიურ-თეოლოგიურ სამოსელით იყო შემოსილი, — და ეროვნული პოლიტიკა რეაქციონური იყო თავისი შენაარსით. ეს მიმდინარეობანი დაამარცხა რუსეთის ცხოვრების წინსვლელობამ და ევროპიულმა აზროვნებამ: ემპირიულმა და მატერიალისტურმა თეორიებმა. ხოლო საერთაშორისო ომის ნაციონალისტური ციებ-ციხელების დროს ის არქივიდან გამოიტანეს და კვლავ მოინდომეს მისი გამოყენება რუსეთში. 1) ცნობილი **პ. სტრუვესათვის** ნაცია არის რალაც ზეემპირიული და განუმეორებელი ინდივიდუალობა; „ნაცია — ეს არის მისტიური არსება“, „ზეგონებრივი და არაგონებრივი“. **ნ. ბერდიაევი** სწერს: „ეროვნება — მისტიური ორგანიზმია... რაციონალურად განუმარტავი“. 2)

1) იბ. В. Эри: „Время славянофильствует“, 1915 წ.

2) Н. Бердяев: „Судьбы России“, 1919 წ.

ფრანკი ამბობდა: „ყოველი ნაციონალური მდგომარეობა... თავის საბოლოო ფარგლებში უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც აბსოლუტის მრავალ გვარ გამომჟღავნების ერთი სახეთაგანი“.

პეტრე მილიუკოვმა თავის უკანასკნელ შრომაში ეროვნული საკითხის შესახებ ზედმიწევნით აღნიშნა ნაციის მეტაფიზიკური თეორიის რეაქციონური საფუძვლები. იგი სწერს:...“ მე-XIX-ე საუკუნის დასაწყისში სცენაზე გამოვიდა განსაკუთრებული სახის „ნაციონალიზმი“. შემუშავდა ნაციონალური პრინციპის **რომანტიული** გაგება, რომელიც ცდილობდა უარყო და შეეცვალა ეროვნების ცნების რევოლუციონური გაგება. ეროვნება ესმოდათ განსაკუთრებით, როგორც **ნაყოფი წარსულისა**, და მის დანიშნულებად სურდათ გადაექციათ ამ წარსულის დაკვა. რევოლუციონური ეპოქის ვოლიუნტარიზმის საწინააღმდეგოდ, ფილოსოფოსები, ისტორიკოსები და იურისტები განსაკუთრებული სიძლიერით შეუდგნენ ისტორიის შავი სტიქიური მხარეების რეაბილიტაციას. „განმანათლებელთა“ განმაახლებელ საკანონმდებლო მუშაობის წინააღმდეგ მათ წამოაყენეს **ტრადიცია და ჩვეულება**, როგორც ხალხის კოლექტიური სიბრძნის ზეპირი ნაყოფი, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევს ღვთის ნება. ეროვნება განმარტეს, როგორც მისტიური საიდუმლოებით მოსილი „ხალხის სული“, მიუწვდომელი თავისი წარმოშობითა და შინაარსით, რომელიც თავისი საფუძვლებით გამოუცნობ მეტაფიზიკურ სიღრმეში იკარგება და უკუნითი განახლებას განიცდის ყოვლად ძლიერი შემოქმედით... ამრიგად ეროვნების შეგნებული ელემენტი უარყოფილი იქნა შეუგნებელი ელემენტის სახელით... ერთი სიტყვით, ეროვნება მოინდომეს გადაექციათ პოლიტიკური, სოციალური და იდეური რეაქციის დროშად“.¹⁾

ამრიგად ერის მეტაფიზიკური თეორია და აქედან გამომდინარე პრაქტიკული პოლიტიკა აესილი არის აშკარა რეაქციონური შინაარსით.

განვიხილოთ ეხლა ფსიხოლოგიური თეორია.

2. ფსიხოლოგიური თეორია. ფსიხოლოგიურ თეორიას ერის შესახებ ბაუერი ორ მიმართულებად ყოფს: ფსიხოლოგიურ-ინტელექტუალურად და ფსიხოლოგიურ-ვოლუნტარისტულად. „თუ... ნაციის ფსიხოლოგიური თეორია—მარტამს ბაუერი,—ეძებს ერის კონსტიტუიურ ნიშანს **ნაციონალურ შეგნებაში**, და ამიტომ იგი **ინტელექტუალურია**, მაშინ თეორია, რომელიც ნაციის რაობას ხედავს პოლიტიკურ ერთიანობასა და თავისუფლებისადმი მისწრაფებაში (ნებაში),—**ვოლუნტარისტულია**“.²⁾

ფსიხოლოგიურ ინტელექტუალიზმს მთელი ფსიხოლოგიური ცხოვრება გამოყავს ინტელექტიდან, შეგნებიდან, წარმოდგენიდან. შეგნება აქ გადაპქრულ როლს თამაშობს თავისებურ ფსიხიურ ცხოვრების შემუშავების საქმეში. ნაციონალური შეგნება ხდება ერთად-ერთ ნიშნად ნაციის განმარტების დროს: შეგნება, აი რა ქმნის ნაციას—ამ თეორიის მიხედვით. „ნაციონალურ შეგნებაში ხედავენ ერის კონსტიტუიურ ნიშანს: ნაცია ეს არის ჯგუფი ადამიანთა, რო-

¹⁾ П. Н. Милуков: „Национальный вопрос“, гл. 85—6. 1925 წ. ბერლინი.

²⁾ ბაუერის წიგნი - გვ. 178.

საქართველო

საზღვრო-საგარეო

მელტაც შეუღნიათ თაღიანთი ერთმანეთისადმი კუთვნილება და თაღიანთი განსხვავება სხვა ერებისაგან¹⁾ ფსიხოლოგიურ-ინტელექტუალური განმარტება ნაციისა, ან ფსიხოლოგიური თეორია ნაციისა, აგებული შეგნების პრინციპზე, ერთერთ უმთავრეს თეორიად შეიძლება ჩაითვალოს ბურჳუაზიულ მეცნიერებაში მ. კოვალევსკი თაღის ნარკვევში სწერს: „ყველა ჩემ მიერ წაკითხულ დეფინიციებში (განმარტებებში), მიუხედავად მათი შრავალსახიანობისა, აღნიშნული არის ერთი საერთო ნიშანი: შეგნება ურთიერთ დამოკიდებულებისა და ისტორიული წარსულის ერთობისა, ენის, სხვა კულტურულ თავისებურობათა, მათ შორის—რწმენის, ბოლოს შეგნება ინტერესთა ერთიანობისა აწმყოში“²⁾ თვით კოვალევსკისაც შეგნება მიანია ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად ეროვნების. აგტორი იმავე ნარკვევში სწერს: „ამგვარად, ეროვნება მხილდება უწინარეს ყოვლისა ურთერთისადმი მისწრაფების გრძნობაში. ე. ი. არა ვიწროდ გაგებულ პოლიტიკურსა და ეკონომიურ სფეროში, არამედ ხალხის გრძნობებსა და მისწრაფებებში, ე. ი. ფსიხიურ მოვლენათა სფეროში“³⁾ „ეს შეგნება სოლიდარობისა, განაგრძობს პროფესორი, —წარმოშობილი ზემოდ ჩამოთვლილ სხვადასხვა ფაქტების მიერ, აუცილებელია ერის ცნების გასაგებად“⁴⁾ გ. ელინეკიც მსგავს მოსაზრებას იცავს. იგი სწერს: ერთი არა ბუნებრივი, არამედ ისტორიულ-სოციალური მოვლენაა⁵⁾ (образовани) მისთვის არ არსებობს ობიექტური კრიტერიუმი ნაციის გასარკვევად. „ამგვარად—განაგრძობს ელინეკი, —შეუძლებელი არის მტკიცე ობიექტური კრიტერიუმის დაწესება ნაციის შესახებ, და შეუძლებელი არის ასეთივე რამის ნახვა რამოდენიმე ელემენტთა რომელიმე მუდმივ კომბინაციაში. აქედან გამომდინარეობს, რომ ერთი არ არის რაიმე ობიექტური, დამოუკიდებლად არსებულის აზრის (в смысле внешне существующего) წინააღმდეგ. ის ეკუთვნის ისეთ ფართო სოციალურ მოვლენათა კლასს, რომელიც საერთოდ შეუძლებელი არის გაზომილი იქნეს გარეგნული საზომით. ნაცია არის რაღაც არსებობად სუბიექტიური, ე. ი. გარკვეული შინაარსის შეგნების თვისება. ადამიანთა ჯგუფი, რომელთაც შეუღნიათ თაღიანთ გაერთიანება შრავალ საერთო თავისებურ კულტურულ ელემენტებითა, და საერთო ისტორიული წარსულით, და ამიტომ განსხვავებული სხვა ადამიანთაგან, წარმოადგენს ნაციას... ერის სუბიექტიური ერთიანობა თაღიანი ბუნებით არის უმაღლესი კულტურის ნაყოფი და, თუმცა დიდი ხნიდან უკვე იმყოფებოდა ჩანასახის მდგომარეობაში, მაგრამ სრულის ძალით მხილდება მხოლოდ უახლეს დროში“.

ერის ფსიხოლოგიურ თეორიასთან უახლოესი კავშირი აქვს იმ სკოლას სოციოლოგიაში, რომელიც მე-XIX-საუკუნის მეორე ნახევარში აღმოცენდა და რომელიც ცნობილი არის ფსიხოლოგიური მიმართულების სახელწოდებით. რო-

1) იქვე გვ. 145;

2) М. Коалевский: „Национальный вопрос“ გრანატის ენციკ. ლექსიკონშიც. XXX-გვ. 56.

3) М. Ковалевский: „Национальный вопрос“ გვ. 60-61.

4) იქვე გვ. 61.

5) Г. Еллинек: „Общее учение о государстве“ გვ. 85-6.



საქართველოს

ენციკლოპედია

გორც სოციოლოგიურ დისციპლინის წარმოშობის პირველ პერიოდში, როდესაც სოციოლოგიაზე დიდი გავლენა მოახდინა ბიოლოგიამ, რომელიც მაშინ დიდ მიღწევებს განიცდიდა კვლევა-ძიების საქმეში, ისე მე-XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ფსიხოლოგიამ დაიკავა ბიოლოგიის ადგილი და სოციოლოგიური კვლევის პრინციპები ფსიხოლოგიის ნიადაგზე აეგო. პირველ ხანებში, როგორც მ. კოვალევსკი აღნიშნავს, ფსიხოლოგიის უშუალო გავლენა განიცადა კონკრეტულმა საზოგადოებათ მეცნიერებამ, უწინარეს ყოვლისა მეცნიერებამ ენის შესახებ (შტეინტალი, ლაცაროუსი—ხალხური ფსიხოლოგია). ენის შესახებ მეცნიერებას მოყვა მეცნიერება მეურნეობის შესახებ, რომელმაც პირველად განიცადა გავლენა ახალი ფსიხოლოგიური მიმართულებისა. (ავსტრიის სკოლა—კ. მენგერი და ბემ-ბავერკი) უახლეს სოციოლოგიაში, პირველად ფრანგმა სოციოლოგმა გ. ტარდმა წამოაყენა თავისი ორიგინალური სოციოლოგიური კონცეპცია, რომელიც არსებითად აგებული არის სოციოლოგიის საფუძვლებზე. ამერიკაში ამავე გზას დაადგენ ლ. უორდი და გიდინგსი, გერმანეთში—გ. ზიმელი. აი ის პირები, რომლებმაც მოინდომეს სოციოლოგიაში ფსიხოლოგიური პრინციპი შეეტანათ და აბსტრაქტიული საზოგადოებათმეცნიერება აეგოთ ფსიხოლოგიურ საფუძვლებზე.

მათ შორის ყველაზე უფრო ორიგინალური არის გ. ტარდის სისტემა, რომელსაც უახლოესი კავშირი აქვს ფსიხოლოგიურ ინტელექტუალიზმთან. ნაციის ცნების განმარტებაშიც ტარდი ორიგინალობას იჩენს.

ტარდი უარყოფს „ჩვეულებრივ ფსიხოლოგიას“ და აყენებს „ინტერ-ფსიხოლოგიურ“ სისტემას. „ინტერ-ფსიხოლოგია, ან ინტერ-ლოლიკა, სწერს ტარდი,—წარმოადგენს არსებითად ელემენტარულ სოციოლოგიას, რომელსაც მხოლოდ ერთს შეუძლია ახსნას რთული სოციოლოგია, ან სოციოლოგია ვიწრო გაგებით. მართლაც, ძნელი არ არის იმის გაგება, რომ ინტერ-ფსიხოლოგიის ძირითადი ფაქტი შთავონება—(внушение) ერთი ნორმალური გონებისაგან მეორე ასეთივე გონებისათვის არის საზოგადოებრივი ცხოვრების უკანასკნელი ელემენტი, რომელიც დაუსრულებრივ მეორდება მასში და ამგვარი განმეორებით კმნის ამ ცხოვრების სხვადასხვა მხარეებს, ან უფრო რთულ საზოგადოებრივ ფაქტებს (რელიგიურს, პოლიტიკურს, ეკონომიურს და სხვ.).¹⁾

ამრიგად, ტარდის აზრით, საზოგადოება არის აგებული ფსიხოლოგიურ პროცესებზე, ან იმის სიტყვებით—გონებათა შორის (междуумственные) პროცესებზე. „აუცილებელი არის მტკიცედ დარწმუნება იმაში,—განმარტავს ტარდი,—რომ ყოველ საზოგადოებრივი ფაქტების ელემენტარულ მიზეზებს წარმოადგენენ, ერთის მხრივ, სხეულთა შორის წარმოებული ცნობილი პროცესები, ხოლო მეორეს მხრივ კი—გონებათა შორის წარმოებული ცნობილი პროცესები; აგრეთვე საჭიროა დარწმუნება იმაშიც, რომ სოციოლოგია ეხება ამ ორგვარი სახის პროცესის რთულ მთლიანობას და მხოლოდ გონებათა შორის პროცესები ხსნიან

¹⁾ Г. Тард: „Психология и социология“ გვ. 78 კრებულში: „Новые идеи в социологии“, № 2, 1914 წ.



საქართველო
საზოგადოებრივი

სხელთა შორის (междутелесные) პროცესებს და იძლევიან შესაძლებლობას საერთო სოციოლოგიური კანონების ფორმულიროვეცისათვის⁽¹⁾ საზოგადოებრივი ცხოვრება ტარდისათვის ამოიწურება უმთავრესად მიმბაძველობით; მიბაძვა ხდება საზოგადოებრივი ცხოვრების უმთავრეს წყაროდ. ტარდი უარყოფს საზოგადოების ჩვეულებრივ გაგებას მის ისტორიულ ფორმებში (ტომი, ხალხი, ერი, და სხვ.) და იცავს მის წმინდა ფსიხოლოგიურ გაგებას, როგორც ფსიხიურ, ადამიანების გონებათა შორის ურთიერთობას. ტარდის განმარტებით საზოგადოება არის მიმბაძველობა; ხოლო ყოველი სოციალური ჯგუფი ადამიანთა არის „კრება პიროვნებათა, რამდენათაც მათ სურთ მიბაძონ ერთმანეთს“ „საზოგადოება—განაგრძობს ტარდი—თავის სხვადასხვა საფეხურებზე, ყოველთვის არის ერთგვარი ურთიერთობის ასოციაცია. ხოლო ურთიერთობა—მიმბაძველობისათვის არის, ასე ვსთქვათ იგივეა რაც ორგანიზაცია სიცოცხლისათვის (для жизнениости).“ საზოგადოება განსხვავდება ერისაგან, როგორც პრინციპი მის კონკრეტულ განხორციელებისაგან; საზოგადოება არის მიმბაძველობა, ხოლო ერი კი ერთგვარი „ორგანიზაცია“, რომელიც მხოლოდ საშუალება არის პირველისათვის. „...ერთი არის შეთანხმება ტარდიციათა, ზნე-ჩვეულებათა, აღრზდათა, მისწრაფებათა, იდეათა, რომელიც მიმბაძველობით ვრცელდება სხვადასხვა საშუალებით. ერთერთს ემორჩილებიან იერარქიულად და ძჰურად ეხმარებიან ერთმანეთს“. „სულ სხვა არის ერი—ამბობს ტარდი—, ეს—ცნობილი სახე ზეორგანიული ორგანიზმისა, რომელიც შესდგება კასტების, კლასებისა ან მოთანამშრომლე პროფესიებისაგან, და სულ სხვა არის—საზოგადოება. ეს განსხვავება ძლიერ კარგად სჩანს თანამედროვე ეპოქაში, როდესაც ასი მილიონობით ხალხი ერთდანიშნულ დროს იმყოფებიან დენაციონალიზაციის მდგომარეობაში და სულ უფრო და უფრო განსაზოგადობრივებაში (ინტინცტვლენი) გადადიან“. ამგვარი განმარტებით ტარდი ამტკიცებს, რომ ერი არ არის საზოგადოება, არამედ ერთ-ერთი საშუალება საზოგადოებრივობის გაერცვლებისა; საზოგადოება არის—მიმბაძველობა, ერი კი —„ორგანიზაცია“. ტარდის განმარტებით ერის ფორმებში ხდება ინტერინტელექტუალური ურთიერთობა ინდივიდთა შორის. ტარდი სწერს: „ერი შეიძლება განიმარტოს, როგორც კრებული ადამიანთა, რომელთა შორის ხდება ურთიერთ მიმბაძველობის პროცესი“.

მთელი სოციოლოგიური კონცეპცია ტარდისა, მეტად რთულსა და ორიგინალურს ფსიხოლოგიურს კომბინაციებზედ არის აგებული. ტარდისათვის ჯერ არსებობს გონება, მერე—გონებათა ურთიერთობა, შემდეგ კი—საზოგადოება, რომელიც მიმბაძველობით ხასიათდება; გონებათა ურთიერთობა, მაშასადამე ფსიხოლოგიური ფაქტი და არა რთული კომპლექსი ობიექტურ-საზოგადოებრივ ურთიერთობისა ქმნის საზოგადოებას... მაგრამ აქ არის ლოგიური და ქრონოლოგიური შეცდომა დაშვებული. დამოუკიდებელი, საზოგადოების გარეშე არსებული პიროვნება ისტორიამ არ იცის: ინდივიდი არის საზოგადოებ-

¹⁾ იქვე. გვ. 76.



რივი ელემენტი, და როგორც ასეთი მთელი თავისი სულიერი თვისებებით ნაყოფი არის საზოგადოებრივობისა. „ლოგიურად და ქრონოლოგიურად,—სწორდა გერმანელი მწერალი ლაცარიუსი, საზოგადოება წინუსწრებს ინდივიდუმს... ადა-შიანის გონება ეს ნაყოფი არის მთელი საზოგადოებისა“.¹⁾ ამრიგად ტარდის ჰიპოტეზა, დაპოკიდებული გონების არსებობისა, ყოველგვარ სინამდვილეს არის მოკლებული და ამით მთელი მისი სოციოლოგიური კონცეპცია კარგავს რეალურ ღირებულებას. რასაკვირველია, საზოგადოებრივი ურთიერთობა ხორციელდება ადამიანის საშუალებით, მაგრამ თვით ადამიანი მთელი თავისი ფსიხიური კომპლექსებით ნაყოფი არის სოციალური ცხოვრების და როგორც ასეთი მატარებელი არის საზოგადოებრივობის. ამ მხევე ბიო-სოციალურმა სოციოლოგიურმა სისტემამ (დე-როშერტი) გამანადგურებელი მახვილი ჩასცა ტარდის ფსიხოლოგიურ ვარჯიშობას²⁾ მაგრამ ყალბი არის აგრეთვე ტარდის მეორე დებულებაც, რომელიც საზოგადოებაში მიმბაძველობას ზედავს და ამით ერთიდაიგივეობს ფსიხოლოგიურ ფაქტს და სოციალურ ფაქტს. სრულიად გაუგებარი ზდება და მიუღებელი ტარდის ცდები გამიჯნოს საზოგადოება და ერი ერთი მეორისაგან: ერი არის სწორედ კონკრეტული საზოგადოება; საზოგადოება როგორც ასეთი აბსტრაქტული ცნება არის, ხოლო გარკვეულ ისტორიულ პერიოდებში იგი სხვადასხვა კონკრეტულს ფორმებს ღებულობს; ერიც ისტორიული ცხოვრების განსაზღვრულ პერიოდში აღმოცენებული ერთ-ერთი სახეა საზოგადოებრივობისა. მაგრამ ამაზედ უფრო ვრცლად ქვევით. ახლა განვაგრძოთ ერის თეორიების განხილვა.

ერის ფსიხოლოგიური სკოლის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენლად შეიძლება ჩაითვალოს ისტორიკოსი ერნესტ რენანი; მან მოხსენება გააკეთა 1882 წ. სორბონში შემდეგ თემაზე: რა არის ერი? რომელშია ც ფსიხოლოგიური გაგება შეიტანა. „ეროვნებაში,—ამბობს რენანი—განსაზღვრული სახით არის გრძნობა, ის სულიცა და ხორციც არის ერთად“.³⁾ „ერი—განყენებული პრინციპია, რომელიც გამომდინარეობს ისტორიული წარსული ურთიერთობიდან სულიერი ოჯახი, და არა ბრბო, ტერიტორიის ფორმით გამორკვეული“⁴⁾ „ერი-არის სული, სულიერი პრინციპი. ორი გარემოება ქმნიან ამ სულს, ამ სულიერ პრინციპს: ერთი წარსულში, მეორე აწმყოში. ერთი არის საერთო კუთვნილება მემკვიდრეობით გადმოცემული მოგონებათა; მეორე არის ნამდვილი შეთანხმება, სურვილი ერთად ცხოვრებისა, სურვილი ერთად მიღებულ მემკვიდრეობათა არსებობის გაგრძელებისა“⁵⁾ „გმირული წარსული, დიდი პიროვნებანი. ჰეშმარიტი სახელი,—აი უმთავრესი კაპიტალი, რომელზედაც ეყრდ-

¹⁾ П. Коппе: „Отношения социологии к психологии и биосоциальная гипотеза“ იმავე კრებულში გვ. 86.

²⁾ კრიტიკა ფსიხოლოგიური სკოლისა სოციოლოგიაში კოვალევსკის: იხ. „Очерк истории развития социологии“... აგრეთვე პ. კოლლეს დასახელებული ნაჩვენებ.

³⁾ Эрнест Ренан: „Что такое нация“, 1888 წ. მეორე გამოცემა, გვ. 34. (არის ქართული თარგმანიც 1883—4 წლის „ივერიაში“).

⁴⁾ იქვე—გვ. 36—7.

⁵⁾ Э. Ренан: „Что такое нация“ გვ. 37.



ნობა ნაციონალური იდეა. საერთო სახელის ქონა წარსულში, სურათი სურვილები მომავალში, უდიდეს მოქმედებათა შესრულება აწმყოში, ასეთივე რამის სურვილები მომავალში—აი უმთავრესი პირობები იმისათვის, რომ შეიქმნეს ეროვნება.¹⁾ „ამგვარად, ერი — ეს უდიდესი სოლიდარობაა, რომელიც მყარდება გრძობათა მსხვერპლით, რომელნიც უკვე გაღებული არის და რომელიც მზად არის მომავალშიც გაილოს. ნაცია გულისხმობს წარსულს, მაგრამ აწმყოშიც იგი ხასიათდება სრულიად საგრძნობი ფაქტით: ეს არის ნათლად გამოთქმული სურვილი მომავალში ცხოვრების გაგრძელებისა“²⁾. რენანის ფსიხოლოგიურ განმარტებას საფუძვლად უდევს, როგორც ინტელექტუალური პრინციპი (შეგნება), ისე ვოლუნტარისტული ელემენტი—სურვილი, ნება. მაგრამ ასეთი ფსიხოლოგიური საფუძვლები რენანზედ უფრო ადრე ფიორემ დაუდგა ნაციის ცნების განმარტებას საფუძვლად. ფიორე ცდილობდა ერის არსებობა თავისუფლების პრინციპით განმარტა. ნაცია არ არის ფიზიკური და ბუნებრივ პირობათა პროდუქტი...—„არამედ ყველაზე უფრო ნაყოფი არის შეერთების უფლებისა ერთს ურთიერთობაში“ (общение). ერი „არის თავისუფალი და თავისუფალ ნებიდან (სურვილიდან) წარმომდგარი შეერთება ადამიანთა. ნამდვილი ერი არსებობს მხოლოდ თვით გამორკვევისა და თავისუფლების პრინციპის არსებობის პირობებში“³⁾. ამრიგად ფიორეს განმარტებით ორი უმთავრესი ნიშანი შეადგენს ეროვნებას: ადამიანთა თავისუფალი ნება და ასოციაციის საბოლოო მიზანი. მაგრამ არც ერთი ეს ელემენტი არ არის ერის დამახასიათებელი ნიშანი: რომელიც გნებავთ სამეურნეო ორგანიზაცია აიღეთ—აქციონერული საზოგადოება, ტრესტი—ყველას საფუძვლად უდევს: თავისუფალი ნება და საბოლოო სურვილი (მოგება), მაგრამ არც ერთი ეს ორგანიზაცია ამით არ ხდება ერთად, ეროვნებად. მეორეს მხრივ, ვინ არ იცის, რომ ერი წარმოიშვა ყოველგვარ თავისუფალ ნებისა და სურვილების გარეშე. მისი წარმოშობა, მისი დაჯგუფება ხდებოდა სრულიად სტიქიურად, და სამეურნეო ცხოვრების მძლავრი ფაქტორების ძალდატანებით. დღეს ეროვნება ფაქტის საქმეა—არსებული საზოგადოებაა, და ადამიანი ამ საზოგადოების წევრი ხდება არა შეგნების, სურვილის და პლებისციტის საშუალებით, არამედ გარკვეული საზოგადოებრივი ფაქტის წყალობით. ფიორესა და რენანის კონცეპციას რომ გავყვეთ მთელი წყება ნორჩი თაობისა უნდა იქნეს გამორიცხული ეროვნებისაგან, რადგან მათ არც ეროვნული სულის გაეგებათ რამე, არც გარკვეული ნება და მიზნები აქვთ ამის შესახებ. ასევე ყალბი არის ბეხერის განმარტებაც. მისი განმარტებით, ნაცია იქმნება „ადამიანთა შორის ნებისა და მოქმედების ერთიანობის საშუალებით, რომელიც მიმართული არის სრულყოფის მიზნისაკენ“, ე. ი. „მოღვაწეობის ერთიანი მიზანი—ქმნისა და ინახავს ერს“⁴⁾ შეიძლება ვიკითხოთ:

¹⁾ იქვე გვ. 38.

²⁾ იქვე.

³⁾ В. Даниевский „Система политического равновесия и легитимизма и начало национальности в их взаимной связи“ гв. 290.

⁴⁾ იქვე—გვ. 283. 1852 წ.

რა საერთო სამოღვაწეო მიზნები აქვთ ყმასა და ფეოდალს, პროლეტარსა და კაპიტალისტს?—მათი ეკონომიური ურთიერთობა ძირიანად ეწინააღმდეგება ერთი მეორეს, რაც არამთუ არ კმნის მოქმედების ერთიანობას, არამედ იარაღით ხელში უპირისპირებს მათ. თუ ზემოდ დასახელებული ავტორების განმარტებას გავეყვებით, და შეგვნებას, სურვილს და მოქმედების ერთიანობას დაუდებთ სარჩულად ერის წარმოშობის საკითხს, მაშინ საწინააღმდეგო დასკვნამდე მივალთ: იმ სოციალური ელემენტებისაგან, რომლისაგანაც შესდგებოდა წარსულში ერი და დღესაც შესდგება, ყოვლად შეუძლებელი იყო ეროვნული მთლიანობის, ეროვნების შექმნა: ამ სოციალურ ჯგუფებს ძირეული საწინააღმდეგო მიზნები და შეგნება ამოძრავებდათ და ეს მომენტი არა თუ ერის შექმნამდე, არამედ უკვე არსებულის განადგურებამდე და დარღვევამდე უნდა მივეყვანეთ¹⁾. თუ ეს ასე არ მოხდა ამის მიზეზი იყო სულ სხვა ღირებულების ობიექტიური გარემოებანი.

ჯონ ხტუარტ მილი სიმპატიის გრძნობებზედ ამყარებს ნაციის ცნების განმარტებას მეცნიერის აზრით კაცობრიობის ნაწილს მაშინ შეუძლია ჩასთვალოს თავისი თავი ერად, ეროვნებად, თუ იგი შედლებული არის ერთს მილიან ერთეულში სიმპატიის გრძნობით, რომელნიც (გრძნობები) არ არსებობენ კაცობრიობის სხვა ნაწილებსა და მის შორის.²⁾ ამრავად ნაციის წყევრებს შორის აუცილებლად უნდა არსებობდეს სიმპატიის გრძნობები, ნაციონალური გრძნობა, რომელსაც შეუძლია ისინი ერთ ერად შეადლოს; სიმპატია—პსიხოლოგიური ფაქტორი,—მილის აზრით ვადაძმურელ როლს თამაშობს ერის წარმოშობასა და მისი განმტკიცების საქმეში, მაგრამ ეს სიმპატიის გრძნობა მუშავდება დამოუკიდებლად რასისა, ენისა, რელიგიის და გეოგრაფიული საზღვრების გარკვეულ საერთო ისტორიულ-პოლიტიკურ ცხოვრების ზეგავლენით. მილის დებულება მოკლებული არის მეცნიერულ საფუძველს. თუ ერის დამახასიათებელი უმთავ-

¹⁾ მსოფლიო ომის დროს ნაციის ეს ვოლუნტარისტული თეორია განსაკუთრებით ამტკვევდა. დიურჰეიმი 1915 წ. სწერდა: „ეროვნება არის ადამიანთა ჯგუფი, რომელთა წევრებს ეთნიური ან უბრალო ისტორიული პირობების გამო, სურთ იცხოვრონ ერთ და იმავე კანონ ქვეშ, შექმნან ერთი სახელმწიფო... განათლებულ ერებთა შორის ამ ქამად პრინციპად არის მიღებული, ის რომ ამ საერთო ნებას, როდესაც ის შეურყეველად განმტკიცდება, აქვს უფლება თავისი პატივისცემისა, და თითქმის ის არის სახელმწიფოს რთადერთი მტკიცე საფუძველი.“ (ციტატა ამოღებულია მილიუჯოვის წიგნიდან: „Национальный вопрос“ გვ. 79)

თვით პ. მილიუჯოვიც თანამედროვე გოქაში ნაციის ცნების განმარტებისათვის ვოლუნტარისტულ კონცეპციას იზიარებს. მაგრამ ეს დეფინიცია არ არის სწორი არც ერთის მხრივ: ეროვნება არის საზოგადოება, კონკრეტულად არსებული ორგანიზმი, რომელცას აქვს არა მარტო ფსიხოლოგიური თვისებები, არამედ გარკვეული ობიექტიური ნიშნებიც. ეს ერთი; მეორეც, როგორც დავინახეთ, ნების მთლიანობაზე იქ შეუძლებელი არის ლ.პარაკი, სადაც საზოგადოება მოწინააღმდეგე კლასებად არის დაყოფილი. ფაქტ: თვით პ. მილიუჯოვიც არ ისურვა რუსეთის პროლეტარიატთან ერთად ერთ სახელმწიფოში ცხოვრება, რადგან მისი სურვილი იყო არა პროლეტარიატის დიქტატურა, არამედ ბურჟუაზიის. ამ ინტერესთა და სურვილთა დაჯახების ნიადაგზე რუსეთის ეროვნება არ მოსპობილა. ხოლო განადგურადა კი ერის ვოლუნტარისტული თეორია.

²⁾ იბ. А. Штинглиц: „Начало национальности“ ტ. IV, გვ. 91., 1892 წ.



ეროვნული

რესი თვისება სიმპატიის გრძობებში გამოხატება, — მაშინ როდესაც ფაქტობრივად უნდა ჩავთვალოდ, რადგან ისტორიულად ერის შემადგენელ კლასებს შორის იშვიათად მყარდება სიმპატია და მთელი შეგნებული კაცობრიობის ისტორია კლასთა ბრძოლით ამოიწურება. ხშირი არის ისტორიულად ის ფაქტი, რომ რომელიმე ერის პარტია თავისი ნაციონალური მტრის დასამარცხებლად მიმართავს ხოლმე სხვა ერის გაბატონებულ კლასებს და გრძობს მათდამი სიმპატიას. რუსეთის აროლტარიატი სიმპატიას გრძობს არა რუსეთის მემამულეებისა და კაპიტალისტებისადმი, არამედ სხვა ერების პროლტარიატისადმი; ისტორიულად საქართველოს ფეოდალები ძლიერ ხშირად სიმპატიას გრძობდნენ არა ქართველ გლეხებისადმი და თავის მოწინააღმოვებელ ფეოდალებისადმი, არამედ სპარსეთის ან ოსმალეთის ფაშებისადმი. მილის კონცეპცია რომ თავის ლოგიკურ დასკვნამდე მიიყვანათ, ერს უნდა წარმოადგენდეს კლასი, რადგან კლასის წევრები გრძობენ ურთიერთისადმი სიმპატიას, — და არა მთლიანად აღებული ერის წევრები. მაგრამ ასეთი განმარტება ყალბი იქნება: კლასი სულ სხვა გვარი ხასიათის სოციალ-ეკონომიური კატეგორიაა, და ერი კიდევ სხვაგვარი სახის სოციოლოგიური ფორმაცია. სიმპატიის გრძობით ერის ცნების განმარტება არ არის მეცნიერული და არ შეესაბამება რეალურ სინამდვილეს.

რიზარდში ზნეობრივი მომენტი შეიტანა ერის ცნების განმარტებაში; მისთვის ერი არის „ადამიანთა შეერთება შეგნებულად მოწყობილებული იმ მიზნით, რომ რეალიზაცია უყონ ზნეობრივი კანონის საუკეთესო გამოხატულებას, რომელსაც მხოლოდ ერთს შეუძლია დააკმაყოფილოს ადამიანური არსებობის ძირითადი ელემენტები“¹⁾ ზნეობრივი კანონების რეალიზაციის მიზნით არა ერთი ასოციაცია შემდგარა, მაგრამ მათ არ მიუღიათ ამით ერის დამახასიათებელი თვისებები: საშუალო საუკუნის რელიგიური სექტები და კომუნები ზნეობრივი პრინციპებით და კანონებით ხელმძღვანელობდნენ, მაგრამ მათი რეალიზაცია საბოლოო ჯამში არ ქმნიდა ეროვნებას. ჩვენში სხვა რა უნდა ედვას სარჩულად „ყოვლად წმინდა საეკლესიო კავშირს“ თუარა უდიდესი საქრისტიანო პრინციპები, მაგრამ ამით ჩვენი სამღვდლოება არ ღებულობს დამოუკიდებელ ნაციის ელფერს, ხოლო ხალხის ზნეობრივად და მატერიალურად მყვლეფელ ორგანიზაციის შინაარსს-კი.

საერთოდ ფსიხოლოგიური თეორიის შესახებ, ეროვნულ პრობლემის შესახებ მოკლედ შემდეგი შეიძლება ითქვას: შეგნებას, ნებას და გრძობას ეროვნულ ცხოვრებაში აუცილებლად დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არც ერთი ეს მომენტი არ არის ერის წარმომშობი და მისი დამახასიათებელი; წინააღმდეგ, ეროვნული შეგნება, ეროვნული გრძობა და მისწრაფება უნდა აღმოცენებულიყო უკვე ფაქტიურად არსებულ ეროვნულ საზოგადოების ნიადაგზედ. ადამიანს, რომელსაც ჯერ არსად არ უნახავს ეროვნული საზოგადოება, რომელ წყაროდან უნდა დაბადებოდა ეროვნული შეგნება, ეროვნული მისწრაფება, ეროვნული გმირობა? მთელი ფილოსოფიური საფუძველი ფსიხოლოგიური თეორიისა შემდეგ ფორ-

¹⁾ ეს. დანევსკის დასაზღვრებული წიგნი—289. გვ.



მულაში გამოიხატება: შეგნება ქმნის მდგომარეობას, ეროვნული შეგნება ქმნის ეროვნებას. მაგრამ სანამ ერის „შეგნებულად“ შექმნას შეუღებოდენ, საჭირო იყო თვით ეროვნული შეგნების შემუშავება: და ამის უმთავრესს ნაკადს, ფსიხოლოგიური სკოლა, ეძებს არა რეალურ სინამდვილეში, არამედ ადამიანის ფსიხოლოგიურ სფეროში. ფაქტიურად ფსიხოლოგიურმა სკოლამ პობისის, ლოკის და რუსოს ხელშეკრულების თეორია საზოგადოების წარმოშობის შესახებ, გადმოიტანეს ეროვნულ პრობლემის გარკვევის საქმეშიაც. აქაც სხვადასხვა „სოუსის“ სახით სალდება საზოგადოების წარმოშობის ხელშეკრულების თეორია. მაგრამ, წინააღმდეგ ფსიხოლოგიური სკოლისა, სოციალურმა მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ არა საზოგადოება არის პიროვნებათა მოღვაწეობის ნაყოფი, არამედ თვით პიროვნება არის მთელი თავისი ფსიხიური თვისებებით სოციალური ცხოვრების ნაყოფი. საზოგადოება ლოდიკურათა და ქრონოლოგიურად წინ უსწრებს პიროვნებას და კვებავს მას თავისი სასიცოცხლო წყლით. ეს კი შეადგენს მარქსისტული სოციოლოგიის ერთ-ერთ დამახასიათებელ მომენტს: მდგომარეობა ქმნის შეგნებას, ასე გამოითქმის ამ ძირითად საფუძველზედ აგებული მეორე მატერიალისტური დებულება. ისტორიას არ ახსოვს არც ერთი მომენტი, რომ რენანის, ფიორეს, რიხარდის, ტარდის, ი. ელინგკის თეორიების მიხედვით აშენებულიყო რომელიმე ეროვნება, ხოლო ისტორიამ კი იცის, რომ არსებულ ერების მოწესრიგების საქმეში შეგნებამ დიდი როლი ითამაშა, მაგრამ ამით შეგნება და სხვა ფსიხოლოგიური ფაქტორები სრულიად არ ხდება ერის ერთად ერთ დამახასიათებელ თვისებათ. როგორც ალენიშნეთ, მთელი რიგი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა არსებობენ (კლასები, პარტიები, რელიგიური სექტები, პროფესიონალური კავშირები, კომუნები) რომელთაც უფრო მძლავრი ერთიანობის შეგნება, გრძნობა მიზნები და ნება აქვთ, ვინემ ეროვნებას (მომენტი კლასთა წინააღმდეგობისა, პარტიათა დაპირისპირებისა), მაგრამ ამით პირველი კატეგორიის საზოგადოებრივი ორგანიზაციები არ იღებენ ერის თვისებებს, არ ხდებიან ეროვნებად. შეგნების ფაქტორი, ისე როგორც სხვა ფსიხოლოგიური მომენტები მუდმივი თანამზავარი არის ყოველი საზოგადოებრივი ორგანიზაციისა. ყოველ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელიც კი შესდგება ცოცხალ ინდივიდისაგან,—და რომელი საზოგადოება არ შესდგება ასეთებით,—თან ახლავს შესაფერისი შეგნება, შესაფერისი ფსიხოლოგია, შესაფერისი გრძნობათა სფერო. გარკვეული საზოგადოებრივი ორგანიზაცია ქმნის თავის შესაფერის ფსიხოლოგიურ თვისებებს: კლასს აქვს თავისი ფსიხოლოგია, თავისი სულიერი ხასიათი, პარტიას—თავისი, რელიგიურ სექტებს კიდევ—თავისი. ეროვნებაც თავისი ობიექტიური ცხოვრების მიხედვით ამუშავებს განსაკუთრებულ ეროვნულ ფსიხოლოგიას, განსაკუთრებულ ეროვნულ სულიერ სახესაც. ასე რომ „ეროვნებანი ერთმანეთისაგან განირჩევიან არა მართო თავიანთი ცხოვრების პირობებით, არამედ თავიანთი სულიერი სახითაც, რომელიც გამოიხატება ეროვნულ კულტურის თავისებურობაში“¹⁾ მაგრამ

¹⁾ იმ. ი. სტალინი: „წერილების კრებული ნაციონალურ საქითხის შესახებ“. გვ. 16 (1923 წ. (ქართ. თარგმანი).

ერის სულიერი სახე, მისი ფსიხიური თვისებები წინ კი არ უსწრებენ ეროვნულ ცხოვრებას, არამედ თვით შეადგენენ ეროვნულ ცხოვრების ხანგრძლივ ისტორიულ ვითარებისა და მრავალ ობიექტიურ გარემოებათა ნაყოფს. ეროვნული ფსიხოლოგია და ერის კულტურა ნაყოფი არის უკვე არსებულ ეროვნულ საზოგადოებისა, რომელიც თავისი ისტორიული ცხოვრების ცვალებად პირობებში იმუშავებს, ანეითარებს და აგრეთვე კიდევ ცვლის ობიექტურ პირობებთან ერთად თავის ხასიათს. ასე რომ ეს მომენტი სრულიად არ არის ძირითადი და ნიშანდობლივი თვისება მხოლოდ რომელიმე საზოგადოებისა; იგი მუდმივი თანამგზავრია ყოველი საზოგადოებისა. და განმარტოებით დამაკმაყოფილებელ ნიშანს არ იძლევა საზოგადოების, როგორც ასეთის, თვისების გამოსარკვევად, თუ მთელი კომპლექსი სხვა მოვლენებისა არ იქნა მხედველობაში მიღებული.

მიუხედავად თავისი უნიადგობისა და უსაფუძვლოების, ერის ფსიხოლოგიურმა თეორიამ საკმაოდ გაიდგა ფესვები და მას მიმდევრები გაუჩნდნენ მარქსისტულ ბანაკშიაც: მე ვგულისხმობ **ო. ბაუერის**, **რ. შპრინგერისა** და **ნაწილობრივ კ. კაუცკის** ეროვნულ თეორიებს.¹⁾ მაგრამ ამაზედ ჰქვეით.

ფსიხოლოგიური თეორია ერის შესახებ ორი მხრით განიცდის თავდასხმას: ემპირიული მიმართულებისა და მატერიალისტური თეორიისაგან.

3. ემპირიული თეორია. ეს თეორია დღეს შეიძლება ჩაითვალოს ყველაზე უფრო გავრცელებულად ერის ცნების გამორკვევის საკითხში. ბაუერი ემპირიულ თეორიას უწოდებს ისეთს, რომელიც არ კმაყოფილდება ერის ერთი ნიშნის წამოყენებით და ერის დამახასიათებელ ნიშანდ მიიჩნია მთელი რიგი ელემენტებისა ერთად აღებული. ამ საერთო წყებათა სისტემაში ჩამოთვლილი არის შემდეგი მომენტები: საერთო ტერიტორია, საერთო წარმოშობა, ერთი ენა, საერთო ზნე-და ჩვეულება, საერთო განცდანი, საერთო ისტორიული წარსული, საერთო კანონები და საერთო რელიგია. ასეთ განმარტებას წარსულში უმთავრესად იძლეოდნენ **იტალიის სოციალოგები**.²⁾ ამ თეორიის დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ იგი ერს სცნობს, როგორც კონკრეტულად არსებულ საზოგადოებას; მაგრამ მაშინ, როდესაც სპირიტუალისტური თეორია ერში ხედავს განსაკუთრებულ სულს; ხოლო ფსიხოლოგიური თეორია—შეგნების მომენტით ახასიათებს მას, ემპირიული თეორია მთელ რიგ მატერიალურ და სულიერ ნიშნებს ასახელებს ერის ცნების გამოსარკვევად. ამიტომ იგი უფრო რეალურ ნიშანზე სდგას და სინამდვილეს უახლოვდება. ერის ცნების გამოსარკვევად, მართლაც, არ არის საკმარისი ერთი რომელიმე ნიშნის, ელემენტის აღნიშვნა; ერი რთული სოციალური მოვლენაა და როგორც ასეთი იგი მრავალნაირ მატერიალურ და სულიერ მოვლენათა კომპლექსებით ხასიათდება. მაგრამ ამ ნიშნების აღება არ შეიძლება უსისტემოდ, გროვად ურთიერთისად-

¹⁾ ჩვენში ამ თეორიას ერთხანს იზიარებდა ნ. ჟორდანი. იგი სწერდა: „სადაც ეროვნული შეგნება არ სუფევს, იქ არც ეროვნება არსებობს“. იხ. რჩეული ნაწერები, გვ. 12.

²⁾ O. Bauer: „Национальный вопрос и социал-демократия“. გვ. 134.



მი დამოკიდებულების გარეშე; წინააღმდეგ, აქ საჭირო არის სწორი სისტემა, მოვლენათა მიზეზობრივი კავშირებით გადაბმა, მათი შესაფერისად დაწესება. და სწორედ აქ არის ემპირიული თეორიის სუსტი მხარე. ის საკითხა მიაღწეა, მთელი რიგი მნიშვნელოვან მოვლენებისა წამოაყენა, რომელნიც აუცილებლად წარმოადგენდნენ ერის დაწახასიათებელ ნიშნებს, მაგრამ მათში ვერ შეიტანა შესაფერისი სისტემა, ამიტომ, სწორწინადობითი დალაგება მოვლენებისა და იგი მერყევი და დაუსრულებელი გამოდგა. ემპირიული თეორიათა ასეთი დამარცხება ეროვნულ საკითხში აიხსნება მით, რომ ამ სისტემათა თეორეტიკოსებს არა აქვთ სწორი და გარკვეული შეხედულება საერთოდ საზოგადოებაზედ, უკეთ, არა აქვთ სწორი სოციალოლოგიური სისტემა, ამიტომ კონკრეტულად ერის წარმოშობისა და მისი ნიშნების გამორკვევის დროს ვერ იძლევა საკითხის სისწორით გაშუქებას, თუმცა უახლოვდება მას. ზევით ჩვენ საქმოდ გავიცანით კონტის, სპენსერის და კეტლეს ეროვნული კონცეპციები, რომელნიც შეიძლება საერთოდ მოვათავსოდ ემპირიულ მიმართულების ფარგლებში.

დავინახეთ აგრეთვე ბიოლოგიური სოციალოგიის მთავარი დებულებანი ეროვნება მისთვის ორგანიზმია, ისეთი ორგანიზმი როგორც ინდივიდუალური პიროვნება. სპენსერმა მას სუბერ-ორგანიზმი უწოდა და სრული პარალელიზმის დამყარება მოინდომა ინდივიდუალურ ორგანიზმსა და საზოგადოებას შორის. მაგრამ აქ ლოგიური და ფაქტიური შეცდომა თავის თავად ცხადი არის: პიროვნება არის ბიოლოგიური მოვლენა, ხოლო საზოგადოება კი — ისტორიული კატეგორია. ერსა და პიროვნების შორის ისეთივე პარალელიზმი შეიძლება გაყვანილ იქნეს, როგორც ერსა და მექანიზმს შორის, მაგრამ ლოგიური და ისტორიული მხრით არც ერთი ეს არ არის სწორი, რადგან აღნიშნული მოვლენები სხვადასხვა სახის კატეგორიებსა და სოციალურ მოვლენებს წარმოადგენენ; მათ შორის, მცირეოდენ მსგავსებასთან ერთად, არის დიდი განსხვავებაც. რენე ვორმსი, რომელიც თავის მოღვაწეობის პირველ პერიოდში უკიდურესობამდე აწვითარებდა ორგანიზულ თეორიასა, თავის უკანასკნელ შრომაში „საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფილოსოფია“, შემდეგნაირ განმარტებას აძლევს ნაციასა და სხვა ცნებებს: „ოთხი სიტყვა, — სწერს ვორმსი, — ხშირად იხმარება გაურკვეველად, თითქმის ერთი მეორეს ცვლიდეს: ხალხი, ერი (ნაცია), საზოგადოება და სახელმწიფო. სასარგებლო არის მათ შორის განსხვავების დაწესება. ჩვენის აზრით, ისინი იხმარება ერთი იგივე კოლექტიურ ერთეულისათვის, მხოლოდ განხილულის სხვადასხვა თვალსაზრისით. თერმინები: ხალხი და ნაცია ნიშნავს ჯგუფს, რომელსაც ვიკვლივთ მისი სტრუქტურის მხრით; ტერმინებს, საზოგადოებას და სახელმწიფოს სახეში აქვს მისი ფუნქციონალური მხარე. სოციალურ ჯგუფს ეწოდება ხალხი ან ნაცია, როდესაც ჩვენ ვიხილავთ მას მხოლოდ, როგორც არსებულს; მას ეწოდება საზოგადოება და სახელმწიფო, როდესაც ჩვენ ვიხილავთ მას, როგორც მომქმედს. ახლა ვიკითხოთ: რით განსხვავდება ხალხი ნაციისაგან, საზოგადოება კი სახელმწიფოსაგან. ტერმინები ხალხი და საზოგადოება იხმარება მაშინ, როდესაც საქმე შეეხება მის შემადგენელ ელემენტების მრავალ-რიცხოვანებას ან მრავალ რიცხოვან ფენომე-

საზოგადოებრივი
მეცნიერება

ნებს მათი ცხოვრებით წარმოდგენილს. თერმინები ნაცია და სახელმწიფო შესაფერისი არის ყოველ იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ განზრახვა გვაქვს გამოვხატოთ ერთიანობა, რომელსაც წარმოადგენს მათი შემადგენელი ელემენტები და მათში განვითარებული მოვლენები. ნაცია ეს მოწესრიგებული ხალხია; სახელმწიფო. — ეს — საზოგადოებაა, მთავრობისა და კანონის მიერ დისციპლინაში მოყვანილი (дисциплинированное). ცხოვრება თავის თავად ვითარდება საზოგადოებაში; ის შეზღუდული არის სხვადასხვა სახის მოვალეობებით სახელმწიფოში ხალხი შეიძლება გაფანტული ბრბო იყოს; ნაცია კი — შიგნით გაერთიანებული მასაა. ისტორიის უმდაბლეს საფეხურებზე, კაცობრიობის პირველყოფილი ან თანამედროვე ჩამორჩენილ ტომთა შორის უკვე არსებობენ ხალხი და საზოგადოებანი, მაგრამ არ არიან ნაციები და სახელმწიფოები ¹⁾).

შეიძლება ითქვას, რომ ევროპის განმარტებაში მრავალი სიმართლე არის გამოთქმული და არ არის ყოველივე სქოლასტიური, როგორც ეს ეჩვენება მ. კოვალევსკის. სწორია ის დებულება, რომელიც გვეუბნება, რომ ხალხი გაბნეული ბრბოა და ამიტომ იგი ნაციას არ წარმოადგენს. ხალხი მასალაა ნაციისათვის და ასედაც ხდება ეს, მაშინ როდესაც ხალხი ერთგვარ „ორგანიზაციაში“ შედის, ერთგვარი მთლიანობა ისახება. მაგრამ როდის ეწყობა ხალხი ნაციად, როდის ხდება იგი ერად, ამის გამოკვლევა არ შეუძლია ევროპს; მართალი არის დებულებაც, რომ პირველყოფილ საფეხურზედ არ არსებობდა ერი და სახელმწიფო, იყო მხოლოდ ხალხი და საზოგადოება. მაგრამ სრულიად შეცდარი არის ის მოსაზრება, თითქოს სახელმწიფო ეს მხოლოდ დისციპლინით მოსილი საზოგადოება იყოს. ჩვენ ქვევით დავინახავთ, თუ როგორ სწორწინაობას ამყარებს მარქსი ამ ორ კატეგორიის შორის. ევროპის დებულება სწორია, რომ ნაცია არის „შიგნიდან“ გაერთიანებული მასა და არა ზემოდან მოწესრიგებული. მაგრამ ამით განმარტება ერებისა სრულიად არ არის მოცემული. ყოველი საზოგადოება შიგნიდან გაერთიანებული შეკვიძლია წარმოვიდგინოთ, მაგრამ ამით იგი არ ვახდება ერი. რა არის ის ძალა, რომელიც შიგნიდან აერთიანებს ხალხს ერად. რაში გამოიხატება ამ გაერთიანების ძირეული მომენტები, — იმ აქა სდკას კათხეები, რომელთა გადაწყვეტა შეადგენს სოციოლოგიის მთავარ ამოცანას ერის რაობის გამორკვევის დროს.

ნაციის ცნების ემპირიულ განმარტებას იძლევა ავსტრიელი სოციოლოგი **ლ. გუმპლოვიჩი**: „სახელმწიფო — სწერს გუმპლოვიჩი, — სხვა და სხვა ტომების კონგლამერატისაგან შეიქმნა ხალხი, ხოლო შემდეგ კი ამ უკანასკნელისაგან თანდათანობით განვითარების გზით — ერიც... თუ რასა ჩვენ აღვნიშნეთ, როგორც ბუნებრივი მოვლენა, ტომი — ეთნიური ცხოვრების ნაწარმოები; ხალხი — პოლიტიკური ფაქტორი: ერი, წინააღმდეგ, წარმოადგენს კულტურულ მოვლენას, კულტურის ნაყოფს. და ამიტომ, ეროვნება არის ის კულტურული ერთიანობა, ადამიანთა შორის, რომელიც გამოიხატება ერთ ენაში.“ ²⁾

¹⁾ იმ. მ. კოვალევსკის; „Очерк истории развития социологии“. 39. 70-71.

²⁾ Л. Гумплович: „общее учение о государстве“ 39. 141.

„იქ სადაც ჩვენ ვვდებით ხალხთა პრიმიტიულ ტომებს,—განაგრძობს გუმპლოვიჩი,—რომელთა შორის ყოველი მათგანი ლაპარაკობს თავის ენაზედ, არა აქვთ საერთო ისტორიული წარსული და არ იჩენენ არავითარ უმაღლეს კულტურას,—იქ, მკაცრად რომ ვსთქვათ, არავითარ ეროვნებაზე არ შეიძლება ლაპარაკი, იქ შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ სინგენიზმსა და სინგენიურ ჯგუფის შესახებ.“¹⁾ გუმპლოვიჩი ერის წარმოშობის საკითხს უკავშირებს სახელმწიფოს, პოლიტიკური ორგანიზაციის საქმიანობას. ამ თეორიას ჩვენში თვისი დამცველი ყავდა არჩილ ჯორჯაძის სახით,²⁾ მეორე თავის შრომაში გუმპლოვიჩი სწერს: „რადგან ყოველი სახელმწიფოებრივი წყობილება ქმნის კულტურასა და ყოველი კულტურა თვითმომქმედ წინობრივ აგენტების (ენა, რელიგია, ჩვეულება, უფლება) საშუალებით გარდაიქმნება ხოლმე დამოუკიდებელ ეროვნებად, აქედან გამომდის, რომ მრავალ სახელმწიფოს აღმოცენებასთან ერთად, იქმნება მრავალი ეროვნებაც.“³⁾

გუმპლოვიჩის დახასიათება ერის, როგორც კულტურული ერთობის ერთი ენის ნიადაგზედ, ცალმხრივია, რადგან ეროვნება არა მარტო სულიერ კულტურის ფაქტორებიდან შეესდგება, არამედ მატერიალურ და სამეურნეო ელემენტებისაგანაც. მიუღებელი არის, აგრეთვე, გუმპლოვიჩის თეორია ერის წარმოშობის შესახებ სახელმწიფოს ძალდატანების საშუალებით. აქაც გუმპლოვიჩი უკიდურესობაში ვარდება.

70 წლებში პ. ლავროვი შემდეგნაირად ხსნიდა ეროვნების წარმოშობის პროცესს: „მრავალ ფეროვანი პირობები ადგილმდებარეობისა, ჰავისა, ისტორიულ მდგომარეობათა აახლოებენ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სხვა და სხვა შთამომავლობის გვაროვნულ კავშირების შემკვიდრეთ. უმეტეს ნაწილად ყველა ეს კავშირები ითვისებენ ერთ და იმავე ენას, რომელიც მხოლოდ კილოკავებით განსხვავდებიან, ითვისებენ ასე თუ ისე მსგავს ფსიხოლოგიურ თვისებებს, რამოდენიმე მსგავს ჩვეულებებსა და გადომოცემებს: ისტორია ასეთ საშუალებით წარმოშობილ ჯგუფს აცალკევებს სხვა მსგავს ჯგუფისაგან, ხოლო გარდამავალ საფეხურების მოსპობით, ქმნის ისტორიული ნაყოფის კულტურას, განსაკუთრებულ ეროვნებას“⁴⁾. მეორე ნაკვეთში პ. ლავროვი სწერს: „კულტურისა და ტრადიციის მსგავსებამ შექმნა ეროვნული ერთიანობა.“⁵⁾ რასაკვირველია, ლავროვის მიერ ჩამოთვლილი „პირობები“ აუცილებელი არის ერის წარმოშობათ, ეროვნული შენობის დასაწყობად, მაგრამ ეს საერთო ნიადაგი არის, რომელზედაც უნდა წარმოიშვას ერი, ხოლო მისი უპირველესი და უმთავრესი წარმომშობი ფაქტორი, ეკონომიური მხარე—საწარმოო ძალების განვითარების ელემენტები,—სრულიად ამოშლილი არის ლავროვის კონცეპციით.

¹⁾ Л. Гумплович: „Общее учение о государстве“. гл. 141, 1910 წ.

²⁾ იბ. ა. ჯორჯაძე. ტ. I „ეროვნული პრობლემის გარშემო“.

³⁾ Л. Гумплович: „Основы социологии“. гл. 225, 1899 წ.

⁴⁾ П. Лавров: „Национальности в истории“.

⁵⁾ А. Доgets (Лавров): „Важнейшие моменты в истории мысли“. гл. 241, 1804 წ.

დან. მაგრამ საერთოდ ლავროვის სოციოლოგიურ სისტემაში „კრიტიკული აზროვნება“ თამაშობს გადამქრელ როლს, ვინემ ობიექტიური ფაქტორი. ასეთ იდეალისტურ ახსნას ვერ ვასცილებია ვერც **ნ. ჟიტლოვსკი**, რომელიც ბეერს სწერდა ეროვნულ პრობლემის შესახებ. ჟიტლოვსკის ვაგებით არ არის არავითარი აბსოლიუტური ნიშნები ეროვნებისა, რადგან თვით ეროვნება არის ცნება შედარებითი (რელატიური) და არა აბსოლიუტური¹⁾. მიუხედავად ამისა ავტორი ერთობ გაკვირვულ ფორმებში მაინც ცდილობს გამოხატოს ერის რაობა და მისი თვისებები. „ეროვნება—სწერს ავტორი, — ეს არის სახელოსნო რომელშიაც საერთო საკაცობრიო უმაღლესი კულტურის შესაძლებელი ნაყოფი ღებულობს თავის კონკრეტულს, ყოველთვის ნაციონალურად გამორკვეულ სინამდვილეს“²⁾. საკაცობრიო კულტურა სახიერდება მხოლოდ და მხოლოდ ეროვნულ სახელოსნოში, — კულტურა უწინარეს ყოვლისა ეროვნული არის, ეროვნული ფორმის მატარებელია. — ასეთი არის ავტორის აზრი. ასეთი განმარტება მართლაც რელატიურია; ისტორიის განსაზღვრულ პერიოდში კულტურის ერთ-ერთი ფორმა და წინაარსი მართლაც ეროვნული იყო; მაგრამ ეს მაშინ, როდესაც ეროვნული კარჩაკეტილობა და პარტიკულიარიზმი ვითარდებოდა. თანამედროვე კამატალიზმმა ფაქტიურად გადალახა ეროვნული საზღვრები და მთელი კაცობრიობა ერთს მთლიან საზოგადოებად გადააქცია. ეროვნული კულტურის საზღვრები შეირყა, ის დღეს თავის წვეწვს არა მარტო ნაციონალურ ნიადაგიდან კრფეს, არამედ ინტერნაციონალურ ოჯახიდანაც. რაც უფრო წინ წავა ეკონომიური განვითარება, მით უფრო ნაციონალური კულტურის ფარგლები წაიშლება და ერთი კოსმოპოლიტური კულტურა დაფარავს ყოველივეს. ჟიტლოვსკისათვის, როგორც ნაციონალ-სოციალისტისათვის, პირუკულმა ტრიალებს ისტორია: ნაციონალური კულტურა იყო და დარჩება საკაცობრიო კულტურის სახელოსნო; ჩვენის განმარტებით ნაციონალური კულტურა იყო წარსულში ასეთი სახელოსნო, თანამედროვე პირობებში იგი თანდათან ადგილს უთმობს მსოფლიო კულტურას, ხოლო მომავალში იგი სავსებით გაიღვება კომუნისტურ კულტურაში.

1882 წ. პროფ. **დანევსკიმ** შემდეგი განმარტება წარმოადგინა ნაციისა; ერი მისი განმარტებით არის: „მკიდრო ბუნებრივი შეერთება განსაზღვრულ ტერიტორიაზე საერთო შთამომავლობის, ენის, ნაწილობრივ ჩვეულებათა და ზნეთა მატარებელ ადამიანების, რომელთაც შეცნობილი აქვთ თავიანთი—კოლექტიური პიროვნება და რომელნიც თავისუფლად და ენერგიულად მისდვენ საერთო მოქმედების მიზნებს მოწესრიგებულს სოციალურ თანაცხოვრებაში“³⁾.

თავიესბურ განმარტებას იძლევა ერის შესახებ ქართველი ანარქისტი **ბატონი** (მ. წერეთელი) თავის სოციოლოგიურ გამოკვლევაში. ავტორი სწერს: „ერი არის ერთი სოციალური სუპერ-ორგანიზმი ანუ ჰიპერ-ორგანიზმი (ტარ-

¹⁾ X. Житловский: „Социализм и нац. вопрос“. 1906 წ.

²⁾ იქვე.

³⁾ იხ. დანევსკის დასაბუთებული წიგნი—გვ. 296.



ქართული

ენციკლოპედია

დის სიტყვებია) შემდგარი ერთგვარ ანუ მრავალგვარ ეთნიურ და სოციალურ მასალისაგან, რომელსაც შეუძლია ეამის ვითარებაში შექმნას ერთი გარეგნულად მოწესრიგებული საერთო ცხოვრება თავის შემადგენელ ერთეულთა, ერთი საზოგადოება ყველა თავისი ორგანოებითა, სამართლითა და პოლიტიკით — საზოგადოება განსაკუთრებული ისტორიითა, ტიპითა და თვითშეგნებითა, სრულის ინდივიდუალობითა.¹⁾

ბატონის განსაზღვრა, მიუხედავად იმისა, რომ იგი მრავალ მხრივ უდგება საკითხს, მაინც სრული არ არის, აქ გამრტოვებულია ორი უდიდესი ფაქტორი ეროვნების ცნების გასაგებად: ეკონომიური და ტერიტორიის ელემენტები. მართალი არის ბატონი იმაში, რომ ერი კონკრეტული საზოგადოება არის, რომელსაც ერთი ისტორიული წარსული აქვს, ერთი ენა, ერთი ანა კულტურა, მაგრამ სრულიად გაუგებადი არის, როდესაც მთრიცხვში შეაქვს საოწმებოება და პოლიტიკა, სამართალი, თითქოს ამ მოვლენების გარეშე შეუძლებელი იყოს ეროვნების წარმოდგენა. გამოდენა რა ორი მატერიალური ელემენტი ერის ცნების განმარტებიდან, აეტორმა ეს საზოგადოება რალაც შესაზოგადოებრივ ძალად დასაბა, სუერ-ორგანიული არსად წარმოვედგინა. მართალია ეს სუერ-ორგანიული თეორია ემიჯნება სპენსერის და სხვათა ორგანიულ თეორიას, მაგრამ პრინციპი მაინც იგივე რჩება: საზოგადოება არის ორგანიზმი (ბატონის გამოთქმით სუერ-ორგანიზმი), რომელსაც აქვს თავისი განსაკუთრებული ორგანოები; მაგრამ ბატონის სუერ-ორგანიზმი თვითემაყოფილ და განე-ძობული ორგანიზმია, იგი უალრესად ინდივიდუალურია და მასთანვე მიუკარებელიც; კაცობრიობა სოციოლოგიურად აეტორისათვის კიმერა არის: არსებობენ მხოლოდ სუერ-ორგანიზაციები (ერები) მაგრამ არ არსებობს ერთიანი კაცობრიობა. მაგრამ ასეთი კონცეპცია რამოდენიმე ნაბიჯით უკან ჩამორჩა ორგანიული სოციოლოგის მამათმთავარს—ოგიუსტ კონტს, რომელმაც კაცობრიობა მთლიან საზოგადოებად წარმოვედგინა.

ემპირიულმა თეორიამ ნაციის ცნების განმარტების საქვე ძლიერ წასწია წინ. ამ თეორიამ უარყო მეტაფიზიკურ-თეოლოგიური მიძინარეობა და შეეცადა ერის განმარტების დროს რეალურ მეცნიერულ საფუძველზე დამდგარიყო: მაგრამ ემპირიულმა თეორიამ გამოაამკარავე ფსიხოლოგიური თეორიის ცალმხოფოვბაც ერის ცნების დეფინიციის დროს მოიანდომა სულერ თვისებებსაც და მატერიალურ ელემენტებსაც დაყრდნობოდა. არსებითად ამ თეორიის მიმდევარი შორს არ წასულან იმ განმარტებიდან, როქელიც მოვევა ერის შესახებ 1851 წ. პასკალე მანჩანმა, იგი სწერდა: „ნაცია არის ბუნებრივი საზოგადოება, ტერიტორიის, შთამომავლობის, ჩეულების; ცხოვრების პირობებთან შეთანხმებულ ენის და სოციალური შეკნების ერთიანობით“²⁾. აქ მოცემული არის ყველა ის ელემენტები, რომელნიც შექდევეში უფრო ფართო მამტაბით გამოიყენეს სოციოლოგებმა და მეცნიერებმა.

1) ბატონი—„ერი და კაცობრიობა“ გვ. 130—131.

2) იხ. მილიუკოვის წიგნი—გვ. 78.



როგორც მკითხველი ხედავს, ერის თეორიები მრავალი არის წარმოდგენილი; ჩვენ შევეცადეთ მოკლედ დაგვეხასიათებია ამ თეორიების უმთავრესი მიმართულებანი. (მეტაფიზიკური, ფსიხოლოგიური, ემპირიული). ახლა განვიხილოთ მატერიალისტური გაგებაც ერისა.

4. **მატერიალისტურა თეორია.** აქ უმთავრესად ჩვენ ვეხებით მარქსისტულ დეფინიციებს და თეორიებს. მე-19 საუკუნის მიწურულეებში და მე-20 საუკუნის დასაწყისში, — განსაკუთრებით რუსეთის 1905 წლის რევოლუციის შემდეგ — სოციალისტური აზროვნება იძულებული შეიქნა ნაციონალური პრობლემისათვის ანგარიში გაეწია. განსაკუთრებით კი ნაციონალური საკითხი წამოიჭრა ავტრო-პუნგრეთსა და რუსეთში. ამას თავისი ისტორიული მიზეზება ჰქონდა: ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ამ მოვლენისა იმაში გამოიხატებოდა, რომ ორივე ეს სახელმწიფო მრავალ ერისაგან შემდგარ პოლიტიკურ სხეულს წარმადგენდა და ამიტომ მუშათა პარტიის წინაშე ნაციონალური საკითხი ძალა უნებურად იჭრებოდა მორიგ ამოცანათა რიგში. მაგრამ აქ უმთავრეს ყურადღებას იპყრობდა საკითხის პოლიტიკური მხარე; სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია მთელი რიგი პოლიტიკური პროგრამებისა ეროვნული საკითხის მოსაწესრიგებლად სოციალისტურ ბანაკში. ამ ნარკვევში ჩვენს მიზანს არ შეადგენს აღნიშნულ პროგრამების დახასიათება, ამიტომ გვერდს უვლით მას. მაგრამ პრაქტიკულად დაყენებულ კითხვას არ შეეძლო თეორიული ექსკურსიებიც არ გამოეწვია ეროვნულ პრობლემების სფეროში. უნდა აღინიშნოს, რომ მარქსისტული ლიტერატურა ამ მხრივ თავიდანვე მოიკოჭლებდა და არ არსებობდა სისტემატიური შრომა ნაციის რაობის (არსისა), მისი წარმოშობის, განვითარებისა და მომავალი ბედის შესახებ; არ არსებობდა მატერიალისტურ სოციოლოგიაზე დაყრდნობის შრომა ნაციონალური საზოგადოების რთული შენობის გამასარკვევად.

ამ საკითხში ჯერ კიდევ არ არსებობდა მარქსისტული ანალიზის სისტემატიური ნაყოფი, აღნიშნულმა პერიოდმა ამ მხრივაც თავისი შედეგი მოიტანა და განვიღო მუშაობის ჯამში ჩვენ მივიღეთ მთელი რიგი ცდებისა ნაციონალური საკითხის სოციოლოგიურის მხრივ გაშუქებისა; ამ მხრივ პირველობა მეორე ინტერნაციონალის საუკეთესო თეორეტიკოსსა და იდეოლოგს კ. კაუცკის ეკუთვნის. ნაციონალური პრობლემის პირველი თეორეტიული გაშუქება კ. კაუცკიმ მოგვცა 90-იან ეპოქის პირველ წლებში შრომაში — „ჩვენი დროის ეროვნება“ (1888 წ.). ბოლო უფრო საფუძველიანად ერის რაობისა და მისი განვითარების ტენდენციებს შეეხო 1908 წ. ბაუერის წიგნის „ეროვნული საკითხი და სოციალ-დემოკრატია“ — საპასუხოდ დაწერილ შრომაში: „ეროვნება და კაცობრიობა“. ამ წიგნში კაუცკიმ გააკრიტიკა ბაუერის განსაზღვრა ერისა და საფუძელიანად დაასაბუთა ინტერნაციონალიზმის იდეოლოგია. ამავე კითხვას კაუცკი დაუბრუნდა ომის პერიოდში და განსაკუთრებით 1917 წ. გამოცემულ წიგნში: „ნაციონალიზმის განთავისუფლება“ განიხილა საკითხის თეორიული მხარე და საერთოდ დაასაბუთა 1908 წ. მოყვანილი ბაუერის წინააღმდეგ დე-

ბულებები. რასის პრობლემა განიხილა 1914 წ. წიგნში „ებრაელობა და რასა“¹⁾ მეორე უფრო სრული და მთლიანი სისტემატიური ცდა ნაციონალური პრობლემის მეცნიერულად დამუშავებისა, გუთუნის აგრე წოდ. ავსტრო-მარქსისტულ სკოლას ო. ბაუერის სახით. სტელ-ტანიან შრომაში 1906 წ. ო. ბაუერმა მოგვცა სისტემატიური ანალიზი ნაციის ცნებისა, მისი კონსოლიდაცი და მომავლის შესახებ: აგრეთვე პროგრამის მხრივ დააცვა კულტურულ-აეტონომიის პლატფორმა. სხვა და სხვა მოდიფიკაციებით ბაუერის თეორია რუსეთშიაც შემოიჭრა (ბუნდა) ხოლო ჩვენში კი 1912 წლიდან იგი ნ. ეორდანიამაც დიიცვა.²⁾ ბაუერი იძლევა განსაკუთრებულ თეორიას ერის შესახებ.

1912 წლიდან ნაციონალურ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო ნ. ლენინმა, მაგრამ იგი უმთავრეს ყურადღებას აქცევდა საკითხის პოლიტიკურ მომენტს დაკავშირებით იმპერიალიზმის განვითარებასთან და სოციალურ რევოლუციასთან.³⁾ რაც შეეხება ბოლშევიკების შეხედულებას ნაციის ცნების განმარტებაზე, ამ მხრივ მან თავისი გამოხატულება ჰპოვა ი. სტალინის სქემატიურ, მაგრამ საინტერესო შრომაში.⁴⁾ შეიძლება ითქვას, რომ მარქსისტულ ლიტერატურაში ზემოთ დასახელებული პირობი იძლევიან განსაკუთრებულ შეხედულებას ერის შესახებ, რაც საფუძვლად უდევს სამგვარ თეორიულ შეხედულებასა და მიმდინარეობას ერის პრობლემის გარკვევის საკითხში. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ მოზრდილი თეორიული მუშაობა არის გაწეული ეროვნულ პრობლემაზე და თვით პრაქტიკულად რევოლუციის პროცესში ეროვნულმა მომენტმა საკმაოდ გამოამხეურა თავისი სახე, დღეს კიდევ ვხვდებით სრულიად მიუღებელსა და ყალბ დეფინიციებს ერის შესახებ. მაგალითისათვის საკმარისი არის დავასახელოთ ამა. ლ. რუდაში, რომელიც ჰენრიხ კუნოვის წინააღმდეგ მიმართულ თეორიულ წერილებში სწერს: „გარდა საზოგადოებისა, კლასისა, სახელმწიფოსი, არ არსებობს არავითარი რეალური სოციალ-გოური შენობა, და მე შემეძლო ამეწერა მთელი მექანიზმი თანამედროვე საზოგადოებისა ნაციის მოხსენების გარეშეც. ნათელია რატომ: იმიტო, რომ ნაცია ფარავს სახელმწიფოს, ნაცია არის თანამედროვე კაპიტალისტურ სახელმწიფოს იდეოლოგიური აღნიშვნა.“⁵⁾ ასეთი განმარტება ერის ცნებისა არამც თუ მოკლებული არის სწორ სოციოლოგიურ საფუძვლებს, არამედ ყალბი არის თავიდან ბოლომდე და ასეთი მოსაზრებათა გამომხეურება ლენინ-სტალინის კონცეპციების შემდეგ სწორედ ცოდვად უნდა ჩაითვალოს. ნაცია არის იდეოლოგია, იდეოლოგიური მოვლენა, ბრძანებს აეტორი; გამოდის რომ პოლონეთის ერი, რუსეთის ერი არ არსებულა კონკრეტიულად, ისინი მხოლოდ იდეაში არსებობენ. მაგრამ ჯერ კიდევ მარქსმა და ენგელსმა ძირშივე უარყვეს ასეთი დეფინიციები და ერში განსაკუთრებული საზოგადოება დაინახეს. ერი არის კონკრე-

¹⁾ კ. კაუცკის შეხედულების შესახებ იხილეთ ს. სემკოვსკი „Каутский в национальном вопросе“.

²⁾ ნ. ეორდანი (ნარიძე) „ეროვნული საკითხი ჩვენში“ 1913. წ.

³⁾ ნ. ლენინი—Собр. соч. ტ. 19. (არის ჭართული თარგმანი 1924 წ.).

⁴⁾ ი. სტალინი—„წერილები ეროვნულ საკითხის შესახებ“ 1923 წ.

⁵⁾ Л. Рудаш: „Против новейшей ревизион марксизма“, გვ. 15, 1925 წ.

საქართველო
სოციალისტური

ტული საზოგადოება, — ან რას გვეუბნება უწინარეს ყოვლისა მარქსისტული სოციოლოგია. ვისაც ეს არ ესმის, ან არ სურს დაინახოს, იგი არსებითად შორს სდგას მარქსიზმიდან.

როგორც დავინახეთ მარქსისტულ ბანაკში არსებობს სამი უმთავრესი თეორიული მიმდინარეობა ერის საკითხში; ესენია: ა) ბაუერის თეორია, ბ) კაუტსკის თეორია და გ) ლენინ-სტალინის თეორია. მოკლედ განვიხილოდ ცალკე-ცალკე ყველა ეს თეორიები.

ბაუერის შრომა ერთ-ერთ სერიოზულ მოვლენას წარმოადგენს ნაციონალური პრობლემის თეორიულად გაშუქების საქმეში. მისი თანამოკალმენი (კარენერი, პერნესტოფელი) უმთავრესად ეხებოდენ ეროვნულ პრობლემის პოლიტიკურ და პროგრამულ მხარეებს.¹⁾ ბაუერმა საკითხი ფართო მასშტაბში გადაიტანა და ეროვნული პრობლემა გააშუქა როგორც სოციოლოგიური, ისე პოლიტიკურ-პროგრამული საზომით. ბაუერი ცდილობს პრობლემის გაშუქების საქმეში გამოიყენოს მარქსის მატერიალისტური მსოფლ-მხედველობა და მარქსისტულ სოციოლოგიას დაეყრდინოს. მაგრამ ეს მხოლოდ მარტო ცდა გამოდგა. არსებითად კი ბაუერი ძლიერ დაშორდა მარქსისტულ საზომსა და ერის წმინდა ფსიხოლოგიური განმარტება მოგვცა. ბაუერის ძირითადი დასკვნები ერის პრობლემის გამორკვევაში მიუღებელი არის მარქსისტული საზომით.

როგორც სამართლიანად აღნიშნავს ახანაგი სემკოვსკი, ბაუერის ეროვნულ თეორიის შემუშავებაზე ორმა გარემოებამ იქონია დიდი გავლენა.²⁾ ერთის მხრივ, ბაუერი მოყვა იმ სპეციფიურ ატმოსფერაში, რომელიც გამეფებული უყო ავსტრო-ჰუნგრეთში: იქ ნაციონალურმა საკითხებმა მწვავე ხასიათი მიიღო და ატმოსფერა ნაციონალური სულით გაიკლენთა; ამ ატმოსფერით იკვებებოდენ ავსტრიის სოციალ-დემოკრატები დიდი ხნის განმავლობაში: ბაუერის ორგანიზმიც ძალაუნებურად ისუნთქავდა ამ ჰაერს და ისიც იკლენთებოდა ნაციონალური ბაცილებით. ამას არც ბაუერი მალავს თავის შრომის პირველსავე გვერდზე იგი სწერს: „ჩვენ ხომ ყველანი ვიმყოფებით ნაციონალურ იდეოლოგიის, ნაციონალური რომანტიკის ძლიერი გავლენის ქვეშ; ძნელად თუ რომელიმე ჩვენთაგანი წარმოსთქვამს სიტყვას „გერმანელი“, რომ მასთანვე არ განიცადოს განსაკუთრებული გრძნობა. ვისაც სურს გაიგოს და გააკრიტიკოს ნაციონალური იდეოლოგია, მას არ შეუძლია გვერდი აუხვიოს პასუხს კითხვაზე, რა არის ნაცია“³⁾. ამ ნაციონალურმა ატმოსფერამ თავისი გავლენა მოახდინა ბაუერის მეცნიერულ კვლევა ძიებაზედაც და მისი იდეოლოგია ეროვნულ საკითხში არსებითად არის სოციალ-ნაციონალიზმის იდეოლოგია.

მეორეს მხრივ, ბაუერი მოყვა კანტიანურ აზროვნების გავლენის ქვეშ, რაც განსაკუთრებით გამოიხატა ნაციონალური აპერცეპციის თეორიის წამოყენებაში. ეს ფსიხოლოგიური ტერმინი პირველად შემოიტანა ფილოსოფიაში

¹⁾ К. Ренер: „Национальная проблема“ (1909 წ.) და „Государство и нация.“ ერ. პერნესტოფელის: „ეროვნული საკითხი და სოც.-დემოკრატია“ (ქარ. თარგმანი).

²⁾ С. Семковский: „К философии национальной проблемы“ გვ. 19, კრებულში: „Марксизм и нац. проблема“ 1924 წ.

³⁾ О. Вауэр: „Нац. вопрос и с.-демократия“ გვ. 1, 1909 წ.

განვითარების სამ საფეხურს,—განავრცობს ავტორი,—გვაროვნულ კომუნიზმის ეპოქას, თანამედროვე კლასიური საზოგადოებას და მომავალ სოციალისტურ საზოგადოებას—ეთანხმება სამი სხვადასხვა საფეხური ნაციის განვითარებაში¹⁾. ამრიგად ერთი არსებობს საგვარეულო კომუნიზმის ეპოქიდან, იგი იარსებებს სოციალისტურ საზოგადოებაშიაც; იცვლება მისი შინაარსი, ხოლო ნაციონალური ფორმა კი არსებობს უწყველად. ბაუერის განმარტებით, სოციალიზმი იწვევს გარდაუდებელ დიფერენციაციას ნაციათა შორის, მიუხედავად იმისა, რომ მატერიალური შინაარსი ეროვნებათა კულტურისა თანაბარდონეს აღწევს. „მთელი ხალხის ნაციონალური კულტურის ერთიანობაში ჩაბმა, ერის მიერ სრული თვითგამორკვევის დაპყრობა, ერთა სულიერი დიფერენციაციის გაფართოება—აი რას ნიშნავს სოციალიზმი“²⁾—სწერს ბაუერი. ახლა ვიკითხოთ: რა არის ეს ნაციონალური ხასიათი, რომელიც ასეთ ცვალებადობას განიცდის, მაგრამ მაინც ნაციონალური რჩება?—ბაუერი განმარტავს: „ნაციონალური ხასიათის ქვეშ ჩვენ უწინარეს ყოვლისა გვესმის არა ყველა ფიზიკურ და სულიერ თვ სებათა ერთობილობა, რომელიც ნაციის თვისებას შეადგენს, არამედ ნხოლოდ ნების მიმართების თავისებურება; ის ფაქტი რომ სხვადასხვა ერში ერთი და იგივე საგანი იწვევს სხვადასხვა გვარ რეაქციას, ერთიდაიგივე გარეგნული მდგომარეობა იწვევს ნების სხვადასხვა გვარ მოქმედებას; ხოლო ის, რომ სხვადასხვა ერები ხასიათდებიან ნაციონალური ნების არა ერთნაირი მიმართულებით, ეს აიხსნება ნაციების მიერ მოპოვებულ წარმოდგენათა სხვადასხვაობით ან ნაციების მიერ არსებობისათვის ბრძოლაში შეთვისებულ ფიზიკურ თვისებებით“³⁾.

ამრიგად ბაუერის მთელი ეროვნული კონკრეტია აგებული არის წმინდა ფსიხოლოგიურ მომენტებზე: მისთვის ნაცია არის ხასიათის ერთიანობა, ხოლო ხასიათის ერთიანობა კი გამოიხატება ნების მიმართების ერთიანობაში. თუ ფსიხოლოგიურ-ინტელექტუალური თეორია ნაციის მთავარ ნიშანს შეგნების ელემენტში ეძებდა და დანარჩენი თეორიები გრძნობათა სფეროში ეძებდნენ ერის ნიხნობრივ თვისებებს, ბაუერმა ასეთი რამ ხასიათის თვისებებში ჰპოვა, ნების თავისებურ მიმართულებაში ნახა; ყველა ეს თეორიები ერთ-და იმავე ფსიხოლოგიურ საფუძველზე არიან აგებულნი და ამიტომ ფსიხოლოგიურ თეორიის სხვა და სხვა ვარიაციებს წარმოადგენენ. ბაუერმა გარდუვალი ზღუდეები აღმართა ერის ხასიათსა და მის ობიექტიურ გარემოებას შორის. მის განმარტებაში ერთი არ ატარებს ობიექტიურ ნიშნებს: ერთი არსებობს, როგორც ხასიათის ერთობა, როგორც ფსიხოლოგიური ერთობა, როგორც ფსიხოლოგიური ფაქტი, მოკლებული ტერიტორიალურ, ეკონომიურ, ერის ერთობას: მოკლებული ყოველგვარ მატერიალურ-ობიექტიურ ნიშნებს. მაგრამ, იქ, სადაც არ არსებობს ეს ს, ტერიტორიის, ეკონომიკის, კულტურის ერთიანობა იქ შეუძლებელია არსებობდეს ერთი⁴⁾.

¹⁾ იქ.—გვ. 139.

²⁾ იქ.—გვ. 112.

³⁾ იქ.—გვ. 115.

⁴⁾ იხ. ი. სტალინის წიგნი გვ. 20—24.



მაგრამ ბაუერის თეორია იდეალისტური სამოსელით არის შემოსილი აგრეთვე მეორე მხრივაც. როგორ ხდება რომ ნაცია ინარჩუნებს თავის ინდივიდუალობას ისტორიის ყოველგვარ საფეხურზე, — სოციალისტურ საზოგადოებაშიაც? — ამ კითხვაზე პასუხს იძლევა ნაციონალური აპერცეპციის თეორია, რომელსაც იცავს ბაუერი. „მსგავსად იმისა, როგორც ინდივიდში არა უბრალოდ, არა მექანიკურად ითვისებს რაიმე ახალს, არამედ შეყავს იგი თავის სულიერ არსებაში, ქმნის მას თავის პიროვნების ნაწილად, ითვისებს მას მთელი თავისი სულიერი „მეთი“, მის აპერცეპციას ახდენს, — ასევე მთელი ერი არავითარ ახალს მიმღეობას არ ახდენს მექანიკურად, არამედ უთვისებს მას მთელ თავის არსებას (БЫТИЮ) ცვლის, გადაამუშავებს მას მიმღეობის პროცესში მილიონ თავების საშუალებით. ნაციონალური აპერცეპციის ამ უდიდესი ფაქტის წყალობით არც ერთი აზრი, ნასესხები ერთი ნაციის მიერ მეორისაგან, არ იქნება შეთვისებული, სანამ ის არ იქნება გადაამუშავებული, შეწონილი მთელ ნაციონალურ არსებასთან.“¹⁾ მიუხედავად იმისა, რომ ბაუერის განმარტებით ნაციონალური ხასიათი ცვალებადია, იგი თავის ცვალებადობის პროცესშიაც მაინც ინდივიდუალური რჩება და ფორმალურად ინარჩუნებს თავის დამოუკიდებლობას. აქ უკვე მოსჩანს კანტის კონცეპციის გავლენა: არსებობს ეროვნული არსი, მოცემული ისტორიულად, რომელიც ყოველგვარ გარემოებაში ხელუბლებელი ხდება, ინარჩუნებს თავის ინდივიდუალობასა და თავისებურობას; ²⁾ იგი არის მოცემული წინასწარ, რომელიც თავისებურად ამუშავებს ცდისეულ (ОПЫТНЫМ) მსოფლიოს; თვით კი არ მუშავდება ობიექტიურ გარემოების მიხედვით, შექმნილ სოციალ-ეკონომიურ და კულტურულ დონის მიხედვით, არამედ იმ ობიექტურ გარემოებათ თვით ატარებს თავის არსების პრიზმაში. ამგარი სახით, ერი ისტორიულად წარმოშობილი, უკვე ხდება მარადიული მოვლენა, ყოველ შემდეგ ისტორიულ-ეკონომიურ ფორმაციებში თავისებური სახის მატარებელი. ქვეით ჩვენ დავინახავთ, რომ ასეთ მარადიულ მოვლენათ გადაქცევა ეროვნულ საზოგადოებისა არამარქსისტული არის.

ალსანიშნავი არის ის ფაქტიც, რომ ბაუერმა გვაროვნულ საზოგადოებაში დაინახა ერის ნიშნები, ეროვნება; ასეთი განმარტება სრულიად მიუღებელი არის მარქსისტული სოციალოგიის საზომით, რომელიც გვაროვნებაში ხედავს განსაკუთრებულ ტიპის საზოგადოებას, რომელსაც საერთო არა აქვს რა ეროვნულ საზოგადოებასთან.³⁾ თუმცა შესაძლებელია მასში ერის სხვადასხვა ელემენტებიც მოიძებნებოდეს.

ბაუერის თეორიას ამ ბოლო ხანებში მხურვალე დამცველი გამოუჩნდა მსხვილი სოციალოგის, მაგრამ ნამდვილ სოციალ-იმპერიალისტის **ჰენრიხ კუნოვის** სახით.⁴⁾ კუნოვი განსაკუთრებით ილაშქრებს კაუცკის თეორიის წინააღ-

¹⁾ ბაუერის წიგნი — გვ. III.

²⁾ ბაუერის ნაციონალური აპერცეპციის კრიტიკა იხ. სემკოვსკის წიგნი: „Этюды по философии марксизма“ გვ. 109 — 126

³⁾ Фр. Энгельс; „Происхождение семьи, частной собственности и государства“

⁴⁾ იხ. ჰენ. კუნოვი: „მარქსისტული სოციალოგიის საფუძვლები“ ტ. II-ე, თავი პირველი-

მედგ და ცდილობს დაიცვას ბაუერის კონცეპცია „ველგარულ მარქსიზმის“ თაედისხმისაგან. მაგრამ განსაკუთრებულ ორიგინალობას იჩენს კუნოვი მარქს-ენგელსის ინტერპრეტაციაში ეროვნულ პრობლემის შესახებ: კუნოვი ცდილობს მარქს-ენგელსი ბაუერის ენით აალაპარაკოს და სწორედ ისეოი განმარტება მისკეს ეროვნებას მარქსის სახელით, როგორც ჩვენ დავინახებთ ბაუერის თეორიის განხილვის დროს. კუნოვი სწერს: მარქსი და ენგელსი „ნაციაში ზედადენ ხალხთა ასიმილიაციის ისტორიულ პროდუქტს, აღმოცენებულს გარკვეულ ქმედობის პროცესიდან, რომელიც განსხვავდება სხვა ნაციონალურ ერთობისაგან ხასიათის განსაკუთრებული თავისებურობით“.1) როგორც მკითხველი ქვევით დავინახავს, ეს წარქს-ენგელსის ეროვნულ პრობლემაზე შეხედულებათა ინტერპრეტაცია კი არ არის, არამედ მათი ფალსიფიკაცია. კუნოვი ძლიერ მოწადინებული არის მარქს-ენგელსის ავტორიტეტით გაამაგროს ბაუერის საკმაოდ შერყეული თეორია, მაგრამ კუნოვი მარტო აქ არ ჩერდება, მას უფრო დიდი განზრახვა აქვს: ამგვარი კომბინაციებით მას სურს მტკიცე საფუძველი მოეპოვოს თავის საკუთარ რეაქციონერ სოციალ-იმპერიალისტურ კონკეპციას, რომელიც მოითხოვს დიდ სახელმწიფოებებსა და ერებისათვის წვრილ და ჩამორჩენილ ეროვნულ ერთეულების ჩაყლაპვის უფლებას. საინტერესო არის სწორედ კუნოვისა და ბაუერის თეორიების შეხვედრის საკითხი: აქ ერთი მეორეს ენათესავებიან **სოციალ-იმპერიალიზმისა** და **სოციალ-ნაციონალიზმის** თეორიული საფუძვლები ეროვნულ საკითხში, უკეთ მემარჯვენე და მემარცხენე სოციალ-დემოკრატის; ყოველ შემთხვევაში თეორიაში ისინი ერთად მიდიან, ერთ ჰანგზე მღერიან, ერთნაირი არგუმენტაციებითა და ლოიგური დებულებებით მსჯელობენ.2)

ბაუერის თეორიის საფუძვლიანი კრიტიკა ეკუთვნის მისავე მასწავლებელსა და ხელმძღვანელს **კ. კაუცკის**. კაუცკის საერთო დებულებებიდან ეროვნულ პრობლემის შესახებ ამ ეამად ჩვენ შევეხებით სამ მომენტს: კრიტიკას ბაუერის კონკეპციის შესახებ „ეროვნული ხასიათის ერთიანობისა“, მის დეფინიციის ერის ცნების შესახებ და ეროვნებათა მომავლის საკითხს სოციალისტურ საზოგადოებაში.

ბაუერის გამოკვლევის სარეცენზიოთ დაწერილ წიგნში (1908 წელი) კაუცკი ფართოდ მიუღდა ბაუერის კონკეპციასა და მიუღებლად სცნო ხასიათის ერთიანობა ერის ცნების გასამარტებლად, კაუცკი სწერს: „ბედის ერთიანობას წარმოადგენს ყოველი საზოგადოებრივი მოვლენა; ყოველ საზოგადოებას აქვს თავისი საერთო ბედი და ტრადიციები; ეს შეეხება გვარს, ტომს, სახელმწიფოს, ცეხს, პარტიას, აქციონერულ საზოგადოებასაც კი. და მრავალი ამ მოვლენათაგანი წარმოადგენენ აგრეთვე კულტურის ერთიანობას. ეწყობიან თავიანთ წევრების საერთო კულტურაზე, რომელთაც (წევრებს) თავის მხრივ გადასციმენ

1) კუნოვის წიგნი - ტ. II-ე, გვ. 11.

2) ბაუერის თეორიის ვრცელ კრიტიკას ჩვენ აქ არ ვიძლევი. მის შესახებ, როგორც ფსიხოლოგიურ მიმდინარეობის თეორიის შესახებ, სავსებით გამოადგება ჩვენ შიგრ ზემოდ წამოყენებული დებულებები ფსიხოლოგიურ თეორიების გამო.



საერთო კულტურას.*¹⁾ ამ გვარად ბედისა და კულტურის ერთიანობა არ შეიადგენს მარტო ერის თვისებას. მაგრამ შეიძლება კი გადაჭრით მტკიცე ნაციონ. ლურ კულტურის ერთიანობაზე ლაპარაკი? იქ, სადაც ერთ და იმავე ნაციის შიგნით ვითარდება ღრმა კლასიკური სხვა და სხვაობა, იქ ერის შიგნით იზრდება აგრეთვე კულტურული განსხვავებაც, უფრო ღრმა, ვინემ მრაველი კულტურული განსხვავება ერთა შორის. და, წინააღმდეგ, კლასიკური ერთიანობა ხშირად ამყარებს აგრეთვე კულტურულ ერთიანობასაც სხვადასხვა ნაციების ერთდა იმავე კლასის წევრთა შორის.*²⁾ მეორეს მხრივ კაუცკის პრობლემატიკურად მიიჩნია ხასიათის ერთიანობის დამყარებაც. „როგორ შეიძლება დაწესებული იქნეს ერთიანი ნაციონალური ხასიათის რომელიმე თანამედროვე ერში, ვსთქვათ გერმანეთში, რომლის მოსახლეობა გაფანტული არის ამდენ სხვადასხვა სახის ტერიტორიაზე... ზოლო ამ ნაციის შიგნით კოლოსალური საზოგადოებრივი განაწილებაა: აქ ნახევრად ფეოდალიზმი მაკლენბურგსა და პოზნანში; იქ კაპიტალიზმი თავისი უმაღლესი ფორმით საქსონიასა და რურის ოლქში; აქ ქალაქები მილიონ მცხოვრებლებით, როგორც ვენა და ბერლინი, გვერდი-კ-ი ჩამორჩენილი კუთხეები. ამასთანავე ერთად არსებობს დაყოფა კლასებად და პროფესიებად.“³⁾

ამგვარად კაუცკიმ ძირითად უარყო ბატურის აბსოლიუტური გაგება კულტურისა და ხასიათის ერთიანობის. მაშ რაში გამოიხატება თვით კაუცკის კონცეპციით ერის დამახასიათებელი თვისება; —ენაში, —გვეუბნება კაუცკი მე მესმის ეროვნება როგორც ენის ერთიანობა (языковая общность), ზოლო თანამედროვე ეროვნება, როგორც თანამედროვე გაცვლის წესით წარმოშობილი მთელი გაერთიანებული ლიტერატურული ერთი. ეროვნების მნიშვნელობა ჩემი აზრით; გამოიხატება ხალხური მასისთვის ენის მნიშვნელობაში საზოგადოებრივი, მაშასადამე, პოლიტიკური ცხოვრებისათვის, განსაკუთრებით დემოკრატიისათვის*⁴⁾ ამგვარად კაუცკისათვის ეროვნება არის ენის ერთობა; ერის ერთად ერთი დამახასიათებელი ნიშანი ენის ერთიანობაში გამოიხატება. უნდა აღინიშნოს რომ კაუცკი თავისი დებულების წამოყენებით ვერავითარ ორგანიზაციას ვერ იჩენს. მთელი რიგი მეცნიერებისა (მანჩინი, რიუდიგერი, ლორანი, კორნაც ამირი, ბლუნჩლი) ენაში ხედავდენ ეროვნების ერთ-ერთ უმთავრეს გამოჩენატეულ თვისებას. მანჩინის აზრით, „ნაციონალური კავშირის ყველა იმ ელემენტებიდან, რომელნიც კმნიან ეროვნულ ერთიანობას, ენის ერთიანობა წარმოადგენს ყველაზე უფრო ძლიერს... ენის ერთიანობა ამტკიცებს ნაციის ბუნების ზნეობრივ ერთიანობას და კმნის იდეებს, რომელნიც ბატონობენ ცალკე ერებში“⁵⁾.

ასეთი დეფინიცია კაუცკისა არ არის სრული. ენა აუცილებლად დიდი

¹⁾ К. Каутский: „Национальность и международность“ стр. 19.

²⁾ იქვე 83-19.

³⁾ იქვე 83-23-4.

⁴⁾ К. Каутский: „Освобождение национальностей“ стр. 140.

⁵⁾ იბ. А. Штиглиц: „Начало национальности“ ტ. III გვ. 56, სხვა დასხვა მეცნიერთა შეხედულებაზე ენის შესახებ. იბ. გვ. 56-73. 18ა2 წ.

იარალი არის ეროვნული ცხოვრებისათვის, მაგრამ არა ერთად ერთი, აქ სხვა ნიშნებსაც აქვს ადგილი. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ შეუძლებელი იქნება ერთის მხრივ, ინგლისელების ირლანდიელებისა და ამერიკელების (იანკა) ერთმანეთისაგან განსხვავება, მეორესი-კი, ნორვეგიელებისა და დანელების, მესამე მხრივ—სერბიელებისა და ხორვატების ენის ნიშნით გამოცნობა. ირლანდიელი, ინგლისელი, ამერიკელი ერთდამივე ენაზე ლაპარაკობს, მაგრამ სხვა და სხვა ეროვნებას წარმოადგენს; ასევე ნორვეგიელები და დანელები, მსგავსავე მდგომარეობაში იმყოფებიან სერბები და ხორვატები. თუ ენას მივიღებთ ერის უმთავრეს და უპირველეს ნიშნად, მაშინ ირლანდიელი, ინგლისელი, ამერიკელი ერთ ერთად უნდა წარმოვიდგინოთ, ერთ ეროვნებად უნდა ჩავრიცხოთ. არსებითად კი ეს ასე არ არის.¹⁾ ირლანდიამ ინგლისის ერის წინააღმდეგ ბრძოლაში უამრავი სისხლი დაჰღვარა, ხოლო ამერიკამ მე-XVIII საუკუნეში იარალით გაინთავისუფლა თავი ინგლისის ბატონობისაგან და მოიპოვა ეროვნული დამოუკიდებლობა. ირლანდია, ინგლისი და ამერიკა თავიანთ თავს ცალკე ერებად თვლის. კაუტკი გრძობს, რომ ენის ერთიანობა არ არის საკმარისი და 1908 წ. სწერს: „ენის ერთიანობა არ არის ერთად ერთი განმასხვავებელი ნიშანი ერისა, წინააღმდეგ, მის გვერდით არსებობენ სხვა ასეთივე ნიშნებიც.“²⁾ მაგრამ კაუტკი ჩვენ გარკვევით ამ სხვა ნიშნებზე არ მიგვითითებს და, წინააღმდეგ, მთელი თავისი არგუმენტაციით იცავს დებულებას რომელიც ამბობს, რომ ეროვნება არის ენის ერთიანობა... მაგრამ ეს დეფინიცია ცალმხრივია და არ არის სრული.

სრულიად სწორია კაუტკის კრიტიკა შესახებ ბაუერის დებულებისა, — ერთა დიფერენციალაზე კომუნისტურ წყობილებაში. როგორც გვახსოვს, ბაუერმა წამოაყენა დებულება, რომ სოციალიზმი ხელს შეუწყობს ერების არა შეერთებას და შედუღებას, არამედ მათ დიფერენციაციას, მოუხედავთ მათ შორის **მატერიალური და სულიერი კულტურის** აღმოცენებისა. ეს თეორია კაუტკიმ საფუძვლიანად გააბათილა და სრულიად სისწორით აღნიშნა ის ტენდენცია, რომელსაც ერების სრულს გაერთიანებამდე მივყავართ.³⁾ აქ კაუტკიმ სისწორით მოიმარჯვა მარქსისტული მეთოდი და მატერიალისტური სოციალოგიის დებულებანი. ამ საკითხს უფრო ვრცლად ჩვენ ჰვევით კიდევ დაუბრუნდებით.

მარქსისტულს ლიტერატურაში ერის თეორიის შესახებ მესამე მნიშვნელოვან მიმდინარეობას წარმოადგენს **ლენინ-სტალინის** კონცეპცია. 1913 წ. ანხ. ი. სტალინმა საფუძვლიანად გააკრიტიკა ბაუერის თეორია და შემდგანიერად განმარტა ეროვნების მცნება: „ეროვნება არის, უწინარეს ყოვლისა, ერთობა. განსახდერული ერთობა აღამიანთა... ეროვნება არის არა რასიული, ან ტომობრივი, არამედ **ისტორიულად ჩამოყალიბებულ აღამიანთა ერთობა.**

¹⁾ პ. მილიტავი სწერს: „В новейшее время случаи диссоциации языка и национальности особенно часты. Так, в латинской Америке несколько национальностей говорит языком испанских и португальских завоевателей“... (იხ. „Национальный вопрос“ გვ. 59).

²⁾ К. Каутский: „Национальность и международность“ გვ. 26.

³⁾ იქვე.



საქართველოს
მწიგნობართა კავშირი

ეროვნება არის არა შემთხვევითი და არა ეფემერული კონგლომერატი, არამედ მაგარი, მძლე, ერთობა ადამიანთა¹⁾ ამხ. სტალინიმა უაზრო როგორც კატეკის, ისე ბაუერისა და სხვათა ცალმხრივი დეფინიციები, და მთელი რიგი მატერიალურ და სულიერ ნიშნებისა წამოაყენა ერის განსაზღვრისთვის. მოკლეთ ერის განსაზღვრა შემდეგ ფორმულიზაციაში არის გამოთქმული:

„ეროვნება არის ისტორიულად წარმომდგარი მძლე ერთობა ენის, ტერიტორიისა, ეკონომიური ცხოვრების ფსიქური სახის“, რომელიც კულტურის ერობაში გამოიხატება.“

„აუცილებლად საჭიროა, აქ ხაზი გაუსვათ, რომ არც ერთი ზემოხსენებული ნიშანთაგანი, ცალ-ცალკე აღებული, არ კმარა ეროვნების განსაზღვრელად. უფრო მეტი: საკმაოა აკლდეს გინდა ერთი ამ ნიშანთაგანი, რომ ეროვნება ეროვნებას აღარ წარმოადგენდეს.“²⁾

აქ არის მოცემული ბოლშევიკური ინტერპრეტაცია მარქს-ენგელისის შეხედულებისა ერსა და ეროვნულ პრობლემაზე.

ჩვენ ქვევით დაეინახავთ, რომ მარქსი და ენგელსი ერს უყურებენ არა როგორც ხასიათის ერთობას ბედის ერთობაზედ აღმოცენებულს, არა მარტო როგორც ენის ერთიანობას, არამედ როგორც რთულს საზოგადოებრივ მოვლენას, რომლის შემაერთებელი ძარღვები მთელ რიგ მატერიალურ და სულიერ მოვლენებში გამოიხატება.

მაგრამ განვიხილოთ მარქს-ენგელისის შეხედულება ეროვნულ პრობლემაზედ უფრო დაახლოებით. ამ მხრივ ჩვენ დიდ დახმარებას გავიწვევს, ერთის მხრით, როგორც თეორიული განსაზღვრა საერთოდ საზოგადოებისა, ისე, მეორეს მხრივ, მისი ისტორიული ფორმების, ან კონკრეტული სახეების გამოკვლევა. ამ კითხვების შესახებ ჩვენ საკმაოდ დამაკმაყოფილებელი დებულებები და ნაკვეყეები გვაქვს მარქს-ენგელისის ნაწერებში.

ამრიგად შემდეგ თავში ჩვენ შევხებით შემდეგ კითხვებს: მოკლედ საზოგადოების განსაზღვრას საერთოდ და მის კონკრეტულ-ისტორიულ ფორმებს, ერის წარმოშობის და მისი განსაზღვრის კითხვებს.

(პირველი თავის დასასრული)

¹⁾ ი. სტალინი: „წერილები ეროვნულ საკითხის შესახებ“.

²⁾ იქვე.

საერთაშორისო მღვრეობის საკითხები

ჩვენ ვგვქონდა შემთხვევა „მნათობის“ ფურცლებზე აღგვენიშნა და გავვერკვია ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიური და ფინანსური პეგემონიის თანდათანობითი განმტკიცება მსოფლიო ცხოვრებაში. ეს ფაქტი რაცდრო გადის მით უმეტესათ მტკიცდება და აშკარა ავდება. თუ ორი წლის წინეთ გამოთქმული აზრი ამერიკული კაპიტალის ევროპის კონტინენტზე განმტკიცების შესახებ იწვევდა იტყვებს და კრტიკას დღეს იგი ცხოვრების მიერ საესებით გამართლებულია და სრულ ქეშმარიტებათ არის ცნობილი.

მართალია შეერთებული შტატების მეურნეობა უკანასკნელ წლების განმავლობაში დრო გამოშვებით გახიციდის კაპიტალიზმისათვის ჩვეულ აწვედაწვევას, განვითარების ხაზის ზომიერ უსწორ-მასწორობას, მაგრამ ეს ჩვეულებრივი და ზრდის თანამგზავრი მოვლენა, რასაკვირველია, სრულებით არ სცვლის აღნიშნულ ეკონომიურ ფაქტის ხასიათს და მნიშვნელობას საერთოთ.

მაგალითად 1924 წლის დასაწყისი (აპრილი) აღინიშნა ეკონომიურ კონიუქტურის დაწყებით, დეპრესიის მკათიო ნაშენებით. მაგრამ ეს მომასწავებელი იყო არა ხანგრძლივი აუთიმყოფობის, არამედ გარდამავალი და ხანმოკლე შეფერხებისა. ბერს ეგონა რომ შეერთებული შტატებიც იმ უღმბელი ბედისწერის ქვეშ მოექცა, როგორც ევროპა, მაგრამ უფრო დაკვირვებულ მკვლევართათვის ცხადი იყო, რომ შტატები, რომელთაც ამოდენა მატერიალური განძეულობა მოეპოებათ, რომელთაც ინდუსტრიალური ტენხიკა და კაპიტალის ორგანიზაცია უმაღლეს წერტილამდე აუყვანიათ, აღნიშნულ მდგომარეობას გაუქიოვებლათ თავს დააღწევენ. ეს ასეც მოხდა. შეერთებული შტატები გამოვიდენ კრიზისის მდგომარეობიდან და კვლავ განავრძეს თავის ჰიგანტიური გზა.

უმთავრესი და ძირითადი მიზეზი შეერთებული შტატების მეურნეობის და ვაქრობა-მრეწველობის დროგამოშვებით შეფერხებისა არის ის, რომ მათ ომიან წლების განმავლობაში უანგარიშო სიმდიდრე შეიძინეს და უაღრესად განავითარეს წარმოებ-ს ინტეფიკაცია. გაძლიერებულმა ინდუსტრიალიზაციამ წარმოშვა უზარმაზარი მთები საქონლისა და პროდუქციამ გადააქარბა შინაურ ბაზრის მოთხოვნ-ლებას.

ზოგიერთი ეკონომისტების აზრი შეერთებული შტატების შინაური ბაზრის შესახებ, ვითომც ის წარმოადგენდეს გაუმძღარ შესაძლებლობას, რომ მისი სიერცე მუდამ დაიტეგს საკუთარ ქვეყნის მეურნეობა-მრეწველობის პროდუქციას, რომ შეერთებული შტატები გარეშე ბაზარს არ საქიროებენ და თავისუფლად შეუძლიათ განავრძონ განვითარება შინაურ მოთხოვნილებაზე დაყრდნობილი, ეს თეორია ცხოვრების სინამდვილემ უარყო და გააქარწყლა. ცხადი შეიქმნა რომ შეერთებული შტატების ეკონომიკა წარმოუდგენელია გარეშე-მსოფლიო ბაზრის და მეურნეობისა. თუმცა ამ თეორიას, ისე როგორც მონ-

როეს ფორმულას, ჰქონდა თავისი გამამართლებელი და წარმომშობი მიზეზები, მაგრამ ამ მიზეზების მოქმედება კაი ხანია ამოიწურა და ისინი მხოლოდ ისტორიულ ფაქტს წარმოადგენენ.

როგორ ნიადაგზე წარმოიშვა მონროეს ფორმულა? ამერიკა ამერიკელებისათვის, რაც უფრო მარტივათ, რომ ესთქვათ—ნიშნავს შემდეგს: არც ჩვენ ვერცხვით ვეროპის საქმეებში და ნურც ვეროპა ჩაერევა ჩვენს საქმეებში.

რასაკვირველია ასეთი კუთხური, თავისებურობის და განცალკევების პოლიტიკა განსაკუთრებულ ეკონომიურ ნიადაგზე უნდა აღმოცენებულიყო. ამერიკა წარმოადგენდა იმ დროს სრულიად განუზოპელ, დაუმუშავებულ სიმდიდრეს. მის ბუნების ზღაპრულ საუნჯე მხოლოდ რამოდენიმეთ ენებოდა კაპიტალიზმის ხელი და თანდათან არქობდა მას თავის კლანკებს. საზოგადოებრივი ცხოვრება ვითარდებოდა მეტის მეტი სიჩქარით, მოსახლეობა იზრდებოდა და ყველდღიურათ, მოთხოვნილება და შინაური ბაზარი ფართოვდებოდა შეუჩრებელი ძალით. ერთი მზოით ბუნების უუვალაეი სიმდიდრე, მეორე მზოით კაპიტალისტური ტენიკის ზრდა და მესამე მზოით მოთხოვნულების ქარბობა აფიქრებინებდა ამერიკის ახალგაზრდა კაპიტალისტურ კლასს, რომ ლიც სხვათა შოის ევროპის მოსახლეობის საუკეთესო მებრძოლი და ენერგიული ელემენტებისაგან შესდგებოდა, რომ განგებას ბოლოდ მისთვის ერტუნებია მისი საკუთარი ბედის ქედა და სხვა ქვეყნებთან მას საქმე არა აქვს. სხვისი არც მოტანილი მინდა და არც გატანილი, ფიქრობდა, ამერიკის კაპიტალისტური კლასი, რაც მონროემ თავის ცნობილ ფორმულაში გამოოსთქვა.

რა თქმა უნდა—ცხოვრებას არ შეძლია გაჩერდეს ერთ ფორმულაზე, რადგან იგი წაოზადგენს დაუსრულებელი განვითარების პროცესს და ამიტომ შეუძლებელი იყო ვებერთელა ქვეყნის ცხოვრება მონროეს ფორმულის ვიწრო ფარგლებში მოთავსებულყო. ამიტომ—როგორც ადრე ამერიკის მეურნეობის ზრდა და წინსვლელობა საქიროებდა ევროპის დახმარებას, ისე ეხლა—როცა მისი პროდუქტია შინაურ ბაზარს თავზე გადადის—ის აუცილებლათ საქიროებს თავის ნაწარმოებთ მსოფლიო ბაზარზე გასელას და იქ საყრდნო ცენტრების დაპყრობას. თუ ადრე ყოფნიდა შინაური მოთხოვნილება შეერთებულ შტატების პროდუქტისას, ეხლა იგი აღარ ეტევა ამ მოთხოვნილების ფარგლებში და სახელმწიფოსა და მისი მმართველი კლასის წინაშე, როგორც საბედისწერო აუცილებლობა, სდგება პრობლემა ახალი ბაზრების დაპყრობისა, ე. ი. უაღრესათ იმპერიალისტური პოლიტიკის წარმოებისა, რაც მონროეს და მის იდეურათ მიმდევარ ეკონომისტთა თეორიის სრულ გაბათილებას მოასწავებს. გარდულეობა ეკონომიურმა კანონმა, ყოველგვარი თეორიის და ფორმულის წინააღმდეგ გამოისროლა შეერთებული შტატები მსოფლიო სარბიელზე და აქ უცხო ქვეყნების ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრების ფერხულში ჩაბა. ამნაირათ შინაური ბაზრის და მოთხოვნილების შედარებითი სიმციერე და პროდუქტის გადაქარბებული ზრდა—არსად არის ჩამაზული უმთავრესი მიზეზი შეერთებული შტატების დროგამოშვებითი კრიტიკული კოალიტურისისა. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ გამოჩენილი ორკანიზატორი ამერიკულ კაპიტალისა—მილიარდელი მორგანი, როცა იგი 1924 წელში ევროპაში ყოფნის შემდეგ დაბრუნდა უკან, საჯაროთ აცხადებს, რომ შეერთებულ შტატების დღის წესრიგში პირველ ადგილზე უნდა დადგეს მსოფლიო ბაზრის დაპყრობის აუცილებლობა. მორგანმა კარგათ იცის, რასაც ლაპარაკობს.

საყურადღებო და აღსანიშნავია შემდეგი გარემოება. ევროპის სამეურნეო კრიზისი და შეერთებული შტატების სამეურნეო კრიზისი დიდათ განსხვავდებიან ერთ მერისაგან ხასიათით, მნიშვნელობით, პირობებით და მიზე-

საერთაშორისო
ზღვითიკრიზისი

ზედით, მაშინ, როცა კრიზისი ევროპის სახელმწიფოებში მოასწავებს კაპიტალისტური ფუძემდებლის სისტემა რყევას, დიდ შიშს და პანიკას გაბატონებულ წრეებში და მმართველ სფეროებში, რევოლუციის ტალღების ახალ აპოკრიფებს და სოციალ-დემოკრატიის მორიგ მოღალატეობას, შეერთებულ შტატებში ასეთ მოვლენებს ვერ ვაშინებთ. აქ საძეურნეო კრიზისს არა აქვს ისეთი თავხარდამცემი ხასიათი და მნიშვნელობა, როგორც ევროპაში. ეს ადვილი ასახსნელიც არის. ევროპელი კაპიტალიზმის დაადგენელი ორგანიზმი შეტის მტკიცებულობით და ტანჯვით განიცდის ავანტიკომუნაას, ვიდრე შეერთებული შტატებისა. აქაური კაპიტალიზმი გაიკლებოთ უფრო ჯანსაღი და ძლიერია. მისი სხელსი საიხეა სისხლით, თუმცა მას ბოლოს სისხლის ქარბობით დამბლა მოელის, მაგრამ ჯერ ჯერობით მისი ძარღვების სისტემა როგორც ფოლადის ბადე, ადვილათ უმკლავდება ყოველგვარ სქეს და ხიფათს. ამით აიხსნება ის რომ როცა მაგალითად 1924 წლის პირველ ნახევარში შეერთებული შტატები სამეურნეო კრიზისმა მოაკვა და მრავალ დაუკებში მას მკვავე ხ.სიათი მიიღო, იქაუოი კაპიტალისტური პრესა პანიკის და მელეკარების მაგიერ, დამშვიდებული და ოპტიმისტური კი ერთი დაპარაკობდა—და გამოსთქამდა უუქველ რუმ.ნას კრიზისის ხანმოკლეობის შესახებ. ამავე მოვლების შესახებ ეკონომისტები ე. მებარვა იძლევა შემდეგ ახსნას:

„1 უნდა აღენიშნოთ, რომ თანამედროვე კრიზისი შეერთებულ შტატებში სხვანიჭი ხასიათისაა, ვიდრე ევროპის კრიზისი. ჩვენს წინშეა კრიზისიანი ფახა კაპიტალიზმისა, რომელიც ძირითადათ ჯანსაღია და რომელიც ზრდის და ამაღლების ხაზზე სდგას. თუმცა პროდუქცია ძალიან დაიკლო, მაგამ იგი მაინც ისევ ისეთ მაღალ დონეზეა, როგორც წარსული მაღალი კონიუქტურის დროს. სახელმწიფოს ფიზისები საუკეთესო ნდგომარეობაში იმყოფებიან. შედარებით წარსულელთან დებოზიტები გაიზარდა 1 მილიარდი დოლარით („Journal of Commerce“, 12. VIII. 24). Federal Reserve System-ის გამგეობაში მყოფ შემნახელ კასებში შეტანილი თანხები ჟკანასკნელი წლის განმავლობაში გაიზარდენ 546 მილიონ დოლარით, რაც საერთოთ 1 მაისს 1924 წელს შეადგენდა 7,29 მილიარდ დოლარს. საგარეო ვაჭრობის ბალანსი აქტიურია. ოქროს რაოდენობა ყოველ-თვიურათ მატულობს. როცა ადარებ ამერიკის და ევროპის მდგომარეობას, მაშინ შეერთებული შტატების ეკონომისტების ოპტიმიზმი სრულიად გასაგები ხდება. თუკი რაიმე საშიშროება მოელის შეერთებულ შტატებს—ნხოლოდ ნამეტანი სიზღიო რისიავან. თუ ევროპის რევოლუციონურია მოძრაობამ გადასდგა შემდეგი ნაბიჯი, იმ შემთხვევაში შეფერზდება კარბი კაპიტალების გადატანა ევროპაში მისი ექსპლოატაციის მიზნით, რაც თვით ამერიკაში გაპოიწვევს კაპიტალისტური სარკებლის საშუალო დონის ძალიან დაწვეას. დაუყისს პლანის და ლონდონის კონკურენციის ამოცანას შეადგენს პოლიტიკური ნიადაგის მომზადება ამერიკული კაპიტალის ფართოთ მოსათავსებლათ ევროპაში. ამერიკელი ბანკირები შეიქმნებიან შეფენი ევროპისა...“

აი დახასიათება იმ კრიზისის, რომელიც ეწვეა შეერთებულ შტატების მეურნეობას 1924 წლის პირველ ნახევარში. ეს კრიზისი მოსალოდნელი იყო უქვე 1923 წლის ბოლოს, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების და პირობების გამო მისი დადგომა დაგვიანდა რამოდენიმე თვით. ზოგი ამ დაგვიანებას იპით ხსნის, რომ რესპუბლიკანურმა პარტიამ და იმ კაპიტალისტურმა ორგანიზაციებმა, რომელნაც მას გარს არტყიან, ხელოვნურათ შეაჩეოეს კრიზისის მოვ-

*) იბ. მისი წიგნი; „Мировая экономика и мировой кризис“. Изд. „Московский рабочий“.



საქართველოს

ლინება თავის საარჩევნო კომბინაციების გამო. ცხადია—სამართლებრივად არ ჩვენებში, რომელიც იყენებდა 1924 წელს, მმართველი პარტია დიდად დაზარალებოდა და შესაძლებელია დამარცხდებოდა კიდევ, რომ მათ სრულ დასრულებამდე დაწყებულიყო კრიზისი მთელი თავისი მიმე და სასტიკი შედეგებით. მაშინ მოწინააღმდეგე პარტიას, ე. ი. დემოკრატიულს, მძლავრა იარაღი მიეცემოდა რესპუბლიკანელების წინააღმდეგ სამრძოლველად. მაშინ დემდკრატები კრიზის მთელ უბედურებას რესპუბლიკანელებს დააბრალებდენ და ეს დემაგოგიური აგიტაცია დიდად ასწევდა მათ გამარჯვების შანსებს. ჩვენ არ შეგვიძლია გადაჭრით ვსთქვათ, რომ ეს შეგნებული სუბიექტური ჩარევა ეკონომიკის ობიექტურ პროცესში—იყო მიზეზი კრიზისის დაგვიანების. მაგრამ ასეთი ჩარევის შესაძლებლობა დასაშვები და წარმოსადგენია, განსაკუთრებით შეერთებულ შტატების სინამდვილეში. რასაკვირველია არაერთარ ჩარევას არ შეუძლია გახაროს და შესცვალოს გეზი ისტორიული და ეკონომიური აუცილებლობისა. მაგრამ მაზე სუბიექტური მომენტის ზეგავლენა—დაგვიანების ან დაჩქარების, გაძლიერების ან შესუსტების მხრივ—შესაძლებელია. ამ შემთხვევაშიც საფიქრებელია, რომ მძლავრმა, უაღრესათ კონცენტრირულმა და მონოპოლიურმა, კაპიტალისტურმა ორგანიზაციებმა—ტრესტებმა და კონსორციუმებმა—შეძლეს კრიზისის დასაწყისის დროებით შეჩერება. ყოველ შემთხვევაში კრიზისის სუსხი დატრიალდა 1924 წლის მარტ-აპრილში. ჩვენ ზემოთ ავლინებით რომ უმთავრესი და ძირითადი მიზეზი ამ მოვლენისა იყო შეერთებული შტატების გადაჭარბებული პროდუქცია, რომელიც ვერ შთანთქამა შინაურმა ბაზარმა. ბაზრის მოთხოვნილების კმაყოფილება იმავე დროს სრულდებოდაც არ ნიშნავს ყველა მცხოვრებლების კმაყოფილებას, მათ კეთილდღეობას. პირიქით კაპიტალისტური წესწყობილების საშინელი წინააღმდეგობა სწორეთ იმაში მდგომარეობს, რომ სავე ბაზარი მოასწავებს პროდუქტების და მიწის მუშების ცარიელ კუქს. შეერთებულ შტატებშიაც აღნიშნულ დროს იმავე სურათს ვხედავთ: როდესაც სიმდიდრე გასავალს ვერ პოულობს, მუშათა წრეში მძვინვარებს უმუშევრობა და ფერმერები ათითათობით კოტრდებიან.

მეურნეობის რომელ დარგსაც უნდა გადაავლოთ თვალი, ყველგან ერთსა და იმავე მოვლენას შეამჩნევთ. მაგალითად ოფიციალური კომისია დანიშნული ქვანახშირის წარმოების მდგომარეობის გამოსარკვევად იმ დასკვნამდე მივიდა, რომ შეერთებული შტატების ქვანახშირის მალარეობის წარმოება 25 % ით აღემატება მაქსიმალურს და 66 %-ით ნორმალურ მოთხოვნილებას ქვანახშირზე. მზგავსი მდგომარეობაა მეურნეობის სხვა დარგებშიც, როგორცაა—საქსოვი წარმოება და მეტალურგია.

როგორი იყო მსოფლიო მეურნეობის მდგომარეობა 1923 წელში?

პასუხი ამ საკითხზე მოგვცემს საშუალებას შევადაროთ შეერთებული შტატების წარმოება დანარჩენ ქვეყნების წარმოებას აღნიშნულ 1923 წელში, რომლის შემდეგაც დაიწყო საერთო კრიზისი შეერთებულ შტატებში, რომელმაც შესაფერი ზეგავლენა მოახდინა ევროპის ქვეყნებზედაც. ავილოთ მხოლოდ ორი დარგი მრეწველობისა, რომლებსაც უაღრესათ დიდი და დამახასიათებელი მნიშვნელობა აქვს საერთო ეკონომიური მდგომარეობის გამოსარკვევად, სახელდობრ თუჯის და ფოლადის წარმოება.



თუჯი. (აღებულია ინგლისური ტონა ათასობით)

	1913	1921	1922	1923
შეერთებული შტატები	30.653	16.506	26.851	39.500
დიდი ბრიტანეთი	10.260	2.616	4.902	7.360
საფრანგეთი	5.126	3.308	5.147	5 000
ბელგია	2.428	862	1.578	2.118
ლიუქსემბურგი		955	1.650	1 350
გერმანია	19.000	6.096	8.000	4.000
ჩეხო-სლოვაკია		532	539	590
პოლონეთი	65	640	458	492
იაპონია		200	300	300
მთელი მსოფლიო	77.182	34.700	51.938	64.580

ფოლადი იმავე ანგარიშით

	1913	1921	1922	1923
შეერთებული შტატები	31.301	19.744	35.603	44.400
დიდი ბრიტანეთი	7.664	3.703	5.881	8.480
საფრანგეთი	4.614	3.010	4.464	4.750
ბელგია	2.428	780	1.539	2.185
ლიუქსემბურგი	—	747	1.368	1.117
გერმანია	18.631	8.700	9.000	5.000
ჩეხო-სლოვაკია	—	904	630	738
პოლონეთი	—	1.476	930	935
იაპონია	13	556	500	500
მთელი მსოფლიო	75.010	42.487	63.098	72.573

ეს სტატისტიკური ცნობები ეხებიან ორ უმთავრესს დარგს თანამედროვე კაპიტალისტური მეურნეობისა და ამიტომ მათი გავრცელება სხვა დანარჩენ დარგებზე, ე. ი. მთელ მეურნეობაზე, დაახლოებითი სისწორით ზატყვენ ნამდვილ სურათს. ამ ცხრილებიდან სჩანს რომ 1923 წლის დამლევამდე ვერცერთმა სახელმწიფომ ვერ გადააბიჯა ომამდე არსებულ დონეს ამ ორ უმთავრეს დარგში, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ინგლისის ფოლადს, რომელმაც ცოტა ოდნახთ აიწია აღნიშნულ დონეზე. მხოლოდ შეერთებულ შტატებს და იაპონიას განუვითარებიათ დიდათ ფოლადის და თუჯის წარმოება. შეერთებული შტატების ფოლადი და თუჯი შეადგენდნენ 1913 წელში 40 % მთელი მსოფლიო წარმოებისა, 1923 წელში კი 60 %.

ამნაირათ—როდესაც ევროპის მეურნეობა დიდის გაჭირვებით და წვალვებით მიიღტეს 1913 წლის დონემდე, მაგრამ მაინც ვერ აღწევს მას გარდა მეორედი გამოკლებისა, შეერთებული შტატები ჰივანტიური ნაბიჯით მიდიან წინ და შორს უკან სტოვებენ ევროპისათვის სანატრელ მდგომარეობას.

ეს მსვლელობა შეერთებული შტატებისა ვერ შეაჩერა ვერც იმ მწვავე კრიზისისმა, რომელიც ეწვია მის მეურნეობას 1924 წლის პირველ ნახევარში.



ქართული

მართალია პროდუქციის რაოდენობა მან შესამჩნევად დასწევს წინა წლებს, მაგრამ მიურო ტენდენცია ვერ დაამარჯხა და მხოლოდ შეაფერხა მისი ტემპი.

საიატოუსოა ის გარდატეხის მომენტი, რომელიც დაუდგა შეერთებულ შტატებს 1924 წლის შესავალში, და ამ კრიტიკული პერიოდის რაოდენობათა სახით გაშუქება. ამისათვის ჩვენ ესარგებლობთ იმ სტატისტიკით, რომელიც არა ერჯელ ყოფილა მოხმარებული ეკონომიურ ლიტერატურაში რომლის სისწორე ანით დადასტურებულია.

რ კ ი ნ ა.

ნოემბერი 1923 წ.	2,894	ათასი ტონა.
დეკემბერი "	2,921	"
იანვარი 1924	3,019	"
თებერვალი	3,075	"
მარტი	3,461	"
აპრილი	3,233	"
მაისი	2,700	"
ივნისი	2,026	"

ფ ო ლ ა დ ი.

ნოემბერი 1923 წ.	3,164	ათასი ტ.
დეკემბერი "	2,844	"
იანვარი 1924 წ.	3,600	"
თებერვალი "	3,781	"
მარტი	4,146	"
აპრილი	3,386	"
მაისი	2,630	"
ივნისი	2,056	"

ფოლადის ტრესტის შეკვეთები—(„უნაიტედ სტეიტს სტილ კორპორეი-შენ“), რომ ლიც იძლევა 50% შეოთებული შტატების მთელი ფოლადის წარ-ოებისა, შეშვირდა შემდეგნაირათ:

ნოემბერი 1923 წ.	4,369	ათასი ტონ.
დეკემბერი	4,445	"
იანვარი 1924 წ.	4,798	"
თებერვალი	4,913	"
მ.რტი	4,783	"
აპრილი	4,208	"
მაისი	3,628	"
ივნისი	3,260	"

რაც შეეხება საავტომობილო მრეწველობას, აქაც დიდათ შემცირდა პროდუქ-ცია. მაგალითად ორი უმთავრესი საავტომობილო საწარმოს—ფორდის და „ჯენერალ მორტორის კომპანი“-ის—პროდუქციის გასაღება უკვე 1924 წ. მარტის დასაწყის იკლებს—პირველის 30% ით და მეორესი—22% ით.

საერთოდ-კი ამ დარგის მდგომარეობა აღნიშნულ თვეებში ასეთია.

დეკემბერი 1923 წ.	302	ათასი ცალი.
იანვარი 1924 წ.	316	"
თებერვალი	376	"
მარტი	381	"
აპრილი	372	"
მაისი	312	"

ჩვენ მოვიყვანეთ ეს მაგალითი იმიტომ, რომ შეერთებულ შტატებში ავტომო-

საქართველო

ბილი ფართო, თითქმის მასიური მოზხოვნილების და მოხმარების საგანს წარმოადგენს. შესაძლებელია აზხ. სასინსკომ თავის საჯარო მოახსენებას დროს შეერთებულ შტატებში მიღებულ შთაბეჭდილებათა შესახებ, რამოდენიმე გადაცემა, როცა სთქვა, რომ იქ უმუშევარი ავტომობილებით ეძებენ სამუშაოს, მაგრამ ეს ცნობა თუ სავსებით სინამდვილეს არ წარმოადგენს, მასთან დაახლოებული ნაინც არის. 1923 წელს შეერთებულ შტატებში, სადა ითვლება 112¹⁾ მილიონი მცხოვრები, ავტომობილების რიცხვი უდრის 14 მილიონს²⁾ ე. ი. ყოველ 8 მცხოვრებზე მოდიოდა თითო ავტომობილი, საავტომობილო მასალების რაოდენობა მედარებით შესაფერი დაოგების წარმოებასთან პროცენტულად გამოიხატება შემდეგში:

თუჯი და ფოლადი	10,2%
სპილენძი	9,3%
მიწა (თლილი)	53%
ხე	14%
ტყვადი (ვადასაკრავი)	69%
კაუჩუკი:	80%
ტყვია	12%

ამიტომ ამ დარგის მდგომარეობა, მისი გაფართოება ან შეუწოება, დიდათნიშნობლივი და მომასკაეებელია მთელი მეურნეობისათვის, რადგან ავტომობილი ალაო არის ფუფუნების საგანი, არამედ მასიური საჭიროების და მოთხენილების.

რაც შეეხება საქსოვ წარმოებას, აქაც იგივე სურათია:

	ბამბის მოხმარება ათას კილოებით ³⁾	მატყლის მოხმარება მილიონ კილოანქობით.	თითისტრების რაოდენობა მი- ლიონობით.
დეკემბერი 1923 წ.	462	45,45	34,04
იანვარი 1924წ.	577	53,85	33,34
თებერვალი	607	50,63	32,68
მარტი	484	47,63	32,39
აპრილი	480	44,30	31,87
მაისი	413	36,51	30,49
ივნისი	350		

1) აზხ. ტროცკიმ თავის მოხსენებაში „ევროპა და ამერიკა“ დაასახელა რიცხვი 115 მილიონი.
 2) უკანასკნელი ცნობებით (1924-25 წ. წ.) ითვლება 18 მილიონი.
 3) რუსული კილა ცოტათი მეტია 200 კილოგრამზე.



საქართველოს

მწიგნობართა

მოკვანილი ცნობები საკმარისია აღნიშნული მომენტის დასაზუსტებლად შეერთებულ შტატების სამეურნეო ცხოვრებაში. ისინი ნათელ ყოფენ იმ გარდატეხას, რომელმაც შეაცრიათ დაარღვია კონიუნქტურის მაღლა სვლა. მართალია მას არ გამოუწვევია ის აურზაური და პანიკა, რასაც იწვევს ხოლმე კრიზისი ეკონომიურათ შერყეულ და დაავადებულ ქვეყნებში—და ეს იმიტომ რომ შეერთებულ შტატების ბურჟუაზია დარწმუნებული იყო, რომ ასეთი დეპრესია და კრიზისი მის მდგომარეობას ვერ შეარყევდა სავესებით. ის გრძნობდა ეკონომიური ნიადაგის დიდ სიმავრეს, რომ მას ფეხი არ შეშლოდა და ბორძიკი არ დაეწყო. ამით აიხსნება სწორეთ ის საყურადღებო ფაქტი, რომ სამეურნეო მდგომარეობის ასეთი გამწვავების დროს ცნობილი მილიარდერი ფორდი აშენებს ახალ ქარხნებს, რომელნიც გასაოცრათ გააძლიერებენ მისი მრეწველობის პროდუქტებს, სახელდობრ—ზედმეტი 10 ათასი ავტომობილით ყოველდღიურათ.

რადგან თანამედროვე ქვეყნების ეკონომიურ მდგომარეობას—და განსაკუთრებით—კი ასეთი ქვეყნის, როგორცაა შეერთებული შტატები—დიდათ ახასიათებს და ამელაენებს საგარეო ვაჭრობის განვითარება, მისი რაოდენობა, ხასიათი და შემადგენელი ელემენტების ურთიერთშორის დამოკიდებულება, იმიტომ ეს დარგი ეკონომიური ცხოვრების საჭიროებს გათვალისწინებას ძირითადი საკითხის გამოსარკვევათ.

როგორ ვითარდებოდა და როგორ ცვალებადობას განიცდიდა შეერთებული შტატების საგარეო ვაჭრობა და როგორი იყო მისი სტრუქტურა?

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ის ზერელე მიდგომა ამ საკითხში, რომელიც გამოიხატება ექსპორტ-იმპორტის რაოდენობათა შედარებაში და ამ შედარებაზე დამყარებულ შედეგებზე—აქტიურ ან პასიურ ბალანსზე—საკმარისი და დამაკმაყოფლებელი სრულეობითაც არ არის.

შესაძლებელია რომელიმე ქვეყნის აქტიური ბალანსი დაბლა იწვედეს, ან ერთ დონეზე იყოს გაჩერებული მაშინ, როდესაც მისი საერთო ეკონომიური მდგომარეობა და კონიუნქტურა ამალეების და წარმატების პროცესს განიცდიდეს.

შესაძლებელია რომ ექსპორტი დიდათ იზრდებოდეს, მაგრამ იგი არ მოასწავებდეს პროპორციონალურათ გაზრდილ სიმდიდრეს ექსპორტიორი—ქვეყნისა. იმიტომ რაოდენობათა მხოლოდ უბრალო შედარება საკითხს სავესებით ვერ არკვევს და ითხოვს ძირითად ანალიზს საგარეო ვაჭრობის სტრუქტურისა. ეს განსაკუთრებით საჭირო და აცილებელია შეერთებული შტატების მიმართ. განსაკუთრებით, ვამბობთ ჩვენ, რადგან შეერთებული შტატები წარმოადგენენ ისეთ სახელმწიფოს, რომელსაც თვით ოქრო, კაპიტალი გაუხდია ექსპორტის საგნათ.

იმიტომ სავაჭრო ბალანსს აბსოლიუტური მნიშვნელობა არა აქვს. მისი აქტივობა არ მოასწავებს აუცილებლათ ქვეყნის აყვავებას და მისი პასივობა—ქვეყნის ვაჭირვებას. მაგალითად, უკანასკნელი ცნობები შეერთებული შტატების საგარეო ვაჭრობის შესახებ აშკარათ ლაპარაკობენ ბალანსის პასივობაზე.

ნიუ-იორკიდან იტყობინებოდენ წარსულ ზამთარში, რომ ეს მეორე თვეა რაც ზედიზედ შეერთებული შტატების საგარეო ვაჭრობის ბალანსი პასივობას იჩენს, ე. ი. იმპორტი სჭარბობა ექსპორტსა. მიმდინარე წლის თებერვალში ექსპორტი უდრიდა—353 მილიონ დოლარს, იმპორტი—კი—389 მილიონ დოლარს. წლებანდელი თებერვალი შედარებით შარშანდელ თებერვალთან აღინიშნება მობატებული იმპორტით და დაკლებული ექსპორტით. მაგრამ ამ ცნობებიდან იმის

დასკვნა არ შეიძლება, რომ შეერთებული შტატების სამეურნეო მდგომარეობა და ზინაური მატერიალური კეთილდღეობა განიცდიდეს რაიმე უარესობას და სიციფელს.

თუ საეაქრო კაპიტალის დროს ექსპორტ-იმპორტის ბალანსი პირდაპირი და უქვეელი მაჩვენებელი იყო ქვეყნის მდგომარეობის, ეხლა— ფინანსიური კაპიტალის დროს— ეს ასე აღარ არის. სწორეთ ფინანსიურ კაპიტალის ქვეყნებში იმპორტის ჰარობა ჩვეულებრივი და დამახასიათებელი მოვლენაა. წინეთ საეაქრო კაპიტალის ხანაში, როცა საერთაშორისო აღებ-მიცემა გამოიხატებოდა მხოლოდ საქონლის და მეტალის მოძრაობაში, რასაკვირველია წარმოადგენა არ ჰქონდათ იმ რთულ ფინანსიურ და საკრედიტო ხლართებზე, რომლებმაც გადააბა და გადააჯაჭვა ყველა ქვეყნები ერთი მეორეზე. მაშინ აღმოცენებული მერკანტილისტური სკოლა (კოლბერი და სხ.) მსჯელობდა ასე: თუ რომელიმე სახელმწიფოს გააქვს თავის სახლერებს გარეთ მეტო საქონელი ვიდრე შემოაქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სახელმწიფოს ეკონომიური მდგომარეობა განიცდის კეთილდღეობასო. აქ იგულისხმებოდა ის, რომ ზედმეტი პროდუქცია ნაციონალური წარმოებისა იქცეოდა მეტალათ— ფულათ, რაც იმავე წარმოებაში იბანდებოდა. ასეთი უბრალო შეხედულება რასაკვირველია დამყარებული იყო იმ უბრალო ეკონომიურ ურთიერთობაზე, რომელიც მაშინ არსებობდა. როგორც-კი ქვეყნებს შორის დაიწყო განვითარება უფრო რთული დამოკიდებულებისა, ვიდრე საქონლური აღებ მიცემა, მერკანტილიზმიც ისტორიას ჩაბარდა სამუდამოთ. მისი ადგილი დაიკავა სხვა მოძღვრებამ, სხვა სკოლამ. საეაქრო პოლიტიკა შეიცვალა საბანკო, ფინანსიური პოლიტიკათ. ასე რომ საქონლის რაოდენობათა მოძრაობას დაეკარგა ვადამწვეტი და უქვეელი მაჩვენებლის მნიშვნელობა. ეხლა საეაქრო ბალანსი გარდა— ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის გასათვალისწინებლათ— აუცილებლათ საქიროა მისი ეგრეთ წოდებული საანგარიშო ბალანსის (плательный баланс) განხილვა და გამოკვლევა. საანგარიშო ბალანსი გამოხატავს კაპიტალების მოძრაობას, უმთავრესათ ქვეყნის მოვალეობას, ან მის კრედიტობას, ე. ი. მსესხებელია თუ გამსესხებელი ესა თუ ის სახელმწიფო. ჩენ გამბობთ— უმთავრესათ, რადგან ეს მხარე შეადგენს უმთავრეს მხარეს საანგარიშო ბალანსისა. მოკლეთ რომ ვსთქვათ საანგარიშო ბალანსი ამჟღავნებს იმას, თუ რამდენი აქვს მისალეები სახელმწიფოს და რამდენი გასალეები სხვა სახელმწიფოების სასარგებლოთ. საეაქრო ბალანსი მხოლოდ ნაწილია საანგარიშო ბალანსისა. ამიტომ როცა შეერთებულ შტატების მეურნეობას და ეკონომიურ ვითარებას ვიკვლევთ პირველყოვლისა უხდა გაკითვალისწინოთ ამ სახელმწიფოს სახლერებზე კაპიტალების მოძრაობა: რამდენი კაპიტალი გააქვს ყოველ წლიურათ და რამდენი აქვს გატანილი უცხო ქვეყნებში, რამდენი სარგებელი (წესები) მიუღლია და იღებს უცხოეთში, რაც კაპიტალის ან საქონლის სახით ისევ უკან შემოაქვს.

როცა გატანილი კაპიტალის პროცენტები აღებმატებიან ყოველ წლიურათ გასატან კაპიტალს, გამტან სახელმწიფოს რჩება მოგება აბალი კაპიტალი, რასაც ის საესებთ ან ნაწილობრივ საქონლათ, უმეტესს ნაწილიათ ნედლეულ საქონლათ, აქცევს და ამიტომ ხშირათ იმპორტი სქირობობს ექსპორტს.

ასეთი სახელმწიფოს, რომელსაც სხვა ქვეყნებში გააქვს კაპიტალი და იქ ან სესხის ან სამრეწველო კაპიტალს სახით აბანდებს მას, რასაკვირველია ინდუსტრიალური პროდუქცია არ ესაქიროება იმპორტისათვის, რადგან მას აუცილებლათ აქვს საკუთარი, განვითარებული ინდუსტრიალური მრეწველობა. მას ესაქიროება მხოლოდ ნედლეულობა ამ მრეწველობისათვის და ამიტომ გადიდებულ იმპორტის მასას უმთავრესათ შეადგენს ნედლეულობა.

ზევით მოყვანილ ცნობას შეერთებული შტატების საეკონომიკური პოლიტიკის შესახებ მიმდინარე წლის პირველ თვეებში—ეკონომიკის სამინისტრო აწარმოებდა ხსნის. ამ ფაქტის ერთ უმთავრეს მიზეზად ის ასახელებს კოლუმბის იმპორტის გაძლიერებას საავტომობილო მრეწველობის საქაროებისათვის.

შეერთებული შტატები ეხლა მთელი ეკონომიკის კანდიტორათ გადაიქცენ, მისი ბანკების ფინანსური მონობის უღელში მორჩილებით და მწარე ნებაყოფლობით გაებენ „ამაყი და თავმოქმონე“ სახელმწიფოები. გარდა ეკონომიკისა შტატები თავის კაპიტალის ძლიერებას აერყელებენ ამერიკის მთელ მატერიკზე, სწვდებიან და იფარგლავენ აზიის, აფრიკის და ოკეანის ქვეყნებს.

ეს ფინანსურ-კაპიტალისტური ექსპლოატაცია მრავალი უცხო ქვეყნებისა, აქლევს მას დიდ მოგებას, სარგებელს, რითაც იგი თავის ინდუსტრიის მოზარდ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

მაგრამ ვიდრე არსებულ მდგომარეობას მიღწევდენ შეერთებულმა შტატებმა განუღეს რამოდენიმე ევოლიუციონური ეტაპი.

1874 წლამდე შეერთებული შტატები თვით საქაროებდენ კაპიტალებს და სესხულობდენ მათ, რადგან მათ შინაური კაპიტალისტური მრეწველობა აქ ჰქონდათ ისე განვითარებული, როგორც ეკონომიკის სახელმწიფოებს. ახალი ნაწესები კაპიტალები აღმატებოდენ რაოდენობით იმ პროცენტებს, რომლებსაც საერთოთ იხდიდა შეერთებული შტატები და ამ გზით მოაზენილ თანხას ანდამებდენ ეკონომიკის ინდუსტრიულურ პროდუქციის შემოსავლიდან. აქ ეყრებოდა საძირკველი შეერთებულ შტატების ინდუსტრიულურ განვითარებას, მის გარდაქმნას აგრარულ ქვეყნადან ინდუსტრიულურ ქვეყნად. მაშინ შეერთებული შტატების იმპორტი სჭარბობდა მათ ექსპორტს და მის შემადგებლობას წარმოადგენდა ეკონომიკის მიერ დამზადებული საქაროელი. მაგრამ შეერთებული შტატების შინაური მრეწველობა თანდათან განვიარდა, მოლონიერდა, მაგრად დადგა საკუთარ ფეხზე და იმ მათ დაიწყეს ექსპორტის გაძლიერება. ეს-ლა ისინი მეტ საკუთარ პროდუქციას ანაღებდენ და ასაღებდენ ეკონომიკის და შროფლიო ბაზარზე ვიდრე სესხულობდენ იქ ფულს და ამნაირათ გაზრდილი ექსპორტის საშუალებით ფარავდენ თავიანთ დავალიანებას. აქედან უკვე ერთი ნაბიჯი იყო იმ მდგომარეობამდე, როცა შეერთებული შტატები თვით დაიწყებდენ კაპიტალების ვატანას უცხოეთში. ასეთი პროცესი—კაპიტალების უცხოეთში დაბანდვა—დაიწყო შეერთებულ შტატებში საერთო ომიან წლებში. შეერთებული შტატები გადაიქცენ გამსესხებელ, ფულს მიმცემ სახელმწიფოთ, მაშინ რაც ყველა დანარჩენი სახელმწიფოები, ითქმის მთელი ეკონომიკა, ფინანსური კონტროლის და ეკონომიური ნგრევის მოლიბულ გზაზე შეიქანებოდენ. მაგრამ შეერთებულ შტატებს რასაკვირველია თავიდანვე არ შეეძლოთ ისე მოეწყოთ კაპიტალების ეკონომიკის და სხვაგან დაბანდვის საქმე, რომ გატანილი კაპიტალი მისივე სარგებელით (%/%) ებით დაეფარათ. ეს შეუძლებელიც იყო. ესე იგი პირველათ ყოველ წლიურათ გააანალი კაპიტალი უფრო მტი იყო ვიდრე შემოტანილი პროცენტი. ეს მდგომარეობა, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავდა და მოასწავებდა, რომ სახელმწიფო კაპიტალებისაგან უნდა დაეკლილიყო. არა თუ შეერთებულ შტატებს ჯერ-ჯერობით მტი კაპიტალი გაქონდათ ვიდრე სარგებელი შემოქონდათ, ამ პასიუს ისინი აესებდენ დიდის მოგებით საქონლის ექსპორტის ზრდით და განვითარებით. ასე რომ სახელმწიფო

კი არ იწრიტებოდა კაპიტალებისაგან, არამედ იესებოდა. იგი მხოლოდ ამ გზით უფრო მაღალ საფეხურისენ მიიწეოდა, რომელზედაც მართლაც დიდგამის მომყოლ წლებში. ეს საფეხური კი ბასიათთება ამნაირათ: შეერთებულ შტატებს ეხლა უკვე იმოდენა კაპიტალი აქვსთ მოთავსებული უცხოეთში, რომ

მისი სარგებელი სულ მალე გადაიქარბებს ყოველწლიურათ გატანილ კმპიტა-ლის რაოდენობას, თუ უკვე გადაქარბებული არ არის. ამიტომ მათთვის საჭი-რო და აუცილებელი არ არის ექსპორტის დახმარება, როგორც ამას წინა, აღწინდელ საუბურზე ჰგონდა ადგილი. აქ შესაძლებელია იმპორტი სკარბობ-დეს ექსპორტს და ეს არ იყოს მომასწავებელი ქვეყნის ცუდი ეკონომიური მდგომარეობისა. იმპორტის გაფართოვებას ხელს უწყობს საზღვარგარეთ მოთავე-სებულ კაპიტალის გაზრდილი სარგებელი. მაგრამ ეს სრულებითაც არ უშლის ხელს ექსპორტის აბსოლიუტურათ ზრდას იმავე დროს. ჩვენ ეს გარემოება იმი-ტომ აღვნიშნეთ რომ პასიურ მადანს შეერთებულ შტატებისათვის არა აქვს ისეთი მნიშვნელობა, როგორც ევროპის სახელმწიფოებისათვის. ეს ადვილი წაიშობა ადგენილ არის: როცა დავალიანებულ სახელმწიფოს (და ასეთი დღეს თითქმის ყოველი ევროპიელი სახელმწიფოა) უფრო მეტი შემოატკეს, ვიდრე გაატკეს—ეს რასაც ვირველია მოასწავებს მის გაჭირვებას და ცუდ მდგომარეო-ბას. შეერთებულ შტატებს არ ესაჭიროებათ ევროპის ინდუსტრიული წარ-მოები, მათ საკუთარი ინდუსტრიული პროდუქტის საკმარისზე მეტი აქვს. მათთვის საჭიროა ნედლეულობა შინაური ინდუსტრიის მოთხოვნილებისათვის და ამიტომ იმპორტის გაფართოებაც სწორეთ ამ გზით უნდა წავიდეს, ესეიგი იმპორტი უნდა სწარმოებდეს არა-ევროპიულ ქვეყნებიდან, რომელიც ნედლე-ულობის წყაროებს წარმოადგენენ. და მართლაც შეერთებულ შტატების იმ-პორტში ევროპამ უკვე დაკარგა პირველი ადგილი, რომელიც მკვიდრად დაი-კავა არა-ევროპიულმა ქვეყნებმა. ამ დასკვნის გასასინჯავათ საკმარისია მოვი-ყვანოთ ორი უკანასკნელი წლის 1924-25 ცნობები.

შერთ. შტატების იმპორტი.

	1924	1925
აზია	931 მილ. დოლ.	1,320 მილ. დოლ.
ევროპა	1,096 "	1,238 "
ჩრდლო ამერიკა	995 "	981 "
სამხრეთ ამერიკა	466 "	519 "

საერთოთ მთელი იმპორტის ღირებულება-კი უდრიადა: 1924 წელში—3,609 მილ. დოლარს და და 1925 წელში—4,228 მილ. დოლ. აზიიდან იმპორ-ტი გაზრდილა 389 მილ. დოლარით, ევროპიდან-კი—142 მილ. დოლარით. თუ მივ-ღებთ მხედველობაში იმას, რომ ამ უკანასკნელ საიმპორტო მასაში დიდი ადგილი უჭირავს ისევე კოლონიალურ საქონელს, რომელსაც ყიდულობს შეერ-თებული შტატები ევროპაშიც, ჩვენთვის აშკარა შეიქნება, რომ მოყვანილი ცნობა სრულიდაც არ მოასწავებს ევროპიულ პროდუქციის იმპორტის შესაფერ-გაზრდას შეერთებულ შტატებში. თუ იმპორტი ევროპიდან შემცირებულია და ნომავალშიც შემცირების გზაზე სდგას. ეს მოვლენა სრულებითაც არ ვრცელ-დება შეერთებული შტატების ექსპორტზე ევროპაში. აქ სულ წინააღმდეგ სუ-რათს ვხედავთ: ამერიკული პროდუქციის გატანა ევროპის ბაზარზე გაზრდილა, მაშინ როცა აზიის ბაზარზე ის შემცირებულია.

შერთებული შტატების ექსპორტი.

	1924	1925
ევროპა	2,445 მილ. დოლ.	2,602 მილ. დოლ.
ჩრდილო ამერიკა	1,090 "	1,140 "
სამხრეთ ამერიკა	314 "	402 "
აზია	514 "	482 "



საერთო რაოდენობა ექსპორტისა უდრის 1924 წელში 4.591 მილ. დოლ. 1925—4.909.

ჩვენ ეს ცნობები მოვიყვანეთ იმის აღსანიშნავათ და გასარკვევათ, რომ იმპორტის ზრდა და ექსპორტის შემცირება ისეთი ქვეყნისთვის, როგორც არის შეერთებული შტატების სახელმწიფო, რომელიც მსოფლიო კრედიტორათ და შევანხეთ გადააქცევდა, არის სრულიად ბუნებრივი და ნორმალური მოვლენა. ვიმეორებთ: შეერთებულ შტატებს იმოდენი კაპიტალები გაუტახიათ და გააქვსთ საზღვარგარეთ, რომ მისი წმინდა სარგებლით შესაძლებელი ხდება ნედლეულობის იმპორტის გაფართოება შინაური ინდუსტრიის მოთხოვნილებებისათვის. რასაკვირველია ეს გარემოება არ წარმოადგენს მუდმივ და შეურყვევლ ეკონომიურ კანონს შეერთებული შტატებისათვის. არა. აქ შესაძლებელია ხშირი ცვლებადობა მომავალში ხან იმპორტის კარბობა, ხან კი ექსპორტის. ჩვენ მაოლოდ იმ დასკვნის გამოყვანა გვინდა ზემო ნათქვამიდან, რომ ექსპორტი იმპორტის დამოკიდებულება შეერთებული შტატებისათვის, როგორც მსოფლიო კრედიტორის და შევანხეთათვის, არ არის იმის მარჩენებელი, რასაც ასეთი დამოკიდებულება მოასწავებს ევროპისათვის.

როცა შინაური ეკონომიური ცხოვრების მაჯის ცემა მომეტებული ძალით და სიჩქარით სწარმოებს, როცა ქვეყნის ინდუსტრიალური ვითარება თავისუფალია დეპრესიის და კრიზისის გავლენისაგან და არ განიცდის არავითარ შეფერხებას, მაშინ რასაკვირველია კაპიტლების ექსპორტი, მათი საგარეო ემისია შედარებით უფრო კლებულობს, რადგან ასეთ დროს შინაური მოთხოვნილება ნთქავს მათ მომეტებულათ. როცა-კი შინაურ მეურნეობას წინ ელობება ცუდი კონიუნქტურის დაბრკოლებები, მაშინ მომეტებული რიცხვი კაპიტალებისა მიილტვის საზღვარგარეთ. ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ კიდევ სხვა მიზეზები, რომელნიც მოქმედობენ კაპიტალების მოძრაობაზე, მათ ექსპორტზე, მაგალითად თვით უცხოეთის ქვეყნების მდგომარეობა: თუ იქ პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა მერყევი და საზიფათოა ამ შემთხვევაში კაპიტალების ლტოლვა იქით ბუნებრივით მცირდება. მაგრამ მიუხედავად ყველა ამისა შეერთებული შტატებია საგარეო ემისიის, კაპიტალების ექსპორტის შეურყვევლი ზრდა, ამერიკული დოლარის ძლევა მოსილი ტრიალი მსოფლიოს სივრცეში წარმოადგენს სრულიად აშკარად ცნობილ ფაქტს.

თუ როგორ იხლართება ევროპა და სხვა ქვეყნები შეერთებულ შტატების ფინანსიურ ბადეში, ამის შესახებ უტყუარ სურათს იძლევა შემდეგი სტატისტიკური ცნობები.

კაპიტალების მთელი ემისია შეერთებულ შტატებში უდრიდა		
1919 წ.	4.086,1 მილ. დოლ.	
1920	4.010,0	" "
1921	4.203	" "
1922	5.244	" "
1923	4.986	" "
1924	6.327	" "
აქედან საზღვარგარეთ იქნა გატანილი:		
1919 წ.	571,6 მილ. დოლ.	(ე. ი. 13,3%)
1920	400,4	(— 10,0%)
1921	497	(— 11,8%)
1922	766	(— 14,6%)
1923	324	(— 6,5%)
1924	1.145	(— 18,1%)

საერთაშორისო
მდგომარეობის

ცხადია რომ საზღვარგარეთ გატანილი კაპიტალების რაოდენობა შედარებით საერთო ემისიის რაოდენობასთან მცირეა, რაც მხოლოდ იმას მოასწავებს რომ შინაური ეკონომიური ვითარება ნთქავს უდიდეს ნაწილს ყოველწლიური ემისიისას. ნაწილები ნაწილი-კი მიდის საზღვარგარეთ, მაგრამ მას ზრდის და მატების ტენდენცია ემჩნევა. საინტერესოა იმის გამოკვევა და გათვალისწინება თუ როგორ ნაწილდება შეე-თებული შტატების კაპიტალები საზღვარგარეთ. ამის პასუხს შემდეგი ცხრილი იძლევა.

	1919 წლ.	1920	1921	1922	1923	1924						
უცხოეთის სააქციო სა- ზოგადოებანი	26,6 მ. დ.	0,6%	3,89	1,0%	15	0,4%	82	1,6%	24	0,5%	207	3,3%
უცხოეთის მთავრობები	439,7	10,2%	291,0	7,3%	379	9,0%	431	8,2%	243	4,9%	778	12,3%
კანადა . . .	93,6	2,2%	58,2	1,3%	76	1,8%	206	3,9%	49	1,0%	151	2,4%
შვედ. შტა- ტების კოლო- ნიები . . .	11,7	0,3%	16,3	0,4%	27	0,6%	47	0,9%	8	0,1%	9	0,1%
	571,6	13,3%	400,4	10,0%	497	11,8%	766	14,6%	324	6,5%	1.145	18,1%

რაც შეეხება 1925 წელს—აღნუშნული მოვლენა კიდევ უფრო მეტი სი-
მარტივით და მნიშვნელობით ვეიდგება თვალწინ. ამ წლის განმავლობაში
შვედეთში შტატების საერთო ემისია უდრიდა 6 მილიარდ დოლარს (5.950
მილიონი დოლარი). აქედან საზღვარგარეთ გაუტანიათ— $1\frac{1}{2}$ მილიარდი დო-
ლარი, ე. ი. $\frac{1}{4}$ მთელი ემისიისა, რაც გასაოცარ ზრდას მოწმობს, თუ შევა-
დარებთ წინა წლებს (1919—1924 წ.წ.), როცა გატანილი კაპიტალის რაოდე-
ნობა 18,1%-ს არ ასცილებია.

საგარეო ემისიიდან ($1\frac{1}{2}$ მილიარდ დოლარიდან) მთავრობებს აუღიათ
ვალათ 540,8 მილიონი დოლარი. ამ რიცხვში, რასაკვირველია, არ შედის
კანადა, რომელსაც დამოუკიდებლათ მიუღია 500 მილიონ დოლარამდე. საყუ-
რადლებოა ის გარემოება, რომ კანადა, რომელიც დიდი ბრიტანეთის ნაწილს
შეადგენს, შვედეთში შტატების საფინანსო პოლიტიკაში ცალკე არის აღნიშ-
ნული და მას დამოუკიდებელი ადგილი უჭირაქვს. ეს გარემოება რასაკვირველია
დიდათ სიმპტომატურიოა და ინგლისისთვის დიდათ დამაფიქრებელი. შვედეთ-
ში შტატების ვაჭრობის დეპარტამენტი პირდაპირ აცხადებს, რომ „საზოგა-
დოებრივი და ეკონომიური მხრით კანადა განხილულ უნდა იქნეს, როგორც
ერთებული შტატების ჩრდილო გაგრძელება“-ო.

მოყვანილი ცნობებიდან საყურადღებოა შემდეგი დასკვნა: 1919 წლიდან
მოკიდებული 1925 წლამდე საზღვარგარეთ ყოფილა გატანილი სულ—5.204 მილ.
დოლარი. აქედანვე როგორც სხვა და სხვა მთავრობების სესხი—3.103,4 მილ.
დოლარი. გარდა ამისა აღსანიშნავია კიდევ შემდეგი: 1925 წელში შვედეთში
შტატებს შედარებით 1924 წელთან გაკლებით ხაკლები უსესხებია მთავრო-
ბების და მუნიციპალიტეტებისთვის, სამაგიეროთ გაუდიდებია კრედიტი მრეწ-
ველობისათვის, თუ 1924 წელში უცხო სახელმწიფოებს აუღიათ სესხათ 778
მილ. დოლარი, 1925 წელში ახალი სესხი 540,8 მილ. დოლარამდე დაწეულა.



ცხადია დანარჩენი უდიდესი ნაწილი საგარეო ემისიისა მონდომებითა მრეწველობას.

რა ადგილი უჭირავს ევროპის სახელმწიფოებს შეერთებულ შტატების საფინანსო პოლიტიკაში?

ევროპა, სადაც იმპერიალისტური ომის შემდეგ პოლიტიკური და ეკონომიური მდომარეობა მუდმივ შერყევობას და ცვალებადობას განიცდის, სადაც საზოგადოებრივი წონათ სწორობა აღარ არსებობს, სოციალური წინააღმდეგობანი უაღრესათ გამწვავებულია. და მშვიდობიანი მომავლის იმედი აღკვეთილია, — ამერიკული კაპიტალისტების არ წარმოადგენს საფრთხვით უზრუნველყოფილ სფეროს. ამიტომ აქ შეერთებული შტატები მეტის სიფრთხილით და თავისდაჭერით ათავსებენ და ბანდავენ თავის კაპიტალს. ერთის მხრით შეერთებული შტატები დაინტერესებული არიან რომ აქ — ევროპაში ხელი შეუწყონ მდგომარეობის სტაბილიზაციას, რომ ამით მეტი გარანტია შექმნან თავისი სესხების დასაბრუნებლათ და ახალი კაპიტალების სარგებლიანათ და საიმედოათ მოსათავსებლათ. მეორე მხრით — შეერთებული შტატები, რომელნიც მიილტვიან მსოფლიო გეკემონიისაკენ, ამ მიზნის მისაღწევათ ატყობებლათ საფრთხვან ევროპის თავის გავლენის და პოლიტიკის რკალში მოჭკეკვას. ამ ორი უმთავრესი მიზეზით შეგვიძლია ავხსნათ ის გარემოება, რომ შეერთებული შტატები აძლევენ კრედიტს ევროპის სახელმწიფოებს, მაგრამ მეტის ზომიერებით და სიფრთხილით.

შემდეგი ცნობა ოფიციალურათ გამოქვეყნებული მთავრობის საგარეო და საშინ. ო. ვაჭრობის ბიუროს მიერ (ივლისში 1925 წ.) იძლევა სწორ წარმოდგენას ამერიკული ინვესტიციის (კაპიტალების მოთავსების) შესახებ უკუო ქვეყნებში 1924 წლის დამლევს:

კანადა და ნიუფაუნდლენდი	2,460 მილ. დოლ.
ლათინური ამერიკა	4,040 მილ. დოლ.
ევროპა	1,900 მილ. დოლ.
აზია და ოკეანია ¹⁾	690 მილ. დოლ.

სულ 9,090 მილ. დოლ.

ჩვენ შეგვიძლია უფრო ახალი ცნობა მოვიყვანოთ შეერთებული შტატების კაპიტალების მოთავსების და განაწილების შესახებ, რომელიც იმავე დასკვნას ადასტურებს.

1926 წლის დამდეგს შეერთებული შტატების ინვესტიცია წარმოადგენს ასეთ სურათს:

ევროპა	2,500 მილ. დოლ.
ლათინური ამერიკა	4,210 " "
კანადა	2,825 " "
აზია და ოკეანია	870 " "

სულ 10,405 მილ. დოლ.

თუმცა ევროპის წილი დიდათ გაზრდილა, მაგრამ იგი შედარებით ლათინურ ამერიკასთან და კანადასთან მაინც უფრო ნაკლებ რაოდენობას წარმოადგენს. რით აიხსნება ეს ფაქტი? პირველყოფლისა იპით რომ ამერიკა აზია-ოკეანიაში უფრო უზიფათო და უზრუნველყოფილია კაპიტალის მოთავსება. მაგრამ აქედან იმის დასკვნა არ შეიძლება, რომ რაც დრო გავა მით უფრო დაე-

¹⁾ ავსტრალია და მასთან მდებარე კუნძულები.

საქართველო

საქართველო

კარგება მნიშვნელობა ევროპას შეერთებულ შტატებისთვის ან პირიქით. არც იმის დასკვნა შეიძლება, რომ ამეოკი-ახია-ოკიანიას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს შ.-შტატებისათვის, ვიდრე ევროპას, რადგანაც იქ მეტი კაპიტალია მოთავსებული, ვიდრე ევროპაში. ჩვენ ვსთქვით და კიდევ ვიმეორებთ, რომ შეერთებულ შტატებში თავისი ძალა და გავლენა პირველყოელისა ევროპაში უნდა განამტკიცონ. მათი გვეგემონის გზა სწორეთ ევროპის ტეოიტო-იაზე დევს და ამიტომ მათი პოლიტიკაც ევროპის ფინანსიურად და ეკონომიურათ დაპყრობის ტენდენციებით არის გამსჭვალული. ამ პოლიტიკის გატარება დიდ სიძნელეს წარმოადგენს, რადგან მას წინ ეღობება რთული მდგომარეობა დიამეტრიალურ წინააღმდეგობათაგან შემდგარი: ერთი მხ-ით შეერთებული შტატები დაინტერესებული არიან, როგორც ზემოთ ვსთქვით, ევროპის სტაბილიზაციით, მისი აღორძინებით; მეორე მხრივ-კი ეს აღორძინება მათთვის სასურველი არ არის, რადგან იგი შეიცავს კონკურენციის შესაძლებლობას. ამიტომ შეერთებული შტატები თავის ევროპიულ პოლიტიკაში ითვალისწინებენ ამ ორ უმთავრეს გარეობას და ხელმძღვანელობენ მიხერბებული და მოქნილი ფორმულით „იმდენათ-რამდენათ“. იმდენათ უწყვეტ „დაბმარებას“ ევროპას, რამდენადაც ეს „დაბმარება“ მათთვის არის სასარგებლო და საჭირო. არც წახდენა-არც გაკეთება, არც დაკემა-არც აყვავება. ამ გზით და ამ ტიქტიკით ხორციელდება მათი ფინანსიური და ინდუსტრიალური ძლიერება ევროპაში. ასეთი პოლიტიკით და მეთოდით სწარმოებს ევროპის სახელმწიფოების თანდათან კოლონიზაციის პროცესი, მათი ამერაკულ „პაიოკზე“ გადასვლა. თუ რა სისწრაფით სწარმოებდა და სწარმოებს ეს პროცესი ჩვენ მოვიყვანათ კიდევ რამოდენიმე რიცხვს.

იმპერიალისტურ ომამდე ევროპის სახელმწიფოები დიდძალ კაპიტალებს ათავსებდენ სამხლვარ გარეთ და მაშინ შეერთებული შტატები მათი სოვალე და მორჩილი იყენენ. ამნაირათ ინგლისს ჰქონდა მოთავსებული უცხოეთში იმპერიალისტურ ომის დამდეგს—20 მილიარდი დოლ., საფრანგეთს—8,5 მილიარდი დოლ., გერმანიას—5 მილიარდი დოლ.; შეერთებულ შტატებს-კი მხოლოდ—2,5 მი-დი დოლარი და ისინი ამავე დროს მოვალე იყენენ ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის.

ეხლა განვიხილოთ, როგორ მდგომარეობაში არის საერთაშორისო დავალიანების საკითხი.

31 მარტს 1923 წელს ინგლისის ვალი შეერთებულ შტატებისადმი შეადგენდა 4.879 მილიონ დოლარს. აღნიშნულ დროს მოხდა მოლაპარაკება და შეთანხმება ორივე მხარეს შორის დავალიანების მოსაწესრიგებლათ. ამ პირობათა ძალით ინგლისი ვალდებულია მოკიდებული 1923 წლიდან 62 წლის განმავლობაში გაისტუმროს მთელი ვალი. პირველი 10 წლის განმავლობაში ინგლისი იხდის 3% ვალის მთელი რაოდენობიდან, შემდეგ წლებში-კი 1984 წლამდე 3 $\frac{1}{2}$ %; ყოველწლიური გადასახდელი წილი (ამორტიზაცია და %) უდრის—160—185 მილ. დოლ.

იტალიის ვალი უდრის—2.042 მილიონ დალ. ვადა დადებული 14 ნოემბრის 1925 წლის შეთანხმებით იგივეა, რაც ინგლისისათვის—62 წელიწადი, მაგრამ პირობები გაცილებით მსუბუქი და შეღავათიანი. 1925 წლის 15 ივნისიდან მოკიდებული ხუთი წლის განმავლობაში იტალია საესნბით განთავსუფლებულია სარგებლის (%-ის) ვადასახადისაგან. მხოლოდ 1931—40 წ. წ. იგი იხდის 1 $\frac{1}{2}$ %; 1941—50 წ. წ.—1 $\frac{1}{2}$ %; 1951—66 წ. წ.—1 $\frac{1}{2}$ %; 1967—70 წ. წ.—1 $\frac{1}{2}$ %; 1970—80 წ. წ.—1% და მხოლოდ ვადის უკანასკნელ წლებში 2%-ს.

საფრანგეთის ვალი უდრის 4.137 მილიონ დოლარს. ამ ვალის მოწესრი-



საქართველოს
საზღვაო სავაჭრო

გების და გადახდის პროექტი, წარმოდგენილი საფრანგეთის ფინანსთა მინისტრის კლემენტალის მიერ, სადაც ის ითხოვდა 80 წლის ვადას ვალის დასაფარავათ, $1\frac{1}{2}\%$ -ს და პირველ ათი წლის განმავლობაში სრულ თავისუფლებას, უარყოფილ იქნა შეერთებული შტატების მიერ, მაგრამ გაზაფხულზე მომხდარი შეთანხმება მხარეთა შორის მაინც დიდ შეღავათს აძლევს საფრანგეთს. მაგალითად—საფრანგეთის ყოველწლიური ვადასახადები იწყება 30 მილიონიდან და ბოლოს აღწევს 125 მილიონ დოლარს.

აქ საჭიროა ერთ დიდათ მნიშვნელოვან გარემოებას მიეკცეს ყურადღება, სახელდობრ იმას, რომ შეერთებული შტატები იტალიასა და საფრანგეთის მიმართ (ჩვენ აღარ ვლაპარაკობთ ბელგიის და სხვა მცირე სახელმწიფოების შესახებ) იჩენენ მეტ კეთილ განწყობილებას, ვიდრე ინგლისის მიმართ. რითი ახსნება ეს? რა მიზეზია, რომ ინგლისს გაცილებით უფრო მძიმე და ძნელ პირობებში აყენებენ, ვიდრე ყველა სხვა მოვალე სახელმწიფოებს? ამის ახსნა და პასუხი მდგომარეობის მხოლოდ იმაში, რომ ინგლისს შეერთებულ შტატებში უყურებენ როგორც ყველაზე უფრო ძლიერ და საშიშ მოქიშპეს, კონკურენტს საერთაშორისო ასპარეზზე, მსოფლიო ბაზარზე. მით უმეტეს რომ ინგლისის ხელთაა 75% კაუჩუკის მსოფლიო წარმოებისა, რაც ყოფნა-არყოფნის საკითხს წარმოადგენს შეერთებულ შტატების უზარმაზარ საავტომობილო მრეწველობისათვის.¹⁾ შესაძლებელია ინგლის-ამერიკის ანტოგონიზმი დაედვას საფუძვლათ მოსალოდნელ მსოფლიო შეხლა-შემოხლას. ეს შესაძლებლობა ყველაზე უფრო მოსალოდნელია.

ამნიართ უცხო ქვეყნებს და სახელმწიფოებს მიმდინარე 1926 წელში ადევთ შეერთებულ შტატების ვალი 2 $\frac{1}{2}$ მილიარდი დოლარი, რაც შესდგება 11 მილიარდ ომის დროინდელ მოკავშირე სახელმწიფოთა ვალისაგან და 10.405 მილიარდ თავისუფალ კრედიტისაგან. მხოლოდ ამ უკანასკნელ რიცხვიდან ფროპაზე მოდის 2 $\frac{1}{2}$ მილიარდი დოლარი. ასეთია ეს საშინელი ლოდი, რომელიც დაადვა გულზე მსოფლიოს შეერთებულმა შტატებმა.

საერთო სურათის მეტი მთლიანობისათვის ჩვენ შევვებებით მოკლეთ იმას, თუ როგორი ეკონომიური კონიუნქტორით შესდგეს ფეხი შეერთებულმა შტატებმა 1926 წელში.

ფოლადი

	1924 წ.	1925 წ.
შეერთებ. შტატები	36,6 მილ. ტონ.	44 მილ. ტონ.
ინგლისი	"	7 "
საფრანგეთი	"	7,3 "
გერმანია	"	12,5 "

თუჯი

	1924	1925
შეერთ. შტატები	31,0	39
ინგლისი	"	6,3
საფრანგეთი	"	8,4
გერმანია	"	10,4

¹⁾ კაუჩუკის იმპორტი უდრის 1924 წ. — 275 მილ. დოლ.; 1925 წ. — 425 მილ. დოლ. 1926 წ. მოსალოდნელია 700—800 მილ. დოლ.


 ერისშვილი
 ზნეობისთვის

ჰმპ ნახშირი

	1924		1925	
შეერთ. შტატები	554	"	565	"
ინგლისი	"	"	250	"
საფრანგეთი	"	"	60	"
გერმანია	"	"	130	" ¹⁾

შეერთებული შტატების საგარეო ვაჭრობა.

	იმპორტი.		ექსპორტი.	
	1924	1925	1924	1925
მთელი ევროპა	1074 მლ. დ.	1213 მლ. დ.	2330 მლ. დ.	2698 მლ. დ.
ჩრდილო ამერიკა	997 "	967 "	1084 "	1121 "
სამხრეთ ამერიკა	452 "	514 "	301 "	382 "
აზია და ოკეანია	968 "	1300 "	696 "	651 "
აფრიკა	70 "	90 "	68 "	82 "
	3561	4084	4479	4933

ასეთია საერთოდ შეერთებული შტატების ეკონომიური ვითარება და მისი დღევანდელი მდგომარეობა. ასეთია მისი ადგილი და მნიშვნელობა მსოფლიო ეკონომიკის სფეროში და ამ საფუძველზე შენდება და იშლება მისი თანამედროვე პოლიტიკა. მონროეს ფორმულა დიდი ხანია ისტორიას ჩაბარებია. „ამერიკა ამერიკელებისათვის“ ველაო იტევს და იჭერს შეერთებული შტატების საწარმოო ძალთა განვითარებას, მათ კაპიტალისტურ სტიქიას. ეხლა მონროეს ვიწრო, დრო მოქალაქე ფორმულა აღარ შეეფერება ძირიან-ფესვიანათ გამოცვლილ სინამდვილეს. ეხლა ამერიკული პლუტოკრატია მით აღარ კმაყოფილდება. ეხლა მას იგი უნდა შესცვალოს სხვა ფორმულით: „მსოფლიო ამერიკისათვის.“ მიღწევს თუ არა მიზანს, ან თუ დაიმსხვრევა ამ თანამედროვე საშინელი ბაბილონის გოდოლის შენების დროს, ამის ნიშნებს მომავალი გვიჩვენებს, ყოველ შემთხვევაში შეერთებული შტატების განდიდების და გაძლიერების ფაქტი სრულიათაე არ მოასწავებს საზოგადოთ კაპიტალიზმის, ბუნებაში უზღული წესწყობილების გამაგრებას და განმტკიცებას. პირიქით აღწერილი მოვლენა ლადადებს კაპიტალისტური მსოფლიოს აღსასრულის მოახლოებას, ანტაგონიზმების უღარესათ და უმწვერვალესათ განვითარებას, რომელნიც ბოლოს ომის საშინელებაში ნახვენ თავის გამოხატულებას. ასეთია გარდაუვლი კანონი დიალექტიკისა: განდიდების გზა იმავე დროს არის გზა დაღუპვის და დასამარებისა მაგრამ ჯერ-ჯერობით მბრძანებლობის ოქროს ევერთში ხელთ უპყრია შეერთებულ შტატების პლუტოკრატიას და იგი მით ხშირათ ძალიან მძიმეთ და მტკივნეულათ სცემს თავში ევროპის სახელმწიფოებს. მბრძანებლობის და მუქარის უტიფარი კილო ხშირათ ისმის შეერთებული შტატების ევ-

¹⁾ ეს ცნობები ებებიან ზოგი 1925 წელს მთლიანთ. ზოგი-კი 10—11 თვეს ამ წლისა.



როპიულ პოლიტიკაში და ხანდახან როცა მათ ევროპის მოქმედება არ მოსწონს, იგი ლებულობს ულტიმატუმის ხასიათს.

საინტერესოა გავიხსენოთ ამერიკელი ელჩის ელენსონ ხოუტონის გამოსვლა მარშან 4 მაისს „პილიგრიმების საზოგადოებაში“ ლონდონში.

ხოუტონმა განაცხადა:

„ჩვენ არ დაგვეწყებია, რომ არსებობს საზღვარი, რომელსაც ჩვენ არ უნდა გადავიკლდეთ. ამერიკის დახმარება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მიღებულ იქნეს, თუ ამერიკელი ხალხი დარწმუნდება, რომ განმანადგურებელი პოლიტიკის დრონი წარვიდენ და დადგა დრო მშვიდობიანი აღორძინებისა. ამერიკელი ხალხი ჰკითხულობს: დადგა თუ არა ასეთი დრო, მაგრამ მას ჯერ ამ კითხვაზე არ შეუძლია პასუხის მიცემა. პასუხი უნდა იქნეს ევროპის ხალხებისაგან... თუ ეს პასუხი ექნა—„მშვიდობიანობა,“ მაშინ თქვენ დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ამერიკა დაეხმარება ევროპას მთელი თავის დიდხულაფნობით. თუ კი ამ პასუხს ექნა გაურკვეველი და საიჭუო ხასიათი, მე ვშიშობ, რომ მაშინ ეხლანდელი დახმარებაც აღკვეთილი იქნება“. ამაზე უფრო მედიდური, უტიფარი და აბუჩათ ამღები კილო წარმოუდგენელია. ამ განცხადების აზრი უბრალო და მარტივია: წყნარათ იყავით, ერთმანეთში ნუ ჩაუბობთ, ვალეები წესიერათ იხადეთ—თორემ ყოფას გიტირებთო.

ასეთია შეერთებული შტატების ოფიციალური განცხადება ნაციონალიზმის უკანასკნელი (მიმდინარე წლის მარტში) შეხლაშემოხლის შესახებ:

„შეერთებული შტატები ფიქრობენ, რომ ევროპას არ სურს მორალური რჩევა-დარიგება მიიღოს მათგან. შეერთებული შტატები არ მიაწყდებიან დახმარებას მანამდე, სანამ მათ ამის თაობაზე არ მიმართავენ. შეერთებული შტატები დაიკვირან იმ დრომდე, როცა ევროპიური ფაქტორები აიძულებენ ევროპას უარყოფს თავისი ეხლანდელი ნაციონალისტური იმპერიალიზმი. შიარაღების შესანარჩუნებლათ საჭირო ფინანსური შესაძლებლობის უქონლობა აიძულებს ევროპას შესცვალოს თავისი პოლიტიკა. მაშინ შეერთებული შტატები ადვილად შეძლებენ თავისი პოლიტიკური ხაზის „იძულებითი გატაობას“.

დღეს ასე შეუძლია ლაპარაკი მხოლოდ შეერთებულ შტატებს. დღეს ასეთი თავხედობით და სითამამით მხოლოდ შეერთებული შტატებია აღჭურვილი. მაგრამ ეს რასაკვირველია არ ნიშნავს იმას, რომ მათ თვითონ არ უდარაჯებდეს კარზე განსაცდელი. კაცობრიობამ შესდგა ფეხი რევოლუციების ციკლი. კაპიტალისტური ანარქია იზრდება, ანტაგონიზმები ქვეყნებსა, კლასებსა და მატერიებს შორის დღით დღე მწვავედება. შიშით შეპყრობილი ყველა იმპერიალისტური მთავრობები გაიძახიან: განიარაღდითო—მაგრამ ყურსაც არაზინ იბერტყავს. ყველა ერთი მეორეს ატყუებს და განიარაღების მაგიერ აძლიერებს საოპარ განმანადგურებელ ტეხნიკას.¹⁾ ჰაერში სისხლის სუნი ტრიალებს. აუცილებლობის და განწირულების კანონის ძალით კაპიტალისტურ ქაოსიდან იშვება ახალი ქვეყანა მისი მჭედელი და მშენებელი მსოფლიო პროლეტარიატი ეშვადება დიადი ისტორიული მისიისათვის. ინგლისის უმეგალითო გაფიცვაში ისმის პირველი ზარის რეკა სოციალური რევოლუციისა.

¹⁾ მაგალითად სულ უკანასკნელი (იანვრით 4 ივნისი 1926 წ.) შეერთებულ შტატების სენატმა მიიღო კანონ პროექტი 1800 სამხედრო აეროპლანის აშენების შესახებ.

მიხეილ ჯავახიშვილი. „თეთრი საყელო“ — რომანი.

„თეთრ საყელო“-ს განსაკუთრებული ადგილი უკავია მიხ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში. იდეოლოგიურად აქ მტკათ საყურადღებო პრობლემაა წამოყენებული: ფსიქოლოგიური ბრძოლა ქალაქურ ცივილიზაციისა და სოფლის მკუდროების შორის. თეთრი საყელო და „საუუნოებოთ ნახმარი ჯაჭვის პერანგი“ სიბოლოებია ცივილიზაციის და პირველყოფილი გულებრყელოების, ქალაქისა და სოფლის.

თანამედროვე მხატვრული ლიტერატურა იცულოციურათ ამ პრობლემის ხაზზე ვითარდება. ჯერ კიდევ ეპოქურუსო ლაპარაკობდა, რომ ადამი.ნის ხსნა ზნეობრივით ზხოლოდ სოფლის პრიმიტივის უშუალო განცდაში მდგომარეობსო. ოსკ. შპენგლერმა ან პოპულემას თავისებური ფილოსოფიური დასაბუთება მოსცა: „ქულტურა კვდება ამინ, როდესაც ის ცივილიზაციით იტყევა“; ხოლო ზვენს ხანაში კი ექსპრესიონისტებმა იდეოლოგიურათ ამ საკითხით შემოფარგლეს თავისი შემოქმედება.

საქართველოში გრ. რომაქიძემ სრულიად ორიგინალურათ გაანათა სოფლის ინსტანკტარ პრობლემა დრამატურგულ ლიტერატურაში და მით ამ უკანასკნელს აბალი გზები დაუსაბა. „თეთრი საყელო“-თი მიხ. ჯავახიშვილმა პროზაში გადაიტანა ეს საკითხი, მაგრამ მან აქ „მიწასთან დაბრუნების“ იდეას არ მისცა რუსოსებური გადახრა, რითაც ის გაიმჯუნა როგორც ექსპრესიონისტებისაგან, ისე გრ. რომაქიძისაგან. ამ უკანასკნელმა „მალტრემში“ კამიტალიზმის იდეის ძლევამხოლოდ „მიწასთან დაბრუნებით“

შესძლო, ხოლო „ლამარაში“ კი მინდია იმარჯვენს, რადგანაც მასში მოცემულია მიწის პრიმიტიული გულუბრყვილობა და გულწრფელობა. მიხ. ჯავახიშვილმა მხატვრული სისწორით დაგვანახვა ის ცხარე ფსიქოლოგიური ბრძოლა, რომელიც სარმოებს თეთრ საყელოსა და საუკუნოებით ნახპარჯაქვის პერანგის შორის; მაგრამ ამ ბრძოლის დასასრული თეთრი საყელოს გამარჯვებაა: ვატიკა (ელიზბარი) ვერ შეურიგდა ხევსურეთის ყოფა-ცხოვრების სისატიყეს, ძმათ-ნათესის ხევსურის თბილმა, მეგობრულმა სიყვარულმა ვერ შესძლო მისი დატოვება ხევსურეთში: მან მიატოვა ხევსურეთის მთები, ხეივები; ძმათ-ნათესო ჯურხაც და გაეშუთა ქალაქს. „მაგრამ გაუფრთხილდე, თეთო საყელომ არ და გახოჩიდე, თორემ შეორეჯერ მკუველარ გიშველი“ — თუბრა ძმათ-ნათესო ვატიკას. ამ უკანასკნელმა მიამურა თეთრ საყელოს და მით თავი დაიფარა ხევსურულ ყოფა-ცხოვრების საშინელებისაგან.

„თეთრ საყელოში“ იშვიათის მხატვრული სისწორითაა მოცემული ხევსურეთის ყოფა ცხოვრება. ჰკითხულობთ „თეთრ საყელოს“ და ყოველ წუთში ჰკრძნობთ და განიკლით ხევსურს, მის სასტიკ ბუნებას, მაგრამ ამავე დროს იშვიათ მეგობრობასაც. ხევსური მტკიცეა: ის სასტიკია თავის მტრებთან, მაგრამ განსაკუთრებული მოკვარულია თავისი მეგობრის. მიხ. ჯავახიშვილმა შესძლო ამისი მხატვრული განცდა. ამაშია მისი, როგორც ხელოვანი გამარჯვება.

ბ.

სარედაქციო კოლეგია:

მ. ბახტაძე.

მ. ქახიანი.

შინაარსი:

შხატვრული ლიტერატურა.

სამართველო.

გვ.რ.

1. გალაქტიონ ტაბიძე—კოსმიური ორკესტრი	5
2. კონ. ლორთქიფანიძე—ხავსი	9
3. ლევ. შეტრეველი—დარღვეული მიწა	21
4. მიხ. ზანდუკელი—გრ. ორბელიანის გამოუქვეყნ. ლექსები	47
5. ვ. მალაქიაშვილი—სამნი (დასასრული)	65
6. მიხ. ჯავახიშვილი—ხუთის ამბავი	116

დასაველეთი.

7. უპტონ ხინკლერი—მეფე ნახშირი (დასასრული) თარგმ. კოწ. კიკინაძისა	149
---	-----

ქართობა, შხატვრობა და კუბლიცინობა.

8. ყარიბი—რევოლიუცია და ხელოვნება (გაგრძელება)	169
9. შ. დუდუჩავა—ისევ ფორმალისტური პოეტის შესახებ (დასასრ.).	202
10. ს. ხუნდაძე—ეროვნული პრობლემის გარშემო (პირვ. ნაწილ. დასას.)	211
11. ს. ქავთარაძე—საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები	237

ბიბლიოგრაფია.

12. ბ. —მიხეილ ჯავახიშვილი — „თეთრი საყულო“	255
---	-----